

**ნუგზარ ტატიშვილი**  
**ირაკლი ტატიშვილი**

**შინაგან სნეულებათა**  
**დიაგნოსტიკა**



ნუგზარ ტატიშვილი, ირაკლი ტატიშვილი

# შინაგან სნეულეხათა დიაგნოსტიკა

საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა  
სახელმძღვანელოდ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2003

სახელმძღვანელოს რეცენზენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა.ჭისტაური  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ.ნარსია

რედაქტორი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. სიმონია

ნუგზარ ტატიშვილი, ირაკლი ტატიშვილი  
შინაგან სანულებათა დიპლომატიკა

პირველი გამოცემა, თბილისი, 2001

© ნუგზარ ტატიშვილი, 2001

ყველა უფლება დაცულია

ISBN 99928-28-78-1

კომპიუტერული მომსახურება - ლ. გოცირიძე

გამოცა და დაისტამბა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში",

მის.: თბილისი, 380012, აღმაშენებლის 150ა. ტელ.: (+995 32) 951910

N. Tatishvili, I. Tatishvili

Principles of Clinical Diagnosis in Internal Medicine

© Nugzar Tatishvili, 2000

All Rights Reserved

Published and Printed by Bakur Sulakauri Publishing

150a, Agmashenebeli ave. Tbilisi, Georgia. Tel: (+995 32) 951910

## აპტორები

**ნუგზარ ტატიშვილი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე

**ირაკლი ტატიშვილი** - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტი

## წინასიტყვაობა

შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კურსის პროგრამა უკიდურესად დიდი და რთულია. ფაქტობრივად ის აერთიანებს ორ დიდ დისციპლინას: დიაგნოსტიკას - ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდებს სემიოტიკით და შინაგან სნეულებათა კერძო პათოლოგიას - ძირითადი შინაგანი სნეულებების მოკლე სისტემატიურ კურსს.

საგნის მიზანია გააცნოს სტუდენტს ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდები, ის სიმპტომები და სინდრომები, რომლებიც დამახასიათებელია დაავადებებისთვის და წარმოადგენა შეუქმნას იმ შინაგან სნეულებებზე, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება პრაქტიკოსი ექიმის მოღვაწეობაში. შინაგანი სნეულებები კი ძალიან ბევრია. სადღეისოდ ცნობილია რამდენიმე ათასი დაავადება და დიდი სინდრომი. სტუდენტმა უნდა აითვისოს მრავალრიცხოვანი ტერმინი, მათ შორის ბევრი უცხოური (ბერძნული და ლათინური წარმოშობის), გაეცნოს სხვადასხვა სახის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდს და სხვა. საგნის შესწავლის სირთულე კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ის მოითხოვს სტუდენტისგან ფუნდამენტური თეორიული დისციპლინების საფუძვლიან ცოდნას. ამის გარდა, ეს არის პირველი კლინიკური დისციპლინა, რომელსაც ხვდება დამწყები კურსის სტუდენტი, გუშინდელი სკოლის მოსწავლე. ეს არის ახალი ეტაპი მის შემეცნებით საქმიანობაში, მისი პირველი ურთიერთობა პრაქტიკულ მედიცინასთან, დაავადებულ პიროვნებასთან, პირველი შეხვედრა მედიცინის რთულ მორალურ-ეთიკურ პრობლემებთან.

წინამდებარე სახელმძღვანელოში გადმოცემულია ავადმყოფის გამოკვლევის ტრადიციული - კლასიკური და უახლესი კვლევის მეთოდები, რომლებიც სადღეისოდ დანერგილია შინაგან სნეულებათა კლინიკაში. ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს ანამნეზის დაუფლებას და ავადმყოფის უშუალო გასინჯვის, ე.წ. ფიზიკური კვლევის მეთოდებს - ინსპექ-

ციას, პალპაციას, პერკუსიას, აუსკულტაციას. კვლევის მეთოდების გარდა დეტალურადაა განხილული შინაგანი სნეულებების ძირითადი სიმპტომები. საკმაო ყურადღება აქვს დათმობილი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებს; ჩვენი აზრით, სტუდენტებმა უნდა აითვისონ აღნიშნული კვლევის მეთოდების პრინციპები და შეძლონ მათი სწორი შეფასება.

სახელმძღვანელოში ლაპარაკია დიაგნოსტიკის განვითარების ისტორიაზე, დაავადების არსზე, დიაგნოზის ზოგად მეთოდოლოგიაზე, დიაგნოზის აგების ლოგიკაზე, სამედიცინო დეონტოლოგიის საკითხებზე. მოყვანილია აგრეთვე დიფერენციული დიაგნოსტიკის ელემენტები; ეს გადმოცემულ მასალას უფრო საინტერესოს ხდის, ამის გარდა სტუდენტს უვითარებს დიაგნოსტიკური აზროვნების უნარს. სახელმძღვანელოს მიზანია მომავალ ექიმებს ასწავლოს არა მხოლოდ ავადმყოფის გამოკვლევის ტექნიკა, დაავადების სიმპტომები და სხვა, არამედ მათ აზროვნებას მისცეს გარკვეული მიმართულება.

დაავადებების აღწერილობა მოყვანილია მოკლედ, გადმოცემულია მხოლოდ მათი ძირითადი სიმპტომები, აუცილებელი დიაგნოზის დასასაბუთებლად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ არის საჭირო დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოში დაავადებების კლინიკის დეტალური გადმოცემა, რათა არ მოხდეს შინაგან სნეულებათა სახელმძღვანელოების დუბლირება. აქედან გამომდინარე, დაავადებების კლასიფიკაციებზე მოგვყავს ძალიან მოკლედ და ისიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში.

სახელმძღვანელოში გამოქვეყნებულია სამაჰულო და უცხოეთის (აშშ, გერმანია, ინგლისი, რუსეთი) სამედიცინო ლიტერატურაში მოცემული ინფორმაცია და ავტორების დიდი პედაგოგიური გამოცდილება შინაგან სნეულებათა სწავლებაში. მოცემულია უცხოელი ავტორების ის განსხვავებული შეხედულებები, რომლებიც ზოგიერთი საკითხის ინტერპრეტაციას ეხება.

სახელმძღვანელო ილუსტრირებულია 46 ცხრილით და 212 სურათით. დანართის სახით მოყვანილია ავადმყოფობის ისტორიის სქემა, ანამნეზის შეგროვების მაგალითი, ნორმული კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები, ტესტური კითხვარი, სამედიცინო ტერმინების ლექსიკონი, რეკომენდირებული ლიტერატურის სია და საგნობრივი საძიებელი.

სახელმძღვანელოს ცალკეული ნაკვეთები "შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის" სახელწოდებით გამოიცა 1994წ. (რედაქტორი რ. სანაია).

ავტორები მადლობით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას და გაითვალისწინებენ მათ სახელმძღვანელოს შემდგომი გამოცემებისათვის.

# სარჩევი

## თავი I ზოგადი ნაწილი

შინაგან სწეულებათა დიაგნოსტიკა .....	1	თავი .....	44
საექიმო დეონტოლოგია .....	2	თვალები .....	44
მოკლე ისტორიული მიმოხილვა .....	6	ცხვირი .....	46
დაავადება .....	9	ყურები .....	46
დიაგნოსტიკა .....	10	პირი და პირის ღრუ .....	46
ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდები .....	14	ენა .....	46
ავადმყოფის გამოკითხვა .....	15	სასა და ნუშისებრი ჯირკვლები .....	47
ინსპექცია .....	18	კისერი .....	47
ავადმყოფის კონსტიტუცია .....	19	ლიმფური კვანძები .....	48
სქესი და ასაკი .....	19	კიდურები .....	49
ავადმყოფის პოზა .....	20	კუნთები .....	49
სიარული .....	22	ძვლები .....	50
ცნობიერების დარღვევა .....	22	სახსრები .....	51
ავადმყოფის სახე .....	23	თითები და ფრჩხილები .....	53
კანის ფერი .....	25	პალმაცია .....	53
კანის სიფერმკერთაღე .....	26	პერკუსია .....	55
კანის სინოთლე .....	26	აუსკულტაცია .....	58
ციანოზი .....	27	ყნოსვის გამოყენება დაავადებების დიაგნოსტიკაში .....	60
სიყვითლე .....	29	ლაბორატორიული, ინსტრუმენტული და ფუნქციური გამოკვლევები .....	61
კანის პიგმენტაცია .....	32	ანთროპომეტრია .....	62
გამონაყარი .....	33	თერმომეტრია. ცხელება .....	63
გამონაყარის პირველადი ელემენტები .....	34	რენტგენოლოგიური გამოკვლევა .....	66
გამონაყარის მეორადი ელემენტები .....	37	რადიოიზოტოპული გამოკვლევები .....	69
კანის ელასტიურობა .....	38	კომპიუტერული ტომოგრაფია .....	67
კანის სინოტივე და ოფლიანობა .....	38	ულტრაბგერითი გამოკვლევები .....	68
თმის საფარველის ცვლილებები .....	39	ენდოსკოპიური გამოკვლევა .....	70
კანქვეშა ვენების გაგანიერება .....	39	რადიოიზენტური ანალიზი .....	70
კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი .....	40	იმუნოფერმენტული ანალიზი .....	71
შეშუპება .....	41	ავადმყოფის იმუნური სტატუსის შეფასება .....	71
კანქვეშა ემფიზემა .....	44		

## თავი II სუნთქვითი სისტემა

გამოკვლევის მეთოდები .....		ტიპილი გულმკერდში .....	72
გამოკითხვა .....		ქოშინი .....	74
ჩივილები .....	72	ხველა .....	75

ტემურატურის მატება .....	77	მწვავე ტრაქეობრონქიტი .....	97
ანამნეზი .....	77	ქრონიკული ბრონქიტი .....	99
ფიზიკური კვლევის მეთოდები		მწვავე პნევმონია .....	99
ინსპექცია .....	77	ნილოვანი პნევმონია .....	100
გულმკერდის პალპაცია .....	80	ეოროვანი პნევმონია .....	100
გულმკერდის პერკუსია .....	82	ქრონიკული პნევმონია .....	101
ფილტვების აუსკულტაცია .....	86	ფილტვების აბსცესი .....	101
ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები		ფილტვების განგრენა .....	102
ლაბორატორიული გამოკვლევები		ბრონქოექტაზია .....	102
ნახველის ანალიზი .....	92	ფილტვების ემფიზემა .....	102
ბრონქების ამონარეცხი წყლების გამოკვლევა .....	93	ბრონქული ასთმა .....	103
პლევრული სითხის გამოკვლევა .....	93	ფილტვის ეიზო .....	103
ინსტრუმენტული გამოკვლევები		ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია და ფილტვის ინფარქტი .....	104
რენტგენოლოგიური გამოკვლევა .....	94	პლევრიტი .....	105
ენდოსკოპიური გამოკვლევები .....	94	მშრალი პლევრიტი .....	105
ბრონქოსკოპია .....	94	ექსუდაციური პლევრიტი .....	105
თორაკოსკოპია .....	94	ფილტვების ატელექტაზი .....	106
ფილტვების ფუნქციური კვლევის მეთოდები .....	94	პნევმოსკლეროზი .....	106
ძირითადი კლინიკური სინდრომები		პნევმოთორაქსი .....	106
სუნთქვითი უკმარისობა .....	97	ჰიდროთორაქსი .....	106
სუნთქვითი სისტემის დაავადებები		ჰიდროპნევმოთორაქსი .....	107

### თავი III გულ-სისხლძარღვთა სისტემა

გამოკვლევის მეთოდები		სისხლის ძარღვების აუსკულტაცია .....	128
გამოკითხვა .....	108	არტერიული პულსის გამოკვლევა .....	129
ჩივილები .....	108	რითმი .....	130
გულის ფრიალი .....	108	პულსური ტალღის თავისებურებები .....	131
ტკივილი გულის მიდამოში .....	109	არტერიის კედლის მდგომარეობა .....	132
ქოშინი .....	110	არტერიული წნევის გაზომვა .....	132
ანამნეზი .....	112	ელექტროკარდიოგრაფია .....	135
ფიზიკური კვლევის მეთოდები		ელექტროკარდიოგრაფიული განხრები .....	137
ინსპექცია .....	112	ნორმალური ელექტროკარდიოგრამა .....	139
პალპაცია .....	114	ელექტროკარდიოგრამის ანალიზი .....	140
გულის პერკუსია .....	116	ფონოკარდიოგრაფია .....	144
გულის აუსკულტაცია .....	118	რენტგენოლოგიური გამოკვლევა .....	146
გულის ტონების მოსასმენი მიდამოები .....	119	ეკოკარდიოგრაფია .....	148
გულის ტონები .....	120	სფიგმოგრაფია .....	149
მიტრალური სარქელის ვაღების ხმანობა .....	124	კაპილაროსკოპია .....	149
სისტოლური ტაკცუნი .....	124	ფლემოგრაფია .....	150
მუილები .....	124	ვენური წნევის გაზომვა .....	151
პერიკარდუმის სახუნი .....	127	სისხლის ნაქადის სიჩქარის გამოკვლევა .....	151



გულის ნეოთროცულობის და სისტოლური მოცულობის დადგენა .....	152	პარკუჭთაში ბლოკადა .....	165
ციკულაციაში არსებული სისხლის რაოდენობის განსაზღვრა .....	152	ვოლფ-პარკინსონ-უაიტის სინდრომი .....	165
პეპტოკრიტი .....	153	<b>გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები</b>	
ოქსიემომეტრია .....	153	რემატიზმი .....	166
გულის ღრუების და მაგისტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაცია .....	153	ინფექციური ენდოკარდიტი .....	166
ანგიოკარდიოგრაფია .....	154	გულის მანკი .....	167
გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის უახლოესი მეთოდები .....	154	გულის თანდაყოლილი მანკები	
<b>ძირითადი კლინიკური სინდრომები</b>		ბოტალოს ღია სადინარი .....	167
გულის უკმარისობა .....	154	წინაგულთაშუა ძვიდის დეფექტი .....	168
გულის მწვავე უკმარისობა .....	155	პარკუჭთაშუა ძვიდის დეფექტი .....	168
გულის ქრონიკული უკმარისობა .....	156	შინაგანი ორგანოების გადაადგილება და დექსტროკარდია .....	168
სისხლძარღვთა უკმარისობა .....	157	აორტის ბიკუსპიდური სარქველი .....	169
არითმია .....	158	ფილტვის არტერიის სტენოზი .....	169
ავტომატიზმის ფუნქციის მოშლა .....	158	აორტის კოარქტაცია .....	169
სინუსური ტაქიკარდია .....	158	ფალოს ტეტრალოგია .....	169
სინუსური ბრადიკარდია .....	159	<b>გულის შექმნილი მანკები</b>	
სინუსური არითმია .....	159	მიტრალური სარქელის ნაკლოვანება .....	170
სინუსური კეანძის სისუსტის სინდრომი .....	159	მიტრალური ხერხელის სტენოზი .....	171
<b>ავზნაბლობის ფუნქციის მოშლა</b>		აორტის სარქელის ნაკლოვანება .....	174
ექსტრასისტოლური არითმია .....	159	აორტის ხერხელის სტენოზი .....	176
პაროქსიზმული ტაქიკარდია .....	161	ტრიკუსპიდური სარქელის ნაკლოვანება .....	177
წინაგულების თრომბოზი .....	162	ტრიკუსპიდური ხერხელის სტენოზი .....	178
წინაგულების ფიბრილაცია - მოცმციმე არითმია .....	163	ფილტვის არტერიის სარქელის ნაკლოვანება .....	178
პარკუჭების ფიბრილაცია .....	163	გულის რთული და კომბინირებული მანკები .....	178
გამტარობის ფუნქციის მოშლა. ბლოკადები .....	164	<b>მიოკარდიტი</b> .....	178
სინოატრიული ბლოკადა .....	164	ესენციური მიგრტენოზი .....	179
წინაგულთაშუა ბლოკადა .....	164	გულის იმემიური დაავადება .....	179
ატრიოვენტრიკულური ბლოკადა .....	164	სტენოკარდია .....	180
I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა .....	164	მიოკარდიუმის ინფარქტი .....	180
II ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა .....	164	კარდიოსკლეროზი .....	183
III ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა .....	165	კარდიომიოპათია .....	183
ფრედერიკის სინდრომი .....	165	გულის ნევროზი .....	184
		ფილტვისმძირე გული .....	185
		პერიკარდიტი .....	185

## თავი IV

### საჭმლის მომნელებელი სისტემა

<b>საყლაპავი</b>		<b>ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები</b> .....	189
გამოკვლევის მეთოდები		საყლაპავის დაავადებები	
გამოკითხვა .....	187	ეზოფაგოზი .....	190
ჩივილები .....	187	ახალაზია .....	190
ანამნეზი .....	188	საყლაპავის დიფუზური სპაზმი .....	191
ფიზიკური კვლევის მეთოდები .....	189		

საელაპის კობო .....191

**მუცლის ღრუს ორგანოები**

**გამოკვლევის მეთოდები**

გამოკითხვა .....191

ჩივილები .....191

ანამნეზი .....198

ფიზიკური კვლევის მეთოდები .....198

ინსპექცია .....198

აუსკულტაცია .....201

მუცლის ღრუს პერკუსია .....201

მუცლის პალპაცია .....203

**ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები**

**ლაბორატორიული გამოკვლევები**

კუჭის სერეციული ფუნქციის გამოკვლევა ..206

განაღლის ანალიზი .....208

ღვიძლის ლაბორატორიულ-ფუნქციური გამოკვლევა .....209

დუოდენური ზონდირება .....210

**ინსტრუმენტული გამოკვლევები**

რენტგენოლოგიური გამოკვლევა .....211

კომპიუტერული ტომოგრაფია .....212

ენდოსკოპიური გამოკვლევები .....212

ულტრაბგერითი გამოკვლევები .....212

რადიონუკლიდული გამოკვლევები .....213

ღვიძლის პუნქციური ბიოფსია .....213

**საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებები**

კუჭის დაავადებები

გასტრიტი .....213

პეპტიური წყლული .....214

კუჭის კობო .....215

**ნაწლავების დაავადებები**

მალაბსორაციის სინდრომი .....216

ბაქტერიების ჭარბი ზრდა ( ნაწლავების დისბაქტერიოზი ) .....217

ლაქტაზის დეფიციტი .....217

გაღვიძნებული ნაწლავის სინდრომი .....218

კრონის დაავადება .....218

არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი .....219

მწვავე აპენდიციტი .....219

ნაწლავების მწვავე გაუჯალობა .....220

მსხვილი ნაწლავის კობო .....220

მწვავე პერიტონიტი .....221

**პანკრეასის დაავადებები**

მწვავე პანკრეატიტი .....221

ქრონიკული პანკრეატიტი .....222

პანკრეასის კობო .....222

**ღვიძლის და სანაღლვე გზების დაავადებები**

პორტული ჰიპერტენზიის სინდრომი .....223

ღვიძლის უკმარისობის სინდრომი .....223

მწვავე პეპატიტი .....225

ქრონიკული პეპატიტი .....225

ღვიძლის ციროზი .....226

ღვიძლის კობო .....227

ნალექენჭოვანი დაავადება .....228

მწვავე და ქრონიკული ქოლეცისტიტი

მწვავე ქოლეცისტიტი .....229

ქრონიკული ქოლეცისტიტი .....229

**თავი V**  
**შარდის გამომყოფი სისტემა**

**გამოკვლევის მეთოდები**

გამოკითხვა .....231

ჩივილები .....231

ანამნეზი .....232

ინსპექცია .....232

პალპაცია .....233

თირკმლების პერკუსია .....234

**ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები**

შარდის ანალიზი .....234

თირკმლების ფუნქციური კვლევის მეთოდები ..237

რენტგენოლოგიური გამოკვლევა .....238

რადიონუკლიდული გამოკვლევები .....239

ულტრაბგერითი გამოკვლევა .....239

კომპიუტერული ტომოგრაფია .....239

თირკმლების პუნქციური ბიოფსია .....239

**თირკმლების დაავადებები**

თირკმლების მწვავე უკმარისობის სინდრომი .....239

ნეფროზული სინდრომი .....240

რენული არტერიული ჰიპერტენზიის სინდრომი .....241

თირკმლების ქრონიკული უკმარისობის სინდრომი .....241

მწვავე გლომერულონეფრიტი .....242

სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი .....243

ქრონიკული გლომერულონეფრიტი .....243

თირკმლების ამილოიდოზი .....	244	ქრონიკული პიელონეფრიტი .....	245
თირკმლების პოლიკისტოზი .....	245	თირკმლების კენჭოვანი დაავადება .....	245

## თავი VI სისხლის სისტემა

<b>გამოკვლევის მეთოდები</b>		<b>პოსტპემორაგიული ანემიები .....</b>	<b>254</b>
გამოკითხვა		რკინადეფიციტური ანემიები .....	254
ჩივილები .....	247	ადისონ-ბირმერის ანემია .....	255
ანამნეზი .....	247	პემოლოზური ანემიები .....	256
<b>ფიზიკური კვლევის მეთოდები</b>		მემკვიდრეობითი პემოლიზური ანემიები	
ინსპექცია .....	248	მიკროსფეროციტოზი .....	256
პალპაცია .....	248	თალასემია .....	257
პერკუსია .....	248	ნამგლისებურუჯრედული ანემია .....	257
აუსკულტაცია .....	248	შეტნილი პემოლიზური ანემიები .....	257
<b>ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები</b>		<b>პემორაგიული დიათეზები .....</b>	<b>258</b>
სისხლის საერთო ანალიზი .....	249	თრომბოციტოპენიები .....	258
სისხლის უჯრედების მორფოლოგია და ლეიკოციტური ფორმულა .....	250	პემორაგიული ვასკულოტი .....	258
ძელის ტვინის გამოკვლევა .....	252	პემოვილია .....	259
ლიმფური კვანძების ბიოფსია .....	253	<b>პემობლასტოზები .....</b>	<b>259</b>
სისხლის შემდეგელი ფუნქციის გამოკვლევა .....	253	მწვავე ლეიკემიები .....	259
რენტგენოლოგიური გამოკვლევა .....	253	ქრონიკული ლეიკემიები .....	260
რადიოიზოტოპური გამოკვლევები .....	253	ქრონიკული მიელოლეიკემია .....	260
<b>სისხლის და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები</b>		ერთრეზია .....	261
ანემიები .....	254	ქრონიკული ლიმფოლეიკემია .....	261
		მიელომური დაავადება .....	262
		ლიმფოგრანულომატოზი .....	263

## თავი VII შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების სისტემა

<b>გამოკვლევის მეთოდები</b>		<b>აკრომეგალია .....</b>	<b>266</b>
გამოკითხვა		უშაქრო დაბტეტი .....	267
ჩივილები .....	264	ენდემიური ჩიყვი .....	267
<b>ფიზიკური კვლევის მეთოდები</b>		დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი .....	267
ინსპექცია .....	265	ჰიპოთირეოზი .....	268
პალპაცია .....	265	პარათირეოიდული ჯირკვლების დაავადებები .....	269
პერკუსია და აუსკულტაცია .....	266	შაქრანი დაბტეტი .....	270
<b>ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები</b>		ადისონის დაავადება .....	272
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაავადებები		კუშინგის სინდრომი .....	272

## თავი VIII რემატიული დაავადებები

<b>გამოკვლევის მეთოდები</b> გამოკითხვა ..... 273 ჩივილები ..... 274 ანამნეზი ..... 274 <b>ფიზიკური კვლევის მეთოდები</b> ინსპექცია ..... 274 პალპაცია ..... 275	<b>ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები</b> ლაბორატორიული გამოკვლევები ..... 275 ინსტრუმენტული გამოკვლევები ..... 276 <b>რემატიული დაავადებები</b> სისტემური წითელი მგლურა ..... 277 რემატოიდული ართრიტი ..... 277 ოსტეოართროზი ..... 278
--	--

### დანართი

ავადმყოფობის ისტორია .....	279
პაციენტთან საუბარი .....	288
ნორმული კლინიკურ-ლაბორატორიული მაჩვენებლები .....	292
ტესტური კითხვები .....	296
უცხოური ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი .....	323
რეკომენდებული ლიტერატურა .....	341
საგნობრივი საძიებელი .....	342

# ზოგადი ნაწილი

## შინაგან სწულეპათა დაგნოსტიკა

შინაგანი მედიცინა, ანუ თერაპია (ბერძნ. თერაპია - მზრუნველობა, მოვლა, მკურნალობა, ექიმობა) ძირითადი საექიმო დისციპლინაა, რომელიც მოიცავს ადამიანის დაავადებათა დიდ ნაწილს, მათ სხვადასხვა ფორმებსა და მიმდინარეობებს და საფუძველს უყრის ყველა დარგის ექიმის მომავალ პრაქტიკულ საქმიანობას.

მეცნიერებელ საუკუნემდე შინაგანი მედიცინის საქცილისტი - ექიმი თერაპევტი ყველაფერს მკურნალობდა, რადგანაც მედიცინა არ იყო დაყოფილი ცალკეულ დისციპლინებად. ეს იყო ერთიანი დარგი, რომელსაც გამოეყოფოდა მხოლოდ ქირურგია, ისიც არა როგორც ცალკე დისციპლინა, არამედ როგორც მკურნალობის მეთოდი. ვასულ საუკუნეში და ჩვენი საუკუნის დასაწყისში შინაგან მედიცინას გამოეყო ჯერ ქირურგია, შემდეგ კი ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა ინფექციური, ბავშვთა, ნერვული, კანის და ვენერული, თვალის სნეულებები, ტუბერკულოზი და სხვა. სადღესოდ შინაგანი მედიცინის შესწავლის საგანია სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ლეიძლის და სანაღლე გზების, თირკმელების, სისხლის და სისხლმადი ორგანოების, ენდოკრინული ჯირკვლების, ნივთიერებათა ცვლის და სახსრების დაავადებები.

სამედიცინო უნივერსიტეტში შინაგანი მედიცინა შეისწავლება რამდენიმე ეტაპად. დასაწყისში სტუდენტები სწავლობენ შინაგან სწულეპათა დაგნოსტიკას. შემდეგ კურსებზე თერაპიის კურსის შესწავლის დროს ისინი ეცნობიან როგორც დაავადებათა კლასიკურ ფორმებს, ასევე მათ ინდივიდუალურ გამოვლენებს კონკრეტულ ავადმყოფებში, იხილავენ იშვიათ კლინიკურ შემთხვევებს და დაავადებების ატანაში მიმდინარეობას, ითვისებენ დიფერენციულ დაგნოსტიკას, ავადმყოფების მკურნალობის მეთოდებს. პირველადი სპეციალიზაციის გზით, ისინი პრაქტიკულად ეუფლებიან საექიმო მიმდინარეობას.

შინაგან სწულეპათა დაგნოსტიკის უკრის სამი განაკვეთისგან შედგება. ესენია: უშუალოდ დაგნოსტიკა, სემიოტიკა და შინაგანი სწულეპათის კერძო პათოლოგია. აღნიშნულ კურსს შინაგან სწულეპათა პროპედევტიკის კურსისავე უწოდებენ (ბერძ. პროპედეო — მომზადება).

დაგნოსტიკა (ბერძნ. დაგნოზის - ამოცნობა) - ეს არის სწავლება დაავადების ამოცნობის მეთოდების შესახებ. დაგნოსტიკა გულისხმობს აგრეთვე ავადმყოფის გამოკვლევის მთელ პროცესს, ექიმის დაკვირვებას და მსჯელობას დაავადების ამოსაცნობად და ავადმყოფის მდგომარეობის დასადგენად. დაგნოზი, ერთის მხრივ, ნიშნავს დაავადების ამოცნობას, მეორეს მხრივ კი ეს არის მოკლე საექიმო დასკვნა დაავადების არსზე, ავადმყოფის მდგომარეობაზე, გამოხატული თანამედ-

როვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში. მაგალითად, ერთი ავადმყოფის დაგნოზი არის შაქრიანი დიაბეტი, მეორის - ბრონქული ასთმა, მესამის - ნაღვლის ბუშტის ანთება და სხვა.

დაგნოსტიკას აქვს თავისი მეთოდები, რომელთაც მიეკუთვნება ავადმყოფის გამოკითხვა, ფიზიკური კვლევის მეთოდები, სხვადასხვა ლაბორატორიული, ფუნქციური ტესტი და სხვა. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ჩვენ ვაღდგენთ დაავადების ნიშნებს - სიმპტომებს (ბერძნ. სიმპტომა - ნიშანი) და მათ ერთობლიობას - სინდრომებს (ბერძნ. სინდრომუშ - ნიშნების ერთობლიობა).

სწავლება დაავადების სიმპტომების შესახებ ცნობილია, როგორც სიმპტომატოლოგია, სემიოტიკა (ბერძნ. სემიონ - ნიშანი, ნიშანთვისება, ლოგოს - სწავლება). დაავადების სიმპტომები მრავალფეროვნებანი. მაგალითად, დაავადების სიმპტომა თავის ტკივილი, კანის სიფერქითლე, ზეკლა, გულის ფრიალი, კუჭის აშლა, ცილის არსებობა შარდში, სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მომატება, რენტგენოლოგიურად ფილტვის ქსოვილში ღრუს არსებობა, სისხლში მაღარისი პარაზიტის არსებობა და სხვა.

შინაგან სწულეპათა დაგნოსტიკის კურსის მესამე განაკვეთია შინაგანი სწულეპათის კერძო პათოლოგია. სტუდენტები შეისწავლის ძირითად შინაგან სწულეპათებს დაგნოსტიკურ და სიმპტომატოლოგიურ ჭრილში. ბუნებრივია, რომ დაგნოსტიკური მეთოდების ათვისება, დაავადებების სიმპტომების შესწავლა არ უნდა წარმოებდეს განყენებულად, დაავადების შესწავლის გარეშე. დაგნოსტიკა, სემიოტიკა და შინაგანი სწულეპათის კერძო პათოლოგია უნდა ინსაველებოდეს განუყოფელ კავშირში. დაგნოსტიკური მეთოდების და სიმპტომების კლინიკური ახსნა უნდა ემსახურებოდეს დაავადების შესწავლას და პირიქით. ამდენად, შინაგანი სწულეპათის დაგნოსტიკის კურსის გავლის დროს არ უნდა მოხდეს შესწავლის მეთოდების და ხერხების განცალკევება შესწავლის ობიექტისაგან.

შინაგანი მედიცინა ძირითადი სამედიცინო დისციპლინაა და მისი ცოდნა აუცილებელია მედიცინის ყველა დარგის სპეციალისტისათვის. არც ერთი დარგის ექიმი არ შეიძლება იყოს მზად ნაყოფიერი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, თუკი მას არა აქვს შესწავლილი შინაგან სწულეპათა კლინიკა და სრულყოფილად არ ფლობს დაგნოსტიკურ მეთოდებს. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ორგანოს დაზიანება ხშირად ეითარდება შინაგანი დაავადების დროს. მაგალითად, მხედველობის დაქვეითება, სიბრძნველადე კი, შაქრიანი დიაბეტის, არტერიული ჰიპერტენზიის და თირკმელების ქრონიკული ანთების ერთ-ერთი ნაშედეგი ნიშანია. კბილის ექსტრაქციის დროს განვითარებული

ძლიერი სისხლის დენა შეიძლება შედეგი იყოს სისხლის ისეთი დაავადებისა, როგორცაა ემბოლია, მარცხის გამოყოფის შემცირება ხშირად თან სდევს გულის და ლეილის დაავადებებს, ძეგლის მოტეხილობა შეიძლება განვიხილოდეს მიელომურ დაავადების დროს და სხვა. ამდენად, შინაგანი მედიცინა არის კლინიკური მედიცინის თავისებური გამაერთიანებელი ევენტრი.

თერაპეუტის, ისევე როგორც ყველა სხვა დარგის პრაქტიკო-სი ექიმის, ძირითადი ამოცანაა დაავადების სწორი ამოცნობა და

მიზანდასახული მკურნალობა. „ინც კარგად სვამს დიაგნოზს, კარგად მკურნალობს“ - „ Qui bene diagnosci, bene curat“ (ლათინ.). შემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ დიაგნოსტიკური მეთოდების ცოდნა, შინაგანი დაავადებების სიმპტომების და სინდრომების ამოცნობის უნარი და მათი სწორი მეთვასება აუცილებელია არა მხოლოდ მომავალი თერაპეუტიკისთვის, არამედ პრაქტიკული მედიცინის თვეს სხვა დარგის სპეციალისტისათვის - ნევროპათოლოგი, ინფექციონისტი, ქირურგი, გინეკოლოგი, სტომატოლოგი და სხვა.

## საქიმიო დონტოლოგია

მედიცინა უძველესი პროფესიაა და თავისი სპეციფიკით განსხვავდება ადამიანის საქმიანობის სხვა სახეებიდან. მედიცინას აქვს ეთიკის და მორალის საკუთარი ნორმები, სპეციალური ზნეობრივი მოთხოვნები, რომლებიც ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ნაყენებოდა ექიმებს.

სამედიცინო, ანუ საქიმიო დონტოლოგია (ბერძნ. დეონტოს - სათანადო) არის მეცნიერება ექიმის მოვალეობისა და ვალდებულებების, ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობის შესახებ. ეს არის ეთიკური ნორმების, მორალურ-ზნეობრივი და სამართლებრივი პრინციპების და წესების კომპლექსი, რითაც ხელშეწყობს ექიმი და რომელიც მთავდენს საქიმიო მოვალეობის შენახვას. სამედიცინო დონტოლოგია მხოლოდ მეცნიერება არ არის. ის არ გულისხმობს ერთხელ და სამოლოდ დადგენილ წესებს, რადგანაც ყოველი ცალკეული ავადმყოფი თავისი ასაკის, ინტელექტის, განათლების, დაავადების თავისებურებებიდან და მომენტის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე (უძიობა, ტკივილის არსებობა, ფსიქიკური მდგომარეობა და სხვა), საქიმიოებს განსაკუთრებულ მიდგომას და ტაქტიკას. ყველაფერი ეს ეხება არა მხოლოდ ექიმს, არამედ მთელ სამედიცინო პერსონალს და აგრეთვე სტუდენტსაც. სტუდენტი უკვე კონტაქტში უნდა იმყოფებოდა საავადმყოფოში და უნდა იყო კონტაქტში ავადმყოფთან. ამიტომ სტუდენტისათვის თავიდანვე აუცილებელია, დაუფლოს ავადმყოფთან ურთიერთობის ამ მუქად რთულ და აუცილებელ მექანიზმებს, რომლის მიზანია - ხელი შეუწყოს ავადმყოფის გამოჯანმრთლებას.

მედიცინა რთული დარგია და არსებობს მისი მრავალი განმარტება. ფართო გაგებით, ეს არის მეცნიერული ცოდნის სისტემა ადამიანის ჯანმრთელობა და დაავადებების შესახებ. ამდენად, მედიცინის ინტერდისციპლინური მოიცავს ადამიანის ცხოვრების მრავალ ასპექტს. ის შეისწავლის ადამიანის ორგანიზმის შენახვას და ცხოველმყოფელობის პროცესებს ნორმალსა და პათოლოგიურად, ადამიანის ცხოვრებისა და შრომის პრობლემებს, მათი დადებითი და უარყოფითი გავლენის ასპექტებით ადამიანის ჯანმრთელობაზე. ის მონაწილეობს განამტკიცოვს და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობა, გახანგრძლივოს მისი სიცოცხლე და სხვა. ვინორ გაგებით, მედიცინა - ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის დაავადებებს, მათ პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

რთი იზიდავს ახალგაზრდობას ექიმის პროფესია? ზომ ყველაფრის ცნობილია, რომ მისი დაუფლება ძნელია, ხანგრძლივია, თხოვლობს სტუდენტ-მედიკოსისაგან ბევრად უფრო მეტ თავდადებასა და სიმტკიცეს, უფრო სხვა რომელიმე პროფესიის სტუდენტისაგან. ცნობილია ისიც, რომ ექიმის პრო-

მა ძალიან რთულია, მეტად პასუხსაგები, დაკავშირებულია მძიმე სულიერ განცდებით, ხშირად დაუფასებელი არასამართლიანად და, ამისდა მიუხედავად, ყოველსეულიად, სამედიცინო უნივერსიტეტის კარიბჭეს მიაშურებს ათასობით ახალგაზრდა, რომელთაც სურთ თავიანთი ცხოვრება მოუძღვნან მედიცინას. სტუდენტების ამპოტოხების უმარველსობა სპეციალისტის არჩევას სსნის მედიცინის მუშანურობით, სურვილით - მოუტანოს სარგებლობა ადამიანებს, ხელი შეუწყოს იმას, რომ მათი ცხოვრება არ დაირყოს ავადმყოფობებით, ტანჯვით, იყოს ბედნიერი და სხარულით საესე.

მედიცინის ისტორიაში იცის არაერთი მაგალითი იმ ექიმების თავგანწირვისა, რომლებიც ადამიანის კეთილდღეობისთვის მუშაობდნენ საშიში ინფექციური დაავადებების ეპიდემიის ქვერებში, სწრაფდნენ თავიანთი ჯანმრთელობა და სიცოცხლეცაც ე.ი. ჯერ კიდევ 1802 წელს ინგლისელმა ექიმმა ა.უიჯილმა შავი ჭირის გადაგანის გზის დადგენის მიზნით აიკრა მათი ჭირით დაავადებული ავადმყოფის ლიმფური კვანძიდან აღებული ჩორქი და დაიღუპა. მიმოდ დაავადდა ოდესელი ექიმი ო.მორუტკოესკი, რომელმაც რამდენიმეჯერ შეიყვანა თვეს ორგანიზმში პარტახტიანი ტიფით დაავადებული ავადმყოფის სისხლი. ქოლერის ბაცილების სუფთა კულტურა დაავადების გამომწვეული დადგენის მიზნით მიიღეს მ.პეტერეიფერმა და ი.მერჩნიკოვმა და სხვა. გულის მუშაობის შესწავლის მიზნით ე.ფორსმანმა საკუთარ თავზე აწამოა გულის კათეტრიზაცია - ვენიდან გულში შეიყვანა კათეტრი. მორიან დაქალინ მიმზიდვლად გამოიყურება ექიმის უძლიო დამეგები მორგეობის დროს, ექიმის მიერ ავადმყოფისათვის საკუთარი სისხლის ვაცემა და სხვა.

სხვათა შორის, ექიმობა ძველთაგანვე იყო დაფასებული. ძველ ჩინეთში ამბობდნენ, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეიძ საართოლანი სახლის („პაგოდოს“) აშენებაზე უკეთესია. ამორქოსის აზრით, ას მემომარს უდრის ერთი დახელოვნებული ექიმი“ (რილიდა).

ამასთან ერთად, მომავალმა ექიმმა უნდა იცოდეს, რომ მედიცინა მძიმე დარგია და ეს მუშანური და კეთილშობილი სპეციალობა, შორიდან ასე მიმზიდველი, მომავალში, ცხოვრების მანძილზე, შეიძლება არაერთხელ ვახსენ იმდენი გატყუების და საკუთარ ძალებში და მედიცინის შესაძლებლობებში რწმენის დაკარგვის მიზეზი. ექიმს ხშირად აქვს განცდები. ის ხშირად მძიმე სიტუაციაში ვარდებ, ხშირად უძლიერი ავადმყოფთან, ზოგჯერ ავადმყოფმა შეიძლება მის ხელში დაიღოს სული. უნდა გვახსოვდეს, რომ მოსარჩენი ავადმყოფობების გარდა, არის მსუფლებები, რომლებიც მძიმედ მიმდინარეობს და სიკვდილით მთავრდება.

დაავადებები მეტად რთულია და ყველა ადამიანი მომდინარეობს თავისებურად, განსხვავებულად, ისევე, როგორც ორი ადამიანი განსხვავდება თავისი ხელის ანაბეჭდებით ან, ვთქვათ, სახის ნაკეთობით. ეს განაპირობებდა თვითონ ადამიანის ორგანიზმის მეტად რთული ანატომიური შენები და ადამიანის ბუნების, მისი ფსიქისი და დიდი სიროული. ამდენად, ზოგჯერ არაკეტივები ვარცხელვებულა აზრი, რომ მედიცინა ჩარჩონა სხვა დარგებს თავისი განვითარებით, რომ ადამიანი კოსმოსში ვაფორნება, მთავრეუ დასიონობს და ექიმები კი არტერიულ ჰიპერტენზია ჯერ ვერ მკურნალობენ, არ არის სწორი. ჯერ ერთი, ადამიანის ორგანიზმს თავისი შენების სიროულით ვერ შევადარებთ ვერც ერთ რთულ გამოთვლულ მანქანას ან აპარატს, თუნდაც კოსმოსურს. ისინი შეიძლება შევადგინოთ ყველაზე დიდი, რამდენიმე ასეულ ათას მარტე დეტალისაგან, მაშინ როდესსა მხოლოდ ადამიანის თავის ტვინი შედგება თითხმეტი მილიარდი უჯრედისაგან და თითოეული ეს უჯრედი უაღრესად რთული მიკროკოსკული შენებისაა. ამასთან, თითოეული უჯრედი ფუნქციონირებს სხვა უჯრედისაგან განსხვავებულად, დამოუკიდებლად ან კომბინაციით. დაავადებების მიმდინარეობის სიროული განპირობებულია არა მხოლოდ ადამიანის ორგანიზმის შენების სიროულით, არამედ ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ინდივიდუალური თავისებურებითაც.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის ძალიან დიდი წარმატებები აქვს. მსოფლიო მასშტაბით ლიკვიდირებულია ისეთი სამიზნე ინფექციური დაავადება, როგორცაა ყველი. პრაქტიკულად მოსპობილია შავი ჭირი, მალარია, პოლიომიელიტი და სხვა ეპიდემიური სამიზნე ინფექციები. ადამიანი თითქმის აღარ კვდება ფილტვების კრუპოზული ანთებით, მაშინ როდესაც წარსულში სიკვდილიანობა ამ დაავადების დროს 25 % აღწევდა. მნიშვნელოვან შემცირდა სიკვდილიანობის პროცენტები მიოკარდიუმის ინფარქტის დროს. ექიმები წარმატებით შეერწალობენ რითმის დარღვევას, არტერიულ ჰიპერტენზიას, მკურნალობენ დაბავს და სხვა. წარმატებით იკურნება ზოგიერთი სახის აუთისეპიანი სისმინე. დიდ წარმატებას მიაღწია ქირურგიამ. ხდება თირკმლების, გულის, ღვიძლის და სხვა სასიცოცხლო ორგანოების ეფექტური გადაწერვა, რის შედეგადაც განწირული ადამიანი პროზისუნარაინი ხდება და მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობს. მნიშვნელოვან შემცირდა ახალშობილის სიკვდილიანობა. გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

როგორც უნდა იყოს ექიმის მორალური სახე, რა სპეციფიური თვისებები უნდა ახასიათებდეს მას? მედიცინა დარგია, რომელიც აერთიანებს მეცნიერების, ემპირიზმის, ე.ი. პრაქტიკული ცოდნის - გამოცდილების და ხელოვნების ელემენტებს.

სათანადო ცოდნის გარეშე კარგი ექიმი ვერ ჩამოყალიბდება. ექიმმა ხომ უნდა იცოდეს, რომ მუცლის ტიფისათვის დამახასიათებელია გარკვეული სახის გამონაყარი - რთულია, მიოკარდიუმის ინფარქტისათვის - ტკივილი გულის მიდამოში და სათანადო ეფექტორკარდიოგრაფიული ცვლილებები, თორმეტგოჯა ნაწლავის ნეულისათვის - პერიოდული ტკივილი, დაკავშირებული საკვების მიღებასთან, ლამის ტკივილი, ფილტვების ქრონიკული დაავადებებისათვის - თთების უკანასკნელი ფლანგების ცვლილებები, კრინადეფიციტური ანემიისათვის - ფრჩხილების მტვერვადობა და მაღის გაუკულმარება და სხვა. ამის გარეშე, თეორიული ცოდნის გარეშე, ექიმი წარმოუდგენელია. ამიტომ საჭიროა სტუდენტთა თავიდანვე მიუჩვიოს

სამედიცინო ლიტერატურის სისტემატურ კითხვას, სახლში სალექციო მასალის სახელმძღვანელოებით დამუშავებას. სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს სახელმძღვანელო, სამედიცინო წიგნის, სამედიცინო ჟურნალის კითხვის მოთხოვნა. ექიმის პროფესია ახალგაზრდობის პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს და სწავლის რეგულესი მას უნდა გააკვეთს მთელი ეპიოდის მანძილზე. სასწავლო კი ექიმს ძალიან მთავარი აქვს. საბოლოოდ ცნობილია ათი ათასზე მეტი დაავადება და ათასობით დიდი სინდრომი, რომელთა დიდი რიცხვის ცოდნა ექიმისათვის აუცილებელია. ყველაფერს ექიმი ლექცია-პრაქტიკულად ვერ ისწავლის. ბევრი რამ მან წინაშე უნდა წაიკითხოს, ბევრ რამეს ის კოლეგებისგან ისწავლოს, ბევრსაც ცხოვრება ასწავლის. ამასთან, ექიმს უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლება, იყოს კულტურული, ფილოსოფიური, ენციკლოპედიის კითხვის ცოდნის და ინტერესების დაბავზონი, თვალათხედვის პორიზონტი უნდა სცილდებოდეს მის საციკალიობის ჩარჩოებს. ის ექიმი, რომელიც შემოფარებულია თავისი უშუალო ვიწრო საციკალიობით, უტლდება უზრალი ხელოსანს.

ექიმი შეიძლება მეტად განათლებული იყოს, კარგად დაეუფლოს თეორიული მედიცინის საფუძვლებს, ჰქონდეს ფერო მენალური მესხიერება და დახისომოს ყველაფერი ის, რაც წერილი სამედიცინო ენციკლოპედიის ოცდაათ ტომში და მისი ვიწრო დარგის ნამყვე მონოგრაფიებში, მაგრამ ის კარგი ექიმი ვერ ვახდება, თუ პრაქტიკულად არ დაუფლა სამედიცინო ხელოვნებას. როგორც თეორიულად ვერ ვისწავლით ავტობანქას მართვას, ასევე ვერ დაეუფლებით ექიმობას მხოლოდ თეორიული მოზადების საფუძველზე. ამდენად, საჭიროა პრაქტიკული ცოდნის შექნა, პრაქტიკული ჩვევების ათვისება. პირველ რიგში, სტუდენტმა კარგად უნდა დაეუფლოს ავადმყოფთან საებად და საფუძვლიანად ათვისოს ავადმყოფის ე.წ. ფიზიკური კვლევის მეთოდები - ინსპექცია, პალპაცია, პერკუსია, აუსკულტაცია; ამას სჭირდება სისტემატური ვარჯიში. მაგრამ მარტე პრაქტიკული ჩვევების შექნა ექიმი თეორიული ცოდნის გარეშე დამსკავებსა პროფესიას, რომელაც იცის გემის მართვა, მაგრამ ხედავს ოკეანეში გეოგრაფიული რუკის და კომპასის გარეშე. ამდენად, ექიმისათვის საჭიროა როგორც საფუძვლიანი თეორიული მოზადება, ასევე კარგი პრაქტიკული ჩვევების შექნა და გამოცდილება. მედიცინა ცოდნის რთული და მძიმე დარგია და მისი შესწავლა მთლიანი მოცულობით ფაქტობრივად შეუძლებელია.

ამასთან, ექიმი ფასდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნის ჯაბით, მისი პრაქტიკული ჩვევებით, არამედ უნარი, თუ როგორ იყვებოს ის ამ ცოდნის კრეტკულ სიტუაციებში, როგორ უკავშირებს ის ფაქტებს ერთიმორეს, როგორ ამჩნევს და გამოყოფს მთელი რიგის ამოცანებს, მისი ორიენტაციის უნარი ნებისმიერ სიტუაციებში. ექიმი მოაზროვნე უნდა იყოს. პიპოკრატის თქმით, მოაზროვნე ექიმი (ექიმი ფილოსოფოსი) ღმერთის ტოლია.

სტუდენტთა თავიდანვე უნდა მიეჩვიოს ავადმყოფის გამოკვლევას გარკვეული სისტემით და პირველად, სანამ დახლოვდება, სასურველია, ავადმყოფი გამოიკვლიოს კონკრეტული სქემით. ეს სტუდენტს და ახალგაზრდა ექიმს გამოუმუშავებს სათანადო ჩვევებს, პირველ რიგში კი დაკვირვებლობას, რაც აუცილებელია ექიმისათვის: მომავალში ექიმს გამოუმუშავდება საკუთარი მიდგომა ავადმყოფთან, მაგრამ სტუდენტობის პერიოდში და ექიმობის დასაწყისში აუცილებელია ავადმყოფის სისტემატური და დეტალური გამოკვლევა. ეს საჭიროა იმის

თვის, რომ არ მიეჭრით ავადმყოფის ზერელე შესწავლას. ზერელე მიდგომა ავადმყოფის გამოკვლევის მიმართ ექიმს შეიძლება მომავალში გააკვივოს და ამის მიზეზით მან ხშირად დაუშვას შეცდომა.

ამდენად, დაკვირვებულობის შექმნა ბევრადაა დამოკიდებული კარგი პრაქტიკული ჩვეების დაუღლებადზე.

კარგი ექიმი ვერ ჩამოაყალიბდება, თუკი ის იქნება გულგრილი ავადმყოფის მიმართ. ექიმის პროფესია ვერ ითმენს გულგრილობას. ექიმი ავადმყოფის მიმართ ყოველთვის გარკვეული გულთბილი გრძობით უნდა იყოს გამჭვალული. ავადმყოფი უმეტეს შემთხვევაში გაჭირვებული ადამიანია, რომელსაც ესა თუ ის სატკიპო აქვს და ექიმისაგან მოითხოვს შევლას. ამ გრძობის გარეშე, გარკვეული სიბოძის გარეშე ექიმი ნამდვილი ექიმი არ იქნება. ავადმყოფი ყოველთვის გრძობას ექიმის სიბოძის. შუა საუკუნეების ცნობილი ექიმი თ.პარაცელსი წერდა, რომ ექიმის ძალა მის გულშია. ის ექიმი არ ვარგა, რომელთან საბურთის შემდეგაც ავადმყოფი უბედეს ვერ გრძობს (ე.ბ.ტეტერევი). ამავე დროს, ავადმყოფს არ უნდა შეეხედით როგორც ბიოლოგიურ ობიექტს, როგორც საექსპერიმენტო ცხოველს, რომელზედაც სამეცნიერო დაკვირვება უნდა ჩატარდეს. მარტალია, მედიცინა მეცნიერებაა და მეცნიერული დაკვირვება ექიმისათვის საჭირო და აუცილებელია იცის, მაგრამ არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ ექიმი, პირველ რიგში, მონოღებულა უმკურნალოს ავადმყოფს და საავადმყოფოში ყველაფერი უპირველესად აქეთ უნდა იყოს მიმართული.

არ ვარგა (მკითხველ უკიდურესობაც. გულთბილი მიდგომა ავადმყოფისადმი არ უნდა გადაიზარდოს ზედმეტ გულჩილობადი და როდესაც ავადმყოფი ექიმს თავის სატკივარს მოახსენებს, ექიმმა ცრემლები არ უნდა გადმოიღვაროს. ასეთ ექიმს ავადმყოფი კრიტიკულად შეხედდა. რატომ არის, რომ ექიმი თავის თავს, ან ოჯახის წევრებს არ უმკურნალობს და სხვა ექიმს ეხასის? ჯერ კიდევ დიდ რუსთაველს უთქვამს:

არა აქიმი დასწულდეს, რაზომ გინდა საქებარი,  
მან სხვა უბნოს მკურნალი და მჯავსისა შემტყვევარი,  
მის უბნოს, რაცა სჭირდეს სენი, ცვეცხლთა მომდებარი:  
სხვისა სხვამან უკეთ იციხ სასარგებლო საუბარი”.

კიდევ რა თავისებური სპეციფიკური ჩვევები უნდა ჰქონდეს ექიმს? მთავარი მათ შორის უნდა იყოს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობა, სიყვარული თავისი პროფესიისადმი, მზნობა, გაბედულება, სულიერი სიმტკიცე, დიდი თავდაჭერა. შუა საუკუნეების ცნობილი ექიმი ავიცენა ამბობდა, რომ ექიმს უნდა ჰქონდეს შევარდენის თვალის (ე.ი. ის უნდა იყოს ძალიან დაკვირვებულად), ლომის გული (ის უნდა იყოს გამძვადვი), გველის სიბრძნე (გველი ძველთაგანვე საბრძნის სიმბოლოდ იყო მიჩნეული) და ქალბოლის ხელება (ლამაარაკია გულთბილ განწყობაზე ავადმყოფის მიმართ).

ექიმს არ აქვს უფლება იყოს უპასუხისმგებლო, რადგანაც მას ენდება ყველაზე ძვირფასი - ესაა ადამიანის ჯანმრთელობა. ექიმისათვის ავადმყოფის ინტერესები უნდა იდგეს ყველაზე მაღლა. ექიმს ხშირად უხდება მძიმე ავადმყოფთან ყოფნა, ღამის თვეა, აქვს სიმძიმე განცდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დადებულა შეცდომა დაავადების ამოცნობასა და მკურნალობაში. მისთვის დაუშვებელია მძიმე ავადმყოფის მიმართ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, მიზეზის პოვნა, რომ „მოიცილოს“ ავადმყოფი, გადასცეს ის კუინო სახეილიისტს”.

არსებობს აზრი, რომ კარგ ექიმს აქვს განსაკუთრებული საექიმი ალო, საექიმი ინტუიცია, ე.წ. მე-6 გრძობა, რომ კარგი ექიმი იბადება. ეს არ არის სწორი. ექიმად არავის იბადება. რასაკვირველია, უზრდელი, ბუნებით უხეში, ტლანგი, უტაქტიკი, უპასუხისმგებლო, უეულტური ადამიანი ვერასოდეს ვერ გახდება კარგი ექიმი. მაგრამ ის, ვინც საუფუქლიანად დაუფლებდა მედიცინის მეცნიერებას, აქვს კარგი მათემატიკული ჩვევები, გამოირჩევა დაკვირვებულობით, ყურადღებოიანი და გულთბილია ადამიანის მიმართ, აქვს ანალიზის და სინთეზის კარგი უნარი, რასაკვირველია, შეიძინოს საექიმი ალო, მე-6 გრძობა. ექიმობა უაქვალად მონოღებაა და ყველა ვერ იქნება ნამდვილი ექიმი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ავადმყოფების დიდი უმრავლესობა ექიმებს, სამედიცინო პერსონალს აეტორიტეტად თვლის. ასევე გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ ავადმყოფებში სტუდენტებიც. სტუდენტები ვალდებულია ეს ავტორიტეტი არ დაკარგოს. მნიშვნელოვანია ექიმის და სტუდენტის გარეგნული ფორმა. ჯერ კიდევ პიპოკრატე ამბობდა, რომ ექიმი კარგად უნდა გამოიყურებოდეს. ზედმეტია, რომ ის იყოს მდიდრულად ჩაცმული, მაგრამ ის უნდა იყოს ჩაცმული სუფთად, კოპნადა. დიდი რუსი მწერალი - პროფესიით ექიმი აჩუხოვი წერს, რომ ექიმი უნდა იყოს ორბეზირიად ნათელი, ზნეობრივად სუფთა და ფიზიკურად ფაჯიზი.

დიდი ტაქტის გამოჩენა საჭირო ავადმყოფთან საუბრისას. ჯერ კიდევ ძველთაგანვეა ცნობილი მედიცინის პრინციპი: „Primum non nosere“ (პირველად ნუ ავენები). სწორად ამბობდნენ ძველი სპარსელი ექიმები, რომ სამი რამით მკურნალობს ექიმი ავადმყოფს - სიტყვით, დანით და მცენარით. უნდა ვიცოდეთ, რომ დღესაც, კოსმოსურ ერაში, ავადმყოფთა დიდი რიცხვი იყურება ფსიქოთერაპიით, ე.ი. სიტყვის საშუალებით. ზოგჯერ საკმარისია ავადმყოფის კლინიკაში მოთავსება, რომ ის გამოჯანმრთელდეს ყოველგვარი დოზაქიმეტიკური ჩარევის გარეშე. ამ შემთხვევაში ექიმის მოვალეობაა მხოლოდ არ ავნოს ავადმყოფს. პიპოკრატე ამბობდა, რომ ავადმყოფის ბუნება მისი ექიმაა, ექიმი კი ემბარება ბუნებას”. დღესაც ავადმყოფი მედიკამენტური და ქირურგიული მკურნალობის პარალელურად ძირითადად ფსიქოთერაპიით მკურნალობენ. ავადმყოფის ვენება კი შეიძლება უხერხულად წარმოქმნილი სიტყვითაც. მაგალითად, რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს შეიძლება აღინიშნოს, რომ ავადმყოფს აქვს ნეფროსისებრი გული, რაც დამახასიათებელია ასეთიკურირ პირებისათვის და წორმის ვარიანტია. ზედმეტად მგრძობიარე ავადმყოფმა შეიძლება წარმოიდგინოს, რომ მისი გული ნეფროსისებრი არის ჩამოკიდებული და შეიძლება „ჩამოინეფოს”. ეს კი შეიძლება გახდეს მისი გულის დაავადების - გულის ნეკროზის მიზეზი. ფიზიოლოგიური ორსულობის დროს ფეხმძიმე ქალს შეიძლება ჰქონდეს ე.წ. შწოლიანი გული, დიაფორეზის ზემოთ დგომის გამო. ამის გამგონე ავადმყოფი შეიძლება თვითონ გახდეს შწოლიარე და სხვა. მსავსის ტერმინები ბევრია. მაგალითად, აგულის გაგანეირება, „კუჭის დანევა“, „კუჭის ფორმის კუჭი“ და სხვა. ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევის დროს იხმარება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა გულის კედლის გასქელება, გათხლებლა, გამორქევა, ძვილის გამრუდება და სხვა.

ექიმის მიზეზით განვითარებულ ავადმყოფობებს იატროგენული (ტერმ. იატროს - ექიმი) დაავადებები ეწოდება. ისინი შეიძლება განვითარდეს არა მხოლოდ უხერხულად წარმოქმნილი სიტყვით, არამედ ნაშლის არასწორად გაკეთებით, ინ-



სტრუმენტული გამოკვლევის არასწორი ტექნიკის, არასწორად ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის ან მანიპულაციის შედეგად და სხვა. იატროგენული დაავადების მავალთა ნარკომანიის განვითარება ნარკოტიკული ნივთიერებების სამკურნალოდ ხანგრძლივად მიღების შედეგად. იატროგენული დაავადების დიდ უმრავლესობა ჩნდება არა ექიმის ბოროტი განზრახვით, არამედ მისი გაუფრთხილებლობის გამო ან სიტუაციიდან გამომდინარე. ძველი წარმოსადგენია ექიმი, რომელსაც სურს ავადმყოფს ზიანი მიუყენოს.

დიდი ტაქტის გამოჩენა საჭირო მომაკვდავ ავადმყოფებთან. მრავალი დაავადება მოურჩენელია. ავადმყოფი შეიძლება უცებ მოკვდეს რამდენიმე წუთში (უცარი სიკვდილი), მაგრამ ავადმყოფთა ნაწილი კვდება თანდათანობით, აგონიაში (ბერძნ. აგონა - ბრძოლა). აგონიის დროს ავადმყოფები თანდათან კარგავენ შეგრძნების უნარს. პირველად იკარგება ყნოსვის, შემდეგ მხედველობის, სმენის და ბოლოს შეხების შეგრძნება. ასეთ ავადმყოფთან სამედიცინო ჟურნალმა რომ ილაპარაკოს მისი მორგები გადაყვანის, სექციის ჩატარების ან დაკრძალვის თაობაზე, დიდი უტაქტობა იქნება, იმიტომ, რომ მომაკვდავი ავადმყოფი, რა მძიმედაც არ უნდა იყოს ის, იმდენი ცხოვრობს და ამ იმედს ჩვენ ნუ დაუკარგავთ. ვოლტერი ამბობდა, „განკურნების იმედი ნახევარი განკურნებაა“. დღევანდელი მედიცინის მიღწევების საფუძველზე ავადმყოფთა ნაწილი გამოწვეული სიკვდილის შედეგად იმყოფება და შეიძლება გამოჯანმრთელდეს კიდევ. ამასთან ერთად, ნუ დავიწყებთ იმას, რომ სიკვდილი ბიოლოგიურად გარდაუვალია და მედიცინა ებრძვის არა სიკვდილს, როგორც ბიოლოგიურ მოვლენას, არამედ ნაადრევ სიკვდილს, სიკვდილს, რომელიც გამოწვეულია ამა თუ იმ დაავადებით.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ მედიცინა შეტად რთული დარგია და ამის გამო ექიმი შეიძლება შეცდომა მოუვიდეს. შეცდომის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ უცდომიანი ექიმი, რასაკვირველია, შეეცდომა მისდის უფრო ხშირად. საზოგადოება არასოდეს არ აპატიებს ექიმს შეცდომას, რადგანაც ექიმი გარკვეულად საზოგადო მოღვაწეა. ამიტომ ექიმები ძველთაგანვე ხდებოდნენ დაცინვის ობიექტები. გაიყვანოთ მოთიერის კომბინები. გასულ საუკუნეში ნაპოვლენი ბონაპარტეს მედიკოს ბროუსესზე ანეგდოტი დაიდოდა, რომ მან ავადმყოფებს მეტი ხისხლად გამოუმუცა (სისხლის გამოშვება იმ დროს მკურნალობის მეთად გაეცვლებოდა მეთოდით), ვიდრე ნაპოვლენმა თავის ჯარისკაცებს ორმოც დიდ და ორას მცირე ომში. დღესაც ექიმები ზოგჯერ დაცინვის ობიექტები არიან პრესის ფურცლებზე და ესტრატეგიები.

შეუცდომელი არაინ არის, თვით მედიცინის კორიფეებიც კი. ი. კასისონის მხივებით, მედიცინა ფოტოგრაფიის კი არ ჰგავს, არამედ ჰგავს ფრწურებს. ექიმი კი, მხატვრის მსგავსად, ზოგჯერ გაიტაცებს ფერი-იდეა, ამაჲ კი შეიძლება გადაახვეწიროს მას სწორი გზიდან და შეცდომაში შეიყვანოს. საკუთარ შეცდომას ყველაზე მეტად თვით ექიმი განიცდის. ავადმყოფის ტანჯვა და მიზნუმეტეს სიკვდილი ყველა ექიმის სულში ღრმა კვალს ტოვებს. რა უნდა იყოს იმაზე ძლიერი განცდა, რასაც ექიმი გრძნობს განწირული ავადმყოფის სანაშობი, იცის, რომ იგი უძურლია შეპყრობის დაავადების პროცესში. მთავარია, ექიმი მას აღიაროს დამკვეთული შეცდომა, რათა შემდგომ ის აღარ განმეორდეს. ასეთ შემთხვევაში, პოპორკატეს თქმისა არ იყოს, შეცდომა ხდება ცოდნის წყარო. ტრაბახი კი ხელს უშლის ექიმის შემდგომ დახლოვებას. ავადმყოფზე უნდა ემიზონდეს ისეთი ექიმის, რომელიც ამბობს,

რომ მან ყველაფერი იცის, რომ ის შეუმცდარია.

ხშირად ავადმყოფები და მისი ახლობლები ექიმისაგან მოითხოვენ იმას, რაც აღმატება მდიდრის განვითარების თანამედროვე დონეს. ყველა დაავადება არ იურჩება. არის დაავადებები, როდესაც სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ მოუხდევად ამისა, ავადმყოფის ახლობლები გათუთველად უჩივიან ექიმს, უსაფუძვლოდ ბრალად სდებენ გულგრილობას, დაუდევრობას.

საზოგადოება და ავადმყოფები ექიმს დიდ პრივილეგიას ანიჭებენ. ექიმი უფლება აქვს გამოაკოთხოს ავადმყოფებს პერსონალური, ინტიმური საკითხები, ისეთი რამ, რასაც სხვა ვერ შეეკითხება. ექიმს უფლება აქვს შეეხოს, ჩაატაროს მანიპულაციები და გამოიკვლიოს სხვა პიროვნების სხეული. ექიმს უფლება აქვს ტანი ვახალდოს სხვა სქესის ადამიანს. მან შეიძლება გაიგოს ისეთი საიდუმლოება, რომელიც არ იცინა ავადმყოფის ოჯახის წევრებმაც კი. ამდენად, საზოგადოებისაგან და ინდივიდისაგან ექიმს ისეთი უფლებები აქვს მინიჭებული, როგორც არაიოს (რ. პალსონი).

ექიმი ვალდებულია დაიცავს საექიმო საიდუმლოება. მან არ უნდა ილაპარაკოს საავადმყოფოს გარეთ ავადმყოფის დიაგნოზზე, მის გამოსავალზე და სხვა. თავისი მუშაობის სპეციფიკის მიხედვით, ექიმს ხშირად უხდება შეხება იმ ავადმყოფის ცხოვრების ინტიმურ მხარეებთან, რომელიც მან ანადმყოფის თვისი პირად, საოჯახო საიდუმლოებას. ყოველ დამუშავებულ უცხო პირებთან ავადმყოფის დიაგნოზზე საუბარი, ცნობების გახმაურება საოპორაციო დარბაზშია და სხვა.

მნიშვნელოვანია კოლეგიალობა და სხვა კოლეგიალში პატივისცემა. გულსატკენია, როდესაც ექიმი აუგად იხსენიებს სხვა ექიმს და აკრიტიკებს მის დაწინაურლებს, მისი მკურნალობის მეთოდს, დაცინვის სხვა ექიმს. ეს სამედიცინო მორალს არ შეეფერება. ჯერ კიდევ ათასი წლის წინ არაბი ექიმი ი. იზრაელი ამბობდა: არასოდეს აძგო „სხვა ექიმი“. პირიქით, თუ კი საჭიროა, ექიმი სხვა ექიმისაგან უნდა იღებდეს რჩევას. კლინიკური მსჯელობა, პირველ რიგში, უნდა იყოს ნაწილად სხვა ექიმისაგან, ოსტატობას ოსტატისაგან სწავლობენ.

გარკვეული მხარდაჭერა ექიმს სჭირდება ავადმყოფისაგან. თუ ავადმყოფს ექიმის არ სურს, მკურნალობა შეიძლება არაუფექტურად წარმართოს. ზოგჯერ აღმოცენდება სიტუაცია, როდესაც ავადმყოფი ცდილობს თვითონ მართოს ექიმი, რაც მისთვის საზიანოდ მთავრდება. მავალითასთვის, გერმანიის ყოფილ კანცლერ ბისმარკს მეტად ახირებული და მძიმე ხასიათი ჰქონდა. მას, არტერიული ჰიპერტენზიის გამო, მკურნალობდნენ ცნობილი გერმანელი, ფრანგი, შვეიცარიელი ექიმები (ლიდენი, ტრაუბე, შარკო და სხვა), მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც საერთო ენა მასთან ევრაივი ვერ გამოჩნდა. ადამო-ბისმარკს, ბისმარკთან მიიყვანეს ექიმი, გვარად შენინგერი. როდესაც შენინგერი შევიდა ბისმარკთან, ამ უკანასკნელმა უხეშად მიმართა მას - მე თქვენთვის არ მცალია, დროზე გამსწავლეთ და მიმრჩანდითო. შენინგერმა უპასუხა, რომ თუ ბისმარკს მასთან საუბარი არ სურს, გუბია უტყუქემი გამოიძახონ. ბისმარკს ამაზე გაეცინა, მათ ისუხურეს, შენინგერი მისი მკურნალი ექიმი გახდა და შემდგომ ის წარმატებით მკურნალობდა ბისმარკს. შენინგერის თქმით, ორმა ექიმმა ყოველთვის ძლიერი უნდა იყოს (ფილოსოსებმა ექიმის და ავადმყოფის ურთიერთობა). თუ ავადმყოფი ექიმის მხარესაა, მეტი შანსია ავადმყოფობის დაძლევის, თუ პირიქით, გამოჯანმრთელების შანსი კლებულობს.

ექიმი ყოველთვის ცეცხლის წინა ხაზზეა ჯარისკაცით და უფრო მეტიც. ჯარისკაცი ომის დროს შეიძლება მოხვედეს წინა ხაზზე და ექიმი კი ყოველთვის არის პირველად აღდგომელი, ის ყოველთვის ებრძვის ავადმყოფობას. ყოველი ახალი შემთხვევა მისთვის აღმოჩენა და სახალაა.

ექიმი იბრძვის მძიმე ფორმებზე, ადამიანის სიცოცხლისათვის და ამ ბრძოლაში გამარჯვება უდიდესი ბედნიერებაა, რომელიც ამაღლებს ექიმს და წარმოადგენს დადებით ემოციების უმეტეს წყაროს. როგორც პროფესორი ვ.ბაბუხაია წერს, სწორედ ეს არის ექიმის „ვარდების ბაღი“, რომელსაც, ალბათ, ბადალი არ მიჰყოფება.

მედიცინაში ბოლო დროს დაინერგა ბევრი ტექნიკური სახალა, რომელიც ეხმარება ექიმს ზუსტი დიაგნოზის დასმებაში. ამის გამო, თანამედროვე ექიმების ნაწილი კარგავს ინდივიდუალურ მიდგომის პრინციპს ავადმყოფთან. ზოგიერთი ექიმი ნაკლებ ჟურადლება აქცევს ავადმყოფთან საუბარს, ფიზიკური კვლევის მეთოდებს, ავადმყოფის ტრადიციულ უშუალო განსინჯვას, რადგანაც ზედმეტად ენდობა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგებს. ამბობენ, რომ ავადმყოფის „მანქანური“ გამოკვლევა უფრო ზუსტია, ვიდრე ტრადიციული კლინიკური. ეს მართალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის უფრო სრულყოფილია. მანქანური დიაგნოსტიკა უნდა შედარებოდეს უფრო ენიდან ლექსის თარგმანს. მანქანა სიტყვა-სიტყვით, მეტად ზუსტად გადათარგმნის ლექსს, მაგრამ ასეთი სიზუსტე ხშირად პოეზიისთვისაა საზიანო. ადამიანმა შეიძლება ასეთი სიზუსტე ვერ გასაზიანოს, მაგრამ ის ლექსის თარგმანში ჩაატყვის თავის კულს, ადამიანურ თვისებებს, რითაც გამოხატავს იმას, რისი თქმაც სურდა პოეტს, რაც მანქანას არ ძალუდა და ვერსაოდეს შეიძლება.

რატომღაც, უძველესი დროიდან მედიცინის ემბლემად ითვლებოდა გველი - ჯანმრთელობის და სიბრძნის სიმბოლო. მაგრამ არსებობს მედიცინის შედარებით ნაკლებად ცნობილი სიმბოლო, რომელიც გამოხატავს საექიმო მოღვაწეობის ინტიმურ არსს. ის დაგვიტოვა ცნობილმა პოლანდიელმა ექიმმა ნიკოლოზ ვან გრულპამ. ეს არის ანთებული სახიფელი - ექიმი „უნაბთებს რა სხვას, თვითონ იწებს“.

### მიოკრატეს ფიცი (V-VI სს. ჩე. ნ-მდე)

ფიციცა აპოლონ-მკურნალსა, ასკლეპიოსსა, ჰიგიასა და პანკრასა და ყველა ღმერთსა და ქალღმერთს, მოწმებუად ვრაცხ რა მათ, რომ კეთილსინდისიურად, ჩემის ძალ-ღონისა და ჩემის მიხვედრობის შესაბამისად აღვასრულო ევემორე აღთქმასა და წერილობითი ვალდებულება: ვინც შემანახავს მკურნალის ხელოვნება, ჩემი მომბუღების თანასწორად მივიჩნიო იგი, ვაუუნანალო მას ჩემი მონაგარი და საქორებისას შევენიო ვასაქირ-ში; მისი შიშამთავალინი ჩემს ძმებად მივილო და ეს ხელოვნება, თუკი ისინი მის დაუფლებას მოისურვებენ, შევასწავლო უსასყიდლოდ და ყოველგვარი პირობის გარეშე; რჩევა-დარჩევანი, ზემორი გაყეულობა და ყოველგვ დანარჩენი მოძღვრებისა, ვამეცნი ჩემსა ძმთ, ძმთ ჩემი მასწავლებლისა და მონაფეხსაც, რომელნიც შემეკულინი არიან ვალდებულებითა და ფიცითა საექიმო კანონისა და კვლობაზე და არავის ვამეცნი სხვას.

ჩემი ძალ-ღონისა და მიხვედრობის შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო განწესება დაუდგინო ავადმყოფს და ავირციო ყოველგვარი ვნების მიყენებას და უსამართლობას. არ მივეც არც ერთ მთხოვნულს მომაცოდინებელი საშუალება და არც ვხა ვასწავლო ასეთი ზრახვის შესრულებისა; ასევე არ მივეც არც ერთ ქალს მუცლის მოსაშული პესარიუმი. სუბტკად და უმნიკელოდ მოვიხმარო ჩემი ცხოვრება და ჩემი ხელოვნება. რომელ სახლშიც შევიდო, მხოლოდ ავადმყოფის სასიკეთოდ შევადო ამ სახლის კარი და არ იყოს ვულსა ჩემსა წინაგანზრახვა, უშმართებულობა და ავი სურვილი, მოთ უმეტეს ზრახვანი სამიჯნობელი ქალთა მიმართ და მრუბობის ნდობა კაცთა მიმართ, არცა ახატთა და არცა მონათა მიმართ.

ოდეს მკურნალობის ვაჟს - ან თუ სხვა დროს - ყური მოეკრა ანდა ვისიზო რაიმე კაცთა ცხოვრებიდან, რაიცა არ უნდა იქნეს გამჟღავნებული, საიდუმლოდ მივიჩნიო და არავის ვაუფულობო იგი.

და მე, ვანუხვალად შემსრულებელსა ფიცისა, ბედნიერება მხვედს ცხოვრებაში და ჩემს ხელოვნებაშიც და მადიდონ კაცთა უკუნითი უკუნისამდე; ხილო უკეთუ დავარღვიო ფიცი ანდა ცრუ აღთქმა დავდო, პირუკუ მომეგოს მე.

## მიოკლა ინტორიული მიმოსილვა

მედიცინა ჩაისახა ადამიანის არსებობის ადრეულ ხანაში. პირველყოფილი ადამიანები ემპირიულად დაუფლნენ ვაკრეკულ მიმეფურ და სამკურნალ რჩევებს.

ადრეული წერილობითი წყაროები (ეგვიპტის პაპირუსები, ლურსმული წარწერები) ვაჰმცნობენ, რომ ძველ ეგვიპტეში, ბაბილონიში და ასურიაში (ძვ.წ. IV-III ათასწლეული) უკვე იყვნებდნენ სამკურნალო მცენარეებს, დანერგილი იყო მკურნალობის ისეთი მეთოდები, როგორიცაა დეტვა, მასაჟი, წელის პროცედურები, საექისრო კუთხა, თავის ქალის ტრეზანაცია, ცნობილი იყო ახალმოდოლთა, ორსულთა, მშობიარეთა მოვლის ნესები და სხვა. ექიმთა მოვალეობა და უფლებები განსაზღვრული იყო კანონმდებლობით. საკმაოდ იყო განვითარებული მედიცინა ძველ ჩინეთსა და ინდოეთში.

მედგომო განვითარება მედიცინაში მოყოლინა ანტიკურ საბერძნეთში. იმდროინდელ სამედიცინო ცოდნას თავი მოუყარა და ვაკრეკულ სიტკემად ჩამოაყალიბა მიოკრატემ (ძვ.წ. 460-377 წწ.), რომელიც „მედიცინის მამად“ ითვლება.

მიოკრატეც ავადმყოფის გამოკვლევისას იყენებდა ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა დათვალიერება, ხელით გასინჯვა, დეკაქუნება, ვულსკერისა და მუცლის ღრუს მოსმენა და სხვა. ჟურადლება აქცევდა გამოსაყოფებს, მათ სუნს, ფერს, შარდის ნაღვს; სათავე დაუდო ავადმყოფობის მიმდინარეობის აღწერას (ავადმყოფობის ისტორიას); შექმნა მოძღვრება დაავადების გამოსავალზე - პროგნოსტიკაზე (ბერძნ. პროგნოზის - წინასწარმეტყველება), რაც ყურდებოდა ავადმყოფის წარსულისა და აწმყვის მდგომარეობის დეტალურ შესწავლას.

მიოკრატესა და მისი მოწაფეების შრომებში საოცარი სიზუსტით არის აღწერილი სხვადასხვა დაავადების მიმდინარეობა, მკურნალობის ნესები, მსჯელობა ეპიდემიების, ეპილეფსიის, ცხელების შესახებ. მიოკრატეც ასწავლიდა, რომ ექიმმა უნდა უშკურნალოს ავადმყოფს, არა ავადმყოფობას, გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური თავისებურებანი და ვარემო ფაქტორების ვაელება. შინაგან ფაქტორებად მიიჩნევა დემეკიდ-



პიოკრატი

რობას, ადამიანის ფიზიკური (კონსტიტუცია) და სულიერი (ტემპერამენტი) თვისებების ერთობლიობას. გამოყო ადამიანის ოთხი ტიპი: სანგვიწური, ქოლერული, ფლეგმატური და მელანქოლიკი. პიოკრატი თვლიდა, რომ აღნიშნული ტიპები გარკვეული დაავადებებისადმი არიან განწყობილი. პიოკრატიმ ჩამოაყალიბა მკურნალობის ძირითადი პრინციპები (არ დაზიანო, სიფთხოვლად გამოიჩინე ნაშლის გამოცვლისას და სხვა). დღემდე ინტერესი იტყობის ტერმინები, როგორცაა პიოკრატიც სახე, პიოკრატიც შუფის ხმა, პიოკრატიც თითები და სხვა. პიოკრატიც ფიცი<sup>1</sup> საექიმო პრაქტიკის მორალური კოდექსია.

მედიცინის შემდგომი წარმეტება დაკავშირებულია გალენუსის (129-201 წ.წ.), რომელი ექიმის სახელთან. ის ანტიკური მედიცინის კლასიკოსად ითვლება.

გალენუსის სამედიცინო ხასიათის თხზულებებში გამოქვეყნებულია ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის, ფარმაკოლოგიის, გინეკოლოგიის და სხვა საკითხები. ის ფართოდ იყენებდა ცდებს ცხოველებზე. გალენუსმა ზუსტად აღწერა ხერხემლის სვეტის, ზურგისა და ხერხემლის სხვა ნაწილების კუნთები, ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილები, გამოყო ძვლების ძირითადი ფორმები და არტერიის სამი შრე, ცდებით დაადგინა ზურგის ტვინის სვეტების ფუნქციური მნიშვნელობა. მან დაასაბუთა, რომ სისხლის ძარღვებში მიედინება სისხლი და არა ჰაერი. აღწერა ნაშლის დამზადების იმ დროისათვის ცნობილი ხერხები (გალენური პრეპარატები). ამავე დროს, გალენუსმა დაამკვიდრა მცდარი შეხედულება, თითქოს ღვიძლი სისხლის მიმოქცევის მთავარი ორგანოა (ამ შეხედულებამ ა.ე. ზალოუსის და უ.პარეის აღმოჩენამდე იარსება).

გალენუსმა შექმნა სამედიცინო და ბიოლოგიური ცოდნის მთელი სისტემა და, შეედომების მიუხედავად, მისმა სამრეცხბო ლიდერმა გალენო იქონია მედიცინის შემდგომ განვითარებაზე. როგორც ექიმი, ის უცილობლად ავტორიტეტად ითვლებოდა მთელ შუა საუკუნეების მანძილზე. იმდენად დიდი იყო გალენუსის ავტორიტეტი, რომ მისი მოძღვრება მუყურვევლ დღემდე იქნა აღიარებული, რის გამოც ის მედიცინის განვითარების შემაჯერებლად მუხრუჭადაც კი იქცა შუა საუკუნეებში.

შუა საუკუნეების ერთ-ერთ უდიდეს ექიმად ითვლება იბნ სინა (ახუ ალი იბნ სინა, აიყენა), რომელიც მოღვაწეობდა ბუხარაში, ზეარაზმსა და სპარსეთში (980-1037 წ.წ.). მისი უნიშვნელოვანესი სამედიცინო თხზულება „სამკურნალო მცენარეულების კანონი“ ლათინურ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა 1437 წ. შილანში. მასში ავტორი ეხება სამკურნალო მცენარეთა თვისებებს, მედიცინის ზოგად თეორიას, ანატომიის, ფიზიოლოგიის, დაგნოსტიკის, ქირურგიის, მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარების, მკურნალობის, პროგნოზიკტიკის საკითხებს და სხვა. დაავადების განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გარემო პირობებს. მან წამოაყენა პიპთიება, რომ გადაამტებ სნეულებებს რაღაც უჩინარი ორგანიზ-

მები ინვეციონ და დაავადებები ჰაერისა და წყლის საშუალებით ვრცელდება. ზუსტად აღწერა მრავალი დაავადება. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიეფენას და კეების რეჟიმს. იბნ სინას ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე შუასაუკუნოვან ევროპაში.

ა.პარაცელსი (1493-1541), აღორძინების პერიოდის ექიმი, იყო ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი. პირველად გამოვიდა გალენუსის და მისი მოძღვრების კრიტიკით, მისი ავტორიტეტის ბრმა აღიარების, სქოლასტიკური მედიცინის წინააღმდეგ. მათ უპირისპირებდა დაკვირვებისა და ცდის მეთოდს. პარაცელსმა შეისწავლა ქიმიური ელემენტებისა და შენაერთების სამკურნალო მოქმედება, ქიმა დაუახლოვა მედიცინას და, ამრიგად, გახდა იატროქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მე-17 საუკუნეში ემპირიულმა მედიცინამ მაღალ განვითარებას მიაღწია ინგლისელი ექიმის თ.სიდნემის მოღვაწეობაში (1624-1689), რომელიც კლინიკური მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი ითვლება. მან მიკველად მოგვანოდა ნოზოლოგიური პრინციპი მედიცინაში, მოგვცა ქუნთარეობის, ქორეის, პოდგარის და სხვა დაავადებების, როგორც ნოზოლოგიური ერთეულების კლინიკური აღწერა, უარყო ბევრი დოგმატური სამედიცინო სისტემა და დაუპირისპირა მათ პრაქტიკული მედი-



ლ.აუენბრუგერი




რ. ლავეიკი

ცინა, დამყარებული პიოკრატიც საექიმო დაკვირვების პრინციპზე (მას ინგლისელ პიოკრატიც უწოდებდნენ), ჩამოაყალიბა მცნება დაავადების მიმდინარეობის ფაზებზე.

შინაგანი მედიცინის პროგრესი ბევრად არის დაკავშირებული ბაზისური სამედიცინო დისციპლინების განვითარებასთან. ა.ე. ზალოუსმა (1514-1564) დეტალურად შეისწავლა ადამიანის ანატომია. უ.პარეიმ (1578-1657) დაადგინა სისხლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრეების არსებობა. დ.მორგანიმ (1682-1771), მ.ბიშამ (1771-1802), რ.ვიროზომმა (1821-1902) საფუძველი ჩაუყარა პათოლოგიურ ანატომიას, რითაც დაადგინეს დაავადებების ლოკალიზაცია და მატერიალური სუბსტრატები. ლ.პასტერმა (1822-1895) დაადგინა გადაამტები სნეულებების მიკრობული ბუნება. აღნიშნული ავტორის შრომები, აგრეთვე ე.კერნოვის (1813-1878) შრომები პათოლოგიურ ფიზიოლოგიაში და ი.პაულოვი (1849-1936) ფიზიოლოგიაში გახდა თერაპიის და სხვა კლინიკური დისციპლინების შემდგომი განვითარების წინაპირობა.

1761 წ. ავსტრიელმა ექიმმა ლ.აუენბრუგერმა (1722-1809) მოგვანოდა პერკუსიის ტექნიკა, რომელიც ფრანგმა თერაპევ-



ს.ბორტნი

ტმა *ჟ.კორიზარმა* (1755-1821) ფართოდ დანერგა კლინიკურ პრაქტიკაში. რ. ლაენგმა (1781-1826) გამოიყენა ავსტრიატაციის მეთოდი და მანვე მოგვანოდა პირველი სტეტოსკოპი. ავსტრიელმა მეცნიერმა *ი.შკოდამ* (1805-1881) მეცნიერული საფუძვლები ჩაუბარა ფიზიკური დიაგნოსტიკის მეთოდებს. მნიშვნელოვან ეტაპად შინაგანი მედიცინის განვითარებაში უნდა ჩავთვალოთ ე.უ.თ. *თერზინის* (1741-1799) მიერ სათითურას პრეპარატების

შემოღება გულის უმცირისობის სამკურნალოდ.

დიაგნოსტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დე გავინს მიერ 1758 წ. თერმომეტრის შემოღება. დ.პეტრანოფიმმა (1861) მოგვანოდა ძირითადი ცვლის გამოკვლევა, ა.კუნსაულმა - ეზოფაგოსკოპია და კუჭის ზონდირება (1867), *ჯ.მკულსონმა* - გასტროსკოპია (1881), დ.პეტრისონმა - სპირობტეოგრაფია (1891). ს.არგაროვიჩ მოგვანოდა სრულყოფილი ხელსაწყო სისხლის არტერიული ნივთის უსისხლო მეთოდით გასაზომად (1896). განსაკუთრებული როლი მინაგან სხეულებათა კლინიკის განვითარებისათვის შეასრულეს *ვ.რენტგენის* მიერ რენტგენოლოგიური კვლევის (1895) და *ე.ვიტაოვენის* მიერ ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის (1903) მეთოდების დანერგვად.

უკანასკნელ პერიოდში შინაგანი მედიცინის და დიაგნოსტიკის პროგრესი ბევრად და კავშირებულა თანამედროვე ფიზიოლოგიის, კომპოზიციის, ბიოფიზიკის, ბიოქიმიკის, რადიომეტრიკის, რადიოზოტოპური, ულტრაბგერითი მეთოდების, კომპიუტერული ტომოგრაფიის დანერგვასთან.

გარკვეული წვლილი შინაგანი მედიცინის განვითარებაში შეიტანეს რუსმა თერაპევტებმა - *მ.შდროვმა*, *გ.ზახარინმა*, *ს.პოტკინმა*, *ა.ოსტროვომმა*, *ე.ობროსოვმა*, *ნ.სტრაქოვსკომ*, *მ.კონჩალოვსკიმ*, *გ.ლანგმა*, *ი.კასირსკიმ*, *ა.მიასნიკოვმა* და სხვა.

რუსული თერაპიული სკოლის მამამთარად ითვლება *მ.შდროვი* (1776-1831), რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. *გ.ზახარინმა* (1829-1897) მაღალ დონეზე აიყვანა ავადმყოფის გამოკვლევა გამოკითხვით და დახვეწა ავადმყოფობის ისტორიის წერა. *ს.პოტკინმა* (1832-1889) ჩამოაყალიბა კლინიკურ-ფიზიოლოგიური მიმართულება და დაასაბუთა ნერვული სისტემის მნიშვნელობა შინაგანი დაავადებების განვითარებაში, გამოთქვა აზრი სიცოცხლის ინვესტიციური ბუნების შესახებ, რის გამოც რუსულენოვან ლიტერატურაში ვირუსულ ეპიდემიურ ჰეპატიტის მისი სახელი პოტკინის დაავადება ეწოდება. *გ.ლანგს* (1875-1948) დიდი დამსახურება აქვს კარდიოლოგიის პრობლემების შესწავლაში. მან შემოიღო „პოლიკარდიოგრაფიის დისტროფიის“ მცნება. მასვე ეკუთვნის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და არტერიული მიგრენების კლასიფიკაცია.

საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მითოლოგიური ეპოსის („თქმულება ამირანზე“ და სხვა) და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებს. საქართველოში პირველყოფილ-თემური და ანტიკური პერიოდის მედიცინის შესახებ გარკვეულ წარმოდგენებს იძლევა ბერძნული მითოლოგია („თქმულება არგონავტიკზე“), ბერძენ და

რომაელ ავტორთა ნაწერებში არსებული ცნობები. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში - „ნამგებიანი მდიდისა შუმანიკისა დედოფლისა“ (V ს. იაკობ ცურბაველი) - მოხსენიებულია საექიმო დახმარების სხვადასხვა საშუალება.

ფეოდალური ხანის საქართველოში ქვეყნის ეკონომიკურმა და კულტურულმა განვითარებამ ხელი შეუწყო მედიცინის აღმავლობას. როგორც საქართველოში (გელათი, იყალთო), ისევე მის გარეთ (პალესტინა, ათონი, პეტრიწონი და სხვა) ჩამოყალიბდა სამედიცინო-კულტურული ცენტრები სააადამიანოვით. შუა საუკუნეებში შეიქმნა უნიკალური სამედიცინო წიგნები ქართულ ენაზე - *ქანანელის „უსწროო კარაბადინი“* (XI ს.), *ზოჯაათოფილის „წიგნი საექიმო“* (XIII ს.), *ზაზა ფანაქერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“* (XV ს.) და დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“ (XVI ს.), რომლებშიც სრულყოფილად არის ასახული შუა საუკუნეების დროინდელი ქართული მედიცინის დინამიკა და მიღწევები.

XIX საუკუნის ქართული მედიცინა მნიშვნელოვნად ჩამორჩა ევროპულს. საქართველოში, ძირითადად კი თბილისში, პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ ეროვნული ექიმები, რომლებმაც სამედიცინო განათლება მიიღეს რუსეთში, ან ევროპაში. მხოლოდ 1918 წელს შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის სამედიცინო ფაკულტეტი გახდა ქართველ ექიმთა



ს.კირსალაძე



ა.ალადაშვილი

აღზრდის ეკრა. 1930 წ. თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რომელსაც ამჟამად სამედიცინო უნივერსიტეტი ეწოდება.

საქართველოში მეცნიერულ თერაპიას საფუძველი ჩაუყარეს *ს.კირსალაძემ* (1868-1930) და *ა.ალადაშვილმა* (1876-1950), რომლებიც 1918 წლიდან განაგებდნენ პირველ თერაპიულ კათედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. *გამოჩენილი ქართველი თერაპევტები იყვნენ აგრეთვე მ.მინამძღვრიშვილი* (1882-1956), *შ.მიქელაძე* (1884-1938), *ნ.ყიფშიძე* (1888-1954), *ნ.მახვილაძე* (1890-1944), *გ.დღეძელიძე* (1898-1954) და სხვა. *ს.კირსალაძემ* განსაკუთრებული წვრთნა და მოქმედა საქართველოში მაღალია განვითარებასა და მასთან ბრძოლას, დააარსა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, ტრიაკული მედიცინის ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს, პირველი ქართული საექიმო ურნალი „ექიმი“.

ა.ალადაშვილმა შეისწავლა ბორჯომის მინერალური წყლის

გავლენა უკუის სერეციაზე. იყო შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკის კათოდის პირველი გამგე. სწავლობდა სამხარეო პათოლოგიის საკითხებს - პელმინოზები, მალარია, ტუბერკულოზი, ფიზიო- და ბალნეოთერაპია.

*შმიქელაძე მუშაობდა მალარიის, კუჭ-ნაწლავის დაავადებათა და ნივთიერებათა ცვლის საკითხებზე. გდიდებულებთან ერთად შეადგინა შინაგან სწეულებათა დიაგნოსტიკის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ავტორია აგრეთვე კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დაავადებების, კლინიკური ანალიზების ორიგინალური სახელმძღვანელოების,*

*ნ.მახვილაძეს, გდიდებულებსთან ერთად, ეკუთვნის პრო-*

რიტეტი ანქილოსტიზმის გავრცელების დადგენაში საქართველოში. მან გამოაქვინა ჩვენში პელაგარის ენდემიური კერები, სწავლობდა პროცელოზის კლინიკას. დააარსა პროფესიული პათოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს.

*მინამძღვრთმეილი მუშაობდა არტერიული ჰიპერტენზიის, გულის ფუნქციური დიაგნოსტიკის საკითხებზე, შემოშავდა არტერიული ჰიპერტენზიის ორიგინალური კლასიფიკაცია და მიაკარდიოდისტროფიის ორიგინალური კონცეფცია. 1946 წ. დააარსა ექსპერიმენტული და კლინიკური კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც პირველი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში.*

## დაავადება

დაავადება, სწეულება, ავადმყოფობა (ლათ. - morbus) - ორგანიზმის შეცვლილი ცხოველმყოფელობაა, რომლის დროსაც აღინიშნება სტრუქტურული და ფუნქციური ძვრები ორგანიზმისა და ქსოვილების შხრივ.

დაავადება შეიძლება განვითარდეს ორგანიზმზე სხვადასხვა ფაქტორის მოქმედების შედეგად - ფიზიკური და ქიმიური ნივთიერების ზემოქმედება, ფსიქიკური ტრავმა, ინფექცია, გენეტიკური დეფექტის არსებობა, მარეგულირებელი მექანიზმების დარღვევა და სხვა.

დაავადება უფრო ხშირად მიმდინარეობს ამა თუ იმ ორგანოს, ან სისტემის უპირატესი დაზიანებით, ამდენად ლაპარაკობენ გულის, ფლტების, ლეიძლის, სისხლის და სხვა დაავადებებზე. მაგრამ არ არსებობს ცალკეული ორგანოების დაავადებები. როდესაც ულაპარაკობთ გულის ან ფლტების დაავადებაზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროს მალაიანი ორგანიზმის დაავადებასთან გვაქვს საქმე. თირკეთის კოხოს დროს დაზიანებული არა მხოლოდ ფარისებრი ჯირკვალი, არამედ ადგილი აქვს ცვლილებებს გულის, ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის მხრივ, მერნიციოზული — ავთვისებიანი ანემიის დროს ცვლილებები ვითარდება არა მხოლოდ სისხლის, არამედ საქსოვლის მომწებლებელი ტრაქტის, ნერვული სისტემის მხრივ და ასე შემდეგ.

როდესაც დაავადება ერთბაშად იწყება და მიმდინარეობს შედარებით ხანმოკლე დროის განმავლობაში, საქმე გვაქვს მწვავე დაავადებასთან. ჩუველმობრივ მწვავე დაავადება მიმდინარეობს რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირის, შესაძლოა რამდენიმე თვის მანძილზე. მწვავე დაავადება შეიძლება დამთავრდეს სრული გამოჯანმრთელებით ან გადავიდეს ქრონიკულ ფორმად. დაავადების განმეორებით აღმოცენების შემთხვევაში გამოჯანმრთელებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ლაპარაკობენ მის რეციდივზე. მწვავე დაავადება ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება. ქრონიკულ დაავადებაზე ულაპარაკობთ, თუკი დაავადება მიმდინარეობს თვეების და წლების მანძილზე. ქრონიკული დაავადების მიმდინარეობაში შეიძლება გააჩნდეს ნათელი პერიოდები - რემისიები და პერიოდული გამწვავებები, როდესაც მისი სიმპტომების განმეორებითი გამოვლინება - მანიფესტირება ხდება.

დაავადების მიმდინარეობაში განარჩევენ შემდეგ პერიოდებს: ფარულ, ანუ ლატენტიურ პერიოდს - ეს არის დრო დაავადების გამომწვევის მოქმედებიდან ორგანიზმზე მისი პირველი ნიშნების გამოვლინებამდე. ინფექციური დაავადებების შემთხვევაში ლაპარაკობენ ინკუბაციურ პერიოდზე. პროდრო-

ული პერიოდი - ეს არის დრო დაავადების პირველი ნიშნების გამოვლინებიდან მის სრულ მანიფესტირებამდე. ამ პერიოდში დაავადების გამოვლინებები შეიძლება არ იყოს ტიპური და მისი ნიშნები არამკაფიოა. განვითარების (გამოსატყულობის) პერიოდი აქმე (ბერძნ. - მწვერვალი) ხასიათდება დაავადების მაქსიმალური გამოვლინებით. გამოჯანმრთელების, ან რეკონვალესცენციის პერიოდი შეიძლება მიმდინარეობდეს სწრაფად (კრიზისი) ან თანდათანობით. გამოჯანმრთელება შეიძლება იყოს სრული ან არასრული, ნარჩენი მოვლენებით და მყარი ცვლილებებით სხვადასხვა ორგანოში.

დაავადების მიმდინარეობისას შეიძლება განვითარდეს გართულება, რომლის დროსაც ადგილი აქვს ახალი დაზიანების აღმოცენებას. მაგალითად, თირკმელების მწვავე ანთების დროს შეიძლება განვითარდეს გართულება - გონების დაზიანება, კიბინიზები, რასაც ეკლამპსური ურემიის ვუნდობა; არტერიული ჰიპერტენზიის დროს შეიძლება განვითარდეს გართულება თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის სახით და სხვა. ზოგიერთ პირს, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში, შეიძლება პოინდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე დაავადება. მაგალითად, არტერიული ჰიპერტენზიის დროს ავადმყოფს შეიძლება პოინდეს შაქრობი დაიბუტ, ბრონქული ასთმით დაავადებულს აღენიშნებოდეს ქრონიკული ვასტრიტი - კუჭის ქრონიკული ანთება და სხვა. რამდენიმე დაავადების ქრონიკულად მიმდინარეობისას, უფრო მძიმე და სერიოზული დაავადებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვას სიცოცხლისათვის საშიში გართულება, რომლის დროსაც ყველაზე მეტხად არის გამოხატული ანატომიური და ფუნქციური ცვლილებები ორგანოების შხრივ, ეწოდება ძირითად დაავადება. სხვა დაავადებები ამ შემთხვევაში თანმდებობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაავადების ამოცნობისას, გამოდინარე დაავადებების კლასიფიკაციიდან, ჩვენ ვაკლავობთ ძირითად დაავადებას, მის გართულებას და თანმდებ დაავადებას.

დაავადებაზე სრული წარმოდგენისათვის და მისი ამოცნობისათვის მნიშვნელოვანია მისი გამომწვევი მიზეზის - ეტიოლოგიის, განვითარების მექანიზმის - პათოგენეზის, კლინიკური გამოვლინების - სიმპტომატიკის, გამოსავლის - პროგნოზის ცოდნა. სიტყვა კლინიკას (ბერძნ. კლინე - საწლი) რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. კლინიკის სახელწოდებით ამა თუ იმ დაავადების სიმპტომატიკას, მის მიმდინარეობას ახასიათებენ. მაგ., ამბობენ, რომ ამა თუ იმ დაავადების კლინიკა მძიმეა, ტიპურია და სხვა. ამის გარდა, კლინიკა სტაციონარული სამკურნალო დანესებულება, სადაც ავადმყოფების მკურნალობის პა-

რადიკურად ნარმოებს სასწავლო პროცესი და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა. სიტყვა კლინიკას აიგივებენ აგრეთვე კლინიკური პროფილის კათედრისთან (კლინიკური საავადმყოფო) და ამ დროს კლინიკის წევრებს გულისხმობენ არა მხოლოდ კათედრის, არამედ საბაზო განყოფილების თანამშრომლებსაც. ზოგიერთი უცხოელი ავტორი (მ.დელი და რ.მენინგი) ასხვავებს დაავადების (disease - ინგლ.) და სნეულების, ავადმყოფობის (illness - ინგლ.) ცნებას ერთიმეორისაგან. მათი აზრით, პათოლოგიაში სწავლობენ დაავადებას; კლინიკაში საქმე ვეკავს სნეულებასთან. ამდენად, დაავადება არსებობს როგორც პათოლოგია. ეს არის თეორიული ცნება. მაგალითად, ტუბერკულოზი მრავალზნობივად არის აღწერილი ბაზილური მენინგოენცეფალის მიერ, მისი გამომწვევის თვისებით, პათოლოგიური ცვლილებები ქსოვილებში და სხვა. საჭირო და აუცილებელი

ბუცი არის ტუბერკულოზის შესწავლა აღნიშნულ ჭრილში. მაგრამ ტუბერკულოზი - ავადმყოფობა სხვა არის. ეს არის სუბიექტური და ობიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ცალკეული პაციენტის პასუხს ტუბერკულოზური ბაცილებით ინფექციას. ტუბერკულოზი არის ავადმყოფობა, ავადმყოფის რეაქცია, არა მხოლოდ ქსოვილოვანი რეაქცია. ყოველი ასეთი სნეულება უნიკალური შემთხვევაა. ეს არის დაავადების კლასიკური შემთხვევა ინდივიდუმი, მისი რეაქციებით და გადახრებით. ის ვითარდება კონკრეტულ ინდივიდში დროის გარკვეულ პერიოდში და არასდროს ვგვხვდება განმეორებით იგივე სახით. ამდენად, ავტორების აზრით, დაავადება არის აბსტრაქცია; ავადმყოფობა, სნეულება - ცხოვრება. იდეალურად, ექიმი უნდა ფიქრობდეს დაავადებაზე და სნეულებაზე ერთობლიობაში.

### ლიბგნოსტიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაავადებთა არის სწავლება დაავადების ამოცნობის შესახებ. დაავადების ამოცნობა დამყარებულია ავადმყოფის გამოკვლევაზე და დაავადების ნიშნების, ან სიმპტომების და მათი ერთობლიობის - სინდრომების შესწავლაზე. ავადმყოფის დიაგნოსტიკური შესწავლის შედეგია დაავადების ამოცნობა და დაავადების ჩამოყალიბება.

უნდა ვგახსოვდეს, რომ ერთი და იგივე დაავადება სხვადასხვა პიროვნებაში მიმდინარეობს განსხვავებულად, რაც განპირობებულია დაავადებულ ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებებით. ამრიგად, ექიმის ამოცანაა არა მხოლოდ დაავადების ამოცნობა, არამედ დაავადებაზე ავადმყოფის თავისებური რეაქციის გამოვლენაც, რასაც ავადმყოფის დაავადების ეწოდება. ამდენად, არჩევნ დაავადების დიაგნოზის (diagnosis morbi) - დაავადების აღნიშვნას მიღებული კლასიფიკაციით და ავადმყოფის დიაგნოზის (diagnosis aegroti) - დაავადების მიმდინარეობას ავადმყოფში, მისი ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების დადგენას.

ავადმყოფის ამოცნობის პროცესი ძირითადად ორი ელემენტისაგან შედგება: 1. ავადმყოფის გამოკვლევა დაავადებისტიკური ნიშნების გამოყენებით (ანაზნების შეგარევა, ავადმყოფის ფიზიკური, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევა და სხვა) და ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაავადების სიმპტომების მიღება და 2. მიღებული სიმპტომების სინთეზის, სინდრომების ჩამოყალიბების, მათი სწორი ინტერპრეტაციის - გაზრუნვის და დისკუსიის გამოტარების საფუძველზე დაავადების ამოცნობა, დაავადების ჩამოყალიბება. ამდენად, პირველია ფაქტების შეგარევა და მეორე - ფაქტების ანალიზი და სინთეზი.

ექიმის თავისი პრაქტიკული მოვალეობების დაავადების დიაგნოსტიკაში მიმართავს სხვადასხვა ხერხს, რომ ჩამოყალიბდეს დასვენა დაავადების ხასიათზე (დაავადების მეთოდიკა). ყველაზე ელემენტარული და მარტივი მეთოდი დიაგნოზის ჩამოყალიბებას არის დაავადების ამოცნობა პირდაპირი მეთოდით - „მსგავსების“, ანალიზის მიხედვით. მეთოდის არსი დამყარებულია იმ სიმპტომების შედარებაზე, რომლებიც მიიღებიან ავადმყოფის გამოკვლევისას, იმ სიმპტომებთან, რომლებიც ვგვხვდება გარკვეული დაავადების დროს. მიღებული სიმპტომები ეთიხვევა იმ სიმპტომებს, რომლებიც აღწერილია სახელმძღვანელოებში და დამახასიათებელია აღნიშნული დაავადების კლასიკური ფორმებისათვის. ამასთან, ექიმი უნახავს

მსგავსი სიმპტომები მრავალჯერ მოცემული დაავადების დროს და ა.შ. თუკი სახეზეა სიმპტომების თანხვედრა, შეიძლება დავასკენათ, რომ ავადმყოფს აქვს აღნიშნული დაავადება.

მოყოფიანთ „მსგავსების“ მიხედვით დაავადების ამოცნობის რამდენიმე მაგალითი.

თუკი ავადმყოფს, რომელსაც ბოლო დროს უკონდა ხშირი სტენოკარდიული მოვლენები, აღვნიშნავთ ძლიერი შეტევით, მოჭერილი ხასიათის ტკივილი მკერდის ძელის უკან, რომელიც გადაეცემა მარცხენა მხარში და ხელის ყოველზე, აღვნიშნება მიოკარდიუმის ინფარტის მწვავე პერიოდისათვის დამახასიათებელი ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები და სხვ. მდგომარეობის რიცხვის და ფერმენტების აქტივობის მატება, ექიმმა შეიძლება „მსგავსების“ მიხედვით დასავსა მიოკარდიუმის ინფარტის დიაგნოზი.

თუკი ავადმყოფს დაავადება დაწყებული უცნაურ შემთხვევებით, აქვს ხევაა ფანჯისფერი ნახეკლით, ტკივილი გვერდში, მუდმივი ტიპის ცხელება, პურსკითხით აღვნიშნება მოყრებზე, აუსკულტაციით კი - ბრძანებული სუნთქვა ან კრეპიტაცია, რენტგენოლოგიურად დაწარღვა ფილტვის მთელი ნილის მიდამოში, შეიძლება „მსგავსების“ მიხედვით დასავსა ფილტვების ნილოვანი, ანუ კრუპოზული ანთების დიაგნოზი.

თუკი ავადმყოფს აქვს მაღალი, ტემპული ტემპერატურა, ძლიერი ოფლიანობა, სახსრების ანთება, მაღალი ტემპერატურის ფონზე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რიტმის სერიოზოზური რეაქცია დადებითი 1:800, სილიოდან ამოითვის ბრუცელის კულტურა, „მსგავსების“ მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დასვენა ბრუცელის დიაგნოზი.

რასაკვირველია, როდესაც ვიყენებთ დიაგნოსტიკების აღნიშნულ მიდგომას, აუცილებელია, რომ სახეზე გვექნოდეს არა ერთი რომელიმე სიმპტომის მსგავსება, არამედ მრავალი ნიშნის და არ იყოს მნიშვნელოვანი ნინააღმდეგობა სხვა სიმპტომებთან, რომელიც აღვნიშნავთ ავადმყოფს და არ თანხვდება ამოსაცნობი დაავადების „კლასიკურ“ სურათს.

„მსგავსების“ მიხედვით დიაგნოზის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვან აქვს დადებითი მონაცემები. აღნიშნული მეთოდის ვიანტებია ე.წ. ინტერსუბიექტიური მეთოდი და დასაბუთებულია დიაგნოზი. დიაგნოსტიკა „მსგავსების“ მიხედვით გამოისყენებულია ძირითადად ტიპურად მიმდინარე, მარტივი, გაურთულებული შემთხვევების ამოსაცნობაზე, რადგანაც ის დამყარებულია სავარაუდო

უღო დაავადებასა და არსებულ დაავადებას შორის მსგავსი ნიშნების არსებობაზე.

აღნიშნული მეთოდით ხშირად ისმება დიაგნოზი ინფექციური სნეულობების დროს, რომელთა დიაგნოსტიკაში გადაწყვეტია, კლინიკური გამოვლინებების გარდა, ეტიოლოგიური ფაქტორის დადგენა და დამდებითი სეროლოგიური რეაქციების არსებობა.

იმის გამო, რომ დაავადებები ხშირად მიმდინარეობს გარეთულტებით, ატიპურად, ამავე დროს მრავალი დაავადება შეიძლება ხასიათდებოდეს მსგავსი სიმპტომებით, შეიძლება ერთი დაავადების გარდა ადგილი ჰქონდეს რამდენიმე დაავადების ერთდროულად მიმდინარეობას, დიაგნოსტიკის მეთოდი ანალოგიური უყოფლობის არ იყავს ექიმს შეცდომისაგან.

მიოკარდიუმის ინფარქტი შეიძლება მიმდინარეობდეს ტკივილის და დამახასიათებელი ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებების გარეშე. ამასთან, მიოკარდიუმის ინფარქტსათვის დამახასიათებელი ტკივილი და ზოგჯერ მსგავსი ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები შეიძლება აღმოცენდეს სხვა დაავადებების დროსაც (მაგალითად ფილტვის ინფარქტის შემთხვევაში). სეროლოგიური რეაქციები, დამახასიათებელი ერთი დაავადებისათვის, შეიძლება დადებითი იყოს მეორე დაავადების დროს (მაგ. ეასერმანის სეროლოგიური რეაქცია, დამახასიათებელი ანთაზანისთვის შეიძლება დადებითი იყოს სისტემური წითელი მგურჯას, ინფექციური ენოკარდიტის დროს). სისხლიდან შეიძლება ამოითვისოს პათოლოგიური მიკროორგანიზმი, მაგრამ ავადმყოფს არ აღინიშნებოდეს დაავადების არავითარი ნიშნები და ის იყოს მხოლოდ ბაცილემარტებით და სხვა.

ამდნადა, რთული, ატიპურად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში, აგრეთვე დიაგნოზის მეტი სარწმუნოებისათვის, პრაქტიკულად ფართოდ მიმართავენ ე.წ. დიფერენციული დიაგნოსტიკის მეთოდს, რომლიც დამყარებულია ყველა სხვა საცარჯოდო დაავადებების შესაძლო არსებობის გამოირცხვავე და რომლის კომპონენტია დიაგნოზი გამორიცხებით (per exclusionis - ლათინ).

ჩვეულებრივ, დიფერენციული დიაგნოზის დროს, დიაგნოსტიკური ძიება იწყება ნაწყვენი სიმპტომიდან ან უმჯობესია სიმპტომიდან. ავადმყოფის გამოკვლევის და დაავადების სიმპტომების ძიების შემდეგ ჩერდებიან არ ერთ რომელიმე დაავადებაზე, არამედ იმ დაავადებების ჯგუფზე, რომლებიც მსგავსი სიმპტომებით ხასიათდებიან. უნდა შედარდეს ეს დაავადებები და ეტაპობრივად გამოირიცხოს ისინი, რომლებიც ნაკლებად ემთხვევიან თავიანთი სიმპტომებით საძიებლს და ბოლოს ჩერდებიან იმ დაავადებაზე, რომელიც თავისი კლინიკური და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული მონაცემებით ყველაზე მეტად მიესადაგება რეალურს. ნაწყვენი სიმპტომით არ უნდა იყოს ზოგადი (მაგ., ცხელება, ოფლიანობა და ა.შ.). რაც უფრო სპეციფიკურია სიმპტომი, მით უფრო ნაკლებია სადიფერენციაციო დაავადებათა წრე. იმისათვის, რომ უკუვაგდოთ ყველა სხვა დაავადება, რომელზეც შეიძლება გვეფიქროს არსებული ნიშნების ანალიზისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ სიმპტომების მსგავსება, არამედ აუბულო ავადმყოფი რომი სიმპტომების არარსებობაც, რომლებიც უნდა ყოფილიყო ან შემთხვევაში. სიმპტომების არარსებობა ჯერ კიდევ არ გამოირცხავს დაავადებას (მაგ., პნემონიის დროს შეიძლება არ აღინიშნებოდეს ტემპერატურის მატება, მიოკარდიუმის ინფარქტის დროს - ტკივილი გულის მიდამოში, თირკმელების დიფუზური დაავადებების დროს - პროტინურია და სხვა). ამდნადა, როგორც ჰველინი მითითებს, დიფერენციული დიაგნოსტიკური მსჯელობის დროს უფრო მეტი მნიშვნე-

ლობა უნდა მიეცეს დადებით ნიშნებს. დადებითი ნიშნების როლი დიფერენციულ დიაგნოსტიკაში მუდმივად მატულობს გამოკვლევის უახლოესი მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით (ანგიოგრაფია, რადიონიზოტოპური, ულტრაბგერითი მეთოდები, კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვა).

საბოლოოდ, ყველა მეთოდის გამოყენებისას დიაგნოსტიკური პროცესი უნდა დაიწყოს მიღებული ფაქტების განხილვით და მათი ობიექტური ანალიზით, რომელიც მთავრდება ლოგიკური დასკვნით. ამდნადა, ყველა დიაგნოსტიკური მეთოდი, მათ შორის დიაგნოსტიკა „სისხავებით“, დიფერენციული დიაგნოზის, რადგანაც ყველა შემთხვევაში ექიმს უხდება ცალკეული სიმპტომის შეფასება, აზონ-დანონა, დიფერენცირება. დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანია აგრეთვე ავადმყოფთან ნორმალური კონტაქტის დამყარება, რაც კარგი ანამნეზის მეგროვების წინააღობაა. გარკვეულ მნიშვნელობა დიაგნოსტიკის დროს აქვს პირველ მთავებულობას, ავადმყოფის პირველ მსხვეფს. მაგრამ, ამავე დროს, ის საშიშია, რადგანაც უფიქრება შეგუცდნობის ყველა შემთხვევაში დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანია საფუძვლადი თეორიული ცოდნა, პირადი გამოცდილება და საექიმო ინტუიცია.

დიაგნოსტიკური ძიება შეიძლება დამყარებული იყოს დაავადების ეტიოლოგიაზე, მის პათოგენეზზე, ანატომიურ და ფუნქციურ ძერგზე, რომლებიც ვითარდება ამ დროს.

კარგია თუკი ცნობილია დაავადების ეტიოლოგია და გვაქვს საშუალება დაავადებით დაავადების გამომწვევი მიზეზი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია წარმატებით წარვმართოთ არა მხოლოდ მკურნალობა, არამედ რეაქურად ვიმუჯელოთ დაავადების გამოსწავლაზე - პროგნოზზე.

ხშირად დაავადების გამომწვევი მიზეზი არ არის ცნობილი, ამიტომ დაავადების დიაგნოზი შეიძლება დამყარებული იყოს მის პათოგენეზზე მექანიზმებზე, მის საბოლოოდო ფორმის მოიყვანით არტიკული პათოგენეზის სხვადასხვა უბოძის დიფერენციული დიაგნოზი, დამყარებული პათოგენეზურ მექანიზმებზე (რენინის აქტივობა, კათეფილაზიმების პიქერპროცეცია და სხვა).

ზოგ შემთხვევაში ჩვენი დიაგნოზი ვერ ვყრდნობა დაავადების ვერც ეტიოლოგიას და ვერც პათოგენეზს, რადგანაც ისინი არ არის ცნობილი. ასეთ შემთხვევაში დიაგნოზის არსებობა ის მორფოლოგიური ცვლილებები, რომლებიც ვითარდება ამა თუ იმ დაავადების დროს. მაგალითისათვის შეიძლება მოიყვანოთ უქუასა და თირმისებრიჯან ნაწილთა ეპიტელური წყლილი და დიდი ჯგუფი სიმსენებების, რომელთა დროს ვითარდება ინფერული კლინიკური, ლაბორატორიული და პათოლოგანატომიური ცვლილებები.

ზოგჯერ დიაგნოზი ვერ ვყრდნობა დაავადების ვერც ეტიოლოგიურ, ვერც პათოგენეზურ და ვერც ანატომიურ საფუძვლებს და დამყარებულია მხოლოდ იმ ფუნქციურ ძერგებზე, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ანამნეზიდან და ავადმყოფზე ხანგრძლივი დაკვირვებით დადგინდეს, რისი მავალითაცა ბევრი ნერვული და ფსიქიკური დაავადება.

როგორც აღვნიშნეთ, მინაგანი მსგავსებების დიაგნოსტიკა ძირითადად ეყრდნობა დაავადების-სიმპტომებს, ანუ ნიშნებს და მათ ერთობლიობას - სინდრომებს.

არჩევნ სუბიექტურ და ობიექტურ სიმპტომებს. ის, რასაც ჩვენ ვაღდენთ ავადმყოფის ან მისი ახლობლის გამოკითხვისას (უძილობა, თავის ტკივილი, ოფლიანობა, შეკრულობა, კანის ქავილი და სხვა), არის სუბიექტური სიმპტომები. რასაც ჩვენ დაავადებით ავადმყოფის გამოკვლევის ფიზიკური, ლაბორატორი-

ული, ინსტრუმენტული და სხვა ობიექტური მეთოდების გამოყენებით (სიციფოზი, მუშუბა, სისხლი ლეიკოციტების რიცხვის მატაბა, მარბდი ცილის არსებობა, რენტგენოლოგიურად გულის საზღვრების გადღება და სხვა), არის ობიექტური სიმპტომები. ინგლისურენოვან სამედიცინო ლიტერატურაში სიმპტომებს უწოდებენ მხოლოდ დადავლების სუბიექტურ გამოვლინებებს (SYMPTOMS), ხოლო ობიექტური გამოვლინებები კი აღინიშნება როგორც დადავლების ნიშნები (SIGNS).

სიმპტომები არის ზოგადი, რომლებიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ყველა სისტემის და ორგანოს დადავლებისათვის (საერთო სისუსტე, უძილობა, ტემპერატურის მომატება, ოფლიანობა, წინაში დაკლება და სხვა) და კერძო, რომლებიც გვხვდება ამა თუ იმ სისტემის დადავებისას (მაგ., სასუნთქი სისტემის პათოლოგიისათვის დამახასიათებელია ხელა, ნახველის არსებობა, ქოშინი, ტკივილი გულ-კერძო და სხვა, გულ-სისხლძარღვოთა სისტემის პათოლოგიისათვის - ტკივილი გულის მიდამოზე, ქვედა კიდურების მუშუბა, ქოშინი, გულის ფრიალი და სხვა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დადავლებისათვის - გულის რეკა, ღებინება, ბოყინი, გულმძარვა, ტკივილი ეპიგასტრუმში, შეკრულობა, უკუის აშლა და სხვა). ზოგიერთი კერძო სიმპტომი შეიძლება შევხვდეთ რამდენიმე სისტემის პათოლოგიის დროს (მაგ., ქოშინი შეიძლება პქონდეს ავადმყოფს ფილტვების, გულის, სისხლის დადავლების დროს და სხვა). სიმპტომები შეიძლება იყოს პათოგნომური და არაპათოგნომური. არაპათოგნომურია სიმპტომების უმრავლესობა, მათი მიზეზით დაავადების ამოცნობა არ ხერხდება, თუ ისინი არ დაავადებული სინდრომებდ. პათოგნომური (სპეციფიკური) სიმპტომების მიზეზით ჩვენ შეიძლება ვიძსჯელოთ კონკრეტულ დაავადებაზე და მათ მეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვთ (მაგ., სისხლში შაქრის მაღალი მაჩვენებელი შაქრიანი დიაბეტიკისათვის, დასტურებული შული მიტრალური სტენოზისთვის, მაღარის პარაზიტების ნახვა სისხლის ნაცხში ცხლებებით მიმდინარე დაავადების დროს მალარიისათვის, მაგარი შაქრის გაჩენა ასოზე ათამანგის შემთხვევაში, კოპლიის ლაქები ნითელას დროს და სხვა). ისინი შედარებით უფრო იშვიათია, მაგრამ მათი დიაგნოსტიკური ღირებულება მაღალია.

დაავადების დროს აღინიშნება, ერთის შხრივ, პათოლოგიური ცვლილებები ორგანოებსა და ქსოვილების შხრივ, ამავე დროს ადგილი აქვს სიმპტომების განვითარებას, რომლებიც კომპენსაციური, დაცვითი ხასიათისაა. ექიმის ერთ-ერთი ამოცანაა, დაავადების დიაგნოზის დასმისას ამოიცნოს და განასხვავოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში რომელი სიმპტომია პათოლოგიური და რომელია კომპენსაციური, შევუბნობი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მკურნალობისათვის. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყებდ, რომ ე.წ. რემიანსაციური, ფიზიოლოგიური სიმპტომები არც ისე იშვიათად შეიძლება ვადიარადროშ პათოლოგიურში. მაგალითისათვის, გულის მუშაობის დასუსტების დროს სისხლში მატულის კათექოლამინების (ადრენალინი, ნორადრენალინი) რაოდენობა, რაც მიმართულია პერტრული ნნების და დარღვეული სისხლის მიმოქცევის ნორმალიზაციისათვის. მაგრამ კათექოლამინების ჭარბი დაგროვება ინტენსიური ცემის მკვეთრ აჩქარებას, არტერიულ ჰიპერტენზიას, გულის რითმის დარღვევას და სხვა. გულის უკუთის პიპერტროფია შექნილი მანკის დროს დასაწყისში კომპენსაციური ხასიათისაა და მიმართულია გულის კუმბეადობის გასაძლიერებლად, მაგრამ შემდგომში ის შეიძლება გახდეს გულის უკარარობის მიზეზი.

ზოგიერთი თითქოსდა პათოლოგიური სიმპტომი შეიძლება ნორმის დროსაც გვეჩვენდეს. მაგალითად, სუნთქვის გახშირება და ტაკიკარდია, რომლებიც გულის უქმარისობის სიმპტომებია, როგორც სასუნთქი ფიზიოლოგიური მოვლენა, ეითარდება ფიზიკური დატვირთვისას.

სიმპტომები შეიძლება იყოს კეთილსამიერო და არაკეთილსამიერო. ექსუდაციური პლევურიტის დროს პლევრის სახერხის გაჩენა შეიძლება მივიჩნიოთ კეთილსამიერო სიმპტომად, რადგანაც მოითითებს სითხის აღავებაზე პლევრის ქოშში, მაგრამ პერიკარდის სახერხის გაჩენა თირკმელბების ქრონიკული უქმარისობის დროს მეტყველებს ავადმყოფის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაზე შესაძლო ლეტალური გამოსავალით.

სიმპტომები შეიძლება იყოს ადრული და გვიანი. პირველის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ST-სეგმენტის ზემოთ ცდომა ელექტროკარდიოგრაფიაზე მოკარდობის ინფარქტის დროს, პოლიური ქრონიკული ნეფრიტის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც გვიან სიმპტომად შეიძლება ჩაითვაოს უარყოფითი T-კბილის გაჩენა ელექტროკარდიოგრაფიაზე ინფარქტის დროს და ოლიგური ნეფრიტის შემთხვევაში.

როდესაც ავადმყოფი თავსდება კლინიკაში, ექიმი ანამნეზის და ფიზიკური კვლევის საფუძველზე სავსე ე.წ. წინასწარ დიაგნოზს. ექიმი ვალდებულია პირველი 2-3 დღის მანძილზე ჩატაროს ავადმყოფს ძირითადი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, შარდის ანალიზი, ბიოქიმიური გამოკვლევები შაქარზე, აზოტზე, გულმკერდის რენტგენსკოპია, ელექტროკარდიოგრაფია და სხვა), რის საფუძველზეც ფორმდება კლინიკური დიაგნოზი. მძიმე ავადმყოფებს ძირითადი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები უნდა ჩატარდეს კლინიკაში მთავარ სებისთანავე. თუკი დაავადების დიაგნოზი არ არის ნათელი და საქმე ვეცავს რთულ შემთხვევასთან, როგორც წინასწარი, ასევე კლინიკური დიაგნოზი შეიძლება იყოს სავარაუდო არ საბოლოო, მაგრამ ავადმყოფის დიაგნოსტიკური კვლევა არ მთავრდება და გრძელდება მისი კლინიკაში ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე. სამუშაო დიაგნოზი ზემოხსენებულ დიაგნოსტიკური პროცესის ნარმატივას და ის შეიძლება შეიცვალოს ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ამდენად, დიაგნოზის ცნება არ არის რამე მყარად ჩამოყალიბებული დებულება და ის ავადმყოფზე დაკვირვების, დამატებითი ნატივი გამოკვლევების ჩატარების საფუძველზე (რენტგენოკონტრასტული, ულტრაბგერითი, ბიოქიმიური, რადიონუკლიური, ბიფისიური გამოკვლევები, კომპიუტერული ტომოგრაფია) შეიძლება რამდენიმეჯერ შეიცვალოს. ზოგ შემთხვევაში, როგორც წინასწარი, ასევე კლინიკური დიაგნოზი არ არის სრულყოფილი, მაგრამ სამუშაო კლინიკური დიაგნოზის საფუძველზე ექიმი ავადმყოფს უტარებს სავარაუდო მკურნალობას და თუკი ასეთი მკურნალობა ინკვეთ ეფექტს, დიაგნოზი ემყარება მკურნალობის შედეგებს - *diagnosis ex juvantibus* (ლათინი). ავადმყოფის კლინიკიდან განვარდისა ფორმდება საბოლოო დიაგნოზი, რომელიც ეძღვევა მას ხელზე, შემდგომში დაკვირვებას და მკურნალობისათვის.

დიაგნოზი ex juvantibus ჩვეულებრივ ისმება ნარმატივით ჩატარებული ეტიოლოგიური, ან პათოგენეზური მკურნალობის შემთხვევაში. მაგრამ დღესდღეობით დიაგნოზის დასმისას ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით დიაგნოზის დასმის ეს ფორმა გამოიყენება ძალიან იშვიათად.

საუთქესო შედეგებს მკურნალობაში აღწევენ მაშინ, როდესაც არის საშუალება ეიმოქმედოდ დაავადების გამომწვევ



მიზეზზე (მაგ., სტრუქტოკოკებით გამოწვეული სეფსისის დროს დაუწინაოებელი სტრუქტოკოკებზე მოქმედი პენიცილინი, ოპიატიკონი მონანგლის შემთხვევაში მიეცეთ მისი სანაბალმდეო ანტიბიოტიკი - ნალოქსინი და სხვა); ე.ი. ჩაეატაროთ ეტიოლოგიური მკურნალობა. თუკი დაავადების გამომწვევი მიზეზი არ არის ცნობილი ან მასზე ზემოქმედება არ ხერხდება, მაშინ შეიძლება ემიოქმედით დაავადების განვითარების პათოგენეზის რომელიმე რგოლზე, შეუქმნათ ორგანიზმს უკეთესი პირობები დაავადებასთან საბრძოლველად, გაეაძლიეროთ მისი იმუნური ძალები და სხვა (მაგალითად, არტერიული სიპრეტენზიის პათოგენეზში თუკი წამყვანია რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის აქტივაცია, ავადმყოფს უწინააღმდეგე პიპრეტენზიის განვითარების აღნიშნული მექანიზმის დამთრგუნველ პრეპარატს - კაპტოპრილს, გულის მძიმე უპერიტონიის შემთხვევაში, როდესაც მისი შუბანბა დასუსტებულია და გვაქვს მეგულებითი მოვლენები - სათითურას პრეპარატებს გულის მუშაობის გასაძლიერებლად და შარდმდენებს ზედმეტი სითხის ორგანიზმიდან გამოსადენად), ე.ი. ვატარებთ პათოგენეზურ მკურნალობას.

როდესაც არ არის საშუალება ემიოქმედით დაავადების ეტიოლოგიურ მიზეზზე და მისი განვითარების მექანიზმებზე, ხშირად ტარდება სიმპტომური მკურნალობა, რომელიც მიმართულია დაავადების ამ თუ იმ გამოვლინების სანაბალმდეოდ (მაგალითად, ძლიერი ტკივილის სანაბალმდეოდ გემოიყენება ნარკოტიკული, ნერვული აგზნების შემთხვევაში - სედაციური, უძილობის შემთხვევაში - საძილე საშუალებები და სხვა).

ავადმყოფის კლინიკაში გარდაცვალების შემთხვევაში ტარდება მისი პათანატომიური გამოკვლევა და ფორმდება ე.წ. პოსტმორტული (ლათინ. *MORS* - სიკვდილი) დიაგნოზი, რომელსაც ადარებენ კლინიკურს და რაზეც მუხალბა არის ლეზალურ (ლათინ. *lesum* - სიკვდილი) კომისებზე და კლინიკურ-პათანატომიურ კონფერაციებზე, სადაც განიხილება განსხვავებები კლინიკურ და პოსტმორტულ დიაგნოზებში, დიაგნოსტიკური შეცდომები და სხვა. კლინიკურ-პათანატომიური კონფერაციები ექიმისათვის საუკეთესო სკოლაა და ის ხელს უწყობს მისი დიაგნოსტიკური ინტაქტობის აღწევას.

მეტად მნიშვნელოვანია ექიმის დიაგნოსტიკური აზროვნების განვითარებისათვის კლინიკის ხელმძღვანელის (პროფესორი, დოცენტი) შემოვლამზე და კლინიკურ კონფერაციებზე დასწრება, სადაც დება სანატორიუმი, იმეათია და მძიმე შემთხვევების დემონსტრირება, გარჩევა და აზრთა გაზიარება.

როგორც აღვნიშნეთ, ექიმს ზოგჯერ მოხდის შეცდომა. დიაგნოსტიკური შეცდომები შეიძლება დაკავშირებული იყოს ექიმის უცოდინარობასთან, დაუდევრობასა და გულგრილობასთან, მის ცუდ ჩვევებთან, გამოკვლევის ცუდ ტექნიკასთან, ანაწმენის არასრულყოფილად შეგროვებასთან, სინთელესთან ავადმყოფთან ურთიერთობაში (უცხო ენის პრობლემა, ავადმყოფის უფრონ დეგომარება), დროის უქონლობასთან, ავადმყოფის თანამდროვე განვითარების საფეხურზე გამოკვლევის მეთოდების არასრულყოფასთან. ამასთან ერთად, დიაგნოსტიკური შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს ნაბნობს ცუდი, არასწორი ინტერპრეტაცია, შეცდომები მსჯელობაში, არაბოლოკრობა, თვითდაჯერება; არაკრიტიკულობა, აკეიტლებული აზრები, მიდრეკილება „სანატორესო დიაგნოზის“ დასმისაკენ, ექიმის ზედმეტი ოპტიმიზმი ან პესიმიზმი. ამის გარდა, დიაგნოსტიკური შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს ავადმყოფის ვეიანი ვის-

პიტალოზაცია, მისი მძიმე მდგომარეობა, რომელიც არ იძლევა საშუალებას სრულად ჩატარებს სათანადო გამოკვლევები, დაავადების იშვიათი ფორმები, ნაბოლი სიმპტომებით მიმდინარე დაავადება, ავადმყოფობის ისტორიის და დიაგნოზის გაფორმების ხარვეზები და სხვა.

ზოგჯერ დიაგნოსტიკური შეცდომები განპირობებულია ავადმყოფის ქმედებით: მესხიერების დაქვეითება, არასწორი ანამნეზი, არაადეკვატური მოქცევა, სიმულაცია, დაავადების სიმპტომების შენიღბვა, მათი გადამეტება და სხვა.

ინფექციური დაავადებების გავრცელება ცხრილი I  
წლიწლიან დროის მიხედვით

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	დიფტერია
2	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	კრუპოზული ანგიონია
3	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	პარტახტინი ტიფი
4	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	ქუთურმა გრამი
5	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	ციკეროსპინალური მენინგიტი
6	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	თივის ცულები
7	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	მალარია
8	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	პოლომიელიტი
9	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	დიზენტერია
10	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	მუცლის ტიფი
11	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	

დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანია ცოდნა გარკვეული ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ ამა თუ იმ დაავადების აღმოცენებაზე და მათ სიხშირეზე. ექიმს არ უნდა დაეიწყდეს ის პრინციპი, რომ: 1. ხშირი დაავადებები ხშირია, იმეათია - იშვიათი; 2. ბევრი დაავადების აღმოცენებისათვის მნიშვნელოვანია წელიწადის დრო (ცხრი. I). თბილი თვეებისათვის დამახასიათებელია ორალური გზით გავრცელებული ინფექციური დაავადებები, კერძოდ სალმონელოზი, დიზენტერია, მუცლის ტიფი. სეზონურად, გაზაფხულ-ზაფხულში გვხვდება პოლიონოზები, რესპირაციული ინფექციები ხშირია ზამთრის თვეებში. ასევე ხშირია ზამთარი ცისტებიტი. დამახასიათებელი ციკლადლი რითმით გვხვდება გუბნატოიდული პოლიარტიტი, რომლის დროსაც დაავადების მაქსიმალური აქტივობა აღინიშნება დილის საათებში და მინიმალური საღამოს საათებში; 3. გეოგრაფიული გავრცელების მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ინფექციური დაავადებების, მაგალითად, მალარიის დროს. გეოგრაფიული გავრცელებით ხასიათდება აგრეთვე სიმსენეზის ზოგიერთი ფორმა და სხვა. მაგალითად, ფილტვის კიბო გავრცელებული იყო ინგლისში ატმისიფერის დიდი გაბინურების გამო, აფრიკის ქვეყნებში ხშირია კანის კიბო დიდი ინსოლაციის გამო, ინდოეთში - ტურის და პირის ღრუს სიმსენეზები, რადგანაც იქ ჩვეულებად აქვთ თამბაქოს ღეჭვა, ჩვენში კუჭის კიბორავი, როგორც ჩანს, დაკავშირებულია საკვების თვისებურებებთან და სხვა; 4. რასები და ეთნიკური ჯგუფები. ზაფხუბში უფრო ხშირია არტერიული სიპრეტენზია თეთრიკანიანებთან შედარებით, თანდაყოლილი ანემიის ისეთი ფორმა, როგორც მალარია თალსემია, პირველ რგაში გვხვდება ბენელთაშუა ზღვის ქვეყნების მაცხოვრებლებში - ბერძნებში, არაბებში, ებრალებში, სომხებში, აგრეთვე ქართველებშიც, ნაბგლისებური ფორმის ანემია

ცხრ. 2

დაავადებათა სიხშირის მუყარამბა სპსის მიხედვით

დაავადება	მაშაკაცი	ქალი
კორონარული ათეროსკლეროზი	5	1
არტის ანევრიზმა	4	1
წინაგულეის ძვლის დეფექტი	1	3
მიტრალური სტენოზი	1	5
მაობლიტირებელი ენდარტერიტი	10	1
თრომბოზი	1	3
ფილტვის კიბო	5	1
ფილტვების ემფიზემა	2	1
საყლაკის კიბო	9	1
თირკმელტოჯა ნაწლავის წყლული	4	1
ნაწლავის ბუშტის კნჭოვანი დაავადება	1	5
ნაწლავის ბუშტის კიბო	1	4
პემოქრომატოზი	20	1
პილტვი, პილტვიფერტი	1	20
პიპიფიზური გიგანტოზი	10	1
უშაქრო დაბეტე	3	1
ბაზდლის დაავადება	1	5
მიტყეფლა	1	5
ჰემოფილია	100	0
პიპოქრომული ანემია	1	10
ადისონ-ბირმერის ანემია	1	4
კვანძოვანი პერიარტერიტი	3	1
სისტემური ნოთილი მგლურა	1	20
რევმატიოლური ართრიტი	1	3
ბუბტერევის დაავადება	10	1
პოდავა	20	1

შემში, ბრუცელოზი - ვეტერინარეში, ალკოჰოლიზმი - ოფიცინტებში, რინიტი, ბრონქული ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი - პურის მცხოვრებლებში, მენისკელეემები; 10. გენეტიკური მიდრეკილების არსებობა გასათვალისწინებელია ჰემოფილია, შიპრეტენზიის, შაქრიანი დიაბეტის, ათეროსკლეროზის და ბევრი სხვა დაავადების დროს; 11. ზოგიერთი დაავადება ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად, შიპრეტერიოზი და შიპოთერიოზი, კუშინჯის სინდრომი და ადისონის დაავადება. ზოგიერთი დაავადება ხშირად მიდრინარეობს შეუღლებულად. მაგალითად, პარათირეოიდული გვიკვლევის ადინომის დროს თირკმელის კნჭოვანი დაავადება, თანდაყოლილი ჰემოლიზური ანემიების დროს ნაწლავის ბუშტის კნჭოვანი დაავადება და სხვა.

- ზანგებში; 5. დაავადებისათვის მნიშვნელობა აქვს ასაკს. გულის თანდაყოლილი მანკი უპირატესად უნდა ვეძიოთ ბავშვებში, შექნილი - მოზარდებში და მოზრდილებში, მანკი ინფექციური დაავადებები გვხვდება ძირითადად ბავშვებში, ათეროსკლეროზიან დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მოზრდილთა ასაკში. მრავლობითი სკლეროზი ვითარდება 45 წლის შემდეგ, პერიციოზული ანემია, როგორც წესი, 50-60 წლის ასაკში და სხვა; 6. გარკვეული მნიშვნელობა აქვს სქესს (ცხრ. 2). მაშაკაცებში არ უნდა ვეძიოთ ქალთა სასქესო ორგანოების დაავადებები და პირიქით. ქალებში, ანატომიური თავისუბურებებიდან გამომდინარე, მიდრეკილი არიან საშარდვ სისტემის ინფექციებისადმი და მენსტრუაციების გამო რკინადეფიციტური ანემიისადმი. ქალებში უფრო ხშირად გვხვდება გულის ისეთი მანკი, როგორცაა მიტრალური სტენოზი, მიტრალური სარკველის პროლაფსი, რიზონის სინდრომი, ქვედა კიდურების ვენების თრომბოზი, ქოლელითიაზი, პირველადი ბილარული ციროზი, სკლეროდერმია, სისტემური ნოთილი მგლურა, პიპოთირიოზი, ხაზმობტის თირეოიდტი, ბაზდლის (გრეივის) დაავადება, ენდემური ჩივი, თრომბოციტოპენიური პურპურა და სხვა. მაშაკაცებში უფრო ხშირია გულის გვირგვინოვანი არტერიების დაავადებები, მაობლიტირებელი ენდარტერიტი (ბორტგერის დაავადება), ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა, ბრონქების კიბო, საყლაკის და კუჭის კიბო, ლეიძლის ალკოჰოლური ციროზი, პემოქრომატოზი, კუჭის და თირკმელტოჯა ნაწლავის პეპტური წყლული, პოდავა, დიუპიტრენია კონტრატურა, რეტინის სინდრომი და სხვა; 7. ცხოვრების სწლი რევეგიდან მნიშვნელობა აქვს ალკოჰოლს, ნიკოტინს. ალკოჰოლუკებში ხშირია ლეიძლის და ნერვული სისტემის დაავადებები, შიპრეტენზია, თამბაქოს მწველებში - მაობლიტირებელი ენდარტერიტი, გულის გვირგვინოვანი არტერიების დაავადებები, ფილტვების დაავადებები - ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა, ბრონქების კიბო, პირის ღრუს, ხორხის, საყლაკის, ნაწიყასის, შარდის ბუშტის კიბო. ფენაცეინის მიყვარულებში ხშირად ვითარდება

ქრონიკული ინტერსტიციული ნეფრიტი. ნარკომანებში, პომსექსუალისტებში ხშირია B-ჰეპატიტი, შქმენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი და სხვა; 8. გასათვალისწინებელია კვების თავისუბურებები. მსუქნებში ხშირია შაქრიანი დიაბეტი, ართროზები, შიპრეტენზია, ათეროსკლეროზი და გულის კორონარული დაავადება; 9. მნიშვნელობა აქვს პროფესიას. სილიკოზი ხშირია ქუჩა მთლებში, ტყეით მონამულა - მღებებში, სტამბის მუ-


### ავადყოფის გამოკვლევის მეთოდები

სადღისოდ, მინაგან სწულუბათა კლინიკაში გამოიყენება ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის სხვადასხვა ნატილი მეთოდი და ექიმი თავის საქმიანობაში ფართოდ ეყრდნობა მათ. შავრამ დაავადებისკურ და სამკურნალო პრაქტიკაში ავადყოფის გამოკვლევის ზოგადი კლინიკური მეთოდები იყო, არის და მომავალშიც იქნება ძირითადი ექიმის მუშაობაში. მათზე დამყარებული ექიმის სწულუბება და ისინი განაპირობებენ ექიმის საქმიანობის წარმატებას. ეს მეთოდები ავადყოფის გამოკვლევა და ე.წ. ფიზიკური კვლევის მეთოდებია. ისინი საშუალებას აძლევს ექიმს დაინახოს ავადყოფი მთლიანობაში და ყველაზე ულტრათანამედროვე მეთოდების მონაცემებით უსაბოლოო უამში მათ ვერძობა.

ავადყოფის გამოკვლევის მეთოდები იყოფა ძირითად და დამატებით მეთოდებად. ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება ავადყოფის გამოკითხვა და ფიზიკური კვლევის მეთოდები - ინსპექცია (დათვალერება), პალპაცია (გამოკვლევა შეხებით), პერკუსია (გამოკვლევა დარტყმით, დაკავშირებით) და აუსკულტაცია (მოსმენა). ძირითად მეთოდებს შიკუთვნებენ აგრეთვე ყნოსვის და გემოვნების გამოყენების დიაგნოსტიკაში. ყველა სხვა გამოკვლევის მეთოდი დამატებითია. მათ მიეკუთვნება სხვადასხვა ვაზოგა (ტემპერატურა, გულმკერდის გარემონერლობა, ავადყოფის წონა და სხვა), ლაბორატორიული, ინსტრუმენტული, ბიოფიზიკური, ფუნქციური და სხვა კვლევის მეთოდები (სქემა 1).

სქემა 1

აუადმყოფის გამოკვლევის მეთოდები



აუადმყოფის გამოკვლევის მეთოდებს ყოფენ აგრეთვე სუბიექტურ და ობიექტურ მეთოდებად. სუბიექტურია აუადმყოფის გამოკითხვა. აუადმყოფის გამოკვლევის ყველა სხვა მეთოდს - ფიზიკური კვლევის და დამატებით მეთოდებს, განიხილავენ როგორც ობიექტურს. მაგრამ სუბიექტურის და ობიექტურის ცნება პირობითია. აუადმყოფის გამოკითხვის დროს მიღებული მონაცემები ხშირად ყურდობა იმ ობიექტურ ძვრებს, რომლებიც მიმდინარეობს ორგანიზმში. ამასთან, ეს მეთოდი ბევრ ობიექტურ ფაქტორზეა დამყარებული, მათ შორის ექიმის კვალიფიკაციაზე, ობიექტურ პირობებზე გამოკითხვის დროს და სხვა. ობიექტური კვლევის მეთოდებში კი არის სუბიექტური ელემენტები. სხვადასხვა კვალიფიკაციის ექიმი სხვადასხვანაირად გასინჯავს აუადმყოფს და შეაფასებს მის მონაცემებს, სხვადასხვანაირად გაიანხრებს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის შედეგებს და სხვა.

სხვადასხვა მეთოდის დიაგნოსტიკური ღირებულება სხვადასხვაა. რეკლემის მიხედვით, ექიმის კაბინეტში დაიგნოზი აუადმყოფის გამოკითხვის მიხედვით ისმება 50 % შემთხვევაში, ფიზიკური კვლევის მიხედვით - 30 % და ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მონაცემების მიხედვით - 20 %. დაახლოებით ანალოგიური ციფრები მოსკავს კარდიოლოგიური აუადმყოფის დიაგნოსტიკაში უკავიატს. ისე არ არის, როგორც ზოგიერთ არაქიბის კაბინა, რომ ყველაზე სრულყოფილი დიაგნოსტიკური მეთოდი ადრე იყო რენტგენოლოგიური და ამჟამად ულტრაბუნებრივი მეთოდი და კომპიუტერული ტომოგრაფიაა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კონკრეტულ შემთხვევაში ექიმმა თავიანთ ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე გადაწყვიტოს, რომელი მონაცემია ნამყარნი და რომელს როგორი დიაგნოსტიკური ღირებულება აქვს, რათა სწორი დასკვნა გააკეთოს და მკურნალობა მიზანდასახულად წარმართოს.

ყველა მონაცემი, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ აუადმყოფის გამოკვლევის შედეგად, ინერება აუადმყოფობის ისტორიაში, სამედიცინო დოკუმენტში, რომელზეც ქვეით იქნება საუბარი.

აუადმყოფის გამოკითხვა

აუადმყოფის გამოკვლევა იწყება გამოკითხვით (ლათინ. interrogatio). გამოკითხვის მეთოდი დამყარებულია აუადმყოფის მონათბობზე, მის მოგონებაზე და აძიტობ ალბიშულ მეთოდს ანამნეზი (გერმ. anamnese - მოგონება) ეწოდება. გამოკითხვა, მუხებდავად მისი თითქოსდა სიმარტრისა, მიუთუნება აუადმყოფის გამოკვლევის ერთ-ერთ ურთულეს მეთოდს. ის საჭიროებს დიდ ტაქტს, თანაგრძობის უნარს (ემპათია), რათა დამყარდეს ისეთი ურთიერთგაგება, ფსიქოლოგიური სიახლოვე, რომელიც ქმნის ნდობის ატმოსფეროს აუადმყოფსა და

ექიმს შორის. ანამნეზური მეთოდის დაუფლება მოითხოვს გარკვეულ დროს. სტუდენტებს და დამწყებ ექიმებს უჭირთ ანამნეზის შეგროვება. როგორც ბ.გერსტონი აღნიშნავს, ასაკიანი რამ გმართობათ სტუდენტ მედიკოსებს მათ გზაზე, რომ გახდნენ ექიმები. ისინი ივინყებენ, როგორც წარმატონ საუბარი". სამაგიეროდ, როდესაც სტუდენტი სრულყოფილად დაუფლება აუადმყოფის გამოკითხვის მეთოდს, ის საკმაო წარმატებას აღწევს დაავადების დიაგნოზში. ამასთან, ანამნეზის შეგროვება ხელს უწყობს კლინიკური აზროვნების, მსჯელობის უნარის განვითარებას. ანამნეზი საშუალებას გვაძლევს გავცინოთ აუადმყოფს, როგორც პიროვნებას, შევავსოთ მისი ინტელექტუალური დონე და სათანადოდ ვესაუბროთ მას.

ზემოთ უკვე აღიზნება, რომ ანამნეზურ მეთოდს დიდი ღირებულება აქვს. მხოლოდ ანამნეზის საშუალებით ვაძგენთ ისეთ სიმპტომებს, როგორებიცაა წყურვილი, უშაღბა, დაღლილობა, უძილობა, გულის ფრიალი, ქაეილი, იმპუნენცია და სხვა. მხოლოდ ანამნეზით ისმება ხშირად სტენოკარდის, კუნჭის და თორმეტგვჯა ნაწილის პეპტური წყლულის, ნაღლის ბუმბტის კენჭოვანი დაავადების დიაგნოზი და სხვა. რეკლემის მიხედვით, აკალი მეგობრის სიმპტომი - განავალი ქვედა საცეალზე არიუბის ნაცეალდ - 100 %, მიუთითებს სწორი ნაწილის კიბოზე, თუკი აუადმყოფს არა აქვს ფაღარათი, რაც ანამნეზით დაავადების ამოცნობის ერთ-ერთი მავალითაა.

ანამნეზის შეგროვების დროს ჩვენ ვიკებთ აუადმყოფის შეგრძნებებს, როგორც დაავადების სიმპტომებს და დაავადების პირველად სიმპტომები ძალიან ხშირად სუბიექტურია, ასახავს ფუნქციურ ძვრებს ორგანიზმში და ჩნდება ავჯრ კიდევ მანამ, სანამ განვითარდება ის ობიექტური ნიშნები, რომლებიც შეიძლება დადგინდეს ფიზიკური კვლევის მეთოდებით (კ.მკენი). ანამნეზი საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ ამოცინოთ დაავადება, არამედ იმსჯელოთ ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობაზეც.

ანამნეზით მიღებულ მონაცემებს ყოველთვის უნდა შევხედოთ კრიტიკულად, რადგანაც ავლებად აგზნებად წერეული სისტემის მქონე პიროვნებები ხშირად უფრო მეტს ჩივიან, ეიდრე ამის სახები სინამდვილეში აქეთ, მაშინ, როდესაც მყარი, განწინსაზრებული სუბიექტური ნაწლებ ყურადღებას აქცევენ თავიანთ შეგრძნებებს, მავალიად ტკივლის, თუმცა ისინი საკმაოდ გამოხატული შეიძლება იყოს. არ უნდა დაავიწყდეს, რომ აუადმყოფმა ზოგჯერ შეიძლება წინასწარგზრახულად განავიხოს თავიანი შეგრძნებები (ავრავაია) ან მოინდომოს ექიმის შევანა შედგომამი ცრუ ჩვენებებით (სიმულაცია).

ანამნეზის შეგროვების დროს ზოგიერთ გმრძნობაზე აუადმყოფთან ექიმს გარკვეული სიფრთხილე მართობს, რათა შემთხვევით მის მიერ ნათქვამმა სიტყვამ დაავნოზის შესახებ (განასკორებით ეს ენება გულის დაავადებებს, ავთვისებიან სიმსივნებს) არ გამოიწიოს იატრავანული დაავადება. მეორე მხრივ, ექიმი არ უნდა მოეცეს აუადმყოფის მიერ მოხსენიებულ ძველ დაავნებებს და ანალიზების გავლენის ქვეშ სხვა ექიმის მიერ დასმული დაავნოზის ცოდნა არ არის ურიგო, მაგრამ მან შეიძლება ზოგჯერ შევავადინოს.

ჩვეულებრივ, ანამნეზს ვაგროვებთ აუადმყოფისაგან. სასურველია, რომ, თუკი საშუალება, ექიმმა გამოკითხვა ჩაატაროს აუადმყოფთან ინტიმურ პირობებში, პირისპირ. აუადმყოფს შეკითხვები უნდა მიეცეთ მისთვის მისანედომი ფორმით. ზოგ შემთხვევაში (აუადმყოფის მძიმე, ან უჯონი მდგომარეობა, მეორენლოვანი აუადმყოფი და სხვა) ანამნეზს ვაგროვებთ მშობლებ-

ბისაგან, ნათესავებისაგან, მეზობლებისაგან, მეგობრებისაგან და ა.შ. ექიმმა არ უნდა იჩქაროს ანამნეზის შეგროვების დროს, მაგრამ თუკი მძიმე ავადმყოფთან გვაქვს საქმე, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაშია, საჭიროა მოკლე ანამნეზის შეკრება და ექიმმა უნდა იმოქმედოს ენერგულად და სწრაფად განახორციელოს სამკურნალო ღონისძიებები.

ექიმმა ანამნეზის შეგროვება არასოდეს არ უნდა დაეალოს სხვის, მაგალითად, დამხმარე პერსონალს. ცუდი ანამნეზის შემთხვევაში ორივე უხერხულ მდგომარეობაში არის, ექიმიც და ავადმყოფიც (3. უაიტბი).

იმისათვის, რომ ანამნეზის შეგროვების დროს მივიღოთ მაქსიმალური ინფორმაცია და არ გავცეპაროს რაიმე მნიშვნელოვანი, აუცილებელია დავიცვათ გარკვეული თანმიმდევრობა გამოკითხვის დროს. ეს განსაზღვრულია მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმებისათვის. ავადმყოფი არ უნდა შეუზღუდოს თავიდანვე მხოლოდ ჩვენ მიერ დასმული კითხვებით, რომ გამოკითხვა და კითხვას არ დაემატავსოთ და მიეცეთ მას საშუალება თვითონ მოგვასხენოს თავისი სატკივარი.

ავადმყოფის შესახებ ზოგიერთ ცნობების დადგენის შემდეგ (საბასპორტო მონაცემები) მას, ჩვეულებრივ, ვეკითხებით რას უწოდებს ან რა აწუხებს, რამ მოყვანა ის ექიმთან. ამის შემდეგ მას უნდა მიეცეს სრული თავისუფლება ანამნეზის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფი ძალიან ენაწყინიანია და ზედმეტ დეტალურს გვახსენებს, საჭიროა ძალიან დილოკატური ფორმით, ისე, რომ ეს მას არ გააწინაშინოთ, თბილად ნარეზმარით თუ შეთხვევით ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში ექიმმა უნდა გამოიჩინოს საკმაო ტაქტიკა და მოითმინება, რომ არ დაირღვეს კეთილშობილურ ურთიერთობა ექიმსა და ავადმყოფს შორის, რომ ავადმყოფი არ გახდეს „ჟალბათობრივი“. ზოგიერთი ავადმყოფი არასრულყოფილ იძლევა ანამნეზს. მათ ავიწყდებათ ავადმყოფობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა უფრო აქტიურად ჩავეკითხოთ მას, რომ მივიღოთ სრული ინფორმაცია მის შეგრძნებებზე. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ ავადმყოფს ვერ შეადგენს ამ მალავენ ზოგიერთ გავატილად დაავადებას (ბნირად ათამანეს, ტუბერკულოზს) ან მანვე ჩვევას (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია). გამოკითხვის ბოლოს სასურველია, ავადმყოფს შევეკითხოთ, კიდევ რისი დამატება შეუძლია, რაც საჭიროა რომ ექიმმა იცოდეს. გ. ზახარინის მიხედვით, ყარგა გამოკითხვის დროს იმეითად, რომ ავადმყოფმა რაიმე დაუმატებს.

ავადმყოფის გამოკითხვის სქემიდან შეიძლება გამოვყიოთ ანამნეზის ოთხი შემადგენელი ნაწილი: 1. ზოგიერთ ცნობებს ავადმყოფს შე (საბასპორტო ნაწილი); 2. დაავადების ანამნეზი; 3. ენერგების ანამნეზი და 4. ავადმყოფის სუბიექტური ან ფუნქციური სტატუსის დადგენა.

**ნანიჭურები (cicatrix)** ვითარდება წყლულების შემორყებისას, აგრეთვე ოპერაციული ჩარევის, შემთხვევით მიღებული ჭრილობის, დამწვრობის შემდეგ და ა.შ. ახალი ნანიჭურები მონითალო ან მოვარდისფერი ფერისაა, ძველი — ფერმკრათალია. პოსტოპერაციული ნანიჭურების მიმართულების, ფორმის და განვადების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ ჩატარებული ოპერაციული ჩარევის ხასიათზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა პოსტოპერაციული პერიოდი. თუკი ოპერაცია გაჩაღდა დანარქებით, კანზე აღინიშნება ფართო, არასწორი ფორმის ნანიჭურები. გადატანილი ყვავილის შემდეგ კანზე რჩება მრავლობითი მცირე ზომის ნანიჭურები (წყავადილარი, ჩოფურა სახე). ერთეული ნანიჭური შეიძლება დარჩეს კანზე ჩუტყვავილის შემდეგაც. იმ პირებს, რომლებმაც გადაიტანეს ტუბერკულოზური ლიმფადენიტი, კისრის მიდამოში, უმრავლეს შემთხვევაში, აღინიშნება ტლანქი ნანიჭურები. ათამანგური ნანიჭურები ხასიათდება შემორყევებით ქვემდებარე ქსოვილებთან. ისინი თავისებურად შექმუზენილია და იღებენ ე.წ. **„ჰარსკელაის“** შეხედულებას. ზოგიერთი ქრონიკული ანთებითი პროცესის დროს (კანის ტუბერკულოზი, ათამანგი) ნანიჭურები კანზე შეიძლება განვითარდეს დაწყლულების გარეშე, ე.წ. წყლულებთან ატროფია.

მონითალო ფერის ნანიჭურები მუცლის ვეერდითა ზედაპირზე ხე და ბარასყების ზედა მიდამოებში აღინიშნება კუმინჯის სინდრომის დროს (სურ. 18). ანალოგური ნანიჭურები, თავისე-



სურ. 18 ნანიჭურები მუცელზე კუმინჯის სინდრომის დროს

ბური თეთრი ხაზების სახით, ჩნდება ქალბში მშობიარობის შემდეგ. სრულიად სხვადასხვა ხასიათის და ზომის ნაწიბურები ვითარდება დამწვრობის შედეგად. კულოიდი უხეში, შემალღებული ნაწიბურია.

ლოქნიფიკაცია ნიშნავს კანის ცვლილებებს, გამობატულს მისი გასქელებით, გამკერვებით, გაუხეხვით, მიკროსიმპტომებით. კანი მშრალია, ხორკლიანი, და ხანგრძლივად გამოძიის სიძიძილება იყოფს მოვარდისფერი, მოლურჯო-მოვარდისფერი, აჭურველი. ლოქნიფიკაცია ვითარდება კანის სხვადასხვა ანთებითი დაავადების დროს (ეგზემა, ფსორიაზი), აგრეთვე კანის ხანგრძლივი გაღიზიანების ხშირი დაფანჯი.

კერატოზი (keratosis) კანის ვარქოვანება, ნარმოქმნება კანის შემოგარულ მიდამოებში, ყველაზე ხშირად ხელისგულზე და ფეხისგულზე პირველად (კოჟრი) ან მეორად, ანთებითი პროცესის ფონზე.

ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკაში, გამონაყარის ელემენტების თავისებურების გარდა, მნიშვნელოვანი მათი განჩინის ვადები, გამონაყარის ინტენსივობა, აგრეთვე ლოკალიზაცია და გავრცელება. ქუნთრუმის, ნითურას, ჩუტყვავილას დროს გამონაყარი ჩნდება დაავადების პირველივე დღეებიდან, ნითულას, ყვავილის, პარტახტანაი ტიფის დროს — 4-5 დღეს, მუცლის ტიფის, პარატუბერის დროს — დაავადების მეორე კვირიდან და უფრო გვიან. ნითულასათვის, ნითურასათვის, ჩუტყვავილასათვის დამახასიათებელია გამონაყარი თავის მიდამოში, კისერზე, პარტახტანაი ტიფისათვის, მუცლის ტიფისათვის, პარატუბერისათვის, სეფსისისათვის — ტანზე და სხვა. ცალკეული ინფექციური დაავადებისათვის დამახასიათებელია პირველად გამონაყარის თავისებური ლოკალიზაცია. ასე, მაგალითად, ნითულას დროს პირველად გამონაყარი ჩნდება ყურების უკან, სახეზე და კისერზე, ქუნთრუმის დროს — კისერზე და ხელის მიჯნითა ზედაპირზე და სხვა. ქუნთრუმს არ ახასიათებს გამონაყარი ცხვირის და პირის მიდამოში, აგრეთვე ნიკაპზე.

გამონაყარი ლორწოვან ვარქებზე — ენანთემა, დამახასიათებელია ზოგიერთი ინფექციური და მისგანნი დაავადებისათვის. ქუნთრუმის დროს, უკვე პროდრომულ პერიოდში, აღინიშნება ენანთემა — პირის ღრუს და ხახის ლორწოვანის ძვიერი შენითლება. განსაკუთრებით ნუშისებრი ჯირკვლების და ნაქის მიდამოში. ენანთემის არარსებობისას ქუნთრუმის დიაგნოზი საუკეთესო. ნითულასათვის დამახასიათებელია ლოყების ლორწოვან ვარქებზე და ზოგჯერ ღრძობებზე ნითული მიკერების ფონზე თეთრი ლაქების, ე.წ. კოლოკის ლაქების, გაჩენა. ჩუტყვავილას დროს ბუმბუტკოვანი ხასიათის ენანთემა შეიძლება განჩნდეს პირის ღრუს ლორწოვანზე, ხახაზე, კონიქტივებზე. ინფექციური ენდოკარდიტის დროს კონიქტივებზე აღინიშნება პეოროგაიული ლაქები — ობანის სიმკმობი.

### კანის ელასტიკურობა

კანის ელასტიკურობა, დაჭიმულობა (ტურგორი) დამოკიდებულია კანქვეშა ქსოვილის განვითარების ხარისხზე, მის სისხლით და ლიმფით მომარაგებაზე, კანში ქსოვილოვანი სითხის არსებობაზე და კანის კოლოიდების მდგომარეობაზე. ნორმალური, ჯანმრთელი კანი ელასტიკურია და მისი დანაოჭებისას ის სწრაფად სწორდება. კანის ელასტიკურობა ყველაზე მეტად გამობატულია ახალგაზრდა ასაკში. ასაკის მატებასთან ერთად კანის ელასტიკურობა ქვეითდება, რაც ფიზიოლოგიური მოვლენაა. ხანდაზმულ ასაკში კანზე ჩნდება მყარი ნაოჭები, მო-

ხუცთა ასაკში კი მისი დაჭიმულობა მნიშვნელოვნად ქვეითდება და ის მჭკნარი ხდება.

პათოლოგიურ პირობებში კანის ელასტიკურობის დაქვეითება აღინიშნება ხანგრძლივად მიმდინარე მძიმე, დამაუძლურებელი დაავადებების დროს (ალიმენტური დისტროფია, სიმსივნური კახეცია, შიხანის სინდრომი და სხვა), ორგანიზმის გაუწყლოებისას, რასაც ადვილი აქვს სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვისას ლებინების დროს, პილორუსის სტენოზის შემთხვევაში, ხანგრძლივი ფლადარითის დროს (დენუტერია, მწვავე ენტეროკოლიტი, ქოლერა), სითხის გამანელებელი შენოისას (ქრონიული ენტეროკოლიტი) და სითხის მიღების გაძნელების შემთხვევაში (საყალაპის სტენოზი). ამ დროს ყურადღებას იმყოფის ავადმყოფის ძლიერ გამზნადი, თითქოსდა დაბერებული სახე. აღსანიშნავია, რომ კანის ელასტიკურობის დაქვეითების ხარისხს ხსენებული პათოლოგიური მდგომარეობების დროს აუკ არა იმდენად დიაგნოსტიკური, რამდენადაც პროგნოზული მნიშვნელობა, რადგანაც მიუთითებს დაავადების სიმძიმეზე.

კანის ტურგორი ქვეითდება ნივითივანთა ცილის დარღვევით მიმდინარე დაავადებების, კერძოდ კი, დაბუტური პრეკომის და კომის დროს. კანის ელასტიკურობის დაქვეითება და მიო პათოლოგიური სიმძრალე აღინიშნება მისქედმის დროს. კანის ტურგორი იცვლება გულის უკმარისობის, აგრეთვე ნფეროზული სინდრომის შემთხვევაში.

სკლეოდერმიის დროს კანი მკვეთრად და გამკერვებული, სადაა, ცივი, გახვეებული ან პერგამენტისმაგვარია, ის განსუელა ატროფიის შედეგად, ხშირად შემჭიდროებულია ქვედაპირე ქსოვილებთან და არ ნაოჭდება.

ცხლეტით მიმდინარე დაავადების დროს ორგანიზმში სითხის შეკავების და კანის სისხლით მომარაგების გაძლიერების გამო მისმა დაჭიმულობამ შეიძლება ოდნავ მოიმატოს. ასეთი ავადმყოფების სახე თითქოსდა ახალგაზრდულად გამოიყურება. კანის კარგი ტურგორი, რაც ავადმყოფობის ზოგჯერ ახალგაზრდულ გამომეტყველებას აძლევს, დამახასიათებელია თირეოტიკსიკოზისათვის და ნაკლები ხარისხით შეიძლება გამობატული იყოს ევეტრონეგროზის დროს.

### კანის სინოტივე და ოფლიანობა

კანის საოფლე ჯირკვლები მუდმივად გამოყოფენ ოფლის გარკვეულ რაოდენობას, რომელიც განაპირობებს კანის სინოტივის ნორმალურ ხარისხს. ფიზიოლოგიური პირობებში სხვადასხვა პირობს ადენინიშნება სხვადასხვა ხარისხის კანის სინოტივე, რაც დაკუმირებულია კანის საოფლე ჯირკვლების ფუნქციურ მდგომარეობასთან. კანის როგორც მომატებულ სინოტივეს, ასევე მის პათოლოგიურ სიმძრალეს დიდი მნიშვნელობა აქვს მისგანნი დაავადებების დიაგნოსტიკაში.

კანის გაძლიერებული სინოტივე მომატებული ოფლის დენის გამო შეიძლება აღინიშნებოდეს სრულიად ჯანმრთელ პირებში პარკის მაღალი ტემპერატურის, მაღალი სინოტივის, გაძლიერებული კონდუქციანი მუშაობის, მოკლე დროში ცხელი სითხის დიდი რაოდენობით მიღების, უარყოფით ემოციურ მომენტებთან (შინი, ალღეუება) დაკუმირება.

პათოლოგიურ პირობებში კანის მომატებული სინოტივე, დაკუმირებული გაძლიერებულ ოფლის დენსთან (hyperhidrosis), აღინიშნება ზოგიერთი ინფექციური დაავადების დროს — გრიპი, მეტრუნეზითი ტიფი, მაღარია, ტეტანუსი (კრუწხვე-

ბის დროს) და სხვა. განსაკუთრებით ძლიერი ოფლიანობა არის ბრუცელაზის შემთხვევაში. ოფლიანობა, არც ისე იშვიათად; ტუბერკულოზის ერთ-ერთი ადრეული ნიშანი და აღინიშნება დაავადების სხვა სიმპტომების გამოვლენამდე. ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულებში ხშირია ლამის ძლიერი ოფლიანობა. ამასთან, ოფლიანობას თან არ სდევს ტემპერატურის დაქვეითება. ლამის ოფლიანობა ტუბერკულოზის დროს შეიძლება გეკონდეს ტემპერატურის გარემეცე. ტუბერკულოზით დაავადებულებში ოფლიანობა ყველაზე მეტად გამოხატულია ილინობით, გულმკერდზე, ზურგზე, ზოგჯერ თავის მიდამოში. ძლიერი ოფლიანობა აღინიშნება მაღალი ტემპერატურის კრიტიკულად დაცემისას, მაგალითად, კრუპოზული პნევმონიის, მებრუნებელი ტიფის, ნითიფი ქარის დროს.

ძლიერი ოფლიანობა, მათ შორის მაღალი ტემპერატურის დროს, აღინიშნება მწვავე სახსრთვანი რევმატიზმის შემთხვევაში. რევმატიზმის დროს ოფლიანობის დამახასიათებელია მკვეთრი მჭავე სუნი და მჭავე რეაქცია. ძლიერი ოფლიანობა დამახასიათებელია ჩირქოვანი პროცესებისათვის, აგრეთვე სეფტისისათვის. ინფექციური ენდოკარდიტის დროს, ტემპერატურის დაცემისას არც ისე იშვიათად აღინიშნება მწვავე სუნის მქონე ნებოვანი ოფლის დიდი რაოდენობით გამოყოფა; ოფლის დენა ამ დროს ავადმყოფის თვითარწმობას არ აუშოკობებს. ძლიერი ოფლიანობა დამახასიათებელია ლიმფოგრანულომატოზისათვის.

კანის მომატებული სინოტივე აღინიშნება თირკეთოქსიკოზის, ვეგეტოეროზის (განსაკუთრებით ხელისგულზე), რაქიტის (თავის ოფლიანობა), პიპოგლიკემიის, ურემიის (ოფლს შეიძლება აქონდეს შარდის სუნი) დროს.


ძლიერი შეტევითი ტიკილის დროს — სტენოკარდია, თირკმლის, ლეილის ჭვალი, სისხლძარღვა მწვავე უკმარისობისას — გულისნასვლა, კოლაფსი, შოკი, ასტურთი შეტევისას, გულის უკმარისობის დროს, აგრეთვე აღინიშნება კანის გაძლიერებული სინოტივე. ცხელებით მიმდინარე დაავადებებისგან განსხვავებით, სხენებული დაავადებების დროს ვეაქეს ე.წ. ცივი ოფლი, რომელიც აღინიშნება არა განთილებულ, არამედ ფერმკრთალ კანზე და უფრო ხშირად არის შუბლზე და ხელზეზე. გაძლიერებული ოფლის დენას იწვევს ზოგიერთი მედიკამენტის მიღება — ასპირინი, ფენაცეტინი, პილიკარპინი და სხვა.

კანის გაძლიერებული სიმშრალე (anhidrosis) ვითარდება ორგანიზმის მნიშვნელოვანი გაუნყოფიანობისას ძლიერი ლებინების (პილორუსის სტენოზი, ორსულობა შეუერთებული ლებინება), ფარინაიტის (ქლორა, დიზენტერია), აგრეთვე შაქრიანი დიაბეტის, უშაქრო დიაბეტის, პოლოურიტი მიმდინარე თირკმლების დაავადებების, ლეილის ციროზის, მიქსედემის, იტიოზის, მგერის სინდრომის (მშრალი სინდრომი), სკლეროზირების, ავთვისებიანი სიმსივნეებით (განსაკუთრებით ქუჩ-ნარკოს ტრაქტის) გამოწვეული კახექსიის დროს. კანის სიმშრალე აღინიშნება ზოგიერთი ინფექციის, მაგალითად, ქნთრუშის დროს. ოფლის დენა მცირდება ზოგიერთი მედიკამენტის მიღების შემდეგ — ატროპინი, შარდმდენები.

**თმის საფარველის ცვლილებები**

კანის თმის საფარველის დათვლიერებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დერმატოლოგიაში, მაგრამ ის საშუალებას ვაძლევს მივიღო მნიშვნელოვანი მონაცემები ზოგიერთი შინაგან დაავადებაზე, კერძოდ კი, მიდასკრეციულ ანოზილი-


ებზე. ვაჭარაგება და გამელოტება ასაკთან არის დაკავშირებული, მაგრამ ადრეული ვაჭარაგება ან გამელოტება ზოგჯერ ოჯახური ხასიათისაა. მამაკაცებს და ქალებს განსხვავებული თმისაობა აქვთ. მამაკაცებს, ნეერ-ულვაშის გარდა, ხშირად აღინიშნებათ გამოხატული თმისაობა გულმკერდზე, ზურგზე და კიდურებზე. ქალებს, ტანზე თმების მდგრადობით სუსტი ზრდის გარდა, მამაკაცისაგან განსხვავებით, აღინიშნებათ თმის თავისებური განლაგება ბოქვენზე: ამ მიდამოში თმის ზრდა მათში მკვეთრად არის შემოფარგული ზევიან ქორიონოტალური ხაზით, მაშინ, როდესაც მამაკაცებში ის ზრდება თითქმის ჭიამდე (სურ. 19). არსებული სქესობრივი განსხვავების არარსებობა თმების განაწილებაში ეჭვს ბადებს ენდოკრინულ დარღვევებზე, კერძოდ კი, სათესლე ჯირკვლების და საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითებაზე. ენდოკრინოზის დროს (სასქესო ჯირკვლების თანდაყოლილი ან შექცნილი უკმარისობა) მამაკაცებში შეორადი სასქესო ნიშნების განვითარებლობის პარალელურად არ აღინიშნება ნეერ-ულვაში სახეზე. ქალებში თმისაობა სახეზე (პირსუტში, ბანჯგვლიანობა) ვითარდება კუმინგის დაავადების დროს. მიქსედემისათვის დამახასიათებელია თმების გაცევა ნარბების ლატერალურად. თმების დროებით გაცევენას, შემდგომში მათი ხელახალი ზრდით, შეიძლება ადგომა აქონდეს მძიმე ინფექციური დაავადებების, მაგალითად, მუცლის ტიფის დროს. თმების გაცევა ადგილობრივად, ცალკეულ უნებზე, ზოგჯერ არის ათამანგის ნიშანი (alopecia luetic).




სურ. 19 მამაკაცისთვის და ქალისთვის თმისაობის დამახასიათებელი განლაგება ბოქვენზე

**კანქვეშა ვენების გაგანიერება**

ნორმის დროს კანის დათვლიერებისას, სისხლძარღვოვანი ქსელი თვლით არ ჩანს. ავადმყოფის კანის დათვლიერებისას ზოგჯერ შეიძლება ვენების გაგანიერება, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ვენური სისტემის ზოგიერთი მოზაკეობით და რკოლების გაჩენასთან და სისხლის დინების გაძლიერებასთან. ამას თან სდევს სათანადო მიდამოებში, მათ შორის კანში, კოლატერალური (შემოვლითი) სისხლის მიმოქცევის განვითარება. შუასაყარის სიმსივნეების დროს, რომლებიც ზედა ღრუ ვენაზე ახდენენ ზნლობა, გულმკერდის ნინა ზედაპირის კანზე, უფრო იშვიათად ზურგზე და ზედა კიდურებზე, შეიძლება ვენების გაგანიერება. აღნიშნული მოვლენა შეიძლება განვითარდეს ზედა ღრუ ვენაზე აორტის ანევრიზმის ზენლობის, აგრეთვე შედარებით ნაკლები ინტენსივობით გამოხატული, კლევრის დროს და პეიკოპარდოზში არსებული დიდი მუხორცხლების შემთხვევაში. ლეილის ციროზის დროს, პორტული პიპერტენ-



სურ. 20 „მედუზას თავი“



სურ. 21 ქირის ვენების გაგანიერება გულს ქრონიკული უკმარისობის დროს



სურ. 22 ვენების გაგანიერება ქვედა კიდურებზე

ზის გამო, მუცლის წინა კედელზე ვითარდება ვენური კოლატერალები. ვენების გაგანიერება უფრო ხშირად აღინიშნება მუცლის კედელზე ლატერალურად, უფრო იშვიათად რადიალურად ჭიპის ირველივ — „მედუზას თავი“ (სურ. 20). ვენების ანალოგიური გაგანიერება მუცლის წინა კედელზე შეიძლება განვითარდეს კარის ვენის თრომბოზის, ქვედა ღრუ ვენის თრომბოზის, ამ უკანასკნელზე სიმსივნეების, მუცლის ღრუში დაგროვილი ასიტური სითხის ზნულის შედეგად.

ქირის მიდამოში ვენების გაგანიერება ხშირად აღინიშნება გულს ქრონიკული უკმარისობის დროს (სურ. 21). ქვემო კიდურების დათავალოვებისას ნახულობენ ვენების ვარიკოზულ გაგანიერებებს (სურ. 22).

### კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი

კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის მდგომარეობას გარკვეული დიაგნოსტიკური და პროგნოზული მნიშვნელობა აქვს. კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის შეფასება, ჩვეულებრივ, ნარმოებს ინსპექციით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება პალპაციისაც მივმართოთ.

ამ მიზნით ნარმოებს კანის დანაოჭება დიდი და საჩვენებელი თითო მზრისშუა მიდამოში, გულმკერდზე, ილიასთან წინა აქსილარულ საზზე, მუცელზე, ლატერალურად ნეკნების ქვევით და ბარძაყების წინა ზედაპირზე. ნორმალური კვებადობისას კანის ნაოჭების სისქე ნეკნების ქვევით 2-3 სმ-ია. სიმსუქნის (obesitas) დროს ეს მონაცემები გადიდება, სიგამხდრის (macies) დროს კი, შემცირებული.


კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის ზედმეტი განვითარება (*adipositas*) უფრო ხშირად გამოწვეულია ეგზოგენური ფაქტორებით, მაგრამ სიმსუქნე ვითარდება ენდოგენურ ფაქტორებთან დაკავშირებითაც. ეგზოგენური ფაქტორებიდან მნიშვნელობა აქვს გადამეტებულ კვებას, განსაკუთრებით ნახშირწყლებით და ცხიმებით, უმოძრაო ცხოვრებას. ენდოგენური ფაქტორებიდან მნიშვნელობა აქვს ჰიპოფიზის, ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის, სასქესო ჯირკვლების ფუნქციის დარღვევას. ჰიპოფიზური სიმსუქნის — ფრელიზის *სინდრომის (dystrophia adiposo-genitalis)* დროს, რომელიც საკმაოდ იშვიათია, ცხიმის დაგროვება კანქვეშა ქსოვილში შერწყმულია გენიტალიების განუვითარებლობასთან, გონადოტროპინის დაქვეითებული სეკრეციის გამო. სახის სიმსუქნე და გამხდარი კიდურები, ცხიმების დაგროვება ძირითადად ტანზე, დამახასიათებელია კუმინგის სინდრომისათვის. სიმსუქნე აღინიშნება ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციის, პანკრეასის ფუნქციის გაძლიერებისას (*ჰიპერინსულარული სიმსუქნე*). დერკუმის დაავადების დროს ცხიმოვანი ნარმოხამქნები გროვდება ალაგ-ალაგ, პერჩეით, კიდურებზე, მუცლის,



სურ. 23 სიმსუქენი

ზურგის მიდამოებში; ცხიმოვანი კვანძები პალპაციით მტკივნეულია (მტკივნეული ლიმფატოზი). სიმსუქენი დამახასიათებელია ე.წ. პიკეის სინდრომისათვის, რომლის დროსაც ავადმყოფს აქვს მიდრეკილება ძილანობისაკენ (სურ. 23).

ძლიერი სიმსუქენი ხელს უწყობს მიდრეკილებას სიხდასხევა დაავადებისდმი. ამ დროს ხშირია ისეთი დაავადებების განვითარების რისკი, როგორებიცაა ათეროსკლეროზი და გულის ინფარქტი დაავადება, არტერიული ჰიპერტენზია, გულის უკმარისობა, ფილტვისმიერი გული, შაქრიანი დიაბეტი, ნაღვლის ბუშტის დაავადებები, თრომბოფლებიტი, ოსთეოართროზი. მსუქენებში ჭირს ზოგადი ანესთეზია და ოპერაციული ჩარევა. მსუქენებში ბევრად მაღალია სიკვდილიანობა.



სურ. 24 კახექსია

სიგამხდრისას ლოყები ჩაეარდნოდა, ყვრიმალის ძელები წინ არის წამოწეული, კარგად ჩანს ნეკნათუა მიდამოები, გამოხატულია ლაინზედა და ლაინქედა ფოსები, მუცელი ჩაეარდნოდა და შეწეულია.

სიგამხდრე შეიძლება დაკავშირებული იყოს არასაკმარის კვებასთან, შიმშილთან. სიგამხდრე აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზოგიერთი დაავადების დროს — ქრონიკული გასტრიტი, კოლტი, პანკრეატიტი. ამ დაავადებების შემთხვევაში სიგამხდრის განვითარებას, გახდომას (ემაციაცია) ხელს უწყობს მადის დაქვეითება, საკვების მოხლეობის და შენევის დარღვევა. სიგამხდრე ვითარდება იმ დაავადებების დროს, რომელთა ერთ-ერთი სიმპტომია ხანგრძლივი და

ძლიერი ლებინება, რაც იწვევს ორგანიზმის გაუნყოფილებას და საკვები პროდუქტების შენევის დარღვევას (პილორუსის სტენოზი, საყლაპავის შევიწროება, ქრონიკული გასტრიტი, თირკმლების უკმარისობა). ძლიერი სიგამხდრე — კახექსია ვითარდება ალიმენტური დისტროფიის შემთხვევაში. კახექსია შეიძლება განვითარდეს ხანგრძლივი ინტოქსიკაციის, ავთვისებიანი სიმსივნების, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, მძიმე ინფექციების (ტუბერკულოზი, მუცლის ტიფი) დროს. ძლიერი სიგამხდრე დამახასიათებელია ზოგიერთი ენდოკრინული დაავადებისათვის — თირეოტიკოზი, შაქრიანი დიაბეტი, სიმონდსის სინდრომი, შიხანის სინდრომი (სურ. 24), ადისონის დაავადება. ზოგჯერ სიგამხდრე შეიძლება განვითარდეს ფსიქიკური დაავადებების შემთხვევაშიც. ძლიერი სიგამხდრე აღინიშნება ჭრილობისმიერი დაუძლურების დროს, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ ინტოქსიკაციასთან, არამედ ჭრილობიდან ჩირქის დიდი რაოდენობით გამოყოფისას ცილოვანი ნეოთერებების მნიშვნელოვანი რაოდენობით დაკარგვასთან.

### შეშუპება


შეშუპება (ბერძ. oedema — ედემა) ეწოდება სითხის დაგროვებას ქსოვილებში. ის შეიძლება იყოს ზოგადი და ადგილობრივი. ზოგადი შეშუპება ვითარდება გულის პათოლოგიის, თირკმლების დაავადებების, ორგანიზმის უკვების ზოგადი ძლიერი დარღვევის (დისტროფია, კახექსია), ფარისებრი ჯირკვლის პიპოფუნქციის (მექსედება) დროს. ადგილობრივი შეშუპების განვითარება დაკავშირებულია ლოკალურ პროცესებთან — ვენებზე ზეწოლა, ანთება და სხვა (ცხრ. 6).

ცხრ. 6

#### შეშუპების კლასიფიკაცია

ზოგადი	ადგილობრივი
კარდოული რენული	ანთებითი
ენდოკრინული (მექსედება, პიპერადისტროფიის შემთხვევაში)	სისხლის და ლიმფის მიმოქცევის დარღვევა ვარდნად რაიმე ზეწოლის გამო
პიპოპრეტინემიული ელექტროლიტული დარღვევების შედეგად (პიპოკალიემია, პიპერადისტროფია)	ალერგიული (კვინკს შეშუპება)

ზოგადი შეშუპების ყველაზე ხშირი ფორმაა გულისმიერი ანუ კარდოული შეშუპება. მისი განვითარების მექანიზმი საკმაოდ რთულია. ნორმალში სითხის გადასვლა სისხლისძარღვებიდან ქსოვილებში ხდება კაპილარების დონეზე და მას ხელს უწყობს სისხლის პიპროსტატიკური ნივთი და ქსოვილების ონკოზური ნივთი, განპირობებული ცილების დაჭიმულობით. სითხის გადასვლას უწინააღმდეგება სისხლის ცილების ონკოზური ნივთი და ქსოვილების პიპროსტატიკური ნივთი. ნორმის დროს წყლის და ელექტროლიტების ტრანსკაპილარული ცვლა სისხლსა და ქსოვილებს შორის მიმდინარეობს ერთნაირი ინტენსივობით და სისწრაფით და ორივე მიმართულებით. კაპილარების არტერიულ ნაწილში პიპროსტატიკური ნივთი აღემატება ონკოზურს, ამიტომ წყალი გადადის სისხლიდან ქსოვილებში. კაპილარების ე-



სურ. 25 ქვემო კიდურების მუშუბება

სურ ნაწილში წნევის დაქვეითების გამო ონკოზური წნევა აღემატება პიდროსტატიკურს, ამიტომ ხდება წყლის და მასში გახსნილი ელექტროლიტების შენევა ქსოვილებიდან სისხლში. გულის დაავადებების დროს გულის უნების კუმშვადობის ძალის დაქვეითება იწვევს სისხლის შეგუბებას ვენურ სისტემაში და პიდროსტატიკური წნევის მატებას ვენებსა და კაპილარებში. მატულობს ვენურ წნევის და კაპილარების ამაყოლება ცილებისადმი. მუშუბების განვითარებას ხელს უწყობს რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის აქტივაცია, რაც იწვევს თირკმელების დისბალანს მილაკებში ნატრიუმის რეაბსორბციის მატებას და მისი კონცენტრაციის ზრდას სისხლში. მცირდება დიურეზი. ამას თან სდევს პილოფიზის ანტიდორეზული პორმონის მოქმედებით პლანზის მოცულობის გადიდება. ყველაფერ ამის გამო ძლიერდება ნატრიუმის ფილტრაცია კაპილარებიდან ქსოვილებში, ნატრიუმი კავდება ქსოვილებში, რაც ოსმოსური მოქმედებით იწვევს მათში სითხის მონიღვას, სითხის უკუმშვავა კაპილარების ვენური მუხლიდან კი ქოლებულობს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მუშუბების განვითარებას. ამენადა, კარდიული მუშუბების მექანიზმი განპირობებულია კაპილარებში პიდროსტატიკული წნევის მატებით და გაძლიერებული ტრანსუდაციით, ალდოსტერონის და ანტიდორეზული პორმონის გაძლიერებული პროდუქციით, თირკმლებში ფილტრაციის დაქვეითებით და ნატრიუმის და წყლის შეკავებით ორგანიზმში.

ბოლო დროს წყლის და მარილოვანი ცვლის რეგულაციაში და მუშუბების განვითარების მექანიზმი, ანტიდორეზული პორმონების გარდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. ნატრიურულ სისტემას — ნინაგულენინ ნატრიურულ ფაქტორს და Na, K-ატეზაზს ენდოგენურ ინიბიტორს.

კარდიული მუშუბების დროს სითხე ყველაზე ადრე გულიდან დასრულურ ქსოვილებში გროვდება. მისიარულე ავადყოფნის მუშუბება დასაწყისში უვითარდებათ კოჭების, ტრეფების, ნეფების მიდამოში, უმთავრესად სალმარბოში, რაც გულის გადატვირთვისაანა დაკავშირებული (სურ. 25). დილისათვის მუშუბება შეიძლება აღავდეს. მწლიარე ავადყოფნებში მუშუბება დასაწყისში გაეა-წელის მიდამოში გამოვლინდება. გულის

უკმარისობის პროგრესირებასთან ერთად, მუშუბება შეიძლება გავრცელდეს მთელ სხეულზე, მუშუბედს ბარძაყების მიდამო, მუცლის კანი, სასქესო ორგანოები, გულმკერდი, ზედა კიდურები და სხე. კანქვეშა ქსოვილის გავრცელებულ მუშუბებას ქსოვილოვანი წყალმანკი — ანასარკა ეწოდება. მუშუბებით სითხე — ტრანსუდატი შეიძლება ღრუებშიც დაგროვდეს; პლევრის ღრუში (პიდროთორაქსი), პერიკარდიუმის ღრუში (პიდროპერიკარდიუმი), მუცლის ღრუში (ასციტი). შეგუბებითი მოვლენები ვითარდება შინაგან ორგანოებშიც (ლვილი, ფილტვები და სხვა, მათ შორის თვით გულის უნთშიც). დასაწყისში მუშუბება შეიძლება ფარულად მიმდინარეობდეს და ის გამოვლინდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზმში 4-6 ლიტრი სითხე შეკავდება. მუშუბების ადგილი მატულობს მოცულობაში, ამ მიდამოში კანი, ჩვეულებრივ, ფერმკრთალაა, ზოგჯერ ციანოზური, სადა, კანის ნაოჭები გადისწორებულია, ხშირად პრიალაა. შეგებითი კანი ცივია. თითო ზნოლა მუშუბების მიდამოში იწვევს ჩალრმაყების გაჩენას. მუშუბებული მიდამო ციმბისებრი კონსისტენციისაა, მტკივნეულობა ზნოლისას არ აღინიშნება. ხანგრძლივად მიმდინარე მუშუბების დროს ქვედა კიდურების კანი შეიძლება გამკეროვდეს, რის გამოც თითო დაჭრის შედეგად ჩალრმაყება ძნელად ჩნდება, მცირედ გამოხატული მუშუბების — ასტროზიის დასადგენად, თითო ზნოლა უშვობესია მოვებინოთ დიდი წვივის ძელის მედიკალური ზედაპირის კანზე, სადაც მუშუბებითი განპირობებული ფოსო უფრო ადვილად ვლინდება. დიდი კარდიული მუშუბების დროს კანი ციანოზურია, ცივია, ავადყოფს აქვს ქოზიში და ის წევს მაღალ სასოთხლით ან ნაზომულიანა. კარდიული მუშუბების ჩვეულებრივად სიმეტრულ მიდამოებში ვითარდება, მაგრამ თუკი ავადყოფი წევს ცალ ვერდზე, მუშუბება პიდროსტატიკური მექანიზმებით შეიძლება უპირატესად ცალ მხარეს გამოიხატოს. ასევე, მუშუბებითი სითხე ზოგჯერ შეიძლება დაგროვდეს უპირატესად ერთ-ერთ პლევრის ღრუში, უფრო ხშირად მარჯვნივ. გულისმგირე მუშუბება ვითარდება გულის მანკების, მიოკარდიტების, კარდიოსკლეროზის, კარდიომიოპათიის, ფილტვისმგირე გულის დროს და ა.შ.

თირკმლისმგირე, ანუ რენული მუშუბების მექანიზმი დაკავშირებულია თირკმლების გარკვეულ განვლადობის მატებისა და ცილის დაკარგვის გამო განვითარებულ პიპოპროტეინემიასთან და სისხლის კოლოიდურ-ოსმოსური წნევის დაქვეითებასთან, ალდოსტერონის და ანტიდორეზული პორმონის გაძლიერებული პროდუქციის გამო ორგანიზმში ნატრიუმის და წყლის შეკავებასთან. თირკმლების ზოგიერთი დაავადების (მწვავე ნეფრიტი) დროს, მუშუბების განვითარების მექანიზმში მნიშვნელობას ანიჭებენ კაპილარების ტოქსიკურ დაზიანებას და მათი გამავლობის მატებას (სურ. 26).

კარდიული მუშუბებისაგან განსხვავებით, რენული მუშუბება დასაწყისში ვლინდება იქ, სადაც შემაერთებელი ქსოვილი ფაშარია — სახეზე, განსაკუთრებით ქუთუთოების და ლეყების მიდამოში, სასქესო ორგანოებზე, წელის მიდამოში. მუშუბება უფრო მეტად დილის საათებშია გამოხატული, სადამოებითი კოტლებობს, ან ხულ ქრება. მუშუბებული მიდამოში კანი ფერმკრთალაა, თითქოსდა გამჭვირვალე. შორს ნასულ შემთხვევაში მუშუბება შეიძლება გამოიხატოს მთელ სხეულზე და ტრანსუდატი ღრუებშიც დაგროვდეს. რენული მუშუბების დროს ავადყოფს ქოზიში არა აქვს, ციანოზი არ არის გამოხატული. ავადყოფს არა აქვს იძულებითი მჯდომარე მდგომარეობა და ის შეიძლება პორიზონტალურად იწვეს.



სურ. 26 სისხლის შემუშავება თირკმლების დაავადების დროს

რენული შემუშავება ვითარდება მწვავე ნეფრიტის, ქრონიკული ნეფრიტის, ნეფროზული ფორმის, თირკმლების აძლიერების და სხვა მიზეზებით განვითარებული ნეფროზული სინდრომის დროს.


კახეკსორი, დისტროფიული („მშვიტი“) შემუშავება ვითარდება შიმშილის, ალიმენტური დისტროფიის დროს, აგრეთვე მძიმე, ორგანიზმის დამაძაბუნებელი დაავადებების — ტუბერკულოზის, ავთვისებიანი სიმსივნეების, ქრონიკული ენტერიტის, შიმში, სანგრძლივად მიმდინარე ანემიის და სხვ. დროს. მის შექმნაში დაკავშირებულია ორგანიზმში ცილის რაოდენობის შემცირების (ჰიპოპროტეინემია) გამო სისხლის კოლოიდურ-ოსმოსური წნევის დაქვეითებასთან და ლიბიდური ცვლის დარღვევის გამო კაპილარების გამაელობის მატებასთან. შემუშავება ჩვეულებრივ, იწყება ქვედა კიდურებიდან და შეიძლება განვითარდეს მთელ სხეულზე, მათ შორის სახეზე. შეგუბებითი სითხე შეიძლება დაგროვდეს ღრუებშიც. მაგრამ ამ დროს შემუშავება არ არის ძლიერად გამოხატული და ავადმყოფები უფრო თითქოსდა პასტოზურები არიან.

შემუშავების თავისებური ფორმაა მიქსედემის დროს განვითარებული შემუშავება. ამ დროს ქსოვილებში გროვდება არა შემუშავებითი სითხე — ტრანსუდატი, არამედ ხდება კანის და კანქვეშა ქსოვილის ინფილტრაცია ლორწოვანი ნივთიერებებით (ლორწოვანი შემუშავება). მიქსედემის დროს შემუშავება უპირატესად გლინდება სახეზე, თუმცა მთელ სხეულზე შეიძლება გამოიხატოს. ამ დროს კანი ფერმკრთალაა, მშრალი, შემუშავებული მიდამო მკერდია და კანზე თითის დაჭერა ჩვეულებრივ არ იწვევს ჩაღრმავების გაჩენას. შემუშავებითი სითხე იშვიათად გროვდება ღრუებში.

ადგილობრივ შემუშავებას შეიძლება შექმნილიყოს ხასიათი ჰქონდეს, დაკავშირებული იყოს სისხლის და ლიმფის მიმოქცევის ადგილობრივ დარღვევასთან და ხასიათდებოდეს არასიმეტრიულობით. ადგილობრივი შემუშავება შეიძლება განვითარდეს ვენაში სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო. შუადღეს სხეულის ის ნაწილი, საიდანაც ვენა აგროვებს სისხლს. ის აღინიშნება ვენის თრომბით ნაწილობრივი ან სრული დაცობისას, ვენაზე სიმსივნის ან გადიდებული ლიმფური კვანძების ზენოლის შემთხვევაში და სხვა. ამ გზით შეიძლება ფეხის შემუშავება განვითარდეს ბარძაყის ვენის თრომბოზის შემთხვევაში ან ხელის შემუშავება — ფილტვის ან შუასაყარის სიმსივნის, ილიის ფოსოში გადიდებული ლიმფური კვანძების შემთხვევაში, თუკი ისინი ახდენენ ზენოლას ვენაზე, რომელსაც გამოაქვს სისხლი კიდურიდან.

როგორც აღვნიშნეთ, ტრანსუდატი შეიძლება დაგროვდეს ღრუებში ზოგადი ხასიათის — კარდიული, რენული და სხვა შემუშავების დროს. მაგრამ ღრუებში სითხის დაგროვებას შეიძლება ადგილობრივი ხასიათი ჰქონდეს და დაკავშირებული იყოს აღნიშნულ მიდამოში სისხლის დინების შეფერხებასთან. სისხლის ძარღვებზე ზენოლის შედეგად შეიძლება დაგროვდეს სითხე პლევრის ღრუში ცალ მხარეს. კარის ვენაში წნევის მატების გამო ლეილის ციროზის დროს, სიმსივნური ზენოლის შემთხვევაში ქვემო ღრუ ვენაზე, ვითარდება ასციტი (სურ. 27). დიდი ასციტის შემთხვევაში, მეორადად შეიძლება განვითარდეს ქვედა კიდურების შემუშავება, ასციტური სითხის ქვედა ღრუ ვენაზე და თიძოს ვენებზე ზენოლის შედეგად.

ადგილობრივ შემუშავებას შეიძლება ანთებითი გენეზი ჰქონდეს და განვითარდეს ნივთიი ქარის, აბსცესის, ფლეგმონის, სახსრების ანთების და სხვა შემთხვევაში. მისი შექმნაში დაკავშირებულია სისხლის ძარღვების გაანერვებასთან, სისხლის დინების შემცირებასთან და კაპილარების კედლების გამაელობის მატებასთან, მათი ანთებითი დაზიანების გამო. შემუშავების მიდამოში გროვდება არა ტრანსუდატი, არამედ ანთებითი სითხე — ექსუდატი. ანთებითი შემუშავება განსხვავდება არანთებითი შემუშავებისაგან შემუშავებული კანის სინილით (rubor), ტემპერატურის ადგილობრივი მატებით (calor), მტკივნეულობით (dolor) და ხშირად ფუნქციის ადგილობრივად მოშლით (functio laesa), მაგალითად სახსრების ანთების შემთხვევაში.



სურ. 27 ავადმყოფი ლილის ციროზით. მარცხნივ გამოხატულია ასციტი, მარჯვნივ — იგივე ავადმყოფი მკურნალობის შემდეგ



სურ. 28. კენკის მუშუბება

ანგიონევროზული მუშუბება (კენკის მუშუბება) ადგილობრივი მუშუბებაა და ვითარდება სხვადასხვა ალერგენის ზემოქმედების შედეგად. მუშუბება აღმოცენდება ხშირად უცრად ქუთიაობის, ტუჩების, ზოგჯერ მთელი სახის მიდამოში, კიდურებზე, ტანზე. მუშუბებული კანის მიდამოში ფაქტობრივად ურტიკარული ხასიათის გამონაყარი გვაქვს. დამახასიათებელია კანის ქაღალი. ჩვეულებრივ, ანგიონევროზული მუშუბება სწრაფად ლაგდება, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გახანგრძლივდეს და გამობატული იყოს რამდენიმე კვირის მანძილზე. ზოგჯერ ახასიათებს რეციდულობა (სურ. 28).

ქაღლები აღინიშნება ე.წ. იდიოპათიური ან ენცენკოური მუშუბება კოჭების მიდამოში, განსაკუთრებით საღამოობით. ის შეიძლება უზრუნველ გაიწიოს და ვაქრეს (ქვედა კიდურების ვენების ტრონუსის ლაბილობა). ზაფხულობით მათ გაჩენას უკავშირებენ სიცხის ზეგავლენით ვერუი სისხლძარღვების ვაგანიერებას.

ადგილობრივი მუშუბება შეიძლება განვითარდეს ზოგიერთ მილდკამენტის მიღების შედეგად. მაგალითად, კოჭნევის მიდამოს მუშუბება ნოვედლიზით ხანგრძლივი მკურნალობისას.

### კანქვეშა ემფიზემა

კანქვეშა ემფიზემა ეწოდება კანქვეშა ქსოვილში პაერის დაგროვებას. კანქვეშა პაერი შეიძლება დაგროვდეს საბრძოლო და საყოფაცხოვრებო პირობებში მიღებული ტრამის გამო, პლეურის და ფილტვების დაზიანებისას, სპონტანური პნევმოთორაქსის შემთხვევაში, აგრეთვე არასაკმარისი სიფრთხილით ჩატარებული ზოგიერთ საექიმო მანიპულაციის დროს — ხელოვნური პნევმოთორაქსი, ეზოფაგოსკოპია, გასტროსკოპია, პნევმოპორტოტომები ლაბარასკოპის დროს, ვანგაზის ნანქვეშა მუცენისას და სხვა. კანქვეშა ემფიზემა შეიძლება განვითარდეს აიროვანი გაზგრენის დროს ანაეროზული ბაქტერიების ცხოველმყოფელობის შედეგად.

კანქვეშა ემფიზემა გარეგნულად მუშუბებას ჰგავს, შეიძლება მცირე უბანს მოიცავდეს ან გავრცელებული იყოს მთელ სხეულზე. ამ დროს კანი სადაა, პრაღა. თითის დაჭრით ემფიზემის მიდამოში ნარმოქმნება ისეთივე ჩაღრმავება, როგორც

მუშუბების შემთხვევაში, რომელიც მალე სწორდება. თითის დაჭერისას ემფიზემის მიდამოში შეიგრძნობა თავისებური ტაკუნე — კრეპიტაცია.

### თავი

თავის ქალას განვითარების დეფექტებთან დაკავშირებულ თავის ფორმის ცვლილებებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტიკისათვის. თავის დათვალოვნების დროს სასურველია, რომ ავადმყოფი იჯდეს.

თავის ზომის შემცირება — მკროცეფალია შემთხვევათა უმრავლესობაში მოუთითებს გონებრივ ჩამორჩენილობაზე. თავის ქალას ზომის მატება — მაკროცეფალია წინ ნამონეული მუშბლით და ეგ ზოფთალობით აღინიშნება ე.წ. თავის ნყალმანკის — ჰიდროცეფალიის დროს. ვადატანილო რაკიტის დროს თავის ფორმა თითქოსდა კვადრატულია; ზევიდან დახედვით თავის ქალა ვაბრტყელებული ჩანს, წინ ნამონეული მუშბლის ბორცვებით. აკრომეგალიისათვის დამახასიათებელია თავის ყველა ნაწილის არათანაბარი ვადიდება. მოზრდილებში თავის ქალას ვადიდება ვეზედება მოდეფორირებული ოსტიტის, ფიბროზული ოსტეოდისტროფიის დროს — ჰეჯეტის დაავადება. ამობენ, რომ ამ დროს თავის ქალას აქვს რკოს მოყვანილობა. თავის ქალას მოცულობის ზრდა შესაბამისია სახის ზომისათან — ძალიან მცირე ქუდის ნიშნი (*le signe du chapeau tres petite*, ფრანგ.). თავის ერთი ნახვერის ზომის შემცირება ძირითადად კუნთების ცალმხრივი ატროფიის შედეგია. თანდაყოლილი ქემოლიზური სიყვიითლის ზოგიერთი ფორმის დროს ავადმყოფს აღენიშნება ე.წ. კომქისებური (გუმზაბისებური) თავი, ვინრო და მალალი ფორმის. მათვე ხშირად აქვთ ეგ ზოფთალობა და გონებრივი ჩამორჩენილობა.

თავის მოძრაობის შეზღუდვა და უმოძრაობა აღინიშნება კისრის მალევის მანკილოზებელი სპინდლიოართროზის, უფრო იბიპათის კისრის მუსკულატურის დაავადებისათან — მოზტიტების დროს, კუნთების კონტრაქტურის გამო. თავის ცალ მხარეს ვადანევა — მოლრეცილი კისერი (*torticollis*) დამახასიათებელია ცალმხრივი მოზტიტისათვის. თავის უმოძრაობა (თითქოსდა კისერში ჩავარდნილი თავი) აღინიშნება კოპელ-ფეილის სინდრომის დროს, რომელიც ვითარდება კისრის მალევის ვანლევის შედეგად. თავის მოძრაობის შეზღუდვა აღინიშნება აგრეთვე სინდრომის — ოვარიული ვგენეზის დროს. თავის უკან ვადატანება (კისრის კუნთების კონტრაქტურა) და მისი შეზღუდვა (რიგდობა) არის მენინგიტის — ტვინის ვარსების ანთების ნიშანი.

თავის უნებლო მოძრაობა (თავის ჭიცინი) არის პარკინსონიზმის დროს. თავის ქალის მოძრაობა, სინკროული გულის მუშაობასთან (პულსური ტალკის შესატყვისი) სისხლის წნევის დიდი მრეყობის გამო ვეზედება არტკის სარტკელის ნაკლოვანების დროს — მოუსეს სიმპტომი. ეს სიმპტომი აღენიშნებოდა ფრანგ მწერალ მოუსეს. თავის უნებლო მოძრაობა არის აგრეთვე ქორეის დროს.

### თვალები

ქუთუთოების მუშუბება დამახასიათებელია თირკმლების დაავადებისათვის, მაგრამ აღინიშნება ბახვდოვის დაავადების, ტრიქინელოზის დროსაც. ზოგჯერ ქუთუთოების მუშუბება აღენიშნებათ სრულიად ჯანმრთელ პირებსაც, უფრო ხშირად





სურ. 29 გრეფეს სიმპტომი

დილაობით, უძილო ღამის შემდეგ. ზედა ქუთუთის დანევა — ფთოზი დამახასიათებელია ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების (მაგ. აუთისიებიანი მიასტენიის), აგრეთვე ბოტულიზმისათვის.

ენოფთალმია — თვალბის ჩაყარნა და შევიწროებული თვალის ჭრლი გვაქვს მიკსედემის დროს. თვალის ჭრლის შევიწროება აღინიშნება აგრეთვე გულის უკმარისობის დროს განვითარებული სახის ძლიერი შეშუპების შემთხვევაშიც. ენოფთალმია — თვალბის ვადოკარკლა და თვალის ჭრლების გაგანირება დამახასიათებელი სიმპტომია ბაზედოვის დაავადებისათვის, თუმცა შეიძლება გვექონდეს ძლიერი ახლომხედველობის (მიოპიის) დროსაც. ზომიერად გამოხატული ენოფთალმია ზოგჯერ კონსტიტუციური ხასიათისაა. ბაზედოვის დაავადებისათვის დამახასიათებელია თვალბითან დაკეპირებული სხვა სიმპტომებიც, კერძოდ, შტელევიგის სიმპტომი — ქუთუთების იშვიათი ხაზხაში (სორმა 5-10-ჯერ ნუთში), გრეფეს სიმპტომი — ქუთუთების ჩამორჩენა თვალბის ქვემოთ მოძრაობისას, რის გამოც კარგად ჩნდება თვალის სკლერები (სურ. 29), მებთუსის სიმპტომი — კონვერგენციის დარღვევა, რიშე საგნის თვალბითან ახლოს ფიქსაციისას, ერთ-ერთი თვალი გვერდზე განიხილება. ცალმხრივი ენოფთალმია შეიძლება თვალის სიმწიფეების, თავის ტვინის სიმწიფეების, თავის ქალაში მეტასტაზების არსებობის, უფრო იშვიათად თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანების დროს განვითარდეს.

სიღმე (strabismus) — ლაპარაკობს თვალის მამოძრავებელი კუნთების დამბლაზე და არის ზოგიერთი ინტექციური დაავადების (დიფთერია), ინტოქსიკაციის (ბუტულიზმი) და მონამვილის (ტყეით) დროს. სიღმე შეიძლება განვითარდეს მენინგიტის და ტვინში სისხლის ჩაქევის დროსაც. თვალბის უნებლურითმული მოძრაობა — თვალის კაკლების კანკალი — ნისტაგმი (nystagmus) დამახასიათებელია თავის ტვინის სხვადასხვა დაავადებისათვის.

თვალბი ავადყოფს უბრწყინავს ბაზედოვის დაავადების, ცხლბების დროს. აღმენტიური დისტროფიის, ავიტამინოზის შემთხვევაში, პირიქით, თვალბი კარგავს სიბრწყინავეს, ისინი უსოცხლბა.


ადისონის დაავადების დროს კონიუქტივაზე შეიძლება აღი-

ნიშნებოდეს ყავისფერი პიგმენტაცია. კონიუქტივაზე სისხლჩაქევეები გვხვდება სურავანდის, ეპილეფსიური გულყრების და განსაკუთრებით ხშირად ინფექციური ენდოკარდიტის დროს (ლუკინის ნიშანი).

თავის ტვინის ლეროს ხიდის ენტრალური მოტორული ტრაქტის დაზიანებისას ვითარდება ენ. „თვალბის დაბუჭვის“ (locked-in) სინდრომი. ამ დროს ავადყოფი არის აბსოლუტურად უმოძრაოდ და ერთადერთი ფუნქცია, რომელიც მან შეიძლება შეასრულოს, არის თვალბის ვერტიკალური მოძრაობა. სინდრომი აღნერლი აქვს ა.დიუმას რომანში „კრავი მონტეკრისტო“ და აღენიშნებოდა ნუარტიე დე ვილფორს. ამიტომ, ეს სინდრომი ცნობილია, აგრეთვე, როგორც „კრავ მონტეკრისტოს“ სინდრომი.

თვალის გუგების მნიშვნელოვანი შევიწროება — მიოზი არის ურემიის, ნეცეფალიტის, თავის ტვინის სიმწიფეების, თავის ტვინში სისხლის ჩაქევის, ტაბესის დროს. აღინიშნება აგრეთვე ზოგიერთი მედიკამენტით ინტოქსიკაციისას — შორფიუმით, პილოკარპინით, ნიკოტინით მონამვილისას. თვალის გუგების ძლიერი გაგანირება — მიდრიზი დამახასიათებელია ატროპინით, ბელადონით მონამვილისათვის, თუმცა გვხვდება აორტის ანევრიზმის, ანემიების, შოკის და აგონიის შემთხვევაშიც. აორტის სარქელის დიდი უკმარისობის დროს შეიძლება იყოს „შოპულსირე თვალის გუგები“ (ლანდოლფის სიმპტომი), სინქროული გულის ცემაისა; ისინი ხან ფართოვდება, ხან კი ვიწროვდება. ფართო უმოძრაო გუგები, აკომოდაციის ორმხრივი დარღვევა, ხშირად ზედა ქუთუთის ფთოზი დამახასიათებელია ბოტულიზმისათვის. გუგების არათანაბრობა — ანიზოქორია — ერთი განვირე, მეორე კი ვიწრო — გვხვდება ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, ათამანგის დროს.

პორნერის სიმპტომკომპლექსისათვის დამახასიათებელია ფტოზი, ენოფთალმია, მიოზი (სურ. 30), რაც შედეგია შუასა-



სურ. 30 პორნერის სინდრომი

ყარბი სიმპატიკურ ნერვზე სიმსივნის ან აორტის ანევრიზმის ზნუნობა. სინდრომი შეიძლება განვითარდეს სირინგომიელიის, სიმპატიკურ ნერვზე ჩიყვის ზნუნლის და კისრის ნეკნის არსებობის დროს. პირბერის სინდრომი ხშირად ვითარდება პანკოსტას სიმსივნის დროსაც.

ზურგის ტვინის სიმპტომი — ტაპესის დროს აღინიშნება არგოლოზოტეროსის სიმპტომი — თვალის გუგუებს დაკარგული აქეთ რეაქცია შუქზე, მაგრამ ინარჩუნებენ აკომოდაციის უნარს. აღნიშნული სიმპტომი არის აგრეთვე მრავლობითი სკლეროზის, ტვინის სიმსივნეების, მენინგიტის, პარკინსონიზმის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის შემთხვევაში.

მოციხფრო სკლერები (ვათხულებული, გამჭვირვალე) არის თანდაყოლილი პათოლოგიის — osteogenesis imperfecta ან osteopsathyrosis (ლობტეინის, ან ეროლიკის დაავადება) დროს.

კი შერ-ფლეიშერის რგოლი რქოვანაზე (მომხანაო-მოყვი-თალო-ნაბლისფერი შეღებვა სკლერას და რქოვანას საზღვარზე) პათოგნომურია ვილსონის დაავადებისათვის (ვესტვალ-შტრემპელის ფსევდოსკლეროზი). გერონტოქსინი — რკალი-სტბო მითითრო შემღვრევა რქოვანა გარსის კიდზე (ARCUS senilis — სობერის რკალი) აღმოცენდება ლიბიდების დაგროვების გამო. კატარაქტა — ბროლის შემღვრევა, შედარებით ადრე ჩნდება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში და ტეტანის დროს.

**ცხვირი**

თერაპევტისათვის მნიშვნელობა აქვს უნავიოსებრ ცხვირს (ცხვირის ზურგის ჩავარდა), რაც ათამანგით გამოწვეული ძეღის სუბსტანციის დამლის შედეგია. ცხვირის მნიშვნელოვანი გადაიდება ვითარდება აკრომეგალიის დროს. ცხვირის მნიშვნელოვანი დეფორმაცია აღინიშნება ე.წ. რინოფიამს შემთხვევაში, რომელიც ვითარდება ასაკოვან პირებში და ხშირია ლოტებში.



სურ. 31 პოდავრული კვანძები

**ყურები**

პოდავრის დროს ყურების ნივარებზე, მისი ხრტილების სისქეში, აღინიშნება მცირე ზომის მკეროვი მოთირო კვანძები — ტოფუსები, რომლებიც შარდმევაე მარის ზალაგების შედეგია (სურ. 31).

**პირი და პირის ღრუ**

პირის დათვლიერებისას ყურადღება ექცევა მის ფორმას, უთხებების სიმეტროლობას, ტურჩების შეფერილობას, მათზე გამონაყარის, ნახეთქების არსებობას, ღრძილების, კბილების მდგომარეობას.

სახის ნერვის დამბლის, ანუ პარეზის შემთხვევაში აღინიშ-

ნება პირის გამრუდება, ცხვირ-ტურის ნაოქის გასწორება, პირის ერთ-ერთი კუთხის დამება, რის გამოც პირი სრულად არ იხურება. ტურჩების მოძრაობა შეზუდულია, რასაც თან სდევს მეტყველების დეფექტი. მუდმივად ღია ან ნახევრადღია პირი მოუთითებს ცხვირით სუნთქვის გამძლეებაზე, რაც ხშირია ადენოიდების გაიდების დროს. მ2 ავტაჰმინოზის (არბოჰოლაეინოზი) დროს ზოგჯერ აღინიშნება ნახეთქები ტურის კუთხეებში. ტურჩებზე ათამანგის შემთხვევაში შეიძლება განჩნდეს მაგარი შანკრი — დიდი, ხანგრძლივი, ინდურირებული, უმტკივნეული ნარმოხანკრი. ასაკოვან პირებში უმტკივნეულ წყლული მკეროვი კედლებით ავთვისებიანი სიმსივნის მიამნიშნებელია.

ღრძილებიდან C-ავტაჰმინოზის დროს აღინიშნება სისხლისუნა. ტყვიით მოწამელისა ღრძილების კიდზე შეიძლება შეენიშნოთ 2-3 მმ სივანის რუხი ფერის ქობა. ჩირქის დენა ღრძილებიდან დამახასიათებელია პიორიყისათვის — პარადონტოზი.

აკრომეგალიის დროს, ქედა ყბის ზრდის გამო, აღინიშნება კბილების ერთიმეორისგან დაცილება. თანდაყოლილი ათამანგის დროს გვაქვს ე.წ. პეტჩისონის კბილები — ზედა ყბის სატრულ კბილებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დაცილებულია, ნახევრადმთიარისებრი ფორმა აქვს (სურ. 32). კარესული კბილები ხშირად აღინიშნება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში. დაზიანებული კბილები ზღის უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების განვითარებას, აგრეთვე ზოგჯერ ნეფრიტის, რემემატიზმის და ინფექციური ენდოკარდიტის აღმოცენებას.



სურ. 32 პეტჩისონის კბილები

**ენა**

ენა, ძველი ექიმების თქმით, უჭყის სარკეა. მართლაც, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს ენაზე ხშირად აღინიშნება ცელილებები, თუმცა მსგავსი ცელილებები ენის შხრი შეიძლება განვითარდეს სხვა დაავადებების შემთხვევაშიც. სორმის დროს ენა არის სველი, აქვს ხავერდოვანი ზედაპირი, უნადღობი, თანაბრად ვარდისფერია.

კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადების დროს ენაზე ჩნდება ნადები. მსგავსი გასტრიტის შემთხვევაში არის მორუხო-თეთრი ნადები, ქრონიკული გასტრიტის დროს — მორუხო ან მორუხო-მოყვიითალო. პეტტორი წყლულის დროს ენა სუფთაა, სველი და ნითლი, უნადები; ნადების გაჩენა მიუთითებს თანმშლები გასტრიტის არსებობაზე. უჭყის კიობს შემთხვევაში ენა ხშირად სუფთაა, ნითლი, ატროფიული დროლებით, გალქელი, თუმცა, შეიძლება აღინიშნოს ნადების არსებობაც. ქრონიკული ენტერიტის

და ქოლექციტიკისათვის დამახასიათებელია ენაზე თეთრი ნადე-  
ბი. ქრონიკული კოლიტის დროს ზოგჯერ გვაქვს ვალაქული ენა.  
ღვიძლის დაავადების შემთხვევისას ენა წითელია, უნადებო,  
დერილების ატროფია არ აღინიშნება. პერიტონიტის დროს ენა  
მშრალია, დაფარულია თეთრი ნადებით. ენის სიმძრალე ხშირად  
დაკავშირებულია ორგანიზმის სიძლიან დაკავასთან. მშრალი  
ენა, ზოგჯერ ნახეთქებით, აქვთ შაქრითა და ნაბეჭით დაავადებუ-  
ლებს. ენის სიმძრალე შეიძლება განპირობებული იყოს სახერხვე  
ჯირკვლების პათოლოგიით და ენ. „მშრალი სინდრომი“. ატრო-  
ფიული, გაპრიალებული, სადა, წითელი ენა — პენტერის ენა (პენ-  
ტერიის გლოსიტი) — არის პერიონიკოზული ანემიის დროს. მსგავსი  
შესახებდაობის ენა ზოგჯერ შეიძლება იყოს აქილიის, რკინადე-  
ფიციტური ანემიის, პულვარის შემთხვევაშიც.

მწვავე ინფექციების შემთხვევაში — გროსი, ტიფები, კრუ-  
პოზული ინფემონია, სეფსისი და სხვა, ენაზე აღინიშნება სხვა-  
დასხვა სისის ნადები. საკმაოდ ხადებინია ენა ძირში და ცენ-  
ტრალურ ნაწილში, კიდევზე და წერზე კი წითელი, მუცლის  
ტიფის დროს — „თუთიუშის ენა“. ყოლოს ფერის, გაღდებუ-  
ლი დერილებით, ხავერდოვანია ენა ქუთრუმის შემთხვევაში.  
სქელი, შავი ნადები (blek tongue) არის ენაზე ანტიბიოტიკებით  
მკურანლობისას განვითარებული სოკოვანი ინფექციის დროს.

ენის ზედაპირზე ზოგჯერ ჩნდება მრავლობითი ნაოჭები, რის  
გამოც მას გეოგრაფიული რუკას ამსგავსებენ (გეოგრაფიული ენა).

ენაზე ზოგჯერ შეიძლება ვარდებს წყლულები (სიმძინვის,  
ტუბერკულოზის, ათამანგის დროს), ნაჭდევები, აფთები (ბუშ-  
ტუყუბი სეროზული მიგთავისით, როდლებიც გასკდომის შემდეგ  
წყლულებიან და ხასიათდებიან მტკივნეულებით, ზორცდებიან  
ან ნაწიურების გარეშე), ნაწიბურები, ნაკბენები (ეკოლდების  
შედეგად). აფთების, წყლულების გარეეა ენაზე ზოგჯერ დაკე-  
პირებულია მის ცილებით და ზიანებასთან. აღისონის დადავდებ-  
ის დროს ენაზე შეიძლება შევინიშნოთ ვაიციფური პიმენტაცია.  
აქრომეგალიის, მიქსედემის და ამბლიოფიის დროს აღინიშნე-  
ბა ენის გაღდება. ენის კანკალი უფითარდებათ ავადმყოფებს  
ბაზედოვის დაავადების, პარკინსონიზმის, ალკოჰოლით და  
სინდოით ინტოქსიკაციისას.

### სასა და ნუშისებრი ჯირკვლები

სასის პიპერდისა აღინიშნება ანთებითი პროცესების, პოლი-  
ციტემიის დროს, სიფერძკრალე — ანემიის შემთხვევაში. სა-  
საზე შეიძლება შევინიშნოთ შემუშება, სისხლტარცევიბი, წყლუ-  
ლები, ნაწიბურები.

ნორმის დროს ნუშისებრი ჯირკვლები ოდნავ გამოდის სა-  
სის რკალედინან, გაღდების შემთხვევაში კი მათ შეიძლება  
მთლიანად დაფარონ ხახის შესასვლელი და გამოიწვიონ სუნ-  
ქვის მკვეთრი დაღდევა. ქრონიკული ტონილიტის დროს აღი-  
ნიშნება ფაზანი, მუხიბეული ნუშისებრი ჯირკვლები, რომლე-  
ბიც შეიცავენ ჩირქს. ნუშისებრი ჯირკვლების მწვავე ანთება  
შეიძლება წინ უძღოდეს რემატოიზმის, ნეფრიტის, კოლაგენო-  
ზების განვითარებას.

### კისერი

კისრის დათვალერებისას ყურადღება ექცევა მის ფორმას,  
მორაობის შეზღუდვას, სისხლის ძარღვების გაგანერებას და  
მათ პულსაციას, ფარისებრი ჯირკვლის ცვლილებებს, ლიმფუ-  
რი კვანძების გაღდლებს.

პიპერტენიული კონსტიტუციის პიროვნებებს აქვთ მოკლე  
და სქელი კისერი. ასეთივე კისერი აღინიშნება სიმსუნის, მიქ-  
სედემის, ფილტვების ემფიზემის დროს. წერილი და ნარვრლე-  
ბული კისერი აქვთ ასეტონური კონსტიტუციის მამაკაცებს,  
რომელთაც კარავდ უჩანთ ხეანის — ადამის ვაზლი“. კისრის  
სიგამდებ დამახასიათებელია აღინიშნური დისტროფიისათ-  
ვის, პიპოფიზული კახეკსისათვის, ქრონიკულად მიმდინარე  
ტუბერკულოზური ინფექციისათვის და სხვა.

კისრის მოძრაობა შეიძლება შეიზღუდოს ხერხემლის კის-  
რის ნაწილის დაზიანების შემთხვევაში. ტერნერის სინდრომის,  
ისევე როგორც კლიპელფელის სინდრომის დროს, კისრის  
მოძრაობა მნიშვნელოვნადდა შეზღუდული, ამასთან ერთად კის-  
რზევე აღინიშნება „მარაოსებრი“ ნაოჭები, რომლებიც მიემარ-  
თება კისრიდან ლატერალურად მხრებისაკენ („Webbed Neck“  
— ინგლ.). აღნიშნულ ნაოჭებს ზოგჯერ საცურაო აკის ადარე-  
ბენ (pterygium coli).


ზედა ღრუ ევენაზე შესასყარის სიმსინეების და ზოგჯერ  
აორების ანეგროზის ზენილისას ვითარდება კისრის შემუშება,  
რომლის ფონზე ჩანს კისრის ვენების მკვეთრი მსხივება, მათში  
სისხლის შეგუბების გამო — „ტოქოსის საყელი“. კისრის ვენების  
მსხივება და პულსაცია ჩანს აგრეთვე სამკაროანი სარკვლის ნაკ-  
ლოვანების დროს — ე. წ. დაღებითი ვენური პულსი. აორტის სარ-  
კვლის ნაკლოვანების დროს კისრზე აღინიშნება საძილე არტე-  
რიების პულსაცია — „პარტრების ცეკვა“. ამ მასის დროს შე-  
ინიშნება ადამის ვაშლის და ზორის მოძრაობა ზეითი-ქვეით  
(ოლივე-კარდავლის სიმპტომი), სინქროული გულის შემოა-  
ბასთან. კარტრების პულსაცია, აორტის სარკვლის ნაკლოვ-  
ანების გარდა, შეიძლება გამოხატული იყოს ძლიერი ანემიის, პი-  
პოთირიზმის, ათეროსკლეროზის დროს, როდესაც ის შეუღლე-  
ბული პიპერტენიზმისთან. აორტის პულსაცია შეიძლება გამოხა-  
ტული იყოს საძილე არტერიების ანეგროზის შემთხვევაშიც.

კისრის დათვალერებისას ფარისებრი ჯირკვლის გაღდება  
აღინიშნება ბაზედოვის დაავადების დროს. გაღდებულ ფარის-  
ებრი ჯირკვალ უკეთ ჩანს, თუკი ავადმყოფს ნერწყვს გადა-  
ვაცლაბებთ. ამ დაავადების შემთხვევაში ფარისებრი ჯირკვალი,  
ჩვეულებრივ, დიფუზურადდა გაღდებული. დასანყისში ის პალ-  
პაციით რბილია, შემდეგ თანდათანობით მკვეთრდება. ზოგჯერ  
აღინიშნება მისი მხოლოდ ერთი ნილის გაღდება. ზოგჯერ შე-  
დარებით რბილი კონსისტენციის ჯირკვლით ხერხდება ცალკე-  
ული მკვეთრი უბნების პალპაცია. პალპაციით შესაძლებელია ჯირკვ-  
ლის უმუცლოების შეგრძნება. მნიშვნელოვნად შეიძლება გა-  
ღდდეს ფარისებრი ჯირკვალი ენდემური ჩიყვის დროს (სურ.  
33). ფარისებრი ჯირკვლის გაღდება აღინიშნება აგრეთვე ფარის-  
ებრი ჯირკვლის ანთების — თორიოდიტის, ჯირკვლის კი-  
ბოს და სარკომის შემთხვევაში — ავთისებინი ჩიყვი.

კისრის მიდამოში ლიმფური კვანძები გაღდებულია ტუ-  
ბერკულოზის, ლიმფოუემკმის, ლიმფოგრანულომატოზის,  
კიბოს მეტასტაზების შემთხვევაში. გადატანილი ტუბერკულო-  
ზური ლიმფადენიტის შემდეგ კისრის ვერკრდით ზედაპირებზე  
ხშირად აღინიშნება უხეში ნაწიბურები.

კისრის დათვალერებისას ყურადღება უნდა მიექცეს სა-  
წერწყვე ჯირკვლების მდგომარებას. ყაყურის დროს დიდდე-  
ბა ყურის უჯანა ჯირკვლები ცალმხარე ან ორივე მხარეს (მიკუ-  
ლოზის სინდრომი). აღნიშნული ჯირკვლების გაღდება დამახა-  
სიათებელია აგრეთვე შერერის სინდრომისათვის.

კისერზე, უჯან, ხშირად ჩნდება ფურულკულები და კარბუნ-  
კულები.



სურ. 33 ფარისებრი ჯირკვლის გადიდება

### ლიმფური კვანძები


ლიმფური კვანძების შესასწავლად ინსექციის პარალელურად მშრდათაგან ლიმფური კვანძების პალპაციასაც, რომელიც ლიმფური კვანძების გამოკვლევის ძირითადი მეთოდია. ლიმფური კვანძების პალპაციის ანარჩოებზე გამოსაკვლევ მიდამოზე ხელის ნელი გადასმით, სადაც საშუალებაა, თითების ბოლი ზედაპირით, თუ ამის საშუალება არ არის, თითების ბოლი ფაღალზეთით. ლიმფური კვანძებს ვათალურებთ კისრის, ყვეის, ყბის ქვეშ, ყბა-ყურის, ლაუნზედა და ლუარქვედა მუცლისებში, ილიის ფოსოში, იდაყვის, საზარდულის მიდამოებში, მუხლის ქვეშ (სურ. 34). ლიმფური კვანძები ზოგჯერ პალპაციით შეიძლება გაიხიროს მუცლის ღრუშიც. ლიმფური კვანძები შეიძლება გადიდდეს პერიაროჩქულად, შუასაყარის მიდამოში. რასაკვირველია, აქ მათი გასინჯვა პალპაციით არ ხერხდება. წირმის დროს ლიმფური კვანძები არ ჩანს და ისინი პალპაციით არ ისინჯება. თუკი ლიმფური კვანძები ისინჯება პალპაციით, შეიძლება ვილაპარაკოთ მათ გადიდებაზე. ინსექციით ჩანს მხოლოდ მნიშვნელოვანად გადიდებული ლიმფური კვანძები. მნიშვნელოვანი კანის დათვალიერება ლიმფური კვანძების ლოკალიზაციის მიდამოში. ლიმფური კვანძების გადიდებისას ვაგასებთ მათი გადიდების ხარისხს, სიმკვრივეს, მოძრაობის უნარს, მტკიცეულობას, ვადგენთ ერთ ლიმფური კვანძი გადიდებულ, თუ ისინი გადიდებულია ვაფუფურად — ლიმფური კვანძების პაკეტი, კონგლომერატი. უნდა შევისწავლოთ მათი კანთან და ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან შემჭიდროვების და ზოგ შემთხვევაში (დამბლის და დაჩირკების დროს) ფლუქტუაციის არსებობა (თავისებური რხევის, მერყეობის პალპაციური შეგრძნება ჩირკის არსებობის დროს). ლიმფური კვანძების სირბილად ლაპა-

რაკობს ახალ პათოლოგიურ პროცესზე, სიმკვრივე — მათში შემავრთვებელი ქსოვილის განვითარებაზე, სკლეროზზე. ლიმფური კვანძების ხორკლიანობა მათი მკვრივი კონსისტენციის შემთხვევაში დამახასიათებელია სიმსივნური პროცესებისათვის, კონტურების ნაშალ მითითებს არა მარტო თვით ლიმფური კვანძის, არამედ ირგვლივ მდებარე ქსოვილის ანთებაზეც — პერიადენტი. ლიმფური კვანძების მტკიცეულობა და კანის სინთილე იმავე მიდამოში ლაპარაკობს მათ მწვავე ანთებაზე, ლიმფური კვანძების უმძიმრობა — მათ ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან მხობრებაზე. გადიდებული ლიმფური კვანძი ზომით შეიძლება იყოს ფეტვის, მუხუნდის მარცვლის, თხილის, ქლიავის, ქათმის კვერცხის, მუშტის ოდენა და ა.შ.

ლიმფური კვანძები შეიძლება გადიდდეს რეგიონულად (ადგილობრივად), ან სისტემურად (ზოგადად). ლიმფური კვანძების ადგილობრივი, ე.წ. რეაქტიული გადიდება (ლიმფადენიტი) აღინიშნება ინფექციური კერის არსებობის დროს ლიმფის დინების მიმართულებით. მაგალითად, იდაყვის და ილიის მიდამოში ლიმფური კვანძები დიდდება მტკევის არეში რაიმე ჩირქოვანი ანთების შემთხვევაში. ამ დროს კიდურის კანზე შეიძლება ენახოთ მონითალო ზონარი — ლიმფური სადინარის ანთება (ლიმფანგიტი). ადგილობრივად კისრის მიდამოში ლიმფური კვანძები დიდდება ტონზილიტის დროს, ყბის ქვეშ — პირის ღრუში ანთებითი პროცესების არსებობისას (სტომოტიტი, ვინგივიტი), ყურის ნივარის უკან — თავის კანის ინფექციის შემთხვევაში, საზარდულის მიდამოში — ქვემო კიდურებზე ჩირქოვანი პროცესის დროს, ათამანის (მავარი მანკრის) და სხვ. შემთხვევაში. ლიმფური კვანძების ადგილობრივ გადიდებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კბობს მტკასტაზების დროს. ილიის ფოსოში უმტკიცეულო ლიმფური კვანძი შეიძლება გაესინჯოთ ძუძუს კბობს დროს. მარცხედა ლაინზედა ფოსოში ზოგჯერ ისინჯება პატარა ზომის, მკვრივი ლიმფური კვანძი, რომელიც კუჭის კბობს მტკასტაზია (კარხობის ვირკეალი). უფრო იშვიათად ამ მიდამოში ლიმფური კვანძები შეიძლება გადიდდეს ნაწლავის კბობს მტკასტაზირების შედეგადაც (სურ. 35, 36, 37, 38).

ლიმფური კვანძების სისტემური გადიდება აღინიშნება ლიმფოლიემიის, ლიმფოსარკომატოზის, ლიმფოგანგლიომატოზის, უფრო იშვიათად ტუბერკულოზის, სარკოიდოზის, ათამანის, სისტემური ნითლი მკლურას, რევმატოიდული ართრიტის, ბრლე-ლიმფოზის დაავადების (მსხვილფოლიკულოური ლიმფობლასტომა) დროს. ლიმფური კვანძების გადიდება დამახასიათებელია ისეთი ინფექციური დაავადებებისათვის, როგორებიცაა ქუნთრუშა, დიფთერია, ინფექციური მონონუკლეოზი, ადენოვირუსული ინფექციები, ზოგჯერ ნივლეა. ლიმფური კვანძები დიდდება აგრეთვე შავი ჭირის, ტულარემიის, ციმბირის ნყლეულის დროს.

ტუბერკულოზის შემთხვევაში ლიმფური კვანძები ყველაზე ხშირად დიდდება კისრის მიდამოში. დასაწყისში ისინი მოძრავია, სადა, შემდგომში ერთდება პაკეტებად, მკვრივდება და ნაკლებად მოძრავი ხდება. ისინი ჩირქდება, იხსნება კანზე, ქმნის ფისტულას, რომელიც ზორცდება კანქვეშა ქსოვილთან შეერთებული უხეში ნაწინურებით. ლიმფოგანგლიომატოზის დროს ლიმფური კვანძები კისრის მიდამოში ზოგჯერ შეიძლება მუშტისებლა გადიდდეს, მათ დაჩირკება არ ახასიათებს. სარკოიდოზის დროს აგრეთვე აღინიშნება ლიმფური კვანძების გადიდება კისრის მიდამოში. ათამანისათვის დამახასიათებელია ლიმფური კვანძების გადიდება იდაყვის მიდამოში; ისინი პატარა ზომის, უმტკიცეულო და მოძრავი არიან.




სურ. 34 ლომფური კვანძების პალაცია

**კიდურები**


კიდურების შესწავლა საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ დამბლები, კუნთოვანი ატროფიები, კრუნჩხვები, კანკალი, ძვლების და სახსრების, თითების, ფრჩხილების ცვლილებები და სხვა.

**კუნთები**


კუნთოვანი სისტემის განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ავადმყოფის მუშაობის ხასიათთან, გავარჯიშებასთან და ა.შ. კუნთების გამოკვლევა ხდება როგორც ინსპექციით, ასევე პალპაციით. ყურადღებას ვაქცევთ კუნთების მოცულობას და ტონუსს (დაძაბულობის დონეს, რომელიც შეიძლება იყოს მომატებული — ჰიპერტონუსი ან დაკლებული — ჰიპოტონუსი). ვიკვლევთ ზოგიერთი ჯგუფის კუნთების ძალას, კუნთოვანი ატროფიის (განღვეის), კონტრაქტურის არსებობას, მტკივნეულობას პალპაციით. კუნთების პალპაცია წარმოებს თითებით მსუბუქად, ისე, რომ კანის და კანქვეშა ქსოვილის ქვეშ გაისინჯოს კუნთების ზედაპირი. კუნთების მტკივნეულობა პალპაციით აღინიშნება მიოზიტების, დერმატომიოზიტის დროს. კუნთების ატროფია, მათი ტონუსის და ძალის დაქვეითება ვითარდება ასე თუ ისე ხანგრძლივი უმოქმედობის, შიმშილის, მძიმე დამაძაბუნებელი დაავადებების — ალიმენტური დისტროფიის, ენტეროგენული და ჭრილობისმიერი დაძაბუნების, პიოფიზური კახექსიის, შპერიანი დიაბეტის, კიბოს, ტუბერკულოზის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებისას (პოლიომიელიტი, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა) და სხვა. კუნთების, განსაკუთრებით კი-




სურ. 35 გაღივებული ლომფური კვანძი კისრის მიდამოში



სურ. 36 გაღივებული ლომფური კვანძი საზარდლის მიდამოში



სურ. 37 გადიდებული ლიმფური კვანძი ილიის მიდამოში



სურ. 38 ლიმფური კვანძი მარცხენა ლაინზედა ფოსოში — ვირხოვის ქვანძი

დურების, ადგილობრივი ატროფიისას (საჭიროა კიდურების ერთმანეთთან შედარება, მათი გარშემოწერილობის გაზომვა. კუნთების ადგილობრივი ატროფია შეიძლება განვითარდეს სათანადო კილონის ძელების, სახსრების, ნერვების დაავადებით გამოწვეული ხანგრძლივი უმოძრაობის შედეგად. კუნთების ატროფია ფასდება პალპაციითაც.

ინსექციით შეიძლება დაეადგინოთ კუნთების დამბლის არსებობა. კუნთოვანი დამბლა ეწოდება მათი შეკუმშვის უნარის დაკარგვას. არის სრული და არასრული დამბლები. არასრულ დამბლას პარეზი ეწოდება. ამ დროს აღინიშნება კუნთების მოძრაობითი უნარის ანა თუ იმ ხარისხის დაქვეითება. შემოკლებული სხეულის ერთი ნახევრის სრული დამბლა. შემოკლებულის დროს

ავადმყოფი კიდურებს დამოუკიდებლად ვერ ამოძრავებს და ის პასიურად ვარდება, თუკი ექიმი მას ასწევს.

ინსექციით შეიძლება აღინიშნოს კუნთების კრუნჩხვითი მოძრაობები. ისინი შეიძლება იყოს ზოგადი და ადგილობრივი. ამ დროს კუნთების ტონუსი მომატებულია. თუ კრუნჩხვები გრძელდება ხანგრძლივად, რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე და რამდენიმე დღეც კი, ლაპარაკობენ ტეტანურ კრუნჩხვებზე. თუ კრუნჩხვითი მოძრაობები სწრაფად სდევს ერთმეორეს და მონაცვლეობს მოდუნების პერიოდებთან — ასეთ კრუნჩხვებს კლონური ტიპისას უწოდებენ. ტეტანური კრუნჩხვები არის მენინჯიტის (კეფის მიდამოს რიგებობა), ტეტანუსის დროს, სტრიქინითი მონამელისას, როდესაც ვითარდება კუნთოვანი კონტრაქტურები, მათი მოძრაობის შეზღუდვა. ტეტანუსის დროს ავადმყოფებს აღენიშნებათ ტრიზმი — პირის გაღების შეუძლებლობა. ტეტანური მძიმე კრუნჩხვები, უპირატესად სუნთქვითი მუსკულატურის, ვითარდება ცოფის დროს. კლონური კრუნჩხვების მავალითაა სახის კუნთების კრუნჩხვა — თამამი (ტიკი). კრუნჩხვა „მეანის თითების“ სახით აღინიშნება პარათირეიდული ან ვასტრალური ტეტანის, ჰიპოკალციემის შედეგად, ზოგჯერ ნევრასთენიის დროს. კრუნჩხვები ვითარდება მწვავე ნეფრიტის შემთხვევაში განვითარებული ეკლამსიური ურემიის, ორსულთა ნეფროპათიის, ზოგჯერ ქემატარგიის, ისტერიის დროს, დიაფრაგმის ადგილობრივი კრუნჩხვითი მოძრაობა ვითარდება სლოკინის შემთხვევაში. შეზღუდული არა კოორდინირებული კრუნჩხვითი მოძრაობები დაზარალდა სისათებელია ქორეისათვის.

კუნთების კანკალი ვითარდება შემცივნების, ცხელების, აღლელების დროს. კანკალი აღინიშნება მორფოქიით, ალკოჰოლით, ტყვიით მონამელისას. კუნთების რითმული კანკალი (ტრემორი) ძალიან დამახასიათებელია ბაზელდის დაავადებისათვის. კანკალი ამ დროს განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუკი ავადმყოფს ხელებს წინ გაავანეინებთ გაჩაჩხული თითებით. კუნთების კანკალი არის მრავლობითი სკლეროზის, პარკინსონიზმის დროს, აღინიშნება ლოთებში.

კუნთების პალპაციით შეიძლება დაეადგინოთ შემუშებული და გამკვერიებული უბნები. ეს უკანასკნელი შეიძლება ვეკონდეს ტრიქინელოზის დროს.

### ძვლები

ძვლოვანი პათოლოგიის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მინერალიზაციისათვის. ძვლების ცვლილებები ვითარდება აკრომეგალიის, რაქიტის, ჰუჯეტის დაავადების, მარფანის სინდრომის, ოსტეომალოზის, ენდოსტოზის, ტუბერკულოზის, ათამანის და სხვა დროს. ძვლების დათვალეორებისას ყურადღებას ვაქცევთ სხვადასხვა დეფექტს, გამრუდებას, გამორეკლობას თავის ქალაზე, კიდურებზე, გულმკერდზე და ხერხემალზე დაკავშირებულ ძვლების ცვლილებებთან. მაგრამ მცირედ გამოხატულ ცვლილებებს შევიგრძნობთ მხოლოდ პალპაციით. პალპაციით ვლინდება ძვლების მტკივნეულობა, მათი ზედაპირის უსწორმასწორობა, ძვლოვანი კოიციტების, მოტეხილობის არსებობა. რასაკვირველია, ძვლოვანი პათოლოგიის უკეთ შესწავლისათვის უნდა მივმართოთ რენტგენოლოგიურ გამოკვლევას.

აკრომეგალიის დროს დეფორმაციას განიცდის თავის ქალის ძვლები, რაზეც უკვე იყო ლაპარაკი. ამის გარდა, დიდდება კიდურების პერიფერული ძვლები — ხელის თითები, ფეხის თითები. რაქიტის ვადატანის შემდეგ აღინიშნება ქვედა კიდუ-

რების გამრუდება, ე.წ. „ქათმის გულკერდი“, ე.წ. „რაქიტული კრიოლასიზი“ — ნეკნების გამსხვლება, მათი ხრტილებში გადასვლის მიდამოებში. ათამანგისათვის დამახასიათებელია ნევიის დიდი ძვლების პერიოსტიტი, მათი მტკივნეულობა პალპაციით, ღამის ტკივილი, ნევიის ძვლების გამრუდება — „ხმლის ფორმის“ ნევიები. ტუბერკულოზური ოსტეომიელიტი უფრო ხშირად ლოკალიზდება ძვლების ეპიფიზებში. ის ხასიათდება დარჩეუბებით და ფისტულების წარმოქმნით. ლეიკემიის, მიელომური დაავადების, ზოგჯერ ადისონ-პირმერის ანემიის დროს აღინიშნება ბრტყელი ძვლების, კერძოდ, მკერდის ძელის მტკივნეულობა პალპაციით და პერკუსიით. მიელომური დაავადების დროს ხშირად ვითარდება ძვლების სპონტანური — პათოლოგიური მოტეხილობა. ძვლების პათოლოგიური მოტეხილობა შეიძლება გვექონდეს ძვლებში კიბოს მეტასტაზირებისას და სხვა. მარფანის სინდრომისათვის დამახასიათებელია გამოხატული გრძელი კიდურები (არქონდაქტილია), „მადონას“ ან „ობობას მსგავსი“ თითები, ძაბრისებური გულმ-



სურ. 39 მარფანის სინდრომი

კერდი (სურ. 39). კლიკულ-ფეილის სინდრომის დროს აღმაინან შეიძლება არ ქონდეს ან შემცირებული ქონდეს კისრის მალეები — „უკისო ადამიანი“. სკულოდერმიოზისთვის დამახასიათებელია რინოს სინდრომი, თითების უკანასკნელი ფალანგების დანუღლება, რომელსაც ადარებენ „ერთთავის ნაკებებს“, აღნიშნული ფალანგების დამოკლება მათი ოსტეოლიზის — დაშლის შედეგია.

ქვედა კიდურების დათვალეირებისას შეიძლება აღინიშნოს ბრტყელტრფიანობა, რაც ზოგჯერ ტერფების და წვივების კუნთების ტკივილს იწვევს.

მალეების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ხერხემლის დეფორმაცია, აგრეთვე გულკერდის ფორმის შეცვლა. ყველაზე ხშირად აღინიშნება კოფოზი — ხერხემლის გამრუდება უკან. ხერხემლის წინ გამრუდება შედარებით იშვიათია, მას ლორწოზი ეწოდება. ხერხემლის გამრუდება გვერდზე სკოლიოზია. ხერხემლის გამრუდების შედეგად ვითარდება კუზი (scoliosis) (სურ. 40). მადეფორმირებული ოსტეოართროზის (მეტატრეე-შტრიუმულ-პიერ მარის დაავადება) დროს მალეების შეზორცევის შედეგად ვითარდება მათი მოძრაობის შეზღუდვა, შემდეგ კი სრული უმოძრაობა — ანკილოზი. ამ დროს ავადმყოფი რკალიეთი მოხრილია (სურ. 41).

სახსრები

სახსრების ცვლილებების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტიკაში. ინსპექციით ვადგენთ სახსრების კონფიგურაციას, მათი მოძრაობის უზარს, ამპლიტუდას, აქტიურ და პასიურ მოძრაობებს, მოძრაობის შეზღუდვას, მტკივნეულობას, კანის ცვლილებებს სახსრების მიდამოში, ადგილობრივი შეშუპებების არსებობას და სხვა. სახსრის



სურ. 40 კუზი




სურ. 41 ავადმყოფის პოზა ბეტტერეის დაავადების დროს


ანთების — ართრიტის დროს მისი ფორმა იცვლება. ხდება სახსრის კონტურების გადასწორება. კანი სახსრის მიდამოში მწვავე ანთების დროს პიპერმირებულა, პრაილეს, შეიძლება იყოს შესწევბული. სახსრის ღრუში შეიძლება დაგროვდეს სითხე. ამ შემთხვევაში მისი ზომა მნიშვნელოვნად მატულობს. ამ დროს აუცილებელია დაზიანებული სახსრის შედარება სიმეტრიულ სახსართან ორივე მხარეს. სასურველია სახსრების გარშემოწერილობის განსაზღვრა სანტიმეტრებით. ზოგჯერ აღინიშნება გარემოცველი ქსოვილის შეშუპება. პალპაციით არის მტკივნეულობა. შეიძლება შევიგრძნოთ ფლუქტაცია. სახსრების ქრონიკული დაავადების დროს მათი მოძრაობისა შეიძლება მოვისმინოთ თავისებური ხრამუნნი, რომელიც კარგად შეიგრძნო-



სურ. 42 სახსრების დეფორმაცია რევმატოიდული პოლიართრიტის დროს



სურ. 43 სახსრების დეფორმაცია რევმატოიდული პოლიართრიტის დროს



სურ. 44 პეტერდენის კვანძები

ბა სახსრის ხელისგულთი პალპაციისას. ერთი სახსრის ანთებას მონიაროიტი, სახსრებით მრავლობით ანთებას — პოლიართრიტი ეწოდება.

სახსრების და ზიანება აღინიშნება რევმატიზმის, რევმატოიდული ართრიტის, პოდაგრის, მადეფორმირებელი ოსტეოართროზის, ინდექციური სნეულებების, ალერგიული და სხვ. დაავადებების დროს.

რევმატიზმის მწვავე ფორმის დროს ადგილი აქვს უპირატესად მსხვილი სახსრების (მხრის, იდაყვის, მუხლის, კოჭ-წევის) მრავლობით ანთებას. და ზიანებას ახასიათებს სიმეტრიულობა და მუზონიუ ხასიათი. ხდება ანთებითი ცვლადების გადასაცვლად ერთი სახსრიდან მეორეზე. ზოგჯერ გამოხატულია ისეთი ძლიერი ტკივილი, რომ ავადმყოფი უძიარო, ზურგზე ნოლთი მდგომარებაშია. სახსრების ანთება რევმატიზმის დროს გამოხატულია დასალოებით 2-4 კვირის მანძილზე და განიცდის სრულ უკუგანთიარებას. ამდენად, წარსულში არსებული სახსრების ანთების შედეგად, თუკი ავადმყოფს დარჩა დეფორმაციები სახსრების შრივ, რევმატიზმის დაგნოზი სრულად გამოიუხეხელია. მსხვილი სახსრების დაზიანება დამახასიათებელია აგრეთვე ბრუცელეზისთვის. ამ დროს ხშირია ბურსიტები (სახსრის სინოვიალური აბვის ანთება).

რევმატოიდული პოლიართრიტის დროს შეიძლება დაზიანდეს ნებისმიერი სახსარი. დამახასიათებელია დილაობით სახსრების მოძრაობის შეზღუდვა. ყველაზე ხშირად ზიანდება ხელის

მტევნის პროქსიმალური ფალანგთაშორისო სახსრები, რაც აძლევს მათ თითისტარის ფორმას. თანდათანობით ხდება თითების ლატერალური განზიდვა და მათი დეფორმაცია „ლილის კილოს“, ასო „M“-ის ფორმით. ვითარდება ექსტენზორული კუნთების ატროფია, რის შედეგადაც ადგილი აქვს მტევნების უზარულ დეკიაციას (მტევნის თითების გადახრა იდაყვის ძელისკენ), რის გამოც დეფორმირებული მტევნების ფორმას ადარებენ „ეკიდის ყელს“, „შორვის“ (ლომვეშაპას) ფარფლს (სურ. 42, 43).

სისტემური ნითელი მგლურასათვის დამახასიათებელია მიგრაციული („მფრინავი“) ართრიტები. ზიანდება მტევნის როგორც ნეოილი, ასევე მსხვილი სახსრები.

პოდაგრისათვის დამახასიათებელია ტერფის დიდი თითის, უფრო იშვიათად კოჭ-წევის, მუხლის, იშვიათად სხივ-მავის, იდაყვის, ხელის მტევნის სახსრების დაზიანება. პერიარტიკულურ ქსოვილებში აღინიშნება შარდვაეაის მარილების — ტოფუსების დაგროვება (იდაყვის, ტერფების მიდამოებში, ხელის მტევნის თითებზე, ყურის ნიფარებზე).

მადეფორმირებელი ოსტეოართროზი აზიანებს უპირატესად მსხვილ — მენჯ-პარძაყის და მუხლის სახსრებს, აგრეთვე ხელის ფალანგთაშუა დისტალურ სახსრებს. ხელის თითების დისტალურ ფალანგთაშუა სახსრების მიდამოში აღინიშნება ე.წ. პეტერდენის კვანძები (სურ. 44). უფრო იშვიათად, ხელის თითების პროქსიმალური სახსრების მიდამოში შეიძლება ენა-



ხოთ ე.წ. ბუშარის კვანძები. ამ პათოლოგიისათვის დამახასიათებელია სახსრების დეფორმაციის განვითარება ანკილოზით. სახსრების ანთება მათი დეფორმაციებით შეიძლება განვითარდეს ფსორიაზის დროსაც.

სახსრების რეაქტიული ანთება ვითარდება ინფექციური დაავადებების — ანგიის, დიზენტერიის, იერსინიოზის, ვირუსული ქეპატიტის, ნითურის, ყაყურის, სოკოვანი ინფექციების, ინფექციური ენდოკარდიტის დროს. გონორეის დროს ზიანდება უპირატესად მუხლის სახსარი — გონორეული გონიტი. ტუბერკულოზი განსაკუთრებით ხშირად აზიანებს მენჯეპარდაყის სახსარს. ტუბერკულოზური ართრიტის შედეგად ვითარდება სახსრის უმოძრაობა — ანკილოზი. რევურის სინდრომისათვის დამახასიათებელია ტრიადა — პოლიარტრიტი, ურთერტიტი, კოჩინუქციტი. სახსრების ანთება აღინიშნება მრატისმიერი დავადების შემთხვევაში. ართრიტები შეიძლება ტრავმული ხასიათისაც იყოს. პემოფილიის დროს, შვიდ ტრავმის შემთხვევაშიც კი, სისხლის ჩაქცევების შედეგად შეიძლება განვითარდეს სახსრების დაზიანება — *პემოფილია* ზო.

### თითები და ფრჩხილები


„*მკვლედი თითის*“ — რენოს სიმპტომის დროს ვითარდება ხელის და ფეხის თითების მკვეთრი სიფერმართალე სისხლძარღვთა სპაზმის გამო. ისინი ამ დროს ცივია პალპაციით და მათი მგრძობიერება ქვეითდება. ზოგჯერ ხანგრძლივი სპაზმის შედეგად შეიძლება განვითარდეს თითების გაზარება (სურ. 45). თითების გაზარება შეიძლება განვითარდეს აგრეთვე შაქრიანი დიაბეტის, მათობლიტირებელი ენდარტერიტის, კიდურების არტერიტების ათეროსკლეროზული შეცინაობის დროს. რენოს სიმპტომი, სკლეროდერმიის დროს, შეიძლება განვითარდეს არტერიული პიპერტენზიის, ნეფრიტის დროს და სხვა.

ფილტვის ქრონიკულად მიმდინარე აბსცესის, ბრონქოექტაზიის, ფილტვის კიბოს, ლეიშმის ციხის, ინფექციური ენდოკარდიტის, გულის ზოგიერთი თანდაყოლილი მანკის დროს აღინიშნება თითების პერიფერიული ფალანგების თავისებური გამსვილება — „*პიპოკრატის თითები*“, ანუ „*კომპლინსებული თითები*“, რაც დაკავშირებულია რბილი ქსოვილების ცვლილებების განვითარებასთან. ამ დროს იცვლება ფრჩხილების ფორმაც; ისინი ამოწმებულია და ჰგავს საათის მინას — „*საათის მინის*“, „*ბრჭყალის*“ ფორმის ფრჩხილები (სურ. 46). ფრჩხილების სიფერმართალე დამახასიათებელია ანემიისათვის, ციანოზი გულის და ფილტვების დაავადებებისათვის.



რკინადეფიციტური ანემიისათვის დამახასიათებელია თხელი, ბრტყელი, ჩანჩქელი („*კოუ ზის*“ ფორმის) ფრჩხილები („*კოილონია*“). ისინი ადვილად მტვრელადია და იხიზრება პალპატებად. აღინიშნება აგრეთვე მათი განივი და განსწორებული ფრჩხილების მსგავსი დეფორმაციები შეიძლება განვითარდეს ზოგიერთი ავტამინოზის და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაღრვევისას.

### პალპაცია

პალპაცია (ლათ. palpato — ხელით გასინჯვა) ავადმყოფის ფიზიკური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, დამაჩრებელი მუხებით შეგრძნებებზე. ავადმყოფის გასინჯვისას პალპაციით ხელის თითების და ხელისფლების სხეულზე მოძრაობისას და დანაოლის ელემენტთა გარკვეულ შეგრძნებებს, რის



სურ. 45 თითების გაზარება



სურ. 46 კომპლინსებული თითები, საათის მინის ფორმის ფრჩხილები

მიხედვითაც ვადგენთ გამოსაკვლევი ქსოვილების და ორგანოების თვისებებს: მდებარეობას, სიღრმეს, ფორმას, ზედაპირის ხასიათს, სიმკვრივეს, მოძრაობას, პულსაციას, ტემპერატურას, სინოტივეს, ტოპოგრაფიულ ურთიერთდამოკიდებულებას სხვა ორგანოებთან. ამის გარდა, პალპაციით ვადგენთ შეგრძნებებს, რომლებიც ამ დროს განიცდის ავადმყოფი — ანეული მგრძობიერობა, მტკიცეულობა, რაზეც ჩვენ ვმსჯელობთ ავადმყოფის რეფლექსური მოძრაობით, მიმოიყის მიხედვით ან რასაც

ვიცნობთ ავადმყოფის ნათქვამიდან.

პალპაციას იყენებდნენ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, რაზეც მოწმობს ამ მეთოდის მოხიზნება პიპოკრატის შრომებში. აღნიშნული მეთოდით ძველი ეგვიპტე იყვლდნენ მაჯას, აგრეთვე აფასებდნენ კანის (გამონაყარი, ტემპერატურა), ძვლების და სახსრების მდგომარეობას, სინჯავდნენ გაღივებულ ლეიშმს და ელენოსას, სიმსივნურ ნარჩონაქმენს. მაგრამ პალპაციის მეთოდის ფართო გამოყენება დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნეიდან, როდესაც მონოდებული იქნა პალპაცია გულის მწერეგალის ზიძის, გულმკერდის მგერითი რხვის, მუცლის ღრუს ორგანოების სისტემატური შესწავლისათვის და სხვა, რაშიც განსაკუთრებულ დამახასიათებელ მოქმედით ლაენკეს, პიროის, მკოდას, სპოტკინს, გლენარს, ეობროზოვს.

პალპაციის დროს ავადმყოფი უნდა იყოს მოსახერხებელ პოზაში, ისე, რომ მისი მუსკულატურა არ იყოს დაძვრული. ის შეიძლება იდგეს, იჯდეს ან იხვევს ზურგზე ან ერთ-ერთ გვერდზე. თავის მიღებას, სისრის, გულმკერდის პალპაციისას ავადმყოფი, სასურველია, რომ იჯდეს ან იდგეს. მუცლის ღრუს ორგანოების გასინჯვის ოპტიმალურ საშუალებას იძლევა ზურგზე წოლა. ამ დროს ავადმყოფის თავი მხრეებთან ერთად იდნავ ნამოწმული უნდა პქირდეს, რაც მუცლის კუნთების დაჭიმულობას ამცირებს. ავადმყოფის ხელები მოთავსებული აქვს ტანის მარცხენი ან უდგეს გულმკერდზე, ფეხები ვალდებული აქვს ან იდნავ ანარევი და დაცული ერთობლივრს. ზოგიერთი ორგანოს გასინჯვისას (ელენ-

თა, თორქლები ავადმყოფი შეიძლება იწვევს გვერდზე. ზოგჯერ საჭიროა მუცლის ღრუს ორგანოების პალპაცია ჩაატარებინო ავადმყოფის ფეხზე დროის დროს. ზოგჯერ ავადმყოფის ათავსებენ მუხლ-დადგის მდგომარეობაში, რომლის დროსაც იქმნება ხელ-საყურელო პარაბები მუცლის ღრუს ზოგიერთი ორგანოს პალპაციისათვის. მიზანშეწონილია, რომ ექიმი იჯდეს ავადმყოფის სანოლ-თან მარჯვნივ და სახით ავადმყოფისაგან, რაც პალპაციას აძლევს მას ათავალიეროს ავადმყოფი და შეფასოს პალპაციის დროს აღმოცენებული მტკივნეულობის რეაქცია. სასურველია, ექიმის წინაშეაარ იყოს პირიზონტალურ მდგომარეობაში, ავადმყოფის ტანის ღონზე. ექიმის ხელები უნდა იყოს თბილი, მოქნილი, ფრხილები მოკლედ მოჭრილი. პალპაციის მოძრაობები უნდა იყოს მსუბუქი და ელასტიკური, ამავე დროს ფრთხილი, რომ შეძლებისდაგვარად არ გამოიწვიოს მტკივნეულობა.

პალპაციის გამოყენების სფერო დიდია და მას ვანარმოებთ თავიდან ქუსლებამდე. ექიმი პალპაციის ანარმოების ხელის თითებით, ზოგჯერ ხელისაგლით, მაგრამ ამ პროცესში უფველად მონაწილეობს მტკივნეული და მთელი ხელიც, რაც მნიშვნელოვანდ ზრდის შეხების სიზუსტეს და სიფაქიზეს. ორგანოს ან სისტემის გამოკვლევის მიზნის მიხედვით, პალპაციის ატარებენ სხვადასხვა ხერხით, მაგრამ ყოველთვის გარკვეული სისტემით და ნესით; მათ დაუტყველბას მიყვავართ გაურკვეველ, ზოგჯერ კი მცდარ შედეგებთან. ცალკეული ორგანოს და სისტემის პალპაციური გამოკვლევის დეტალური ტექნიკა მოცემულა სახელმძღვანელოს სათანადო თავებში. ზოგადად პალპაციით ნარმოებს კანის, კანქვეშა ქსოვილის, ლიმფური კვანძების, კუნთების, ძვლების, სახსრების, გულმკერდის, მუცლის ღრუს ორგანოების, თირკმლების, სასქესო ორგანოების გამოკვლევა. კანის პალპაციით ჩვენ ვმსჯელობთ მისი საფარველის მდგომარეობაზე, მის სისქეზე, ელასტიკურობაზე, ტემპერატურაზე, სინოტეზეზე, ვაფასებთ გამოსაყარს; კანქვეშა ქსოვილის პალპაციის დგინდება მისი სისქე, შემუპების, კანქვეშა ფეხიზე-მის არსებობა; ვადგენთ ლიმფური კვანძების ვადგობას, მათ სიმკვრივეს, მტკივნეულობას, მოძრაობის უნარს; კუნთების პალპაციისას ყურადღება მახებოვდება მათი მუცლობაზე, ტროუნაზე, მტკივნეულობაზე; ძვლების პალპაციით ვადგენთ მათ შედაბობს, მტკივნეულობას, სახსრების პალპაციით — მოძრაობის ამოღობას, მტკივნეულობას, ბრაშუნს, კონტრაქტურის, ანკილოზის არსებობას და სხვა, რაზეც წინ უკვე იყარა ლაბარაკი. პალპაციის მეთოდი ფართოდ გამოიყენება სასუნთქი სისტემის (გულმკერდის რეზონანსებთან, გულმკერდის ბუერიით რხევა), გულ-სისხლძარღვთა სისტემის (გულის მწვერვალის თვისებების, ატვის კრუტურის) სიმპტომის დასადგენად, პულსის თვისებების შესაფასებლად). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პალპაციას მუცლის ღრუს ორგანოების შესასწავლად; ავადმყოფის გამოკვლევის ძირითადი მეთოდებდნის ნამყვანია.

არჩევს მუცლის ღრუს ზერულ და ღრმა პალპაციას. საერთო ნესის მიხედვით, პალპაცია იწვება ჯანმრთელი მდამოდან და ჯანმრთელი მხრიდან და მხოლოდ შემდეგ ვადგინებთ დაავადებულ მდამოზე. ზერულ პალპაცია ნარმოებს ხელისაგლით, რომელიც თავისუფლად, ბრჭყლად, გაშლილი თითებით თავსდება მუცელზე და საპალპაციო მიჯამოზე დაწარბას თითქმის არ ახედნება. გამოსაკვლევ მდამოს იკვლევენ ფართო და მსუბუქი მცოცავი მოძრაობით. პალპაციის აღწერული მეთოდი კარგია სათანალო მდამოების პრეკვლად საორიენტაციო გამოკვლევისათვის და შეიძლება ჩაითვალოს რეორჯე ღრმა პალპაციის წინა

ეტაპი. ეს მეთოდი იყენებს ძირითადად შეხებით შეგრძნებას. ზერულ პალპაცია საშუალებას იძლევა გამოიყვლოთ მუცლის კედლის ზოგადი და ადგლობრივი დაჭიბულობა (კუნთოვანი დეფანსი), მტკივნეულობა, კუნთების ვაითება, მუცლის ღრუს ამათუ იმ ორგანოს (განსაკუთრებით ღვიძლის და ელენთის) მკეთორ ვადგობა, დიდი ზომის სიმსივნის არსებობა და სხვა.

მუცლის ღრუს ღრმა პალპაცია ნარმოებს თითებით და ამ დროს ხელი შედარებით პასიურია. ასეთ პალპაციას, შეხებით მიღებული შეგრძნების გარდა, საფუძვლად უდევს პათოლოგანი და „სიკრევი“ შეგრძნება და მისი მიზანია კონთოლოგიური ცვლილებების დეტალური გამოკვლევა და უფრო ზუსტი ლოკალიზაცია. პალპაცია ტარდება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი დენოლით. მუცლის ღრუს ორგანოების ღრმა პალპაციისას შეხებითი შეგრძნება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საპალპაციო ორგანოს სიმკვრივე გარემომცველი ქსოვილების სიმკვრივეზე მეტია. შედარებით რბილი ორგანოების (მაგ. ნანლაების) პალპაცია ხერხდება თითების მოძრაობით მხოლოდ მათი მიჭყლებების მუცლის უკანა კედელზე, აგრეთვე მკეროე „ქვესადამზე“ (მენჯის ძვლები, ექიმის ხელი, რომელიც მოთავსებულია ავადმყოფის ნელის ქვეშ და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ ავადმყოფი სუნთქავდეს ლა პირით, ღრმად, თანაბრად, მუცლით. პალპაციის დროს ხელს აღრმადებენ მუცლის ღრუში ამოსუნთქვის დროს, როცა მუცლის კუნთები დრნდება. მუცელში ხელის ჩაღრმავება უნდა მოხდეს თანდათანობით, ნელა და ფრთხილად. როდესაც ღრმა პალპაციის დროს საჭიროა ვადგალებათ მნიშვნელოვანი წინადადგობა, იყენებენ პალპაციას ორივე ხელით, ისე, რომ ის ხელი, რომელიც ნარმოებს პალპაცია, რჩება პასურად და მის თითებზე კი მეროე ხელის თითებით ნარმოებს ძლიერი დაწოლა.

კუნთოვანი დაჭიბულობის მოსახილვად, რაც ძალიან ხშირად დამოკიდებულია ავადმყოფის დამბულობასა და ნერულ მდგომარეობაზე; აგრეთვე მის მგრძობლობაზე, უნდა შევეცადოთ ავადმყოფის ყურადღება შევასუსტოთ ლაბარაკით, სუნთქვის რეგულაციით (მუცლის ტიპის სუნთქვა).

ვაბორმოების მერ მოწოდებულ იქნა მუცლის ღრუს ორგანოების უნ. მეთოდური მცოცავი პალპაციის მეთოდი, რომელიც ღრმა პალპაციის ერთ-ერთი ნარისახეობაა. პალპაცია მეთოდურია, რადგანაც ის ნარმოებს გარკვეული თანმიმდევრობით. მცოცავი პალპაციის არსი ის არის, რომ ავადმყოფის მერ ამოსუნთქვის დროს, როდესაც მუცლის დაჭიბულობა ციფრდება, ექიმი მოღუნული თითებით უახლოვდება მუცლის უკანა კედელს და ხდება მცოცავი მოძრაობა სათანადო ორგანოზე. აღწინშული მეთოდი საშუალებას იძლევა ადმოვიპრობოთ არა მარტო პათოლოგიური პროცესი, არამედ გარკვეულწილად ვაეხინჯოთ ჯანმრთელი ადამიანის მსხვილი ნაწლავი, კუჭი, პანკრეასი და სხვა.

ბიძვისებური პალპაცია (მალიბლიტირებელი) ღრმა პალპაციის ვაღივებური ნარისახეობაა. ის საშუალებას იძლევა ვაი-სისთვის ვადიდებული ღვიძლი, ელენთა, აგრეთვე სიმსივნური ნარმოინაქში, შამინ როდესაც მუცლის ღრუში დიდი რაოდენობით სითხეა დაგროვილი და ჩვეულებრივი პალპაციით ეს არ ხერხდება. ბიძვისებურ პალპაციას ატარებენ მარჯვენა ხელის ერთიმანეთზე მიჭირვარი გაშლილი თითებით, რომლებიც თავსდება მუცლის კედელზე ვეულად. მუცელზე ხდება რამდენიმე ხანმოკლე და ძლიერი ბიძვი, ისე, რომ თითები არ ცილდება მუცლის შედაპირს. ამ დროს თითებით შეიძლება შევეხიოთ გამოსაკვლევი ორგანოს. პალპაციის ეს ტექნიკა გამოიყენება კეი-

რისტიანის პალატიისათვისაც, მუხლის სახსარში სითხის არსებობის დროს.

ბიძნულური პალატიც გამოიყენება ძირითადად იორკმლების, აგრეთვე ლეილის, ელენისა და მუცილის ღრუში არსებული სიმსენების აღმოსაწმენად. პალატიც ხდება ორი ხელოთ. უფრო ხშირად პალატიცა აკეთებენ მარჯვენა ხელით, მარცხთა ხელი კი თავსდება გამოსაკვლავი ორგანოს ქვეშ (მაგალითად, ნელის მიდამოში თორქმლების პალატიცის დროს), ახდენს ამ მიდამოზე ზუნოლას, რითაც ხდება მისი ფისაცია და ნინ წამოიწევა გამოსაკვლავი ორგანო. ბიძნულური პალატიცით ზოგჯერ საშუალება გვეძლევა მოვიცვათ თორქმლები და სხვა გამოსაკვლავი ორგანო ორივე ხელით და დავადგინოთ მათი სიღრმე, ფორმა, სიმკვრივე, ზედაპირის თვისებები, მოძრაობა და სხვა.

პალატიცა ავადმყოფის კლინიკური გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია და მისი გამოყენების პრაქტიკა მომზობს, რომ მნიშვნელოვანი კლინიკური მონაცემების მიღებისათვის არააუცილებელი არა მხოლოდ გამოკვლევა და ვარჯიში, არამედ პალატიცის ზოგადი მეთოდის საფუძვლიანი დამუშავება და სხეულის სხვადასხვა მიდამოს პალატიცის ხერხების ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ ექიმის კარგად გაგარჯიშებული ხელები მისთვის მეორე წყვილი თვალებია" (მ.ჩერნორუცი).

### პერკუსია

პერკუსია (ლათ. percussio - სიტყვასიტყვით „ქანის გაელოთ“) ავადმყოფის ფიზიკური კვლევის მეთოდია დარტყმით, დაკრით. დარტყმის დროს ქსოვილებს ვარტყნი, რაც გამოცემს გარკვეულ ხმანობას, რის მიხედვითაც ვსჯვართ მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე. ეს საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ ერთი ორგანოს საზღვარი მეორისაგან. პერკუსიას, როგორც გამოკვლევის მეთოდს, იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ დროს, პიპორატუს ემოქიმმა. როგორც იმდროინდელი ნაწერებიდან ჩანს, ამ მეთოდით არჩევდნენ ასციტს მტკიურიზმისაგან. შუა საუკუნეებში პერკუსია, ისევე როგორც ავადმყოფის კვლევის სხვა ზოგიერთი მეთოდი, ცნობილი ძველ დროს, დივიჯეზულ იქნა XVII საუკუნის ბოლომდე. კვლევის აღნიშნული მეთოდის დამუშავება და პრაქტიკაში გამოყენება დაკავშირებულია ავსტრიული ექიმის ლუიგო აუენბრუერის სახელიან. აუენბრუერი, რომელიც სასტუმროს მუშაატორის შვილი იყო, ბავშვობიდანვე აკვირდებოდა, რომ მამამისი კასრში ლეივის დროს დასაგვანად ახდენდა მასზე დაკვრას. გახდა რა ექიმი, აუენბრუერმა დაიწყო ამ მეთოდის გამოყენება გულმკერდში სითხის დასადგენად და ფლტყემის დადავებების ამოსაცნობად. პერკუსიას ის ანარქობება მარჯვნივ ხელის შეერთებული თითების გულმკერდზე დარტყმით (პერკუსიის აუენბრუერის მეთოდი) პერკუსიის შესახებ 1761 წ. აუენბრუერმა გამოაქვეყნა შრომა „Inventum novum“. სამწუხაროდ, იმ დროს ეს გამოჩენილი ნაშრომი სათანადოდ არ შეფასდა და თითქმის ნახევარი საუკუნე დასტყდა პრაქტიკაში პერკუსიის დანერგვას. მხოლოდ 1808 წელს, აუენბრუერის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, ნაპოლეონ ბონაპარტის ლეიბ მედიკოსმა კორიზარმა გადათარგმნა აუენბრუერის ნაწიერი ფრანგულად თავისი გამოკვლეების დაშტყემით და გამოსცა ის, რის შემდეგაც პერკუსიამ საერთო აღიარება პოვა და სწრაფად დაიწყოცა საექიმო პრაქტიკაში. კორიზარმა გააფართოვა პერკუსიის გამოყენება, ის მას იყენებდა არა მარ-

ტო ფლტყემის, არამედ გულის დადავებების შესასწავლად. 1827 წ. ფრანგმა ექიმმა პიორიმ პერკუსიისათვის შექმნა სპეციალური იჭრიფიჭა - პლესიმეტრი (plessor - ვარტყმა, metron - ზომა), 1841 წ. ენტრეტმა შემოიღო სპეციალური საპერკუსიო ჩაქუჩი. პერკუსიის მეთოდის ახსნაში აუენბრუერის კანონების მომუქლიება და მისი მეცნიერული შეისწავლა ევენში მცხოვრები კლინიკისტის, შკოდის, დამასტურება (1839 წ.).

პერკუსიის საფუძვლად უდევს ფიზიკური მოქვენები. ცნობილია, რომ ამა თუ იმ სხეულზე დარტყმისას ეს უკანასკნელი ირრევა, რაც წარმოქმნის სხვადასხვა სიძლიერის, სიხშირის, ხანგრძლივობის და ფერადობის ხმანობას. სხვადასხვა სხეულის რხევითი მოძრაობის უნარი არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია მათ დრეკადობაზე. ჩვენი უფრო ალიქვემის დროს რხვეებს დაახლოებით 16-დან 20000-მდე სიხშირით წამში; უფრო მაღალი და დაბალი სიხშირის რხევები მართალია გამოსცემენ ხმას, მაგრამ ჩვენი ყური მათ ვერ იჭერს. იმ შემთხვევაში, როდესაც რხევებს აქვთ სწორი, პერიოდული ხასიათი, წარმოქმნილი ხმანობას აუკუსტიკური ენით ტონი ეწოდება. იდეალური სუფთა ხმანობას, მუსიკალურ ტონს, გვაძლევს კამერტონი, სიმი, ზოგიერთი მუსიკალური ინსტრუმენტი, მაგალითად, ფლიტა და სხვა. ადამიანის სხეულის სხვადასხვა მიდამოს პერკუსიის დროს აგრეთვე ეღებულობთ გარკვეულ ხმანობას. ჩვენს ქსოვილებს აქვთ სხვადასხვა დრეკადობა. ამასთან ერთად, პერკუსიის დროს მიღებული ხმანობა დამოკიდებულია ქსოვილებში შაერის არსებობაზე, შაერის შემცველი ორგანოს სხვა ორგანოებთან სიახლოვეზე, აგრეთვე წარმოქმნილი ხმანობის გარემოცველ ქსოვილებში გატარებულ რხევაზე. ამდენად, ის ხმანობა, რომელსაც უღებულობთ ადამიანის ორგანიზმზე პერკუსიის დროს, რთულია და სხვადასხვა ხასიათი აქვს. მას ტონს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც წარმოქმნილ ძირითად რხევებს ემატება დამატებითი, სხვადასხვა სიხშირის რხევები, ე.წ. იძებრტონები.

პერკუსიის დროს წარმოქმნილი ხმანობის სიძლიერე დამოკიდებულია რხევის სიძლიერეზე, მის ამპლიტუდაზე. რაც უფრო დიდია რხევის ამპლიტუდა, მით უფრო ძლიერე - ხმანობა და სხვადასხვა ვღებულობთ, რაც უფრო მცირეა - ჩემ ხმანობას. ხმის სიძლიერეს - ტონალობას განსაზღვრავს რხევის რიცხვი დროის ერთოქმში - 1 წამში. რაც უფრო ხშირია რხევა, მით უფრო მაღალი ტონალობისა წარმოქმნილი ხმანობა, რაც უფრო იშვიათი - დაბალი. ხმანობის ხანგრძლივობა დაკავშირებულია ქსოვილებში შაერის არსებობაზე, მის დრეკადობაზე, გარემოცველი ქსოვილების მდგომარეობაზე და სხვა. პერკუსიის დროს მიღებული ხმანობის ხასიათი დამოკიდებულია აგრეთვე სხეულის მასაზე, დარტყმის ძალაზე, რომელსაც ის გამოიყენებს ნონანსონობიდან და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის ორგანოები და ქსოვილები პერკუსიის დროს იძლევიან სხვადასხვა ხასიათის ხმანობას. ქსოვილები და ორგანოები, რომლებიც არ შეიძლება შაერის (ქუნთები, გული, ლეიძლი, ელენთა), გამოსცემენ ჩემ ხმანობას. შაერის შემცველი ორგანოები (პირის ღრუ, ღორი, ტრაქეა, ფლტყემი, უჭტი, ნაწლავები) გამოიცემენ ძლიერ ხმას. ორგანოების ხმანობის ამ სხვადასხვაობაზეა დამყარებული პერკუსიით ერთი ორგანოს გარჩევა მეორისაგან (ე.წ. ტონოგრაფიული პერკუსია) და ორგანოებში პათოლოგიური ცვლილებების აღმოჩენა (ე.წ. შედაგებითი პერკუსია).


ხმანობას, რომელსაც ფლტყემის პერკუსიის დროს ვიღებთ, ფლტყემის ნათელი ხმანობა ეწოდება. ის ხმანობა და ხანგრძლივობა, დაბალი ტონალობის (წუთში 120 რხევა) და ხანგრძლივობა

ვად ფლერადია. უპაერო ქსოვილების და ორგანოების (კუნთები, ლეიძლი, გული და სხვა) პერკუსიის დროს მიღებულ ხმაინობას ეწოდება ყრუ, ანუ ბარძაყის ხმაინობა (ცხრ. 7). ის ხასიათდება ჩუმი ხმით, მაღალი ტონალობით და ხანმოკლე ელერადობით. გულმკერდის პერკუსიის დროს ყრუ ხმაინობა შეიძლება გაჩნდეს, თუკი პლევრის ღრუში დაგროვდა სითხე ან თუკი ფილტვის ქსოვილის დიდი უბანი უპაერო გახდა გამკვირვების შედეგად. ამ დროს რხევის სიხშირე ნაშში 400 და მეტი შეიძლება იყოს. ნათელ და აბსოლუტურად ყრუ ხმაინობას შორის არის გარდაბავალი ხმაინობები - დამოკლებული პერკუსიული ხმაინობა, მოყრებული ხმაინობა და სხვა (სურ. 47).


ცხრ. 7

ძირითადი პერკუსიული ხმაინობები

ხმაინობა	სიძლიერე, ხასიათი	სიმაღლე (რხევის სიხშირე)	ხანგრძლივობა	ლოკალიზაცია
ფილტვის ნათელი	ხმაინალი არამეტასტალური	დაბალი	ხანგრძლივი	ფილტვის ქსოვილის წარმომს დროს
ყრუ	ჩუმი არამეტასტალური	მაღალი	ხანმოკლე	ბარძაყი ლეიძლი
ტიმპანური	ხმაინალი უხლოვდება მეტასტალურს	დაბალი	ხანგრძლივი	კუჭის საპაერო ბუბტი, ფილტვის ქსოვილი ემფიზემის დროს (კოლოფსებური), ღრუ ფილტვის ქსოვილში, პნემოთორაქსი



სურ. 47. გრაფიკულად გამოსახული პერკუსიული ხმაინობა: 1 - ხმაინალი; 2 - ჩუმი; 3 - ხანგრძლივი; 4 - ხანმოკლე; 5 - მაღალი; 6 - დაბალი



სურ. 48. პერკუსიული ხმაინობის ხასიათი სხეულის სხვადასხვა მიდამოში: 1 - ფილტვის ნათელი; 2 - მოყრებული; 3 - ყრუ; 4 - ტიმპანური


კუჭის და ნანღავების პერკუსიის დროს ვღებულობთ ხმაინობას, რომელსაც ტიმპანური ეწოდება, რადგანაც ის ჰგავს ხმაინობას, რომელსაც იძლევა დოლი (чирпанов - დოლი). ეს არის ნათელი ხმაინობის ნაირსახეობა. ის ხმაინალი, დაბალი ტონალობის ხმაა. არატიმპანური ხმაინობებისაგან ის განსხვავდება რხევის შედარებით სწორი პერიოდულობით და უახლოვდება ტონს. მუცლის ღრუში სითხის დაგროვების შემთხვევაში ტიმპანური ხმაინობა იცვლება ყრუ ხმაინობით (სურ. 48). ტიმპანური ხმაინობა გულმკერდში შეიძლება გაჩნდეს პათოლოგიის პირობებში, როდესაც პლევრის ღრუში პაერი გროვდება (პნემოთორაქსი), ფილტვის ქსოვილში ნარმოიქმნება დიდი ღრუ (კავერნა, აბსცესი), ან ქვეითდება ფილტვის ქსოვილის დაჭიმულობა (კრუპოზული პნემონია, კომპრესიული ატელექტაზი).

ზოგჯერ ფილტვების პერკუსიის დროს ვღებულობთ ხმაინობას, რომელსაც კოლოფსებური ეწოდება. ის ჰგავს ხმას, რომელიც ვღებულობთ ცარიელ კოლოფზე დაკუსებისას. კოლოფსებური ხმაინობა გვაქვს ფილტვების ემფიზემის დროს. ის ნათელი ხმაინობის ნაირსახეობაა, ხმაინალი და დაბალი ტონალობისა (70-80 რხევა ნაშში).

ტენიის თვალსაზრისით, არჩევენ პირდაპირ (უშუალო) და არაპირდაპირ (მეობეებით) პერკუსიას. პირდაპირი პერკუსიის

დროს ერთი ან რამდენიმე შეერთებული თითით ან სპეციალური საპერკუსიო ჩაქუჩით ხდება დარტყმა უშუალოდ ავადმყოფის სხეულზე. არაპირდაპირი პერკუსია, თუკი დარტყმა ნარმოებს არა უშუალოდ სხეულზე, არამედ სხეულზე მოთავსებულ სპეციალურ ფიფიტაზე - პლესიმეტრზე ან მეორე ხელის თითზე, რომელსაც ვიყენებთ როგორც პლესიმეტრს.

პირდაპირ პერკუსიას ის დადებითი მხარე აქვს, რომ ამ დროს ჩვენ უშუალოდ ვეხებით სხეულს და ვაფასებთ მას პალპაციითაც. არის პირდაპირი პერკუსიის სხვადასხვა ვარიანტი.




სურ 49. პირდაპირი პერკუსია აუენზრუვერის მიხედვით

როგორც აღვნიშნეთ, აუენზრუვერი პერკუსიას ანარმოებდა მარჯვენა ხელის ოთხი შეერთებული თითის დარტყმით გულმკერდზე (სურ. 49). ეობროზციოვის მეთოდით პერკუსია ტარდება ერთი თითით: მარჯვენა ხელის სამწვენებელი თითის ბოლო ფალანგი ცურდება შუა თითიდან, მარცხენა ხელით ამ დროს ხდება ქსოვილის ფიქსაცია (სურ. 50). პოტენჯერის მიხედვით, პერკუსია წარმოებს სამი ან ოთხი თითის ხელისგულით გულმკერდზე - პერკუსია „ხელის გადასმით“, ე.წ. „სრიალა“ პერკუსია.

პირდაპირი პერკუსია ამჟამად იშვიათად გამოიყენება. არაპირდაპირა პერკუსიამ, მეტი ეფერადობის და უფრო ფართო სპექტრის გამო, მეტი გამოყენება პოვა. ამ დროს მიღებული პერკუსიული ხმაინობა უფრო ხმაიძალი და მაჯაოა. პირდაპირი პერკუსიისაგან განსხვავებით, ის არ იწვევს ტკივილს დარტყმის დროს. არაპირდაპირი პერკუსია შეიძლება ჩატარდეს საპერკუსიო ჩაქუჩით პლესიმეტრზე (სურ. 51), ჩაქუჩით თითზე, თითით პლესიმეტრზე ან თითით თითზე. ამჟამად პრაქტიკულად იყენებენ პერკუსიას თითით თითზე, რომელსაც აქვს უპირატესობა არაპირდაპირი პერკუსიის სხვა მეთოდთან - ექიმი არ არის დამოკიდებული ინსტრუმენტზე, თით-პლესიმეტრი ადვილად მოეგრება სხეულის ნებისმიერ მიღამოს, ამ დროს ერთდროულად ხდება პალპაცია (რეზისტენტობის შეფასება) და სხვა.

პლესიმეტრად ჩვეულებრივ იყენებენ მარცხენა ხელის შუათითს. ამ მიზნით ის თავსდება სხეულზე მჭიდროდ, მაგრამ დიდი დაწლის გარეშე. დარტყმა წარმოებს მარჯვენა ხელის შუათითით, რომელიც იხრება მეორე ფალანგში, ისე, რომ თითმა დარტყმა მოახდინოს სწორი კუთხით. ამ დროს სხვა თითები შუათითს არ უნდა შეეხონ (სურ. 52). მარჯვენა ხელის მოძრაობა უნდა მოხდეს სხივ-მაჯის სახსარში. არტყამენ მარცხენა თითის ბოლი და შუა ფალანგების შეერთების მიდამოში, შუა ან ბოლი ფალანგზე ვერტიკალური მიმართულებით. დარტყმა ხდება მოკლე, ნევეტილად და ელასტიკურად, მარჯვენა ხელის შუათითი დარტყმის შემდეგ სწრაფად სცილდება მარცხენა ხელის შუათითს (სურ. 53). პერკუსიული ხმის უკეთ შეფასებისათვის ყველა მიდამოში უნდა ჩატარდეს ერთი ძალის და ერთი ინტერვალის 2-3 დარტყმა. აუცილებელია, პერკუსიული დარტყმები ჩატარდეს თანაბარი ძალით, რადგანაც სხვადასხვა ძალით ჩატარებული პერკუსიით ვლებულობთ სხვადასხვა შედეგს.


ძალის მიხედვით, ვარჩევთ ღრმა (ძლიერ) და ზერეულ




სურ 50. პირდაპირი პერკუსია იობროზციოვის მიხედვით



სურ 51. არაპირდაპირი პერკუსია ჩაქუჩით პლესიმეტრზე



სურ 52. პლესიმეტრ-თითის სწორი (1) და არასწორი (2) მდებარეობა. პერკუსიული დარტყმის სწორი (3) და არასწორი (4) მიმართულება.




სურ 53. მუჯის მოძრაობა თითით თითზე პერკუსიის დროს

(სუსტი, ჩუმ) პერკუსიას. ძლიერი დარტყმის დროს ქსოვილის რხევა ვრცელდება სივანით 4-6 სმ-ზე და სიღრმეში 5-7 სმ-მდე, სუსტი პერკუსიის დროს - სივანით 2-3 სმ-ზე და სიღრმეში - 4 სმ-მდე (სურ. 54). აქედან გამომდინარე, დიდი პათოლოგიური კერის დასადგენად, მისი ღრმად მდებარეობისას მიზანშეწონილია ღრმა პერკუსიის გამოყენება. თუკი პათოლოგიური კერა მცირე ზომისაა და შედარურადაა განლაგებული, ტარდება სუსტი პერკუსია. ამდენად, პათოლოგიური პროცესის აღმოსაჩენად ვატარებთ სხვადასხვა ძალის პერკუსიას (შედარებითი პერკუსია). ორგანოების ზომის და საზღვრების დასადგენად მიზანშეწონილია სუსტი პერკუსიის ჩატარება (ტომოგრაფიული პერკუსია). დეტალური საუბარი შედარებით და ტომოგრაფიულ პერკუსიაზე მოცემულია სახელმძღვანელოს პეციალურ ნაწილში.

სუსტი პერკუსიის ნაირსახეობაა პერკუსია გოლდშაიდერის მიხედვით, ე.წ. ზღურბლოვანი პერკუსია. ამ მიზნით მარცხენა ხელის მუა თითს ვხრით მორე ფალანგში და ვათავსებთ მას საპერკუსო შედამირზე პერპენდიკულარულად (მდებარეობს პლემის მიხედვით). დარტყმა ხდება მარჯვენა ხელის მუათით მარცხენა ხელის პირველ ფალანგზე სუსტად. ამ დროს ირხევა მოხლოდ მცირე ზომის უბანი (სურ. 55).

ორგანოების საზღვრების დასადგენად გამოიყენება აგრეთვე ე.წ. აუსკულტაციური პერკუსია. გამოსაკვლევ ორგანოზე თავსდება სტეტოსკოპი და ვისმენთ იმ ხმანობას, რომელიც წარმოიქმნება სუსტი პერკუსიის ან ხელით კანის ფხაჭანის დროს. პერკუსია ან ფხაჭანა წარმოებს სტეტოსკოპიდან ორგანოს პერიფერიისკენ ან სანაწილმდეგო მიმართულებით. ბევრს ხმანობის მკვეთრად და უეცრად შესუსტების ან გაქრობის მიხედვით, მსულებზე ორგანოს საზღვარზე. პერკუსიის ამ სახემ ფართო გამოყენება ვერ პოვა, რადგანაც მას არა აქვს უპირატესობა ჩვეულებრივ პერკუსიასთან შედარებით, მაგრამ კარგ შედეგს იძლევა კუჭის საზღვრების და ლეიძლის ქვედა საზღვრის დადგენაში.

სხეულის ზოგიერთ მიდამოში მგრძნობელობის და მტკიენეულობის დასადგენად წარმუებს თავისებური დარტყმა, რომელსაც აგრეთვე პერკუსიას აკუთვნიებენ. დარტყმა ხორციელ-



სურ 54. რხევის გავრცელება ფილტვის ქსოვილში სხვადასხვა ძალის პერკუსიის დროს. ა) ნორმის შემთხვევაში: 1 - სუსტი პერკუსია; 2 - ძლიერი პერკუსია; ბ) ინფილტრატის შედარებითი და ღრმა განლაგებისას: 1 - სუსტი პერკუსია; 2 - ძლიერი პერკუსია

დება მსუბუქი, მოკლე მოძრაობით, მუშტად შეკრული ხელით ან გაშლილი ხელის იდაყვის მხრით. ის ტარდება ან უშუალოდ გამოსაკვლევ მიდამოზე, ან უშვობისა ამ მიდამოზე მოთავსებულ გამოლი მორე ხელის ზურგზე. აღნიშნული მეთოდი ვადგენთ მგრძნობელობას თორქლებში (პასტერნაციის მეთოდი, სურ. 56), ლეიძლის (ორტერის მეთოდი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის (მენდელის მეთოდი) პათოლოგიის დროს (სურ. 57).


პერკუსიის ჩატარების დროს აუცილებელია გარკვეული ნესების დაცვა. ოთახში, სადაც სრულდება პერკუსია, უნდა იყოს სითბო და სიჩუმე. ავადმყოფის მდებარეობა უნდა იყოს მოსახერხებელი. ის უნდა იყოს ტანზე გახდილი, რათა ტანსაცმელმა არ შევიძილოს პერკუსიის ჩატარება. გულმკერდის პერკუსიის დროს ავადმყოფი, სასურველია, იდგეს ან იჯდეს. როდესაც პერკუსიას უქნიდან ატარებენ, ავადმყოფი, უშვობისა, იჯდეს სკამზე, ხელები მუხლზე უქნიდეს დანყობილი, თავი ოდნავ წინ დახრილი. ამით მიიღწევა უნებებს მოღუნება, რაც ხელს უწყობს პერკუსიას. მძიმე ავადმყოფებზე პერკუსია ტარდება მწოლიაზე პოზაში.

პერკუსია ავადმყოფის ფიზიკური კვლევის ერთ-ერთი ყველაზე რთული მეთოდი და საჭიროებს ხანგრძლივ ვარჯიშს სრულყოფილი დაუფლებისათვის.


### აუსკულტაცია

აუსკულტაცია (auscultatio - მოსმენა) ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდია მოსმენით. პერკუსიისაგან განსხვავებით, როდესაც ამა თუ იმ ხმანობას ჩვენ თვითონ ვინვეთ ხელოვნურად, აუსკულტაციით მოისმინება ის ხმანობები, რომლებიც ორგანიზმში წარმოიშობა თავისით ორგანოების ფუნქციონირების დროს (ორგანოებში აირების და სითხის მოძრაობის, მათი ზომის ცვლილებების დროს წარმოქმნილი რხევების შედეგად). ამ ხმანობების მიხედვით, ვსჯავლობთ ამა თუ იმ ორგანოს ნორმალურ თუ პათოლოგიურ დეკომპოზიბის შესახებ.


ავადმყოფს აუსკულტაციით იკვლევდნენ ჯერ კიდევ უძველეს დროს. პიპირატეს აღწერილი აქვს რამდენიმე აუსკულტაციური ფენომენი სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს.



სურ 55. პერკუსია პლემის მიხედვით



სურ 56. პასტერნაკის სიმპტომის დადგენა



სურ 57. კუჭის მიღამოს პერკუსია - შუფის ხმის გამოწვევა

მისთვის ცნობილი იყო სველი ხიხინი; ის მას ადარებდა ძმრის დუღილის დროს ნარმოქმნილ ხმიანობას. პლევრის ხახუნს ის აღწერს, როგორც ხმიანობას, რომელიც ნარმოიშობა ტვავის ფურცლების ხახუნის დროს. შიპოკრატეს მიერ აღწერილია და მისი სახელი კქეია სპეციალურ ფენომენს ანექემოიდროთო-რაქსის დროს - შუფის ხმიანობას (succussio Hippocratis). მაგრამ თანამედროვე აუსკულტაციის ფუძემდებელი ფრანგი ექი-


მი, კორეიზარის მონაფე, რენე ლაენეკი. ლაენეკის გადმოცე- მით, 1816 წელს ის მინეული იყო ახალგაზრდა ქალის გასასინ- ჯად, რომელსაც ქეონდა გულის დაავადების ნიშნები და რო- მელზეც მისი სიმპტუნის გამო მან ვერ მიიღო სრულყოფილი მონაცემები: ავადმყოფის ასაკმა, სქესმა და სიმსუქუნემ არ მის- ცა ლაენეკს საშუალება, რომ მოეძინა მისი გული უშუალოდ ყურით. საბედნიეროდ, მან გაიხსენა, რომ ერთ დღეს, ლუერის ეზოში სეარინობისას, მან დაინახა, თუ როგორ თამაშობდნენ ბავშვები ხის ვრძელი ნაწერით. ერთი ბავშვი უკაკუნებდა ხის ერთ ბოლოზე, მეორეს კი ყური ქეონდა მიდებული მეორე ბო- ლოზე და ისმენდა ამ კაკუნის დროს ნარმოქმნილ ხმიანობას. ლაენეკმა აიღო ქალადი, დაახვია ის და მიაბჯინა ერთი ბოლო- თი ქალის გულქერდს, ხოლო მეორე ბოლოს კი მიაღო თავისი ყური. ეს იყო პირველი სტეტოსკოპი. ლაენეკი ვაკეირვებული და კმაყოფილი იყო იმით, რომ მან მკაფიოდ მოისმინა ავად- მყოფის გულის ცემა. შემდგომში მან გამოიგონა ხის სტეტოს- კოპი, რომელიც დღემას იხმარებოდა. ლაენეკის ამ გადმოცე- მიდან ჩანს, რომ ავადმყოფის მოსმენას უკვე ახდენდნენ ყუ- რით, მაგრამ ეს მეთოდი სათანადოდ მეფასდა და პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა მხოლოდ ლაენეკის შრომის შემდეგ, რომე- ლიც 1819 წ. გამოქვეყნდა. ლაენეკმა აღწერა თითქმის ყველა აუსკულტაციური ფენომენი (ვეზიკულური, ბრონქული სუნ- თქვა, კრეპიტაცია, შუილები) და სრულყოფილად დაამუშავა აუსკულტაციის საფუძემდები.

აუსკულტაციას ვიყენებთ ნორმული და პათოლოგიური ხმოვანი მოვლენების მოსასმენად, რომლებიც ნარმოქმნება ფილტვებში, ბრონქებსა და პლევრაში სუნთქვის (ვეზიკულური სუნთქვა, ბრონქული სუნთქვა, ხიხინი, კრეპიტაცია, პლევრის ხახუნი), გულის მუშაობის (გულის ტონები, შუილები), სის- ხლძარევებში სისხლის დინების, კუჭის და ნაწლავების მუშაო- ბის დროს და სხვა. აუსკულტაციით ვისმენთ აგრეთვე გატარე- ბულ ხმიანობას (ბრონქოფონია, ეგოფონია), აუსკულტაციას ვიყენებთ სისხლის არტერიული წნევის გასასინჯად კოროტკო- ვის მეთოდით და სხვა.

ადამიანის ყური იჭერს რხევებს, რომელთა სიხშირე არის 16 - 20000 ჰერცი. ყველა აუსკულტაციური ხმიანობა ხმაურის მსგავსია, ე.ი. ისინი სხეულისზე სიხშირის ხმიანობების ჯამია. ფილტვების ან გულის მუშაობის დროს ნარმოქმნილი ხმიანობე- ბი ტარდება, რაც საშუალებას იძლევა მოვისმინოთ ისინი გულ- მკერზე. სხეულისზე ქსოვილის ხმიანობის გატარების სხეულის- ხეა უნარი აქვს. მკერვი ქსოვილი ხმას უკეთ ატარებს ჰაერის შეცველ ქსოვილთან შედარებით. სითხე ხმის ცუდი გამტარია.

არჩევენ პირდაპირ (უშუალო) აუსკულტაციას, როდესაც ექიმი უშუალოდ თავისი ყურით ისმენს ავადმყოფს და არაპირ- დაპირ აუსკულტაციას, რომელიც ნარმოებს სტეტოსკოპის ან ფონენდოსკოპის საშუალებით.

სტეტოსკოპი (ბერძნ. stethos - გულქერდი, scopeo - ვეყუ- რებ) ღრუ ცილინდრის მილია, რომელსაც აქვს მცირე ზომის ძაბ- რისებრი ვაგანიერება იმ ბოლოში, რომელიც თავსდება ავად- მყოფის სხეულზე (მიღამარა). მეორე ბოლო ვაგანიერებულაა ექიმის ყურისათვის. სტეტოსკოპები არის ხის, მეტალის, პლას- ტმასის, სპილოს ძეღის და სხვა. სტეტოსკოპი ხმას არ აძლიე- რებს, ამავე დროს მას კარგად ატარებს. ხშირად ხმარობენ ე.წ. რბილ სტეტოსკოპებს - ფონენდოსკოპებს. მათ დაბოლოებას, რომელიც ავადმყოფის გულქერდზე თავსდება, აქვს თხელი ფორფიტა (დიარაგამა), რომლის დანიშნულებაც ხმის გაძლიე- რებაა. ფონენდოსკოპის დაბოლოებას უერთდება ორი რეზინის



სურ. 58. თანამედროვე სტეტოსკოპი

მილი, რომლებიც მთავრდება სპეციალური დაბოლოებებით - ოლივებით, აქიშის ყურისათვის. ფონენდოსკოპები აბლიერებენ მოსასმენ ხმაინობას და შეიძლება მისი შეცვლა გამოიწვიონ.

აუსკულტაციის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების შედარებისას შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ აუსკულტაციის ის უპირატესობა აქვს, რომ ხმაინობა არ მახინჯდება, მოისმინება ხმაინობა სხეულის დიდ ფართობად, რაც მნიშვნელოვანია ძალიან ჩუბი ხმაინობის დროს და ავადმყოფის სწრაფი საორიენტაციო გასინჯვისათვის. მისი ნაკლია ის, რომ არამივიწიერია, ვერ გამოიყენებთ კანის და ინფექციური დაავადებების დროს, შეუძლებელია მცირე ფართობზე ხმაინობის იზოლირებული შეფასება, შეუძლებელია ლაინზედა და ილიის მიდამოების მოსმენა, ვერ ხეინდება მძიმე, მწლიარე ავადმყოფის ფილტვების მოსმენა სურვის მთლიან და სხვა. პირდაპირი აუსკულტაცია, თუკი მისი აუსკულტებლობა აღმოცენდება (მაგ. სტეტოსკოპის უქონლობა), რეკომენდებულია ჩატარდეს პირასხივის ან ზენრის გამოყენებით, რასაც ავადმყოფს წინასწარ ვულპერედ აფარებენ.

ამჟამად ავადმყოფის გამოკვლევისათვის უპირატესობას აძლევენ ავადმყოფის არაპირდაპირ აუსკულტაციას თანამედ-

როვე სტეტოსკოპით (სტეტოფონენდოსკოპით), რომელსაც აქვს როგორც მილბარა, ასევე დიაფრაგმა. სტეტოსკოპი პიგიენურია, ის უფრო ადეკლად მისადგობია, ვიდრე ადამიანის ყური. იძლება ბინაურალური (ორივე ყურით) მოსმენის და მისი დაბოლოების, ყურთან შედარებით, მცირე ზომის გამო აუსკულტაციური მოვლენების უფრო მცირე უბანზე მოსმენის საშუალებას (სურ. 58).

აუსკულტაციის დროს ოთახში უნდა იყოს სითბო და აბსოლუტური სიწყმე. ავადმყოფი, სასურველია, გამოშვლდეს, რადგანაც ტანსაცმლის შრიალია შეიძლება დაამახინჯოს აუსკულტაციური ხმაინობა. ფილტვების მოსმენის დროს ავადმყოფი, სასურველია, იჯდეს; გულის მოსმენისას ავადმყოფს ვუსმენთ როგორც ვდომით, ასევე მწლიარე პოზაში მყოფს. გულის ზოგიერთი მანკის დროს წარმოშობილი ხმაინობის უკეთ მოსასმენად ის შეიძლება მარცხენა გვერდზე დაეანწინოთ და სხვა. თმების ხახუნმა შეიძლება წარმოქმნას დაბატებითი ხმები, რომლებიც კეავს ფილტვებში ზოგიერთი პათოლოგიის დროს წარმოქმნილ ხმაინობას. ამიტომ ის მიდამოები, სადაც ჭარბად არის თმაინობა, სასურველია, წყლით დასველდეს. სტეტოსკოპი ავადმყოფის ტანს უნდა მივაღიოთ მჭიდროდ, მაგრამ ძლიერ არ უნდა დაეჭიროთ. სტეტოსკოპის მიღს ხელი არ უნდა მოეკიდოთ, რადგანაც ამან შეიძლება აგრეთვე წარმოქმნას დამატებითი ხმაინობები. სასურველია მიეჭიროთ ერთი და იმავე სტეტოსკოპით მოსმენას, რადგანაც სხვადასხვა სტეტოსკოპმა მოსმენისას სხვადასხვა ნატიფი ელფერის ხმაინობა შეიძლება მოგვეცეს.

### ყნოსვის გამოყენება დაავადებების დიაგნოსტიკაში

ყველა ადამიანს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სუნი, რომელიც იცვლება დაბანის ან სხვა პიგიენური ღონისძიებების, აგრეთვე დეზადორების და პარფიუმეროული საშუალებების ხმარების შედეგად. სუნი, რომელიც აქვს ადამიანის სუნეულს, აგრეთვე მის ამონასუნეთე პაერს, რაც შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაავადების ამოსაცნობად. ამბობენ, რომ ავადმყოფის სუნის შეფასებაში ძველი ექიმები დიდი ოსატებები იყენენ. ცნობილია, რომ ზოგიერთი მათგანი სუნით სეამდა მუცლის ტიფის დიაგნოზს. ყნოსვის გამოყენებას დაავადებების დიაგნოსტიკაში დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა (ცხრ. 8).

პირიდან არასასიამოვნო სუნი ავადმყოფს შეიძლება პქონდეს პირიყის, კარგიესული კიბების, ტონზილიტის, უფრო იშვითად კუქის დაავადებების დროს. პირიდან აცეტონის სუნი, რომელიც ვეკონგებს დიდბანს შენახული გაუმის სუნს, აქვთ ავადმყოფებს შაქრიანი დიაბეტით პრეკომატოზულ და კომატოზულ მდგომარეობაში, აცეტონემიის გამო. აცეტონის მსგავსი მოტკბო სუნი შეიძლება ვეკონდეს შიმშილის დროს განვითარებული აციდოზის დროსაც, რამაც შეიძლება შეგავადინოს. ლაყე კეერების სუნი აქვთ ავადმყოფებს პილორუსის სტენოზით და ქრონიული გასტრიტის შემთხვევაში, როცა ისინი შეუღლებულია აქილოურ მდგომარეობასთან. ეს სუნი კარგად შეიგრძნობა ბოყის დროს, რომელიც ხშირად აქვს ავადმყოფს. შარდის სუნი (ურინი ზული სუნი), უფრო უხსტად ამიკის სუნი, აქვს ავადმყოფის ამონასუნეთელ პაერს თირკმლების უქმარობის, ურემიის დროს. შარდის სუნი ასდიო აგრეთვე ავადმყოფებს, რომლებიც ვერ იკავენენ შარდს - ავადმყოფები ცერებრალური სისხლის მიმოქცევის დარღვევით, მოხუცებულ-



ბითი სკლეროზით, ფსიქიკურად დაავადებულები და მძიმე მოუვლელი ავადმყოფები. ამ დროს შარდის სუნე აქვს არა მხოლოდ ავადმყოფის სხეულს, არამედ ტანსაცმელს და თეთრეულსაც, შარდის გახრწნის გამო.

ლეიკოსის კომის დროს ავადმყოფს პირიდან შეიძლება პეონდეს თავისებური სუნე, რომელსაც „სამეტეტის“ სუნს ადარებენ. მოტეხო სუნე აქვთ ავადმყოფებს დიფთერიის დროს. განავლის სუნე ამოსდით პირიდან ავადმყოფებს ნაწლავების გაუფლობისას, კუჭსა და მსხვილ ნაწლავს (განივი კოლინჯი) შორის ფისტულის არსებობისას, განსაკუთრებით ბოყინის დროს. მსგავსი სუნე აქვთ ავადმყოფებს განავლის შეუკავებლობის დროს, ზოგჯერ სწორი ნაწლავის გამოვარდნისას, მოუვლელ და ფსიქიკურად დაავადებულებს, რომელთაც სუნე ხშირად ასდით საცდელშიდან. უკუქიდან სისხლის დენის დროს განავლის და აირებს შეიძლება პეონდეს გოგირდნაგებობის სუნე.

ლოპობის მსუყე სუნე, რომელიც საშუალებას იძლევა პალატაში შესვლისთანავე დაისვას ავადმყოფობის დიაგნოზი, აქვთ ფილტვების ასცესით და განსაკუთრებით ფილტვების განგრენით დაავადებული პირების ამოსუნთქულ ჰაერს. მსგავსი სუნე, მხოლოდ ნაკლები ინტენსივობის, შეიძლება იყოს ბრონქოექტაზიის დროსაც. ეს სუნე ხშირად შეუძლებელს ხდის სხვა ავადმყოფების ყოფნას პალატაში. ლობობის სუნე აქვთ ავადმყოფებს კიდურების განგრენის და ნაწლავების დროსაც. არასაბიომორფი, თავისებური სუნე, რომელსაც ლობის სუნს ადარებენ, აქვს ცხვირიდან გამონადენს ოზენით დაავადების დროს.

რეკეტატიზმის მწვავე სახსროვანი ფორმის დროს ავადმყოფს აქვს ძლიერი ოფლიანობა. აღნიშნული ოფლის აქვს თავისებური, თითქოსდა მწვავე, სპიციფიკური მწვავე სუნე - „რეკეტატიზმით დაავადებულის სუნე“. დაახლოებით მსგავსი სუნე აქვთ ავადმყოფებს მწვავე ბრუცელოზით. დამახასიათებელი მწვავე ოფლის სუნე აქვთ ავადმყოფებს ინფექციური ენდოკარდიტის დროს. ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფების ოფლს აქვს შპორის სუნე, მას ადარებენ დამბალი თოვის სუნს. ეს სიმეტროში არ არის პათოგნომური, რადგანაც მსგავსი სუნე შეიძლება პეონდეთ ავადმყოფებს ვეგეტორიევიზის დროსაც.

ენოსისის გამოყენება სუნის შესაფასებლად ხშირად იძლევა სწორი დიაგნოზის დასმის საშუალებას მონამებლების დროს. კანლიუმციანიდით მონამელისას ავადმყოფს აქვს მწარე ნუშის ზეთის სუნე, ფოსფორით მონამელისას - ნივრის, ალკოჰოლით მონამელისას - ალკოჰოლის სუნე.

### ლაბორატორიული, ინსტრუმენტული და ფუნქციური გამოკვლევები

ყველასათვის ნათელია თანამედროვე ლაბორატორიული, ინსტრუმენტული და ფუნქციური გამოკვლევების შედეგების გაზრდილი მნიშვნელობა დაავადებების ადრეულ გამოვლენაში და ეფექტური მკურნალობის კონტროლში. ასახავს რა ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ და უჯრედოვან პროცესებს, აღინშნული კვლევის მონაცემები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ნორმიდან ადრეული გადახრები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ავადმყოფს არ აქვს არავითარი სუბიექტური მეგრანდებები, არა აღინშნება დაავადების ობიექტური გამოვლენები და ორგანოების დაზიანების ხილური სტრუქტურული იშვიათი. ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდების არსებნალ სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ისინი დამყარებულია თანამედროვე ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, კი-

ცხრ. 8  
სხვადასხვა დაავადებისათვის დამახასიათებელი სუნეი

ამოსუნთქული ჰაერი	დაავადება
ცუდი სუნე პირიდან	ქილოების, ცხვირის, ნუშისებრი ვირუსების, საყლაპვის, კუჭის დაავადებები
განავლის, მურალი სუნე	ნაწლავების გაუფლობა, საყლაპვის დიფტერიული, ბრონქოექტაზი, ფისტულა კუჭსა და მსხვილნაწლავ შორის
მურალი, ლევის მოტეხო სუნე	ფილტვების ასცესი, განგრენა, უკუხსნეული (ცხვირი)
აცეტონის, სილის („ვაშლის სარდავის“)	დაიბეჭური კეტოცილოზი, მიმდბი, ქლოროფორმით, სალიცილატებით ინტოქსიკაცია
პამეტეტის, ლეიღოს სუნე	ფილტვის უმარისობა
მოტეხო	დეფენიტი, ლეიღოს პრეკომა, კომა
ახალი მუი პურის	მუკოს ტრეფი
მეფე პურის	პეიჯარა
ალკოჰოლის	ალკოჰოლით და ფენილით ინტოქსიკაცია
თამბაქის	ნიკოტინით ინტოქსიკაცია
ფუნჯი მლის, კრეზის	ნიკოტინოზითი მონამელა
შარდის	ურეზია
ლევე კერვრის სუნე	პილორუსის სტენოზი, ქრონიკული გასტრიტი
გოგორნაგებობის სუნე	სისხლის დენა, კუჭიდან
მარე	
თავის	ფენილკეტონურია
აბიონობის	სამარადი გუნის ინფექცია
კანი - ოფლი	
ახალი მუი პურის	მუკოს ტრეფი
თავის, ცხვირის	ფენილკეტონურია
მურალი	ენის დაავადებები (პემფიგუსი, ანაკროზული მიკრობიტი გამონეყული)
განავლის	ნაწლავების გაუფლობა
მეფე სუნე	რეგნატეზმი, ბრუცელოზი
შპორის სუნე - დამბალი თოვის სუნე	ტუბერკულოზი, ვეგეტორიევიზი (ზოგჯერ)
მწარე ნუშის ზეთის სუნე	კალიუმციანიდით მონამელა
ნივრის	ფოსფორით მონამელა
ნაწეული	
მურალი	ფილტვების ასცესი, განგრენა, ბრონქოექტაზი
ნაწეუნებთ მასა	
ფეკალური	ნაწლავების გაუფლობა, პერიტონიტი, ფისტულა კუჭსა და მსხვილნაწლავ შორის
განავალი	
მურალი	მალაბროზიკაცია (სარე)
მძლე არაჩის	მიკოლოზი
გოგორნაგებობის	კუჭიდან სისხლის დენა
ვაგინალური სეკრეტი	
მურალი	ვაგინიტი, სიმსივე, უკუხსნეული
ზურუნის ტენის სიხვე	
ალკოჰოლის მსგავსი	მენინგიტი
ლევის სუნე (ცხვირიდან)	ოზენა
ლოპობით სუნე	კიდურების განგრენა

ბერნეტის და ზოგიერთი სხვა დისციპლინის მიღწევებზე და აკუმირებულია საკმაოდ რთული და ძვირად ღირებული ანატურის და რეაქტივების გამოყენებასთან. ამასთან, გამოკ-

ვლევების ჩატარებას სჭირდება სპეციალურად მომზადებული სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი. ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების დანიშნავა ექიმის მიერ უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და საფუძვლიანად მოფიქრებული, რადგანაც ბევრი თანამედროვე კვლევის მეთოდი პრობლემატულია და, როგორც აღინიშნა, ძვირად ღირებულია. ამის გარდა, დაუსაბუთებელი გამოკვლევების შესრულება ახანგრძლივებს სამკურნალო ღონისძიებების განხორციელებას.

თერაპიულ ავადმყოფს, როგორც წესი, უტარდება ზოგადი კლინიკურ-დადიაგნოსტიკური ლაბორატორიული გამოკვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, შარდის, განავლის, საჭიროების შემთხვევაში ნალექის, კუჭის ნევისი, დოლენური შიგთავისი, პლევრის პუნქციით მიღებული სითხის და სხვა), მიოქიმიური (სისხლში საერთო ცილის და ცილის ფრაქციების, შაქრის, შარდოვანას, ბილირუბინის, ქოლესტერინის, პროთრომბინის კომპლექსის, საჭიროების შემთხვევაში სისხლის შემდეგებული სისტემის, ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების, რიგი ფერმენტის აქტივობის და სხვა), სეროლოგიური (C-რეაქტიული ცილა, სისხლის ვუჯუბო, ვასერმინის რეაქტივა, საჭიროების შემთხვევაში რეზუს ფაქტორი, ვიდალის, რიატის, ხედლსონის სეროლოგიური რეაქტივი და სხვა), ბაქტერიოლოგიური, პროტოზოოლოგიური (სისხლის, შარდის, განავლის ბაქტერიოლოგიური, პროტოზოოლოგიური და პელმინოლოგიური) გამოკვლევები. ავადმყოფის უფრო ღრმად შესწავლისათვის მიმართავენ ვირუსოლოგიურ, ციტოლოგიურ, ბიოფიზიკურ მასალის პისტოლოგიურ და პისტოქიმიურ გამოკვლევებს, ორგანიზმის იმუნური სტატუსის შესწავლას, სისხლში პორმონების გამოკვლევას და სხვა. ბოლო დროს დაინერგა ლაბორატორიული კვლევის ისეთი ნაჭივრები, როგორებიცაა რადიოიმუნური, რადიოფერმენტული გამოკვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სხვადასხვა ნივთიერება (პორმონები, მიკრობული და ქსოვილოვანი ანტიგენები, მედიკამენტები და ა.შ.) უმცირესი რაოდენობით - ნანოგრამებში და პიკოგრამებში.

ინსტრუმენტული გამოკვლევებიდან, როგორც წესი, ავადმყოფს უტარდება თერაპიუტრია, ანთროპომეტრიული გამოკვლევები, სისხლის არტერიული წნევის გასინჯვა, ელექტროკარდიოგრაფია და გულმკერდის რენტგენოპიკტოა. საჭირო შემთხვევაში მიმართავენ სხვა, მათ შორის ულტრაბუნების, რადიოზოტაულ, ენდოსკოპურ გამოკვლევებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას და ა.შ. კლინიკურ გამოკვლევებზე აგრეთვე მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნეს სხვადასხვა ორგანოს ფუნქციური აქტივობის პარამეტრები. ისინი დამყარებულია ორგანოს ნორმული ფუნქციონირების და დატვირთვის დროს წარმოქმნილი მოძრაობის აქტივობის (კინეტიკის) და აქტივობის დროს აღმოცენებული ბიოჰქემიკალური და ბევრითი მოვლენების რეგისტრაციაზე.

ლაბორატორიული, ინსტრუმენტული და ფუნქციური გამოკვლევები შეიძლება ჩატარდეს ერთდროულად და მრავალჯერადაც - დინამიკურად. ზოგიერთი ლაბორატორიული მეთოდი (საქცილოგრაფია ამა თუ იმ ორგანოს და სისტემის პათოლოგიის დასადგენად) (მაგ., კრეატინინფოსფოკინაზას MB-იზოენზიმი - მოკარდიუმის ინფარქტის, პანკრეოტიტის - მიკროფური და ავადების დაგნოსტიკაში), ბევრი მათგანი კი იძლევა შედეგებს, რომელთაც აქედ მხოლოდ სავარაუდო დიაგნოსტიკური ხასიათი და მითითებები პათოლოგიური პროცესის აქტივობაზე და დაავადების სიმძიმეზე (მაგ. დადებითი C-რეაქტიული ცილა,

ერიტროციტების დალექვის სიჩქარის მატება აღინიშნება ბაქტერიული დაავადებების, აუტომუნური პროცესების, სიმსივნეების დროს და სხვა). ინსტრუმენტული და ფუნქციური კვლევის უმრავლესობა მიუთითებს ამა თუ იმ ორგანოს ან სისტემის პათოლოგიაზე.

სახელმძღვანელოს ზოგად ნაწილში ლაბორატორიული გამოკვლევებიდან ჩვენ მოგვეყვას მხოლოდ რადიოიმუნური და იმუნოფერმენტული ანალიზების პრინციპები, შევხებით აგრეთვე იმ თანამედროვე ინსტრუმენტულ კვლევის მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულია სხვადასხვა ორგანოს და სისტემის გამოკვლევისათვის. ლაბორატორიული კვლევის მეთოდები და ორგანოსპეციფიკური ინსტრუმენტული კვლევის, აგრეთვე ფუნქციური კვლევის მეთოდები განხილული იქნება წიგნის კერძო ნაწილში - ცალკეული სისტემების განხილვის დროს.

**ანთროპომეტრია**

ანთროპომეტრია (ბერძნ. ანთროს - ადამიანი) კვლევის მეთოდი, დამყარებული ადამიანის მორფოლოგიური და ფუნქციური მონაცემების გაზომვაზე. იზომება ადამიანის სიმაღლე, ნონა, გულმკერდის გარემომხორცილება, თავის, კიდურების ზომა და სხვა. ის შეისწავლის აგრეთვე ფუნქციურ მაჩვენებლებსაც; მაგალითად, ადგენს კუნთოვან ძალას (დინამომეტრია), ფულტელის სასიცოცხლო მოცულობას (სპირომეტრია) და სხვა. ანთროპომეტრია ფართოდ გამოიყენება მედიცინაში დიანაზნოზიკისათვის, სამხედრო სამსახურში განჯევისას, სპორტსმენებზე საექიმო კონტროლისათვის, კრიმინალისტიკაში და ა.შ. პრაქტიკული მდიცინაში ძირითადი იყენებს სიმაღლის, ნონის და გულმკერდის გარემომხორცილობის მონაცემებს.

ტი პერკუსიის შესრულებისას ფილტვის ღრმად მდებარე გამკვრივებები უბანი არ შეიგრძევა. თუკი პათოლოგიური პროცესი მცირე ზომისაა და ზედაპირულადაა განლაგებული, ტარდება სუსტი ძალის, ზედაპირული პერკუსია, რადგანაც ღრმა პერკუსია გამომიწვევს სალი ფილტვის ქსოვილის შეზრვებს და მივიღებთ ფილტვის ნათელ ხმაინობას მოყრუების ნაცვლად. პერკუსია სრულდება თანმიმდევრობითი ჯერ მწვერულების, შემდეგ გულმკერდის წინა, გვერდითი და ბოლოს უკანა მიდამოებში.


მწვერულების პერკუსიისას თითის, რომელსაც პლესიმეტრად იყენებენ, ათავსებენ ლავინების ზევით და მის პარალელურად. შემდეგ ხდება პირდაპირი პერკუსია ლავინზე (ის ამ დროს პლესიმეტრის მივალობას ასრულებს), შემდეგ კი თით-პლესიმეტრის ათავსებენ ლავინის ქვემოთ და პერკუსიას ასრულებენ კეთილშუა ხაზის გაყოლებით ნეკნისაშუა მიდამოებში. შემდეგ ათავსებენ პერკუსია შუა აქსილარულ ხაზზეც ირივე მხარეს. ფილტვების პერკუსიას უწინიდან იწყებენ ბეჭების ზედა მიდამოებში, შემდეგ აგრძელებენ ბეჭთაშუა და ბეჭის ქვედა მიდამოების პერკუსიას სიმეტრიულად. ნორმალური პერკუსიული ხმაინობები სიმეტრიული მდამოებში ერთნაირია, მაგრამ გასათვალისწინებელია გარკვეული ნივანსები, რაც დაკავშირებულია ფილტვის ქსოვილის მასასთან და სისქესთან, მუსკულატურის განვითარებასთან. გასათვალისწინებელია აგრეთვე მეზობელი ორგანოების გავლენაც.

ნორმალური პერკუსიული ხმა უფრო მაღალია, მოკლე და ჩუბი მარჯვენა მწვერულის მიდამოში, მარცხენასთან შედარებით, რაც დაკავშირებულია მარჯვენა მხრის მუსკულატურის უფრო მეტად განვითარებასთან, აგრეთვე იმასთან, რომ მარჯვენა ფილტვის მწვერული უფრო დაბლა დგას, ვიდრე მარცხენასი (მარჯვენა ბრინჯი უფრო მოკლეა). გასათვალისწინებელია აგრეთვე ის განსხვავებები, რომლებიც აღინიშნება გულმკერდის წინა ზედაპირის პერკუსიისას, დაკავშირებული გულის და ლვილის მოყრუებასთან, აგრეთვე მარცხნივ ტრახუბს ნახევარ-მთვარისებრი სივრცის არსებობასთან, რომელიც ტიმპანური ხმაინობას იძლევა. პერკუსიული განსხვავება აღინიშნება აგრეთვე ფილტვების ზედა და ქვედა ნიღების შედარებისას, რაც ფილტვის ქსოვილის სხვადასხვა სისქით არის განპირობებული.


მნიშვნელოვანია, თუ ფილტვის რომელი ნიღის მიდამოში ვითარდება პათოლოგიური ცვლილებები, რისთვისაც საჭიროა გულმკერდზე ფილტვების ნიღების პროექციის ცოდნა (სურ. 72, 73).

პათოლოგიის პირობებში პერკუსიული ხმაინობა შეიძლება მოყრუედან ან განვითარდეს ტიმპანური ხმაინობა (სქემა 3).


ფილტვის ნათელი ხმაინობის ცვლილებაჰკი აათოლოგიის დროს



მოყრუება ჩნდება მაშინ, როდესაც ფილტვის ქსოვილი გამკვრივებულია და ნაკლებად პაეროვანი ხდება, ან როდესაც პლევრის ღრუში გროვდება სითხე, ან ხდება მისი ფურცლების შესქელება. ფილტვის ქსოვილის გამკვრივება და პაერით გაღარობება აღინიშნება ფილტვების ტუბერკულოზის, ფილტვების ანთების, ინფარქტის, ობტრაციული და სრული კომპრესიული აბულექტაზის, ფილტვის სისხლის, პნევმოსკეპროზის დროს. მოყრუებას გვაძლევს აგრეთვე უპაერო აბსცესი და კავენა, ფილტვების განგრება, ექინოკოკი, დიდი ბრინჯოქეტაზური უბანი, თუკი ის სასუბა სეკრეტით და შემოფარებულია ანთებითი ინფილტრაციული ქსოვილით. თუ ფილტვის გამკვრივებული ქსოვილი მცირე ზომისაა და ღრმად არის განლაგებული, პერკუსიული მოყრუება შეიძლება უწი მიძლიერა, როგორც, მაგალითად, ტუბერკულოზის, კოროვანი პნევმონიის დროს. მაგრამ თუ ანთებითი უბნები შეერთებულია, დიდა და ისინი ზედაპირულად მდებარეობს, პერკუსიული ხმაინობა მოკლდება და შეიძლება მივიღოთ მოყრუება. ნილოვანი პნევმონიის დროს მოყრუებას ვღებულობთ დაავადების მერე სტადიაში, როდესაც ალევოლები მთლიანად არის ამოვსებული ანთებითი ექსუდატი და ფილტვის ნიღი მთლიანად უპაეროა (სურ. 74).



სურ. 74 კრუპოზული პნევმონიის სქემა. მარჯვენა ქვემო ნიღის გამკვრივება



სურ. 75 ქუსლადკური პლევრის სქემა


პლევრის ფურცლების დიდი შეზოგუნიანას ან თუ პლევრის ღრუში სითხე მცირე რაოდენობით დაგროვდა, ვიღებთ მოყრუებულ პერკუსულ ხმანობას. ფილტვის ნათელი ხმა მოყრუებით რომ შეიცვალოს, სითხის რაოდენობა პლევრაში 200-400 მლ უნდა იყოს. თუ სითხე დიდი რაოდენობით დაგროვდა, რაც გვაქვს ქუსლადკური პლევრიტის, პიდროთორაქსის, პემოთორაქსის დროს, პერკუსიით აღინიშნება აბსოლუტურად ყრუ ხმა (სურ. 75). ვარაუდობენ, რომ თუ მოყრუება უყინდან ბეჭის ძეგლის ქვედა კიდზეა, სითხე პლევრაში ერთ ლიტრამდეა, თუ ბეჭის ძეგლის ქვედა ღონზე — ორ ლიტრამდე, თუ უფრო ზევით — სამი ლიტრი და მეტი. თუ მოყრუების დონე ნიწინან V ნეკანამდეა, პლევრის ღრუში სითხე დაახლოებით 1 ლიტრამდეა, თუ IV ნეკის დონეზე — 1,5 ლიტრა.

პერკუსული თავისებურებების მიხედვით შეიძლება დადგინდეს ანთიბიოტი სითხეა (ქუსლადტი) დაგროვების პლევრაში თუ შეგუბებითი (ტრანსუდატი). ქუსლადკური პლევრიტი, ჩვეულებრივ, ცალ მხარეს იძლევა მოყრუებას, პიდროთორაქსი კი - ორივე მხარეს, თუმცა ზოგჯერ პიდროთორაქსი შეიძლება ცალმხრივი იყოს, რაც აღინიშნება დეიძლის ცირიზის, აგრეთვე შეივლის სიმპტომოკომპლექსის შემთხვევაში (საკვერცხის სიმსილე, ასციტი, პიდროთორაქსი), როდესაც სითხე უპირატესად მარჯვენა პლევრის ღრუში გროვდება. გულის ქრონიკული უმარისობის ზოგიერთ შემთხვევაში შეგუბებითი სითხე უპირატესად მარჯვენა პლევრის ღრუში გროვდება, თუკი ავადმყოფი ძირითადად მარჯვენა გვერდზე ნეებს.


არანთებადი სითხის დაგროვებისას მოყრუების ზედა საზღვარი პორიზონტალურია. ავადმყოფის პოზის შეცვლის შემთხვევაში სითხე გადაადგილდება და მოყრუების ხაზი ისევ პორიზონტალური რჩება. ამავე დროს, როდესაც პლევრის ღრუში გროვდება ანთიბიოტი სითხე, მოყრუების ზედა საზღვარი პორიზონტალური კი არ არის, არამედ პარაბოლური შრუდის მსგავსია - ე.წ. დამუაზო-ელისის ხაზი (სურ. 76). დამუაზოს ხაზი, რომლის ქვემოთაც არის მოყრუება, იწყება ზერხემლიდან, მიემართება ზევით რაკოვით და მწვერვალს აღწევს ილითის უკანა ხაზთან. ის შემდეგ მიემართება წინ და ქვევით. ყველაზე დაბლა ის დგას სტერნულ საზზე. მოყრუების მსგავსი ირიბი ხაზის არსებობა აიხსნება ფილტვის ქსოვილის ელასტიურობის არაერთნაირი ხარისხით. ქუსლადკური პლევრიტის დროს პლევრის ფურცლები ერთმანეთს ენეება, ამის გამო ავადმყოფმა

პოზა რომ შეიცვალოს, მოყრუების საზღვარი არ იცვლება და ისევ დამუაზოს ხაზზე რჩება. მოყრუების ირიბი ხაზი პერკუსიით ზოგჯერ ვლინდება პლევრის ღრუში ძალიან დიდი რაოდენობით ტრანსუდატის დაგროვების შემთხვევაში.

დამუაზოს ხაზთან პერკუსიით ვლინდება ორი სამკუთხედის არსებობა. ჯანმრთელ მხარეს, ზერხემლიდან, ვულპერდის ქვედა ნაწილი აღინიშნება სამკუთხედის ფორმის მოყრუება, რომელიც გროკო-რაუზფუსის სამკუთხედის სახელწოდებითაც ცნობილი; დამუაზოს ხაზი თითქმის ვერ იძლევა ჯანმრთელ მხარეს. სამკუთხედის ფუძე არის ქვემოთ, მწვერვალ კი ზემოთ მიმართული. აქ მოყრუების გაჩენა აიხსნება შუასაყარის ორგანოების ჯანმრთელ მხარეს ცდობით. დაავადებულ მხარეს, დამუაზოს ხაზსა და ზერხემალს შორის არის სამკუთხედის ფორმის სივრცე, რომელსაც ვარლანდის სამკუთხედ ეწოდება და რომელიც პერკუსიით ტიმპანური ელფერის მოყრუებულ ხმანობას იძლევა. ვარლანდის სამკუთხედის ფუძე არის ზემოთ, მწვერვალ კი ქვემოთ მიმართული. ტიმპანური ელფერის მოყრუებულ ხმანობის გაჩენას უკავშირებენ აღნიშნულ მიდამოში სითხის ზენოლის გამო ფილტვის ქსოვილის შექმუნებას. ტიმპანური ელფერის მოყრუება ჩნდება აგრეთვე დამუაზოს ხაზის ზევით-შკოდას ზონში (შკოდას ფენიზენი), დაკავშირებული ფილტვის ქსოვილის შექმუნებასთან სითხის ზენოლის ზეგავლენით. პლევრის ფისცერულ და პარატელურ ფურცლებს შორის შეზოგუნიანის არსებობის შემთხვევაში დამუაზოს ხაზი შეიძლება არ გაჩნდეს.



სურ. 76 ქუსლადკური პლევრის სქემა. ქუსლადტი მარჯვენა პლევრის ღრუში. 1. დამუაზოს ხაზი; 2. ვარლანდის სამკუთხედის; 3. გროკო-რაუზფუსის სამკუთხედის



სურ. 77 ფილტვის აბსცესის სქემა

როგორც აღნიშნეთ, ნორმის დროს ტიმპანური ხმანობა პერკუსიით გვაქვს ტრაუბეს სივრცეში, რომელიც ლოკალიზებულია ვულპერდის წინა ქვედა მიდამოში მარცხნივ. მარცხენამხრივი ქუსლადკური პლევრიტის დროს ტრაუბეს სივრცეში ტიმპანური ხმანობა ქრება და მის ნაცვლად ამ მიდამოში ჩნდება ყრუ ხმა. თუ პლევრის ფურცლები შეზოგუნიან სითხის დაგროვებამდე, ტიმპანური ხმანობა შეიძლება დარჩეს. ის შეიძლება შეიცვალოს ელფერის მარცხენა საზღვრის გადადების, კუჭში არსებული დიდი სიმსივნის შემთხვევაში, პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვების, ელფერის მნიშვნელოვანი გადიდებისას. ტრაუბეს სივრცე შეიძლება დროებით შემცირდეს ან გაქრეს ჯანმრთელებშიც, თუკი კუჭი გადავიგსო თხიერი და მკერდის უკვებით.



პათოლოგიურ პირობებში ტიმპანურ ხმიანობას ვლებულობთ მაშინ, როდესაც ფილტვის ქსოვილი ჩნდება ღრუ (სბ-სციტი, კაეკრა) ან პლევრის ღრუში გროვდება პაერი - პნევმოთორაქსი. ტიმპანური ხმიანობა რომ მივიღოთ, ღრუ უნდა იყოს დიდი (არანაკლებ 3-4 სმ დიამეტრის), ახლოს მდებარეობდეს ვულვკრდის კედლიდან და შეერთებული იყოს ბრონქთან (სურ. 77). როდესაც ღრუ არის საკმაოდ დიდი (6 სმ-ზე მეტი დიამეტრის), დაჭიმული და სადა კვლებით, პერკუსიით ვიღებოთ ტიმპანურ ხმიანობას ლითონისებური ელფერით. იგივე აღინიშნება პნევმოთორაქსის დროსაც. ლითონისებრი ელფერის ხმიანობა ჩნდება მაღალი ობერტონების არსებობის გამო. ლითონისებური ელფერის ხმიანობის გამოსაყვლად უშუალოდსა პერკუსია შესრულდეს ლითონის პლესიმეტრზე საპერკუსიო ჩაქურის ტარით ან ლითონის მონეხით მოწყეტზე. როგორც ადვინენით, თუ კაეკრა შეერთებულია ბრონქთან, პერკუსიით ვლებულობთ ტიმპანურ ხმიანობას. თუკი ის ვაგებულება ჩირქით, პერკუსიულე ხმიანობა იქნება მოყრუებული. ტიმპანტიკ შეიძლება ისევე გაჩნდეს ჩირქის ამოხველების და კაეკრის დაცილის შემდეგ. თუ დიდ ღრუში არის პაერიც და ჩირქიც, მაშინ ზედა ნაწილის პერკუსიით ვლებულობენ ტიმპანტიკ, ქვეითი კი მოყრუებულს. ანალოგიურად, სერო-პნევმოთორაქსის დროს ქვემოთ არის ყრუ ხმიანობა, ზემოთ - ტიმპანტიკი. ტიმპანური ხმიანობა შეიძლება გაჩნდეს დიდ ბრონქოექტაზურ კერაზეც.

ენ. ვაბზარული კოთინის ხმიანობას ვლებულობთ მაშინ, როდესაც ბრის დიდი ღრუ ან პნევმოთორაქსი, შეერთებული ნერლი არის დიდი. ის ნვეგტილი ხმიანობაა.

აღსანიშნავია კაეკრის (ღრუს) პერკუსიული თავისებურებაანი, რომლებსაც ფართოდ იყენებდნენ ძველი თერაპეუტები და რომლებმაც ამჟამად დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა რენტგენული კვლევის შემოღების შემდეგ და მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. გერკარდის ფენომენი - თუ კაეკრა ოვალური ფორმისაა და მასში არის ერთდროულად სითხეც და პაერიც, ავადმყოფის სხეულის მდებარეობის შეცვლის შემდეგვეტი პერკუსიული ხმიანობის სიმაღლე იცვლება. ამ დროს კაეკრაში არსებული სითხე, სიმძიმის კანონის მიხედვით, იცვლის თავის მდებარეობას და ამის გამო მისი მოგვრობა დიაპეტიჩი ხან პორიზატალურია, ხან ეფერტიკური. ვინტრინის ფენომენი - კაეკრანზე პერკუსიით ტიმპანური ხმიანობა უფრო მაღალია შირის ვალებისას, ვიდრე მაშინ, როცა პირი მოკრულია. ფრედრიხის ფენომენი - ღრმად ჩასუნთქვისას ტიმპანური ხმიანობა უფრო მაღალია, ამოსუნთქვისას შედარებით დაბალი, რაც დაკავშირებულია, როგორც ჩანს, კაეკრის კვლეომონის დრის, როდესაც გამკრეფული უბნები მონაცვლებობს პაერის შემცველ უბნებთან, ატელექტაზურ უბნებში, გარლანდის საკვლებდში, ენ. შკოდას ზონაში. კრუპოზული პნევმონის დასაწყისში ალვეოლებში არის პაერი, მაგრამ მისი კაეტიკა ვაგენურალია ექსუდატი, რის გამოც მისი ქსოვილის დაჭიმუ-

ლობა იცვლება. იგივე აღინიშნება დაავადების ბოლო სტადიაში, როდესაც ალვეოლებში ხელახლა ჩნდება პაერი, მაგრამ მისი კვლებები ჯერ კიდევ იწიფლტვრებულა ექსუდატით.


ტიმპანური ხმიანობა ზოგჯერ არ არის დაკავშირებული ფილტვების და პლევრის პათოლოგიასთან. ის შეიძლება გაჩნდეს დიაფრაგმის მაღლა დგომის და კუჭის და ნაწლავების მაღლა განლაგების გამო. ტიმპანურ ხმიანობას ვლებულობთ აგრეთვე დიაფრაგმული თიაქრის (როდესაც დიაფრაგმაში არსებული ხვერლის გზით ვულვკრდში აღმოჩნდება კუჭი და ნაწლავები), პნევმოპერიკარდუმის, დიდი კანქემა ემფიზემის დროს.

ტიმპანური ხმიანობის ნარინახეობას - კოლოფისებურ ხმიანობას ვლებულობთ ფილტვების ემფიზემის დროს. ამ დროს ერთადება ფილტვების ალვეოლების შექების ნაშლა, ალვეოლის ძვიდეები გათხლებულია, მათი რაოდენობა მცირდება. ალვეოლების დარჩენილი კედლები მათი დაჭიმულობის შემცირების გამო ნაკლებად დრეკადები ხვდება. ემფიზემის დროს ფილტვებს დაკარგული აქვს ელასტიკურობა, ისინი მკვეთრად არიან გაავანირებული და საცხენი არიან პაერი. ემფიზემა ვიკარულად ან კომპენსაციურ ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც ის ვითარდება ფილტვის ნაწილის სუნიჭიდან გამოთოქმისას შეზობელ ჯანმრთელ უბანში ან საწინააღმდეგო მხარეს. სიბერული ვითარდება ასაკობრივი ემფიზემა, დაკავშირებული იწიფულისთან და ფილტვების დეფორმ ატროფიასთან.

ტოპოგრაფიულ პერკუსიის მიმართავენ ფილტვების საზღვრებს და ექსურსიის დასადგენად. საზღვრების დადგენის შესაძლებლობას იძლევა ფილტვების საზღვრებში უპაერი ორგანოებთან (ღვიძლი, ვენთა, კუნთები), რომლებიც პერკუსიით იძლევიან ყრუ ხმიანობას. სრულდება ზერელე პერკუსია. როგორც წესი, პერკუსია კეთდება ფილტვის ნათელი ხმიდან ყრუ ხმის მიმართულებით. თითო, რომელიც პლესიმეტრის მოვალეობას ასრულებს, თავსდება სათიხელი საზღვრის პარალელურად, საზღვრად კი ითვლება მათის ფილტვისკენ მიმართული მხარე, სადაც ვლებულობთ მოყრუებას.

ადგენენ ფილტვების ზედა და ქვედა საზღვრებს. ფილტვების ზედა საზღვრის დასადგენად წინ თითო-პლესიმეტრი თავსდება ლავინის ზეით და პერკუსია კეთდება ლავინზე მიდაბლოში ზეით მოყრუებადვე. ნორმის დროს მოყრუება აღინიშნება ლავინიდან 3-5 სმ-ის ზეით. ფილტვების ზედა საზღვრის დასადგენად უკან პერკუსიას ახდენენ ბეჭის ძეღის ქვე ზედა არიდან კისრის VII მაღის ნარჩილული მორჩის მიმართულებით. ნორმის დროს ფილტვის მწვერვალი არის კისრის VIII მაღის დონეზე. ფილტვების ზედა საზღვარი უფრო დაბალია არის განლაგებული, თუკი განვითარდა მწვერვალების მიდამოს შექმუბენა ფილტვების ტუბერკულოზის შედეგად.

ფილტვების მწვერვალების სიმაღლის დადგენის გარდა, მწვერვალების მიდამოები ადგენენ ნათელი ხმიანობის ზოლს. ენ. კრონივის ველს. კრონივის ველის დასადგენად თით-პლესიმეტრის ათავსებენ ლავინების პერპენდიკულარულად, ლავინიშუა ხანზე და ასრულებენ პერკუსიას ლატერალურად და მედიალურად, მარჯვნივ და მარცხნივ მოყრუებადვე (სურ. 78). ნათელი ხმიანობის ზოლის სიგანე 4-8 სმ-ია მარცხნივ, მარჯვნივ ის 1-1,5 სმ-ით ნაკლებია. კრონივის ველის გამოკვლევის მნიშვნელობა აქვს ფილტვების მწვერვალების მიდამოში ანთიბიოტი და სკლეროზული პროცესების დასადგენად, რაც ყველაზე ხშირად ტუბერკულოზური ნარმობობისაა და ინვესი დაზიანებული მწვერვლის სიფარის შემცირებას.



სურ. 78 კრონიგის ველის პერუსია

ფილტვების მწვერვალები მაალა დგას და კრონიგის ველი ფართოა ფილტვების ემფიზემის, აგრეთვე ბრონქული ასთმის შეტყვის დროს.

ფილტვების ქვედა საზღვრები დგინდება საორიენტაციო ხაზების მიხედვით (ცხრილი 12). პერუსია ეკედება ნეკნებზე და ნეკნთაშუა არეებში. დასაწყისში ადგენენ მარჯვენა ფილტვის ქვედა საზღვარს პარასტერნულ, შემდეგ ლაინშუა, ნინა, შუა და უკანა აქსილარულ ხაზებზე, ბეჭის ხაზზე და ბოლოს პარასტერნულ ხაზზე. სტერნულ ხაზზე პერუსია არ ხდება გულის ახლო მდებარეობის გამო. ზერეულ პერუსიას ასრულებენ II-III ნეკნთაშუა მიდამოდან ქვევით მოყუების გაჩენამდე. მარცხნივ, გულის მოყუების გამო, ფილტვების ქვედა საზღვრის დადგენა იწვევს ნინა ილიის ხაზიდან და შემდეგ პერუსიას აგრძელებენ ისევე, როგორც მარჯვენა საზღვრის დადგენისას. ფილტვების ქვედა საზღვრების დადგენა რამზე სიმწეა არ წარმოადგენს, მაგრამ პერუსიის გაკეთებისას მარცხენა ნინა და შუა აქსილარულ ხაზებზე საჭიროა ყურადღება, რადგანაც ფილტვების ქვედა საზღვარი აქ ედება ტრახუებს სივრცეს, რომელიც ტრამანურ ხმინობას გამოსცემს. ვასათყალისწინებულა აგრეთვე ამ მიდამოში არსებული ელენითი განპირობებული მოყუებაც.

ნეკნი მაალა. ქალებში დიაფრაგმა უფრო მაალა დგას, ვიდრე მამაკაცებში, რაც ასევე შეიძლება ფილტვების ქვედა საზღვრის ცვლილებების მიზეზი იყოს.

ფილტვების ქვედა პერუსიული საზღვრები უფრო მაალა დგას იმ დაავადებების დროს, რომლებიც იწვევენ ფილტვის ქსოვილის შექმუნებას. ეს აღინიშნება პნევმოპლევროზის დროს, რომელიც გადატანილი ფილტვების ტუბერკულოზის შედეგი შეიძლება იყოს, აგრეთვე ნილოვანი პნევმონიის, ფილტვების აბსცესის და იმ დაავადებების შედეგად, რომლებიც ფილტვულ ცვლილებებს იწვევენ ფილტვის ქსოვილში. ფილტვების ქვედა საზღვრის ნეკნი იწვევს პლევრის ღრუში ექსუდატის ან ტრანსუდატის დაგროვების შედეგად. ის აღინიშნება აგრეთვე გადატანილი, განსაკუთრებით ჩირქოვანი, პლევრიტის შემდეგ, რომელიც ხასიათდება დიდი შეზორცებებით და პლევრის ფურცლების გასქელებით. ფილტვების ქვედა საზღვარი მარჯვნივ მაალა დგას ღიღილის გადღების დროს (სიმსივნე, ციროზი, ქვერთქი). ფილტვების ქვედა საზღვარი მაალა აგრეთვე მაშინ, როდესაც მომბტებულია წნევა მუცლის ღრუში, რაც აღინიშნება ორსულობის, ძლიერი სიმსუქნის, მეტეორიზმის, ასციტის, საკუერცის სიმსივის და სხვა იმ დაავადებების დროს, რომლებიც დიაფრაგმის მაალა დგომას იწვევენ.

ფილტვების ქვედა საზღვარი დაბლა დგას ფილტვების ემფიზემის და ბრონქული ასთმის დროს, ე.ი. ფილტვების იმ დაავადებების შემთხვევაში, როდესაც ფილტვების მოცულობა დიდდება და ხდება დიაფრაგმის დაბლა დანევა. ის დაბლა დგას მუცლის ღრუს ორგანოების ქვევით დანევისას - სპლანქნოფტოზის დროს, რაც აგრეთვე იწვევს დიაფრაგმის დაბლა ჩამოწევას.

ფილტვების კიდეთა შლას ანუ ფილტვების ექსკურსიას ადგენენ შუა და უკანა აქსილარულ ხაზებზე. წორმატური სუნთქვის პირობებში პერუსიით ადგენენ ფილტვების ქვედა საზღვარს. შემდეგ ავადმყოფს ღრმად ჩასუნთქებენ და სთხოვენ, რომ ცოტა ხნით შეაჩეროს სუნთქვა, რა დროსაც ადგენენ ქვედა საზღვარს პერუსიით. შემდეგ იმავეს იმიორებენ ღრმა ამოსუნთქვის პირობებში. ღრმა ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის დროს მიღებულ პერუსიულ მონაცემებს შორის სხვაობა - ფილტვების ექსკურსია - ნორმის დროს 6-8 სმ-ის ტოლია. ფილტვების კიდეთა შლა შეზღუდულია ან არ აღინიშნება ფილტვების ემფიზემის, პლევრის ღრუში დიდი რაოდენობით სითხის არსებობის და პლევრული შეზორცებების დროს. ფილტვების ექსკურსია შეიძლება შემცირდეს აგრეთვე მშრალი პლევრიტის დროსაც, ტყვილის შედეგად.


**ფილტვების აუსკულტაცია**

ფილტვების აუსკულტაცია სასუნთქი გზების დაავადებების დიაგნოსტიკის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია. ფილტვებში პათოლოგიური პროცესის აღმოსაჩენად აუსკულტაციის დროს საჭიროა გარკვეული ნესების დაცვა. ავადმყოფმა უნდა გაიზადოს ნელზევით. უმჯობესია, რომ ის იჯდეს სკამზე თავისუფლად. თუკი ავადმყოფი ფეხზე დგას, უნდა გაიზადდეს, რომ ღრმა სუნთქვამ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუ და გულისწანსვლაც კი. ამიტომ სასურველია ექიმმა თავისუფალი ხელი წააბელოს ავადმყოფს გულმკერდზე ან მხარზე მოსმენის სანინალმდევე მხარეს. ავადმყოფმა სუნთქვის დროს ზოგჯერ უნდა გააკეთოს პაუზა. მოსმენა უნდა მოხდეს გულმკერდის სიმეტრიულ მიდამოებში. ისმენენ დაახლოებით იმავე მიდამოებში


ცხრილი 12

ფილტვების ქვედა საზღვრები		
ხაზი	მარჯვნივ	მარცხნივ
პარასტერნული	VI ნეკნის ზედა კდე	—
ლაინშუა	VI ნეკნი	—
ილიის ნინა	VII ნეკნი	VII ნეკნი
ილიის შუა	VIII ნეკნი	VIII ნეკნი
ილიის უკანა	IX ნეკნი	IX ნეკნი
ბეჭის	X ნეკნი	X ნეკნი
პარავეტბრნული	გულმკერდის XI შლა	—

ფილტვების ქვედა საზღვრები შეიძლება საკმაო ცვილილებებს განიცდიდენ კონსტიტუციურ ტიპებთან დაკავშირებით. ასთენიკური კონსტიტუციის პიროვნებებში დიაფრაგმა უფრო დაბლა დგას, ვიდრე ჰიპერსთენიკური კონსტიტუციის პიროვნებებში. ამდენად, ასთენიკური კონსტიტუციის პირებში ფილტვების ქვედა საზღვრები შეიძლება ნორმასთან შედარებით ერთ ნეკნით დაბლა იდგას, ჰიპერსთენიკურებში კი - ერთი



სურ. 79 ფილტვის აუსკულტაციის მიდამოები წინიდან და უკნიდან



სურ. 80 სუნთქვის სხვადასხვა ტიპის გრაფიული გამოსახულება: 1. ვეზიკულური; 2. შესუსტებული ვეზიკულური; 3. გამოღრვებული ვეზიკულური; 4. ბრონქული; 5. შესუსტებული ბრონქული; 6. გამოღრვებული ბრონქული.

ში, სადაც კეთდება პერკუსია (სურ. 79). ჯერ ისმენენ ფილტვებს წინიდან მწერკრავლის მიდამოებში, შემდეგ სტეტოსკოპს თანდათანობით გადაადგილებენ ქვევით და მოიხევენ ლავინკედა მიდამოებს მედიოკლავიკულარული ხაზის ვაკოლებით. შემდეგ აუსკულტაციას ასრულებენ ილიის მიდამოებში და უკან, ბუჭის ზედა, ქვედა და შუა მიდამოებში. ილიის მიდამოს მოსმენისას ავადმყოფი ხელებს ინყობს კეფაზე, ბეჭათაშუა მიდამოს აუსკულტაციისას, სასურველია, მან ხელები გადააჯევა-

რედინოს გულმკერდზე, რის შედეგადაც ბუჭის ძვლები ცილდება ერთმანეთს და დიდდება მოსასმენი ზედაპირი. მწოლიარე ავადმყოფს თუკი ვერ აჯენენ, ის უნდა გადააბორონენ ჯერ ერთ მხარეს და შემდეგ მეორე მხარეს, ან შეუცურონ სტეტოსკოპი ბუჭების ქვევით და ისე ჩაუტარონ აუსკულტაცია.

ავადმყოფი უნდა სუნთქავდეს თავისუფლად, ჩვეულებრივზე უფრო ღრმად. ზოგჯერ საჭიროა ექიმმა მითითოს ავადმყოფს, თუ როგორ ისუნთქოს. რეკომენდებულია, რომ ავადმყოფმა ისუნთქოს ღია პირით, თუმცა, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ძირითადი სუნთქვითი ხშიანობების მოსასმენად, მან უმჯობესია, ისუნთქოს ცხვირით, ხოლო დამატებითი სუნთქვითი ხშიანობების მოსასმენად - პირით. ზოგჯერ ავადმყოფს ჩაახველებინებენ. ავადმყოფმა უნდა ამოსუნთქოს, შემდეგ ჩაახველოს, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქოს და ამ დროს მოისმინოს. დამატებითი სუნთქვითი ხშიანობები ზოგჯერ უკეთ ისმის, თუკი ავადმყოფს დაანუნენ დაავადებულ მხარეს. აუსკულტაციის შესრულებისას სტეტოსკოპი არ უნდა გადაადგილონ 3-ითზე მეტი მანძილით.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მიღებული აუსკულტაციური მონაცემების სწორ შეფასებას. დგინდება მათი ხასიათი, სიძლიერე, ლოკალიზაცია, სუნთქვის ფაზეზთან (ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა) დამოკიდებულება. ჯერ აფასებენ ძირითად სუნთქვით ხშიანობებს - ვეზიკულურ სუნთქვას, აგრეთვე ბრონქულ სუნთქვას, შემდეგ კი დამატებით სუნთქვითი ხშიანობებს - ხიზის, კრეპიტაციას, პლეურის ხახუნს.

წინამის დროს ფილტვის პროექციაზე ვისმობენ ვეზიკულურ სუნთქვას. ის ნაზი, შედარებით დაბალი ტონალობის ხშიანობაა. ისმის ჩასუნთქვის მთელი პერიოდის და ამოსუნთქვის მხოლოდ დასაწყისში (სურ. 80). ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის შეფარდება დაახლოებით 5:2 არის. ჩასუნთქვისას ის ისმის, როგორც რბილად გამოთქმული რუსული ბგერა „ფ“, ამოსუნთქვისას - როგორც ქართული „ჟ“, მგერაჟი ხასიათის თანაბარი უწყვეტი ხშიანობაა. ვარაუდობენ, რომ ვეზიკულური სუნთქვა წარმოიქმნება ალვეოლებში, მათი კედლების რხვის შედეგად. ჩასუნთქვისას პაერის შესვლა შლის ალვეოლებს, ამოსუნთქვისას კი ხდება მათი ჩაჩეტვა. ამიტომ ამ სუნთქვას ალვეოლურ სუნთქვასაც უწოდებენ. ზოგიერთი უცხოელი ავტორის მებედლეობით, ვეზიკულური სუნთქვა წარმოიქმნება პაერის ტურბულენტური მოძრაობით ტრაქეაში, ნიღოვან და სუბგლანტურ ბრონქებში (ცხროლი 13).

ვეზიკულური სუნთქვა წინამის დროს უკეთ ისმის 11 ნეკნის ქვევით პარასტერნული ხაზის ლატერალურად, აქსილარულ მიდამოებში და ბუჭის ქვევით, ე.ი. იქ, სადაც გულმკერდში არის ფილტვის ქსოვილის დიდი მასა. ის უფრო სუსტია იქ, სადაც ფილტვის ქსოვილი უფრო თხად არის წარმოდგენილი - ფილ-

ცხროლი 13

ძირითადი სუნთქვითი ხშიანობები

სუნთქვითი ხშიანობა	დამოკიდებულება სუნთქვის ფაზასთან	ხშიანობის ხასიათი	წარმოშობის მექანიზმი	მოსმენის დამაბორონებელი წინამის დროს	ცვლილებები პათოლოგიის დროს
ვეზიკულური სუნთქვა	ჩასუნთქვა ხანგრძლივი, ამოსუნთქვა ხანმოკლე	ჩუმი, დაბალი სიხშირის, რუსული ბგერა „ფ“-ს მსგავსი	დაკავშირებულია პაერის შესვლასთან ალვეოლებში	ფილტვების პროექციაზე, ტრაქეის და დიდი ბრონქების დამარეობით	შეიძლება გაუსუსტდეს, ვეზიკულურად, გამკროფუნეს
ბრონქული სუნთქვა	ჩასუნთქვა ხანმოკლე, ამოსუნთქვა ხანგრძლივი	ხმალილი, მაღალი სიხშირის, ბგერა „ჟ“-ს მსგავსი	დაკავშირებულია პაერის ყაბი გასვლასთან	დიდი სასუნთქი გზების მახლობლად (ტრეკლის ძვლის ტარის, ბუჭათაშუა მიდამოში)	შეიძლება მოფრსმინო ანობით ინფლუენცის, ლრეს მიდამოში

ტვების მწვერვალზე და ქვედა ნაწილებში. ქალებში ვეზიკულური სუნთქვა უფრო ძლიერია, ვიდრე მამაკაცებში. ის უკეთ ისმის ასთმური კონსტრუქციის პირებში, თხლი გულმკერდი, პიკრისინიკური კონსტრუქციის პირებში შედარებით. მოხუცებთან შედარებით ბავშვებში ვეზიკულური სუნთქვა უკეთ არის გაბოზებული (ჰეურული სუნთქვა; PNE - ბიტი), რაც განაჩინობს მათზე უფრო გულმკერდის კედლის სისხლით და მეტი ელასტიკურობით. ფიზიოლოგიურ პირობებში ვეზიკულური სუნთქვა ძლიერდება სპირტული ვარჯიშის, სირბილის, ფიზიკური შრომის, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად. ვეზიკულური სუნთქვა უსუსდა ისმის ძლიერ მუშენებში, იმ პირებში, რომელთაც მკვეთრად აქეთ განვითარებული გულმკერდის მუსკულატურა.

ფიზიოლოგიურ პირობებში ვეზიკულური სუნთქვა ძლიერდება ამ სუსტდება გულმკერდის სიმეტრულ მიდამოებში. პათოლოგიის დროს ის შეიძლება შეიცვალოს ორივე ფილტვში ან ერთ მათგანში, მის ნიღში, ან შემოვარდნულ მიდამოში. ვეზიკულური სუნთქვის შესუსტებას გულმკერდზე შემოფარგულულ უბანში უფრო მეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის შესუსტებას მთლიანად გულმკერდზე.

ვეზიკულური სუნთქვა შესუსტებულია ფილტვების და პლევრის ზოგი დაავადების დროს. ის შესუსტებულია კრუპოზული ანემომიის დასაწყისში - ამ დროს ალვეოლები ვერ არ არის ამოვსებული ექსუდატით, მაგრამ მათი ექვლების დაჭიმულობა დაქვეითებულია ანთებითი სითხით გაღვნიების გამო. ვეზიკულური სუნთქვა უსუსტდება ან სულ არ მოისმინება მობტრუაციული ატელექტაზის დროს ბრონქის სანათურის სისხვინით დაბნობის ან მასში უცხო სხეულის მოხვედრისას. ამის გარდა, ვეზიკულური სუნთქვა უსუსტდება ყველა იმ პათოლოგიური პროცესის დროს, როდესაც ფილტვებში გაძნელებულია პაერის შესვლა - ხორხის, ტრაქეის, ბრონქების სახანში, მათი შემუშება, შევიწროება. ვმეზიმის დროს ვეზიკულური სუნთქვის შესუსტება დაკავშირებულია ალვეოლების და მათი ძვლებების საერთო რიცხვის შემცირებასთან, ალვეოლების ექვლების ელასტიკურობის დაქვეითებასთან, რაც იწვევს მათი პაერთი გადავსებას, მათი რხევის და ფილტვების შემცირებას. ვეზიკულური სუნთქვის შესუსტებას იწვევს სითხის დაგროვება პლევრის დროში, რაც ახსნება სითხის ცუდი გამჭარობით. სითხის ღრდი რაოდენობით დაგროვებისას ვეზიკულური სუნთქვა აღარ მოისმინება. ვეზიკულური სუნთქვა შესუსტებულია აგრეთვე დაზარალი ანემომიორაქის დროს. ის სუსტდება პლევრის ფურცლების შესქელებისას, შემართებული ქსოვილის განვითარების გამო ექსუდაციური პლევრიტის გადატანის შემდეგ. ამის გარდა, ვეზიკულური სუნთქვა უსუსტდება კანქვედა ემფიზემის, კანქვედა მუშუბლის დროს, დაბანებულ ავადმოვლებში, დაზარების მაღლა დგომისას (მეტეორიზმი, ასციტი, მუცლის ღრუს სისხვინე). ვეზიკულური სუნთქვის შესუსტებისას ჩასუნთქვა მოკლდება, ამოსუნთქვა კი სულ არ ისმის.

გასულირებულ ვეზიკულურ სუნთქვაზე ლაბარაკობენ მათი, როდესაც ის ისმის უფრო ხმაშიადა, ვიდრე ჩვეულებრივ. ჩასუნთქვისას თითქოს ისმენენ ორ ბგერა „ფფ“-ს. ამასთანავე, ამოსუნთქვაც უფრო მკაფიოდ ისმის და ოდნავ გახანგრძლივებულია.

ვეზიკულური სუნთქვა ძლიერდება პათოლოგიური პროცესის სახანააღმდეგო მხარეს - კრუპოზული ანემომია, ექსუდაციური პლევრიტი და სხვა. ამ დროს ჯანმრთელი ფილტვი კომპენსაციურად აძლიერებს სუნთქვით ექსურსიას - ვიკარული

სუნთქვა. ვეზიკულური სუნთქვის გაძლიერება აღინიშნება აგრეთვე ცხელებით მიმდინარე ზოგიერთი დაავადების დროს.

ზოგჯერ ვეზიკულური სუნთქვა შეიძლება მკვერე გახდეს. მკვერე სუნთქვას გაძლიერებული ვეზიკულური სუნთქვისაგან განასხვავებენ იმით, რომ ის ისმის ამოსუნთქვის მთელი ფაზის განმავლობაში და არა მხოლოდ დასაწყისში. ამვე დროს ის არ არის, როგორც ვეზიკულური სუნთქვა, რბილი, მკვერე ხასიათის და თანაბარი. მკვერე სუნთქვა უხეშია, ისმის თითქოს არათანაბრად და ვიბრაციით: მკვერე სუნთქვა მოისმინება ბრონქიტების, ბრონქოანემომიის დროს, როცა აღინიშნება ბრონქების სანათურის შევიწროება ვაკუეტით, ან მათი ღორწივანის შემუშება.

საკადორი სუნთქვა ისმის არათანაბრად, როგორც წვეტილი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა. ის შეიძლება აღმოცენდეს წეროდ ბრონქებში ღორწივანის შემუშების ან მათში ღორწივან დაგროვების შედეგად. მისი არსებობა ფილტვების მწვერვლების მიდამოში შეიძლება მიუთითებდეს ტუბერკულოზურ პროცესზე ის აღინიშნება აგრეთვე სასუნთქი უნთების პათოლოგიის, მათი არათანაბარი შეკუმშვისას, შემცირების, კანქალიის დროს.

ნორმის დროს ბრონქული სუნთქვა ისმის ხორხზე წინ - ფარისებრი ხრტილის მიდამოში და უკან, VII კისრის მაღის დონეზე. მარჯვნივ, აგრეთვე ტრაქეის და მისი ბიფურკაციის მიდამოებში (წინ - მკვერდის ძელის ტარის და მისი მკვერდის ძელის ტანთან შეერთების ადგილას და უკან, ბებუბაში მიდამოში გულმკერდის III-IV მაღის დონეზე). მისი წარმოშობა დაკავშირებულია ყაში პაერის ვასილულის აღმოცენებულ რხევებთან. მას ლარინგოტრაქეულ სუნთქვასაც უწოდებენ. ვეზიკულური სუნთქვასთან შედარებით, ის უხეშია, მაღალი ტონალობისაა. ხმოვანებით მკავს ქართულ ბგერა „პ“-ს. ის ისმის როგორც ჩასუნთქვის, ასევე ამოსუნთქვის ფაზაში. ამოსუნთქვის დროს ის უფრო ხანგრძლივად და მძლავრად ისმის, რადგანაც ამ დროს ყია ვიწროვდება. გულმკერდზე ბრონქული სუნთქვა არ ტარდება, რადგანაც ფილტვის ქსოვილი ბგერების ცუდი გამჭარობა და ახშობს ბრონქულ სუნთქვას. ბრონქული სუნთქვის გაჩენა ფილტვების პროცესზე ვეზიკულური სუნთქვის ნაცვლად, მიუთითებს პათოლოგიური პროცესის არსებობაზე. ანთსტიკურად ის ამ დროს თითქოს ხერხის დროს წარმოშობილ მიხანობას მკავს.

ვეზიკულური და ბრონქული სუნთქვის გასარჩევად ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის შედარებით ხანგრძლივობაა.

პათოლოგიის პირობებში ბრონქული სუნთქვა ისმის პაერის გამჭარო ბრონქის ორველი ფილტვის ქსოვილის გამკვერევიანსას, მანში, როდესაც ალვეოლები ამოვსებულია ანთებითი ექსუდატით ან სისხლით (კრუპოზული ანემომიის მერევე სხვადა, სუგმენტური ანემომია, შეერთებული ბრონქოანემომია, ფილტვების ტუბერკულოზი, ფილტვის ინფარქტი), ან ისინი მიჭყლებილია პლევრაში დაგროვილი სითხის ან პაერის ზენოლით (კომპრესიული ატელექტაზი), ან როდესაც ვითარდება კეროზიანი პნემოკოლოზი, ან ფილტვის წილის კანინოციკლია გადატანული კრუპოზული ანემომიის შედეგად. ასეთ პირობებში არ ხდება ალვეოლის ექვლების რხევა, უპაერო, გამკვერევილი ფილტვის ქსოვილი კი ბრონქული სუნთქვის კარგი გამჭარობება. ექსუდაციური პლევრიტის დროს ბრონქული სუნთქვა ხმაში მყოფრების ზემოთ ხერხებულთან, იქ, სადაც ფილტვის ქსოვილი მეჭმუნულია სითხის ზენოლით. სანტერესოა, რომ როდესაც პლევრის ღრუში სითხე გროვდება, ვეზიკულური სუნთქვა უსუსტდება, როდესაც ექსუდატი ბგერა 1,5-2 ლიტ-

რო), ჩნდება ბრონქული სუნთქვა. როცა პლევრული სითხე სამ ლიტრამდე აღწევს, სუნთქვა საერთოდ აღარ ტარდება. ამის გარდა, ბრონქული სუნთქვა მოისმინება მაშინ, როდესაც ფილტვებში ჩნდება ღრუ (ახსციკი, კავერნა), თუკი ღრუ ახლია ვულმკერდის კედელთან, დღია და შეერთებულია ბრონქთან, აგრეთვე ღია პნევმოთორაქსის დროს. ღრუ ამ დროს ახდენს ხშიანობის რეზონირებას.

თუ ფილტვებში არსებული ღრუ დღია, დიაფრაგმა 5-6 სმ-ზე მეტი, სადა კედლებიანი და შეერთებულია ბრონქთან, აგრეთვე ღია პნევმოთორაქსის დროს შეიძლება მოვისმინოთ ამფორული სუნთქვა (ბერძნ. ამფორა - ღოჭი, სურა). აღნიშნული ხშიანობა პგავს ქილაში ჩაბერვის დროს მიღებულ ხშიანობას და დაკავშირებულია ამ დროს მაღალი ობერტონების გაჩენასთან. თუ ღრუს კედელი ძლიერ დაჭიმულია, აგრეთვე ღია პნევმოთორაქსის დროს, ამფორულმა სუნთქვამ შეიძლება მაღალი ტემბრის ლითონისებრი ელფერი შეიძინოს. ლითონისებრი ელფერის ამფორული სუნთქვა მოისმინება მაშინ, როდესაც აქრესითი ელფელობით ლითონისებრი ელფერის ტიპიანდება.

როდესაც ბრონქული სუნთქვა ჩასუნთქვისას სიმაღლეს ან ხასიათს იცვლის, მას მეტამორფოზულ სუნთქვას უწოდებენ და ღრუს ხიზნად მიიჩნევენ.

შერეულ ან ბრონქოვუზიკულურ სუნთქვაზე ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც ჩასუნთქვისას ისმის ვეზიკულური სუნთქვა, ამოსუნთქვისას კი ბრონქული. აღნიშნული ხასიათის სუნთქვა გვხვდება მაშინ, როდესაც ფილტვების შედარებით მცირე ზომის გამკერავებული უბნები ერთმანეთისაგან დაცილებულია და განლაგებულია ახლოს, პაერისმეცელ ალვეოლებს შორის, შედარებით სიღრმეში. აღინიშნება ბრონქოპნევმონიის, ტუბერკულოზის, პნევმოსკლეროზის დროს. ბრონქოვუზიკულური სუნთქვა ზოგჯერ მოისმინება ნირმის დროსაც მარჯვენა ფილტვის მწვერვალის მიდამოში.

დამატებითი სუნთქვითი ხშიანობები - ხიხინი (rhonchi), კრეპიტაცია და პლევრის ხახუნი მოისმინება ფილტვების და პლევრის პათოლოგიის დროს (ცხრილი 14).


ცხრილი 14

დამატებითი უსუნთქვითი ხშიანობები

არჩევენ სველ (r. humid) და მშრალ (r. sicca) ხიხინს. მშრალი ხიხინი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ბრონქების სანათური

დასახელება		წარმოშობის მექანიზმი და ადგილი
ხიხინი	მშრალი მსტირნაი, მოუკვანძე	წყურბანი ერსუნთქვის ბრონქებში
	სველი	თხიერი სკრეტები ბრონქებში და ფილტვის ღრუებში
კრეპიტაცია	სველი	სითხე და პაერი ალვეოლებში, მათი შეჩერებულ კედლებს და ელფობს
პლევრის ხახუნი		პლევრის ანთებითი ფერცლების ხახუნ

შეიწროებულია და უსუნთქვასწორია, სანახოს, ლორწოვანი გარსის მუშუპების და ანთების გამო. მშრალი ხიხინს იწვევს ამ დროს ბრონქების სანათურში წარმოქმნილი ნებოვანი ნახველის ძაფების რხევა, პაერის მოძრაობასთან დაკავშირებული. მშრალი ხიხინი ისმის როგორც ჩასუნთქვის, ასევე ამოსუნთქვის ფაზაში (სურ. 81).



სურ. 81 მშრალი ხიხინის წარმოქმნის მექანიზმი და წარმოშობის ადგილი

ბრონქების სანათურის მიხედვით, არჩევენ ორი სახის მშრალ ხიხინს. მსხვილ ბრონქებში ისინი დაძალი ხშიანობისაა, მოუკვანძე (ronchi sonori), წვრილ ბრონქებში კი - მაღალი ხშიანობის, მსტირნაი ხასიათის (ronchi sibilantes). მშრალი ხიხინი გვხვდება მწვაე და ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქოექტაზის, პნევმოსკლეროზის, ბრონქული ასთმის დროს. ბრონქიტების დროს ისინი ისმის დეფურად მთელ ფილტვებზე. ადგილობრივად მშრალი ხიხინი მოისმინება ტუბერკულოზის, ბრონქების სიმპლიის დროს. თუკი ის მოისმინება ოზონორებულად, მწვერვალის მიდამოში, ის შეიძლება იყოს ტუბერკულოზური პროცესის ადრეული სიმპტომი.


ბრონქული ასთმის დროს მოისმინება ძირითადად მსტირნაი ხასიათის მშრალი ხიხინი, რომელიც უფრო მკაფიოდ ისმის ამოსუნთქვის ფაზაში, ზოგჯერ შორიდანაც და განპირობებულია წვრილი ბრონქების საზნით და მათში ნებოვანი სკრეტის არსებობით.

სველი ხიხინის გაჩენა დაკავშირებულია ტრაქეაში, ბრონქების სანათურში და ფილტვის ღრუებში თხიერი სკრეტის (ხახვილი, სისხლი, მუშუპების სითხე) დაგროვებასთან. პაერი, გადის რა თხიერი სკრეტში, წარმოქმნის ბუშტუკებს, რომლებიც სკდება და ოძლევა დამახასიათებელ ხშიანობას, რომელსაც ადარებენ დუღის დროს სითხის ზედაპირზე ბუშტუკების სკდომის ხშიანობას (სურ. 82). ის ისმის როგორც ჩასუნთქვის, ასევე ამოსუნთქვის ფაზაში, მაგრამ უფრო მკაფიოდ - ჩასუნთქვისას. ბრონქების კალბრის მიხედვით, არჩევენ მსხვილბუშტუკოვან, საშუალობუშტუკოვან და წვრილობუშტუკოვან სველ ხიხინს.

არჩევენ ხშიან (კონსონურ) და არახშიან (არაკონსონურ) სველ ხიხინს. სველი ხიხინი ხშივანი ხდება, ხშიანობისა, კარგად ტარდება და ახლოს ისმის ყურთან, თუკი ბრონქის ვარშემო არის ფილტვის გამკერავებული უბანი ან რეზონანის გამომცემელი ღრუ. სველი ხიხინი არ არის ხშივანი, ისმის შორს, თუკი ბრონქის ვარშემო ინფლტრატი არ აღინიშნება, რადგანაც ფილტვის ქსოვილი ახშობს ხშიანობას.

მსხვილობუშტუკოვანი სველი ხიხინი წარმოიქმნება ტრაქეაში და მსხვილ ბრონქებში. ის დაძალი ტონალობის, ხშიანობის ხშიანობაა. აღინიშნება ბრონქიტების დროს. მოისმინება აგრეთვე ბრონქოექტაზულ კერებში და ბრონქთან შეერთებულ სეზეზე, თუკი მასში არის თხიერი შიგთავსი. ის ამ დროს ხშივანია, რადგანაც ღრუ ახდენს ხშიანობის რეზონირებას. ბუყბუყ ხასიათის სველი მსხვილობუშტუკოვანი ხიხინი მოისმინება ფილტვების მუშუპების, აგრეთვე აგროვანი მედომარეობის დროს. ის წარმოიქმნება ტრაქეაში და მსხვილ ბრონქებში მეფეუბებით სითხის დაგროვების გამო. ისმის მანძილზეც.

საშუალო კალბრის სველი ხიხინი წარმოიქმნება საშუალო კალბრის ბრონქებში და გვხვდება ბრონქიტების დროს. ლოკა-



სურ. 82 სველი ხიხინის წარმოქმნის მექანიზმი და წარმოშობის ადგილი

ლურად ის შეიძლება მოისმინონ ბრონქოექტაზურ კერებში, ღრუს მიდამოში, აგრეთვე ტუბერკულოზის დროს.

წერილობტუკოვანი სველი ხიხინი წარმოიქმნება წერილი კალბრის ბრონქებში და ბრონქოქემში. აღინიშნება ბრონქიტების, ბრონქოლოტების, ბრონქოპნევმონიის, ტუბერკულოზის დროს. ის მოისმინება აგრეთვე ფილტვების შემუშებისას. ბრონქოპნევმონიის დროს ის ხმოვანია, რითაც განსხვავდება ბრონქიტების დროს არსებულ არასმოვან წერილობტუკოვან ხიხინისაგან.


კრეპიტაცია (crepitation - ტკაცუნე) წარმოიქმნება ალვეოლებში, როდესაც იქ არის მცირე რაოდენობით თხიერი მიგთაცისი. ამოსუნთქვისას ალვეოლის კედლები ერთმანეთს ეწყობება და შემდგომი ჩასუნთქვის დროს გააძლევს კრეპიტაციას. ის შვავს ყურთან თბის გასრვისი ხიხინისა. კრეპიტაცია მოისმინება ნილოვანი პნევმონიის, სეგმენტური პნევმონიის, ფილტვების ტუბერკულოზის, ინფარქტის, კომპრესიული არასრული ატელექტაზის, ფილტვებში შეგუბებითი სითბის დაგროვების დროს. ის ისმის მხოლოდ ჩასუნთქვისას, მის ბოლოში, რითაც მას განასხვავებენ სველი ხიხინისაგან, რომელიც მოისმინება როგორც ჩასუნთქვის, ასევე ამოსუნთქვის ფაზაში. ამასთან, სველი ხიხინი ხველის შემდეგ იცვლის ხასისას ან ქრება, კრეპიტაცია კი არ იცვლება. კრეპიტაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია კრუპული პნევმონიისათვის. ის მოისმინება აღნიშნულ დაავადების დასაწყისში, ე.წ. დაწყებითი კრეპიტაცია - crepitatione indux. როგორც აღნიშნული იყო, კრუპული პნევმონიის მეორე სტადიაში, როდესაც ალვეოლები მთლიანად არის ამოვსებული ექსუდატით, ვისმენთ ბრონქულ სუნთქვის დაავადების ჩათავებისას, როდესაც ალვეოლები თავისუფლდება შიფთისაგან, მაგრამ მათი კედლები ჯერ კიდევ გაფლეთილია ექსუდატით, ვისმენთ დამთავრების კრეპიტაციას - crepitatione redux.

კრეპიტაცია ზოგჯერ შეიძლება გარჩენდეს მოხუცებში, თუკი ისინი სანაღბო დიდხანს ნუნანან. ის მოისმინება უკან, ფილტვების ქვედა მიდამოებში, მაგრამ აქვს გარდამავალი ხასიათი და ქრება რამდენიმე ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ.

უცხოურ, ძირითადად ამერიკულ, სამედიცინო ლიტერატურაში მიიღებულია დამატებითი სუნთქვითი ხიხინობების ახალი კლასიფიკაცია. აღნიშნული კლასიფიკაციით გამოყოფენ შემდეგ ხიხინობებს: ხიხინი (crackle, rale), ბუყბუყი (rhonchi, rumble, gurgle) და სტენა (wheeze). ხიხინი ტკაცუნას ხიხინობაა, ჩნდება ჩარტული წერილი სასაქრო გზების გაკეფის შედეგად, მათში პაერის შესვლისას. ისმის მხოლოდ ჩასუნთქვის ფაზაში. ხიხინობას სძაძულ დამოკიდებული ბრონქების კალბრზე (სურ. 83). არის წყვეტილი ხიხინობა. ნახი ხიხინი მოისმინება პნევმონიების დასაწყისში, პნევმოსკლეროზის დროს, გულის

შეგუბებითი უკმარისობის შემთხვევაში. უხეში ხიხინი ისმის პნევმონიების ჩათავებისას და ფილტვების შემუშების დროს. ანთებითი და შეგუბებითი ხიხინი აუსკულტაციით არ განირჩევა, შეეფარდება კრეპიტაციას და სველ ხიხინს. ის, რაც ისმის ამოსუნთქვისას, ბუყბუყი - მშრალი ხიხინია. ბუყბუყი წარმოიქმნება მსხვილ სასაქრო გზებში. არის მამირი, როდესაც სეკრეტი გროვდება ტრაქეაში და მსხვილ ბრონქებში. ისმის როგორც ჩასუნთქვის, ასევე ამოსუნთქვის ფაზაში. ზოგჯერ ისმის მანძილზე. ის სუთვადება ხველის შემდეგ. უწყვეტი ხიხინობაა. შეეფარდება მშრალ მოგუგუნე ხიხინს. სტენა წარმოიქმნება ფილტვების ობსტრუქციული დაავადებების დროს. შედეგია ბრონქოასპიის, ბრონქების და ბრონქოლოტების ლორწოვანის შემუშების ან სასუნთქო გზების ობსტრუქციისა ლორწოთი, სიმსივნით, უცხო სხეულით. ისმის ჩასუნთქვის და უკეთ - ამოსუნთქვის ფაზაში, ზოგჯერ მანძილზე. უწყვეტი ხიხინობაა. შეეფარდება მშრალ მსტენიან ხიხინს.


პლევრის ხახუნი (frictio pleurae) დამატებითი სუნთქვითი ხიხინობაა. ნორმის დროს პლევრის ფურცლები, რადგანაც მათი ზედაპირი სადაა, უწყურად სრიალებენ ერთმანეთზე სუნ-



სურ. 83 ხედავსება კალბრის სველი ხიხინის გაჩენის დრო ჩასუნთქვის ფაზაში

თქვის დროს. პლევრის ანთების დროს მის ზედაპირზე ლაგდება ფიბრინი და ის ხდება უსწარმასწარო. ასეთ შემთხვევაში სუნთქვის დროს წარმოიქმნება ხიხინობა, რომელსაც პლევრის ხახუნს უწოდებენ. პლევრის ხახუნი ჩნდება აგრეთვე პლევრაში შემდგომი ფილტვის განვითარებისას - პლევრის ფურცლებს შორის შეხორცელების, პლევრის სიმსივნის ან ტუბერკულოზური ზოკლის გაჩენისას. ის საკმაოდ პოლიმორფული ხიხინობაა და ვევაონებს ტყავის, აბრეშუმის ორი ფურცლის ერთმანეთზე ხახუნის, ქაღალდის შრიალის, თოვლის ხრაპუნის, ფხაჭუნის, ჭრახის, ხელის თითების კანის ყურარება ხახუნის ხიხინობებს.

პლევრის ხახუნი ისმის სუნთქვის ორივე ფაზაში. ხელის დროს ის არ იცვლება, რითაც შეიძლება მისი გარჩევა ხიხინისაგან. სტეტოსკოპის დაჭრით ის ძლიერდება, ისმის ყურთან ახლოს, მხრად ემთხვევა ტკივლის ლოკალიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ ვერ არჩევენ პლევრის ხახუნს ხიხინისაგან და კრეპიტაციისაგან, მიმოთავენ შემდეგ ცდას: უსთავ ავადმყოფი მო-



სურ. 84 შუფის ხშიანობის გამოკვლევა

კუმავს პირს და დაახმობს ცვირის, მუცლის შენევის და შემდეგ წინ წამოვიწიას ვისმენთ პლევრის ხახუნს, დიაფრაგმის გადაადგილებისას პლევრის ფურცლები ერთმანეთს ეხახუნება. ხიხინი და კრეპიტაცია ამ დროს არ აღინიშნება, რადგანაც პაერი ბრონქებში არ მოძრაობს. იძუიათად პლევრის ხახუნი მოისმინება მწვერვალების მიდამოში, რაც ტუბერკულოზისათვისაა დამახასიათებელი.

პლევრის ხახუნი შეიძლება გაჩნდეს ხანმოკლე დროის მანძილზე რევმატიზმის დროს. ტუბერკულოზური პლევრიტის შემთხვევაში ის მოისმინება ხანგრძლივად, თუ პლევრის ხახუნი განპირობებულია პლევრაში არსებული შუბორცვებებით, ის მოისმინება მრავალი წლის მანძილზე.

მშრალი პლევრიტის გარდა, პლევრის ხახუნი შეიძლება გაჩნდეს ექსუდაციური პლევრიტის დასაწყისში და ჩათაყვისის პროცესში, ექსუდატის შეწყობისა. ამ შემთხვევაში ის, კეთილსამიერდო სიმპტომია და პლევრული სითხის აღავებაზე მუთითობს. პლევრის ხახუნი შეიძლება გაჩნდეს აგრეთვე ურემიის (მლაკური აზოტური ნივთიერებების ჩალაგებისას პლევრაში), ორგანიზმის გაუნყოფიებისას (ქოლერა).

ორდღას პლევრაში არის ანთიბიოტი ცვლილებები იმ მიდამოებში, რომელიც გულს ემიჯნება, ჩნდება ვერტი ვიდებული პლევროპერიკარდიული ხახუნი. ის ისმის არა მარტო ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის ფაზაში, არამედ სისტოლა-დიასტოლის დროსაც.

ბრონქოფონია ხმის გატარებაა გულმკერდზე. ავადმყოფს

წარმოათქმევენ სიტყვებს, რომლებშიც არის დაბალი ტონალობის თანხმოვანი „რ“, მაგალითად ორი-ორი. ნორმის დროს სიტყვები მოისმინება სუსტად და გაურკვევლად, ერთნაირად ორივე მხარეს, სიმეტრიულ მიდამოებში, ფილტვის ქსოვილის გამკვრივების და ღრუს არსებობის შემთხვევაში, რომელიც ხშიანობის რეზონირებას ახდენს, ბრონქოფონია ძლიერდება და ცალკეული ბგერები მკაფიოდ ისმის. თუ სიტყვებს წარმოთქმვენ ჩურჩულთ, ის უკეთ ისმის. თუ სიტყვები მკაფიოდ გასარჩევია, მას პექტორილოქვია (ლათ. ლოქვას - მოლაპარაკე) ეწოდება. ფაქტობრივად ბრონქოფონია გულმკერდის ბგერითი რხევის აქუსტიკური გამოვლინებაა. ის ძლიერდება იგივე სიტუაციებში, როგორც გულმკერდის ბგერითი რხევა. კრუპოზული პნევმონიის დროს ბრონქოფონია ძლიერდება უფრო ადრე, ვიდრე განჩნდება ბრონქული სუნთქვა ან რენტგენოლოგიურად გამოვლინდება ფილტვების ქსოვილის დაზიანდება. ის სუსტდება იმავე პირობებში, რომლებიც იწვევს გულმკერდის ბგერითი რხევის შესუსტებას, მაგრამ ამ შესუსტებას დიაგნოსტიკური მნიშვნელობა არ ენიჭება. თუკი ბრონქოფონიას აქვს ცვირისსივრთი წრიაზი, ჩახლქილი, გაბზარული ხასიათი და თხის კიკის წაავას, მას ეგოფონია ეწოდება. ის გვხვდება პლევრის ღრუში საშუალო რაოდენობით სითხის დაგროვების შემთხვევაში ბჭვის ძვლის კიდესთან ფილტვის გამკვრივების მიდამოებში. ეგოფონიის დროს ავადმყოფს თუ ათქმევენებენ ინგლისურ „ე-ე-ე“ (ი-ს), მოისმინება „ა-ა“ (ი). „ე“ სუფთა ტონია, „ა“-ს აქვს ცვირისსივრთი ხასიათი.

მცირე გამკვრივებულ უბნებს ბრონქოფონიით ადგენენ უფრო ადრე, ვიდრე გულმკერდის ბგერითი რხევით, განსაკუთრებით დასუსტებულ ავადმყოფებში, ბრონქოფონია არ ძალქით სიტყვების მხამალა წარმოიქმნა. ბრონქოფონია უკეთ ელინდება კაცებში, ქალბთან შედარებით.

აუსკულტაციით შეიძლება მოვისმინოთ ნვეის დეკარდნის ხშიანობა (*gutta cadens*). ის ჩნდება ერთ კავერუნებში, აბსცესურ ღრუში ან პლევრაში, რომლებიც დროდლოლად შეიცვაცენ ჩირქს და პაერს. ავადმყოფის პოზის შეცვლისას ვერტიკალურ დანა პორიზნტალურად ან პირიქით, ჩირქოვანი სითხე ღრუს გაშმაბითად ვადნება ქვევით, ღრუში არსებულ სითხეში და იწვევს ნვეის დეკარდნისათვის დამახასიათებელ ხშიანობას.

ვიდროპნევროთორაკის დროს შეიძლება გამოვლინდეს ე.წ. შუფის ხმა, რომელიც მიმოკრატეს მიერ არის აღწერილი და მის სახელი ქქია (*„succusio Hippocratica“*). შუფის ხმის გამოსავლენად ექიმი ადგს ყურს გულმკერდის კველს და შეარჩევს ავადმყოფს (სურ. 84). ამ დროს მოისმინება ხშიანობა, რომელიც ემსავასება წყლით ნახევრად სასვე გრაფინის შერხვევისა მიღებულ ხშიანობას.

მედიასტინური ფიფიზების დროს ზოგჯერ მოისმინება გულის ცვირის სინორონული ტკაცუნბ, რომელსაც პამანის სიმპტომი ეწოდება. ის შეიძლება გაჩნდეს ქირურგიული ჩარევის; ტრავმის, ალვეოლების გასკდომის შედეგად ასთმური ძლიერი შეტევების ან ძლიერი ხველის დროს.

ფილტვებში არსებული გამკვრივების აღმოსაჩენად მიმართვენ აგრეთვე ე.წ. აუსკულტაციურ პერკუსიას. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ის მგრძობარევი მეთოდი ან პნევმონიის, კიბოს, ტუბერკულოზის და ფილტვების ზოგიერთი სხვა, გამკვრივებით მიმდინარე დაავადების დასადგენად. აღნიშნული მეთოდით მოყრუება ელინდება უფრო ადრე, ვიდრე ჩვეულებრივი გულმკერდის პერკუსიით.

# ლაგორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები

## ლაბორატორიული გამოკვლევები

### ნახველის ანალიზი

ნახველის (sputum) გამოკვლევა ხშირად გვეხმარება დაავადებით პათოლოგიური პროცესის ხასიათი და ზოგჯერ გადმწვევტა დაავადების ამოცნობაში (ტუბერკულოზის მიკობაქტერიების, სიმსივნური უჯრედების აღმოჩენა და სხვა). იკვლევენ ნახველის სადღლეღამის რაოდენობას, სუნს, ფერს, კონსისტენციას, ხასიათს, მინარევების არსებობას. ნახველს აფასებენ ჯერ თვალად - მაკროსკოპულად, შემდეგ იკვლევენ მიკროსკოპულად.

სასურველია, გამოაკვლევად აიღონ დილის ნახველი, ჭამამდე და პირის დაბანამდე. ნახველის მოგროვებისას იყენებენ სპეციალურ საზომიან თავსახურთან საფურცელებებს. შეგროვილი ნახველი გადააქთ ღრმა გამჭვრეალე თეთვზე ან პეტრის ფინჯანზე, რომელსაც უკეთ დათვალეირებისათვის ათავსებენ მავ ფინჯნს.

ნახველის რაოდენობა შეიძლება იყოს ძალიან მცირე (ბრონქული ასთმა, მწვავე ტრაქეობრონქიტი), ბევრი, 30-100 მლ (ქრონიკული ბრონქიტი, პნევმონია, ფილტვების ტუბერკულოზი), 200-500 მლ და მეტი, 2 ლიტრამდე (ბრონქოექტაზია, ფილტვების აბსცესი, განგრენა).

ნახველი შეიძლება იყოს მორუხო-მოთეთრო ფერის, მოყვითალი, მომწვანო, მონივლი. მისი ფერი დამოკიდებულია მის ხასიათზე, ჩირქის, სისხლის, მტკრის მინარევზე. ნახველი ხასიათით შეიძლება იყოს ლორწოვანი, ჩირქოვანი, სეროზული, შემორაგიული ან მურული, ამა თუ იმ კომბინაციის - ლორწო, ჩირქი, სისხლი და სხვა პრევალირებით. ლორწოვანი ნახველი, ჩვეულებრივ, გამჭვრეალე და უფეროა, ზოგჯერ მორუხო ფერისაა. არის ბრონქული ასთმის, მწვავე ტრაქეიტის, მწვავე ბრონქიტის დასაწყისში. კონსისტენციით ის ზოგჯერ მკვრივი, ნებოვანია. დამახასიათებელია ბრონქული ასთმისათვის, ზოგჯერ ბრონქიტის და კრუბული პნევმონიის დასაწყისისათვის.

ჩირქოვანი ნახველი მომხვანი ფერისაა, მოტკვი, დამყავებული სუნით, შეიძლება იყოს სქელი ან თხელი კონსისტენციით. არის ბრონქოექტაზიის, ფილტვების ტუბერკულოზის, განგრენის, აბსცესის დროს. განსაკუთრებით დამახასიათებელია მყრალი სუნის ნახველი ფილტვების განგრენისათვის. სუნიანი ნახველი შეიძლება განჩდეს ფილტვების კიბოს დროს, თუკი ის დამლას განიციდოს. ლორწოვან-ჩირქოვანი ნახველი მოყვითალი ფერისაა. დამახასიათებელია ბრონქიტის, ფილტვების კატარული ანთების, ბრონქოექტაზიისათვის. სეროზული ნახველი თხლია, ქაფიანი, გამჭვრეალე; ზოგჯერ ის მოვარდისფერი, თუკი ფილტვების კაპილარებიდან გამოიონილი სისხლის შრატია შერეული. არის ფილტვების შეგუბების და შემუპების დროს.

სისხლიანი ნახველი მონითალო ან ვარდისფერია. ნახველში შეიძლება იყოს სუფთა ახალი სისხლი ან მისი გუნგები, ნინწყლები, ძაფები, შედედებული სისხლი. სისხლიანი ნახველი დამახასიათებელია ფილტვების ტუბერკულოზის, სიმსივნის, ინფარქტისათვის. შეიძლება განჩდეს ბრონქოექტაზიის, ფილტვების აბსცესის და ფილტვის ქსოვილში სხვა რღვევითი პროცესების დროს. თუკი სისხლი დიდიანს ჩრდნება სასუნად სისტემაში, მისი შემოღობობი გარდამაქნება შემოსადერინდა და ნახველი იღებს ყანგის ფერს, რაც ძალიან დამახასიათებელია კრუბული პნევმონიისათვის. მცირე რაოდენობით სისხლი ნახველში შეიძლება იყოს ყვანძოვანი პერიარტერიიტის ფილტვის ფორმის დროს.


მოშავო ფერისაა ნახველი ფილტვების ანთრაქოზის, სიდეროზის დროს.

ნახველის რეაქცია, როგორც წესი, ტუტეა.

მაკროსკოპულად ნახველში შეიძლება ჩანდეს ფიბრინის ძაფები, სისხლის გუნგები, კურშმანის სპირალები (ფილტვის ქსოვილის ნაფლეთები).

მიკროსკოპული გამოკვლევისათვის ნახველს პინციტით იღებენ სასაგე მინაზე და ფრადე მას საფარი მონით (მუდეტაბეი ნახველის გამოკვლევა). ნახველი შეიძლება შეიღებოს ეოზინით, გიმზას მიხედვით და სხვა.

ნორმის დროს ნახველში ნახვლობენ მცირე რაოდენობით ლეიკოციტებს, ერთეულ ერითროციტს, ბრტყელი ეპითელიუმის უჯრედს და ღორწოს ზონრებს. პათოლოგის დროს გვხვდება პოლიმორფობრთვანი ლეიკოციტები (მწვავე ანთებითი პროცესების დროს), ეოზინოფილები (ნორმის დროს ისინი ერთეულია, ბრონქული ასთმის დროს შეიძლება ყველა ლეიკოციტის 60-90% შეადგინონ), შარკო-ლეიდენის კრისტალები (უფერული, რომბისფორმის ნეგეტივ ნარჩონაქმნები, დამახასიათებელი ბრონქული ასთმისთვის, ვარაუდობენ, რომ წარმოიქმნება ეოზინოფილების დამლის შედეგად), კურშმანის სპირალები (სპირალის ფორმის ნარჩონაქმნები, დამახასიათებელია ბრონქული ასთმისთვის), ელასტიკური ბოჭკოები (ბრტყელი, ორკონტურიანი, სადა, ბლოში ნაფეტბული ნარჩონაქმნები, ჩნდება ფილტვის ქსოვილის რღვევის დროს - აბსცესი, განგრენა, ტუბერკულოზი), ე.წ. გულის მანკის უჯრედები (შემოსადერინის შემცველი მაკროფაგები, გვხვდება სისხლის მიმოქცევის მცირე ნრეში შეგუბებისას, განსაკუთრებით ხშირად მიტრალური სტენოზის დროს), სიმსუნური უჯრედები, სოკოები და სხვა (სურ. 85).



სურ. 85 ნახველის ანალიზი: ა. კურშმანის სპირალები და შარკო-ლეიდენის კრისტალები; ბ. ელასტიკური ბოჭკოები

მინუნელოვანია ნახველის ბაქტერიოსკოპული გამოკვლევა. ამ მიზნით ნახველს ღებავენ გრამის მიხედვით. გრამდადებითად (ლურჯ ფერში) იღებება პნევმოკოკები, სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, გრამუარყოფითად (მონითალო ფერში) - ფრედენდერის დიპლობაცილა, შვეიფერის ჩხირი და სხვა. ნახველში შეიძლება აღმოჩნდეს პათოგენური სოკოები, სპიროქტები და სხვა. ტუბერკულოზის ჩხრების გამოსაყენლად ნახ-



ველს ღებავენ ცილ-ნილსენის მეთოდით. მიკობაქტერიები იღებება ნითლად ლურჯ ფონზე. ნახელის გამოკვლევა ტუბერკულოზის მიკობაქტერებზე მიზანშეწონილია ყველა გაურკვეველ დაავადების დროს, როდესაც აღინიშნება ხანგრძლივი ცხელება, სიმაღლერი, რადიკალი დასაწყისი ტუბერკულოზმა შეიძლება არ მოგვეცეს მოვლენები ფილტვების შხრივ, ხევის გარდა.

თუკი ბაქტერიოსკოპული გამოკვლევი ეერ ნახულობენ დაავადების გამოწვევს, მიმართავენ ნახელის დათესვას საკვებ ნიადაგებზე. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა საშუალებას იძლევა მოხდეს გამოწვევი მიკროორგანიზმის იდენტიფიცირება, დადგინდეს მისი ვიროლენტობა და მგრძობილობა ნაშლების, კერძოდ კი, ანტიბიოტიკების მიმართ, რაც მეტად მნიშვნელოვანია გამიზნული მედიკამენტური მკურნალობის წარმართვისათვის. საჭიროების შემთხვევაში, დაავადების გამოწვევი მიკროორგანიზმის აღმოსაჩენად მიმართავენ ნახველით ექსპერიმენტული ცხოველების დასნებოვნებას.

**ბრონქების ამონარეცხი წყლების გამოკვლევა**

ბრონქების ამონარეცხი წყლების გამოკვლევა წარმოებს ტუბერკულოზის მიკობაქტერიების აღმოსაჩენად, მაშინ, როდესაც ავადმყოფი არ გამოყოფენ ნახელებს, აგრეთვე ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკისათვის. ავადმყოფს აწვევენ დაავადებულ მხარეს. ხაზის და ხორხის დიკაინით ანესთეზიის შემდეგ ხორხში და ტრაქეაში სპეციალური შპრიტის საშუალებით წელა შეჰყავთ 10-12 მლ შემთბარი ფიზიოლოგიური ხსნარი. ბრონქებში მოხვედრისას ის იწვევს მისი ლორწოვანის გალიზიანებას, რასაც თან სდევს ხეულა და ლორწოს გამოყოფა. ამონარეცხი წყლებს იკვლევენ ციტოლოგიურად და ბაქტერიოლოგიურად.

**პლევრული სითხის გამოკვლევა**

პლევრულ სითხეს იღებენ დიაგნოსტიკური და სამკურნალო მიზნებით. ამასთანავე, პლევრული პუნქციის დროს პლევრის ღრუში შეიძლება შეიყვანოს სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატი.

პლევრულ პუნქციას ჩვეულებრივ ატარებენ უკან აქსილარულ, ან ბეჭის ხაზზე, VII ნევის დონეზე, ნეკის ზედა კიდეზე. დიდი რაოდენობით სითხის ამოსაღებად იყენებენ პოტენის აპარატს. პლევრული სითხის გამოღება შეიძლება სიფონის პრინციპის მიხედვითაც. პლევრის ღრუში შეჰყავთ საპუნქციო ნემსი, რომელზეც ჩამოცმულია რეზინის მილი. პირველ პორციას მიიღებენ გამოწვევი შპრიცით, შემდეგ რეზინის მილის ბოლოს ჩამოშვებენ პლევრული სითხის სავარაუდო დონეზე ქვევით და სითხე იწვევს გამოსვლას პლევრის ღრუდან. პლევრის დიაგნოსტიკური პუნქცია და ნაშლის შეყვანა შეიძლება განხორციელდეს 20 ვრამიანი შპრიცით.

პლევრამი შეიძლება დაგროვდეს შეგუბებით სითხე - ტრანსუდატი ან ანთიზად სითხე - ექსუდატი. პუნქციით მიღებული სითხე თხელია, თუ გვაქვს ტრანსუდატი ანდა სეროზული, სეროზულ-ფიბრინული, ან შემორავილი ექსუდატები. ჩირქოვანი ექსუდატი სქელი კონსისტენციისაა. პლევრული სითხე მყოფიათლო-ქარევისფერა ტრანსუდატის და სეროზული ექსუდატის დროს, ყვითელი და ზოგჯერ მომწვანო მღერე -

ჩირქოვანი ექსუდატის დროს, მონითალო ან ნითელი - როდესაც მივთავსი შემორავილია, მიზაკსფერი-იქოროზული (იქორ - ბერძ. ჩირქი) - ლაბიითი ექსუდატის დროს, რისფერი - ქილოზური (ბერძ. ქილოს - წვეტი) სითხე არის ლიმფური სადინარების და ზიანებისას, სიმსივნეების, ტუბერკულოზის, ლიმფოიდური ნეფროზის (ფსევდოქილოზური) დროს, უფერულია - ექვიმოკოს ტუბის სითხე.

სეროზული ექსუდატი ძალზე დამახასიათებელია ტუბერკულოზისათვის. ის გამოიყვალე, მოყვითალო ფერისაა. შემორავილი ექსუდატი არის ათვისებიანი სიმსივნეების, ფილტვის ინფარქტის, შემორავილი დათავების დროს. ტრანსუდატი ყველაზე ხშირად აღინიშნება გულის შეგუბებით უკმარისობის შემთხვევაში.

ტრანსუდატის და ექსუდატის გასარჩეად იკვლევენ მათ ხედიანის ნონას, ცილის რაოდენობას, ატარებენ რეაგლას რეაქციას, პლევრული სითხის მიკროსკოპულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას. ექსუდატი უფრო ხშირად ცალმხრივია, ტრანსუდატი - ორმხრივი (ცხრლი 15).

ცხრილი 15

პლევრული ექსუდატის და ტრანსუდატის დიფერენციული დიაგნოსტიკა

ექსუდატი	ექსუდატი	ტრანსუდატი
სფეროიზონა	>1015	<1015
ცილა	>3%	<3%
რეაგლას რეაქცია	დადებითი	უარყოფითი
ლესტატქმდროფე	მაღალი (>200 სავრთ)	დაბალი (<200 სავრთ)
ნაწას ატყრება	ერთ/ლ	სავრთ ერთ/ლ
გლეუნა	დაბალი ინფექციის დროს, ძალან დაბალი ფლტვის კობის დროს	მაღალი ინფექციის დროს
მიკროსკოპული გამოკვლევა	მწველ ანტიბის დროს - ნეტოროფილებს, ქრონიკულს - ლიმფოციტების დიდი რაოდენობა, ფლტვის ინფარქტის, კობის ტრეების დროს - ქრონიკიტების დიდი რაოდენობა	ნახულობენ ქრონიკიტებს, ლეიკოციტებს, მესოთელიურ უარფებს მკრე რადენობით
ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა	ბაქტერიოსკოპულად და ბაქტერიოლოგიურად ნახულობენ სხვადასხვა მიკროორგანიზმს	სტერილური

ტრანსუდატის ხედიანის ნონა 1015-ზე ნაკლებია (მერყეობა ჩვეულებრივ, 1006-1012), ექსუდატის - 1015-ზე მეტი (მერყეობა, ჩვეულებრივ, 1018-1022). ცილა ტრანსუდატში არის 3%-ზე ნაკლები, ექსუდატში - 3%-ზე მეტი. ექვიმოკოს სითხეში ცილა 0,3%-ს არ აღემატება. ტრანსუდატი გააძლევს უარყოფით რეაგლას რეაქციას, ექსუდატის შემთხვევაში ეს რეაქცია დადებითია.

რეაგლას რეაქციას დამაბენ შემდეგნაირად. ავსებენ ცილინდრის წყლით, უმატებენ მას რამდენიმე წვეთ ყინულიან მძრის მგავას და შემდეგ 1-2 წვეთ პუნქტატს. ექსუდატის წვეთები სითხეში ჩაძირვისას ტოვებენ მღერე კვალს, რომელსაც თამბაქოს ბოლს ადარებენ. ტრანსუდატის წვეთები ბოლს არ ტოვებენ.

მიკროსკოპიული გამოკვლევისათვის ანარმოებენ პუნქცი-  
ით მიღებულ სითხის ცენტრიფუგირებას. ამზადებენ პრეპარა-  
ტებს, რომლებიც იღებება მია-გრუნვალდის ან გიმბას მეთო-  
დით. მიკროსკოპულ პრეპარატებში ნახულობენ ერთიროვი-  
ტებს, ლეიკოციტებს, ენდოთელიურ უჯრედებს, სიმსენურ  
უჯრედებს, ეპითელიის კაიკებს. კოკური ფორმის აღმოსაჩე-  
ნად პრეპარატები შეიძლება შეიღებოს გრამის მიხედვით და  
ცილ-ნოსტენის წესით (ტუბერკულოზური მიკობაქტერიების  
აღმოსაჩენად), ისევე როგორც ნახველი. საჭიროების შემთხვე-  
ვაში მიმართავენ აგრეთვე პლევრული სითხის დათესვას სხვა-  
დასხვა საკვებ ნივთებზე.

### ინსტრუმენტული გამოკვლევები

#### რენტგენოლოგიური გამოკვლევა

სასუნთქი ორგანოების შესასწავლად გამოიყენება გულ-  
მკრდის რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, ტომოგრაფია,  
ბრონქოგრაფია და ფლუოროგრაფია.

ფილტვების რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია საშუა-  
ლებას იძლევა დადგინდეს ფილტვის ქსოვილის გამჭვირვალო-  
ბა, ფილტვები გამკვირვებელი უბნების (ანთივითი ინფილ-  
ტრატები, ფილტვის ინფარქტი, პნემონისკლეროზი, სიმსენური  
ნარმონაქმნები) და ღრუების, უცხო სხეულების არსებობა სა-  
სუნთქ გზებში, გამოილინდეს სითხე და ჰაერი პლევრის ღრუში,  
აგრეთვე უბები პლევრული გამკვირვებები. ზოგიერთი ცვლილე-  
ბა (მცირე ზომის კეროვანი გამკვირვება, სისხლძარღვოვანი  
სურათის გაძლიერება და სხვა) რენტგენოგრაფიულად უკეთ  
ჩანს, ვიდრე რენტგენოსკოპიულად. ტომოგრაფია - ფილტვების  
შრიტბრივი რენტგენოლოგიური გამოკვლევა საშუალებას იძ-  
ლევა შეისწავლოს ფილტვი სხვადასხვა სიღრმეზე. ის მნიშვნე-  
ლოვანია სიმსენების, მცირე ზომის ინფილტრატების, ღრუე-  
ბის ზუსტი დიაგნოსტიკისათვის. ბრონქოგრაფია - ბრონქების  
რენტგენოკონტრასტული გამოკვლევა, საშუალებას იძლევა  
საკონტრასტო ნივთიერების (იოდინაზოლი) ბრონქის სანა-  
თურში შეყვანის შემდეგ მიიღონ ბრონქული სტრუქტურების  
მკაფიო გამოსახულება. მეთოდი საშუალებას იძლევა გამო-  
ლინდეს ბრონქების სიმსენური შევიწროება, ბრონქოექტაზუ-  
ლი უბნები, ღრუს არსებობა ფილტვებში და სხვა. ფლუორო-  
გრაფია - რენტგენოგრაფია მჭიდრო ფორმატის ფირზე, გამოიყე-  
ნება მოსახლეობის მასობრივი პროფილაქტიკური გამოკვლე-  
ვებისათვის. საეჭო მონაცემების შემთხვევაში ტარდება ჩვეუ-  
ლებრივი რენტგენოლოგიური გამოკვლევები.

#### ენდოსკოპიური გამოკვლევები

##### ბრონქოსკოპია

ბრონქოსკოპია ტარდება ელასტიკური ბრონქოსკოპის სა-  
შუალებით. ის გამოიყენება ტრახეის და ბრონქების ლორწოვანი  
გარსების დასათვალიერებლად. ბრონქოსკოპის ღრუის ჩატარების  
წინ, ავადმჯობურ უკეთებენ ზემო სასუნთქი გზების ანესთეზიას  
დიკაინის 1-3% ხსნარით. ლორწოვანი გარსების დათვალიერე-  
ბის გარდა, შესაძლებელია ლორწოვანის ფოტოგრაფირება, სა-  
სუნთქი გზებიდან უცხო სხეულის ამოღება სპეციალური მამის

საშუალებით, პოლიპების მოცილება, ქსოვილების ბიოფსია  
პისტოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევებისათვის.  
ბრონქოსკოპია საშუალებას იძლევა დადგინდეს ბრონქების  
სიმსენების, ნეკროზების, შევიწროების და სხვა დაავადნობი,  
სისხლსუნფის ლეიკოზაცია. მისი საშუალებით მკურნალო-  
ბენ ბრონქოექტაზიას, ფილტვების ასბცესს. ამ მიზნით, ჯერ ახ-  
დენენ პათოლოგიური კვრებიდან ჩარქოვანი შივთავის ამო-  
წოვას, შემდეგ კი მასში შეჰყავთ საჭირო მედიკამენტები.

##### თორაკოსკოპია

თორაკოსკოპია ან პლევროსკოპია პლევრის ღრუს ენდოს-  
კოპური კვლევის მეთოდია. ის გამოიყენება პლევრის ღრუს და-  
სათვალიერებლად, აგრეთვე პლევრული მეზორიციტების გათიშ-  
ვისათვის, რაც აუცილებელია ხელოვნური პნევმოთორაქსის  
ჩასატარებლად (ფილტვების კავერნული ტუბერკულოზის  
დროს). მანიპულაციას ატარებენ სპეციალური ხელსაწყოთა თო-  
რაკოსკოპის საშუალებით, რომელიც შედგება ოპტიკური მონ-  
ეჟობილობის შემცველი ლითონის მილისგან. თორაკოსკოპი შეა-  
ყავთ ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ შუა აქსილარული კაზხე  
მესამე-მეოთხე ნეწნთაშუა მიდამოში. პლევრის ღრუს დათვა-  
ლიერებისას შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდეს  
შეცვლილი უბნების ბიოფსია შემდგომი პათოპისტოლოგიური  
შესწავლისათვის.

ფილტვების შესწავლის სხვა ინსტრუმენტული კვლევის მე-  
თოდებთან მტკად ინფორმაციულია კომპიუტერული ტომო-  
გრაფია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სიმსენე-  
ების, მათ შორის, მეტასტაზური სიმსენებების ადრეული დიაგ-  
ნოსტიკისათვის. ულტრაბგერითი გამოკვლევები გამოიყენება  
პლევრული პათოლოგიის შესასწავლად. მიმართავენ აგრეთვე  
ტრანსთორაკულ ასპირაციას სპეციალური ნემსით, რაც მნიშ-  
ვნელოვანია პერიფერული და ზიანების დიაგნოსტიკისათ-  
ვის (ამ დროს ბრონქოსკოპია ნაკლებად ეფექტურია), მედიას-  
თინოსკოპიას (წინა მედიასთინოზი და მარჯვენა პარატრაქე-  
ულ რეგიონში ლიმფური კვანძების ბიოფსიისათვის) და ფილ-  
ტვების ე.წ. ლა ბიოფსიას, შემდგომი პათოპისტოლოგიური  
შესწავლისათვის.

#### ფილტვების ფუნქციური კვლევის მეთოდები

გარეგანი სუნთქვა ეწოდება აირთა ცვლას, რომელიც ხდება  
გარე პერსია და ფილტვის კაპილარებში გამავად სისხლს შო-  
რის. გარეგანი სუნთქვის სისტემის ფუნქციური კვლევის მეთო-  
დებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ავადმჯობურთა კომპლექსურ  
შესწავლაში, რომელთა აღენიშნებათ ბრონქების და ფილტვე-  
ბის დაავადებები. ამ მეთოდებს არ აქვთ დიაგნოსტიკური მნიშ-  
ვნელობა, ისინი არ არიან სპეციფიკურები, არ იძლევიან იმ და-  
ავადებების ამოცნობის საშუალებას, რომლებიც გამოიწვიეს  
სუნთქვითი უქმარობა. მაგრამ სუნთქვის სისტემის ფუნქცი-  
ური კვლევის მეთოდებით შეიძლება დადგინდეს სასუნთქი სის-  
ტემის პათოლოგიის არსებობა, ხშირად უფრო ადრე, ვიდრე გა-  
მოილინდება დაავადების პირველი კლინიკური ნიშნები. ისინი  
საშუალებას იძლევიან დადგინდეს სუნთქვის უქმარობის ტი-  
პი, ხასიათი და გამომავლობის ხარისხი, შესწავლილ იქნეს გა-  
რეგანი სუნთქვის აპარატის ფუნქცია დაავადების დინამიკაში,  
მკურნალობის ეფექტურობა და სხვა.

გარეგანი სუნთქვის ფუნქციური კვლევის მეთოდებს ყოფენ იმისად მიხედვით, სუნთქვის რომელ ძირითად ფუნქციას სწავლობენ - ვენტილაციას, დიფუზიას თუ ფილტვების სისხლის მიმოქცევას. ამ მიზნით იყენებენ სპირომეტრას, სპიროგრაფიას, ვერგოსპიროგრაფიას, პნევმოტაქტომეტრას, პნევმოტაქტოგრაფიას, დენსიტომეტრას, რენტგენოკიმოგრაფიას, პულსომონოგრაფიას, რადიონუკლიდების, გულის და სისხლის მიმოქცევის მცირე ნრის სისხლმარათვის კათეტერიზაციას, უქსიპნომეტრას, სისხლის აირების გამოკვლევას ვან-სლაიკის აპარატით, „მიკროასტრუქსი“ ტიპის აპარატურით და სხვა.

ფილტვების ვენტლაციური მაჩვენებლებს არ აქვთ მკაცრი კონსტანტები. ისინი ვაჩნობრებულია არა მხოლოდ სასუნთქი სისტემის პათოლოგიით, არამედ მნიშვნელოვანადაა დაკავშირებული სქესთან, ასაკთან, სხეულის ნივანთან, სიმაღლესთან, კონსტიტუციასთან, ავადმყოფის მდებარეობასთან, ტემპერატურასთან, ბარომეტრულ წნეხასთან. ამიტომ მიღებულ მონაცემებს აუხატებენ ე.წ. ვეკორევი სიდიდეებთან შედარებით, რაც ითვლება ნორმად გამოსაკლევი პიროვნებისათვის. ვეკორევი სიდიდეები გამოითვლება ნორმარამებით და ფორმულებით.

ფილტვების ვენტლაციური მაჩვენებლებს ძირითადად იკვლევენ სპიროგრაფიით.

სპიროგრაფია არის ფილტვების მოცულობის ცვლილებების გრაფიკული რეგისტრაცია სუნთქვის დროს აპარატით, რომელსაც სპიროგრაფი ეწოდება. მარტივი სპიროგრაფი ნარმოადგენს ჩვეულებრივ წყლის სპირომეტრს, რომლის დოლთან მიერთებულია კალამი, რომელიც კიმოგრაფის მოძრავე ლენტზე იწერს დოლის მოძრაობის მრულს - სპიროგრამას. სპიროგრაფიის საშუალებით ისწავლება ვენტლაციის აპარატის მოცულობითი მაჩვენებლები, როგორებიცაა, მავალითადა, ფილტვების სასიცოცხლო ტევალობა და მისი შემადგენელი კომპონენტები (მათი შესწავლა შეიძლება შემადგენელი სპიროგრაფიით). თანამედროვე სპიროგრაფები სუნთქვითი აქტის დინამიკური შესწავლის საშუალებას იძლევა, დგინდება, რა სისწრაფით იცვლება ფილტვების მოცულობები და პაერის რა მოცულობა გაივლის სასუნთქ გზებში დროის ერთეულზე (წამი, წუთი). სპიროგრაფის საშუალებით შეიძლება აგრეთვე დადგინდეს ყველა მონაცემი ცალკეული ფილტვისათვის ბრონქისკოპის საშუალებით, შეკავთ რა პაერი ცალკე მარჯვენა და მარცხენა მთავარ ბრონქში (ბრონქის სპიროგრაფია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ავადმყოფის ტოლერანტობა დატვირთვისადმი, აგრეთვე სუნთქვის სისხტების რეზერვები, ატარებენ ერგოსპიროგრაფიას. ავადმყოფს უტარდება დოზირებული ფიზიკური დატვირთვა სუნთქვითი უქმარისობის ნიშნების გამოვლინებამდე.

გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლებიდან ყველაზე გავრცელებულია ფილტვების მოცულობების შესწავლა, რომლებიც, მართალია, არასაკმარისად ზუსტად, მაგრამ ზოგადად წარმოდგენას იძლევა ფილტვების ვენტლაციური უნარზე. არჩევთ ფილტვების შემდეგ მოცულობებს: 1. სასუნთქი პაერის რაოდენობა, რომელსაც ადამიანი ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს ზომიერი სუნთქვის დროს. ის დაახლოებით 500 მლ-ია; 2. დამატებითი პაერი - ზომიერი სუნთქვის შემდეგ ადამიანს შეუძლია კიდევ შეისუნთქოს დაახლოებით 1500 მლ პაერი; 3. სარეზერვო პაერი - ზომიერი ამოსუნთქვის შემდეგ ადამიანს მაქსიმალურად შეუძლია ამოსუნთქოს კიდევ 1500 მლ პაერი. სასუნთქი პაერის, დამატებითი პაერის და სარეზერვო პაერის ჯამი არის ფილ-

ტვების სასიცოცხლო ტევალობა და ის საშუალოდ 3500 მლ უდრის. ის ოდნავ ნაკლებია ქალებში, მამაკაცებთან შედარებით. მაქსიმალური ამოსუნთქვის შემდეგ ტრაქეაში, ბრონქებში და ალვეოლებში კიდევ რჩება 1000-2000 მლ პაერი, რომელსაც ნარჩენი მოცულობის პაერს უწოდებენ. პირდაპირი სპიროგრაფიით ის ვერ დგინდება და მას იკვლევენ სათანადო ფორმულებით, რომლებიც დამატებულია აზოტით, პელოუმით, რადიოაქტიული ქსენონით გამკვლევის მეთოდებზე. ფილტვების სასიცოცხლო ტევალობის ჯამს ნარჩენი მოცულობის პაერთან ფილტვების საერთო ტევაობას უწოდებენ. ხორხში, ტრაქეაში, ბრონქებში არის დაახლოებით 150 მლ პაერი, რომელიც არ მონაწილეობს აირთა ცვლაში და რომელსაც ფუნქციურად მკედარი პაერი ეწოდება.

ფილტვების საერთო ტევაობის სტრუქტურა ხშირად დამახასიათებლად იცვლება გარეგანი სუნთქვის ობსტრუქციული და/ან რესტრიქციული დარღვევების დროს. ობსტრუქციული ვენტლაციური უქმარისობისას მცირდება ფილტვების სასიცოცხლო ტევალობა, ძირითადად სასუნთქი პაერის მოცულობის შემცირების გამო, მატულობს ფილტვების ნარჩენი მოცულობა. აღნიშნული ცვლილებები გამოიხატულია ობსტრუქციული ქრონიკული ბრონქიტის, ფილტვების ემფიზემის დროს. ის ნაკლებად რელიეფურად აღინიშნება ხანდაზმულ ასაკში. ნარჩენი პაერის რაოდენობა შეიძლება მოიმატოს აგრეთვე დიდი რუების, ბრონქოექტაზიების დროს. ავადმყოფებში რესტრიქციული ვენტლაციური უქმარისობით (ექსუდაციური პლევრიტი, პნევმოთორაქსი), აგრეთვე ქვეითდება ფილტვების სასიცოცხლო ტევალობა დამატებითი პაერის შემცირების ხარჯზე. ფილტვების ნარჩენი მოცულობა ნაკლებად იცვლება.

ფილტვების მოცულობების გაზომვის გარდა, სპიროგრაფიით დგინდება ვენტლაციის სხვა დამატებითი მაჩვენებლები - ფილტვების ფორსირებული სასიცოცხლო ტევალობა, ფილტვების მაქსიმალური ვენტლაცია, სუნთქვის წუთმოცულობა, ამოსუნთქვის ფორსირებული მოცულობა და სხვა.

ფილტვების მაქსიმალური ვენტლაცია (სუნთქვის ზღურბლი) პაერის ის რაოდენობაა, რომელიც გაივლის ფილტვებში მაქსიმალურად სწრაფი და ღრმა სუნთქვის დროს. ავადმყოფი სუნთქავს 15 წამი მაქსიმალურად ხშირად და ღრმად, ადგენენ ვენტლაციური პაერის მოცულობას, ამრავლებენ ოთხზე, რითა ცხვენდება ფილტვების მაქსიმალური ვენტლაცია ერთ წუთში. ნორმის დროს ის უდრის 80-200 მლ/წთ-ს.

სუნთქვის წუთმოცულობა დგინდება სუნთქვითი მოძრაობის გამორეზებულ სუნთქვის სისძირეზე წუთში; ჯანმრთელებში მოსვენებულ მდგომარეობაში ის მერყობს 4-დან 8 ლიტრამდე.

სუნთქვის რეზერვი, ეს არის ფილტვების მაქსიმალური ვენტლაცია მინუს სუნთქვის წუთმოცულობა. ნორმის დროს სუნთქვის რეზერვი სუნთქვის წუთმოცულობაზე 15-20-ჯერ მეტია. ჯანმრთელების ის არის ფილტვების მაქსიმალური ვენტლაციის 85%, სუნთქვითი უქმარისობისას მცირდება 60-55%-მდე და უფრო მეტად.

ფილტვების ფორსირებულ სასიცოცხლო ტევაობას იკვლევენ შემდეგნაირად: გამოსაკლევი პაერს მაქსიმალური ჩასუნთქვის შემდეგ აკეთებინებენ ამოსუნთქვას მაქსიმალური სისწრაფით. ნორმის დროს ამოსუნთქვის ხანგრძლივობა არის 1,5-2,5 წამი. ბრონქიტების, ბრონქული ასთმის დროს ამოსუნთქვა ხანგრძლივდება.

ვენტილაციის თანაბარზომიერების განსაზღვრის მეთოდი დამყარებულია ფოლტეებში ინდიკატორული აირის შერევის და იქიდან მისი გაზოყოფის დროის დადგენაზე. ყველაზე გავრცელებულია პელულის შერევის მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს პელოუმის კონცენტრაციის გათანაბრების პერიოდი სპიროგრაფის ცნობილ მოცულობასა და გამოსაქვევ ფოლტეს შორის.

სუნთქვის ორგანოების სისტემის ფუნქციური გამოკვლევა დღიურებულ დატვირთვით, ენდოსპიროგრაფიის გარდა, შეიძლება ჩატარდეს მტანვეს სინჯის მიხედვით. ავადმყოფმა მოსვენებისას, უზმოზე, მაქსიმალური ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ მაქსიმალური დროით უნდა შეაჩეროს სუნთქვა. სინჯი ტარდება სამჯერ 5 წუთის ინტერვალებით. შემდეგ ავადმყოფი აეთვებს ამოსუნთქვას. ჯანმრთელებში სუნთქვის შეჩერების დრო ჩასუნთქვისას საშუალოდ 30-40 წამია, ამოსუნთქვისას - 20 წამი. სასუნთქი სისტემის პათოლოგიის დროს ის შემცირებულია.

გარეგანი სუნთქვის ზემოთ მოყვანილი ტესტების მაჩვენებლები იცვლება არა მხოლოდ სასუნთქი სისტემის დაავადებების, არამედ გულის, ნერვული სისტემის დაავადებების, ანემიის დროსაც.

ფოლტეების ექსპირაციული ფორნიკული სასიცოცხლო ტევადობა წარმოდგენას იძლევა სუნთქვითი აქტის მექანიკაზე. მას იკვლევენ ტიფნოს მიხედვით. გაზომვა ხდება ისევე, როგორც ფოლტეების სასიცოცხლო ტევადობის შესწავლისას, მაგრამ ავადმყოფმა უნდა მაქსიმალურად სწრაფად, ფორსირებულად ამოსუნთქოს. აღნიშნული მაჩვენებელი ჯანმრთელ პირებში არის 8-11%-ით (100-300 მლ) ნაკლები, ვიდრე ფოლტეების სასიცოცხლო ტევადობა, ძირითადად წერილობით ტექსტებში პაერის ნაკადის წინააღმდეგობის მომატების ხარჯზე. აღნიშნული წინააღმდეგობის მატებისას (ქრონიკული ბრონქიტი, ფოლტეების ემფიზემა, ბრონქული ასთმა) ზემოთ ნახსენები სხვაობა იზრდება და 1500 მლ-საც კი შეიძლება გადააჭარბოს.

უკანასკნელ დროს გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლების შეუასაზღვრად იყენებენ რადიოაქტიურ აირებს - რადიოაქტიურ ქუინონს <sup>133</sup>Xe, კრიატონს <sup>85</sup>Kr, ფანგადას <sup>15</sup>O. გამოიყენების პრინციპი გულისხმობს პაერის შეუსუნთქვას, რომელიც შეიცავს წინააღმდეგ აირს, რომლის რაოდენობაც ფოლტეების სხვადასხვა მიდამოში იზომება რადიოაქტიურად და რეგისტრირდება მრუდის - რადიოგრაფიის სახით. რადიოაქტიული ქუინონი შეჰყავთ ვენაშიც, განაზვევნილი ფიზიოლოგიურ სხანარში. გათვლის რა მცირე წრეს, ის გამოიყოფა ფოლტეებში. გამოიყოფა ინერტად მრუდის სახით. მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა ემსჯელოთ ფოლტეების ცალკეული ნაწილების ფუნქციონირებაზე, რაც დარღვევების ადრეული გამოვლენების პერსპექტივებს მისი, ჯერ კიდევ მამინ, როდესაც ფოლტეების ფუნქციონირების ინტეგრალური პარამეტრები მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი.

გარეგანი სუნთქვის მდგომარეობის შესასწავლად გამოიყენება აგრეთვე სპეციალური სუნთქვის აპარატურა. სპეციალური სუნთქვითი ხდება ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის მაქსიმალური მოცულობითი სისწრაფის გამოკვლევა მინორტიტრის საშუალებით. ჯანმრთელ მამაკაცებში ამოსუნთქვის სისწრაფე არის 5-8 ლიტრი წამში, ქალებში - 4-6 ლიტრი. ჩასუნთქვის სისწრაფე, ჩვეულებრივ, ოდნავ უფრო ბანშიკლავა. ქრონიკული ბრონქიტის, ფოლტეების ემფიზემის, ბრონქული ასთმის დროს

გარეგანი სუნთქვის ეს მაჩვენებლები დაქვეითებულია. სპეციალური სუნთქვის მონაცემები რეგისტრირდება სპეციალური სუნთქვის აპარატურის საშუალებით. სუნთქვის მაჩვენებლები მონაცემები რეგისტრირდება სპეციალური სუნთქვის აპარატურის საშუალებით. სუნთქვის მაჩვენებლები მონაცემები რეგისტრირდება სპეციალური სუნთქვის აპარატურის საშუალებით. სუნთქვის მაჩვენებლები მონაცემები რეგისტრირდება სპეციალური სუნთქვის აპარატურის საშუალებით.

ფოლტეების დიფუზიური უნარი ის მაჩვენებელია, რომელიც გამოიყენება აირების დიფუზიის სიჩქარის დახასიათებისათვის ალვეოლურ-კაპილარულ მემბრანებში. ჯანმრთელებში მოსვენებისას ფოლტეების დიფუზიური უნარი განვადისათვის ერთ წუთში საშუალოდ უდრის 15-20 მლ-ს, ფიზიკური დატვირთვისას კიდევ 6მ-მდე და მეტად. ფოლტეების დიფუზიური უნარი ქვეთვება მწვეფ ანთიბიოტი (პენეცილინი, აბსცილინი), აგრეთვე ფოლტეების დისემინირებულ პროცესების (ფოლტეების ტუბერკულოზი, სარკოიდოზი, კიბოს მეტასტაზები, პნევმოციტოზი) დროს.

გარეგანი სუნთქვის ფუნქციაზე მსჯელობენ აგრეთვე არტერიული სისხლის აირების შემადგენლობის მიხედვით. არტერიული სისხლის ილენე რიდევის ან ბარძაყის არტერიიდან. დასაშვებია აგრეთვე სისხლის ალბა წინასწარ გამთბარი თითოდან (45-50° C ტემპერატურის წყალში, 10-15 წუთის განმავლობაში). სისხლი გადააქვთ ვან-სლაიკის აპარატში, სადაც იკვლევენ ანაგზადის და ნახშირჟანგის შემცველობას. ნორმის დროს ანაგზადის პარციალური დაჭიმულობა ვ.ნ.ს.ე. 35-45 მმ-ია, არტერიული სისხლის გავჯერება ანაგზადით - 94-98%, ანაგზადის მოცულობითი შემცველობა 19-21 მლ/100 მლ-ზე, ნახშირორჟანგის - 40-43 მლ/100 მლ-ზე. ფოლტეების ანთების, ემფიზემის, პნევმოციტოზის დროს არტერიული სისხლში ანაგზადის გავჯერება მკვეთრად ქვეითდება, ზოგჯერ 50%-ითაც კი, ნახშირორჟანგის გავჯერება კი მნიშვნელოვად მატულობს - არტერიული პიპრკანია. სისხლის ანაგზადით გავჯერებას იკვლევენ აგრეთვე ოქსიჰემობიტრით. აღნიშნული მეთოდი შედარებით ნაკლებ სარწმუნო შედეგებს იძლევა.

უკანასკნელ დროს აირების პარციალურ დაჭიმულობას არტერიული სისხლში (PaO<sub>2</sub> და PaCO<sub>2</sub>) იკვლევენ „პოკროასტრუპის“ და ზოგიერთ სხვა თანამედროვე აპარატის საშუალებით, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით ხასიათდებიან.

ფოლტეების სისხლის მიმოქცევაზე მსჯელობენ გულის და სისხლის მიმოქცევის მცირე უნარის სისხლძარღვების კათეტერიზაციის მიხედვით. კათეტერიზაციას ახდენენ სვან-განსის მცურავი კათეტრით, რომელიც შეჰყავთ იდაყვის ან საულელ ვენიდან გულის ღრუებში. იზომება მარჯვენა წინაგულის, მარჯვენა პარკუტის, ფოლტეის არტერიის და ფოლტეის კაპილარების წნევები. ნორმალური წნევა მარჯვენა პარკუტში არის სისტოლური ვ.ნ.ს.ე. 15-30 მმ, დიასტოლური - 2-7 მმ, ფოლტეის არტერიის სისტოლური ვ.ნ.ს.ე. 15-30 მმ, დიასტოლური - 4-14 მმ, ფოლტეების კაპილარული წნევა უდრის ვ.ნ.ს.ე. 2-12 მმ-ს. ფოლტეების ქრონიკული დიფუზიური პათოლოგიური პროცესების დროს აღინიშნება დასაბუღებელი წნევის მაჩვენებლების მატება, რაც მცირე წრის პიპრტენზიაზე მოითითებს.

## ძირითადი კლინიკური სინდრომები

### სუნთქვითი უკმარისობა

სუნთქვითი უკმარისობა ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც გარეგანი სუნთქვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს არტერიული სისხლის ნორმალურ აირთვან შემადგენლობას ან მისი რეგარჩუნებას ნორმალურ დონეზე მიიღწევა ამ სისტემის უადრესად დიდი ფუნქციური დატვირთვის ხარჯზე. სუნთქვითი უკმარისობა ხშირად შეთავსებულია გულის უკმარისობასთან. ასეთი შეთავსება აღინიშნება ტერმინით „გულ-ფილტვის“ უკმარისობა.

სუნთქვითი უკმარისობის ძირითადი კლინიკური კრიტერიუმი ქოშინია. მისი გამომავალულობის მიხედვით, ფიზიკურ დაძაბვასთან დაკავშირებით, არჩევენ სუნთქვითი უკმარისობის სამ ხარისხს. I ხარისხის უკმარისობის დროს ქოშინი ვითარდება ისეთი ფიზიკური დატვირთვისას, რომელიც აღმეტანება ყოველდღიურს, ციანოზი, რეველუბრივი, არ ვიციენებ, დასუსტება ვითარდება სწრაფად, მაგრამ დამატებითი სუნთქვითი მუსკულატურა სუნთქვაში არ მონაწილეობს. II ხარისხის უკმარისობის დროს ქოშინი აღმოცენდება რეველუბრივი ყოველდღიური დატვირთვისას, ციანოზი გამომავალულობა არამკაიოდ, დასუსტება ვითარდება სწრაფად, დატვირთვისას ჩაირთვება დამატებითი სუნთქვითი მუსკულატურა. III ხარისხის უკმარისობის დროს ქოშინი აღინიშნება უკვე მოსვენების მდგომარეობაში, ციანოზი და ადვილად დაღლა მკვეთრად არის გამომავალულობა, დამატებითი მუსკულატურა მუდმივად მონაწილეობს სუნთქვაში.

ფუნქციურ-დიაგნოსტიკურმა გამოკვლევებმა, მაშინაც კი, თუ ისინი მხოლოდ სპიროგრაფიას და სისხლის აირების გამოკვლევას მოიცავს, შეიძლება არსებითი დახმარება გაუწიოს კლინიკურ სუნთქვითი უკმარისობის ხარისხის დაზუსტებაში. თუკი არ აღინიშნება ფილტვების ვენტილაციური დარღვევები, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ავადმყოფს ქოშინდეს სუნთქვის უკმარისობა.

სუნთქვითი უკმარისობის განვითარების მიზეზებთან და მექანიზმებთან დაკავშირებით გამოყოფენ ფილტვების ვენტილაციური ფუნქციის დარღვევის სამ ტიპს: ობსტრუქციულს, რესტრიქციულს და შერეულს. ობსტრუქციული ტიპი ხასიათდება პაერის ბრონქებში ვასკულის ვაძნელებით (ბრონქიტი, ბრონქოასპაზმი, ტრაქეის ან მსხვილი ბრონქების შევიწროება სისხლში ზნეოლის გამო და სხვა). სპიროგრაფიულად ამ დროს აღინიშნება ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის და ფილტვების ფიქსირებული სასიცოცხლო ტევადობის გამიზნული დაქვეითება; ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ქვეითდება უწინმენდელ რესტრიქციული ტიპი აღინიშნება ფილტვების გაფართოების და შეკუმშვის უნარის შეზღუდვისას (პნევმოსკლეროზი, პიდროთირაქსი, პნევმითო-

რაქსი, მასობრივი პლევრული უმებრცეებები, კიფოსკოლოზი, ნეკნების მოძრაობის შეზღუდვა და სხვა). ამ დროს მკირდება ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა და ფილტვების მაქსიმალური ტევადობა. შერეული ტიპი ხასიათდება როგორც ობსტრუქციული, ასევე რესტრიქციული დარღვევების შეუღლებით. ის აღინიშნება ხანგრძლივად მიმდინარე ფილტვების და გულის დაავადებების დროს.

სუნთქვითი უკმარისობა შეიძლება განვითარდეს ფილტვებში დიდი ღრუების, მრავლობითი ბრონქოექტაზების, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის, პნევმონიის, ატელექტაზის და სხვა დროს (დიდდება ე.წ. ანატომიურად „მკედარი“ სეკრეტი, ფილტვის ნაწილი გამოითიშულია ართა ცვლიდან და სხვა).

განასხვავებენ სუნთქვის მწვავე ქრონიკულ უკმარისობას.

სუნთქვის მწვავე უკმარისობა ხასიათდება ისეთი მდგომარეობის სწრაფი განვითარებით, როდესაც ართა ცვლა ფილტვებში ხდება არასაკმარისად, ორგანიზმის ვანგებადილ საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფისათვის. სუნთქვის მწვავე უკმარისობა ყველაზე ხშირად ვითარდება სასუნთქი გზების უცხო სხეულით, ასპირაციული ნაღებები მასებით, სისხლით და სხვა სითხით დახშობისას, ბრონქი- და ლარინგოსპაზმის დროს, ფილტვების

ცხრილი 16

ფილტვების მწვავე უკმარისობის დაშორებულია ანატომიურ სისტემაში CO<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პარციალურ ნეპაისთან

ნორმა	PO <sub>2</sub> , მმ ვ.გ.ს.	PCO <sub>2</sub> , მმ ვ.გ.ს.
ფილტვების შიშვითი	36-44	80-96
უკმარისობის მწვავე	46-55	79-65
უკმარისობის მძიმე	55-65	64-55
უკმარისობის მძიმე	70-85	54-45

შეშუშების, ატელექტაზის და კოლაფსის შემთხვევაში, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დროს, სუნთქვითი მუსკულატურის დისფუნქციისას (პოლიმიელტრი, ტეტანუსი, ზურვის ტიენის ტრავმა, მორელაქსანტების შემოქმედება), სუნთქვითი ცენტრის დათრგუნვისას ნაიროტიკებით, საძილე საშუალებებით მონაშევისას, ფილტვების პარეჩიქმის მასობრივი მწვავე ანთებითი პროცესების და სხვა დროს. ვენტილაციის დარღვევით მიმდინარე მწვავე სუნთქვითი უკმარისობის შეფასებისას, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არტერიულ სისხლში CO<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პარციალური ნეების გამოკვლევას (ცხრილი 16).

სუნთქვის ქრონიკული უკმარისობა ვითარდება ფილტვების ქრონიკული დაავადებების დროს - ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა, დიფუზური პნევმოკლოზი და სხვა.

სასუნთქი სისტემის სხვა ძირითადი კლინიკური სინდრომები მოყვანილია ცხრილის სახით (ცხრილი 17).

## სუნთქვითი სისტემის დაავადებები

### მწვავე ტრაქეობრონქიტი

მწვავე ტრაქეობრონქიტი ტრაქეის და ბრონქების ლორწოვანი გარსის მწვავე ანთებაა. დაავადების იწვევს ვირუსები (გრამის, პარაგრამის ვირუსები, ადენოვირუსები და სხვა), ბაქტერიები (პნევმოკოკები, ინფლუენციის ჩხირი და სხვა), ს შემიძლება განვითარდეს სხვადასხვა ფიზიკური (ცხელი და ცივი პა-

ერი) და ქიმიური (გამლიზიანებელი ან მოშამლაკი აირები) ზემოქმედების შედეგად. მწვავე ტრაქეობრონქიტი ხშირად წინ უძღვის და თან ახლავს ზედა სასუნთქი გზების ინფექცია. ხელშემწყობი ფაქტორებია გაცივება, თამაქის წევა, ცხვირ-ხახის კეროზიანი ინფექცია. ანატომიურად აღინიშნება ტრაქეის და ბრონქების ლორწოვანი გარსის შეშუშება და ჰიპერემია, ს შემიწინა ან ლორწოვან-ჩირქოვანი სეკრეტი.

კლინიკური სინდრომები

ცხრილი 17

გამკვლევის მეთოდი	სქემა	ანატომიური თავსებურებები	ინსპირაცია	აქლსაცია	პერქუსია	აუსკულტაცია			რენტგენოლოგიური ცვლილების მანაცემები
						სუნთქვა	დამატებითი სუნთქვითი ხმანობები	ბრონქოფონა	
სინდრომი ფულტერის ქოთლის გაძეწვა (ნილსის დრეჟე)		აღველები ამოტვნილია ქსელვადი და არ შეუძენს პერსონებს	სუნთქვითი მოძრაობა შეზღუდულია და დაფარულია მარჯვენა	ბუჩქითი რწყვა მკვერად გაძეწვა	კრუნხანობა	ბრონქული	კრუნხანობა, ზოგჯერ სველი ხიხინი	მკვერად გაძეწვა	ინტენსიური პარაინფლუენცია
ფულტერის ქოთლის კრუნხი განკრუნხვა		ქსელვადი ამოტვნილია აღველებს უნებმი შემკვლელებს პერსონებს შემკვლელებს უნებმი	ცვლები არ აღინიშნება	ბუჩქითი რწყვა მოკლეა ზომიერად იოს გაძეწვა	დამკვლეული ან მოკრუნხული ხმანობა	ვესიკულური სუნთქვა, ზოგჯერ მკვერით	სველი ხიხინი	ზომიერად არის გაძეწვა	დამკვლევის უნებმი პერსონული უნებმი
ფულტერის ქოთლის რბილი კრუნხი		ბრონქის დამბობის შედეგად ფულტერის სათიხე უნებმი გამოიხატება სუნთქვითი ფულტერის უნებმი კრუნხი	გულმკერდის ასიმეტრიული დაზიანება უნებმი გამოიხატება სუნთქვითი	ბუჩქითი რწყვა მკვერად შემკვლეულია, ან არ აღინიშნება	მოკრუნხული ტემპური	შესუსტებული ან ტარდება	არ არის	არ არის	პარაინფლუენცია
ღრე ფულტერის ქოთლი		ღრე შეტვის სითხის და ინფლუენცია უნებმი გამოიხატება სუნთქვითი	ცვლები არ აღინიშნება	ბუჩქითი რწყვა გაძეწვა	ტემპური ან მოკრუნხული ტემპური, ზოგჯერ ლითონის ტემპური ელფერი	ბრონქული ან ამჟვარი სუნთქვა	საშუალო და მსხვილბუცხე კრუნხი სველი ხიხინი, ზოგჯერ ლითონის ტემპური ელფერი	გაძეწვა	დამკვლევის ფუნქციონირება ან ფულტერის ფორმის ნათელი არე, თუ არის ეთიოლოგიური უნებმი
ფულტერის ქოთლის გაგებურების სინდრომი		აღველები სტრუქტურის ნაზი ფულტერის უნებმი დაფარულია ფულტერის პერსონებს	ემფიზემური გულმკერდი	ბუჩქითი რწყვა ზომიერად შესუსტებული	კოლფისებური ხმანობა, ფულტერის საშუალო გაგებურება, ფულტერის უნებმი მხოლოდ მხოლოდ	შესუსტებული ვესიკულური სუნთქვა, თანდათანობითი ბრონქოფონა	არ არის	შესუსტებული	ფულტერის უნებმი ნათელი უნებმი
პლევრის ღრეში სითხის დეპონირების სინდრომი		პლევრის ღრეში გროვდება ქსელი და ან ტარდება	გულმკერდის ასიმეტრიული დაფარულია მარჯვენა შესუსტებული	გულმკერდის უნებმი რწყვა ბუჩქითი რწყვა, ან არ შეიძლება იგრუნობა	კრუნხანობა მოკრუნხის ირბი (ქსელვადი) ან პარაინფლუენცია (ტარდება) ხიხინი, სითხის დონის უნებმი მოკრუნხული ტემპური ფულტერის კრუნხი მხოლოდ	შესუსტებული ვესიკულური სუნთქვა ან სუნთქვა არ ტარდება	არ არის	არ არის	პარაინფლუენცია დამკვლევის ქსელი ნათელი ირბი (ქსელვადი) ან პარაინფლუენცია (ტარდება) ფუნქციონირება
პლევრის ღრეში პარაინფლუენცია		პლევრის ღრეში პარაინფლუენცია უნებმი დაფარულია ფულტერის ქსელი	დაფარულია მარჯვენა შესუსტებული	ბუჩქითი რწყვა მკვერად შესუსტებულია, ან არ შეიძლება იგრუნობა	ტემპური ხმანობა, ზოგჯერ ლითონის ტემპური ელფერი	შესუსტებული ვესიკულური სუნთქვა, ან სუნთქვა არ ტარდება	არ არის	არ არის	ფულტერის ნათელი ფულტერის სურათის გარეშე, ფულტერის კრუნხი ხიხინი

ჩივილებიდან აღსანიშნავია ზოგადი დამტრეულობა, სიმ-  
ხურავლის მფერძნება მკერდის ძულის უკან, ხველა დასახეის-  
ნი მშრალი, შემდეგ ლორწოვანი და ლორწოვან-ჩირქოვანი  
ნახეილი.

ინსპექციით, პალპაციით და პერკუსიით ნორმისგან გადახ-  
რა არ აღინიშნება. აუსკულტაციით ვლინდება მკერვი სუნ-  
თქვა და დასახეისი მშრალი, შემდეგ კი, არტული იმიოთად,  
სველი ხიხინი. ტემპერატურა ნორმალური, ზოგჯერ სუბფე-  
რიული ან ზომიერად მომატებული. სისხლის მხრივ შეიძლება  
გამოხატული იყოს ედს-ის ზომიერი მატება და ლეიკოციტოზი  
ნეიტროფილების მარცხნივ გადახრით. რენტგენოლოგიურად,  
ჩვეულებრივ, ცვლილებები არ ვლინდება.

მუცლის ფოფების პერიოდი და ტემპერატურული რეაქციის  
ხანგრძლივობა არ აღემატება 5-10 დღეს, მაგრამ ხველა შეიძ-  
ლება გაგრძელდეს საკმაოდ ხანგრძლივად (ასაშუალოდ 3 კვი-  
რამდე). გამოისავალი, ჩვეულებრივ, კეთილსამიძელი, მაგრამ  
ზოგჯერ შეიძლება გართულდეს კეროვანი ანევმონით.

### ქრონიკული ბრონქიტი

ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქების დიფუზური, ხანგრძლი-  
ვად მიმდინარე დაავადებაა. მისი განვითარების ძირითადი მი-  
ზეზია ბრონქების ლორწოვან გარსზე მავნე ნივთიერებების,  
პირველ რიგში თამბაქოს ბოლის, სანარბიო ფაქტორების ხან-  
გრძლივი ზემოქმედება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმავე პა-  
თოგენური მიკრობების პერსისტირებას, რომლებიც მწვავე  
ბრონქების გამოწვევები არიან. ბრონქებში არსებული ინფექ-  
ცია ხშირად მიმდინარეობს გამწვავებებით. აღინიშნება ბრონქე-  
ბის ლორწოვანის სპიკტროფია, ლორწოს გამოშვებულ უჯრედ-  
ების გამრავლება, რომლებიც ჩაანაცვლებენ მოციციმე ეპი-  
თელურ უჯრედებს. ეს უკანასკნელი სასუსხმებლები არიან  
ლორწოს ევაკუაციაში და ბრონქების მექანიკურ განთავი-  
სუფლებამო მტერის ნაწილაკებისაგან და მიკრობებისგან. ამის  
შედეგად ძნელდება ლორწოს და მასში არსებული უცხო ნივთი-  
ერებების ევაკუაცია და მისი მოცილება ხორციელდება პათო-  
ლოგიური მექანიზმებით - ხეილით. ავადმყოფების ნაწილში  
აღინიშნება წერილი ბრონქების გამტარობის პროგრესული  
დარღვევა, რაც იწვევს ფილტვების ენტოლაციური და პერფუ-  
ზიული უზარის დაქვეითებას და, საბოლოო ჯამში, მკერდ წრის  
ჰაიპერტენზიას და ფილტვისმიერი გულის ფორმირებას.

კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით არჩევენ ქრონიკულ  
ბრონქიტის ორ სახეს - არაობსტრუქციულს და ობსტრუქ-  
ციულს.

არაობსტრუქციული ქრონიკული ბრონქიტის დროს ძირი-  
თად ჩივილი არის ხველა ნახევლით, რომელიც შეიძლება  
იყოს მცირე რაოდენობით ან შედარებით ბევრი, ლორწოვანი  
ან ლორწოვან-ჩირქოვანი. ავადმყოფი ნახევლი გამოყოფს ძი-  
რითადად დილას, გამწვავებისას, რაც ყველაზე ხშირად არის  
დაკავშირებული გაცივებისთან ან ვირუსული ინფექციასთან.  
ამ დროს ხველა ძლიერდება, ნახევლის რაოდენობა მატუ-  
ლობს; უფრო ხშირად ის ჩირქოვან-ლორწოვანია. ავადმყოფს  
აღნიშნება სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება, ზოგჯერ  
სუბფერირული ტემპერატურა, შემცივნება, ოფლიანობა. ინ-  
სპექციით, პალპაციით და პერკუსიით რაიმე დამახასიათე-  
ბელს ვერ ნახულობენ. აუსკულტაციით მოისმინება მკერვი  
სუნთქვა, მშრალი მოგუგუნე და მტვინავი ხიხინი, ზოგჯერ  
სველი საშუალო ბუშტუკვანი ხიხინი. სველი ხიხინი უკეთ მო-

ისმინება დილას, ნახევლის ამოღებამდე. გამწვავებისას ხიხი-  
ნის ინტენსივობა მატულობს.

ობსტრუქციული ბრონქიტის დროს ნამყვანი ჩივილია თან-  
დათანობით პროგრესირებადი ქოჩირი, რომელიც ძლიერდება  
გამწვავებების დროს. ინსპექციით აღინიშნება ტუჩების და  
ლორწოვანი გარსის ციანოზი, აქროციანოზი, ზოგჯერ „კომ-  
ბლისტური თითები“ და „მათის მინის“ ფორმის ფრჩხილები.  
პერკუსიით ნახულობენ კოლოფისტურ ხიხინობას ემფიზემის  
განვითარების გამო, უპირატესად ზედა ნილებში, დიფერაგმის  
მომრავობის შეზღუდვას, აუსკულტაციით - მკერდი სუნთქვის  
გახანგრძლივებული ამოსუნთქვით, მშრალ მსტივინავ და მოგუ-  
გუნე, აგრეთვე სველ საშუალო ბუშტუკვან ხიხინს.

გამწვავებისას ვითარდება ზომიერი ლეიკოციტოზი, ედს-ის  
აჩქარება. ჩნდება დადებითი C-რეაქტიული ცილა, სეროლოგი-  
ულ და პათოგენოლოგიურ სუნთქვით უქმარობისას აღინიშნება  
პიოპსეშია, მძიმე შემთხვევებში - პიკერკანია. ვართულებე-  
ბებს დაბახასიათებელია ფილტვების ემფიზემის, ბრონქოქე-  
ტაზების, კეროვანი ანევმონის, დიფუზური პნევმოსკლერო-  
ზის განვითარება.

რენტგენოლოგიური მონაცემები არაობსტრუქციული ქრო-  
ნიკული ბრონქიტის დროს ნაკლებად იზოვიანდება. ობ-  
სტრუქციული ბრონქიტის დროს ვლინდება ფილტვის სურათის  
დაზიანება და ბაღბობობა, უპირატესად ქვედა ნილებში, გამ-  
წვავლობის მატება მწვერვლის მიდამოებში, სისხლძარ-  
ღოვანი სურათის გაძლიერება ფილტვის კარის მიდამოში, გუ-  
ლის მარჯვენა ნაწილების გადიდება.

დაავადება მიმდინარეობს ხანგრძლივად, წლების მანძილ-  
ზე. არაობსტრუქციული ბრონქიტის დროს პროგნოზი შედარე-  
ბით კეთილსამიძელია. ობსტრუქციული ფორმის შემთხვევაში,  
განსაკუთრებით მამრს, რადგანაც ის რთულდება ემფიზემით,  
ბრონქოქეტაზებით, პერიფერულად კეროვანი ანევმონით  
ბრონქების ობსტრუქციის შედეგად - პროგნოზი არაკეთილსა-  
მიძელია. ვითარდება დიფუზური ანევმოსკლეროზი, ფილტვისმი-  
ერი გული და გულ-ფილტვის უქმარობა.

### მწვავე პნევმონია

მწვავე პნევმონია ფილტვების მწვავე ანთებაა, რომელიც  
პროცესის გავრცელების მიხედვით შეიძლება იყოს წერილკე-  
როვანი, სუბეგზური და წილოვანი.

დაავადების ეტიოლოგიაში ნამყვანი როლი მიეკუთვნება  
პნევმოკოკუს - streptococcus pneumoniae (აქტივობა ავად-  
მყოფების 80-90 პროცენტზე). შედარებით იშვიათად დაავადების  
გამომწვევები შეიძლება იყვნენ სტრეპტოკოკები, სტაფილოკო-  
კები, სემიოლიური ჩხირი, მიკოპლაზმები, პირობითად პათოგენ-  
ური მიკროორგანიზმები და სხვა. არტული იშვიათად მწვავე  
პნევმონია ვითარდება ინფექციური დაავადებების დროს - ინ-  
ფლიზოზი, წითელი, ჩუტყვავილია, ყივანახველა, მუცლის ტიფი და  
სხვა. ამ შემთხვევაში, ფილტვების ანთების მიზეზი ინფექციური  
დაავადების სპეციფიკური გამომწვევები არიან. მიკროფორმა  
ფილტვების რესპირაციული ნაწილებში ყველაზე ხშირად ხდება  
ბრონქების გზით. რესპირაციული ვირუსული ინფექცია დაავა-  
დების განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი მიწვენილოვანი  
ფაქტორია. ისინი ორგუზნავენ უპრობული და უჯრედული იმუნი-  
ტეტის მექანიზმებს, ბრონქების დრენაჟულ ფუნქციას.

მორფოლოგიურად დაავადების მიმდინარეობაში არჩევენ  
ჰიპერემიის და ექსუდაციის (ალევილის ეკლდება ჩნდება

ფიზიონული გამოანაზონი), რუხი და ნითელი „გალვიძლები“ (ალვეოლები ამოვსებულია ლეიკოციტებით და ერთროციტებით, ისინი არ შეიცავენ პერს), ექსუდატის ალავების (ალვეოლები თავისუფლდება ანთებითი შიგთავისსაგან, მათში შედის პერი, მაგრამ მათი კედლები ჯერ კიდევ გაფლენილია ექსუდატით) სტადიებს.

კლინიკური თავისებურებების მიხედვით არჩევენ ნილოვან პნევმონის და კეროვან პნევმონიას. ნილოვანი პნევმონის დროს დაზიანებულია უფრო ხშირად ფოლტვის ერთი ან იშვიათად - რამდენიმე ნილი. კეროვანი პნევმონის შემთხვევაში ზიანდება ფოლტვის შედარებით მცირე ზომის უბნები - ნილაკები ფოლტვების სხვადასხვა მიდამოებში.

### ნილოვანი პნევმონია

ნილოვანი პნევმონია (კრუპოზული პნევმონია, პლევროპნევმონია) იწყება უცერად, ხშირად ძლიერი შემცივნებით. ტემპერატურა სწრაფად მატულობს 39-40°C-მდე. დამახასიათებელია დამატურეულობა, თავის ტკივილი, ტკივილი მკერდში, რომელიც ძლიერდება ღრმა ჩასუნთქვის და ხველის დროს, კომინი. ხველა დასაწყისში არის მშრალი, შემდეგ ჩნდება ნებოვანი ნახველი, რომელიც რამდენიმე დღეში ხდება ჟანგისფერი სისხლის შირვის გამო. ავადმყოფი ავზნებულია, ზოგჯერ აქვს ბოდვები. ინსპექციით აღინიშნება გახშირებული სუნთქვა - 30-40 1 წუთში. ცხვირის ნესტოები მოწანაილოს სუნთქვაში. აღინიშნება სახის პიპერეშია (ციანოზი ცხვირ-ტუჩის მიდამოში. მძიმე შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ზოგადი ციანოზი. ავადმყოფს ხშირად უვითარდება პერკუსული გამოანაზონი ტუჩებზე და ცხვირის მიდამოში. გულმკერდის დაავადებულა ტაქიკარდია - 100-120 გულსკვანა წუთში, არითმია, ზოგჯერ წნევის მკვეთრი დაქვეითება კოლაფსამდე.

პალაყით შეინიშნება გულმკერდის ბგერითი რხევის გაძლიერება.

პერკუსული და აუსკულტაციური მონაცემების მიხედვით ნილოვანი პნევმონის მიმდინარეობაში არჩევენ სამ სტადიას. პერკუსიით დასაწყისში აღინიშნება დამოკლებული პერკუსული შინაწობა ტიმპანური ელფერით, შემდეგ (გალვიძლების სტადიაში) ჩნდება მოყრუება. მორჩენის პერიოდში მოყრუება მცირდება და ქრება.

აუსკულტაციით დასაწყისში არის ვეზიკულური სუნთქვა. მე-2-3 დღეში ჩასუნთქვის ხოლის მოისმინება ნაზი კრეპიტაცია (*crepitation indur*). ზოგჯერ დაზიანებულ მიდამოში ისმის მშრალი და რეზობუმტუკოვანი სველი ხიხინი. ფოლტვის ქსოვილის გამკვეთების შემდეგ კრეპიტაცია ქრება და მოისმინება ბრონქული სუნთქვა. ჩნდება პლევრის ხახუნი. გამოსატყლია ბრონქოფორნია. ექსუდატის ალავებასთან დაკავშირებით ბრონქული სუნთქვა უფრო ხშირად აღიქვამება, ვიდრე დაავადების დასაწყისში და ნერობუმტუკოვანი ხმოვანი სველი ხიხინი.

ნილოვანი პნევმონის დროს აღინიშნება მუდმივი ტიპის ცხელება. ტემპერატურული რვაქცია გამოხატულია დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე და შემდეგ ქვეითდება კრიზით ან ლოზით. სისხლსათვის დამახასიათებელია მაღალი ლეიკოციტოზი (20-30 ათას ლეიკოციტმდე 1 მმ<sup>3</sup>), ნეიტროფილოზი, მარცხნივ გადახრით. მნიშვნელოვან მატულობს ვდს. ქვეითდება ფოლტვების სასიცოცხლო ტევადობა, ფოლტვების მაცხი-



სურ. 86 რენტგენოგრაფია კრუპოზული პნევმონია

მაღალი ვენტრაცია, მატულობს სუნთქვის წუთმოცულობა. რენტგენოლოგიურად აღინიშნება პომოკენური ინტენსიური დაჩრდილვა მთელი ნილის მიდამოში (სურ. 86).

დაავადება მთავრდება გამოჯანმრთელებით 3-4 კვირაში. გართულებებიდან აღსანიშნავია ფოლტვების ასტიკეი და განგრენა, პლევრიტი, პლევრის დაჩირქება, ქრონიკული პნევმონის და კეროვანი პნევმოსკლეროზის განვითარება.

დროულად დანჯებული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი კარგია. მძიმე გართულებები და ლეტალური გამოსავალი აღინიშნება თანხლები დაავადებების დროს და ასაკოვან პირებში.

### კეროვანი პნევმონია

კეროვანი პნევმონია (ბრონქოპნევმონია, კატარული პნევმონია) იწყება, როგორც წესი, ზემო სასუნთქი გზების ანთიპის ან ბრონქიტის ფონზე. ავადმყოფი უჩვიის სისუსტეს, შეუძლოდ ყოფნას, ხველას ნახველით, რომელიც არის ლორწოვან-ჩირქოვანი ან ჩირქოვანი. პლევრის დაზიანების შემთხვევაში შეიძლება განჩნდეს ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი გვერდში. ტემპერატურა მატულობს 38-39°C-მდე, ცხელების მძლიერ სუფფერბოლური, რემისიული ან ინტერმისიული ტიპისაა.

ინსპექციით აღინიშნება გახშირებული სუნთქვა (25-30 წუთში), სახის პიპერეშია, ზოგჯერ ციანოზი ტუჩების მიდამოში. გულმკერდის პალაყით ნორმისგან გადახრას ვერ ნახვლობენ. შედაპირულად განლაგებული, შედარებით დიდი ანთებითი კერის შემთხვევაში აღინიშნება პერკუსული ხმის დამოკლება ან მოყრუება. ცენტრალურად განლაგებული უბნები პერკუსული ხმის ცვლილებას არ იძლევიან. აუსკულტაციით, როგორც წესი, არ აღინიშნება ბრონქული სუნთქვა. მოისმინება ხმოვანი წეროლი და საშუალო ბუმტუკოვანი სველი ხიხინი, უფრო იშვიათად კრეპიტაცია. თანხლები ბრონქიტის გამო ხშირად მოისმინება გაფანტული მშრალი ხიხინი. პროცესი უფრო ხშირად ლოკალი-



ზეზულია ფილტვების ქვედა - უკან არეგები. აღინიშნება ტაქტიკარია, გულის ტრენების მოყრევა.

სისხლის მხრივ დამახასიათებელია ზომიერი ლეიკოციტოზი (12-15000 1 მმ<sup>3</sup>), ნეიტროფილოზი მარცხნივ გადახრით, ელ-ის მატება. რენტგენოლოგიურად ელინდება ერთეული ან მრავლობითი, სხვადასხვა ზომის დაჩრდილები კერები ერთ ან ორივე ფილტვში.

დაავადება მიმდინარეობს 2-3 კვირა და დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში შეიძლება გამოყვანილიყო. გართულებებიდან დამახასიათებელია ფილტვების აბსცესი და ვანგრება, კეროვანი პნევმოსკლეროზი, ბრონქოექტაზების განვითარება, მშრალი და ექსუდაციური პლევრიტი.

### ქრონიკული პნევმონია

ქრონიკული პნევმონია ფილტვების პარენქიმის და ინტერსტიციული ქსოვილის ქრონიკული დაზიანება, რომელიც ვითარდება ადრე გადატანილი მწვავე პნევმონიის მიამომი, შემოფარგლულია ფილტვის სეგმენტით (სეგმენტებით) ან ნილით (ნილითა). კლინიკურად ელინდება ფილტვების დაზიანებულ მიდამოში ანთებითი პროცესის განმეორებითი აფეთქებებით. ქრონიკული პნევმონიის მორფოლოგიურ სუბსტრატს წარმოადგენს პნევმოსკლეროზი და/ან ფილტვის ქსოვილის კარნიფიკაცია, აგრეთვე შეუტყეავი ცვლილებები ბრონქების ლოკალური ბრონქიტის სახით, შემდეგში ბრონქოექტაზების განვითარებით. ქრონიკული პნევმონიის ეტიოლოგია ემთხვევა მწვავე პნევმონიის ეტიოლოგიას. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაქტერიული აგენტების უპირატესად პნევმოკოკები და ქრონიკული რიზი) ასოციაციას არაბაქტერიულ აგენტებთან (ვირუსები, მიკოპლაზმები). მწვავე პნევმონიის ქრონიკულში გადასვლას უკავშირებენ ბრონქების დრენაჟული ფუნქციის დარღვევას, კეროვანი ინფექციის პერსისტირებას, ორგანიზმის ზოგადი იმუნოლოგიური რეაქტიულობის დაქვეითებას. პროცესს არა აქვს დიფუზური ხასიათი და ამიტომ სუბტოტო უმარისობის და ფილტვისმიერი გულის განვითარება აღინიშნება იშვიათად. დაავადება მიმდინარეობს რემისიებით და გამწვავებებით.

რემისიის პერიოდში ავადმყოფი უჩივის ხეცვას მცირეოდენი ლორწოვანი ჩრქოვანი ნახელები. გამწვავების პერიოდში ნახელების რაოდენობა მატულობს, ის ხდება ჩირქოვანი. ბრონქოექტაზიების განვითარების შემთხვევაში ნახელის რაოდენობა მნიშვნელოვანდ მატულობს (200-300 მლ-მდე). ზოგჯერ აღინიშნება სისხლიანი ნახელები. პლევრის გალიზიანების შემთხვევაში აღმოცენდება ტაქტილი გვერდში. ტემპერატურა უფრო ხშირად სუბფებრილურია. აღინიშნება ოფლიანობა, სისუსტე, მაღის დაქვეითება.

ანამნეზიდან უარსდასაბამოა ადრე გადატანილი, ზოგჯერ რადიკალიზირებული, მწვავე პნევმონია. ინსპექციით შეიძლება შეინიშნოს დაავადებული მხარის სუნთქვაში ჩამორჩენა. პალპაციით ძლიერდება ბგერითი რხევა. პერკუსიით აღინიშნება მერკუსული ხმის დამოკლება და მყვრება. მოყრეუბის მიმდამოში მოისინება ნარილუმბეტუოკანი, ბრონქოექტაზების შემთხვევაში - საშუალობურტუოკანი სველი ხიხინი, გადღიერებულია ბრონქოფონოზი. შეიძლება მოვისმინოთ პლევრის ხახუნი. ბრონქების ობსტრუქციის შემთხვევაში ვისმენებ მშრალ, მსტიკიან ხიხინს. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ლოკალური პნევმოსკლეროზი (სეგმენტური ან ნილივანი). გართულებებიდან შეიძლება განვითარდეს სისხლის დენა ფილტვებიდან, პლევ-

რის ემპიემა, სპონტანური პნევმოთორაქსი. პარგნოზი შემთხვევათა უმრავლესობაში კეთოსიაშივდოა, მაგრამ საჭიროებს ხანგრძლივ დისპანსურულ მეთვალყურეობას და აქტიურ მკურნალობას გამწვავების პერიოდში.

### ფილტვების აბსცესი

ფილტვების აბსცესი ფილტვის ქსოვილის ჩირქოვანი ანთეზა, რომელიც ხასიათდება ფილტვის ქსოვილის დაშლით. ის ყველაზე ხშირად ვითარდება როგორც მწვავე პნევმონიის გართულება. აბსცესი შეიძლება განვითარდეს აგრეთვე ბრონქიტის, ბრონქოექტაზიის, ფილტვების ინფარქტის, სიმსივნის, უცხო სხეულის ასპირაციის დროს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრონქების ობსტრუქციას და აბულექტაზის განვითარებას, რაც ხელს უწყობს დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების გამრავლებას.

ფილტვების აბსცესი ხასიათდება ერთეული ან მრავლობითი ჩირქოვანი კერის გაჩენით, რომლებიც ლოკალიზებულია ერთ ან ორივე ფილტვში. აბსცესის ბრონქში გახსნის შემდეგ ჩნდება ღრუ, რომელიც შემოფარგლულია ანთებითი ინფილტრატით.

ფილტვების აბსცესის მიმდინარეობაში არჩევენ ორ პერიოდს: აბსცესის გახსნამდე და გახსნის შემდეგ. პირველი, აბსცესის ფორმირების პერიოდი გრძელდება 10-12 დღე. ამ დროს დამახასიათებელია შეუძლოდ ყოფნა, სისუსტე, შემცივნება, ხველა მცირე რაოდენობით ნახელები, ტაქტილი ვულკურები. ცხელება დასასყისში არის რემისიული, შეიძლება კი აქტიური შეიძლება გადეს. აღინიშნება ქოშინი. პალპაციით ზოგჯერ გამოხატულია მტკივნეულობა ნეკნათაშუა მიდამოში დაავადებულ მხარეს. შეიძლება განვითარდეს გულმკერდის დაზიანებული მხარის ჩამორჩენა სუნთქვაში. თუკი აბსცესი გახსნაგებულია შედასივლილად, შეიძლება გაძლიერებული იყოს ბგერითი რხევა. პერკუსიით აღინიშნება მოყრება, აუსულტაციით - ბრონქული სუნთქვა. სისხლში არის ნეიტროფილოზი ლეიკოციტოზი 15000-20000 1 მმ<sup>3</sup>, მარცხნივ გადახრით, ელ-ის მნიშვნელოვანი მატება. რენტგენოლოგიურად ამ პერიოდში აღინიშნება მსხვილკეროვანი დაჩრდილება უსწრაფო კიდებით და არამაჟიო კონტრასტით.

ჩირქოვანის ბრონქში გარეული ინეგება დაავადების მეორე პერიოდი. ავადმყოფი აღინიშნავს უცერად სუნთქვი ნახელების დიდი რაოდენობით (საუცე პირით) გამოყოფას. ის არის ჩრქოვანი, ზოგჯერ სისხლიანია. მისი დღე-ღამის რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს 200 მლ-დან 1-2 ლიტრამდე. ნახელები ჭრჭხული დაგმისას იყოფა სამ შერდ ზედა ლორწოვანი, შუა-სერიული, ქვედა - ჩირქოვანი. ნახელები, ლეიკოციტების დიდ რაოდენობის გარდა, არის ელასტიკური ბოჭკოები. ნახელები გამოყოფის შემდეგ ტემპერატურა ექვიდება, უმჯობესდება ვითარდნობა, ნორმალ ხდება სისხლის სურათი. პერკუსიით ამ პერიოდში აღინიშნება ტემპანიტი. მოისმინება ბრონქული ან ამფორული სუნთქვა, სველი საშუალო და მსხვილბუშტუოკანი ხიხინი. რენტგენოლოგიურად ჩანს ღრუ სითხის ქორიონტალური დინით (სურ. 87).

შემთხვევათა უმრავლესობაში მწვავე აბსცესი იკურნება კეროვანი პნევმოსკლეროზის ჩამოყალიბებით. დაავადება შეიძლება გართულდეს პიოპნევმოთორაქსით, სისხლდინით ფილტვებიდან, ფილტვებში ახალი აბსცესური კერების გაჩენით, აბსცესის მეტასტაზებით თავის ტვინში, ლევდში და სხვა ორგანოებში.



სურ. 87 რენტგენოგრამა. მარცხენა ფილტვის ასესცი

თუკი ღრუს დრენირება ცუდად ხდება და ავადმყოფს დაქვეითებული აქვს რეაქტიულობა, ვითარდება ფილტვების ქრონიკული ასესცი. ავადმყოფი უჩივის ხველას დიდი რაოდენობით ჩირქოვანი, ზოგჯერ სისხლის მინარევებით, ხშირად სუნისა და ნახველით. პერიოდულად აღინიშნება ცხელება შემცივნებით და ოფლიანობით. ავადმყოფს აქვს ქოძინი, ციანოზი. თითები ელბულობს „კომპლას“, ფრჩხილები - „საათის მინის“ ფორმას. ვითარდება ანემია, ლეიკოციტოზი, ჰიპოპროტეინემია, შინაგანი ორგანოების ამიოლიდოზი.

### ფილტვის განგრეხვა

ფილტვების განგრეხვა ხასიათდება ფილტვის ქსოვილის დიდი უბნის ჩირქოვანი ანთებით და ფილტვის ქსოვილის ნეკროზით. ანთებით უზანი არ არის შემოფარებული. უმცირესად ვითარდება როგორც ფილტვების ასესციის, ფილტვების ანთების (განსაკუთრებულად ასპირაციული პნევმონიის) გართულება გამონეკული ანაერობული მიკრობებით.

დაავადება იწყება მწვავედ, მაღალი სიცხით, შემცივნებით, ტკივილით გულმკერდში. ავადმყოფი გამოყოფს დიდი რაოდენობით (500 მლ და მეტს დღე-ღამეში) მყარი სუნის ჩირქოვან ნახველს, ხშირად სისხლნარევს, რომელიც, ისევე როგორც ფილტვების ასესციის დროს, იყოფა სამ შრედ. ავადმყოფს აქვს ქოძინი, ძლიერი სისუსტე. პერკუსიით ნახელობენ მწყურებას, აუსკულტაციით მოისმინება შესუსტებული ან ბრონქული სუნთქვა, ხველა, სხვადასხვა კალიბრის ხიხინი. სისხლში აღინიშნება ლეიკოციტოზი, ელ-ის მატება, ვითარდება ანემია, ჰიპოპროტეინემია. ნახველში არის ელასტიკური ბოჭკოები, ფილტვის ქსოვილის ნაფუღები, ლეიკოციტები დიდი რაოდენობით. დაშახსიათებელია პროტეინურია. რენტგენოლოგიურად ჩანს ინფილტრაცივა უსწრაო კიდეებით, ზოგჯერ სითბის შემცველი უბნებით.

დაავადება მიმდინარეობს მძიმედ, პროგნოზი სერიოზულია, ხშირად არაკეთილსამებოდ. გართულებებიდან აღსანიშ-

ნავია პიონემპთორიაქი, სისხლდენა ფილტვებიდან, სეფსისი, ჩირქოვანი მეტასტაზებით სხვა ორგანოებში, კახექსია.

### ბრონქოექტაზია

ბრონქოექტაზია გავანირებული დეფორმული ბრონქების ქრონიკული ჩირქოვანი ანთებაა. ბრონქების გაგანირება - ბრონქოექტაზია უფრო ხშირად პირველადი და შედეგია ბავშვობაში ვადანთილი, უპირატესად ვირუსული ეტიოლოგიის ბრონქების და ფილტვების ინფექციის. ბრონქოექტაზიის განვითარებაში მნიშვნელობას ანიჭებენ ბრონქების ვანელადობის დარღვევას და ამის შედეგად ობტურაციული ატელექტაზიის ჩამოყალიბებას. გავანირებულ ბრონქებში გროვდება ინფიცირებული სეკრეტი, რაც იწვევს მათ ჩირქოვან ანთებას. დაავადება მიმდინარეობს ქრონიკულად, პერიოდული გამწვავებით. პროცესი ლოკალიზდება უპირატესად ფილტვების ქვედა ნაწილებში.

გამწვავების დროს ავადმყოფები უჩივიან ხველას ჩირქოვანი ნახველით, უფრო ხშირად დილას, ძილის შემდეგ, მეუძლოდ ყოფნას, სუბფერირლურ ტემპერატურას. ნახველი შეიძლება იყოს 20-30 მლ-დან 100-200 მლ-მდე დღე-ღამეში და მეტი. ზოგჯერ ნახველში არის სისხლი. ნახველი ჩირქოვანი ან ჩირქოვან-ლორწოვანი. ზოგჯერ ავადმყოფი მას გამოყოფს „საესე პირით“. ავადმყოფთა ნაწილში აღინიშნება ქოძინი ფიზიკური დატვირთვისას, ოფლიანობა. რემისიის პერიოდში ჩივილები ნაკლებად არის გამოხატული და ზოგჯერ სულ არ აღინიშნება. ინსპექციით ზოგჯერ ნახელობენ „კომპლასებურ“ თითებს, „საათის მინის“ ფორმის ფრჩხილებს, ციანოზს. გულმკერდი ზოგჯერ ემფიზემურია, შეზღუდულია ფილტვების კიდება შუა. პერკუსიით აღინიშნება კოლფოსიტური ეფერვის სხიანობა თანხლები ემფიზემის გამო. აუსკულტაციით დაზიანებულ მიდამოებში იხიბს მკერდი, ბრონქული სუნთქვა, მშრალი და სხვადასხვა კალიბრის ლოკალური სველი ხიხინი, რომელიც მცირდება ნახველის ამოღების შემდეგ. რენტგენოლოგიურად ელინდება ფილტვის სურათის გაძლიერება, დეფორმაცია და ბადებრობა („ფიჭისტერი სურათი“). დიაგნოზი დასტურდება ბრონქოგრაფიით, რის დროსაც ნახელობენ ბრონქების ცილინდრულ ან პარკისებურ გაფართოებებს (სურ. 88). სპირომეტრიით ფილტვების ხასიციცხლი მიცულდება მნიშვნელოვნად და შემცირებული. სისხლში გამწვავების პერიოდში აღინიშნება ზომიერი ლეიკოციტოზი, ნეიტროფილითი, ელ-ის მატება.

გართულებებიდან დამახასიათებელია ფილტვების ასესცი და განგრეხვა, ფილტვების ემფიზემა, პნევმოსელიოზი, სისხლდენა ფილტვებიდან, პლევრის ემპიემა, ოთრკმელების ამიოლიდოზი.

### ფილტვის ემფიზემა

ფილტვების ემფიზემა დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ფილტვების გავანირებით და მათი ელასტიკურობის დაქვეითებით. მას საფუძვლად უდევს ფილტვის ქსოვილის ალტეოლური სტრუქტურის ნაწლა. ალტეოლათა შორის ხარხიხის და რადიკეის შედეგად ალტეოლები განივრდება, მათი რიცხვი მცირდება, შეიძლება ნარმოქმნას მსხვილი პაეროვანი დრეჯი - ბულბები. მცირდება ფილტვების ხასუნთქი ზედაპირი. ფილტვები კარგავენ თავიანთ ელასტიკურ თვისებებს და თითქმის ჩასუნთქულ მდგომარეობაში არიან. ემფიზემის ყველაზე ხშირი მიზეზია ობ-



სურ. 88 ბრონქოექტაზები. ბრონქოგრადფა

სტრუქციული ფორმის ბრონქიტი. ის ვითარდება აგრეთვე ბრონქული ასთმის, ბრონქოექტაზიის, ფლტების პროფესიულ დაავადებების შედეგად. ფლტების ემფიზემა ზოგჯერ ერთარდება მუსკოსებში. ის შეიძლება განვითარდეს ასაკთან ერთად (მზოხუტებულობის ემფიზემა). ემფიზემა შეიძლება იყოს დიფუზური ან შემოფარგლული ცალკეული სეგმენტით. მწვავე ემფიზემა ვითარდება სუნთქვიდან ფლტების ან მისი ნილის გამოთიშვის შემთხვევაში, რის გამოც მეორე ფლტები ან ფლტების ნაწილი კომპენსაციურად ფართოვდება.

ავადმყოფების ძირითადი ჩივილია ქოხინი ამოსუნთქვის გახანგრძლივებით. ქოხინი დასაწყისში ვითარდება ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებით, შემდეგ კი ავლოცინდება მოსუნების პირობებშიც. ავადმყოფები უჩივიან მშრალ ხველას ან ხველას ნახველით, რაც თანმხლები ბრონქიტი არის განპირობებული. ინსპექციით აღინიშნება ემფიზემური გულმკერდი, ოდნავ შეშუპებული ციანური სახე. «კომბლისებური» თითები, «სასათის მინის» ფორმის ფრჩხილები. ამოსუნთქვის დროს ჩანს კისრის ვენების შეზერლობა. პალპაციით შესუსტებულია გულმკერდის ბგერითი რხევა. პერკუსიით დგინდება კოლოფისებრი ხმიანობა, ფლტების ქვედა საზღვრების გაგანიერება, მათი ექსპურსიის მნიშვნელოვანი შემცირება. აუსკულტაციით მოისმინება შესუსტებული ვეზიკულური სუნთქვა, თანმხლები ბრონქიტის შემთხვევაში რეკივი სუნთქვა და მშრალი მოკვავუნე და მსტივინაფი ხიხინი. რენტგენოლოგიურად ფლტების ველები გამჭვირავლა. დაფარავმა დაბლა დასა, მისი მოძრაობა შეზღუდულია. აღინიშნება ფლტების სასიცოცხლო ტენაფიების, სუნთქვითი მოცულობის შემცირება, სუნთქვის ნუთმოცულობა მატულობს. გულის აბსოლუტური ყრუ ხმის საზღვარი არ ვლინდება იმის გამო, რომ გული მნიშვნელოვნად არის დაფარული ფლტტებით. მისი გართულება ფლტტისმიერი გულია.

თურის დახმობა სერეტი. ბრონქული ასთმის ძირითადი მიზეზია ორგანიზმის მომატებული მგრძობელობა სხვადასხვა ალერგენის (მცენარული, საწარმოო და საყოფაცხოვრებო მტერი, ზოგიერთი მდიკამენტი, საკვები პროდუქტი, ზემო სასუნთქ გზებში არსებული მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის პროდუქტები და სხვა) მიმართ. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის მემკვიდრულ ნივანსარგანწყობას. შეტევა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ამინდის მკვეთრმა ცვალებადობამ, გაციცვამამ, ფიზიკურმა გადაძაბვამ, უარყოფითმა ემოციებმა და სხვა.

ასთმური შეტევა იწყება უეცრად. ავადმყოფს ამ დროს ანუხებს პაერის ძლიერი უკმარისობა გაძნელებული ამოსუნთქვით, მოხრჩობის შეგრძნება. ის იღებს იძულებით მჯდომარე პოზას, სახე ულერჯდება, შემინებული გამომეტყველება აქვს, სუნთქვის ხშირად, ხმაურანად, პირით. ამოსუნთქვის დროს ებერება კისრის ვენები. შეტევის პერიოდში ჩნდება ხელა მწვად ამოსახველებელი ნებოვანი ნახველით. გულმკერდი შეტევის დროს გავიწარებული და ინსპირაციულ პოზაშია. ბრონქული ასთმის შეტევა შეიძლება გაკვირდეს რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე და დღემდე. როდესაც ასთმის შეტევა ხანგრძლივდება, ლაბარაკონზე ასთმურ სტატუსზე.

ფლტების პერკუსიით აღინიშნება კოლოფისებრი ხმიანობა, ფლტების ქვედა საზღვრების გაგანიერება, ექსპურსიის შემცირება. აუსკულტაციით, მესუსტებული ვეზიკულური სუნთქვის ფონზე გასანგრძლივებელი ამოსუნთქვა, მოისმინება მრავლობითი მსტივინაფი ხიხინი, რომელიც ხშირად იმისი მანძილზე. ჩვეულებრივ, შეტევა მთავრდება ნებოვანი ნახველის ამოვლით. ნახველში ნახულობენ დიდი რაოდენობით ეოზინოფილებს, კურშმანის სპირალებს, შარკო-ლაიდენის კრისტალებს. სისხლში დამახასიათებელია ეოზინოფილია. მცირდება ფლტების სასიცოცხლო ტენაფობა. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ფლტების ველების გამჭვირვალობის მატება, დაფარავმის დაბლა დგომა, მისი მოძრაობის შეზღუდვა.

ავადმყოფები გაუართლებელი ბრონქული ასთმის დროს რევმისის პერიოდში ჩივილებს არ წარმოადგენენ. ფიზიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებითაც ამ დროს რამე დამახასიათებელი ცვლილებებს ვერ ნახულობენ.

ბრონქული ასთმა ხშირად მიმდინარეობს ქრონიკული ბრონქიტის ფონზე. ის შეიძლება გართულდეს ფლტტების ემფიზემით და ანევროსტიკური ზიით, საბოლოოდ ფლტტისმიერი გულის ჩაპოვალბებით.

### ფლტვის კიპო

ფლტვის კიპო ფლტტების ავთისებინია სიმსივნეა, რომელიც ძირითადად ვითარდება ბრონქების ლორწოვანი გარსის საფარი ეპითელიუმის და ლორწოვანს ჯრკელოვანი ეპითელიუმის უჯრედების ავთისებინი გარდაქმნის შედეგად. დაავადების ტიპოლოგია და პათოგენეზი დღემდე არ არის საკმარისად შესწავლილი. დადგენილია თამბაქოს წვევის და ატმოსფეროში კანცეროგენული ნივთიერებების კონცენტრაციის როლი ფლტტის კიპოს განვითარებაში. არჩვენენ ე.წ. ფლტტის ცენტრალურ კიპოს, რომელიც ლოკალიზებულია მთავარ, ნოლოვან ან სეგმენტურ ბრონქებში და პერიფერიულ კიპოს, რომელიც ვითარდება წერილ ბრონქებში. დაავადების კლინიკური გამაყოფინებები დაკავშირებულია სიმსივნის ლოკალიზაციასთან, სიმსივნით ბრონქების სანათურის დახმობასთან.

### ბრონქული ასთმა

ბრონქული ასთმა დაავადებაა, რომელიც ხასიათდება შეტევითი ქოხინით და მოხრჩობით შეგრძნებით. იწვევს წერილი ბრონქების სანაზო, მათი ლორწოვანი გარსის შეშუპება და სანა-

ცენტრალური კიბოს დროს დაავადების ადრეული სიმპტომების განვითარება განპირობებულია ბრონქების გამავლობის დარღვევებთან. ავადმყოფი უჩივს საერთო სისუსტეს, ხეულას, მშრალს ან მცირე რაოდენობით ნახველით, რომელიც ზოგჯერ არის სისხლის მინარევი, ხანდახან კიბის. ტემპერატურის პერიოდული მატება და ინტოქსიკაციის სიმპტომები აღინიშნება ფილტვის ქსოვილში მიმდინარე მეორად ანთებით ცვლილებებთან და ბრონქების ოკლუზიის და ატლექტაზის განვითარებასთან დაკავშირებით. ტკივილი გულმკერდში დაკავშირებულია პათოლოგიურ პროცესში პლევრის ჩართვასთან.

პერიფერული კიბო ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობს სიმპტომების გარეშე და ზოგჯერ მას შემთხვევით ნახულბენ რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს. ხველა, სისხლიანი ნახველი გვხვდება შედარებით იშვიათად, უფრო ხშირად დაავადების შორსნასულ შემთხვევებში. აღინიშნება ტკივილი გულმკერდში, მოგვიანებით სტადიებში პემორაგული და ხასიათის ექსუდაციური პლევრიტი.

ფილტვის კიბოსათვის დამახასიათებელი ფიზიური მონაცემები მებდვ დაზარალებულია: ინსპექციით ხშირად აღინიშნება თითების უკანასკნელი ფალანგების და ფრჩხილების ცვლილებები („კომპლისებური“ თითები და „სახათის მინის“ მსგავსი ფრჩხილები). პერუსით სიმსივნის მიდამოში შეიძლება ნახონ პერუსოლი ხნის დამოკლება, ექსუდაციური პლევრიტის შემთხვევაში - მოყრუება. აუსკულტაციით მოისმინება მშრალი და სველი ხიხინი. დამახასიათებელია ელ-ის მკვეთრი მატება, ზოგჯერ ლეიკოციტოზი, მარცხნივ გადახრით. რენტგენოლოგიური ცვლილებები დაკავშირებულია სიმსივნის ლოკალიზაციასა და მისი ზრდის ფორმასზე (სურ. 89). ცენტრალური კიბოს დროს ფილტვის კიბის მიდამოში ტომოგრამებზე ჩანს სიმსივნის ჩრდილი უსწორო კონტურებით, რომელიც იწვევს ბრონქის სანათურის ობტურაციას. ელინდება სათანადო სეგმენტის ობტურაციული ემფიზემა, შემდგომში ატლექტაზის დამახასიათებელი ნიშნები. ბრონქოგრაფიაზე აღინიშნება აგების დეფექტი ართანაბარი კონტურებით. პერიფერული კიბოს დროს რენტგენოლოგიურად ვლინდება არაპიოპეტური დაჩრდილვა უსწორმასწორო კედლებით. დიაფრაზი ზუსტდება სიმსივნური უჯრედების აღმოჩენით ნახველში, ბრონქების ამონარეცხვლებში, ბრონქოსკოპით მიღებული მასლის ჰისტოლოგიური შესწავლებით. ბოლი დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპუტერულ ტომოგრაფიით მიღებულ შედეგებს.

ფილტვის კიბოს დროს მეტეასტაზები ვითარდება ლიმფური კვანძებში, ძვლებში, ლეიქში, თირკმლებში, თავის ტვინში, თირკმელზედა ჯირკვალში.

### ფილტვის არტერიის თრომბოზი და ფილტვის ინფარქტი


ფილტვის არტერიის ემბოლია ვითარდება სისხლის მიმოქცევის დიდი წრის ვენურ სისტემაში წარმოქმნილი სისხლის თრომბით. ემბოლის ყველაზე ხშირი მიზეზია თრომბები ქვემოლურ ვენებში, ქვედა კიდურების და მენჯის არის ვენებშიდა მათი თრომბოზოვების შემთხვევაში, უფრო იშვიათად მარჯვენა წინაველის და პარკუჭების თრომბები. ემბოლია შეიძლება განვითარდეს სხვა თრომბული მასალითაც - ემულგირებული ცხიმში, პაირი, სიმსივნური უჯრედები და სხვა. ხელის შეწყობი



სურ. 89 რენტგენოგრაფია. მარჯვენა ფილტვის კიბო

მიზეზებია ხანგრძლივი წლითი რეჟიმი, კოაგულების ტრავმა, გულის უქმარისობა, ტრავმული ოპერაციული ჩარევა. დაავადების კლინიკური გამოვლენისათვის მნიშვნელობა აქვს დახმული სისხლძარღვის სიდიდეს და ფილტვის სისხლის მიმოქცევის მდგომარეობას. თუკი ფილტვის ქსოვილის ვასკულარიზაცია არასაკმარისია სისხლძარღვთა ანატომოზებით, ვითარდება ფილტვის ინფარქტი. უცვრად განვითარებული მასიური ემბოლის დროს შეიძლება განვითარდეს მარჯვენა პარკუჭის მწვავე უქმარისობა მისი დიდი გადაძაბვის გამო. ფილტვის არტერიის მთავარი ტოტების ემბოლის შედეგად ზოგჯერ სწრაფად ვითარდება სიკვდილი.

ფილტვის ინფარქტის დროს ჩივილებიდან დამახასიათებელია ტკივილი გულმკერდში, ხშირად მკერდის ძლის უკან, ქოშინი, ხველა სისხლიანი ნახველით, ტაქიკარდია, ტემპერატურის მატება სუბფერტილურ ციფრებზე. ავადმყოფი ფერმკრთალია, სახეზე აქვს ცივი ოფლი, ზოგჯერ აღინიშნება ციანოზი. დიდი ზომის, ზედაპირულად მდებარე ინფარქტის შემთხვევაში პერკუსიული მხიანძლე შეიძლება იყოს დამოკლებული ან იყოს მოყრუება. აუსკულტაციით მოისმინება ლოკალურად სველი ხიხინი, პლევრიტით გართულების შემთხვევაში - პლევრის ხახუნი. სისხლის არტერიული ნეწვა ქვეითდება. მძიმე შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს კოლაფსი. სისხლში აღინიშნება ლეიკოციტოზი ნეიტროფილით, ელ-ის მატება. პლევრაში შეიძლება დაგროვდეს პემორაგული სითხე. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ფილტვის სურათის გაძლიერება, გაურკვეველი ბუნების ინფილტრატები და ატლექტაზური უბნები. ზოგჯერ ჩანს სამკუთხედის ფორმის ჩრდილი ფუძით გულმკერდის კედლისკენ, პლევრის ღრუში სითხის დაგროვება. ელექტროკარდიოგრაფიულად ხშირად აღინიშნება მარჯვენა ტბის ელექტროკარდიოგრამა (S და Q<sub>3</sub> ტბილების განვითარება). ხშირად ვითარდება მიოკარდიუმის უკანა კედლის ინფარქტის მსგავსი ცვლილებები - ლრმა Q<sub>3</sub> და უარყოფითი T<sub>3</sub>, გულის



სურ. 90 ბტრანაციული ატლევტხის სქემა

ელექტრული ღერძის მარჯვნივ გადახრა. მიოკარდიუმის ინფარქტისაგან განსხვავებით ეს ცვლილებები სწრაფად განივლინ უკუგანვითარებას.

გართულებებიდან აღსანიშნავია სეროზული ან პეორაგიული პლევრიტი, პერიკარდიტი, ფილტვების აბსცესი ან განგრეპა, მარჯვენა პარკუტის უქმარობის განვითარება. ზოგჯერ აღინიშნება ფილტვის ინფარქტის რეციდივი.

### პლევრიტი

პლევრიტი პლევრის ფურცლების ანთებაა. უმეტესად ეითარდება ფილტვების რაიმე დაავადების შედეგად (ტუბერკულოზი, ფილტვების ანთება, აბსცესი, კიბო, ფილტვის ინფარქტი და სხვა). პლევრიტი შეიძლება განვითარდეს აგრეთვე რევმატიზმის, ურემიის, ტრავმის შედეგად. განარჩევენ მშრალ და ექსუდაციურ პლევრიტს. მშრალი პლევრიტის (pleuritis sicca) დროს პლევრის ფურცლებზე აღინიშნება ფიბრინული გამონაფონი. ექსუდაციური პლევრიტის (pleuritis exsudativa) შემთხვევაში პლევრის ღრუში გროვდება ანთების სითხე, რომელიც შეიძლება იყოს სეროზული, სეროზულ-ფიბრინული, ჩირქოვანი, პეორაგიული და სხვა.

### მშრალი პლევრიტი

მშრალი პლევრიტი, ჩვეულებრივ, იწყება მწვაედ. ავადმყოფები უჩივიან ტკივილს გულმკერდში, რომელიც ძლიერდ-

და ღრმა ჩასუნთქვის, ცეპინების და სანიჩაალდგეო მხარეს გადახრის დროს, სისუსტეს, ტემპერატურის მომატებას სუბფეხბრილორ ციფრებამდე. ზოგჯერ აღინიშნება მშრალი ხველა. სუნთქვა გახშირებულია, ზერეულ, ზოგჯერ ავადმყოფს იძულებითი მდებარეობა აქვს - წეება დაავადებულ გვერდზე. შეიძლება გამოხატული იყოს გულმკერდის ასიმეტრიულობა; გულმკერდი ჩამორჩება სუნთქვაში დაავადებულ მხარეს. პალპაციით დაზიანებულ მიდამოში აღინიშნება მტკივნეულობა. პერკუსიით შეიძლება დადგინდეს ფილტვის ექსკურსიის შემცირება ტკივილის გამო. აუსკულტაციით მოისმინება პლევრის ხახუნი. სისხლში ცვლილებები უმნიშვნელოა. რენტგენოლოგიური სიმპტომატიკა არ აღინიშნება.

დაიფარავს მშრალი პლევრიტის დროს ტკივილი ხშირად გადაეცემა დაიფარავს ნერვის გაყოლებით კისრის მიდამოში და შეუცლის წინა კედელზე. მწვერვალის მიდამოს და ნილთაშუა პლევრიტების დროს ტკივილი პრაქტიკულად არ აღინიშნება. დაიფარავს პლევრიტის დროს პლევრის ხახუნს ვერ ისმენენ. მშრალი პლევრიტის მიმდინარეობა ხანმოკლეა, ჩვეულებრივ, რამდენიმე დღიდან 2-3 კვირამდე.

### ექსუდაციური პლევრიტი

ექსუდაციური პლევრიტის დროს ავადმყოფები უჩივიან შეუძლოდ ყოფნას, სიმძიმის შეგრძნებას გულმკერდში, ზოგჯერ მშრალ ხველას. თუკი ექსუდატის დაგროვებას წინ უძღოდა პლევრის ფურცლების ფიბრინული ანთება, ტკივილის შეგრძნება შესტდება ან ქრება. მედიასტინური პლევრიტის შემთხვევაში აღინიშნება ტკივილი მკერდის ძელის უკან, დაიფარავს მული პლევრის დაზიანების - ექსტრასტრუმის ან მარჯვენა ფერდქემაზე არეუბ. დაავადება შეიძლება განვითარდეს თანდათანობით, ან დაიწყოს მწვაედ შემცირებით და ტემპერატურის მატებით. ექსუდატის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში წამყვანი ჩივილია ქოხინი.

ინსალაციით აღინიშნება გახშირებული სუნთქვა, ციანოზი, კისრის ვენების შეზეროლობა. ნეკნაშუა არეუბ ექსუდატის დაგროვების ზონაში ამოვსებულია. პერკუსიით აღინიშნება ყრუ ხმა ირიბი ზედა საზღვრით (დამუაზოს ხმა), ჯანმრთელ მხარეს, გროკო - რაუხფუსის საკუთხედში - მოყრუება. გარლანდის სამკუთხედში და შკოდან ზონაში, ექსუდატის ზეითი - ტიმპანური კულების მოყრუება. ფილტვების ექსკურსია შემცირებულია. მარცხენამხრივი ექსუდაციური პლევრიტის დროს ქრება ტიმპანიტი ტრარუბეს სერცემში. სუნთქვა სითხის დაგროვების მიმდებარე მესუსტებულია ან საეროოდ არ აღინიშნება. შკოდან ზონაში შეიძლება გაჩნდეს კრეპიტაცია ან წერტილმეტუკოვანი სეული ხიხინი. რენტგენოლოგიურად აღინიშნება მასიური დაგროვება ირიბი ზედა საზღვრით და გულის და შუასაყარის რაგანოვების ცვლმა ჯანმრთელ მხარეს. ნილთაშუა პლევრიტის დროს აღინიშნება სოლისებრი ან თითისტარის ფორმის მკაფიო ჩრდილი. დიდი დაგროვსტიკური მნიშვნელობა აქვს პლევრის უმეტესად, რომელიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ გამოწყვის ხასიათზე. ექსუდაციური პლევრიტის დიაგნოსტიკაში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ თორაკოსკოპიას, რომლის დროსაც შეიძლება პლევრის ფურცლების დათვლიერება, აგრეთვე ბიოფსისის წარმოება მასალის შემდგომი ჰისტოლოგიური შესწავლით.

ექსუდაციური პლევრიტის გამოსავალი დაკავშირებულია ძირითად დაავადებამზე. ჩვეულებრივ, სეროზული ექსუდატი

ინოვაცია, ფობრული განიცდის ორგანიზაციის შემკრთებელ-ქსოვილოვანი ელემენტებით, რის შედეგადაც პლეურის ფურ-ცლებს შორის ვითარდება შეხორცებები (ფეარები). თუკი ევ-სულდება დაჩრქვდა, ვითარდება ჩირქოვანი პლევრები - პლევ-რის ემპიემა. ავადმყოფის მდგომარეობა მძიმდება, ტემპერა-ტურა მატობის მაღალ ციფრებამდე, ცხელება ხშირად პექ-ტორალა, აღინიშნება შემცივნება, ძლიერი ოფლიანობა, ძლიერ-დება ქოშინი. ავადმყოფი ფერმკრთალა, მღერ ხდება. პალა-ციით არის ტკივილი ნეკნაშუა მიდამოში. ვითარდება სუნ-თქვითი უკმარისობა. აღინიშნება ლეიკოციტოზი ნეიტ-როფილოზით, მიოქტრომული ანემია, შარდში ჩნდება ცილა, არის ცილინდრები. ჩირქოვანი პლევრიტის დროს შეიძლება განვითარდეს პლევრობორქოქული, ბრონქოპნეიდასტინური, გა-რეგვანი ფისტულები (ჩირქის გარღვევა ვულკერდის ზედაპირ-ზე). ფილტვის ემპიემის ქრონიკული მიმდინარეობის დროს ზოგჯერ ვითარდება შინაგანი ორგანოების ამიოლიოზი.

### ფილტვის ატელექტაზი

ფილტვის ატელექტაზი ფილტვის ქსოვილის ჩაწყტებაა. მის ყველაზე ხშირი მიზეზია ბრონქების ვანვლადობის დარ-ღვევა. ფილტვის ქსოვილის ჩაწყტვა ვითარდება ბრონქის და-ციობის დისტალურად - ობტრუკციული ატელექტაზი (სურ. 90). ატელექტაზი შეიძლება განვითარდეს აგრეთვე ფილტვის ქსო-ვილზე ზეწოლის შედეგად (კომპრესიული ატელექტაზი). ფილ-ტვების არავენტილირებად ნაწილში, განსაკუთრებით ობტუ-რაციული ატელექტაზის დროს, რაც დაკავშირებულია ბრონ-ქის დენაზიული ფუნქციის დარღვევასთან, არამიჯთათად ვი-თარდება ინფექციურ-ანთებითი პროცესი (ლოკალური ჩირქო-ვანი ბრონქიტი, პნეუმონია), ხანგრძლივი მიმდინარეობისას - ბრონქოექტაზი და ფილტვის ქსოვილის ფობრული ცელი-ლებები. ატელექტაზის ყველაზე ხშირი მიზეზი არის ბრონქის დახშობა სიმსივნით, უცხო სხეულით, ნაღვინიშნ მასით, სის-ხლის კოლტებით, ბრონქზე ზეწოლით (სიმსივნე, გადაღმებული ლიმფური კვანძები). კომპრესიული ატელექტაზი აღინიშნება ფილტვის ქსოვილზე პლევრული სითხის, პლევრის ღრუში არ-სებული ჰაერის, დიდი სიმსივნის ზეწოლისას.

ატელექტაზი გავრცელების მიხედვით შეიძლება იყოს ნი-ლაკოვანი, სეგმენტური, ნილოვანი, ტოტალური. მცირე ზომის ატელექტაზური უბანი, ჩვეულებრივ, არ იძლევა დამოუკიდებ-ელ კლინიკურ სიმპტომატკას და მისი არსებობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ რენტგენოლოგიურად. ნილოვანი და მით უმეტეს ტოტალური ატელექტაზის დროს გამოხატულია ქოშინ-ობა, ციანობა. მასური ატელექტაზის დროს გულმკერდის დაა-ვადებული მხარე ჩავარდნილია, სუნთქვითი მოძრაობა შეზღუ-დულია, პერკუსიული ზნაინობა მოყრეგებულია, სუნთქვა შე-უსტებელი. დამატებითი სუნთქვითი ზნაინობები არ აღინიშ-ნება. გულმკერდის ბევრით რხევაა ევრ შევიგრძნობთ. რენტგ-ენოლოგიურად ჩანს პომოგენური ჩრდილი, ფილტვების სხვა უმ-ნები კომპენსაციურად გაფართოებულია და მათი გამჭვირვა-ლობა მომატებულია. შუასაყარის ორგანოები ვადანებულია და-ზიანებული მხარეს.

არასრული ატელექტაზის დროს (როდესაც ფილტვი თით-ქმის უპაეროა, მაგრამ ბრონქი კი ვაშავალი) აღინიშნება მოყ-რეული ტრამინიტი, შესუსტებული ბრონქული სუნთქვა, ზოგჯერ გაწლერეული ბგერითი რხევა და ბრონქოფონია.

### პნევმოსკლეროზი

პნევმოსკლეროზი ეწოდება ფილტვებში შემკრთებული ქსოვილის გამრავლებას ფილტვების პარენქიმული ელემენტე-ბის ხარჯზე. ის შეიძლება იყოს კეროვანი და დიფუზური. კერო-ვანი პნევმოსკლეროზი ვითარდება პნეუმონიის, ფილტვების აბ-სკეტის, ტუბერკულოზის შედეგად. დიფუზური პნევმოსკლერო-ზი შეიძლება განვითარდეს ტუბერკულოზის, ფილტვების პროფესიული დაავადებების და ქრონიკული ბრონქიტის შედე-გად. დიფუზური პნევმოსკლეროზი იწვევს მცირე წრის პიპერ-ტენზიას და შემდგომში ფილტვისმიერი გულის ვანივითარებას.

რენტგენოლოგიურად კეროვანი პნევმოსკლეროზის დროს ვილინება დაჩრდილის უბანი, რის ფონზეც ჩანს უბეში და-ზონრებები. დაზიანებული სეგმენტის ან ნილის ზომა შემცირე-ბულია. ვარეგანი სუნთქვის ფუნქცია შეიძლება არ იყოს დარ-ღვეული. დიფუზური პნევმოსკლეროზის დროს რენტგენოლო-გიურად ჩანს ფილტვის სურათის ვადიერება, ხაზოვანი ჩრდი-ლები ბრონქების ვაყოლებით; ბრონქოგრაფაზე - ბრონქების კონტურების დფორმაცია. ფილტვების სასიცოცხლო ტევა-დობა შემცირებულია, აღინიშნება ვენტრიალური ფუნქციის დარღვევა რესტრიქციული ტიპით.


### პნევმოთორაქსი

პნევმოთორაქსი პლევრის ღრუში ჰაერის დაგროვებაა. სპონტანური (ლათ. სპონტანუს - თვითნებური, თავისთავად) პნევმოთორაქსის დროს ავადმყოფს უცერად უვითარდება ინ-ტენსიური ჩხვლტებით ტკივილი გულმკერდში, ქოშინი, ზოგჯერ მოხრჩობის შეგრძნება, ხშირად მშრალი, შეტევითი ხელა. ძლი-ერი ტკივილის შედეგად შეიძლება განვითარდეს ნეკი. არცთუ იშვიათად მის ვანივითარებას წინ უძღვის ფიზიკური ვადატვირ-თვა, ძლიერი ხელა. ის ხშირად არის ბულიოზური ემფიზემის ვართოშეობა. ის შედეგია აგრეთვე ტუბერკულოზის ან ფილტვის ქსოვილის სხვა რღვევით მიმდინარე პროცესის, ტრავმის. ხელოვნური პნევმოთორაქსი გამოიწვევა პლევრის საშუ-კურნალო მიზნით ჰაერის შეყვანით. ბრონქის სპულებით აბმოსფეროსთან კავშირის მიხედვით არჩვენ ღია (სურ. 91), დახურულ (სურ. 92) და სარქველიან პნევმოთორას.


პნევმოთორაქსის დროს ინსპაციით აღინიშნება შერეული ტიპის ქოშინი, ციანობა, დაზიანებული მხარის ჩამორდება სუნ-თქვითი, მისი ვამორღეკა, ნეკნაშუა სიგრცეების ამოვსება. პალაპაით აღინიშნება შესუსტებული ბგერითი რხევა, პერკუ-სიით - ტრამინიტი, ფილტვების ექსპირაციის შეზღუდვა, აუს-კულტაციით - შესუსტებული სუნთქვა. საბოლოო დიავიზი დასტურდება რენტგენოლოგიურად; ამ დროს ფილტვის ქსოვი-ლის ნაცულად ნახულობენ პომოგენური ნათელ ზონას. ფილ-ტვის ქსოვილი ჩაწყტულია და მოქცეულია ფილტვის კართის შუასაყარი ცდმომლია.

### ჰიდროთორაქსი

ჰიდროთორაქსი - არანთებითი სითხის დაგროვებაა პლევ-რის ღრუში. ვითარდება გულის უკმარისობის დროს, თირკმლე-ბის დაავადების, სისხლის და ლიმფის მიმოქცევის ადგომობრი-ვი დარღვევებისას, სიმსივნური ზეწოლის, აორტის ანევიზმის ზეწოლის შედეგად და სხვა. ხშირად ის ორმხრივია. დიდი ზომ-როთორაქსის დროს ავადმყოფს ანუხებს ქოშინი, ის ციანოზუ-



სურ. 91 ლია პნევმოთორაქსის სქემა



სურ. 92 დახურული პნევმოთორაქსის სქემა

რია. პალპაციით შესუსტებულია ბგერითი რხევა, პერკუსიით ლებულობენ მოყრუებას პორიზონტალური დონით, ფილტვების კიდეთა შლა შეზღუდულია, აუსკულტაციით აღინიშნება ვეზიკულური სუნთქვის შესუსტება ან სუნთქვა არ ტარდება. რენტგენოლოგიურად ნახულობენ პლევრის ღრუში სითხეს პორიზონტალური დონით.

### ჰიდროპნევმოთორაქსი

ჰიდროპნევმოთორაქსი (სეროპნევმოთორაქსი) პლევრის ღრუში ერთდროულად სითხისა და ჰაერის დაგროვებაა. როდესაც პლევრის ღრუში არის ჩირქოვანი სითხე, ლაპარაკობენ პიოპნევმოთორაქსზე, როდესაც პემორაგიული - პემოპნევმოთორაქსზე. ჩივილებიდან აღსანიშნავია ქოშინი, პიოპნევმოთორაქსის დროს მაღალი ტემპერატურა. პერკუსიით სითხის მიდამოში ლებულობენ ყრუ ხმიანობას, მის ზემოთ - ტიმპანიტს. შეიძლება მოიხსინიოთ „ჰიოკრატეს მუფის ხმა“ და წვეთის დაეარდნის ხმიანობა. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ინტენსიური დაჩრდილის ზეეთი ნათელი არის არსებობა.

# გულ-სისხლძარღვთა სისტემა

## გამოკვლევის მეთოდი

### გამოკითხვა

ავადმყოფის გამოკითხვას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადების ამოცნობაში. კერძოდ, ის საშუალებას იძლევა გამოავლინოს ისეთი სერიოზული დაავადებები, როგორიცაა გულის ანგინა, მოკარდოვის ინფარქტი სანყის პერიოდში, როდესაც გამოკვლევის სხვა მეთოდები, მათ რიცხვში ელექტროკარდიოგრაფია, ზოგჯერ არ იძლევა სათანადო ინფორმაციას. გამოკითხვის საშუალებით ისმება ე.წ. გულის ნეკროზის დიაგნოზი, დგინდება გულის უძმარისობის საწყისი სტადიების არსებობა და სხვა. გამოკითხვა ავსებს ფიზიკური კვლევის მონაცემებს, საშუალებას იძლევა შეფასდეს ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობა და სხვა.

### ჩვილები

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს ავადმყოფის მიერ ნარმოდგენილი ჩვილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია გულის ფრიალი, ტკივილი გულის მიდამოში და ქოშინი. ამის გარდა, ავადმყოფი შეიძლება უჩიოდეს შეშუპების, ციანოზის არსებობას (ეს ორი სიმპტომი ზუსტდება ობიექტური გამოკვლევით), აგრეთვე სისუსტეს, სწრაფ დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას, ადვილად აგზნებადობას, უძილობას, თავის ტკივილს, შუილს ყურებში, თავბრუს, ხველას, ტკივილს მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში, ქვემო კიდურებში, დისპეპსიურ მოვლენებს, მარდის გამოყოფის დარღვევას, ხმის ჩახლევას, წონის დაკლებას, ტემპერატურის მატებას და სხვა.

### გულის ფრიალი

გულის ფრიალი გულის ცემის სიხშირის, ან რითმის დარღვევის სუბიექტური გამოვლინებაა. ნორმულ მდგომარეობაში ადამიანი ვერ შეგრძნობს თავის გულის ცემას. ის შეიძლება შეიგრძნოს სრულიად ჯანმრთელმა ადამიანმა დიდი ფიზიკური დატვირთვის (სირბილი, კიბეზე სწრაფად ასვლა, სიმძიმეების აწევა და სხვა), ემოციური გადატვირთვის შემდეგ, ყავის ან შაგარი ჩაის ზედმეტად სმის, თამბაქოს წვეის გადამეტებისას, ალკოჰოლის ჭარბად მიღების შემდეგ და სხვა.

გულის ფრიალი, რომელიც არ არის ტკივილის შეგრძნება, მანც მძიმედ გადაქვეთ ავადმყოფებს და ხშირად აიძულებს მათ მიმართონ ექიმს. გულის ფრიალი არ არის მხოლოდ ტაქი-

კარდიის დროს. მას ავადმყოფი შეიგრძნობს მაშინ, როდესაც აქვს ტაქიკარდია, ბრადიკარდია ან არითმული გულის ცემა. ზოგჯერ ავადმყოფს აქვს სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია (გულის ცემის სიხშირე აღემატება 180-ს) და ის მას ვერ გრძნობს, ზოგჯერ კი ის გულის ცემას გრძნობს გულის ნორმალური რითმის დროს. შეგრძნება საკმაოდ ვარაბელურია. ავადმყოფები გულის ფრიალს აღნიშნავენ, როგორც გულის ცემის გახშირებას, გაძლიერებას, როგორც ფართხალს გულის მიდამოში, ზოგჯერ კი - როგორც გულის მუშაობის გაჩერების, გულის ცემის გამოვარდნის შეგრძნებას.

გულის ფრიალი აღინიშნება გულის სხვადასხვა დაავადების დროს - გულის დაკომპენსირებული მანკები, მწვავე მოკარდიტი, მოკარდილის ინფარქტი, კარდიომიოპათია და სხვა. გულის ფრიალი შეიძლება იყოს მუდმივი ან პერიოდული. მუდმივი გულის ფრიალი დამახასიათებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ორგანული დაავადებებისათვის და ხშირად არის რევმატიული მოკარდიტის და მძიმედ მიმდინარე მოკარდიუმის ინფარქტის დროს. პერიოდული გულის ფრიალი შეიძლება იყოს გულის როგორც მწვავე (რევმატიზმი აქტიურ ფაზაში), ასევე ქრონიკული დაავადებების (დეკომპენსირებული სარქლოზიანი მანკები, კარდიოსკლეროზი) დროს.

გულის ფრიალი ყველაზე მეტად დამახასიათებელია ხშირი პარკუტოვანი ექსტრასისტოლიისათვის, შედარებით იშვიათად - მოციმციმე არითმიისთვის. ავადმყოფი შეიგრძნობს არათანაბარ ბიძგებს, „სკეუმპას“, ფართხალს გულის მიდამოში, გულის ცემის გაჩერებას (კომპენსაციული პაუზის დროს). გულის ფრიალს ავადმყოფი, ჩვეულებრივ, შეგრძნობს მოციმციმე არითმიის ტაქისისტოლური ფორმის დროს. მოციმციმე არითმიის ბრადისტოლური ფორმის შემთხვევაში ავადმყოფს ეს შეგრძნება, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება.

უეცრად აღმოცენებული გულის ფრიალი დამახასიათებელია პაროქსიზმული ტაქიკარდიისათვის, მოციმციმე არითმიის პაროქსიზმისათვის.


პულსაციის შეგრძნება სხეულის ზოგიერთ მიდამოში (თავი, კისერი, კიდურები) ხშირად აღინიშნება არტის სარქელის ნაკლოვანების, ზოგჯერ არტერიული ჰიპერტენზიის, გულის ნეკროზის დროს.

გულის ფრიალი აღინიშნება არა მხოლოდ გულის დაავადებების დროს, არამედ ის დამახასიათებელია ტემპერატურის მატების, ინფექციური დაავადებების, ანემიის, თირეოტოქსიკოზისთვის, ვითარდება ზოგიერთი მედიკამენტის (ატროპინი, პლატილინი, ზოგჯერ ნიფედიაზინი, ნიტროგლიცერინი) მიღების შემდეგ.



### ტივილი გულის მიდამოში

ტივილი გულის მიდამოში არის გულის დაავადებებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და მნიშვნელოვანი ჩივილი. ავადმყოფის ჩივილი „გულის“ ტკივილზე ყოველთვის არ მიუთითებს იმაზე, რომ ტკივილი სინამდვილეში გულის დაზარანებასთან არის დაკავშირებული. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ტკივილი გულტკივლში შეიძლება დაკავშირებული იყოს სასუნთქო სისტემის პათოლოგიასთან, ნეკროზის დაზიანებასთან, ნევნათაშუა ნევრალგიასთან, მოზიტთან, ტკივილის ირადიაციასთან დეტალურად უნდა დაავადებების დროს და სხვა. ამიტომ, როდესაც ავადმყოფი აღნიშნავს ტკივილს გულის მიდამოში, დეტალურად უნდა დაზუსტდეს მისი ლოკალიზაცია (გულის ინვერსია, მკერდის ძვლის მიდამო და სხვა), ხასიათი (მოჭრითი, ჩხვლებითი, სიმძიმის, სიმზურავლის შეგრძნება თუ სხვა), გაჩენის დრო და ხანგრძლივობა, რა პირობებში აღმოცენდება ტკივილი (ფიზიური დატვირთვა, ემოციური დაძაბულობა, მოსვენებული მდგომარეობა, სიცოცხე, საკვების მიღების შემდეგ), მუდმივია თუ შეტევითი, სად გადაედევს; რა ხსნის ტკივლს და სხვა. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ტკივილის ინტენსივობა ყოველთვის არ შეუფარდება პათოლოგიური პროცესის სიმძიმეს.



სურ. 93 ტკივილის ლოკალიზაცია და ვადემა სტენოკარდიის დროს

ტივილი გულის მიდამოში დამახასიათებელია გულის სხვადასხვა დაავადებისათვის - სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, პერიკარდიტი, მიოკარდიტი, ენდოკარდიტი, გულის მანკი, აორტის ანევრიზმა, გულის მწვავე გაგანვირება, გულის ნეკროზი და სხვა. ტკივილი გულის სხვადასხვა დაავადების დროს განსხვავებულია თავისი ლოკალიზაციით, ხასიათით, სიძლიერით, ხანგრძლივობით, ირადიაციით და სხვა. ზოგჯერ ტკივილი აღმოცენდება ღამე. ტკივილი შეიძლება განვითარდეს ანემიის შემთხვევაში, რომელსაც თან ახლავს პიოქსითია და მიოკარდიუმის პიოქსია.

სტენოკარდიის დროს ტკივილი მეტად დამახასიათებელია და ხშირად მხოლოდ გამოკითხვის საფუძველზე შეიძლება დაისვას ამ დაავადების დიაგნოზი. ეგრეთ წოდებული დამაბვის სტენოკარდიის დროს ტკივილი აღმოცენდება ფიზიური დატვირთვის (ხნარით სიარული, კიბეზე ასვლა, თმობის ჭარება), ადუღების შემდეგ. ტკივილი ხშირად ვითარდება ქარიან ამინდში, თბილი თოხიდან გარეთ სიციფში გამოსვლისას, ზოგჯერ თამბაქოს მოწევის, საკვების ჭარბად მიღების შემდეგ. ტკივილი ჩვეულებრივ ლოკალიზებულია მკერდის ძვლის უკან, ან მის

მარცხნივ, მოჭრითი ხასიათისაა. უფრო იშვიათად ავადმყოფი გრძნობს სიმძიმის, სიმზურავლის, ჩხვლების შეგრძნებას. ტკივილს შეტევითი ხასიათი აქვს და გრძელდება 1-2 წუთითა და 20-30 წუთამდე. ტკივილი გადაეცემა მარცხენა ბეჭემ, მარცხენა მხარში, მარცხენა ნინამხარში ულნარული მხარის გაყოლებით, III-V თითებში (ჩარსოდეს არ გადაეცემა ცერში), მარცხენა ხეის მიდამოში. ზოგჯერ ტკივილის ხასიათი აღინიშნება პარესთეზიები - ხელის და თითების დაბუყება. იშვიათად ტკივილი გადაეცემა მარჯვენა მხარში და ხელში. ტკივილი ზოგჯერ ლოკალიზებულია ეპიგასტრიუმის მიდამოში (სურ. 93). ტკივილის გაჩენა დაკავშირებულია გულის უწყობის იშვიათთან. ათეროსკლეროზის შედეგად შევიწროებული კორონარული სისხლის ძარღვი დატვირთვის პირობებში ვეღარ უზრუნველყოფენ მიოკარდიუმის გაზრდილ მოთხოვნას ანგენაზე. სტენოკარდიული შეტევის დროს ავადმყოფი ხშირად ღებულობს იძულებით უძირარი პოზს. ამიტომ დადაბვის სტენოკარდიის დროს აღმოცენებული ტკივილი ხშირად ვაივლის, თუკი ავადმყოფი მოსვენებას, შეჩერდება. ე.წ. პრინციპეტალის სტენოკარდიის დროს ტკივილი აღმოცენდება ღამე და განპირობებულია გვირგვინოვანი სისხლძარღვების სპაზმით. ხშირი და ძლიერი სტენოკარდიული ტკივილი დამახასიათებელია არასტაბილური სტენოკარდიისათვის, რომელსაც ინფარქტისინა მდგომარეობად განიხილავენ. თუკი სტენოკარდიული შეტევა ძალიან გახანგრძლივდა, ლაპარაკობენ ანგინურ სტატუსზე (status anginosus). ავადმყოფს ამ დროს აღენიშნება „ცხოველური“ სიკვდილის შიშის გრძობა - *angor animi mortis*. ხანგრძლივი სტენოკარდიული შეტევის დროს არ არის გამოირჩეული მიოკარდიუმის ინფარქტის ჩამოყალიბება. სტენოკარდიულ ტკივილს ხსნის ნიტროგლიცერინი.

მიოკარდიუმის ინფარქტისათვის დამახასიათებელია ისეთივე ხასიათის ტკივილი, როგორც არის სტენოკარდიის დროს, მაგრამ ტკივილი ინტენსივობა და ხანგრძლივობა ბევრად უფრო დიდია. ტკივილი გრძელდება ზოგჯერ რამდენიმე საათის და დღის მანძილზე, მას არ შეუძლია მოსვენება და ის არ ექვემდებარება სისხლძარღვთა ისეთ გამაფართოებელ საშუალებას, როგორცაა ნიტროგლიცერინი და წყნარდება მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებების (მოროფიუმი, პრომედლილი) ინექციის შემდეგ.

სტენოკარდიული ხასიათის ტკივილი გულის მიდამოში შეიძლება აღმოცენდეს აგრეთვე ზოგჯერ რევმატული ვასკულიტის, კანაძოვანი პერიარტერიოიტის, მძიმე ანემიების დროს.

შევეე მიოკარდიტის დროს ტკივილი ყოველთვის არ აღინიშნება. ავადმყოფი გრძნობს ზომიერი ინტენსივობის ყრუ ტკივილს, სიმძიმის შეგრძნებას, რომელსაც არა აქვს შეტევითი ხასიათი. ყრუ ხასიათის ტკივილი შეიძლება პქონდეს ავადმყოფს ენდოკარდიტის დროსაც.

პერიკარდიტის დროს ტკივილი მკერდის ძვლის უკან ან მეზოკარდიუმში (III-IV ნევნათაშუა მიდამოში მკერდის ძვლის მარცხნივ) ლოკალიზდება. ის სხვადასხვა ინტენსივობის და მხვლებითი ხასიათისაა. ძლიერდება ხეულის, ღრმა ჩასუნთქვის, მოძრაობის, სტეტოსკოპის დაწოლისას. შეიძლება იყოს ხანგრძლივი, გაგრძელდეს რამდენიმე დღეს. ავადმყოფს მუკავითი აქვს დაჯივების, წინ გადაწევის ან თიხი კიდურის პოზაში ყოფინისას (ძროხის პოზა - *a la vache*). თუ პერიკარდიუმის რუმში დატოვდა სითხე, ტკივილი ქრება, ისევე როგორც პლევრიტის დროს. პერიკარდიტის დროს ზოგჯერ აღინიშნება ტკივილის გადაცემა მარცხენა მხარში. ნიტროგლიცერინის მი-

ღმა ტკივილს არ ხსნის. შეზორცებითი პერიკარდიტის შემთხვევაში ტკივილი შეიძლება განდგეს თავის უკან გადახვევისას (პლურალის შეზორცებების დაჭიმვა).

ყურ ხასიათის ტკივილი გულის მიდამოში ზოგჯერ აღინიშნება მიტრალური სტენოზის და არტული მანკების დროს. აორტიტის დროს არის უკუდაგი, სხვადასხვა ინტენსივობის ტკივილი მკერდის ძელის შუა, რომელიც არ არის დაკავშირებული ადრეულგვასთან ან მოძრაობასთან, ე.წ. აორტალგია. ის შეიძლება აღინიშნოს სიფილისური მეზორტეიტის, აორტის ანეურიზმის, აგრეთვე არტერიული ჰიპერტენზიის დროსაც. აორტის განზრუვადი ანეურიზმის დროს ტკივილი მწვავეა, მაგრამ მას არ ახასიათებს ისეთი ირადიაცია, როგორც სტენოკარდიულ ტკივილს. ტკივილი გადაეცემა, ჩვეულებრივ, უკან ხერხემლისაკენ.

ტკივილი შეიძლება აღმოცენდეს გულის მწვავე განვლვისას, რაც ვითარდება ძლიერი ფიზიკური დატვირთვის შემთხვევაში (სირბილი, სიმძიმეების აწევა) და აღინიშნება სპორტსმენებში. ის არ არის ინტენსიური და სწრაფად გაივლის.

გულის ნეკროზის - კარდიოგენოზის დროს არის ჩხვლეტივითი, ყრუ ხასიათის ტკივილი გულის მწვერვლის მიდამოში. ტკივილი არ არის ინტენსიური, ზოგჯერ გადაეცემა მარცხენა ხელში. ხშირად გრძელდება საათების და დღეების განმავლობაში. ძლიერდება ადრეულებში და არა ფიზიკური დატვირთვის დროს. ხშირად თან ახლავს მოქნარება.

### ქოშინი

გულით ავადმყოფებს ხშირად აღენიშნებათ ქოშინი, რომელიც სუბიექტურად გამოიხატება როგორც პაერის უკმარისობა, ობიექტურად კი - სუნთქვის გაზრდა. ქოშინი გულის ქრონიკული უკმარისობის ერთ-ერთი ნაშევანი ნიშანია. მისი განვითარების მიზეზი გულის უკმარისობის დროს არის, პირველ რიგში, სისხლის შეკუმშვა მცირე ნრეში, რაც იწვევს აირთა ცვლის და ფილტვებში სისხლის არტერიალიზაციის გაუარესებას. ქოშინი შეიძლება განვითარდეს გულის დაბალი ნუთმოცულობის დროს, როდესაც ის არაადეკვატურა ორგანიზმის მეტაბოლური მოთხოვნილებასათვის. ამ დროს ვითარდება ჰიპერვენტილაცია და ქოშინი, და არ არის აუცილებელი ფილტვებში შეკუმშვითი მოვლენების არსებობა. ქოშინის განვითარების მექანიზმში მონაწილეობს აგრეთვე ჰაიპოქსია, CO<sub>2</sub> მატება (ჰიპერკაპნია) და მეტაბოლური აციდოზი. ქოშინი ვითარდება აგრეთვე სისხლის მიმოქცევის შეზღუდვისას და ნრეში, რაც იწვევს სუნთქვის ცენტრის ავზნებას ნახშირორბანით და ნოციულისათვის ცვლის დაუფინგავი პროდუქტებით. ქოშინი დასაწყისში ვითარდება ფიზიკური დატვირთვისას და მალე გაივლის. ზოგჯერ ვლინდება ხანგრძლივი ლაბარაკის, ბარაქიზის სადილის შემდეგ. შემდგომში ის გამოიხატება მცირე მოძრაობის, მათ შორის სანოლიმ დადებურების დროსაც კი. გულის უკმარისობის შორის ნასულ შემთხვევაში ქოშინი უმძიმებია და აღინიშნება მოსვენებულ მდგომარეობაშიც. ქოშინი გულის დაავადებების დროს ძლიერდება ავადმყოფის პოზიციონალურ მდებარეობაში, რაც აისხნება ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდენობის მატებით და დამატებითი სუნთქვითი მუსკულატურის მუშაობის და დაოურების მოძრაობის გაძლიერებით. ამიტომ გულის უკმარისობის დროს ავადმყოფები ცდილობენ მიიღონ ნახევრად მჯდომარე მდებარეობა, მძიმე შემთხვევებში კი მთელ დღეებს ატარებენ იძულებით მჯდომარე მდგომარეობაში.

ქოშინი დამახასიათებელია გულის ქრონიკული უკმარისობით გართულებული მრავალი დაავადებისათვის - გულის შექმნილი და თანდაყოლილი მანკები, მიოკარდიტი, კარდიომიოპათია, პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზია და სხვა.

ქოშინი შეიძლება აღმოცენდეს გულის ნეკროზის დროს განვითარებული შიშის შედეგად. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ პაერი არ ყოფნის და მხოლოდ ღრმად ჩასუნთქვა აძლევს მას შეუღავს. ქოშინის ეს სახეობა არ არის დაკავშირებული დატვირთვასთან და ასოცირებულია ჰიპერვენტილაციით გამოწვეულ სიმპტომებთან. ღრმა სუნთქვა ამცირებს ადრეული და არტერიული PCO<sub>2</sub> და იწვევს რესპირაციულ აციდოზს. ამას თან სდევს ცერებრული არტერიების ვაზოკონსტრიქცია, რასაც შეიძლება მოჰყვეს შიში, თავის ტკივილი, თავბრუსეულობა და სხვა. გულის ნეკროზის დროს ავადმყოფი ხშირად ამტყნარებს.

გულის დაავადებების დროს შეიძლება განვითარდეს ქოშინი მწვავე შეტევა - გულის ამ კარდიული ასთმა. გულის ასთმა შეიძლება განვითარდეს დღე. მას, ჩვეულებრივ, წინ უძღვის ფიზიკური დატვირთვა, მაგრამ უფრო ხშირად ის ვითარდება ღამე. მის განვითარებას ხელს უწყობს ძილის წინ დაღლა, ბგერი ჭამა და სმა. ავადმყოფი იღვივებს პაერის ძლიერი უკმარისობით, აქვს მოხიზრობის შეგრძნება, სიმძიმე გულმკერდში. ის ვლინდება სანოლიმ. აღინიშნება სუნთქვის გაზრდა 30-40 ნრეში, ტაქიკარდია - 120-140 გულისცემა ნუთში, ავადმყოფი შეშინებულია, სახეზე გამოხატული აქვს ციანოზი, სხვის კანი დაფარულია ცივი ოფლით. გულის ასთმის შეტევა გამოხატულია ზოგჯერ ღამის პაროქსიზმული ხეყლის სახით.

კარდიულ ასთმას საფუძვლად უდევს მარცხენა პარკუტის მწვავე განვითარებული დასუსტება იმ დროს, როდესაც მარჯვენა პარკუტი ნორმალად მუშაობს. ამ დროს მცირე ნრეში მეტი სისხლი გროვდება, ვიდრე მარცხენა პარკუტს შეუძლია გადაიტაროს, მცირე წნის კაპილარები გადავსებულია სისხლით, ვითარდება ფილტვების ინტენსივობის შემუშება და მკვეთრად მცირდება ფილტვების სუნთქვითი ზედაპირი. შწლიაირ მდებარეობა ხელს უწყობს კარდიული ასთმის განვითარებას, შემუშების ნაწილობრივი ალაგვის და ცირკულაციაში არსებული სისხლის მომატების გამო, რომელიც ისედაც მომატებულია გულის უკმარისობის დროს. კარდიული ასთმა შეიძლება განვითარდეს მარცხენა წინაგულის დასუსტების შემთხვევაშიც, რაც აღინიშნება მიტრალური სტენოზის დროს, როდესაც მიტრალური ხერხელის შევიწროების გამო სისხლის გადასვლა განხლებულია პარკუტში და ძირითადი დატვირთვა მოდის მარცხენა წინაგულზე. კარდიული ასთმის დროს მატლობს მარცხენა პარკუტის საბოლოო დასტოლური წნევა ან წნევა მარცხენა წინაგულში (მიტრალური სტენოზის დროს; მარცხენა პარკუტის წნევა ამ დროს ნორმაშია).

კარდიული ასთმის შეტევა ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტის, არტერიული ჰიპერტენზიის, მიტრალური და აორტული მანკების, მარცხენა პარკუტის ანეურიზმის, კარდიოსკლეროზის დროს. კარდიული ასთმის შეტევა შეიძლება განვითარდეს გულის ქრონიკული უკმარისობის დროსაც, როდესაც ავადმყოფს აქვს მუდმივი ქოშინი.

კარდიული ასთმის შეტევამ შეიძლება გაიაროს, თუ გაუმჯობესდება მარცხენა პარკუტის მუშაობა ან დასუსტდა მარჯვენა პარკუტი. თუკი კარდიული ასთმა გახანგრძლივდა და სითხე იწყებს დაგროვებას ალგოლარულ სირცევებში, ვითარდება ფილტვების შემუშება.

ფილტვების შემუშება იწყება ქვედა ნილებიდან და სიხვე, განდევნის რა პაერის სასუნთქი გზებიდან, თანდათანობით იწვევს ზეით. დასაწყისში ვითარდება ძლიერი მშრალი ხველა, შემდეგ კი ხველა დიდი რაოდენობით ქაფიანი მოყარისფერი ნახევლით, ძლიერი ქოშინი. აუსკულტაციით ისმის მრავლობითი საშუალო და მსხვილბუშტუოვანი სველი ხიხინი, მანძილზე - ბუხუბუა სუნთქვა.

თუკი გულის უკმარისობა ვითარდება თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის დროს, შეიძლება განვითარდეს ჩეინ-სტოკის ტიპის სუნთქვა, რაც სუნთქვის ცენტრის დაზიანებაზე მოუთითებს. სუნთქვის აღნიშნულ დარღვევა უფრო ხშირად ვითარდება მაშინ, როდესაც ავადმყოფს ძინავს ან თევლივს. ავადმყოფი ამ დროს აგზნებულია, ჩივის პაერის უკმარისობაზე. შემდეგ სუნთქვა თანდათანობით რთულ ხდება, ჩრდება ან ავადმყოფი ისევ იძინებს. ავადმყოფები, ჩვეულებრივ, თვითონ ვერ ამჩნევენ სუნთქვის რითმის აღნიშნულ ცვლილებებს.

გულის უკმარისობის დროს ავადმყოფები ხშირად უჩივიან სიმძიმის შეგრძნებას და ტკივილს მარჯვენა ფერდვევაში მდამოში, რაც გამოწვეულია იღვიძოთ სისხლის შეგუბების და გლიოსონის კავსულის დაჭიმვის გამო. თუ გულის უკმარისობა ვითარდება მწვავედ, ტკივილი ძლიერი და მწვავეა, თუკი თანდათანობით - ყრუ ხასიათისა.

ტკივილი ქვედა კიდურებში აღნიშნება ავადმყოფებს თრომბოფლემიტის, მალობიტრებელი ენდარტრიტის (ძირ-გერის დაავადება), ქვედა კიდურების არტერიების ათეროსკლეროზის დროს. ქვედა კიდურების არტერიების შევიწროების გამო, სიარულის დროს ირრევა მათი სისხლით მოძარაგება, რაც იწვევს ისეთ ძლიერ ტკივილს წვიების კუნთებით, რომ ავადმყოფი იძულებულია გაჩერდეს. აღნიშნულ სიმპტომს ბან-გამოშებითი სიკოჭლე ეწოდება (claudicatio intermittens).

ხველა, რომელსაც უჩივიან ავადმყოფი, ციკორ წრები სისხლის ხანგრძლივი შეგუბების შედეგია. ის დასაწყისში მშრალია და წინ უძღვის ქაფიანი ნახეილის გაჩენას. სისხლი ნახევლი ყველაზე ხშირად არის მიტრალური სტენოზის დროს. თუკი მოხდა აორტის ანეურიზმის პენტტრაციას სასუნთქ გზებში და მისი გახეთქვა, აღინიშნება პროფუზული სისხლის დენა ფილტვებში.

ავადმყოფები გულის დაავადებების დროს ხშირად უჩივიან შემუშების და ციანოზის არსებობას, რაზეც ლაპარაკი იქნება გულის პათოლოგიის ობიექტური გამოკვლევის დროს.

ტემპერატურის მატება აღინიშნება მიოკარდიუმის ინფარქტის, მიოკარდიტის, ენდოკარდიტის, პერიკარდიტის დროს. მიოკარდიუმის ინფარქტის დროს ტემპერატურა აღინიშნება მეორე დღიდან, ის სუბფებრილურ ციფრებზეა და თანდათანობით უკლებლია. ტემპერატურული რეაქცია, ჩვეულებრივ, გამოხატულია 2-3 დღიდან ერთ კვირამდე. ზოგჯერ ის სულ არ აღინიშნება. თუკი ტემპერატურა გახანგრძლივდა, საფიქრებელია თრომბოენდოკარდიტის ან მიოკარდიუმის ინფარქტის სხვა რაიმე ვართულების აღმოცენება. სუბფებრილია ტემპერატურა ზოგჯერ პერიკარდიტის დროს. ინფექციური ენდოკარდიტის შემთხვევაში ტემპერატურა რემისიული ან ტალღი-სებური, თუმცა ზოგჯერ ის შეიძლება სუბფებრილური იყოს.

დისპნოქური მოვლენები - ცუდი მადა, გულის რევა, ლეი-ნება, ბოყინი, მუცლის ბერვა, მეტეორიზმი, შეკრულობა დაკავშირებულია ძირითადად სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან (ვენური შეგუბება). მუცლის რრუს ორგანოებში. ისინი ხშირად ჩნდება მარჯვენა გულის უკმარისობისას. გულის რევა, ბოყინი

და მეტეორიზმი შეიძლება განვითარდეს პაროქსიზმული ტაქიკარდიის, აგრეთვე ხშირი ექსტრასისტოლური არითმიის დროს. დისპნოქური მოვლენები ხშირად ვითარდება გულის უკმარისობის საკულე ვლიზოდების მეტრნალობის დროსაც. დისფაგია შეიძლება დაკავშირებული იყოს მიტრალური სტენოზის დროს საყლაბეზე გადიდებულ პერიკარდალურ ნინაგულის ზე-ნოლასთან, აგრეთვე განვითარდეს მიოკარდიუმის რრუში სითხის დიდი რაოდენობით დაგროვებისა და აორტის ანევი-რზმის დროს.

სლოკი, რომელიც ჩნდება გულის დაავადებების დროს, ხშირად დაკავშირებულია უკუის გადასვლასთან და მას, ჩვეუ-ლებრივ, არავითარი პროვოზული მნიშვნელობა არა აქვს, მაგ-რამ მძიმე დეკომპენსაციის, აგრეთვე მიოკარდიუმის ინფარ-ქტის დროს შეიძლება განჩდეს ხანგრძლივი სლოკი, რომე-ლიც რამდენიმე საათი და ზოგჯერ რამდენიმე დღეც კი გრძელ-დება და რომელსაც ავადმყოფები ცუდად იტანენ.

სისხლბინი ლებინება (haematemesis) და სისხლიანი განა-ვალი (melena) შეიძლება ზოგჯერ განვითარდეს ხანგრძლივი ვე-ნური შეგუბების შედეგად კუჭის და ნაწლავებში განვითარებუ-ლი ერზობების გამო. სისხლიანი ლებინება და მელენა ვითარდებ-ბა აგრეთვე უკუის ვარიკოზულად გაგანვირებული ვენებიდან სისხლის დენის, აგრეთვე მუცლის აორტის ანეურიზმის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში გახეთქვის შედეგად.

სწრაფი დღლა, სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება გუ-ლის უკმარისობის ადრეული ნიშნებია და ყველაზე მეტად დამა-ხასიათებელია გულის იმეშირი დაავადების, გულის მანკის და არტერიული ჰიპერტენზიისათვის. ის, ჩვეულებრივ, აღინიშნე-ბა მაშინ, როდესაც ავადმყოფს აქვს გულის დაბალი წვთმოცუ-ლობა. ამასთან ის შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ნეირო-ციკორტორული დისტონიის ერთ-ერთი მთავარი სიმპტომი.

თავის ტკივილი, თავბრუ (vertigo), უძლიობა, ყურებში შუი-ლი, ადვილად აგზნებადობა ხშირად აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის და თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროს-კლეროზის დროს. არტერიული ჰიპერტენზიის დროს თავის ტკივილი ხშირად არის კუჭის მდამოში. ამასთან ერთად, უნდა გავასოვდეს, რომ უძლიობის ერთ-ერთი ხშირი მიზეზი გულის უკმარისობასთან დაკავშირებით განვითარებული ქოშინია. თავბრუს ხვევა აღინიშნება აგრეთვე ანემიის, ნეიროციკორულა-ტორული დისტონიის, მენიერის დაავადების, ე.წ. ვერტებრობა-ზილარული სინდრომის დროს.

ძლიერი ოფლიანობა დამახასიათებელია რევატიზმისთვის და ინფექციური ენდოკარდიტისათვის. ის აღინიშნება აგრეთვე გულის ასთმის და ფილტვების შემუშების, ნეიროციკორულა-ტორული დისტონიის დროს.

გულის უკმარისობის დროს, განსაკუთრებით შემუშების განვითარების პერიოდში, ავადმყოფები არცთუ იშვიათად უჩი-ვიან წყურვილს.

მწვავე, ხშირად პროფუზული სისხლის დენა ცხვირიდან (epistaxis) უვითარდება დროდადრო ზოგიერთ ავადმყოფს ანტიკოაგულაციის შედეგად. სისხლის დენა ცხვირიდან შეი-ძლება განვითარდეს აგრეთვე რემეტიზმის, ინფექციური ენ-დოკარდიტის და რენდო-ოსლეურის დაავადების დროს (თანდა-ყოლილი ანგიოტენზიეტუზიები). აღნიშნული დაავადების დროს, თუკი ტელექტაზიები ლოკალიზებულია სასუნთქი სის-ტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ან შარდ-სასქესო სისტემის ლორწოვან გარსებზე, შეიძლება განვითარდეს სისხლიანი ნახ-ველი, მელენა, ემბოტურა.

გულისნასვლა დამახასიათებელია შორვანი-ედემ-სტეპ-ის სინდრომისათვის. ზოგჯერ ის აღინიშნება აორტის სტენოზის, სტენოკარდიის, მოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს.

**ნიტურია** - ღამე გაძლიერებული მარდვა ზოგჯერ გითარდება გულის უკმარისობის დროს და დაკავშირებულია ნოლისას ცირკულაციამ არსებული სისხლის მატებასთან. ხმის ჩახლგა აღინიშნება აორტის ანევიზმის და მიტრალური სტენოზის დროს, როდესაც ავადმყოფს გადიდებული აქვს მარცხენა წინა-გული. ამ დროს ის განაზოტებულია მეზრუნებით ნერვზე ზე-ნოლით. კიდურების ვაცივება დამახასიათებელია რენოს სინდრომისათვის, აგრეთვე ნეიროციკულატორული დისტონიისათვის. გულის ქრონიკული უკმარისობის დროს ავადმყოფს შეიძლება ვანვითარდეს სიგამხდრე, ნონის დაკლება, კახექსი-აე კი (cachexia cardiaca). მიქნარება დამახასიათებელია გულის ნეიროზისათვის, მაგრამ განიხილავენ, აგრეთვე, როგორც გულის უკმარისობის ადრულე სიმპტომს.



სურ. 94 გულის კუხი აორტის ანევიზმის დროს

### ანამნეზი

ანამნეზის შეკრებისას მნიშვნელოვანია დადგინდეს დაავადების დაწყების დრო, რა უძღლდა მას წინ (ანგინა ან სხვა რაიმე ინფექცია, ვაცივება, ფიზიკური გადაძაბვა, ემოციური სტრესი), როგორია ძირითადი სიმპტომების დანამკი (ტკივილი, ქოშინი, გულის ფრიალი, შეშუპება და სხვა), მწვავე დაიწყო დაავადება თუ გახვითარდა თანდათანობით. მწვავედ ვითარდება სტენოკარდია, მოკარდიუმის ინფარქტი, პიპერტენზიული კრიზი. გულის ქრონიკული უკმარისობა, ჩვეულებრივ, ვითარდება თანდათანობით.

მნიშვნელოვანია დადგინდეს დაავადების მიმდინარეობის ხასიათი მისი პირველი სიმპტომების განვიდან გამოკითხვამდე, განმევავეების არსებობა და მისი მიზეზები, ხომ არ გაუარესდა ავადმყოფის მდგომარეობა ბოლო დროს.

ცხოვრების ანამნეზიდან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადრე გადატანილ დაავადებებს (ხშირი ანგინები, რემატიზმი, ქუჩნარობა, ათამახვი, რომლებიც, როგორც წესი, ინევეტს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანებას), ცხოვრების ცუდ პირობებს (ნესტანა და ცივ ზინამი ცხოვრება, ხშირი ნერვული სტრესები, უმძორი ცხოვრება), მავნე ზევეებს (თამბაქოს წევა, ალკოჰოლის და საკვების გადაჭარბებულად მიღება), პროფესიულ მავნე ზემოქმედებას. მნიშვნელოვანია დადგინდეს გულის დაავადების არსებობა ახლო ნათესავებში (მშობლები, დე-ძმა), რადგანაც ზოგიერთ მათგანს ახასიათებს შთამომავლობითი მიადრე-კლებმა (არტერიული პიპერტენზია, გულის იმეშიური დაავადება). ქალებში დგინდება, თუ როგორ მიმდინარეობდა ორსულობა, მშობიარობა, კლიმაქსი - ამ დროს არცთუ იშვიათად შეიძლება გულ-სისხლძარღვთა დაავადებები გამოვლინდეს.

### ფიზიკური კვლევის მეთოდები

#### ინსპექცია

ინსპექციით ადგენენ ავადმყოფის მდებარეობას სანოლი, ქოშინის, ციანოზის, შეშუპების არსებობას. აღნიშნულ სიმპტომები დეტალურად იყო განხილული ზემოთ, ამდენად წინამდებარე თავში დამარკი იქნება უშუალოდ გულის და სისხლის ძარღვების ცვილებებთან დაკავშირებულ მონაცემებზე.

გულმკერდის დათვალიერებისას შეიძლება ნახონ ასიმეტრიული გამორეკილობა - გულის კუხი (gibbus cardiacus). ის შეიძლება გამოიხატოს, თუკი კუთხის (ძირითადად მარცხენა მარცხენა) მნიშვნელოვანი პიპერტროფია და დილატაცია განვითარდა ბავშვობაში, როდესაც გულმკერდის ძვლოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ელასტიკური იყო.

გულის კუხის განვითარება შეიძლება დაკავშირებული იყოს აორტის ანევიზმასთანაც (სურ. 94). ზენოლის შედგად, განვიტრებულმა აორტამ (განსაკუთრებით თუკი ის განვითარდა ადრულ ასაკში) შეიძლება გამოიწვიოს მკერდის ძვლის და ნეკნების დაბლა, მათი დეფორმაცია და გამორეკა. თუ ანევიზმა აორტის ასწერე ნაწილშია - გამორეკა არის მკერდის ძვლის მარჯვნივ, თუ აორტის რკალის ანევიზმას - მკერდის ძვლის ტარის მიდამოში, ჩვეულებრივ, იქვე ჩანს პულსაცია. აორტის დაღმავალი ნაწილის ანევიზმა, როგორც წესი, არ იძლევა გულმკერდის წინა კედლის დეფორმაციას, მაგრამ გამორეკილობა ზოგჯერ შეიძლება გამოიხატოს უკან, მარცხნივ, ბჭთათუა მიდამოში. ექსუდაციური პერიკარდიტის დროს შეიძლება ნახონ ნეკნათუა მიდამოების გასწორება და გულის მიდამოს აბგოლონივი გამორეკა, დაკავშირებული პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვებასთან და მის ზენოლასთან. ავადმყოფებში დიდი გამონაწონით პერიკარდიუმში შეინიშნება შეხეტილობა ემგასტროუმში - აუტობრეგვისი სიმპტომი. ინსპექციით ყურადღება უნდა მიექცეს გულმკერდის დეფორმაციას, დაკავშირებულს კიფოსკოლიოზთან, რადგანაც ამ დროს იქნება არანორმალური პირობები სისხლის მიმოქცევისათვის მცირე წერძნი.

ჯანმრთელ პიროვნებებში მე-5 ნეკნათუა მიდამოში მარცხნივ, მედიოკლავიკულარული ხაზიდან 0,5-1 სმ-ით ზევით, აღინიშნება რითმული პულსაცია, რომელსაც მწვერვალის ბიძგს - სამკერს უწოდებენ. მისი ნაწილობა დაკავშირებულია სისტოლის დროს გულის მოძრაობასთან - უკნიდან წინ და მარცხნიდან მარჯვნივ. ამ დროს ის ეხება მწვერვალით გულმკერდის კედლს, რაც იწვევს პერიოდულ შემოფარგულე გამორეკილობას - პულსაციას. მწვერვალის ბიძგი თვალით კარგად ჩანს გამხდარ პიროვნებებში ფართო ნეკნათუა მიდამოებში. ალკოვებისას სამკერს უკეთ ვლინდება. მსუქნებში, პიროვნებებში გულმკერდის განვითარებული მუსკულატურით, ეიწორი ნეკნათუა მიდამოების არსებობისას სამკერს არა ჩანს. მას ვერ ხედავენ აგრეთვე, თუკი ის ნეკნის უკან მდებარეობს. დიაგნოს-

ტიკური მნიშვნელობა აქვს საძვარევის გადაადგილებას მარცხნივ და ქვევით, რაც აღინიშნება გულის ზოგიერთი დაავადების (ცულის მანიკი, არტერიული ჰიპერტენზია და სხვა), აგრეთვე მარჯვენა მხრივი ექსთრადიორული პლევრიტის, დიფთერის მალა დგომის და სხვა დროს, რაზეც დეტალური საუბარი იქნება გულის მიდამოს პალსაციის შესწავლისას.

ზოგჯერ ინსაქციით ნახულებზე საძვარევის არის სისტოლურ გამძვინვარებას, არამედ მდგრადილობას - მწვერვალის უარყოფითი ბიძვი, რაც დაკავშირებულია პერიკარდოუმის ვისცერული და პარიეტული ფურცლების ერთმანეთთან შეხორცებებით.

მწვერვალის ბიძვისაგან - საძვარევისაგან უნდა გაავარჩიოთ გულის ბიძვი, რომელიც ზოგჯერ აღინიშნება გულის მიდამოში და ვაგრცლებული პულსაციაა. ის, ჩვეულებრივ, გამოხატულია მკერდის ძვლის მარცხნივ მარჯვენა პარკუჭის მნიშვნელოვანი ჰიპერტროფიის და დილტაციის შემთხვევაში. ამ დროს მარჯვენა პარკუჭი დიდი ზედაპირით უზალოდ ეტება გულმკერდის ამო-დამოში. გულის პულსაცია შეიძლება გამოხატული იყოს უკანა შუასაყარის სიმსივნების დროს, როდესაც გული წინ არის ნაშონეული. პულსაცია, დაკავშირებული არტის ანევრიზმასთან, ჩვეულებრივ, გამოხატულია მკერდის ძვლის მარჯვნივ, I და II ნეკსაშუა მიდამოებში (არტის აბმავალი ნაწილის ანევრიზმა) ან სათულე ფოსოში (არტის რკალის ანევრიზმა). მკერდის ძვლის მარცხნივ, III-IV ნეკსაშუა მიდამოში, მკერდის ძვლის მარცხნივ, შეიძლება გამოხატული იყოს გულის ანევრიზმით, რომელიც მიოკარდიუმის ინფარქტის ვარაუდობს.

პულსაცია ექვიასტროუმის მიდამოში აღინიშნება მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის და დილტაციის დროს, რაც ვითარდება მიტრალური მანკით, აგრეთვე ფილტვების ქრონიული დაავადების დროს განვითარებული ფილტვისიერი გულის შემთხვევაში. ექვიასტროული პულსაცია აღინიშნება აგრეთვე შუტლის არტის ანევრიზმის, არტის რეგურგიტაციის დროსაც. ექვიასტროული მიდამოში არტის პულსაცია შეიძლება ზოგჯერ გამოხატული იყოს ჯანმრთელ გამძვარ პროფენებში, აგრეთვე ცხელების, ანემიის, თირკეთოქსიკოზის დროს. პულსაცია მარჯვენა ექვიასტროუმში (პარკუჭის ფურცლებზე მი-დამოში) - ლეიძლის პულსაცია, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია სამკარიანი სარქველის გამოხატულ ნაკლოვანებასთან.

სისხლის მიდამოში ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს საძილე არტერიების პულსაცია. ის შეინიშნება თირკეთოქსიკოზის, ძლიერი ნერვული აგზუნების, ცხელების, მკვეთრი ტიპიკარდიის, ჰიპერტენზიის დროს. განსაკუთრებით მკათიერ არის გამოხატული პულსაცია ამ მიდამოში არტის სარქველის ნაკლოვანების შემთხვევაში - „არტოიდების ცეკვა“. ის სისხლის მაქსიმალური და მინიმალური არტერიული წნეების მკვეთრი მრყეყოფის შედეგია.

არტის სარქველის ნაკლოვანების დროს ავადმყოფს ზოგჯერ აღენიშნება ე.წ. მუსესის სიმპტომი, თავის პერიოდული გა-დანევა უკან, დაკავშირებული სისხლის წნევის მკვეთრი ცვლი-ლებებით სისხლ-დაისტოლის დროს. ამ დაავადების შემთხვევაში და არტის ანევრიზმის დროს შეიძლება განვითარდეს ოლივერ-კარდისლის სიმპტომი - ადამის ვაპლის და ბორნის პერიოდული მოძრაობა ზევით და ქვევით.

ჯანმრთელ ადამიანს წოლისას შეიძლება აღენიშნოს სისხლის ვენების შეზერვა, მაგრამ ის მთლიანად ქრება ვერტიკალურ მდგომარეობაში. თუკი ის არ ქრება, მაშინ ეჭვი შეიძლება მტან-ნილ იქნეს მარჯვენა გულის უქმარისობაზე, ექსტრადორე ამ-შე-ხორცებით პერიკარდზე და სხვა იმ დაავადებებზე, რომელთა დროსაც ვენური წნევა არის მომატებული. საულე ვენების პულსაცია ხშირად დაკავშირებულია სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებასთან. სრძის დროს არტერიების სისტოლური გავა-ნიერებისას საულე ვენები ირუტება. ეს არის ნორმალური, ე.წ. უარყოფითი ვენური პულსი. ჩვეულებრივ პირობებში ის თვა-ლით ნაკლებად შეიმჩნევა და უღიზნება, თუკი ვენებში სისხლი შეეზვდება. სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებისას სისხლის უუტრადო მარჯვენა პარკუჭთან წინაგულში ვარკუჭების სის-ტოლის დროს შეაყოფნება სისხლის გადაღვსი პარკუჭებიდან წინა-გულეებში და ვენები შეიძებრება არტერიების პულსაციის თან-ხედრად. ეს არის პათოლოგიური, დადებითი ვენური პულსი და მოუიოების სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებაზე. ის შეიძლება აღინიშნოს გულის უქმარისობით მიმდინარე მოციციმზე არით-მიის დროსაც, როცა წინაგულეები ფაქტობრივად არ იკუმბება. ზოგჯერ საჭრთა ვავარით, სისხლის მიდამოში საძილე არტე-რიების პულსაცია ვავარით თუ საულე ვენების. საძილე არტერი-ების პულსაცია აღინიშნება მკერდ-ლაივის-დერლის კუნთის შიგნით, საულე ვენების პულსაცია კი - მის გარეთ.

ზედა ღრე ვენებზე შუასაყარის სიმსივნის ან არტის ანევი-რიზმის ზენოლისას, აგრეთვე მისი თრომბოზის შემთხვევაში აღინიშნება სისხლის, გულმკერდის ზედა ნაწილის და ხუტლის ეე-ნების ორმბრევი გაგანიერება. იმავე მიდამოში არის შემთხვევა და ციანოზი. ეს სიმპტომები ცნობილია „სტოქსის საყელოს“ სა-ხელნაშობით. ზოგჯერ ის შეხორცებითი პერიკარდიტის დროს შეიძლება განვითარდეს. ვენების ცალმხრივი გაგანიერება არის უსახელო ვენაზე ზენოლისას.

ინსაქციით საფუთელის მიდამოში შეიძლება ინახოს არ-ტერიული დაავადებობა და დაგრძელება, მათი სკლეოზის გამო. გულმკერდის კედლის არტერიების (ნეკსაშუა და სხვა) გაგანიერება, დაგრძელება და პულსაცია აღინიშნება არი-ტის ყელის შევიწროებისას ბოტლის სადინარის გამოსვლის ქვეშით (არტის კოარქტაცია). მზის არტერიის დაგრძელო-ბის და გამკერვიებისას სისტოლის დროს აღინიშნება არტე-რის თავისი ვენის მოძრაობა, ის თითქოსდა წინ მიცოცავს - „ჭის სიმპტომი“.

არტის სარქველის ნაკლოვანების დროს შეიძლება გამოხა-ტული იყოს ე.წ. კინკის ფენომენი - კაპილარული პულსაცია. ის აღინიშნება მკერდ ზენოლისას ფრჩხილებზე. ზენოლის მდე-ვად ფრჩხილებზე ჩნდება მკერდ ზომის თეთრი ლაქა, რომელიც უმსირება, ზომით ხან დიდდება, ხან კი მცირდება. შუაგული პულსაცია შეიძლება დადგინდეს მუხლის მიდამოს კანის და-ხუციის დროსაც. განვითარებული სინიოლე, გულის მუშაობის სინქრონოზად, ხან ძლიერდება, ხან კი ფერმკრთალდება. აღ-ნიშნული პულსაცია სინამდვილეში კაპილარული პულსაცია კი არ არის, არამედ არტერიოლების პულსაციაა.

ზოგჯერ აღინიშნება გუგების პულსაცია - შეეინროება-გაფართობა სისტოლა-დაისტოლის შესაბამისად (ლანდო-ლის ნიშნი).

ქვედა კიდურების დათვალიერებისას ზოგჯერ შეიძლება ი-ნახოს ვენების ვარიკოზული გაგანიერება. თრომბოფლებიტის დროს არის ადგლობრივი შემუქება, ზოგჯერ პიგმენტაცია და ტროფიკული ნეკროზები ქვედა კიდურებზე.

### პალპაცია

ინსპექციას და პალპაციას, ფიზიკური კვლევის ამ ორ მე-თოდს, შეიძლება კავშირი აქვს კარდიოვასკულური სისტემის გამოკვლევისას. გულმკერდის პალპაციით ვაზუსტებთ ინსპექციით მიღებულ მონაცემებს. რასაც ეხებათ გულმკერდზე, ხშირად შეიძლება მისი პალპაცია.

გულმკერდის პალპაცია შეიძლება ჩაუტარდეს მუდომარე, ფეხზე მდგარ ან მწოლიაზე ავადმყოფს. ექიმი ვდება პაციენტისგან მარჯვნივ. საძვერის პალპაციას ატარებენ გამაღლი ხელისგულით, ხელისგულის მტკენის ფუძე არის მკერდის ძვალებზე, თითები კი მიმართულია ილიის მიდამოსკენ (სურ. 95). მწვერვლის ბიძგის შეგრძნების შემთხვევაში თითების დაბოლოებებით დგინდება მისი ლოკალიზაცია, გავრცელება, ძალა, ამპლიტუდა და ხანგრძლივობა. საძვერი შეიძლება პალპაციით დერ შევიგრძნოთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ავადმყოფი ხვდება. ქალებს განთავსებულნი სამკერდე ჯირკვლით უნდა ვისოვით, რომ გადასწიონ მარცხენა ძუძუზე თითი და შიგნით მარჯვენა ხელით. ეს შეიძლება გაკეთდეს თვითონ ექიმმაც თავისუფალი ხელით. თუკი მწვერვლის ბიძგს ვერ შევიგრძნობთ, ავადმყოფმა უნდა ამოსუნთქოს ღრმად და შეაჩეროს სუნთქვა რამდენიმე ხნით. შეიძლება ავადმყოფი მარცხენა გვერდზე დაეხდეს, რადგანაც პოზის შეცვლისას საძვერის ლოკალიზაცია შეიძლება შეიცვალოს და ჩვენ მოვახერხებთ მისი პალპაცია. თუ ავადმყოფი დანებდა მარჯვენა, საძვერი მარჯვნივ გადაინება, თუკი მარცხნივ დანებდა - მარცხნივ. თუ საძვერის ლოკალიზაცია ავადმყოფის პოზის შემთხვევაში არ იცვლება, ეს შეიძლება შეხორცებით პერიკარდიზე მოუთითებდეს. გულმკერდის სქელი კედლის, აგრეთვე ემფიზემის შემთხვევაში მწვერვლის ბიძგს უკეთ შევიგრძნობთ, თუკი ავადმყოფი ხის და ოდნავ წინ არის დახრილი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნორმის დროს საძვერი ენახლებოდა მარცხნივ, V ნეკნათაზე მიდამოში, მდებარეობდა კუ-ლური ხაზიდან 0.5-1 სმ-ით შიგნით. საძვერი შეიძლება გადაადგილდეს ექსტრაკარდიული მიზეზებით: ზეითი - დაღვრაგმის მაღალ დგომისას (მეტეორიზმი, ასციტი, სიმსივნე, ძლიერი სიმსუქნე, ბოლო თვეების ფეხმძიმობა). ამ დროს ის შეიძლება IV ნეკნათაზე მიდამოში იყოს. მწვერვლის ბიძგი გადაადგილდება ქვეითი ემფიზემის დროს დაღვრაგმის დაბლა დგომის გამო, სიცხერტოზის, სიგამბრის შემთხვევაში, მსმობიარობის შემდეგ, მოსუცებში. ის შეიძლება ამ დროს VI-VII ნეკნების დონეზეც იყოს.

უნდა ვახსოვდეს, რომ საძვერი შეიძლება იყოს მარჯვნივ, მარჯვენა ლაინზე ხაზს შიგნით, V ნეკნათაზე მიდამოში შინაგანი ორგანოების გადაადგილების ან მხოლოდ ფექსტროკარდის შემთხვევაში. ავადმყოფებმა, ჩვეულებრივ, იციან თავიანთი აღნიშნული ანომალიის არსებობა და ხშირად არ ეუბნებიან ექიმს ამის შესახებ.

საძვერი გულის უკიდურესი მარცხენა და ქვედა კიდეა და მისი მიწვევით შეიძლება მსჯელობა გულის მარცხენა და ქვედა საზღვარზე.

საძვერი გადაადგილება მარცხნივ მარჯვენამხრები ექუს-დაციური პლევრიტის, პერიტონორქის, ანექსთორაქსის, მარცხენამხრები პლევროპერიკარდიული შეხორცებების, მარცხენა ფილტვის შეჭმუხვის (ანექსთორაქსის), ატლექტაზის დროს. საძვერი გადაადგილებულია მარჯვნივ სანიანამდეყო ლოკალიზაციის პათოლოგიური პროცესების დროს. ამ-



სურ. 95 საძვერის პალპაცია

დენად, სითხის დაგროვებისას პლევრის-ღრუში საძვერი გადაადგილება ჯანმრთელ მხარეს, შეხორცების და ფილტვის შეჭმუხვის შემთხვევაში - დაავადებულ მხარეს.

გულის პათოლოგიის დროს საძვერის მარცხნივ გადაწევა აღინიშნება მარცხენა პარკუტის პიკტროფიის და დილატაციის შემთხვევაში. საძვერის მარცხნივ გადაწევა არის აორტის მანკების, მიტრალური სარქველის ნაკლოვანების, არტერიული პიკტრეტის დროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანად არის გადაწეული საძვერი მარცხნივ, ზოგჯერ შუა აქსილარულ ხაზამდე, აორტის სარქველის ნაკლოვანების დროს. ამ მანკის შემთხვევაში აღინიშნება საძვერის გადაწევა არა მარტო მარცხნივ, არამედ ქვეითადაც, ზოგჯერ VII ნეკნათაზე მიდამოზე. საძვერის მარცხნივ გადაწევა აღინიშნება მარჯვენა პარკუტის მნიშვნელოვანი გადიდების დროსაც, რადგანაც ეს უკანასკნელი მისწევს მარცხნივ მარცხენა პარკუტს და თავისთავად მწვერვალსაც.

ნორმალური საძვერის გავრცელების ფართობი (დამატური) 1-2 სმ-ია. მისი დამატური დადგება მარცხენა პარკუტის პიკტროფიის და დილატაციის შემთხვევაში - გამაღლი (გაფანტული, გავრცელებული) საძვერი. მწვერვლის ბიძგი არის შეზღუდული ფილტვის ემფიზემის დროს და ყველა იმ შემთხვევაში, როცა გული მინეულა უკან და დაცილებულია გულმკერდს, მაგალითად, ექსუდაციური პერიკარდიტის დროს. პერიკარდიუმის ღრუში სითხის დიდი რაოდენობით დაგროვებისას საძვერი საერთოდ აღარ შევიგრძნობთ.

მწვერვლის ბიძგის ძალაზე მსჯელობენ იმ დანაოლის მიხედვით, რომელსაც შევიგრძნობთ ექიმის თითები პალპაციის დროს. მისი ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ექსტრაკარდიულ მიზეზებთან, ასევე გულის პათოლოგიასთან. საძვერი შეიძლება გადიდდეს მარცხენა ფილტვის შეჭმუხვისას, შუასაყარის ზოგიერთი სიმსივნის დროს, თუკი ის აწედა გულს და ნაშოვნეს მას წინ. საძვერი გადიდებულა თირეოტიკოსიკოზის, გულის ნევრიზის დროს. განსაკუთრებით ძლიერდება საძვერი მარცხენა პარკუტის პიკტროფიის და დილატაციის შემთხვევაში. მწვერვლის ბიძგი არის ძლიერი აორტის ხერვლის სტენოზის, აორტის სარქველის ნაკლოვანების და არტერიული პიკტრეტის დროს. ძლიერია ის აგრეთვე მიტრალური სარქველის ნაკლოვანების შემთხვევაში. აორტის მანკების დროს მას „გუმბათისებრი“ ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. თუ გადიდებულა მწვერვლის ბიძგი ნორმალური ლოკალიზაციისა, ეს მიუთითებს მხოლოდ პიკტროფიაზე მარცხენა პარკუტის დილატაციის გარეშე (გადავრთვება წნევით).

თუ ის ლატერალურადაც არის გადაადგილებული - დასაშვებია დილატაციის (მოცულობითი გადატვირთვის) არსებობა.

სადგურის ძალა შესუსტებულია მსუხმვებში, კანქვეშა შეშუპების, კანქვეშა ემფიზემის, ფოტეტების ემფიზემის, ექსლავიური პერიკარდიტის, გულის კუნთის დაზიანების შემთხვევაში (მოკარდიტი, კარდიომიოპათია, მოკარდიტის ინფარქტი, გულის უმაროსობა და სხვა). ექსლავიური პერიკარდიტის დროს, როგორც უკვე აღინიშნა, თუ სითხე ბევრია, მწვერვალის ბიძგი არ შეიგრძნობა ან თუ შეიგრძნობა, არის გულის შედარებით მოყრევის საზღვრის შიგნით. ასევე არ შეიგრძნობა სადგური მარცხენაში რეკუსადიკური პლევრის დროს.

რჩევის ამპლტუდის (გულმკერდის წინ ნაწიწვის სიღიფე) მიხედვით არჩევან მალა და დაბალ მწვერვალის ბიძგს. ის კარგად გამოხატული თხელ გულმკერდავანებში, მტკლობის ფიზიკური დატვირთვის, ალუეკების, ცხელების, თირკეთოქსიკოზის, ანემიის დროს. მწვერვალის ბიძგის ამპლტუდს დიდი მარცხენა პარკუჭის პიკერტროფიის და დილატაციის შემთხვევაში. ის დიდაა აორტის ხერვლის სტენოზის და მიტრალური რეგურგაციის დროს. განსაკუთრებით დიდი ამპლტუდისაა სადგური აორტული რეგურგაციის შემთხვევაში.

სადგურის პალპაციისას მსჯელობენ აგრეთვე მის რგზის ტენზობაზე - გულის კუნთის სიმკვრივის შეგრძნებაზე.

მწვერვალის ბიძგის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანდ ითვლება ზოგერთი ავტორის მიერ მარცხენა პარკუჭის პიკერტროფიის და დილატაციის დასადგვად. მწვერვალის ბიძგი არის ძლიერი და ხანგრძლივი - იკავებს მთელ სისტოლას, როცა მარცხენა პარკუჭის პიკერტროფია გამოხატულია აორტის სტენოზით. ხანგრძლივია ის სისტემური პიკერტენზიის დროსაც. აორტული და მიტრალური ნაკლავანების შემთხვევაში, როდესაც პარკუჭების მუშაობას ნაკლები წინააღმდეგობა ხედება, მწვერვალის ბიძგი შედარებით უფრო ხანმოკლეა. მწვერვალის ბიძგი მიტრალური რეგურგაციის დროს უფრო ხანმოკლეა, ვიდრე აორტული რეგურგაციის შემთხვევაში. ხანგრძლივი, მაგრამ პიკოინტენსიური იმპულსი (დაქვეითებული ამპლიტუდა) არის კარდიომიოპათიის დროს დილატირებულ გულზე.

პერიკარდიუმის შეზორცებისას გულმკერდის კედელთან ან გარეშემდებარე ქსოვილებთან, ყოველი სისტოლის დროს შევიგრძნობთ ნეკნათაშუა არეების შეწეკას - უარყოფით მწვერვალის ბიძგს.

მწვერვალის ბიძგის ვარდა, პალპაციით შეიძლება სხვა პულსაციების შეგრძნება და შესახება გულმკერდზე. პულსაცია მკერდის ძელის მარცხნივ (მარცხენა პარასტერნულ მიდამოში) არის მარჯვენა პარკუჭის პიკერტროფიის (მიტრალური სტენოზი) ან მოცულობითი გადაძაბვის (წინაგულების ძვიდის დეფექტი), ზოგჯერ ანემიის დროს.

აორტის დაარტელების დროს მისი სკლეროზის შემთხვევაში, მაღალი არტერიული წნევის და აორტული ნაკლავანების დროს, III-IV სითხით შეიძლება შეიგრძნონ პულსაცია საულლე ფოსოში მკერდის ძელის უკან. ამისათვის ავადმყოფმა მტრები უნდა დააბალყოოს და ოდნავ ზეით ასწიოს. აორტის რკალის პულსაცია ზოგჯერ შეიგრძნობა ანემიის დროს და ნორმის დროსაც პიკერტენზიკებში.

პალპაციით შეიგრძნობენ პულსაციას I და II ნეკნათაშუა მიდამოში, დაკავშირებულს აორტის აღმაჯალი ნაწილის ანვერიზმითა.

ზოგჯერ პალპაციით შეიგრძნობენ გულის ტონებს, რო-

გორც მოკლე ბიძგებს, განსაკუთრებით თხელგულმკერდიანებში. პათოლოგიის პირობებში, ზოგერთი ავტორის მიხედვით შეიძლება ჭეჩენის ტონების პალპაცია. რომ შეიგრძნონ ჭეჩენის მე-3 და მე-4 ტონები, ავადმყოფს აწევენ მარცხენა გვერდზე, თითბით ეხებთან მწვერვალს, ავადმყოფმა უნდა ამოისუნთქოს და შეაჩეროს სუნთქვა. მესამე ტონი შეიგრძნობა, როგორც მოკლე ბიძგი სისტოლის შუაში, მეოთხე კი უკუალად მწვერვალის სისტოლური ბიძგის წინ. ფლომასტერი მწვერვალის მიდამოში რაიმე ნიშნის, მაგალითად X-ის დახატვის შემთხვევაში, აღნიშნული ბიძგები შეიძლება თვალათაც დაინახონ.

გულის ზოგიერთი მანკის დროს გულმკერდის პალპაციისას ხელისგულით შეიგრძნობა თავისებური ვიბრაცია, რომელსაც „კაჰის კრუტუნი“ ეწოდება. ის განპირობებულია დაბალ რხევებით (დაახლოებით 16 რხევა წამში), რომლებიც ალმოცენდება სისხლის გასვლით გულის ერთი კამერიდან მეორეში ვიწრო ხერვლით. ის შესავსია იმ შეგრძნებისა, რომელსაც ეწოდებოდა კაჰის მოფერების დროს ხელით. ტრმინი „კაჰის კრუტუნი“ (fremissement cataire, ფრანგ.) შემოიღო რ.ლაეგემა, თუმცა ეს სიმპტომი პირველად აღწერა ე.კორეიზარმა მიტრალური სტენოზის დროს. არჩევან სისტოლურ და დიასტოლურ ან პრესისტოლურ ვიბრაციას, ან „კაჰის კრუტუნს“. პირველი თანხედება მწვერვალის ბიძგს, მეორე წინ უძღვის მას. დიასტოლური „კაჰის კრუტუნი“ არის მიტრალური ხერვლის სტენოზის დროს. ის უკეთ შეიგრძნობა, როცა ავადმყოფი მარცხენა გვერდზე წევის და ძლიერდება დატვირთვის შემდეგ. სისტოლური „კაჰის კრუტუნი“ არის აორტული ხერვლის სტენოზის დროს და ლოკალუებულია გულის ფუძეზე. უკეთ შეიგრძნობა ღრმა ჩასუნთქვის დროს და თუ ავადმყოფი წინ არის დახრილი. განსაკუთრებით ძლიერი ვიბრაცია არის პარკუჭათაშუა ძვიდის დეფექტის დროს (როგვს დაავადება). ამ დროს ის არის მკერდის ძელის მარცხნივ III-V ნეკნათაშუა მიდამოში. სისტოლური ვიბრაცია შეიგრძნობს II ნეკნათაშუა მიდამოში მარცხნივ ბრტაციის ღია სადინარის და წინაგულთაშუა ძვიდის დეფექტის დროს. პალპაციით სისტოლური „კაჰის კრუტუნი“ ზოგჯერ შეიგრძნობა კაროტიდულ და ბრტაციალურ არტერიებზეც.

ზოგიერთი ავტორი შესაძლებლად თვლის მიტრალური ნაკლავანების დროს წარმოშობილი ვიბრაციის შეგრძნებას პალპაციით, გულის მწვერვალზე, აგრეთვე სარქელის დახურვის, სისტოლური ტაკეუსის (შეიგრძნობა როგორც აორტის, ასევე ფოტეტის არტერიის არემი) და მიტრალური სარქელის ვალების სზიანობის პალპაცია. პულმონური სარქელის დახურვას შეიგრძნობენ ჯანმრთელ ინდივიდულებში, მაგრამ ეს უკეთ ხერვლად მკირე წრის პიკერტენზიის დროს.

ზოგჯერ პალპაციით მკერდის ძელის მარცხნივ, III-IV ნეკნათაშუა მიდამოში, კარგად შეიგრძნობა პერიკარდიუმის ხახუნი. პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვების შემთხვევაში ხახუნის შეგრძნება ქრება.

მარჯვენა პარკუჭის პიკერტროფიის დროს, ეკივასტრიუმის მიდამოში, მახვილსაფრის მორჩის ქვემოთ, აღინიშნება პულსაცია, რომელიც უკეთ შეიგრძნობა ღრმად ჩასუნთქვისას. პულსაცია, დაკავშირებულია მუცლის აორტისთან, ლოკალიზებულია ოდნავ მკვირთ და მასზე ჩასუნთქვა ნაკლებად მოქმედებს.

ავადმყოფებში სამკარინი სარქელის ნაკლივანებით, ღვიძლის მიდამოში აღინიშნება პულსაცია ე.წ. დადებითი ეფნური პულსის სახით. სისტოლური დროს ხდება სისხლის რეგურგაცია მარჯვენა წინაგულიდან ქვედა ღრუ ვენაში და იქიდან

ლვილის ენებში. ამიტომ გულის ყოველი შეკუმშვის დროს ხდება ლვილის შესივება და აღინიშნება პულსაცია, რომელიც შეიძლება დაინახოთ და კარგად შეეგრძნოთ ხელით.


### გულის პერკუსია

გულის ფიზიკური კვლევის მეთოდებიდან, რომლებიც გამოიყენება ავადმყოფის სანოლთან, პერკუსია შედარებით ნაკლებად ინფორმაციულია. პერკუსია, ჩვეულებრივ, გამოიყენება გულის საზღვრების და კონტურების დასადგენად, მაგრამ, ბევრი უცხოელი ავტორის მიხედვით, პერკუსიით შეიძლება ვერ დადგინდეს გულის ზომები და კონფიგურაციის მნიშვნელოვანი ცვლილებებიც კი. პერკუსიით მიღებულ მონაცემებს გულის ზომებზე და ფორმაზე იმდენად არასრულყოფილად მიიჩნევენ, რომ ანგლოსკოპირულ ქვეყნებში ის პრაქტიკულად აღარ გამოიყენება ან გამოიყენება ძალიან შეზღუდულად, მხოლოდ ჩვენებების დროს. რენტგენოლოგიური გამოკვლევით შეიძლება ბევრად უფრო ზუსტად დადგინდეს გულის ზომები და კონტურები. მწვერვალის ბოძის მიხედვით, რომელსაც ვადგენთ ინსპექციური და პალპაციით, ასევე ზუსტად დგინდება გულის მარცხენა საზღვარი და შეიძლება გულის ქვედა საზღვარზე მსჯელობა. როდესაც გულის საძვარის დანახვა ან პალპაცია არ ხერხდება, პერკუსიით შეიძლება გულის მარცხენა საზღვრის დადგენა. გულის მარჯვენა პერკუსიული საზღვრის დადგენა ნორმის პირობებში არასრულყოფილად ხერხდება.


მართალია, პერკუსიით ვერ ლეზულობენ ისეთ დიდ ინფორმაციას, როგორც ფიზიკური კვლევის სხვა მეთოდებით, მაგრამ პრაქტიკოსი ექიმებისათვის ის მაინც რჩება, როგორც მარტივი და საჭირო კვლევის მეთოდი, განსაკუთრებით, თუ არ არის რენტგენოლოგიური კვლევის საშუალება.

პერკუსია გამოიყენება გულის მდებარეობის, ზომის, კონფიგურაციის დასადგენად, აგრეთვე სისხლძარღვთა კონის შესაფასებლად.

პერკუსიული ხმანობის განსხვავება ფილტვებსა (ფილტვების ნათელი ხმანობა) და გულის (ყრუ ხმანობა) შორის საშუალებას იძლევა დადგინდეს გულის საზღვრების პროექცია გულმკერდის წინა კედელზე. არჩევენ გულის შედარებით და აბსოლუტური მოყრუების (ყრუ ხმანობის) საზღვრებს. გულის შედარებითი მოყრუების საზღვრები შეეფარდება გულის ქვშმარტ საზღვრებს. როგორც ცნობილია, გულის ნაწილი (ზემოდან, მარჯვნივ და მარცხნივ) დაფარულია წინადა ფილტვების თხელი კიდეებით (სურ. 96). ამიტომ აღნიშნული საზღვრების დასადგენად უნდა ჩატარდეს საშუალო სიძლიერის პერკუსია, რომ შეიზებს ფილტვის უკან მდებარე გულის ქსოვილი და მივიღოთ მოყრუება. გულის აბსოლუტური მოყრუების ყრუ ხმის დასადგენად (გულის იმ ნაწილის, რომელიც არ არის დაფარული ფილტვებით) უნდა ჩატარდეს ზერეულ პერკუსია (სურ. 97). პერკუსიის ჩატარების დროს ავადმყოფი შეიძლება იჯდეს ან იწეხოს, ის უნდა სუნთქავდეს ჩვეულებრივ, ხელეში მოთავსებულ უნდა ჰქონდეს სხეულის ვასტური. პერკუსია სრულდება ნათელი ხმანობიდან ყრუ ხმანობისაკენ, ე.ი. ფილტვებიდან გულმკერდისაკენ. საზღვარდ მიიჩნევა თითო გარეთა კიდე, რომელიც მიმართულია ფილტვებისაკენ. პერკუსიის შესრულების თანმიმდევრობა, ჩვეულებრივ, შემდეგია: ჯერ დგინდება შედარებითი მოყრუების, შემდეგ კი აბსოლუტური ყრუ ხმის საზღვრები. ჯერ დგინდება მარჯვენა, შემდეგ ზედა და ბოლოს მარცხენა შედარებითი მოყრუების საზღვრები. გულის მარჯვენა შედა-




სურ. 96 გულის პროექცია გულმკერდზე. გულმკერდის განივი კვეთა. 1. გული; 2. ფილტვები; 3. გულის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხება გულმკერდს; 4. გულის ნაწილი დაფარული წინადა ფილტვებით




სურ. 97 გულის შედარებითი და აბსოლუტური საზღვრების სქემა

რებითი მოყრუების საზღვრის დადგენამდე უნდა დაზუსტდეს ლვილის შედარებითი მოყრუების ზედა საზღვარი. ამ მიზნით პერკუსიას ახდენენ მარჯვენა ლავინშუა ხაზზე, მორე ნეკნთაშუა მიდამოდან ქვევით (თითი პლესიმეტრი თავსდება ნეკნების პარალელურად) მოყრუების გაჩენამდე (ლვილის ზედა საზღვარი დაფარული ფილტვით). ლვილის ზედა შედარებითი მოყრუების საზღვარი არის, ჩვეულებრივ, V ნეკნის ან V ნეკნთაშუა მიდამოს დონეზე (სურ. 98). ამის შემდეგ თითი თავსდება IV ნეკნთაშუა მიდამოში, მკერდის ძლის პარალელურად, მარჯვენა მდოიკოკლავიკულურ ხაზზე და პერკუსია სრულდება IV ნეკნთაშუა მიდამოში მკერდის ძლისკენ (სურ. 99). ნორმის დროს გულის შედარებითი მოყრუების მარჯვენა საზღვარი არის I-1.5 სმ-ით გარეთ მკერდის ძლის მარჯვენა კიდიდან. გულის მარჯვენა საზღვარს ქმნის მარჯვენა წინაგული. გულის





სურ. 98 გულის მარჯვენა საზღვრის დადგენა პერკუსიით. ჯერ დგინდება ლეილის მოყრუების ზედა საზღვარი (ა), შემდეგ გულის მარჯვენა საზღვარი (ბ)



სურ. 99 თითის მდებარეობა გულის საზღვრების პერკუსიის დროს

ზედა საზღვრის დასადგენად, რომელსაც ქმნის მარცხენა ნინა-გული (მისი ყური), თითი-პლემსიმეტრი თავსდება ნეწების პარალელურად პირველ ნეწთაშუა მიდამოში მკერდის ძელის მარცხნივ. პერკუსია სრულდება პარასტერნული ხაზის გაყოფით. გულის შედარებითი მოყრუების ზედა საზღვარი არის III ნეწის დონეზე. გულის მარცხენა საზღვარს ქმნის მარცხენა პარკუტი. აღნიშნული საზღვრის დასადგენად ნახულობენ გულის საძგერს, რომლის კიდევ შეფარდება გულის მარცხენა საზღვარს. თუ მწვერვალის ბიძგის ლოკალიზაცია ვერ დგინდება, მაშინ პერკუსიას იწყებენ V ნეწთაშუა მიდამოში, ნინა ან შუა აქსილარული ხაზიდან შიგინი. გულის მარცხენა შედარებითი მოყრუების საზღვარი არის I-IV სმ-ით მიჯნით მდიოკლავიკულური ხაზიდან. პერკუსიით გულის ქვედა საზღვარი ვერ დგინდება ქვემდებარე დიაფრაგმით და ლეილით გამოიწვეული ყრუ ხშიანობის არსებობის გამო.

გულის აბსოლუტური მოყრუების (ყრუ ხშიანობის) საზღვრები განპირობებულია მარჯვენა პარკუტით, რომელიც უშუალოდ ეხება გულმკერდს. პერკუსია სრულდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც შედარებითი მოყრუების საზღვრების დადგენისას. გულის ყრუ ხშიანობის მარჯვენა საზღვარი არის მკერდის ძელის მარცხენა კიდე, ზედა საზღვარი - IV ნეწი, მარცხენა - 0.5-1.0 სმ-ით შიგნით შედარებითი მოყრუების საზღვრიდან.

ზოგიერთი ავტორის მიხედვით, გულის შედარებითი და აბსოლუტური მოყრუების საზღვრების გარჩევა ძნელია და ამ განსხვავების დადგენას მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სისხლძარღვთა კონა მოთავსებულია უშუალოდ მკერდის დროს ძელის უკან და მისი პერკუსიული საზღვრები ემთხვევა ნორმის დროს მკერდის ძელის საზღვრებს. ის წარმოადგენილია მარჯვნივ აორტიით და ზედა ღრუ ვენით, მარცხნივ - ფილტვის არტერიით. პერკუსიით ადგენენ სისხლძარღვთა კონის გაფართოებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს აორტის ანევრიზმით. მოყრუების გაჩენა ამ მიდამოში შეიძლება დაკავშირებული იყოს ფარისებრი ჯირკვლის გადიდებასთანაც. პერკუსიას ახდენენ I და II ნეწთაშუა მიდამოებში მარცხნივ და მარჯვნივ მკერდის ძელის მიმართულენით. თითი-პლემსიმეტრი თავსდება მკერდის ძელის პარალელურად.


გულის შედარებითი და აბსოლუტური მოყრუების საზღვრები შეიძლება შეიცვალოს გულის და ფილტვების პათოლოგიის დროს, აგრეთვე დაიფარგამის დგომასთან დაკავშირებითაც (სურ. 100). გულის შედარებითი მოყრუების მარცხენა საზღვარი შეიძლება მცირედ გაიღვდეს დაიფარგამის მალა დგომისას (ფეხბძიმობა, ასციტი, მეტეორიზმი). გული ამ დროს პოზიტივად მდებარეობს იღებს. გულის პათოლოგიის დროს შედარებითი მოყრუების საზღვრები შეიძლება შეიცვალოს ყველა მიმართულებით ან უპირატესად მარცხნივ, მარჯვნივ, ან ზევით. გულის საზღვრების გადიდების ძირითადი მიზეზი მისი ღრუების გაგანირებაა. გულის კუნთის ჰიპერტროფიას ნაკლებ მნიშვნელობა აქვს. ჰიოკარდიუმის ჰიპერტროფიამ შეიძლება გამოიწვიოს გულის საზღვრების გადიდება არა უმეტეს 0.5-0.8 სმ-ით, რაც პერკუსიით ძნელი დასადგენია, გულის დილატაციის დროს კი საზღვრები შეიძლება რამდენიმე სანტიმეტრით გაიღვდეს.

ყველაზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება გულის შედარებითი მოყრუების მარცხენა საზღვრის გადიდებას. ის შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც მარცხენა პარკუტის დილატაციასთან და პიკერტროფიასთან, ასევე მარჯვენა პარკუტის მნიშვნელოვან გადიდებასთან. გადიდებული მარჯვენა პარკუტი წევს მარცხნივ მარცხენა პარკუტს. მარცხენა პარკუტის დილატაცია არის მოცულობითი გადატვირთვის შედეგი და აღინიშნება მიტრალური ჰიპერტენზიის, აორტის სარქელის მანკების და მიტრალური ნაკლოვანების დროს. გულის მარჯვენა საზღვრის გადიდებას იწვევს მარჯვენა პარკუტის და ნინა-გულის დილატაცია და ჰიპერტროფია. ის ვითარდება მცირე ნრები შეფუგების შედეგად (მიტრალური მანკები), სამკარინი სარქელის, ფილტვის არტერიის სარქელის მანკების დროს.

გულის ზედა საზღვრის გადიდება განპირობებულია მარცხენა ნინაგულის გაგანირებით, რაც ძირითადად მიტრალური სტენოზის შედეგია. მიტრალური რეგურგაციების შემთხვევაში გულის საზღვრები დიდდება ზევით და მარცხნივ.

გულის ყველა საზღვარი გადიდებულია მიოკარდიტის, კარდიოსკლეოზის და შეგუბებითი კარდიომიოპათიის დროს. გულის საზღვრების მნიშვნელოვანი გადიდებისას ლაპარაკობენ ბარის გულზე (cor pulmonum).

მნიშვნელოვან დიდდება გულის პერკუსიული საზღვრები ექსუდაციური პნეომონიის დროს. ამ დროს მოყრუება ღებულობს ტრაპეციის ფორმას ფუჭით ქვევით. ნორმის დროს გულის შედარებითი მოყრუების მარჯვენა საზღვარი ლეილითან ქმნის მახვილ კუთხეს, რომელსაც ეფემტინის კუთხე ეწოდება.



სურ. 100 გულის საზღვრების ცვლილებები დაიფარავს მდებარეობის ცვლილებების დროს. ჩასუნთქვისას (ტეხილი ხაზი) და ამოსუნთქვისას (უნევეტი ხაზი)

ექსუდაციური პერიკარდიტის დროს აღნიშნული კუთხე ბლაგვი ხდება. ამ დროს ქრება გულის შედარებითი მოყურების საზღვრები და ფაქტობრივად პერკუსიით დგინდება გულის მხოლოდ აბსოლუტური ყრუ ხმის საზღვრები. ტრაუზებს სიერცემბი ქრება ტემპანური ხმიანობა.

პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვების დროს პერკუსიით შეიძლება დადგინდეს მოყურების საზღვრების ცვლილებები ავადმყოფის პოზის შეცვლის შემთხვევაში. მწლიარე პოზაში სითხე გადაწანილობდა გულის ფუძისაკენ და ამ მიდამოში მოყურების საზღვრები დიდდება. როდესაც ავადმყოფი ზის ან დგას, სითხე, სიმძიმის კანონის მიხედვით, გადაწანიცვლებს ქვევით და მოყურების არე მცირდება გულის ფუძეზე და მატულობს ქვევით.

გულის აბსოლუტური ყრუ ხმის საზღვრების გადიდება შეიძლება დაკავშირებული იყოს გულის ზომების მატებასთან. ის აღინიშნება აგრეთვე ფილტვების შეჭმუხვისას.

გულის შედარებითი და აბსოლუტური მოყურების საზღვრები მცირდება ფილტვების გამობატული ემფიზემის, პნევმოთორაქსის დროს.

გულის საზღვრების დადგენის გარდა, მაშინ როდესაც არ არის რენტგენოლოგიური გამოკვლევის ჩატარების საშუალება, ანამოზებენ პერკუსიას გულის კონფიგურაციის დასადგენად. ამ მიზნით პერკუსიას ატარებენ II-V ნეკნითაჟა მიდამოებში, მარჯვნივ და მარცხნივ. პერკუსიით მიღებულ ნურტიკლებს აერთიანებენ და ღებულობენ ვ.ე. გულის კონფიგურაციას. ნორმის დროს, თუკი გულის კონფიგურაციის დასადგენად ტარდება დეტალური პერკუსია, კვლავ ნეკნითაჟა არემი, მარჯვნივ აღინიშნება ორი გამოდრეკა ან რაკალი. პირველი გამოდრეკა დაკავშირებულია ზემო ღერასთან და ნაწილობრივ აერთიანდება მეორე - მარჯვნივ წინაგულთან. მარცხნივ ღებულობენ ოთხ გამოდრეკილობას. პირველი დაკავშირებულია აორტის რაკალთან, მეორე ფილტვის არტერიასთან, მესამე მარცხენა წინაგულის ყურთან და მეოთხე - მარცხენა პარკუჭთან. აღნიშნულ დასტურებად რენტგენოლოგიური მონაცემებით.

ნორმალური გულის მარცხენა კონტურის ვასნერი, სისხლძარღვთა კონსა და მარცხენა პარკუჭს შორის, არის ბლაგვი კუთხე, რომელსაც გულის „ტალია“ ეწოდება. ამ დროს ლაბარა-

კობენ გულის ნორმალურ კონფიგურაციაზე. გულის დაყადებების დროს, გულის ნაწილების გადიდებასთან დაკავშირებით, მისი კონფიგურაცია შეიძლება შეიცვალოს. არჩევენ გულის მიტრალურ და აორტულ კონფიგურაციებს. მიტრალური სარქელის მანქების დროს დიდდება მარცხენა წინაგული და მატულობს წნევა ფილტვის არტერიაში. ამის გამო წინაგული რაკალი, რომელსაც ქმნიან ფილტვის არტერია და მარცხენა წინაგულის ყური, გამოდრეკება და გულის „ტალია“ ვასნორდება. გულის ასეთ კონფიგურაციას მიტრალური ეწოდება. აორტული მანქების დროს, აგრეთვე გამობატული არტერიული პიპერტენზიის შემთხვევაში იზოლურებულად დიდდება მარცხენა პარკუჭი, რაც იწვევს გულის „ტალიის“ მკაფიო გამობატულებას. ასეთი ფორმის გულს აორტული კონფიგურაციის გული ეწოდება.


### გულის აუსკულტაცია

აუსკულტაცია ყველაზე მნიშვნელოვანია ფიზიური კვლევის მეთოდებიდან გულის გამოკვლევისათვის. აუსკულტაციით გულის მუშაობის დროს ვისინებთ ხმიანობებს, რომლებიც ცნობილია, როგორც გულის ტონები. ერთ-ერთი პირველი, ვინც მოისმინა გულის ტონები, არის უილიამ პარეტი, მაგრამ პარევის დაკვირვებამ ვერ შოვა აღიარება იმდროინდელი ექიმების მიერ.

გულის ტონების მეცნიერული შესწავლა დაიწყო რ.ლანგეის გამოკვლევებით აუსკულტაციაზე და მის გამოყენებაზე გულის დაავადებების დადგენისთვის. ლანგეკი ფიქრობდა, რომ გულის ტონების ტონი გამოწვეული იყო წინაგულების სისტოლით, ხოლო მეორე ტონი კი პარკუჭების შეკუმშვით. ჯ.კოუპმა 1835 წ. მოგვანოდა გულის პირველი და მეორე ტონების გაჩენის მიზეზები, რაც დადგინდა ისევე ფართოდ არის მიღებული. პირულის მიხედვით, პირველი ტონის წარმოშობა დაკავშირებულია ორ მომენტთან: იმ რხევებთან, რომლებიც აღმოცენდება ატრიოვენტრიკულური (ორკარიანი და სამკარიანი) სარქვლების დახურვის და პარკუჭების შეკუმშვის დროს. მისი აზრით, მეორე ტონი გამოწვეულია ნახევარმთავარისებრი (აორტის და ფილტვის არტერიის) სარქვლების რხევით. სადღესიდ არსებული მონაცემების მიხედვით, ვარაუდობენ, რომ პირველი ტონის წარმოქმნაში უნდა მონაწილეობდეს აორტის და ფილტვის არტერიის კედლების რხევა და, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, წინაგულის კედლის რხევეც კი. უნდა ითქვას, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე ტონის წარმოქმნაში ნამყვანია სარქვლოვანი კომპონენტები.

პირველი და მეორე ტონების გარდა, ნორმის დროს შეიძლება მოიხსენიონ ზოგჯერ გულის მესამე ტონი, გულის პათოლოგიის დროს კი - მიტრალური სარქვლის გაღების ხმიანობა, სისტოლური ტაკაცუნე, შუილები და სხვა.

გულის აუსკულტაციის დროს საჭიროა გარკვეული წესების დაცვა. ავადმყოფი უნდა იყოს წელზე გახდლი. მას უნდა მოეუხსინით სხედასხვა პოზაში. ავადმყოფის ისმენენ, როდესაც ის წვის ზურგზე, აგრეთვე მარცხენა გვერდზე. მედომარე პოზაში მოსმენიასას სასურველია პაციენტი ოდნავ წინ იყოს დახრილი. სხედასხვა პოზაში აუსკულტაციის ჩატარება საჭიროა იმისათვის, რომ სისტოლური შუილი მიტრალური სარქელის ნაკლოვანების დროს უფრო მოისმინება, როცა ავადმყოფი წვის ზურგზე, დაისტოლური შუილი - მიტრალური სტენოზის დროს, გულის მესამე და მეოთხე ტონები - როდესაც ის წვის მარცხენა გვერდზე (ამ დროს მარცხენა პარკუჭი უახლოვდება გულძკერდს), დაისტოლური შუილი აორტის სარქელის



სურ. 101 გულის სარქველების ანატომიური ლოკალიზაცია და მათი მოსასმენი მიდამოები

ნაკლოვანების დროს უკეთ ისმის, როცა ავადმყოფი ზის, პერიკარდიუმის ხახუნე - როდესაც ის ზის წინ დახრილი ან თიხივე კიღურზეა დაყრდნობილი („ძროხის პოზა“) და სხვა. ფლტვის ხმაინაობები რომ არ ავადმყოფის გულის ხმაინაობებთან, გულის მოსმენის დროს ავადმყოფს უნდა ვთხოვოთ, რომ ჩაისუნთქოს, ამოისუნთქოს და ცოტა ხნით შეაჩეროს სუნთქვა. ზოგჯერ საჭიროა ავადმყოფის ფიზიკური დატვირთვა; ამ დროს უკეთ ისმის ე.წ. ორგანული შუილები, ფუნქციური შუილები კი შეიძლება შეუხატდეს ან სულ გაქრეს.

ზოგჯერ შეიძლება ავადმყოფს მოუსმინონ, როდესაც ის არის ჩაცმული. ამ დროს იზრდება ვეზური სისხლის დინება გულისაკენ და მატულობს პერიფერიული წინააღმდეგობა, იზრდება სისხლის არტერიული წნევა, დარტყმითი მოცულობა, სისხლის რაოდენობა მარცხენა პარკუჭში. ადგომისას ყველაფერი ხდება პირიქით. ეს გვეხმარება, რომ ამოვიცნოთ მიტრალური სარქველის პროლაფსი და გავარჩიოთ პიპერტროფიული კარდიომიოპათია აორტული სტენოზისაგან. მარცხენა პარკუჭის მოცულობის მატება ჩაცმულების იწვევს მიტრალური სარქველის პროლაფსის შემცირებას, ამცირებს პროლაფსისათვის დამახასიათებელ ტკაცუნს და შუილის ინტენსივობას. გადიდებული დარტყმითი მოცულობა აძლიერებს შუილის ინტენსივობას აორტის სტენოზის დროს. იგივე სიტუაციამი პიპერტროფიული კარდიომიოპათიის შემთხვევაში შუილის ინტენსივობა მცირდება. ადგომისას ყველაფერი ისე იცვლება. ჩაცმულების დროს, სასურველია, რომ ავადმყოფმა ხელი მოკლდეს მაგიდის კიდეს ან სანოლს ბალანსის შესანარჩუნებლად.

ზოგ შემთხვევაში საჭიროა ე.წ. ვალსალვის ცდის ჩატარება. თუკი ავადმყოფი შეაჩერებს სუნთქვას ორმა ჩაისუნთქის შემდეგ და ამის მერვე განავითარებს უკიდურესად ძლიერ ექსპირაციულ ძალისხმევას დახურული ყიდი, წნევა გულშიგრძობა მინივნილიყუნად მატულობს და ამით ძნელდება ვეზური სისხლის დინება გულში, მცირდება პარკუჭების მოცულობა და ქვეითდება არტერიული წნევა. მარცხენა პარკუჭის მოცულობის შემცირება იწვევს პროლაფსის გაძლიერებას - ტკაცუნე ჩნდება უფრო ადრე და შუილიც ხანგრძლივდება. იმავე სიტუაციამი მარცხენა პარკუჭის მოცულობის შემცირება აძლიერებს პიპერტროფიუ-

ლი კარდიომიოპათიით გამოწვეულ ობსტრუქციას და შუილის ინტენსივობას. აორტული სტენოზის დროს შუილის ინტენსივობა ქვეითდება.

გარკვეული ცოდნის და გამოცდილების შექენა არის საჭირო აგრეთვე სტეტოსკოპის ხმარებისათვის. სასურველია ეიხმართ სტეტოსკოპები, რომლებსაც აქეთ როგორც ძაბრისებური გავანირება (მილძაბრა), ასევე ლაფრაგმა (სტეტოფონენდოსკოპი). სტეტოსკოპის დიაფრაგმით უკეთ მოისმინება მაღალი რხების ხმები - პირველი და მეორე ტონი, აორტის და მიტრალური რეგურგიტაციის შუილები, პერიკარდიუმის ხახუნე. მილძაბრათი უკეთ ისმის დაბალი სიხშირის ხმაინაობები - გულის მესამე და მეოთხე ტონები, დისტოლური შუილი მიტრალური სტენოზის დროს. საჭიროა ერთი დეტალის ცოდნა. როდესაც სტეტოსკოპის მილძაბრათი აწევიან გულშიგრძეს, ეს ჭიმაეს კანს და ის ფუნქციონირებს, როგორც ლაფრაგმა. ამ დროს შეიძლება დაბალი სიხშირის ხმაინაობები (გულის მესამე და მეოთხე ტონები) გაქრეს, რაც უნდა იდენტიფიკაციის საშუალებად იძლევა. მაღალი სიხშირის ხმაინაობები, როგორცეცაა მეზოსისტოლური ტკაცუნე, განდევნის ხმაინობა, მიტრალური სარქველის გაღების ხმაინობა, ამ დროს, პირიქით, ლიერდება.

სტუდენტები თავიდანვე უნდა მიეჩიოს გულის ციკლის სხვადასხვა კომპონენტის მოსმენას და მათ გარჩევას. დასაწყისში უნდა გაირჩეს გულის I ტონი და შეუხატდეს მისი ინტენსივობა, ხომ არ არის ის გაორებული. გულის II ტონიყ ფასდება ინტენსივობის მიხედვით და აღინიშნება მისი გაორების არსებობა. თუ II ტონი მნიშვნელოყნადა გაორებული, დგინდება გაორების კავშირი ჩასუნთქვისთან და ამოსუნთქვისთან. სტუდენტები უნდა მიეჩიოს ისეთი ხმაინობის მოსმენას სისტოლამი, როგორცეცაა განდევნის ხმაინობა ან სისტოლური ტკაცუნე. ამის შემდეგ საჭიროა გაირჩეს დისტოლამი ისეთი ხმაინაობები, როგორცეცაა მიტრალური სარქველის გაღების ხმაინობა, პარკუჭოყვანი გალოპი (გულის III პათოლოგიური ტონი) წინაგულური გალოპი (გულის IV პათოლოგიური ტონი) ან გულის ნორმალური მესამე ტონი. დაბოლოს, სტუდენტმა უყრადღების კონცენტრაცია უნდა მოახდინოს და მოისმინოს მულებების არსებობა სისტოლამი და დისტოლამი. ასეთი წესით სრულად იქნება განაალიზებული გულის ციკლის ყველა კომპონენტი. ამჟნად, აუსკულტაციის დროს სტუდენტები უნდა მიეჩიოს გულის ციკლის სხვადასხვა კომპონენტის მოსმენას და არ უნდა მიეჩიოს იმის მცდელობას, რომ ყველაფერი მოისმინოს ერთაბამად.

### გულის ტონების მოსასმენი მიდამოები

გულის ტონების მოსმენის დროს აუცილებელია, რომ მოვისმინოთ თიხივე სარქველის მიდამო და ზოგადად პრეკორდიალური არე. სარქველების მოსასმენი მიდამოები არ შეუხატამება ზუსტად სარქველების ანატომიურ ლოკალიზაციას. გულის ხერხელები და სარქველები ანატომიურად საკმაოდ ახლოს არიან განლაგებული ერთიმეორესთან, რაც ხელს უშლის, რომ გაირჩეს იხილურული ან ხმაინობები, რომლებიც წარმოიქმნება ცალკეულ სარქველიყან აპარატში. ასე, მაგალითად, მიტრალური სარქველის პროტოყვანა არის მკერდის ძელის მარცხნივ III ნეყნის მიმავლები ადგილზე მკერდის ძელთან, სამკარინის - მკერდის ძელის უკან, იმ ხაზის შუაში, რომელიც წარმოიქმნება III მარცხენა და V მარჯვენა ნეყნის მიმავლები ადგილზე მკერდის ძელთან, ფლტვის არტერიის - II ნეყნთაშუა მიდამოში მკერდის ძელის მარცხნივ, აორტის კი - მკერდის ძელის შუაში,

III ნეკნაბა და ღრეზე. ამიტომ, სარქველების ერთმანეთთან ახლო მდებარეობის გამო, გულის ტონებს მათი წარმოშობის ადგილზე კი არ ისმენენ, არამედ ცოტა მოშორებით, იქ, სადაც ისინი უკეთ ტარდება ცალკეული სარქველები (სურ. 101). ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიტრალური სარქველის მოსახლეობაში (ნერტილი) არის მარცხენა V ნეკნაბაში მდებარე მელიოკლაიკულიური ხაზიდან 1-2 სმ-ით შიგნით. აორტის სარქველის მოსახლეობა ნერტილი ლოკალიზებულია II მარჯვენა ნეკნაბაში მდებარე უშუალოდ მკერდის ძვლის ლატერალურად და ფოლტის არტერიის მოსახლეობა ნერტილი - II მარცხენა ნეკნაბაში არეში უშუალოდ მკერდის ძვალთან. ტრიკუსპიდურ სარქველს ისმენენ მკერდის ძვლის ქვედა მდებარეობის მის მახვილებზე მორჩიან შეერთების ადგილას. მოსმენას აწარმოებენ აგრეთვე ენა V ნერტილიც - ერბას ნერტილი, რომელიც არის III ნეკნაბაში მდებარე მკერდის ძვლის მარცხნივ. რუსულენოვან სამედიცინო ლიტერატურაში აღინიშნულ ნერტილს ბოტკინის ნერტილს უწოდებენ. ამ მდებარეობა კარგად იხსნის შუილები, რომლებზეც წარმოქმნება აორტის და ზოგჯერ ფოლტის არტერიის სარქველის დაზიანებისას.

სარქველების მოსმენის თანმიმდევრება შემდეგია: ჯერ ისმენენ მიტრალურ სარქველს, შემდეგ აორტსა, ფოლტის არტერიას, სამკარბან სარქველს და ბოლოს V ნერტილს. სარქველების მოსმენის თანმიმდევრება დაკავშირებულია მათი დაზიანების სიმძიმესთან, თუცა შეცდომა არ იქნება, თუკი სარქველებს მოისმენენ სხვა თანმიმდევრობით. იმასთან დაკავშირებით, რომ მდებარეობა წარმოშობის შუილი შეიძლება მოისმინოს რამდენიმე მიმართში, ზოგიერთი მკვლევარი ამ აზრისაა, რომ საჭიროა კრიტიკული შეხედვით გულის მოსასმენ ნერტილებს და აუცილებელია აუსკულტაცია ჩატარდეს ყველა ნეკნაბაში მდებარე, მარცხნივ, მკერდის ძვლის გაყოფილი. ამდენად სწორი არ არის, მხოლოდ გულის მოსასმენ ნერტილებში მიღებული მონაცემების საფუძველზე რომ იმსჯელოს ამა თუ იმ სარქველის დაზიანებაზე, სხვა მონაცემების გარეშე.

### გულის ტონები

გულის ტონების წარმოშობის მექანიზმების გასაგებად აუცილებელია გულის მუშაობის ციკლის გახსენება. გულის დასტროლის დროს აორტის და ფოლტის არტერიის სარქველებზე დახურულია და სისხლი წინაგულებიდან პასუარად ჩადის პარკუჭებში ღია აბტრო-ვენტრიკული ხერხეულიდან, წინაგულში პარკუჭებთან შედარებით უფრო მაღალი წნევის გამო. წინაგულების სისტოლის დროს მათში დარჩეული სისხლი უნთოვანი შეკუმშვის შემდეგობით საკმაოდ დიდი სიჩქარით გადადის პარკუჭებში. პარკუჭები იჭიმება, მათში მატულობს წნევა და მიტრალური და სამკარბანი სარქველები მიიწევა სათანადო ხერხეულით. წინაგულების დასტროლის დროს წნევა მათში მნიშვნელოვნად კლებულობს, რაც პარკუჭების მაღალი წნევის გამო ხელს უწყობს სარქველების დახურვას. პარკუჭების სისტოლა შედგება ორი პერიოდისაგან: დაძაბვის და განხვევის. დაძაბვის პერიოდში ორკარიანი და სამკარბანი სარქველები მჭიდროდ არის დახურული, ფოლტის არტერიის და აორტის სარქველები კი ჯერ არ არის გახსნილი. მათი გახსნის აორტის აუცილებელია გადაიღახოს საკმაოდ მნიშვნელოვანი წნევა სისხლის მიმოქცევის დიდ და მცირე წრეში. ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობენ დახურული სარქველების პერიოდზე. სათანადო წნევის გადაღახვის შემდეგ იხსნება აორტის და

ფოლტის არტერიის სარქველები და იწეება განხვევის პერიოდი, რომლის დროსაც სისხლი გადადის აორტაში და ფოლტის არტერიაში. ეს იწევის მათში წნევის მატებას, რასაც პარკუჭების სისტოლის დამთავრებისას, დასტროლის დასაწყისში, მოჰყვება აორტის და ფოლტის არტერიის სარქველების დახურვა. ისინი დახურულია მთელი დასტროლის მანძილზე და პარკუჭების სისტოლის დაძაბვის პერიოდში.


თითოეული სარქველის მოსასმენ მდებარეობაზე ვისმენთ გულის ორ ტონს - გულის პირველ ტონს, ან სისტოლურ ტონს და გულის მეორე ტონს, ან დასტოლურ ტონს. ისინი დამორებულია ერთმეორისაგან მოკლე პაუზებით. გულის პირველი ტონი წარმოქმნება პარკუჭების სისტოლის დროს. ის არის უფრო დაბალი სიხშირის და ხანგრძლივი (0.11 წამი), ვიდრე მეორე ტონი (0.07 წამი). მისი გარეგნა მეორე ტონისაგან, ჩვეულებრივ, ხდება რითმის მიხედვით. თუ გულის ცემის სიხშირე არ აღემატება ასეულებსა ნუთში, ინტერვალ დროში გულის პირველ ტონსა და მეორე ტონს შორის არის უფრო ხანმოკლე, ვიდრე მეორე ტონსა და მეორე ტონს პირველ ტონს შორის. ამ შემთხვევაში, თუკი გულის ცემის სიხშირე არის ნუთში 75-ის ფარგლებში, მცირე პაუზის ხანგრძლივობა 0.2 წამია, დიდის 0.43 წამი. დასტოლა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სისტოლა. პირველი ტონის იდენტიფიცირება შეიძლება აგრეთვე, თუკი თითის მოვათავსებთ სამკარბანში მდებარე და ერთდროულად მოუწყმენთ გულს. პირველი ტონი იმისა საძვირის სინქრონიზდება. ამ მიზნით შეიძლება დაეყვარდნოთ საძილე არტერიის პულსაციასაც, რადგან ის აღინიშნება უშუალოდ პირველი ტონის შემდეგ (ცხრილი 18). პირველი ტონი უფრო ხშირად აღემატება მწვერვალის მდებარეობაში, ვიდრე მეორე ტონი, ასევე დროს, ის უფრო ხშირად აღემატება გულის ფუძეზე მეორე ტონთან შედარებით (სურ. 102).

ცხრილი 18


გულის ტონების განმარტებითი ნიშნები

ძირითადი კრიტერიუმები	I ტონი	II ტონი
იმის უკეთ	გულის მწვერვალის მდებარეობაში	გულის ფუძის მდებარეობაში
დამოკიდებულება პუზსთან	მოსდევს დიდ პუზსთან	მოსდევს მცირე პუზსთან
ხანგრძლივობა	0,09-0,12 წამი	0,05-0,07 წამი
სიხშირე	დაბალი სიხშირის	შედარებითი მაღალი სიხშირის
კემბრი მწვერვალის მიღებთან	თანხვედება	აღინიშნება მწვერვალის მიღების შემდეგ
კემბრი საძილე არტერიის პულსაციასთან	აღინიშნება უშუალოდ საძილე არტერიის პულსაციის წინ	არ თანხვედება

გულის ტონები შეიძლება გაძლიერდეს ან შესუსტდეს, როგორც გულთან დაკავშირებული, ასევე ექსტრაკარდიული მიზეზებით. გულის ტონების გაძლიერება აღინიშნება დიაფრაგმის მაღლა დგომისას, ასთმური კონსტრუქციის პირებში, ძლიერი სიგამზდრის შემთხვევაში, ფიზიკური დატვირთვისას, ევენტრადისტრიკის დროს, ტაქიკარდიის, თირკმლოქსიოზის, ზოგიერთი ინტოქსიკაციის (კლფერი) დროს, შუასაყარის სიმინვის შემთხვევაში, თუკი ის აწეება გულს და წინ წამოწევის მას, ფოლტების შეჭმუხვისას. ექსტრაკარდიული მიზეზებიდან გულის ტონების შესუსტება - მოყრუება, ყრუ ტონები (ტო-



სურ. 102 გულის ტონების ხანგრძლივობის, სისტოლური და დიასტოლური ინტერვალების და ტონების სიღრმის სქემა. ა. ტონების სიღრმე მწვერვალის მიდამოში; ბ. ტონების სიღრმე გულის ფუძეზე. დიასტოლური პაუზის ხანგრძლივობა მეტა სისტოლური პაუზის ხანგრძლივობაზე



სურ. 103 გულის ტონების გაძლიერების სქემა. ა. ორივე ტონის; ბ. II ტონის

ნების მოყურებზე ან ყრო ტონებზე ლაპარაკობენ ტონების ძალისა და მკაფიოობის დასუსტების ხარისხის მიხედვით) არის სისხლქვის, მკვეთრად გამობატული მუსკულატურის, გულ-მკერდის მიდამოში კანკეშა შემუშების, დღი სარძევე ჯირკვლების, ფილტვების ემფიზემის, მარცხენაპლური ექსუდაციური პლევრიტის, პიდროთორაქსის, პნევმოთორაქსის, ექსუდაციური პერიკარდიტის დროს. გულთან დაკავშირებული მიზეზებიდან ორივე ტონის შესუსტება აღინიშნება მოკარდიტების, კარდიოსკლეროზების, მიმინე დიმიდნარე ინფექციური დაავადებების დროს (სურ. 103).

შართალია, გულის ორივე ტონის ერთდროულად შესუსტების ან გაძლიერების მიხედვით შეიძლება ვიძახელოთ გულის პათოლოგიის არსებობაზე, მაგრამ უფრო მეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ცალკეულად პირველი ან მეორე ტონის შესუსტებას ან გაძლიერებას.

გულის პირველი ტონის ინტენსივობა დამოკიდებულია ატრიოვენტრიკულური სარქველების კარგედების პოზიციანზე პარკუჭების შეკუმშვის დასაწყისში. თუკი კარედები ფართად არის გაღებული და დაცილებული ერთიმორისადაც მომატებული პრედატორიოზის გამო, ისინი შეორხევიან უფრო დიდი ამპლიტუდით დახურვისას და გამოიწვევენ უფრო ხმაშალა ხმაინობას. ამდენად, მთავარი ფაქტორი, რომელიც პასუხისმგებელია გულის პირველი ტონის ინტენსივობაზე, არის სარქველების პოზიციან პარკუჭების შეკუმშვის დასაწყისში (ცხროლი 19). როდესაც სარქვლის კარედები ფართოდაა გაღებული, მათი დახურვა ინევეს დიდ ვიბრაციას, რასაც შედეგად აქვს ხმაშალა ტონის გაჩენა. როდესაც სარქველები მცირედია გაღებული და მათი

ცხროლი 19

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ გულის ტონების სიძლიერას

- I ტონი - 1. ატრიოვენტრიკულური სარქველების კარედების პოზიციან პარკუჭების შეკუმშვის დასაწყისში განპირობებული:
  - ა. პარკუჭებში საბოლოო დიასტოლური წნევის სიღრმით (სისხლის რაოდენობა დიასტოლის ბოლოს);
  - ბ. P-R ინტერვალის ხანგრძლივობით.
- 2. ატრიოვენტრიკულური სარქველების ანატომიური მდგომარეობა და მათი კარედების მოძრაობის უნარი
- II ტონი - 1. დიასტოლური წნევის სიღრმე პარკუჭში და ფილტვის არტერიამი
- 2. ნახევარმთავარების სარქველების ანატომიური მდგომარეობა და მათი კარედების მოძრაობის უნარი

კარედები ახლოსაა ერთმანეთთან პარკუჭების შეკუმშვისას, მათი რხევის ამპლიტუდა მცირეა და გულის პირველი ტონიც დაბალი ინტენსივობისაა. სარქვლის რხევის ამპლიტუდა და პირველი ტონის ხმაშალაობა დამოკიდებულია პარკუჭებში სისხლის რაოდენობაზე დიასტოლის ბოლოს. რაც უფრო მცირეა პარკუჭებში სისხლი, მით უფრო სწრაფად დდება მათი შეკუმშვა (სარქველების რხევის ამპლიტუდა დიდია), რაც უფრო მეტია სისხლი დიასტოლის ბოლოს, მით უფრო მეტი დრო სჭირდება სისხლის გადენვას პარკუჭებიდან და სისხლთა ხანგრძლივდება (სარქველების რხევის ამპლიტუდა მცირეა). სისტოლური შეკუმშვის სიქაჩრეზე და პირველი ტონის ხმაშალაობაზე გაეყენას ახდენს აგრეთვე გულის კუნთის და თეთი სარქველოვანი აპარატის ანატომიური მდგომარეობაც (მათი დამოკლება, გასქელება, დეფორმაცია).

პირველი ტონის ინტენსივობა ძლიერდება მიტრალური სტენოზის დროს. ამ მანკის შემთხვევაში სისხლის რაოდენობა სისტოლის დასაწყისში ნაკლებია ვიდრე ნორმის დროს, რაც იწვევს მარცხენა პარკუჭის სწრაფ შეკუმშვას და პირველი ტონის გაძლიერებას - „ატკუანა“ პირველი ტონი. იგივე აღინიშნება მარჯვენა ატრიოვენტრიკულური ხერხელის სტენოზის შემთხვევაშიც.


პარკუჭების ნორმალური რითმის შემთხვევაში (60-80 გულის ცემა წუთში) გულის პირველი ტონის სიმძლავრე გარკვეულად დამოკიდებულია P-R ინტერვალის ხანგრძლივობაზე. როდესაც P-R ინტერვალის მოკლეა (0.1-0.14 წამი) ატრიოვენტრიკულური სარქველები გაღებულია ფართოდ პარკუჭების შეკუმშვის მომენტში და ეს ინევეს ხმაშალა პირველი ტონის. როდესაც P-R ინტერვალის გახანგრძლივებულია (0.21-0.24 წამი), სარქველების კარედები ახნევენ ერთმანეთთან მიახლოებას პარკუჭების შეკუმშვის პერიოდიანთვის, რაც ინევეს პირველი ტონის შესუსტებას (ცხროლი 20).

პირველი ტონის ინტენსივობა იცვლება სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს, როდესაც წინაგულები და პარკუჭები იკუმშვიან დამოუკიდებლად საკუთარი რითმით, აგრეთვე მოკლებიან არითმიის შემთხვევაში. აღნიშნული სიტუაციებში სარქვლის პოზიციან ცვალებადია პარკუჭების შეკუმშვის მომენტისათვის. სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს P კბილის პოზიციან QRS კომპლექსის მიმართ იცვლება. როდესაც P კბილი დამოკიდებულია QRS კომპლექსს, I ტონი არის ჩუმი. როდესაც P კბილი უახლოვდება R კბილს, I ტონის ინტენსივობა იზრდება. სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს ზოგჯერ მოისმინება ხმაშალა, ე.წ. „ჟეჟეშების ტონი“

(„bruit de canon“). ნსტრატეკოს მიხედვით, „ქეუმების ტონი“ თითქოსდა გამოწვეულია წინაგულების და პარკუჭების ერთდროული შეკუმშვით. უფრო სწორია ის აზრი, რომ აღნიშნული ტონი ალბოცენდება მაშინ, როდესაც წინაგულების შეკუმშვა ოდნავ წინ უსწრებს პარკუჭების სისტოლას, როდესაც პარკუჭებში სისხლს მცირე რაოდენობითა და P კბილი უფროდ წინ უსწრებს QRS კომპლექსს. იმავე შეკავშირებით ძლიერდება პირველი ტონი ადრეული ექსტრასისტოლის დროსაც.

გული წორმალური რითმის პირობებში, როდესაც გვაქვს ხმავეალი პირველი ტონი, საეჭვო არ იყოს ან მიტრალური სტენოზი, ან P-R ინტერვალის დამოკლება.

პირველი ტონის ინტენსივობა მოიმატებს, თუკი ატრიოვენტრიკულური აგვის დრო შემეცინებულია ტაქიკარდიის შედეგად, რაც აღინიშნება ფიზიკური ვარჯიშის, ანეხიის, ცხლების, თირკუთხისკოხის დროს (გულის მაღალი წლიმოცულობით მიმდინარე მდგომარეობებში). პირველი ტონი ძლიერდება იმ შედეგატენტების ზეგავლენით, რომლებსაც აქვს დადებითი ინოტროპული ეფექტი (მაგალითად, სიმპათომიმეტიკები).



სურ. 104 გულის ტონების გაორების სქემა. ა. I ტონის გაორება; ბ. II ტონის გაორება

იმათან დაკავშირებით, რომ პირველი ტონი არის შედეგი მიტრალური და ტრიკუსიდული სარქველების ერთდროული დახურვისა, მას აქვს ორი სარქველური კომპონენტი. წორმის დროს მიტრალური სარქველს დახურვა წინ უსწრებს სამკარაონი სარქველს დახურვას, მაგრამ დროის ინტერვალს მათ დახურვას შორის იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ამ ორი კომპონენტის გაჩვენა მოსმენით. მაგრამ ზოგჯერ ვანბრთვლებშიც და ავადმყოფებში სისის კონის მარჯვენა ტოტის ზოკადით ინტერვალს ხანგრძლივობა საკმარისია, რომ მოვისმინოთ პირველი ტონის ორივე კომპონენტი (სურ. 104). ტონების ეს გაორება, ჩვეულებრივ, უკეთ ისმის მკერდის ძეღის ქვედა ნაწილში, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ეს ადგილი ახლოს არის პირველი ტონის უფრო ჩუბ ტრიკუსპიდული კომპონენტის წარმოქმნის მიდამოსთან, რომელიც კარგად არ ტარდება. ზოგიერთ სახელმძღვანელოში იმბარება ტერმინი „ტონების გახლწა“, რაც არასწორად მიგვაჩნია, რადგანაც როდესაც ვახლწაზუა ლაპარაკი, უნდა ვიგულისხმოთ არა ორი კომპონენტის გამოყოფა, არამედ ერთი კომპონენტის გაორება, რაც სინამდვილეში არ ხდება.

გულის მეორე ტონი შედეგა ორი კომპონენტისაგან. პირველი დაკავშირებულია აორტის და მეორე კი ფილტვის არტერიის სარქველს დახურვასთან. მეორე ტონის ინტენსივობა დამოკიდებულია დიასტოლურ წნეკისთან აორტაში და ფილტვის არტერიაში, სარქველების ანატომიურ მდგომარეობასთან და მათი კარდების მოძრაობის უნაწარმ, აგრეთვე ხშიანობის გაგარებასთან. მეორე ტონის აორტის კომპონენტის ხმავეალიობა მატულობს სისძეფური მიპერტენზიის დროს და ქვეითდება, ზოგჯერ კი ქრება აორტის სტენოზის დროს, როდესაც აორტის სარქველი კალციფიცირებული და უშობრია. მეორე ტონის პულმონური კომპონენტი ძლიერდება მცირე წრის სიპერტენზიის დროს. ამ დროს მატულობს მისი გატარებაც. პულმონური კომპონენტის გაძლიერება აღინიშნება მიტრალური სარქველის ნაკლოვანების და განსაკუთრებით მიტრალური სტენოზის შემთხვევაში. ის ძლიერდება მაშინ, როდესაც გვაქვს დიდი შუნტი მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც მავალეულია წინაგულების ძეღის, პარკუჭების ძეღის დეფექტის, ბოტალის ლია სადინარის დროს, აგრეთვე ვეცლა იმ დაავადების შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება შეკუმშვითი მოვლენები მცირე წრეში და წნევის მატება ფილტვის არტერიაში. მეორე ტონის პულმონური კომპონენტის ინტენსივობა ქვეითდება პულმონური სტენოზის დროს, როდესაც ფილტვის არტერიის ხერეღის დიდი შევიწროება, მეორე ტონის ფილტვის არტერიის კომპონენტი სარითოდ არ ისმის. მეორე ტონის ინტენსივობა ქვეითდება დაბალი არტერიული წნევის დროს (კოლაფსი). როდესაც მეორე ტონი გაძლიერებულია ან აორტაზე, ან ფილტვის არტერიაზე, ლაპარაკობენ

ცხროლი 20

გულის ტონების ცვლილება

- I ტონის გაძლიერება - მიტრალური სტენოზი (ტაქუნა I ტონი), მარჯვენა ატრიოვენტრიკულური ხერეღის სტენოზი, P-R ინტერვალის დამოკლება, ადრეული ექსტრასისტოლია, ტაქიკარია (თირკუთხისკოხი), ანეხია, ცხლება, კოლაფსი (გულის აგვის დეფექტი), დადებითი ინოტროპულად მოქმედი შედეგატენტები (ადრენალინი).
- I ტონის შესუსტება - მიტრალური ნაკლოვანება, აორტული მანკები, მიოკარდიუმის კუმედადი ფუნქციის შესუსტება (მიოკარდიტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, კარდიოსკეროზი), P-R ინტერვალის გახანგრძლივება (I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა).
- II ტონის გაძლიერება - დიდი და მცირე წრის სიპერტენზია, სარქველბის და დიდი სისხლძარღვების (ორტა, ფილტვის არტერია) კედლის სკლეროზი, მიტრალური მანკები, ლია ბოტალის სადინარი, წინაგულთამუა ძეღის დეფექტი, პარკუჭთამუა ძეღის დეფექტი, გულის შეკუმშვითი უკმარისობა, აორტის გაგანერება, აორტის სარქველი.
- II ტონის შესუსტება - აორტის კარქველის ნაკლოვანება, ფილტვის არტერიის სარქველს ნაკლოვანება, აორტის და ფილტვის არტერიის სარქველბს დეფორმაცია, აორტის ხერეღის სტენოზი, ფილტვის არტერიის ხერეღის სტენოზი, დაბალი არტერიული წნევა

პირველი ტონი შესუსტებულია (მოყრუებულია) მიტრალური სარქველის ნაკლოვანების დროს, აგრეთვე აორტული მანკების შემთხვევაში. მისი ინტენსივობა ქვეითდება პირველი ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადის შემთხვევაში. იმპულსების დავიანებული გატარების გამო წინაგულბიდან პარკუჭებზე, მიტრალურ სარქველს აქვს დრო, რომ წინაგულბის შეკუმშვების შემდეგ მიიღოს თითქმის დახურული პოზიცია, სანამ პარკუჭის შეკუმშვა საბოლოოდ დახურავს მას. პირველი ტონის ხმავეალიობა ქვეითდება აგრეთვე მიოკარდიუმის დიფუზური და ზიანებისას - მწვავე რემატებზული მიოკარდიტი, ბირუსული მიოკარდიტი, მიოკარდიუმის დაზიანება მწვავე ინფექციების (შუკლის ტიფი, პარტახტიანი ტიფი, დიფთერია) დროს, მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის შეკუმშვითი უკმარისობის შემთხვევაში და სხვა.

მეორე ტონის აქცენტზე. აქცენტირებული მეორე ტონის არსებობა ფილტვის არტერიის მოსასმენ მიდამოში ყოველთვის არ მოითხოვს რაიმე პათოლოგიის არსებობას. ის შეიძლება განსხვავებული იყოს ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებში.

II ტონის აორტული კომპონენტი, ჩვეულებრივ, ოდნავ წინ უსწრებს პულმონურ კომპონენტს. II ტონის ეს ფიზიოლოგიური გაროვანა ძლიერდება ჩასუნთქვისას, რაც დაკავშირებულია მარჯვენა პარკუჭის სისტოლის ოდნავ დახანგრძლივებასთან და მარცხენა პარკუჭის სისტოლის ხანგრძლივობის ოდნავ შემცირებასთან. მარჯვენა პარკუჭის დაგვიანებული დეპოლარიზაცია, განპირობებულია სისის კონის მარჯვენა ტოტის ბლოკადით, ინვეს მეორე ტონის მკაფიო გაროვანას. იგივე ხდება წინაგულთაშუა ძვილის დეფექტის და ფილტვის არტერიის სტენოზის დროს.

როდესაც ვითარდება მცირე წრის პიპერტენზია, მარჯვენა პარკუჭის სისტოლის ხანგრძლივობა მცირდება მომატებული ოსტდატორიის შედეგად. ამის გამო II ტონი ისმის როგორც ერთიანი ხშირნაბი, ან ვითარდება ე.წ. „რეკურენტული“ (მებრუნებული) გარეობა - ფილტვის არტერიის კომპონენტი წინ უძღვის აორტის კომპონენტს.

II ტონის მკაფიო გაროვანა შეიძლება დაკავშირებული იყოს აორტის სარქელის ადრე დახურვასთან, რაც არის მიტრალური რეგურგიტაციის დროს.

ტონების გარეობის, შესუსტების, გაძლიერების გარდა, ზოგჯერ შეიძლება შეიცვალოს მათი ხასიათიც (ტემბრი). ტონების ტემბრის შეცვლა დაკავშირებულია ძირითად ტონზე ობერტონების დამატებასთან. ე.წ. რკარუნა ტონი აღინიშნება აორტის ათეროსკლეროზის, სიცილისური აორტის დროს. ლითონისებრი ტონი - მეზობელ ორგანოებში (პლევრა, კუჭი) მოქცეული პაერთი რეზონირების ანდა სარქელის ძლიერი გამკერებისას. „ბაერდოვანი ტონი“ წინადა ელემენტარადტემბის დროს; ის თავისი ტემბრით დაჭიმულ ხავერდზე შედლის ყოხის დარტყმის მიღებულ ხშირნაბს ჰგავს.

გულის ასუსტების დროს ზოგჯერ ვერ ნახულავენ განსხვავებას I და II ტონს, დიდ და მცირე პაუზას შორის - ლაპარაკობენ საქსებლებზე (ქანკანისებრ, საათის) რითმზე, თუ ამ დროს ტაქტიკარდია არის და პირველი ტონი გაძლიერებულია - ემბრიოკარდია ზე. ავადმყოფის გულის ცემა ამ დროს ნაყოფის გულის ცემას გვაგონებს. თუკი სისხლის წნევა ვეითდება, შეიძლება გაქრეს დასტკლოური ტონი და ისმის მხოლოდ სისტოლური ტონი. ასეთ პათოლოგიურ რითმს „მაქის რითმი“ უწოდებენ. ის არის ყოლაფსის, გულის მძიმე დაავადებების, ძლიერი სისხლის დენის და სხვა დროს.

გულის შესაბამის ტონის გაჩენა დაკავშირებულია პარკუჭის კედლის სწრაფ გაჭიმვასთან და რხევასთან, რათა ინვეს სისხლის დინება წინაგულებიდან პარკუჭებში მათი სწრაფი ავისების პერიოდში. ის წინადა დაახლოებით 0.1-1.2 წამის შემდეგ II ტონიდან პროტოდიასტოლაში და არის ძალიან დაბალი სიხშირის, ყრუ ხშირნაბი - „მეორე ტონის ეჭო“. ის შეიძლება იყოს ჯანმრთელ ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ხშირად მოსმინება ორსულობის ბოლო თვეებში. მოზრდელებში მისი გაჩენა უმეტესად მოუთხოვს გულის პათოლოგიას. ფიზიოლოგიური III ტონის პათოლოგიისაგან გარჩევამი გეგმარება შეეძლება ტესტით. თუკი პაციენტს დაეავეთნო, ნორმალური II ტონი, რომელიც ისმინდა მწოლაზე პოზაში, ქრება 20-30 წამში, პათოლოგიური - რჩება. ჩვეულებრივ, ის კარგად ისმის მწვერვალის მიდამოში და გულის აბსოლუტური მოყრუების მარცხენა სახ-

ღერის გაყოლებით მარცხენა გვერდზე წოლისას, არის დიასტოლის დასწყისში. ის უკეთ მოსმინება სტეტოსკოპის მოლძაბრათი (საჭირა სტეტოსკოპის გულმკერდზე მსუბუქი მიჭერა). გულის მარჯვენაშრივი II ტონი უკეთ ისმის მკერდის ძელის ქვედა ნაწილში. ის ძლიერდება ჩასუნთქვისას. III ტონის ინტენსივობა მოზრდელებში დამოკიდებულია პრედატორიავზე, მარცხენა წინაგულის წნევაზე და პარკუჭის კუნთის მდგომარეობაზე. დუნე, გაავანებულ გულის კუნთი (გულის უკმაირისობის დროს) ინვეს ხმაბაღალ III ტონს, რომელსაც ჭენების რითმის ტონი ან „გალოპი“ ეწოდება (პათოლოგიური ტემპი ტონი ან მარკუჭიანი, პროტოდიასტოლური გალოპი). გერმანი გალოპი გულისხმობს გულის სამი ტონის რითმს, რომელიც გვაგონებს ცხენის ჭენების მსგავს რითმს - გალოპი, განსაკუთრებით სწრაფი გულის ცემის დროს. მართალია ჭენების რითმი მოუთითებს გულის ჩქარ რითმზე, მაგრამ ტაქტიკარდია ამ დროს არ არის აუცილებელი. ის შეიძლება აღმოცენდეს გულის სწრაფი და ხელი რითმის პირობებში.

პათოლოგიური შესაბამის ტონი შეიძლება მოვისმინოთ მოიკარდოების ინფარქტის დროს, განსაკუთრებით თუკი ის გართულდა გულის ანევრიზმით, მიტრალური და ტრიკუსპიდალური რეგურგიტაციის, მარცხენად მარჯვნივ მუნტის არსებობისას, არტერიული პიპერტენზიის შედეგად განვითარებული გულ-სისხლძარღვთა და გულის ნებისმიერი სხვა ეტიოლოგიის უკმარისობის დროს.

გულის IV ტონი წინაგულების შეკუმშვის სინქრონულია, წნევა დიასტოლის ბოლოს, წინ უძღვის გულის I ტონს, რის გამოც მას პრესისტოლური გალოპის ტონს ან წინაგულავანა გამოცხადებენ. ის არის ძალიან დაბალი სიხშირის და შედარებით სუფთად მოსმინება მწვერვალზე (მარცხენაშრივი IV ტონი), ან მკერდის ძალზე მახვილისებრი მორტის საახლოვეს (მარჯვენაშრივი IV ტონი). ის უკეთ ისმის სტეტოსკოპის მოლძაბრათი. მარცხენაშრივი IV ტონის წარმოქმნა დაკავშირებულია მარცხენა წინაგულის სისტოლის დროს დარტყმით ტალღით დასუსტებული მარცხენა პარკუჭის კუნთის დაჭიმვასთან და მის რხევასთან. გულის IV ტონის გაჩენა, ჩვეულებრივ, მოუთითებს გულის პათოლოგიაზე და ითვლება, რომ ის არის პირველი ნიშანი მარცხენა პარკუჭის დაკუმშვასციის დაწყებისას. ყველაზე ხშირად ის ასოცირებულია მარცხენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური წნევის მატებასთან ან პარკუჭების მიტევალობის დაქვეითებასთან, რაც ვითარდება სისტემური და პულმონური პიპერტენზიის, აორტის სარქელის ნაკლავანების და აორტის ზერელოს სტენოზის, აგრეთვე მოიკარდოების ინფარქტის, კარდიომიოპათიის დროს. მარჯვენაშრივი IV ტონის გაჩენა დაკავშირებულია ფილტვის არტერიის სტენოზთან და მცირე წრის პიპერტენზიასთან. IV ტონი შეიძლება გაჩნდეს თორეოტაქსიკოზის, მძიმე ანემიის და ზოგჯერ სტენოკარდიის დროსაც. ზოგჯერ IV ტონი მოსმინება ატრიოვენტრიკულიური გამტარების შენელებისას. ეს ინვეს ნორმალური ნაზი წინაგულული კომპონენტის სეპარაციის ხმაბაღალი I ტონისაგან და შესაძლებელია ხდის მის მოსმენას. რადგან IV ტონის წარმოქმნა დაკავშირებულია წინაგულების შეკუმშვასთან, ის არ მოსმინება წინაგულის ციმციმის - მოციმციმე არითმის დროს.

ზოგჯერ ავადმყოფს აღენიშნება ორივე, გულის III და IV ტონების არსებობა, რაც ინვეს თობტაქტიანი რითმს. ტაქტიკარდიის პირობებში III და IV ტონები შეიძლება შეერთდეს ერთ ხმაბაღალ ექსტრატონში (დაბატებით ტონში), რომელსაც სუმირებული გალოპი ეწოდება.

ქენების რითმის გაჩენა პროგნოზულად ცუდი ნიშანია.  
 ვ. ობროზცოვის თქმით, „გაღლიპი“ არის გულის ყვირილი დახმარებაზე.

### მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობა

მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობა - მიტრალური ტკაცუნე (opening snap-OS) ნორმის დროს არ ისმის. ვიბრაცია, ასოცირებული მიტრალური სარქველის გაღებასთან, ვლინდება მიტრალური სტენოზის დროს. ამ მანკის შემთხვევაში, პარკუჭების სისტოლის დროს გამკვირვებული მიტრალური სარქველი ნამოინვეა მარცხენა ნიშანულში და შემდეგ, როდესაც წნევა მარცხენა ნინაგულში მოიმატებს და გადააჭარბებს მარცხენა პარკუჭის დასტოლურ წნევას, სწრაფად, ტკაცუნით ბრუნდება უკან მარცხენა პარკუჭში. ის ჩნდება უშუალოდ II ტონის შემდეგ 0.03-0.13 წამში. ხშიანობა არის ხანმოკლე და ხასიათდება უფრო მაღალი რხევებით, ვიდრე გალოპის ხშიანობები. ის ისმის უშუალოდ საძვრის შედიალურად და მარცხენა ქვედა სტერნული საზღვრის გაყოლებით, რითაც მას ახევავენ II ტონის გაორებისაგან, რომელიც უკეთ ისმის გულის ფუძეზე (ცხრილი 21). მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობა, ტკაცუნა I ტონი და II ტონი ქმნიან თავისებურ სამწვერარ რითმს, რომელსაც „მწვერის რითმი“ თვითდას. მას აღარებენ აგრეთვე გრძელზე უროს დაცემის სამად დანაწევრებულ ხშიანობასაც.

გულის III და IV ტონები, მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობა დამატებითი დასტოლური ხშიანობებია. სისტოლის პერიოდში ნარმოქმნება ექსტრატონები, რომლებიც სისტოლური ტკაცუნის სახელწოდებითაა ცნობილი.

### სისტოლური ტკაცუნე

დამატებითი ხშიანობები, რომლებიც მოისმინება სისტოლის დროს, არის ორი სახის - ადრეული სისტოლური განდევნის ხშიანობა (ejecion sound, ინგლ.) ან ტკაცუნე (click) და ტკაცუნე, რომელიც მოისმინება, ჩვეულებრივ, შუა და გვიან სისტოლაში.

ადრეული სისტოლური ტკაცუნე ჩნდება პირველი ტონის შემდეგ და დაკავშირებულია სისხლის განდევნისთან პარკუჭების აორტაზე და ფილტვის აორტრიაში. ის ემთხვევა პირველ და ფილტვის არტერიის სარქველების გაღებას. შედარებით მაღალი ხშიანობა და საჭიროა მისი დიფერენცირება გაორებული პირველი ტონისაგან. უკეთ ისმის სტეტოსკოპის დიაფრაგმით. მისი არსებობა მიუთითებს კარდიოვასკულურ პათოლოგიაზე. აორტული სისტოლური განდევნის ხშიანობა ისმის როგორც გულის ფუძეზე, ასევე მწვერვალზე. ის არ იცვლება სუნთქვის ზემოქმედებით. ისინი აორტული მანკების, აორტის აღმავალი ნაწილის გაგანიერების, მიკუსიული არტრის, სისტემური მიკრეტენზიის დროს. პულმონური სისტოლური განდევნის ხშიანობა უკეთ ისმის მარცხნივ, II სენთაშაუა მიდამოში. თუკი ის ახლოს არის II ტონის პულმონურ კომპონენტთან, შეიძლება გამოიწვიოს II ტონის გაძლიერება. მისი ინტენსიობა ქვეითდება ჩასუნთქვისას. ის ჩნდება ფილტვის არტერიის სტენოზის, ფილტვის არტერიის გაგანიერების, მცირე წრის მიკრეტენზიის დროს.

გვიანი სისტოლური ტკაცუნე, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია მიტრალური სარქველის პროლაფსთან - მიტრალური სარქველის პათოლოგიურ სისტოლურ შეწვევასთან მარცხენა ნინაგულში („აქაიდული“, „მოფანაფალებული“ მიტრალური სარქველები - „floppy mitral valve“). ის არის მაღალი სიხშირის ხშიანობა, მოისმინება შუა ან გვიან სისტოლაში და მას შეიძლება მოჰყვეს შუილი, რაც მიუთითებს მიტრალური რეგურგიტაციის არსებობაზე. ამ შემთხვევაში ლაბარაკობენ „ტკაცუნ-შუილის“ სინდრომზე („click-murmur syndrome“). ის უკეთ ისმის მწვერვალზე სტეტოსკოპის დიაფრაგმით. მისი ინტენსიობა შეიძლება შეიცვალოს ავადმყოფის პოზის შეცვლის შემთხვევაში. ჩანუტულ პოზაში ტკაცუნის და თანდართული შუილის ინტენსიობა მცირდება (ცხრილი 22).

გულის III და IV ტონები, მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობის და გულის III ტონის დიფერენციალური მნიშვნელობა

ცხრილი 21

პარამეტრები	II ტონის პულმონური კომპონენტი	მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობა	III ტონი
სუნთქვა მოსწინის მიდამო	მოქმედებს მკვდის ძვლის მარცხნივ II სენთაშაუა მიდამო საძვრის მიდამო	არ მოქმედებს მარცხენა სტერნული საზღვრის გაყოლებით	არ მოქმედებს მწვერვალ
სასითა	შედარებით ხანგრძლივია მაღალი სიხშირის	ხანმოკლე შედარებით მაღალი სიხშირის	ცრუ
გარეის დრო ტონის აორტული კომპონენტთან	0-0.03 წამი	0.03-0.15 წამი	0.10-0.20 წამი
ვერტიკალური პოზიცია (ფეხზე)	ახლოა II ტონის აორტული კომპონენტთან	შორდება II ტონის აორტული კომპონენტს	ინტენსიობა ქვეითდება
ეაზოარესორები	არ მოქმედებს	შორდება II ტონის აორტული კომპონენტს	ქრება

სისტოლური და დიასტოლური დამატებითი აუქსულატორი ხშიანობები


ცხრილი 22

სისტოლური ადრეული აორტული და პულმონური განდევნის ხშიანობა (ტკაცუნე)	დასტოლური ადრეული მიტრალური სარქველის გაღების ხშიანობა (CS)
შუა და გვიანი მიტრალური სარქველის ტკაცუნე (პროლაფსი)	შუა გულის III ტონი (S3) სუბარტული გალოპი (S3+S4) გვიანი გულის IV ტონი (S4)

### შუილები

გულის აუქსულატაციის დროს ზოგჯერ მოისმინება პათოლოგიური ხშიანობები, რომლებიც გულის ტონებისგან ხანგრძლივი ხშიანობით გამოირჩევა. მათ შუილები ეწოდება. ისინი გამომწვევია სისხლის ტურბულენტული დინებით გულში ან მსხვილ არტერიულ სისხლძარღვებში.





სურ.105 შულების წარმოშობის შექანიში. ა. ხერელს შევიწროება; ბ. ხერელს გაგანიერება; გ. წინააღმდეგობა სისხლის ნაკადის მიართულებით; დ. სისხლის ნაკადის აქცერება

შულები პირველად აღნერიალა რ.ლანგენის მიერ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ისინი ყოველთვის გამიწვეულია სარქველების დაზიანებით. სადღესოდ ცნობილია, რომ შულები ხშირად მოითითებენ გულის მძიმე დაავადებაზე, მაგრამ ზოგჯერ მათ არ აქვთ არავითარი პათოლოგიური მნიშვნელობა.

გულის სარქველების ფუნქციას გაზიზნავენ ნორმალურად, თუკი ისინი სრულად ხერავენ სათანადო ხერელს და წინააღმდეგობას სისხლის უუდინებას. პარკუჭების სისტოლის დროს მიტრალური და ტრიკუსპიდული სარქველები იხურება, აორტული და ფილტვის არტერიის სარქველები კი იღება, რაც განაპირობებს სისხლის დინებას პარკუჭებიდან აორტაში და ფილტვის არტერიაში. პარკუჭების დისტოლის დროს არის საწინააღმდეგო სიტუაცია - აორტული და პულმონური სარქველები დახურულია, რაც წინააღმდეგობას სისხლის რეგურგიტაციას აორტაში და ფილტვის არტერიიდან მათ შესატყვის პარკუჭებში, მაშინ როდესაც ატრიოვენტრიკულური სარქველები იღია და სისხლი მიედინება წინააღმდეგობიდან პარკუჭებში. გულის აღნიშნული ნორმალური შემთხვევის პირობებში შულები არ არის.

თუკი ატრიო-ვენტრიკულური სარქველი ვერ ხერებს ხერელს სრულყოფილად პარკუჭების სისტოლის დროს, სისხლის ნაწილი მიდინება უკან, წინააღმდეგ. ამბობენ, რომ არის სარქვის ნაკლოვანება. სისხლის ეს უუდინება არ რეგურგიტაცია იწვევს ნაკლოვანების ან რეგურგიტაციის შუილს შორეს შორი, თუკი ხერელს შევიწროებულია - სტენოზირებულია ან მოლიანად არ იხსნება, სისხლის გასვლას ამ შევიწროებულ ხერელში ხვდება წინააღმდეგობა, რაც იწვევს სისხლის ტურბულენტურ დინებას და სტენოზირებული შუილის გაჩენას. სარქვის ნაკლოვანების ან ხერელის შევიწროების შემთხვევაში დაპარაკობენ გულის მანკზე.

თანამედროვე მეხედვლებით შულები წარმოიქმნება უშუალოდ გულში ან მსხვილ სისხლძარღვებში შემდეგი შექანში შემთხვევით:

1. სისხლის დინება შევიწროებულ ხერელში (მაგალითად, აორტის ხერელის სტენოზის დროს).
2. სისხლის უუდინება ან რეგურგიტაცია სარქვის ნაკლოვანების დროს (მაგალითად, მიტრალური რეგურგიტაცია მიტრალური სარქვის ნაკლოვანების დროს).
3. სისხლის დინება მსხვილი სისხლძარღვების უსწორმასწორობის (მაგალითად აორტის ათეროსკლეროზი) ან სარქვის ისეთი დეფექტის დროს, რომელიც არ იწვევს ქუმპარტ სტენოზს ან ნაკლოვანებას (მაგალითად, ბიკუსპიდური აორტის სარქველი).
4. სისხლის დინება გაგანიერებულ სისხლძარღვში (მაგალითად, აღბაქალი აორტის ანევირისმული გაგანიერება).

5. სისხლის გადასროლა - შუნტირება მაღალი წნევის მქონე კამერადან ან არტერიიდან დაბალი წნევის მქონე კამერაში ან სისხლძარღვში პათოლოგიური გზით (მაგალითად, ღია ბოტალის სადინარი, პარკუჭებზე შეიღის დეფექტი).

6. სისხლის აქცერებული დინება (სურ. 105) გულის და სისხლძარღვების ნორმალურ სტრუქტურებში (მაგალითად, ანემია, თირიოტიკოზი).

შულები შეიძლება ირგანული ან ფუნქციური („უნყინარი“) ხასიათის იყოს. ირგანულ შულებზე დაპარაკობენ მაშინ, როდესაც მათი გენეზი დაკავშირებულია სარქველვანი აპარატის ან მსხვილი სისხლძარღვების ირგანულ ცვლილებებთან. ფუნქციური შულების დროს სარქველვანი აპარატის ანატომიური ცვლილებები არ აღინიშნება.

არჩვენ სისტოლურ და დისტოლურ შულებებს. ნორმის დროს გულის ტინებს შორის ინტერვლებში შულები არ იმისი. თუ შუილი ჩნდება გულის ციკლის სისტოლურ ფაზაში, სახელდობო პირველ და მეორე ტონს შორის, არის სარქველური შუილი. თუკი ის იმისი დისტოლის ფაზაში, შუილი დისტოლურია.

სისტოლური შუილები, როგორც წესი, ჩნდება მიტრალური და ტრიკუსპიდული სარქველების ნაკლოვანების ან აორტის და ფილტვის არტერიის ხერელების შევიწროების დროს. დისტოლური შუილების უმრავლესობა შედგება მიტრალური და ტრიკუსპიდული ხერელების სტენოზის ან აორტის და ფილტვის არტერიის სარქველის ნაკლოვანებისა.

ყველაზე ხშირია ისეთი მანკები, როგორებიცაა მიტრალური სარქვის ნაკლოვანება, მიტრალური ხერელის სტენოზი და აორტის სარქვის ნაკლოვანება. სხვა სარქველური დეფექტი, განსაკუთრებით მარჯვენა ატრიოვენტრიკულური ხერელის შევიწროება და ფილტვის არტერიის სარქვის ნაკლოვანება, მუცელზე მედარებით იშვიათად. როგორც უკვე აღინიშნეთ, ყველა შუილი არ არის აუცილებლად სარქველვანი დეფექტის შედეგი. ზოგიერთი შუილი შეიძლება დაკავშირებული იყოს გულს და სისხლძარღვების შექანის თანდაყოლილ ანომალიასთან, ზოგიერთი ვითარდება მსხვილი სისხლძარღვების ციკლის ცვლილების შედეგად, ზოგიერთი შეიძლება დაკავშირებული იყოს სისხლის მიედების ცვლილებებთან და სხვა.

სისტოლური შუილი შეიძლება დაინჯოს პირველ ტონთან ერთად ან მოკვებს პირველ ტონს. ის შეიძლება იყოს სისტოლის დასაწყისში, შუაში ან ბოლოში, ზოგჯერ კი იმის მთელი სისტოლის მანძილზე - პოლისისტოლური ან პანსისტოლური შუილი. იგივე შეიძლება ითქვას დისტოლურ შუილზეც. ადრეულ დისტოლურ შუილს ეწოდება პროტოდიასტოლური, იმ შუილს, რომელიც იმის დისტოლის შუაში - მეზოდიასტოლურ, ხოლო შუილს, რომელიც ჩნდება დისტოლის ბოლოს - უნოდებენ პრესისტოლურს. სისტოლური შუილები შეიძლება ირგანული ან ფუნქციური ხასიათის იყვნენ. დისტოლური შუილი, როგორც წესი, აღმოცენდება გულის ან სისხლძარღვების პათოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ზოგჯერ შეიძლება მოიხსინდით ორივე შუილი, როგორც სისტოლური, ასევე დისტოლური. ისინი ჩნდება, როდესაც არის გულის ე.წ. რთული მანკები. ამ დროს აღინიშნება როგორც სარქვის ნაკლოვანება, ასევე სათანადო ხერელის შევიწროებაც.

როგორც სისტოლური, ასევე დისტოლური შუილები უნდა დახასიათდეს რამდენიმე მონაცემის მიხედვით: როგორი შუილის ინტენსივობა, ხმის სიძალე, რა ხასიათისაა შუილი, როგორია მისი ლოკალიზაცია, სად გადაეცემა და სხვა.


შუღლების ინტენსივობა - ხმაშალაობა, ისევე როგორც გულის ტონების ხმაშალაობა, შეიძლება დამოკიდებული იყოს ისეთ ექსტრაკარდიულ ფაქტორებზე, როგორებიცაა გულ-მკერდის კედლის სისქე, სითბის არსებობა პერიკარდიუმის ან პლევრის ღრუში, ფლტვების ეფიზეზმა ან შექმენუნა და სხვა. შუღლები ხმაშალაობა შეიძლება ექსტრა კუდალი სიმღერა, ზოგჯერ კი ისეთი ზომამდელი იყოს, რომ ძალადვე თვითონ ავადმყოფს ან ექიმს სტეტოსკოპის ყოველგვარი დახმარების გარეშე. მიღებულია შუღლების გრადაცია I-დან VI ხარისხამდე (ცხრილი 23), რომელსაც გარკვეულად სექმეტური ხასიათი აქვს. I ხარისხის შუღლი, ჩვეულებრივ, ფუნქციური ხასიათისაა, III ხარისხის შუღლი და ზეითი, როგორც წესი, ორგანულია.

ცხრილი 23

შუღლიანის ინტენსივობის გრადაცია

- I ხარისხის - ისმის ძალიან ჩუმად
- II ხარისხის - ისმის ჩუმად
- III ხარისხის - საშუალო ინტენსივობისაა
- IV ხარისხის - ხმაშალაობა
- V ხარისხის - ძალიან ხმაშალაობა
- VI ხარისხის - ისმის გულმკერდში და ცილებული სტეტოსკოპითაც, დისტანციური შუღლი

შუღლების სიძლიერესა და სარქველოვანი აპარატის დაზიანების ხარისხს შორის პირდაპირი პარალელიზმი ყოველთვის არ არის. რაც უფრო ვიწროა სისხლის მიერ გასასვლელი ხერეული, მით უფრო მეტი ძალისაა შუღლი. მაგრამ ზოგჯერ, ხერელის ძლიერი შევიწროებისას (მაგალითად მიტრალური სტენოზის დროს), შუღლი შეიძლება სულ გაქრეს. ხერელის დაიჭვრის გარდა, შუღლის ინტენსივობა და სიმაღლე დამოკიდებულია სისხლის დინების სიჩქარეზე, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია სისხლის მოცულობით და წნევის გრადიენტით ხერელში. როდესაც სისხლის დინების სიჩქარე არის დაბალი, შუღლის ინტენსივობაც და სიმაღლაც დაბალია, როგორც, მაგალითად, დაისტოლური შუღლი მიტრალური სტენოზის დროს, რადგანაც ის აღმოცენდება მარცხენა წინაგულის, გულის შედარებით სუსტი ნაწილის შეკუმშვის შედეგად. როდესაც სისხლის დინების სიჩქარე დიდია, შუღლის სიძლიერე და სიმაღლე მაღალია. შთავსი შუღლი არის მაშინ, როდესაც წნევის დიდი გრადიენტი არის შედარებით მცირე ხერელში, როგორც არის სისტოლური შუღლი ფლტვის არტერიის ხერელის სტენოზის, აორტის ხერელის სტენოზის ან პარკუჭთაშუა ძვილის მცირე ზომის დეფექტის დროს. ამ დროს შუღლის წარმოქმნაში მონაწილეობს პიპრტროფორული პარკუჭი, რომელიც ძალაგარდა იკუმშება და დიდი სისწრაფით გადადენის სისხლს შევიწროვებულ ხერელში. თუკი სისხლის დიდი მუნტია, შუღლი შეიძლება სულაც არ გააჩნდეს, როგორც წინაგულთაშუა ძვილის დიდი დეფექტის დროს, რადგანაც წნევის გრადიენტი არის მცირე. ხასიათის - თვისებების მიხედვით შუღლები შეიძლება იყოს ნაზი, მშრალი, უსმე, მშფაწყალი, მფხეკავი, მხერხავი, მუსიკალური და სხვა. შუღლების ხასიათზე, ჩვეულებრივ, მოქმედებს ხერელის ხასიათი და გარემომცველი სტრუქტურების რეზონანტორული თვისებები. ფუნქციური შუღლები, ჩვეულებრივ, ნაზი, მშრალი ხასიათისაა. ორგანული შუღლები უფრო ხშირად უსმეია, მაგრამ ზოგჯერ ისინი ნაზი ხასიათისაც შეიძლება იყვნენ. მუსიკალური ხასიათის შუღლები აღინიშნება პაპილარული კუნთების დამოკლების, სარქვლების კარედების პერფორაციის დროს და სხვა.



სურ. 106 შუღლების ხასიათის სქემა. ა. თანაბარზომიერი, უწყვეტი შუღლი; ბ. დეკრემენდი შუღლი; გ. კრემენდი შუღლი; დ. რომბის ფორმის შუღლი; ე. დეკრემენდი-კრემენდი ფორმის შუღლი

შუღლები, რომელთა ინტენსივობაც მატულობს, აღინიშნება როგორც კრემენდი ხასიათის (სურ. 106). ასეთი ხასიათისაა პრესისტოლური შუღლი მიტრალური სტენოზის დროს დაისტოლის ბოლოს. თუკი შუღლის ინტენსივობა ექვითდება, ამბობენ, რომ ის არის დეკრემენდი ხასიათის.


აორტის სარქვლის ნაკლოვანების დროს შუღლი დასაწყისში ძლიერია და მეტი სუსტდება. როდესაც შუღლი კრემენდი-დეკრემენდი ხასიათისაა, ამბობენ, რომ ის თითისტარის ან რომბისებური ფორმისაა. ზოგიერთი მას „ბრილიანტის ფორმის“ შუღლად უწოდებს („diamond-shaped murmur“). შუღლი შეიძლება თანაბარზომიერი იყოს.

შუღლის ლოკალიზაციის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს გულის მანკების დიაგნოსტიკაში. სარქველოვანი წარმოშობის შუღლები, ჩვეულებრივ, უკეთ ისმის მათ შესასვლელს აუსკულტაციურ მიდამოებში. თუკი სისტოლური შუღლი ყველაზე უკეთ ისმის გულის მწვერვალის მიდამოში, ეს მუთითებს მიტრალური სარქვლის დაზიანებაზე და მიტრალური სარქვლის ნაკლოვანების არსებობაზე. იმავე სტენოზი მოსწიწილი დაისტოლური შუღლი არის მიტრალური სტენოზის დროს. დაისტოლური შუღლი, რომელიც ყველაზე უკეთ ისმის მეორე ნეკთაშუა მიდამოში მარჯვნივ და V ნერტლში, დამახასიათებელია აორტის სარქვლის ნაკლოვანებისა და სხვა (ცხრილი 24). იგივე შეიძლება ითქვას გულის თანდაყოლილ მანკებზეც. სისტოლური შუღლი პარკუჭთაშუა ძვილის დეფექტის დროს ყველაზე კარგად არის გამოხატული მკერდის ძელის შუა ნაწილში, ბოტალის ცალი სადინარის შემთხვევაში - მეორე ნეკთაშუა მიდამოში მცხენი და სხვა.


ცხრილი 24

ორგანული შუღლიანი გულის შემთხვევის განაპირობების დროს

შუღლი	მოსმენის მიდამო
სისტოლური	
ორკარტის სარქვლის ნაკლოვანება	გულის მწვერვალი
სამკარტის სარქვლის ნაკლოვანება	მკერდის ძელის ქვედა ნაწილი
ფლტვის არტერიის ხერელის შევიწროება	II ნეკთაშუა მიდამო მკერდის ძელთან მარჯვნივ
აორტის ხერელის შევიწროება	II ნეკთაშუა მიდამო მკერდის ძელთან მარჯვნივ
დაისტოლური მარცხენი	
ატრიოვენტრიკულური ხერელის შევიწროება	გულის მწვერვალი
ატრიოვენტრიკულური ხერელის მარჯვენა	მკერდის ძელის ქვედა ნაწილი
აორტის სარქვლის ნაკლოვანება	II ნეკთაშუა მიდამო მკერდის ძელის მარჯვნივ, V ნერტლი
ფლტვის არტერიის სარქვლის ნაკლოვანება	II ნეკთაშუა მიდამო მკერდის ძელის მარჯვნივ



სურ. 107 გულის ტონების და შულების ურთიერთობის სქემა. სისტოლური შულია. ა. პროტოსისტოლური; ბ. მეზოსისტოლური; გ. პრედასტოლური



სურ. 108 გულის ტონების და შულების ურთიერთობის სქემა. დასტოლური შულია. ა. პროტოდასტოლური; ბ. მეზოდასტოლური; გ. პრედასტოლური

შულები მოიხმინება არა მხოლოდ სათანადო სარქველების მოსასმენ ნერტილებში, არამედ გადაეცემა ცომა მოძიონებით, ჩვეულებრივ, სისხლის ნაკადის მიმართულებით. ასე, მაგალითად, სისტოლური შული, რომელიც აღმოცენდება აორტის ხერხლის სტენოზის დროს, კარგად ისმის სადილ, ლავრეკემა არტერიებზე. დასტოლური შული აორტის სარქველის ნაკლოვანების დროს გადაეცემა ქვეით მკერდის ძვლის მარცხენა სახელების გაყოფებით, ზოგჯერ მწვერვალზე და ყველაზე უკეთ ისმის V ნერტილში. მიტრალური სარქველის ნაკლოვანების დროს შული კარგად ტარდება მარცხენა ილიის მიდამოში და ა.შ.

გულის მანკების დიაგნოსტიკაში, შულების თავისებურების გარდა დიდი ურადლება უნდა მიექცეს გულის ტონების ცვლილებებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სარქველური აპარატის დაზიანების ხარისხის შესაფასებლად და რაზედაც უკეთ უკვი იყო ლაპარაკი (სურ. 107, 108).

ფუნქციური ან არარეგანული შულების გენეზი არ არის დაკავშირებული სარქველური აპარატის ან მსხვილი სისხლძარღვების პათოლოგიურ ცვლილებებთან. ისინი ხშირად აღინიშნება ბავშვებში, ანემიით დაავადებულებში, თირეოტიკოსიოზის დროს, ასთენიურ პიროვნებებში, ვეგეტონეფროზით დაავადებულთა და შვილებს მოყვანილობით ზოგჯერ სრულიად უანმრთელ პიროვნებებშიც ძლიერი ფსიქიკური აგზნების დროს. აღნიშნულ შემთხვევებში შულების გენეზი დაკავშირებულია სისხლის ნაკადის აჩქარებასთან და გულის ნეოტონიკოსის მომატებასთან. უფრო ხშირად ფუნქციური შულები ისმის ფილტვის არტერიის მოსასმენ მიდამოში და გულის მწვერვალზე. ისინი სისტოლურია, უფრო ხშირად ნაზი, მგრავი ხასიათის, ისმის ადგილობრივად და ნაკლებად ახასიათებს გადაცემა. ფუნქციუ-

რი შულები უკეთ ისმის, როდესაც ავადმყოფი წევს და იცლება - სუსტდება ან ქრება, როდესაც ის იღებს ვერტიკალურ პოზიციას - ჯდება ან დგება ფეხზე, ფიზიკური დატვირთვისას.

ფუნქციური შულების მიაკუთვნება ე.წ. შედარებითი ნაკლოვანების შულებსაც. ისინი წარმოიქმნება სათანადო ხერხლის გაგანიერების გამო პარკუჭების ძლიერი დილატაციის დროს. ამბობენ, რომ ამ დროს სარქველების ფუნქცია დარღვეულია მათი ანატომიური ცვლილებების გარეშე. მაგალითად, აორტის სარქველის ნაკლოვანების ან არტერიული მიკროტენიონის დროს ვითარდება ორკარიანი სარქველის შედარებითი ნაკლოვანება და ჩნდება მგრავი ხასიათის სისტოლური შული. მიტრალური ხერხლის შევიწროების დროს ხშირად ვითარდება სამკარიანი სარქველის შედარებითი ნაკლოვანება მარჯვენა პარკუჭის გაგანიერების გამო და სხვა.

ფუნქციური ხასიათის შულებად ითვლება აგრეთვე ე.წ. ატონური ან კუნთისძიერი ნაკლოვანების სისტოლური შულები. ისინი დაკავშირებულია პაპილარული კუნთების და ხერხლის ირგვლივ არსებული ცირკულარული კუნთების მოღუნებასთან, რომლებიც ვეღარ ხურავენ სათანადო ხერხლს, რის გამოც ჩნება ნაბრალი, რომელშიც ხდება სისხლის რევერტიცია. ატონური შულები ვითარდება რევმატიული და ინფექციური მიოკარდიტების დროს.

ფუნქციური შულებია ისტინ ფილტვის, გრეხმე სტილის და კუმპის შულებიც. ისინი დასტოლური ხასიათისაა. ფილტვის შული ჩნდება აორტის სარქველის ნაკლოვანების დროს. ის დაკავშირებულია დასტოლურის დროს აორტიდან პარკუჭებში დაბრუნებული სისხლის ხერხლის შედეგად მიტრალური სარქველის ზედა კარდის ანევასთან, რაც ავიზირობს მიტრალურ ხერხლს და წარმოქმნის ფუნქციური ხასიათის მიტრალურ სტენოზს. ამ დროს გულის მწვერვალზე მოიხმინება პრესისტოლური კრემჩენილ ხასიათის შული. ის შეიძლება ვაჩნდეს აგრეთვე ბოტალის ღია სადინარის და გულის მარცხენაპირივი უკმარისობის დროს. სტილის შული ჩნდება სისხლის მიმოქცევის მცირე ნრეში არტერიული ნეკროზის შედეგად. ის განაპირობებულა ფილტვის არტერიის ხერხლის შევიწრო გაგანიერებით, რომელსაც სარქველები სრულად ვეღარ ხურავენ. სისხლის ნაწილი წნევის ქვეშ ბრუნდება მარჯვენა პარკუჭში, რაც იწვევს დასტოლური ხასიათის შულის ვაჩნება. შული ლოკალიზებულია ფილტვის არტერიის მოსასმენ ნერტილში. აღნიშნული შული ჩნდება მიტრალური სტენოზის დროს. ის აგრეთვე მოიხმინება წინაგულთა პირის ძვილის დეფექტის, პარკუჭთაშუა ძვილის დეფექტის, ეიზენმენდერის კომპლექსის შემთხვევაში. ის პროტო-მეზო დეკრემენდო ხასიათის შულია. კუმპის შულის ისმენენ რევმატიული კარდის მწვერვალში სტადიამ გულის მწვერვალზე. მისი მიზეზია ფუნქციური მიტრალური სტენოზი. ის თითისტარის ფორმის დასტოლური შულია და ხშირად ახლავს გულის III ტონს.

### პერიკარდიუმის ხახუნი

პერიკარდიუმის ხახუნი ისმის გულის ცემის სინქრონულად და პათოგნომურია ფიბროზული პერიკარდიტისათვის. მას ადარებენ ტყავის ახალი ფურცლების ერთმანეთზე ხახუნის დროს წარმოქმნილ ხმაწარმას. ის, ჩვეულებრივ, ჩნდება დაავადების პირველ დღეებში და ქრება, როდესაც პერიკარდიუმის ღრუში გროვდება სითხე. ის არ არის დაკავშირებული სუნთქვისათან, რის მიზეზითაც შეიძლება მისი განსხვავება პლეურის ხახუნისაგან. პერიკარდიუმის ხახუნი მუხუცანია, მუხუცავი ხასიათის,

მალალი სიხშირის ხშიანობა. იცვლის ინტენსიობას, თუკი ავადმყოფი პოხას შეიცვლის, ძლიერდება, როდესაც ის ზის ან წინ არის დახრილი. ის ძლიერდება სტეტოსკოპის გულმკერდზე მიჭერისას. მისი ლოკალიზაცია ვარიაბილურია. ის უკეთ ისმის მესამე ნეკნათა მდამომი მკერდის ძელის მარცხნივ. ზოგჯერ ახასიათებს ირადაიცია.

პლევროპერიკარდული ან ფსევდოპერიკარდული ხახუნი დაკავშირებულია პლევრის იმ ნაწილის ანთებასთან, რომელიც გულთან ახლოს მდებარეობს. ის ისმის გულის მარცხენა კიდესთან და არა მეზოკარდიუმში, როგორც პერიკარდიუმის ხახუნი. პლევროპერიკარდული ხახუნი დაკავშირებულია სუნთქვის ფაზებთან. ძლიერი ამოსუნთქვის დროს სუსტდება ან ქრება, ღრმა ჩასუნთქვისას კი ძლიერდება ან ჩნდება.


ზოგჯერ აღნიშნავენ ე.წ. კარდიო-პულმონური შუილის (სისტოლური სუნთქვის) არსებობას. ის დაკავშირებულია პი-პეტროფორებული და დილატირებული გულის შეკუმშვისას და მისი მოცულობის შემცირებისას გადიდებული გულის ზენონის შედეგად შექმნილი ფილტვის ქსოვილის ახლომდებარე ნაწილის გაზღვრასთან. ფაქტობრივად სისტოლის დროს ისმის ეე-ზოკულური სუნთქვა. კარდიო-პულმონურ შუილს რაიმე დიაგნოსტიკური მნიშვნელობა არ აქვს.

### სისხლის ძარღვების აუსკულტაცია

აუსკულტაციას, ჩვეულებრივ, ახდენენ საძილე, ლეინქევა-მა, ბარდაისი არტერიაზე, მუცლის აორტაზე, საულლე ვენებზე (სურ. 109). სასურველია, აუსკულტაცია შესრულდეს იმ მდამომებში, სადაც კარგად შეიგრძნობა სისხლძარღვთა პულსაცია პალპაციით. აუსკულტაციის დროს მოსასმენ სისხლის ძარღვის სტეტოსკოპი ძლიერ არ უნდა დაჭირებ, რადგანაც სისხლის ძარღვი შეიძლება ამის შედეგად შეიწიროდეს და გაჩნდეს სტენოზური შუილი. არტერიების აუსკულტაციის დროს ისმენენ როგორც ტონებს, ასევე შუილებს. ისინი შეიძლება აღმოცენდნენ როგორც უშუალოდ სისხლძარღვებში, ასევე გატარდნენ აორტიდან და გულის სარქველებიდან.

წინამაშე საძილე და ლეინქევა არტერიის აუსკულტაციის დროს ისმენენ ორ ტონს. პირველი დაკავშირებულია არტერიების კედლის მკვეთრ დაჭიმულობასთან პარკუჭების სისტოლის დროს, მეორე კი ტარდება აორტის სატქელოდან მისი დახუზურის მომენტში. ბარდაისი არტერიაზე, ჩვეულებრივ, ტონები არ მოისმინება, თუცა ზოგჯერ შეიძლება გაჩნდეს ერთი სისტოლური ტონი, რომლის ვენეზიც დაკავშირებულია ბარდაისი არტერიის რევესიან პულსური ტალღის გულის დროს. აორტის სატქელის ნაკლოვანების დროს ბარდაისი არტერიაზე საკმაოდ იშვიათად შეიძლება გაჩნდეს ორი ტონი (ტრაუზეს ორმაგი ტონი). მათი გაჩენა დაკავშირებულია არტერიის კედლის რევესიანთან სისტოლა-დიასტოლის დროს. ამ მანის დროს ბარდაისი არტერიაზე პირველი ტონი გაძლიერებულია.

არტერიული სისხლძარღვების აუსკულტაციის დროს მსუ-ლები არ ისმის. შუილი შეიძლება გაჩნდეს, თუკი არტერიას შეუ-ბუქად მივანებებთ სტეტოსკოპით, რაც ინვეეს მისი სანათურის შევიწროვებას და სისხლის გასვლის დროს ტურბულენტური მოძრაობის გაჩენას. სისტოლური შუილი არტერიებზე შეიძლე-ბა მოვისმინოთ მათი ანევირიზმის, შევიწროვების ენდარტერი-ტის ან ათეროსკლეროზის დროს, აგრეთვე ანემიის შემთხვევა-ში, რაც ინვეეს სისხლის ნაკადის აჩქარებას. შუილები, რომლე-ბიც მოისმინება ფარისებრ ჯირკვალზე თირეოტოქსიკოზის



სურ. 109 არტერიების აუსკულტაციის მდამომები. 1. საძილე არტერია; 2. ხერხეღის არტერია; 3. ლეინქევა არტერია; 4 და 7. მუცლის აორტა; 5. ტორქელის არტერია; 8. საზარდულის არტერია; 9. ბარდაისი არტერია


დროს, აგრეთვე დაკავშირებულია სისხლის ნაკადის აჩქარებასთან. სისტოლური შუილი საძილე და ლეინქევა არტერიებზე კარგად ისმის აორტის ხერხეღის სტენოზის დროს. ისინი გატარებული შუილია. აორტის სატქელის ნაკლოვანების დროს ბარდაისი არტერიაზე სტეტოსკოპის მსუბუქად ზენოლისას ისმის ორი შუილი - სისტოლური და დიასტოლური (დორეო ზეის ორმაგი შუილი). პირველი აღმოცენდება სტეტოსკოპის დაჭე-რის შედეგად შევიწროვებულ არტერიაში სისხლის გასვლასთან დაკავშირებით, მეორე კი დაკავშირებულია სისხლის რევერაგი-ტაციული ტალღის გაჩენასთან დაიასტოლის პერიოდში. მუც-ლის აორტის ანევირიზმის დროს ეპიგასტრიულ მდამომი შუა ხაზის მარცხნივ და ჭოპის მარცხნივ შეიძლება მოვისმინოთ ტლანატი სისტოლური შუილი. ის უკეთ ისმის გამხდარ პიროვნე-ბებში მოღუნებული მუცლის კედლით.

წინამაშე დროს ვენებზე არაფერი მოისმინება. გამოხატული ანემიის დროს საულლე ვენებზე ჩნდება ე.წ. „ბზრიალას შუი-ლი“. ის მუდმივი მხერაფი ან მოზუზუნე შუილია, დაკავშირებუ-ლი ამ დროს სისხლის ნაკადის აჩქარებასთან. ის უკეთ ისმის მარჯვენა საულლე ვენაზე და ძლიერდება ღრმა ჩასუნთქვის და თავის სანაწილადგეო მხარეს მიტარებისას.

აღმაჯალი აორტის ანევირიზმის და მისი ათეროსკლეროზის დროს მკერდის ძელის მარჯვნივ, გულის ფუძეზე მოისმინება სისტოლური შუილი, რომელიც ხშირად საკმაოდ ტლანაქია. შუ-ლი ძლიერდება, თუკი ავადმყოფი ხელს მალა ანეეს და თავს უკან გადახრის.

**არტერიული პულსის გამოკვლევა**

პულსის გამოკვლევა ერთ-ერთი უძველესი და დროის მიერ აღიარებული პრაქტიკული მეთოდია, რომელიც გამოიყენება მედიცინაში. პულსი არის არტერიის კედლის რითმული რხევა, განპირობებული გულის შეკუმშვით. მარცხენა პარკუჭიდან სისხლის რითმული გადასროლა აორტაში იწვევს არტერიული წნევის მერყეობას და წარმოქმნილი რხევა ტალღის სახით სწრაფად გადაეცემა პერიფერიაზე. ხდება არტერიის კედლების რითმული გაფართოება და შევიწროება, რაც პულსის გამოკვლევის საშუალებას იძლევა. წნევის ტალღა ვრცელდება ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე თვითონ სისხლი გადაადგილდება არტერიებში. პულსი არის გულის მუშაობის ინდექსი. არტერიული პულსის გამოკვლევა საშუალებას იძლევა მივიღოთ



სურ. 111 არტერიული პულსის გასინჯვის სქემა


მნიშვნელოვანი მონაცემები გულის მუშაობაზე და სისხლის მოქცევაზე. პულსის გამოკვლევით დგინდება გულის ცემის სიხშირე, მისი რითმი, შეიძლება შეფასდეს არტერიების ელასტიკურობა, მათი რეზისტენტობა, ზოგჯერ ობსტრუქციის არსებობა, საორიენტაციოდ შეიძლება მსჯელობა სისხლის არტერიულ წნევაზე და სხვა.

პულსის გამოკვლევის ძირითადი მეთოდია პალპაცია, თუმცა პულსური ტალღის თავისებურებებზე უფრო ზუსტად და ობიექტურად მსჯელობენ სფიგმოგრაფიის მეშვეობით. პულსის პალპაციას ახდენენ იმ არტერიებზე, რომლებიც ზედაპირულადაა განლაგებული და რომელთა მიჭყვდობა შეიძლება ძვალზე. ჩვეულებრივ, პულსს იკვლევენ სხვიის არტერიაზე - მაჯაზე. საჭიროა აგრეთვე საძილე, იდაყვის, ბარძაყის, მუხლქვეშა, დიდი წვივის უკანა და ტერფის ზურგის არტერიების პალპაცია (სურ. 110).

პულსს ავადმყოფის მარჯვენა სხვიის არტერიაზე ექიმი სინჯავს მარცხენა ხელით, მარცხენა სხვიის არტერიაზე კი - მარჯვენა ხელით. ექიმის ცერი თავსდება ხელის მტევნის ზურგზე იდაყვის მხარეს ფიქსაციისათვის, ხოლო მეორე და მესამე (შეიძლება მეორე-მეოთხე) თითები კი - წინამხარის ზედაპირზე. სხვიის არტერიის პალპაცია ხდება ცერის ფუძესთან. თითის ბალიშებით აწევიან სხვიის არტერიას პულსაციის შეგრძნებამდე (სურ. 111). როდესაც შეიგრძნობენ არტერიას, მასზე უნდა მოახდინონ თანდათანობითი ზეწოლა და მიაჭირონ ის სხვიის ძვალზე და შემდეგ თანდათანობით შეამცირონ ზეწოლა, რაც საშუალებას იძლევა უკეთ შეიგრძნონ მისი თვისებები. პულსური ტალღა შეიგრძნობა, როგორც არტერიების გაგანიერება. პულსური ტალღის სიდიდე ერთ ხელზე შეიძლება იყოს უფრო დიდი, ვიდრე მეორეზე - ლაპარაკობენ განსხვავებულ პულსზე (p. differens). ის არის სისხლძარღვთა ანომალიის, მათი შევიწროების, სიმსივნური ზენოლის შედეგად აორტაზე და ზევით მდებარე არტერიებზე და სხვა. ამიტომ სასურველია, პულსი შეიმოწმდეს ორივე სხვიის არტერიაზე ერთდროულად.

იდაყვის არტერიაზე პულსის გასინჯვისას ავადმყოფს ხელი ოდნავ უნდა მოვახრევიანოთ იდაყვში, დავაფიქსიროთ ის მაჯაში და საწინააღმდეგო ხელის (მარჯვენა ხელით მარცხენა ხელზე და პირიქით) ცერით მოვახდინოთ პალპაცია. პალპაცია სრულდება ბიცეფსის მყესის ოდნავ მედიალურად.

საძილე არტერიების პულსი უნდა შეფასდეს სფეროთხილით, ცალ-ცალკე მარცხნივ და მარჯვნივ. მარჯვენა ხელით ხდება ავადმყოფის მარცხენა, ხოლო მარცხენა ხელით - მარჯვენა საძილე არტერიის პალპაცია. პულსაცია უკეთ შეიგრძნობა ცერით. ავადმყოფი, სასურველია, იწვეს და თავი ოდნავ ქონდეს წამოწეულ (30-ის ფარგლებში). პალპაცია სრულდება ხელული



სურ. 110 არტერიული პულსის პალპაციის მოდამოები. 1. საძილე არტერია; 2. მხრის არტერია; 3. სხვიის არტერია; 4. ბარძაყის არტერია; 5. მუხლქვედა არტერია; 6. დიდი წვივის უკანა არტერია; 7. ტერფის ზურგის არტერია

კარტიდული პულსაციის მიდამოში - მკერდ-ლავინ-დერილისებრი კუნთის მედიალურად, ზეწოლა დასაწყისში უნდა მოვადინოთ მსუბუქად, რომ არ დაქვეითდეს თავის ტვინის სისხლით მომარაგება და არ გამოიწვიოს კაროტიდული რეფლექსი, რის გამოც შეიძლება მნიშვნელოვნად შენედეს გულის ცემა (ზოგჯერ გაჩერდეს კიდევ) და მკვეთრად დაქვეითდეს არტერიული წნევა; ამ დროს ავადმყოფს კლინიკურად შეიძლება ვახვითარდეს თავბრუ, გულის ნასვლა, კრუნჩხვები. საძილე არტერიების დაქვეითებული პულსაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს გულის შემცირებულ სისხლურ მოცულობასთან, აგრეთვე არტერიების ლოკალურ ცვლილებებთან, მათ ათეროსკლეროზულ შევიწროებასთან და ოკლუზიასთან (ცხრილი 25).


ცხრილი 25

საძილე არტერიის და სასულე პეინის პულსაციის თავისებურებაები

საძილე არტერია	სასულე ვენა
პალსაცია კარდ ხრზდება	პალსაცია ხშირად არ ხრზდება
მუერნობა ძლიერ დარცხმა ერთი დაღებთა კომპონენტით	რბოლა პალსაციის დროს, ჩვეულებრუ მუერნობა 2-3 ტალღის კომპონენტით
ჩასუნთქვა არ მოქმედებს პულსაციაზე	პულსაცია ჩასუნთქვისას სუსტდება
სხეულის მდებარეობის შეცვლა არ მოქმედებს პულსაციაზე	პულსაცია იცვლება სხეულის მდებარეობის შეცვლისას

ბარდაყის არტერიის პულსაცია ისინჯება სახარდლის მიდამოში, უკეთ - თუკი ბარდაყი გაჭიმულია და ოდნავ არის მოტრიალებული გარეთ. თუკი ორივე ბარდაყის არტერიაზე არ ისინჯება პულსი, საეჭვოა, ხომ არ არის მობლიტირაცია აორტის ბიფურკაციის დონეზე - ლეროზის სინდრომი და მოინახოს აღნიშნული პათოლოგიის სხვა ნიშნები, მაგალითად, ორივე ქვედა კიდურის აბოლია და სიფერქროთავ, ერექციის დაზღვევა.

მუხლქვემა არტერია ისინჯება მუხლქვემა ფოსოში (სურ. 112). უმჯობესია, ამ დროს ავადმყოფი მუცელზე იწეს. დიდი ნევის უკან არტერიის პალსაცია სრულდება მედიალური გოჯის უკან. ტერფის ზურგის (დორსალური) არტერიები ისინჯე-



სურ. 112 არტერიული პულსის გასინჯვა მუხლქვემა არტერიაზე

ბა ტერფის დორსალურ ზედაპირზე. ბოლო ორი არტერიის პულსაციის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს მამობლიტირებული ენდარტერიტის დაგნოსტიკაში. მისი შესუსტება ან გაქრობა არის მამობლიტირებული ენდარტერიტის ან არტერიების ათეროსკლეროზული შევიწროების ნიშანი.

პულსის შეფასებისას პალსაციით დგინდება მისი სიხშირე, რითმი, პულსური ტალღის თავისებურებები, არტერიის კედლის მდგომარეობა (ცხრილი 26).

პულსის თავისებურებაები

სიხშირე - ხშირი (p.frequens)	შიშვითა (p.rarus)
რითმი - რითმული (p.regularis)	არიტმული (p.irregularis)
დაჭიმულობა - დაჭიმული (p.durus)	რბილი (p.mollis)
სიდიდე - დიდი (p.magnus s.allus)	მცირე (p.parus s.humilis)
ფორმა - სწრაფი (p.celer)	გვიანი (p.tardus)

თუკი პულსი ნორმალური სიხშირისა და რითმულია, საკმარისია, ის დაეთვალირო 30 წამის განმავლობაში და მიღებული ციფერი გავამრავლოთ ორზე. თუკი არქარტებული ან შენელებულია, ან არითმულია, მაჯის დათვლა ხდება 60 წამის განმავლობაში.

სიხშირე. მოზრდილის პულსის სიხშირე არის 60-84 წუთში, როდესაც პულსი არის 90 და მეტი წუთში, ვლასარაკობთ ხშირ პულსზე (p.frequens) - ტაქსიფემიაზე, როდესაც ის არის 59 და უფრო იშვიათი ერთ წუთში - იშვიათი პულსზე (p.rarus) - ბრადისფემიაზე. ჩვეულებრივ, ტაქსიფემია - ტაქიკარდიის, ბრადისფემია კი - ბრადიკარდიის შესატყვისია.

მაჯის გახშირება ვითარდება ვარჯიშის შედეგად. ის ჩქარდება აგრეთვე ალკოჰოლის დროს. ამიტომ ექიმმა მაჯის გასინჯვის დროს, სანამ მას დაითვლის, უნდა დაიცადოს 2-3 წუთი, რომ ავადმყოფი დაწყნარდეს. მაჯა ხშირდება ცხელებით მიმდინარე უმრავლესი დაავადების დროს (დაახლოებით 8 დარტყმა ტემპერატურის თითოეულ ერთეულზე). შედარებით ბრადიკარდია არის მუცლის ტვინის დროს. ტაქიკარდია აღინიშნება ანემიების, მისი პერიოდის, თირკმლის ქოქოსის, დეჰიდრატაციის, მოკარდემიის დაავადებების შემთხვევაში. განსაკუთრებით არის მაჯა გახშირებული პაროქსიული ტაქიკარდიის დროს, როდესაც მისი რიცხვი წუთში 140-200-ს აღწევს.

ბრადიკარდია არის ნაყარჯოშებ პიროვნებებში, ვაგოტონიკებში. ის აღინიშნება მიქსედემის, სიცივლის, ათეროსკლეროზის შემთხვევებში, გრიპის და ანემიონის შემდეგ რეკონვალესცენციის პერიოდში, ინტრაკრანიალი წნევის მატებისას (ტვინის სიმსივნეები, მენინჯიტი). ბრადიკარდია დამახასიათებელია სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადისათვის. ამ დროს გულის ცემის სიხშირე შეიძლება 40-ზე ქვევითაც იყოს. ბრადიკარდია ვითარდება სათითურას პრეპარატებით და ზოგიერთი სხვა მედიკამენტით მკურნალობისას.

სინუსური კეანძის სისუსტის სინდრომის დროს („sick sinus syndrome“) არის ტაქიკარდიის და ბრადიკარდიის პერიოდული მონაცვლეობა.

რითმი

თუ პულსური ტალღა დროის თანაბარი ინტერვალებით წარმოიქმნება - მაჯა არის რითმული (p.regularis). ნორმის დროს, უპირატესად ბავშვებში, შეიძლება აღინიშნოს ე.წ. სუნთქვითი ან სინუსური არითმია - ჩასუნთქვისას მაჯა ხშირდება, ამოსუნთქვისას კი იშვიათდება. ის რაიმე პათოლოგიაზე, ჩვეულებრივ, არ მიუთითებს. თუკი პულსური ტალღები აღინიშნება დროის არათანაბარი ინტერვალებით, მაჯა არითმულია (p.irregularis). არითმული მაჯის პალსაციისას შეიძლება შევჯერძნოთ ცალკეული პულსური ტალღის გამოვარდნა ან მათი ადრეული გაქრვა, რაც დამახასიათებელია ექსტრასისტოლისათვის. ექსტრასისტოლური არითმია - გულის ნაადრევია შეტეშვება (ან მხოლოდ პარკუჭების, ან ნიზავლებების) დიასტოლური

პაუზის დამთავრებამდე. ექსტრასისტოლიის შემდეგ პარკუჭების დიასტოლური პაუზა ვრძელდება უფრო დიდხანს ნორმულ დიასტოლურთან შედარებით - კომპენსატორული პაუზა. პულსის ალბაციოსთან ან დროს ორი პულსური დარტყმა სწრაფად სდგეს ერთი-მეორეს, შემდეგ კი ჩნდება შედარებით დიდი დროის მერე. თუ ექსტრასისტოლური შეკუმშვები რეგულარულად აღიწინებენ თითოეული ნორმალური შეკუმშვის შემდეგ, ლაპარამონტ ბიგემინიაზე (p. bigeminus), თუ ყოველი ორი ნორმალური შეკუმშვის მერე - ტრიგემინიაზე (p. trigeminus) და ა.შ. გულის არასრული ბლოკადის დროს, როდესაც დარღვეული იმპულსების გატარება ატრიოვენტრიკულური კვანძის დონეზე, შეიძლება აგრეთვე განვითარდეს არითმიული პულსი. თითოეული მომდევნო პულსური დარტყმა აღინიშნება უფრო ხანგრძლივ დროის შემდეგ, ბოლოს კი ერთი პულსური ტალღა სულ ვარდება. პულსის განსწვავის შეიძლება დადგინდეს მოციმციმე არითმიის არსებობა. ამ დროს პულსური ტალღები ჩნდება დროის არათანაბარი მონაკვეთების შედეგად.

მაგის მიხედვით, შეიძლება ვიშკულოთ რომის დარღვევაზე. მაგრამ ის უკეთ აღინიშნება გულის აუსკულტაციის დროს. გულის ცემის სიბშირე არითმიის დროს უნდა შეფასდეს გულის აუსკულტაციით, რადგანაც ექსტრასისტოლური დარტყმების და მოციმციმე არითმიის დროს ყველა პულსური ტალღა არ გადაცემა ხშირად პერიფერიაზე და პულსის სიბშირე შეიძლება არ შეფარდებოდეს გულის ცემის სიბშირეს.

არითმიული შეკუმშვისას პარკუჭების ზოგიერთი სისხლად შეიძლება ისეთი უსტიც იყოს, რომ სისხლს არატყმა გადავიდეს ძალიან მცირე რაოდენობით ან სულ არ გადავიდეს და პულსური ტალღა ვერაფერად მსჯულობენ არტერიულად. სხვათადა გულის შეკუმშვის რიცხვსა და პულსური ტალღის რიცხვს შორის ერთ ნაწილს არის პულსის დეფიციტი.

არითმიის არის ზუსტი გამოფერა ხდება ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევით.

### პულსური ტალღის თავისებურებები

პულსური ტალღის თავისებურებების დასადგენად პალპაცია უფროებსა ჩატარებს საძილე ან იდაყვის არტერიებზე. პულსური ტალღის ხასიათი ძირითადად დამოკიდებულია: ა. მარცხენა პარკუჭის სისტოლური მოცულობის სიდიდზე, ბ. პარკუჭებიდან სისხლის განხევვის ხანგრძლივობაზე, გ. წნევის დაქვეითების სისწრაფაზე, დ. სისხლის ძარღვების კედლის მდგომარეობაზე და მათ ტონუსზე. პულსური ტალღის თავისებურებების მიხედვით, არჩევენ პულსის დაჭიმულობას, სიდიდეს და ფორმას. ზოგიერთები მსჯულობენ პულსის აესებაზეც.

პულსის დაჭიმულობა ფასდება იმ ძალით, რომელიც საჭიროა, რომ ექიმმა გამოიყენოს არტერიის სრული მოჭყულებსათვის ძეაღზე, ის დაკავშირებულია არტერიული წნევის (ძირითადად დიასტოლური) სიდიდესთან. რაც უფრო მეტია არტერიული წნევა, მით უფრო მეტა ძალისხმევაა საჭირო არტერიის მოსაჭყულებლად. ამდენად არჩევენ დაჭიმულ ან მაკარ პულსს (p. durus), რომელიც არის მაღალი არტერიული წნევის დროს. რბილი პულსი (p. mollis) დამახასიათებელია დაბალი არტერიული წნევისათვის და გვხვდება აგრეთვე მწვავე ინფექციური დაავადებების, სეფსისის დროს.

პულსის სიდიდე სისხლის იმ რაოდენობის პირდაპირპროპორციულია, რომელსაც გული გადაიხვინოს პარკუჭების სისხტოლის დროს და არტერიული კედლის დაჭიმულობის ხარისხის

უკუპროპორციულია. ამდენად, პულსის სიდიდე გარკვეულად წნევის ამპლიტუდის, ე.ი. სისტოლური და დიასტოლური წნეების სიდიდესთან შორის სხვაობის მარცხენა პარკუჭზე დიდ და მცირე პულსს. დიდი პულსის დროს წნევის ამპლიტუდა, რასაკვირველია, დიდი, მცირე პულსის დროს - მცირე.

დიდი პულსი (p. magnus) ხასიათდება არტერიების მნიშვნელოვანი ვიზუალიზით. ის ვითარდება გულის დარტყმით მოცულობის მყარი ან დროებითი მოცულობის და წნევის დიდი ამპლიტუდის შემთხვევაში და აღინიშნება აორტის სარტყლის ნაკლოვანების, მიკროთირეოზის, ბრადიკარდიის, ფიზიკური დატვირთვის, საკვების დიდი რაოდენობით მიღების დროს. ის ვითარდება აგრეთვე არტერიული კედლის დაჭიმულობის დაქვეითებისას, მაგალითად, ცხელების დროს.

მცირე პულსი (p. parvus) ვითარდება მარცხენა პარკუჭის მცირე დარტყმითი მოცულობის და წნევის მცირე ამპლიტუდის შედეგად და აღინიშნება არტული ხერვლის სტენოზის, მიკრალური ხერვლის სტენოზის, მიოკარდიუმის ინფარქტის შედეგად განვითარებული გულის მწვავე უქმარობის, გულის შორსნასული ქრონიკული უქმარობის, მოციმციმე არითმიის დროს, აგრეთვე პერიფერიული სისხლის მიმოქცევის უქმარობისას - გულის ნასვლა, კოლფი. ძალიან მცირე და რბილი პულსი, რომელიც ხშირად აჩქარებულიც არის, „ძფისებური პულსის“ (p. filiformis) სახელწოდებითაა ცნობილი. ზოგჯერ მცირე პულსი შეიძლება განვითარდეს მარცხენა პარკუჭის ნორმალური დარტყმითი მოცულობის დროსაც, თუკი არტერიული კედლის დაჭიმულობა მატოვებს. აღნიშნული ვითარდება არტერიული მიკრატენიზის და სიცვის დროს განვითარებული სისხლძარღვთა შევიწროების შედეგად.

პულსის სიდიდის მიხედვით სხვის არტერიაზე არ შეიძლება მივიღოთ აბსოლუტურად სრული წარმოდგენა გულის კუნთის ფუნქციურ მდგომარეობაზე. ასე, მაგალითად, ავადმყოფებს აორტის სარტყლის ნაკლოვანებით შორსნასული გულის უქმარობის დროსაც კი არცთუ იშვიათად აღინიშნება „დიდი პულსი“. ასევე დიდი პულსი ცხელების დროს ყოველთვის არ მიუთითებს გულის კარგ მდგომარეობაზე. მეორეს მხრივ, მცირე პულსის მიხედვით ყოველთვის სწორი არ არის მსჯულობა გულის სისუსტეზე“, როგორც ეს ხშირად არის მარტყობაში.

გულისსხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადებისათვის დამახასიათებელია პულსის სიდიდის განსხვავება ზედა და ქვედა კიდურებზე. აორტის კოარქტაციის (ყველის შევიწროება) დროს პულსური ტალღა ზედა კიდურების არტერიებზე (შრის) და იდაყვის არტერიებზე) დიდდება ან ნორმალურია, ქვედა კიდურებზე კი მნიშვნელოვანდ მცირდება. ტაკაიასის დაავადების (აორტო-არტერიოტი, „პულსის არარსებობის დაავადება“) შემთხვევაში პულსი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს და ხანგრძლივად ვერ შეეცოდნით რომელიმე კიდურზე. ამ დროს ვითარდება აორტის რკალიდან გამომდინარე მსხვილი სისხლძარღვების - საძილე, ილლის ქვედა, იდაყვის და სხვის არტერიების მათოლიტირებელი არტერიოტი, რის გამოც აღნიშნული სისხლძარღვებზე მცირდება ან თავსებით ქრება პულსიცა.

სუსტობა პულსის აესებაზე, ცნობილი კარდიოლოგის, ე.ი. პლენუსის მიხედვით, არ არის სწორი. მისი აზრით, არ არსებობს „კარგი აესება“ (p. plenus) და „ცუდი აესება“ ან „ცარიელი“ პულსი (p. vacuus, p. inanis), რადგანაც არტერიული პულსი არტერიის მოცულობას კი არ ასახავს, არამედ - მის მგინთ წნევის ცვალებადობას. ჩვეულებრივ, ამ დროს ლაპარაკია დიდ ან მცირე პულსზე.

პულსის ფორმაზე მსჯელობენ მისი ტალღის ხასიათის მიხედვით - აღმაჯალი ნაწილის სიჩქარე, მწვერვალის ხანგრძლივება, დაღმავალი ნაწილის სიჩქარე. არჩევენ სწრაფ და ნელ პულსს. სწრაფი პულსი (p.celer, - კარფიას პულსი, „water-hammer pulse“, „collapsing pulse“) ხასიათდება პულსური ტალღის სწრაფი ანეითი და უცვარად დავარდნილი, რომელიც ამის შედეგად პალპაციის დროს შეგრძობნობა ძალიან ხანმოკლე დროს განმავლობაში. ექიმს აქვს ძლიერი, ხანმოკლე, მკვეთრი დარტყმის შთაბეჭდილება, განსაკუთრებით მაშინ, როცა პულსური ტალღა ერთდროულად მაღალიც არის (p. altus). პულსური ტალღის ხანგრძლივობა ხანმოკლეა (p.brevis), ის კარგად ჩანს სფიგროგრაფიაზე. სწრაფი პულსის ვარჯის ხელს უწყობს სისტოლურ და დისტოლურ წნევებს შორის დიდი სხვაობა, რომელიც აღემატება ვნ.ყ.ს. 60 მმ. სწრაფი პულსი ძალზე დამახასიათებელია აორტის სარქველის ნაკლოვანებისათვის, განსაკუთრებით, თუკი მას ერთვის ტაქიკარდია და პულსური ტალღის სიმაღლის მატება. ამბობენ, რომ ამ დროს ვაკუეს სწრაფი, მაღალი და ხშირი პულსი (p.celer, altus et frequens). პულსური ტალღის სწრაფი ანეცა და მკვეთრი დაქვეითება, მისი დიდი ამპლიტუდა და დროს აისხნება სისტოლის დროს აორტაში სისხლის დიდი რაოდენობის გადასრლილი და დასატოლის დროს სისხლის მნიშვნელოვანი რაოდენობის რეგურგიტაციით აორტიდან მარცხენა პარკუჭში. სწრაფი პულსი შეიძლება განვითარდეს აგრეთვე თირკეთი-ტოქსიკოზის, ცხელების, ანემიის, ტაქიკარდიის დროს. ის აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის, ათეროსკლეროზის, სრულ ატროფიენტრიკულური ბლოკადის, ბოტალიუსა და სანდინარის, არტერიულ-ვენური ანასტოზოზების დროს.

გვიანი პულსი (p.fardus) ხასიათდება გახანგრძლივებული პულსური ტალღით. ის თითო მიგრძობნობა უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვიდრე წინააღმდეგობა, პულსური ტალღა ნელა არჩევს და ნელა ჩამოდის ქვემოთ. გვიანი პულსი, ჩვეულებრივ, მცირე სიდიდისაა და დაბალია (p. humilis). გვიანი პულსი დამახასიათებელია აორტის ხერლის შევიწროვებისათვის და არტერიების მკვეთრი სკლეროზისათვის, აგრეთვე ვარჯიერებელი მიტრალური სტენოზისათვის. თუკი აორტის ხერლის შევიწროვება და სარქველის ნაკლოვანება ვითარდება ერთდროულად, პულსი შეიძლება ჰქონდეს ორი ტალღა - მისფერული პულსი.

ცალკე განიხილავენ აგრეთვე პარადოქსულ პულსს (p.para-doxus), ალტერნაციულ პულსს (p.alternans) და დიკროტიულ პულსს (p.dicroticus).

პარადოქსული პულსი დაკავშირებულია სუნთქვასთან. ჩასუნთქვის დროს პულსური ტალღა ქვეითდება, ამიტომ მას ასახიათებს სხვადასხვა სიდიდის ტალღები, ზოგჯერ კი პულსური ტალღის გაქრობაც კი. პალპაციით პარადოქსული პულსის დადგენა ძნელად ხერხდება. ამიტომ მას ადგენენ სისხლის არტერიული წნევის გაზომვით კორონარტოის მიხედვით. წინააღმდეგობის ჩასუნთქვისას არტერიული წნევა ქვეითდება ვნ.ყ.ს. 5 მმ-მდე. პარადოქსული პულსის დროს სისხლის არტერიული წნევა ქვეითდება ვნ.ყ.ს. 10 მმ-ით და მეტად. ის არის მასიური ექსტრადიკური პერიკარდიტის, კონსტრუქციული პერიკარდიტის, გულის ტემპონადის, ფლტების არტერიის თრომბოემბოლიის, აგრეთვე შუასაყარის სიმსივნეების დროს. პარადოქსული პულსი განპირობებულია ჩასუნთქვის დროს გულის აესკების შევიწროვებით, მსხვილ ვენებზე ზეწოლის გამო.

ალტერნაციული პულსისათვის დამახასიათებელია დიდი და მცირე პულსური ტალღების შენაცვლება. ის უკეთ შეიგრძობნობა, როდესაც ავადმყოფი ზის ან ფეხზე დგას. გვახდება

ასაკოვან პიროვნებებში მოკარდიუმის დაზიანებით და გულის უკარისობის კარდინალური ნიშნია. ალტერნაციული პულსს ხშირად თან ახლავს პარკუჭოვანი გალოპი. ის უნდა გაირჩეს ბიკემინური პელსისაგან. ორივე შემთხვევაში პულსის აესკება სხვადასხვაა, მაგრამ ალტერნაციული პულსი რითმულია, მაშინ როდესაც ბიკემინის დროს პულსი არითმულია. ალტერნაციული პულსი გულის უკნის მძიმე და ზიანების შედეგად და გინიხილება, როგორც პროგნოზულად არაკეთილსამიშველი ნიშანი.

დიკროტიული-ორმატე პულსზე ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც პულსის მთავარ ტალღას მოსდევს პალპაციით შესაგრძობნობი მცირე მცირე (დიკროტიული) ტალღა. წინააღმდეგობა და არის მხოლოდ სფიგმოგრაფიაზე. დიკროტიული პულსი აღინიშნება პერიფერიული არტერიების ტონუსის დაქვეითებისას მაღალი ტემპარატურით მიმდინარე ინფექციური დაავადებების დროს.

### არტერიის კედლის შეგრძობნობა

წინამდებარე სხივის არტერია შეგრძობნობა როგორც წერილი, ელასტიკური მილი. ათეროსკლეროზის დროს ის მკვეთრი ზონარითაა, დაკლავილია, ცუდად იკუმშება, შეიძლება არ პულსირდებდეს, აღინიშნება ადგილობრივი გამკვეთრებები. ზოგჯერ სკლეროზულ სხივის არტერიას ადარებენ მარგალიტის მძივებს და ბეჭდვითური შემსხვილებების გამო ბატის ყელს (Gansegurglelerie - გერმან.). პალპაციით არტერიების გამკვეთრება შეიძლება ინახოს სხვა მიდამოებშიც.

### არტერიული წნევის გაზომვა

თითოეული შეკუმშვისას მარცხენა პარკუჭი აეთიარებს ვარკვეულ წნევას და გადაისერის სისხლს აორტაში, საიდანაც ის გადადის არტერიოლებში. წნევის ტალღა აორტის და მსხვილი არტერიების ჭიმადობის შედეგად სწრაფად ვრცელდება არტერიულ სისტემაში. გულვიდან გადასრლილ სისხლს ხედავს იმ არტერიების კედლების და სისხლის მათის წინააღმდეგობა, რომლებიც ავსებენ სისხლძარღვთა სისტემას. რაც ნაკლებად ელასტიკურია არტერიის კედლი, მით უფრო მეტი წინააღმდეგობის გადალახვა სჭირდება გულს სისხლის გადასადენად არტერიულ სისტემაში და მით უფრო მეტია სისხლის წნევის მატება არტერიებში სისტოლის დროს. დასატოლის დროს სისხლის მოძრაობა სისხლძარღვებში განპირობებულია მათ სხვადასხვა მონაკვეთში წნევის სხვაობით. არტერიების ვაჭიმული ელასტიკური სისხლები, ბრუნდება სა საწინა მდგომარეობაში, აგრძელებს სისხლის ვანცეფსას არტერიოდან არტერიოლებში, კაპილარებში და ვენებში, რაც ქმნის სისხლის უწყვეტ დინებას. ამდენად, სისხლის წნევის შენარჩუნებას არტერიულ სისტემაში ხელს უწყობს არტერიების კედლების ელასტიკურობა და არტერიოლების წინააღმდეგობა.

თანამედროვე მუხედვლებით, არტერიული წნევის სიდიდე განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით - ძირითადად მარცხენა პარკუჭის დარტყმით მოცულობით და პერიფერულ სისხლძარღვთა რეზისტენტობით, უპირატესად არტერიოლებში დონეზე, აგრეთვე აორტისა და მსხვილ არტერიების ჭიმადობით, არტერიულ სისტემაში არსებული სისხლის რაოდენობით და სისხლის ნეოზებებით. აღნიშნული ფაქტორების ცვლილებები მოქმედებს და ცვლის სისხლის სისტოლურ და დისტოლურ წნევის ან ორივეს.



სისხლის წნევა ყველაზე მაღალია მარცხენა პარკუჭის სისხლის დროს, ამიტომ მას სისტოლური ან მაქსიმალური წნევა ეწოდება. მარცხენა პარკუჭის დისტოლის დროს წნევა ქვეითდება და მას დიასტოლური ან მინიმალური წნევა ეწოდება.

არტერიული წნევის გაზომვის მონაცემების მიხედვით მსჯელობენ გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე.

არტერიულ წნევის სინჯად პირდაპირ და არაპირდაპირ ვითვლიან. პირდაპირ გასწვრივის წესში ან კანლა, რომელიც შეერთებულია მანომეტრთან, შეყავით უშუალოდ არტერიამი. ეს მეთოდი ძირითადად კარდიოქიურგიაში გამოიყენება.

არტერიული წნევის არაპირდაპირი გაზომვისას იყენებენ სამ მეთოდს - აუსკულტაციურს, პალპაციურს და ოსცილოგრაფიულს. ყოველდღიურ საეიქომი პრაქტიკაში ყველაზე მეტი გავრცელება მოიპოვა აუსკულტაციურმა მეთოდმა, რომელიც მონიშნულია ნ. კოროტკოვის მიერ 1905 წელს და საშუალებას იძლევა გაიზომოს როგორც სისტოლური, ასევე დისტოლური არტერიული წნევა. წნევის გასაზომად ხმარობენ ანეროიდულ ან ვერცხლისწყლის ტიპის ვიზომობაზომეტრს. იმის გამო, რომ ხანგრძლივი ხმარებისას ანეროიდული სფერომანომეტრები ხშირად იძლევა არასწორ პასუხს, საჭიროა პერიოდულად მათი კალიბრება.

არტერიული წნევის საზომ ერთეულად SI სისტემაში მიღებულია კილოპასკალი (კპა, KPa), რომელიც ჩვენში ვერჯერობით ვერ დაეკვიდრა. უსაზომესად წნევის დონე გამოიხატება ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლით მილიმეტრებში (წყ. სვ. მმ). ვწყ. სვ. 1 მმ = 0,133 კპა; 1 კპა = ვწყ. სვ. 7,5 მმ. SI სისტემაში გადასაყვანად მილიმეტრებით გამოხატული ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლე უნდა გაზარდოს 0,133-ზე; მიიღება წნევის სიდიდე კილოპასკალებში. მაგალითად: ვწყ. სვ. 100 მმ = 100x0,133=13,3 კპა. პირუკუ გადასაყვანად კილოპასკალების მარეზნებელი მრავლდება 7,5-ზე. მაგალითად: 10 კპა = 10x7,5=წყ. სვ. 75 მმ.

არტერიული წნევა, ჩვეულებრივ, იზომება მხრის არტერიაში, მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში (უპირატესობა უკანასკნელს ეძლევა). წნევის გაზომვამდე აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ფაქტორები, რომელთა შედეგად განაპირობებს წნევის დროებითი მომატება და, აქედან გამომდინარე, გამოკლევის ცრუდადებითი შედეგები. ენება: საკეების მოღება წნევის გაზომვამდე 30 წუთის განმავლობაში, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის, ყავის ან მაგარი მარილისა და სხვა პროცედურამდე; პაციენტის შინაგანი დაძაბულობა; საუბარი წნევის გაზომვის დროს; ფიზიკური დატვირთვა; გარემოს დაბალი ტემპერატურა; გადაცემული შარბის ბუბტი; ტკივილი; ხანური ზოგიერთი მედიკამენტის მოქმედების ფონი (სტროგენები, გლუკოკორტიკოიდები, ადრენერგიული პრეპარატები, მათ შორის ცხვირში ან თვალში ჩასანთებელი). წნევა შეიძლება შეიცვალოს დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდშიც.

ზემოაზოთილილი ფაქტორები შექმლისდაგვარად თავიდან უნდა იქნეს აცილებული. თუ ეს ვერ მოხერხდა, საჭიროა ამბულატორიულ ან სტაციონარულ პარამში სათანადო აღნიშვნის გაკეთება.

გარდა ზემოხსენებულისა, წნევის გაზომვის დაწვავამდე აუცილებელია: ამბულატორიულ ან სტაციონარულ პარამში აღინიშნოს, რა მდგომარეობაში (მწოლიარე, მჯდომარე) და რა დროს (თარიღი, საათი) სრულდება გამოკლევა; პაციენტი მოხერხებულად მოეწყოს საწოლზე ან სკამზე; თავისუფლად იწვეს ან იჯდეს სულ მცირე 5 წუთის განმავლობაში მხარზე შე-

მოხვეული მანევითი (კიდური იზომებრიულ დატვირთვის არ უნდა განიცდიდეს); მანევების სიგანე შეესაბამებოდეს კიდურის ზომას (თითქმის მთლიანად უნდა ფრიადეს მხარს); შემოხვეულ მანევებს და კიდურის ზედაპირის შორის თავისუფლად თავსდება ერთი თითი; ძალიან მოჭერილ, ან მოფარულბულ-მა მანევებმა შეიძლება მოგვეცეს არასწორი მაღალი შედეგები. პალპაციით განისაზღვროს არტერიის საპროექციო არ შემოხვეული მანევების დისტალურად. პაციენტის მკლავი თავისუფალი უნდა იყოს ტანსაცმლისაგან და ისე მოთავსდეს, რომ იდაყვის არტერია იყოს გულის დონეზე. თუკი ავადმყოფი მის, მან ხელი უნდა მოათავსოს მაგიდაზე, თუკი ის ფეხზე დგას, ზის სიკლავი საჭირო დონეზე უნდა დაიკავოს ექიმმა. თუკი იდაყვი არტერია ბევრად დაბალია ანაი გულის დონიდან, შეიძლება მივიღოთ ცრუ მაღალი წნევა.

წნევის გაზომვად, პაციენტის მხრის გარემომხრეობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია სხვადასხვა ტიპის მანევების გამოყენება.

ძალიან მოკლე, ან ვიწრო მანევითი შეიძლება მივიღოთ ცრუ მაღალი მარეზნებული. ასევე, თუკი გამოიყენებთ ჩვეულებრივ მანევებს ძალიან მსუქან პაციენტებზე, შეიძლება არასწორად დავესვათ მიპრეტენზიის დიაგნოზი.

მანევები პაერის ჩატუმებისა აუცილებელია პულსის კონტროლი იდაყვის ან სხვის არტერიაზე. წნევის, ჩვეულებრივ, ზომავენ მხრის (abradial) არტერიაზე, რომელიც არის ბიციფსის მყვის მედალურად. არტერია იძებნება პალპაციით და მასზე თავსდება მანევების გასატარი ნაწილის ცენტრი. მანევების დაბალი კიდ უნდა იყოს იდაყვის ნაკეციდან 2,5 სმ-ით ზეით. უნდა დადგინდეს სისტოლური წნევის დონე პალპაციით. შემდეგ საჭიროა მანევებმა პაერის სწრაფად დატუმბვა პულსის გაქრობამდე. ამის შემდეგ უნდა დაიტუმბოს იმდენი პაერი, რომ წნევის მარეზნებელმა მოიმატოს დიდ ვწყ. სვ. 30 მმ. ეს შესაძლებლობას იძლევა მანევტიდან პაერის გამოშვებისას თავიდან ავიცილოთ ე.წ. „მუნჯი ზონის“ („ჩაკადინის“) ფენომენით გამოწვეული შეცდომა. „მუნჯი ზონის“ ფენომენი ნიშნავს შემდეგ: არტერიული წნევის გაზომვისას აუსკულტაციური მეთოდის არტერიული მიპრეტენზიის დროს ზოგჯერ ტონები ქრება აღმოცენების შემდეგ, ხოლო მანევებმა წნევის შემდგომი დაქვეითებისას კვლავ მოისმის. მაგალითად, პირველი ტონი მოისმინება 190 მმ-ზე, კრება 170 მმ-ზე და კვლავ გამოჩნდება 150 მმ-ზე. აუ შემოხვევაში, თუ გაზომვისას მანევტი წნევა მხოლოდ 160 მმ-მდე აღინა, სისტოლური წნევის სიდიდე მცდარად შეფასდება - 150 მმ-ად ნაცლად 190 მმ-ისა. თუკი ვაკეცს აუსკულტაციით „მუნჯი ზონა“, რეკომენდებულია მიღებული მონაცემები მოეყვანოთ სრულად (მაგ. 190/100, მუნჯი ზონა 170-დან 150-მდე). თუ სხვის არტერია პალპაციით შეიგრძნობა პულსაციის გაქრობის შემდეგ (ოსლორის სიმტობი), მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს სისხლძარღვების კალციფიკაციით გამოწვეული „ფსევდომიპრეტენზიის“ შესაძლებლობა (კალციფიკირებული სისხლძარღვები მანევების ზენურით არ იჩვენება).

ტონების მოსაძენად სტეტოსკოპის მილძაბრა თავსდება გამოსაკლევე არტერიაზე მანევების დისტალურად (კოროტკოვის ტონები დაბალი სიხშირისა და ისინი უკეთ ისმის სტეტოსკოპის მილძაბრაში). მანევტიდან პაერის გამოშვება ნელა უნდა მოხდეს, ისეით სისწრაფით, რომ გულის ცალკეულ შეკუმშვათა შორის პერიოდში ვერცხლისწყლის სვეტმა (ან ანეროიდიანი მანომეტრის ისარმა) მხოლოდ 2-3 მმ-ით დაინიშნოს. წინააღმდეგ

მემბრევაში არტერიული წნევის გაზომვა შეუძლებელია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ პირობის დაცვას არითმიების დროს. უნდა მოერიდოთ პაუზის ხელა და განმეორებით დატოვებას, რადგან ვენურმა შეკუმშვამ შეიძლება მოგვეცეს ცრუ შედეგები - დაბალი სისტოლური და მაღალი დიასტოლური მაჩვენებელი.

არტერიული წნევის გაზომვის დროს აუსკულტაციური მეთოდით აღინუსხება ბგერითი მოვლენებით მონაცვლეობის I ფაზა (ცხრილი 27). I ფაზის დასაწყისა მანევრტიან პაუზის გამოშვებისას გამოსაკლევ არტერიაზე ტონის გამოჩენის მომენტზე; II ფაზის მახასიათებელია შუალი, რომელიც ყოველი ტონის შემდეგ მოისმის; III ფაზაში შუალი ქრება, მოისმინება მკაფიო ტონები; IV ფაზის დასაწყისი კონსტატორდება ტონების მკვეთრი შესუსტებისას; V ფაზის დასაწყისი ითვლება ტონის სრული გაქრობის მომენტი. სისტოლური წნევის მაჩვენებლად ითვლება I ფაზის დასაწყისი - ტონის გაჩენის მომენტი, დიასტოლური წნევისა - V ფაზის დასაწყისი - ტონის გაქრობის მომენტი. მკლევართა ნაწილი გამოყოფს ბგერითი მონაცვლეობის 4 ფაზას და დიასტოლური წნევის მაჩვენებლად მიიჩნევს IV ფაზის დაბოლოებას - ტონების გაქრობის მომენტს. ამდენად, პრაქტიკული თვალსაზრისით, სისტოლური წნევის მაჩვენებელია ტონების გაჩენის, ხოლო დიასტოლური წნევისა - მათი გაქრობის მომენტი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტონების შესუსტებისას (IV ფაზა) და მათი გაქრობის (V ფაზა) მომენტებს შორის სხვაობა 10 მმ-ს აღემატება, დიასტოლური წნევის დონე განისაზღვრება ტონების შესუსტების მომენტით. იგივე კეთდება, როცა ტონები მანევრტი წნევის 0-მდე დაქვეითებისასაც კი მოისმინება, რაც შეიძლება აღინიშნოს აორტის სარქველის ნაკლოვანების, მიპითეოროიდების, ზოგჯერ აორტის ათეროსკლეროზის დროს. თუკი ტონების გაქრობასა და მოყვებას შორის მანძილი ეწყ.სე. 10 მმ-ს აღემატება, უნდა აღინიშნოს ორივე მაჩვენებელი (მაგალითად, 160/80/60). ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ დაფიქსირდეს ის უნქტი, როდესაც ხდება მხიანობის ცვლილება და შეცდომა იმის აღიწერა, რომ ავადმყოფს არა აქვს დიასტოლური წნევა. ამ დროს, თუ მკვეთრი ზღვარის არარსებობის გამო ტონების შესუსტების დადგენა ვერ ხერხდება, დიასტოლური წნევის განსაზღვრა შეუძლებელი ხდება.

ლის უქმარისობისა და პერიკარდიუმის ღრუში სითხის დიდი რაოდენობით დაგროვებისას.

კორონარული ტონები შესუსტებული და ძნელად მოსასმენია პულსური ტალღის ნელი ტემპით ზრდისას, რაც შეიძლება აღინიშნოს აორტის ხერხელის სტენოზის, კიდურების სისხლით მომარაგების დაქვეითებისა და პულსური წნევის სიმცირის შემთხვევაში. ტონების გასაძლიერებლად შეიძლება მივმართოთ შემდეგ ღონისძიებებს: პაციენტმა ინერგიულად უნდა მოხაროს და გაშალოს თითები, რაც სისხლის ნაკადის ინტენსირობას ზრდის. ეს პროცედურა არტერიული წნევის დონეზე გავლენას არ ახდენს; პაციენტმა ხელი ზევით უნდა ასწიოს. ეს აქცირებს სისხლის მოცულობას ჩინძვანში; მანევრტი პაერი მაქსიმალურად სწრაფად უნდა ჩაიტანოს.

სევიზომონტარდის საკალს აქვს 10, 5, 2 და 1 მმ-იანი დაწყოფები. ზოგჯერ წნევის ზომავენ 5-10 მმ-ის სიზუსტით, რაც დაუშვებელია. დიასტოლური წნევის რეგულაციისას 5-10 მმ-ის სხვაობის დიდი მნიშვნელობა აქვს არტერიული მიკროცერვზის დიაგნოზის დადგენისა და სამკურნალო ღონისძიებების შერჩევასათვის. ამიტომაც რეკომენდებულია წნევა გაიზომოს 2 მმ-ის სიზუსტით. ვერცხლისწყლის მანომეტრი უნდა გვეჭიროს ვერცხლურად და ნასაკითხი შალა იყოს ექიმის თვალების დირექტი.

ერთი ვიზუალური განმავლობაში წნევა ორჯერ უნდა განისაზღვროს 1-2 წუთიანი ინტერვალით. თუ სხვაობა 5 მმ-ზე მეტია, საჭიროა უფრო ერთი გაზომვა. გაზომვებს შორის მანევრტიან პაერი მთლიანად უნდა გამოუშვათ. ფიქსირდება გაზომვის შედეგებიდან უმცირესი სიდიდე. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, რეკომენდებულია მიღებული მონაცემების გაშუალდება.

არტერიული წნევის დონე უნდა განისაზღვროს ორივე ზედა კიდურზე, ნორმალური სხვაობა შეიძლება იყოს 5-10 მმ-მდე. სხვაობის შემთხვევაში შედეგებში მიიღება უფრო მაღალი მაჩვენებელი. თუკი წნევის სხვაობა აღემატება 10-15 მმ-ს, ეს შეიძლება მიუთითებდეს არტერიების კომპრესიაზე ან ობსტრუქციასზე იმ მხარეს, სადაც დაბალი წნევა აღინიშნება. მარჯვენა ხელზე უფრო მაღალი წნევა მარცხენასთან შედარებით აორტის კონტრაქციისათვისა და მახასიათებელი. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ზედა კიდურებზე წნევის დიდი სხვაობა არის ზოგჯერ ვერტებოდისტონიის დროს და ზოგჯერ ალენიზმება სრულიად უანმართელ პირებსაც.

სასურველია წნევის გაზომვა როგორც ვერტიკალურ, ისე პორიზონტალურ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ხანდაზმულ პაციენტებსა და გართულებული შეპირიანი დაბავებულთათვის, ასევე, თუკი ავადმყოფი იღებს ანტიბიოტიკტენზიულ მედიკამენტს. თუკი არის ანამნეზში ორთოსტატიკული თავბრუსხვევა, ან როდესაც ეჭვი არის სისხლის მოცულობის დაქვეითებაზე, წნევა უნდა გაისინჯოს სამ პოზიციამ - მწოლარე, მჯდომარე და ფეხზე მდგომარე (თუ არ არის წინააღმდეგეებება). როდესაც ავადმყოფი პორიზონტალურ პოზიციდან ვადადის ფეხზე მდგომ პოზიში, სისტოლური წნევა მსუბუქად ქვეითდება ან არ იცვლება, მაშინ, როდესაც დიასტოლური იღნავ აინვეს ზევით, ფეხზე დგომის 2-3 წუთის შემდეგ, თუკი სისტოლური წნევა ქვეითდება 20 მმ-ით და მტკი და უფრო მას ახალავს კლინიკური სიმპტომები, ეს მიუთითებს ორთოსტატიკული მიპიტენზიის არსებობაზე. ორთოსტატიკული მიპიტენზიის განითვარების ხელს უწყობს აგრეთვე საწოლში ხანგრძლივად წოლა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანება.

ახალგაზრდა პაციენტებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც აღენიშნება ბარძაყის არტერიის პულსაციის შესუსტება, წნევა

ცხრილი 27

გაპარიტი ხშიარწამების მონაცვლეობის ფაზების სისხლის არარაიული წნევის კორექციის მეთოდით გასინჯვისას

I ფაზა	ჩუმი ტონის გაჩენა
II ფაზა	შულის გაჩენა
III ფაზა	მკაფიო ტონები
IV ფაზა	ტონების შესუსტება
V ფაზა	ტონების გაქრობა

სხვაობას სისტოლური და დიასტოლური წნევის მაჩვენებლებს შორის პულსურ წნევას უწოდებენ. ჩვეულებრივ, ის ეწყ.სე. 40-50 მმ-ის ტოლია. სისხლის პულსურმა წნევამ შეიძლება მოიმატოს აორტის სარქველის ნაკლოვანების, აორტისა და მაკივტორული სისხლძარღვების ათეროსკლეროზის, მიპითეოროზის, არტერიოლ-ვენური შუნტის არსებობისას, ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშისა და ცხელების დროს. პულსურმა წნევამ შეიძლება დაიკლოს აორტის ხერხელის სტენოზის, გუ-

უნდა გაეზომოს ქვედა კიდურებზეც. ამ მიზნით შესაბამისი ზომის მანექტს ბარძაყს შემოახვევენ, ხოლო ფონენდოსკოპს ათავსებენ მუხლქვეშა ფოსოში. წნევის გაზომვა დიდი წნევის უკან არტერიაზეც შეიძლება, რისთვისაც მანექტე გოჯებს ზემოთ უნდა დამაგრდეს; ტონები მოისმინება დიდი წნევის უკან არტერიაზეც.

ქვედა კიდურებში წნევის დონე ზედა კიდურების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ჩვეულებრივ, აღემატება, რადგანაც დიდი კუნთოვანი მასები მეტ წინააღმდეგობას უწევს არტერიებში სისხლის გასვლას, მაგრამ სხვაობა 20 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. უფრო მეტი სხვაობა აორტის სარქელის ნაკლოვანებას ახასიათებს. ამასთან, წნევითა სხვაობის სიდიდე გაყოველად ასახავს აორტის სარქელის ნაკლოვანების ხარისხს. კერძოდ, სხვაობა 20 მმ-ის ფარგლებში სარქელის შედარებით მცირე ნაკლოვანებაზე მიუთითებს, 20-დან 40 მმ-მდე - საშუალო ხარისხზე, 60 მმ-ზე მეტი - მძიმეზე (ჰოლის სიმპტომი).

ქვედა კიდურებში, ზედასთან შედარებით, დაბალი წნევა ახასიათებს აორტის კოარქტიაციას, აგრეთვე თვისი ან ბარძაყის არტერიის ობსტრუქციას. ასეთ შემთხვევაში სხივისა და ბარძაყის არტერიების პულსაციის ერთდროული შემოწმებისას უკანასკნელის ჩამორჩენა აღინიშნება.

პალპაციური მეთოდით ელონდება მხოლოდ სისტოლური წნევა. აღნიშნული მეთოდით წნევის გაზომვისას ანარმოიზენ სხივის ან იდაყვის არტერიის პალპაციის. მანექტში ტუმბავენ პაერს პულსაციის გაქრობამდე. შედეგად ახდენენ პაერის ნელ გამომშვებას სიფემომანომეტრის მანექტდან. სისტოლური წნევა ფიქსირდება პულსური დარქემის გაჩენის მომენტში. ზოგიერთი ავტორით პალპაციური მეთოდით უფრო ზუსტად იზომება სისტოლური წნევა, ვიდრე აუსკულტაციური მეთოდით. თუკი მათ შორის არის განსხვავება, რეკომენდებულია დაეყრდნოს პალპაციით მიღებულ მონაცემებს. აუსკულტაციური მეთოდით უფრო ხშირად იძლევა შეცდომებს („შუწვი ზონის“ ფენომენი, წნევა მსუქან პაციენტებში, შეცდომა ნელა დატუმბებისას, სწრაფად და ნელა გამომშვებისას და სხვა).

ოსცილოსკოპიური მეთოდით საშუალებას იძლევა სისტოლური, დიასტოლური და საშუალო წნევა დაფიქსირება. შრულის - ოსცილოგრაფის სახით, აგრეთვე ისჯელონ არტრების ტონოზე, არტერიის კედლის ელასტიურობაზე, მის გამაზრებლობაზე. სისხლის გასვლისას არტერიის დახშულ უბანში აღმოცენდება რხევები, რომლებიც რეგისტრირდება ცილაღზე ოსცილოგრაფის საშუალებით. ჩვეულებრივად სისტოლოგრაფიულად სწავლობენ რომელიმე მსხვილ არტერიას: მხრის, ბარძაყის.

საშუალო არტერიული წნევა არტერიული წნევის საშუალო დონეა გულის მილიანი ციკლის განმავლობაში. ის მაქსიმალურ და მინიმალურ წნევათა ჯამის საშუალო არ არის. ეს ის მუდმივი წნევაა, რომელიც განაპირობებს სისხლის მოძრაობას სისხლძარღვოვან სისტემაში პულსაციის გარეშე. ნორმაში ის 80-100 მმ-ია. საშუალო არტერიულ წნევას ანგარიშობენ შემდეგნაირად: დიასტოლური წნევა + (სისტოლური წნევა - დიასტოლური წნევა) : 3.

1988 წლიდან რეკომენდებულია, რომ არტერიული პიპრეტინის დიაგნოზი დაისახს მამინ, როდესაც პაციენტის სისხლის წნევა ნორმაზე მაღალია ექვითან სამი ეპიზოდის მანძილზე ერთი წელის განმავლობაში. მომატებული მიძიდება იყოს როგორც სისტოლური, ასევე დიასტოლური წნევა. მოზრდილებში (18 წლის ზევით) მონოდეტულია არტერიული წნევის შემდეგი კლასიფიკაცია (ცხრილი 28).

ცხრილი 28  
არტერიული პიპრეტინის სიმამის კლასიფიკაცია  
(ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 1999წ.)

კატეგორია	სისტოლური (ენჯაღ.მმ)	დიასტოლური (ენჯაღ.მმ)
ოპტიმალური ნორმალური მაღალი-ნორმალური	<120 130 130-139	<80 <85 85-89
I ხარისხის (მსუბუქი) ქვეჯგუფი: მონსაზღვრე	140-159	90-99
II ხარისხის (ზომიერი)	160-179	100-109
III ხარისხის (მძიმე)	>180	>110
იზოლირებული სისტოლური ქვეჯგუფი: მონსაზღვრე	>140 140-149	<90 <90

### ელექტროკარდიოგრაფია

ელექტროკარდიოგრაფია (გრაფი - ბერძნ. წერა) გულის ციკლური შემოაბის დროს ნარმოქმნილი ელექტრული მოვლენების სხეულის ზედაპირიდან რეგისტრაციის მეთოდია. ამ დროს მიღებულ ელექტრული პოტენციალების გრაფიკულ მონაცემს ელექტროკარდიოგრამა ეწევა.

ელექტროკარდიოგრაფია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დამატებით დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ეკგ-ის საფუძველზე შეიძლება ვიზუალური გულის ძირითადი თვისებებზე: ავტომატრიზი, ავზნება, გამტარობა. ეკგ-ის დახმარებით შეიძლება დაავადებით ნინაგულების და პერიუტების პიპრეტროფია, გულის რითმის და გამტარობის დარღვევის სხვადასხვა სახე, ეკგ-ის ცვლილებები და მათი დინამიკა ვეებმარება ამოცნობით ისეთი დაავადებები, როგორც ბიკა მორკარდიტი, პერიკარდიტი, კარდიომიოპათია, ფილტვის-მიერი გული და სხვა. განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ელექტროკარდიოგრაფიულ მეთოდს გულის იშემიური დაავადების, კერძოდ კი, მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკაში.

ელექტროკარდიოგრაფია და გულის გამოკვლევის კლინიკურ მეთოდებს მიეკუთვნება და ეკგ-ის სწორი შეფასება შეიძლება მხოლოდ კლინიკური მონაცემების გათვალისწინებით, მხოლოდ ეკგ-ის მიხედვით მსჯელობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე არაინფორმატიუმი კი არ შეიძლება.

ელექტროკარდიოგრაფიული მეთოდის დამუშავება და პრეპარატი დანერგვა დაკავშირებულია პოლანდის კლინიკური ე. ვიანტპოკრების სახელთან, რომელმაც 1903 წელს პირველად მოახდინა გულის ბიოდეტების ჩანერა გალვანური ელექტროკარდიოგრაფიით. აღნიშნული აღმოჩენისათვის მის ნობელის პრემია მიენიჭა.

როგორც ცნობილია, გულის შეკუმშვას წინ უძღვის მისი ავზნება, რომლის დროსაც იცვლება უჯრედული მემბრანების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, იცვლება უჯრედშიდა და უჯრედგარეთა სითხის იონური შემადგენლობა, რასაც თან ახლავს ელექტრული დენის - ბიოდენის გაჩენა.

უკანასკნელ დროს გულში აღმოცენებული ბიოელექტრული მოვლენების ასახსნელად ფართოდ გამოიყენება ე.წ. დიპო-

ლის თეორია. დიპოლი სისტემა, რომელიც შედგება ორი, ერთად განლაგებული მუხტისაგან, რომლებიც თანაბარია სიღლით და განსხვავებულია მუხტის მიხედვით. მუხტის გაერთიანების პოტენციალები წარმოქმნიან ელექტრულ ველს. ითვლება, რომ ნებისმიერი დიპოლის ელექტრიკი მიმართულია მისი უარყოფითი პოლუსიდან დადებითისკენ. დიპოლის თეორიის მიხედვით, ადამიანის ორგანიზმში აგზნების ადგილი და მასთან ახლო მიმდებარე ქსოვილები უარყოფითი მუხტის მქონეა, ხოლო მისგან დაშორებული ადგილები კი - დადებითი მუხტის. ამდენად, ადამიანის სხეული განიხილება როგორც დიპოლი, რომლის უარყოფითი პოლუსი არის გულის კუნთის აგზნებული უბანი, დადებითი კი - მისი არააგზნებული უბნები.


რეისტორის პერიოდში, როდესაც გულის კუნთი მოსვენებულ მდგომარეობაშია, ის დამუხტულია ელექტროდადებითად. აგზნება, რომელიც წარმოიქმნება გულის ფუძეზე, სინუსის კვანძში, მუხტებს ამ არეს ელექტროუარყოფითად. სხვადასხვა სახეობის ელექტრულ პოლუსებს შორის წარმოიშობა პოტენციალთა სხვაობა, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ე.წ. მოქმედების ბიოფენების წარმოშობას გულის კუნთში და ქმნის გულის ელექტრომომარეველ მალას. აგზნების ტალღა ვრცელდება გულის ფუძიდან მწვერვალისკენ და ენდოკარდიდან ეპიკარდისკენ. მას შემდეგ, რაც აგზნება მოიცავს მთელ მიოკარდიუმს, პოტენციალთა სხვაობა ქრება და ხელახლა ჩნდება მაშინ, როდესაც გულის კუნთი იწყებს გადასვლას მოსვენებულ მდგომარეობაში.

რეისტორის დროს, როდესაც გულის კუნთი დამუხტულია დადებითად, ის პოლარიზებული მდგომარეობაშია. აგზნების გაერთიანების პერიოდს დეპოლარიზაციას, ხოლო ჩათაგების პერიოდს რეპოლარიზაციას უწოდებენ.

აგზნების ტალღის გაერთიანების მომენტში პოტენციალთა სხვაობა მიოკარდიუმის ნებისმიერ ორ ნერტილს შორის სხვადასხვა სიდიდის და მიმართულებისაა, ე.ი. ელექტროის თვისება აქვს. პოტენციალთა ეს სხვაობები ყოველი აგზნებული მომენტისათვის შეიძლება გამოისახოს ე.წ. ჯამური ელექტროის სახით, რომელიც ელექტროკარდიოგრაფიულად განისაზღვრება, როგორც ყველა იმ ელექტროის ჯამი, რომელთაც აქვთ სიდიდე და მიმართულება. მოშუავედ გულის კუნთში წარმოიქმნება პოტენციალთა სხვაობების ჯამური ელექტრიკი მიმართება ზევიდან ქვევით, მარჯვნიდან მარცხნივ და უკნიდან წინ. ამ ჯამურ ელექტროის, რომლის მიმართულებაც თავსდება გულის ანატომიურ ღერძს, გულის ელექტრული ღერძი ეწოდება.

ზემოაღნიშნული ბიოელექტრიკი პროცესი შეორდება გულის შემოაბის ყველა ციკლში. პოტენციალები, რომლებიც წარმოიქმნება გულის კუნთში, ტარდება სხეულის ზედაპირზე (სურ. 113). ეს კი საშუალებას იძლევა მოხდეს მათი რეგისტრაცია სხეულის სხვადასხვა ნერტილიდან ელექტროკარდიოგრაფის საშუალებით.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ეკგ-ის მიხედვით შეიძლება მსჯელობა გულის ძირითად ფუნქციებზე - ავტომატიზმზე, აგზნებადობაზე და გამტარებაზე. გულის ავტომატიზმის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს უნარი გამოიშუშოს ელექტრული იმპულსები ყოველკვარა გარედან გალიზიანების გარეშე. ავტომატიზმის ფუნქცია აქვს სინუსის (კის-ფორის) კვანძს და გულის გამტარი სისტემის სხვა ნაწილებს - ატრიო-ვენტრიკულური (სმოფ-ტავარას) კვანძი, პისის კონა და მისი ტოტები, პურკინის ბოჭკოები. უშუალოდ მიოკარდიუმის ქსოვილს ავტომატიზმის ფუნქციის უნარი არა აქვს.



სურ. 113 ელექტრული პოტენციალების სხეულის ზედაპირზე გაერთიანების სქემა

მაქსიმალური ავტომატიური აქტივობით გამოირჩევა სინუსის კვანძი და ამიტომ ის განაგებს გულის მუშაობის რითმს. სინუსის კვანძი გამოიშუშავებს ელექტრულ იმპულსებს დაახლოებით 60-80-ის სიხშირით წუთში. მას ავტომატიზმის პირველი რიგის ცენტრი, სხვაგვარად ნომოტოპური კერა, ეწოდება. ავტომატიზმის სხვა ცენტრები არიან მხოლოდ პოტენციური ან ლატენტური რითმის ნაწყვანები. ისინი თავიანთ ავტომატიზმის ფუნქციას ასრულებენ მხოლოდ პათოლოგიის პირობებში - სინუსის კვანძის დაზიანების შემთხვევაში. გამტარი სისტემის სხვა ცენტრებს, რომელთაც სინუსის კვანძთან შედარებით ავტომატიზმის უნარი ნაკლებად აქვთ გამოხატული, აგზნების პეტეროტოპულ, ან ექტოპიურ კერებს, ხოლო იქ აღმოცენებულ იმპულსებს პეტეროტოპულ ან ექტოპიურ იმპულსებს უწოდებენ.

უშუალოდ ატრიოვენტრიკულურ კვანძს არა აქვს ავტომატიზმის უნარი. აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს ატრიოვენტრიკულური კვანძის პისის კონაში გადასვლის ზონა, ე.წ. წინა-გულუკან-პარაუჭოვანი ტოტი. მას ავტომატიზმის მეორე რიგის ცენტრი ეწოდება და შექმნის ელექტრული იმპულსების პროდუცირება წუთში 40-60-ის სიხშირით.

ავტომატიზმის მესამე რიგის ცენტრებია პისის კონის ქვედა ნაწილი, მისი ტოტები და პურკინის ბოჭკოები, რომელთაც იმპულსების პროდუცირების ყველაზე დაბალი უნარი აქვს (პისის კონას - 25-45 წუთში, პურკინის ბოჭკოებს - 15-30 წუთში).

სინუსის კვანძის და სხვა ცენტრების ფუნქციებზე დიდ გავლენას ახდენენ სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვული სისტემები. სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივობა იწვევს სინუსის კვანძის და გამტარი სისტემების ავტომატიზმის მატებას, პარასიმპათიკური სისტემის კი - მათი ავტომატიზმის შემცირებას.

ნორმალური აგზნების ტალღა, წარმოშობილი სინუსის კვანძის უჯრედები, ვრცელდება მარჯვენა წინაგულზე და ატ-

როევენტრიკულურ კვანძზე სამი გზით - ბაზმანის, ევენკნაზის და თორელის კონხებით, მარცხენა ნინაგულზე - ბაზმანის კონის მარცხენა ტოტით. ავზნება ამ გამტარებელ გზებით ვრცელდება 2-3-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ნინაგულის მიორღები. ჯერ ალგზნება მარჯვენა ნინაგულზე, შემდეგ - მარცხენა. ნინაგულების ავზნების ნორმალური დრო 0.1 წამს არ აღემატება.

ატრიოვენტრიკულურ კავშირს ხდება ავზნების ტალღის ფიზიოლოგიური შეკავება, რაც ხელს უწყობს იმას, რომ პარკუჭების შეკუმშვა დაიწყოს ნინაგულების შეკუმშვის დამთავრების შემდეგ. ატრიოვენტრიკულური კვანძიდან ავზნების ტალღა გადაეცემა პისის კონას, მის ტოტებს და პურკინოს ბოჭკოებს. პარკუჭების დეპოლარიზაციის დრო 0.06-0.10 წამია. დეპოლარიზაციის ტალღა პარკუჭების კედელში ვრცელდება ენდოკარდიდან ეპიკარდზე.

ნინაგულებსა და პარკუჭებს შორის შეიძლება არსებობდეს სამი ანომალური კავშირი - ე.წ. ჯოტისის, პალადინოკეტის და მამამიოს კონები, რომლებიც პათოლოგიის პრობლემაში ფუნქციონირებენ.

ელექტროკარდიოგრაფიის რეგისტრაციისათვის იყენებენ სპეციალურ ხელსაწყოებს - ელექტროკარდიოგრაფებს. მათ აქვთ ბიპოლტენცივობის მიმღები (აღიქვამს პოტენცივობებს გამოსაკვლევი პირის სხეულის ზედაპირიდან), ელექტრონული გამამძლეებელი და მარეგისტრირებელი მრწყინობილობები. რეგისტრაციის არსების რაოდენობის მიხედვით გამოიყოფენ ერთარხიან და მრავალარხიან ელექტროკარდიოგრაფებს. ერთარხიანი, როგორც წესი, გადასატანი, მრავალარხიანი გამოიყენება სტაციონარული გამოკვლევებისათვის. მრავალარხიანი ელექტროკარდიოგრაფები საშუალებას იძლევა სინქრონულად ჩაიწეროს ეკგ რამდენიმე (2-დან 6-მდე) განზრახში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოკვლევის დროს და ზრდის ინფორმაციის გულის ელექტროული ველის შესახებ.

ეკგის წყაროს მიხედვით არჩევენ ელექტროქსელზე მოშუავე, ელექტრომატარებებზე (აკუმულატორზე) მოშუავე და უნივრინალურ ელექტროკარდიოგრაფებს. მცირე ძაბვა, რომელიც აღიქმება ელექტროდების მიერ და არ აღემატება 1-3 mV-ს, გადაეცემა ელექტროკარდიოგრაფის გამამძლეებელ სისტემას. მისი სახანძრობი ძაბვის მცირე რხვეა მლოგრეობა მრავალჯერ და გადაეცემა ხელსაწყოს მარეგისტრირებელ მწყინობილობას. აქ ელექტრონი რხვეა ვარდააქმნება ვალანტიზატორის ლუნის მექანიკურ რხევად და ამა თუ იმ წესით ჩაიწერება მოძრავი სპეციალური ქაღალდის ფირზე. ეკგ-ის ჩაწერის მიხედვით არჩევენ ძირითადად მელნიონ ჩაწერ (ფრთხიანი ან ნაკადიანი - გამხუვებული მელნიონ წერილი წავლით), თერმოჩაწერ (სპეციალური ქაღალდზე) და ფოტოჩაწერ ელექტროკარდიოგრაფებს. უკანასკნელი ტიპის ხელსაწყოები ბოლო დროს ნაკლებად გამოიყენება.

თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეიძლება ეკგ-ის რეგისტრირება პირ მანძილზეც (ტელეფონოკარდიოგრაფია, ტელეელექტროკარდიოგრაფია). შეიძლება აგრეთვე ეკგ-ის ხანგრძლივი ჩაწერა მაგნიტურ ლენტზე გამოისყველი პირის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემდგომი მისი ავტომატური ანალიზით, ეკგ-ის მონიტორის ეკრანზე ასახვა (პოლტარის მონიტორირება) და სხვა.

ელექტროკარდიოგრაფიის სწორი ანალიზისა და ერთსა და იმავე პიროვნებაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა აპარატით განმეორებით გადაღებული ეკგ-ის ურთიერთდარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკგ-ის ექილების სპეციალის ვაზოვებს.

ამისათვის, ყოველ ელექტროკარდიოგრაფს აქვს რეგულირების და დაძლეობის საკონტროლო მონეობილობა. ამ მიზნით გამამძლეობებს გადაეცემა სტანდარტული, ნინასწარ გათვალისწინებული, მაკალიბრირებული ძაბვა, რომელიც 1 mV-ის ტოლია (საკონტროლო მილოვოლტი) და იწვევს მარეგისტრირებელ სისტემის 10 მმ-ზე გადახრას.

თანამედროვე ელექტროკარდიოგრაფებში ფირის გამწვევი მექანიზმები უზრუნველყოფენ ქაღალდის მოძრაობას 25, 50, 100 მმ/წმ და მეტი სიჩქარით. უფრო ხშირად იყენებენ ეკგ-ის ჩაწერას სიჩქარით 25-50 მმ/წმ-ში. შერჩეული სიჩქარის შესაბამისად იცვლება რეგისტრირებული მრუდის ფორმა, მისი კბილბისა და ინტერვალების ხანგრძლივობის საზომი მასშტაბები. თუკი ვიციტო ლენტის მოძრაობის სიჩქარე, შეიძლება ეკგ-ის ელემენტების ხანგრძლივობის გამოთვლა. მაგალითად, თუკი ეკგ დაფიქსირებულია სიჩქარით 50 მმ/წამში, 1 მმ მრუდი შეეფარება 0,02 წამს. გამოთვლების გადავიღებისათვის ეკგ-ის ქაღალდს აქვს მონიშნული დაწყაოვები.

ეკგ-ის რეგისტრაცია სასურველია ჩატარდეს ოთახში, რომელიც დაცობებულია ელექტროული ვალენის შერადლო წყაროებთან. ელექტროკარდიოგრაფი თავდება მშრალ ადგილზე, არანაკლებ 10°C და არამეტვს 30°C ტემპერატურაზე. ელექტროკარდიოგრაფული გამოკვლევის წინ ავადმყოფმა უნდა დაისვენოს 5-10 წუთი. ავადმყოფის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ჭამიდან არანაკლებ 2 საათის ვაცისის შემდეგ. მიცეგრება უნდა ვაიხადოს წელ ზევით, წეიეები ვათავისუფლებული უნდა ქეონდეს ტანსაცმლისაგან. ეკგ-ის ჩაწერისას ავადმყოფი უზრგუ ზეცს და მკაცრად მორუხებულია.

ეკგ-ის გადაღებისას სპეციალური ელექტროდები, რომლებიც მათულოანი კაბელებით უერთდები ელექტროკარდიოგრაფს, თავსდება გამოსაკვლევი პიროვნების კანზე სხვადასხვა მიდამოში, რომლებიც ნინასწარ მუშავენება სპირტში დასველებული ბამბით ცხობის მოსაცილებლად. ელექტროდებს უსვამენ სპეციალურ ელექტროგამტარ პასტას ან იყენებენ მარლის ან სპირტის ქაღალდის ნატყებს, რომლებიც დასველებულია ნატყროების ქლორიდის 1-2%-იან ხსნარში უსასდევად, ელექტროდების კათანი მჭიდრო კონტაქტის უზრუნველყოფისათვის. გამოკვლევის წინ აუცილებელია დარწმუნდნენ ელექტროკარდიოგრაფის ვარვისიანობაში, ელექტროდების და მათი მათულებების მთლიანობაში, ხელსაწყოში გამოკვლევებისათვის სპირო და საკმარისი ქაღალდის და მელის არსებობაში. ელექტროკარდიოგრაფთან მუშაობისას საჭიროა უსაფრთხოების ტექნიკის საერთო ნესების დაცვა, ხელსაწყო და, თუ საჭიროა, მეტალის საწლიკ, რომელზეც წეცს ავადმყოფი, უნდა დაამინო, დაუშეგებულა მუშაობა გამომვებული მათულებით და სხვა. ეკგ რეგისტრაციის შემდეგ ავადმყოფს აცილებენ კანიდან ელექტროდულ პასტას, ელექტროდებს კი მწმენდენ რბილი ჯაფრიოთ, სამით თბილი წყლის ნაკადის ქვეშ.

### ელექტროკარდიოგრაფიული განზრები

ეკგ-ის ჩაწერა ხდება სპეციალური ელექტროკარდიოგრაფული განზრების საშუალებით, რომლებიც მოიღობ სხეულის სხვადასხვა მიდამოდან. ეკგ-ის თითოეული განზრ აფიქსირებს პოტენცივალთა სხვაობას, რომელიც არის გულის ელექტროული ველის ორ ვარკვეულ წერტილს შორის. ამდნად, ელექტროკარდიოგრაფიული განზრები განსხვავდება ერთიმეორისაგან, პირველი რგობი, ლოკალიზაციით, სხეულის ან მიდამოე-

ბით, საიდანაც მოიღება პოტენციალები. ერთ-ერთ ელექტროდს აერთიანებ ვალვანომეტრის დადებით პოლუსთან (დადებითი ან აქტიური განხრის ელექტროდი), მეორეს კი - მის უარყოფით პოლუსთან (უარყოფითი განხრის ელექტროდი). ეკგ-ის ჩანერა შეიძლება მოხდეს სხეულზე მოთავსებული ან ელექტროდების წყვილიდან, რომლებიც მოთავსებულია ხელზეზე, ან ხელზე და მარცხენა ფეხზე (ე.წ. ორპოლუსიანი განხრები), ან ერთი ელექტროდიდან (ერთპოლუსიანი განხრა). გამოკვლევის უნიფიკირებისათვის თითოეული ელექტროდის მავთული ნიშანდებულა, ელექტროკარდიოგრაფს კი აქვს გადასართავი, რომელიც საშუალებას იძლევა აირჩიეს სათანადო განხრა. ფერადი მარკირების მიხედვით ნითელი ელექტროდი თავსდება მარჯვენა ხელზე, ყვითელი - მარცხენაზე (წინამხრის ქვედა მესამედის შიგნითა ზედაპირის კანზე), მწვანე - მარცხენა ფეხზე (წვივის კანზე), შავი - მარჯვენაზე (პაციენტის დამინება). გულმკერდის ელექტროდები თეთრი ფერისაა.


კლინიკურ პრაქტიკაში სადღისოდ ყველაზე ფართოდ გამოიყენება ეკგ-ის 12 განხრა, რომელთა ჩანერაც აუცილებელია ავადმყოფის ყოველი ეკგ გამოკვლევისას. ეს განხრებია: 3 სტანდარტული, 3 გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრა კიდურებიდან და ექვსი გულმკერდის ერთპოლუსიანი განხრა. ამის გარდა, ხშირად იყენებენ აგრეთვე ე.წ. ნების განხრებს. სპეციალური მიზნებისათვის მონიშნებულია სხვა ეკგ განხრებიც - საულაპაევის, ინტრაკარდიული და სხვა.

დასაწყისში წერენ ეკგ სტანდარტულ განხრებში, შემდეგ გაძლიერებულ კიდურების განხრებში და ბოლოს გულმკერდის განხრებში. ყოველ განხრაში უნდა ჩაიწერონ არანაკლებ გულის 4 ციკლი. არითმიის შემთხვევაში, მისი იდენტიფიცირებისათვის, ერთ-ერთი განხრას, ჩვეულებრივ, II სტანდარტულ განხრას, იწერენ ხანგრძლივ ლენტზე.

სტანდარტული ორპოლუსიანი (კლასიკური) განხრები მონიშნულია ეიზთაოვენის მიერ 1913 წელს (სურ. 114). ისინი მიიღება შემდეგნაირად: ეკგ I განხრაში აღებულია მარჯვენა და მარცხენა ზემო კიდურების პოტენციალა სხვაობა, II განხრაში - მარჯვენა ზემო კიდურის და მარცხენა ქვემო კიდურის, III განხრაში - მარცხენა ზემო და მარცხენა ქვემო კიდურების პოტენციალა სხვაობა. I და II სტანდარტული განხრების მიღების დროს ელექტროდი, რომელიც შეერთებულია ვალვანომეტრის უარყოფით პოლუსთან, თავსდება მარჯვენა ხელზე, ხოლო III სტანდარტულ განხრაში - მარცხენა ხელზე (სქემა).

- I განხრა - მარჯვენა ხელი (-) და მარცხენა ხელი (+)
- II განხრა - მარჯვენა ხელი (-) და მარცხენა ფეხი (+)
- III განხრა - მარცხენა ხელი (-) და მარცხენა ფეხი (+)


გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრები კიდურებიდან მონიშნულია ეკოლდერფერის მიერ 1942 წელს. ისინი განსხვავდება სტანდარტული ორპოლუსიანი განხრებისგან იმით, რომ პოტენციალა სხვაობა რეგისტრირდება ძირითადად მხოლოდ ერთი ელექტროდი - აქტიურით, რომელიც რეგვირგობით თავსდება მარჯვენა ხელზე, მარცხენა ხელზე და მარცხენა ფეხზე. ის მიერთებულია ელექტროკარდიოგრაფის დადებით პოლუსთან. მეორე ელექტროდი წარმოადგენს ორი კიდურის ელექტროდის გაერთიანებას და არააქტიურია. ის მიერთებულია აპარატის უარყოფით პოლუსთან. ელექტროდების ასეთი გაერთიანების შედეგად პოტენციალების ვაზური სხვაობა, რომელიც რეგისტრირდება კიდურებიდან, პრაქტიკულად წელის ტოლია. გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრა მარჯვენა ხელდან აღინიშნება როგორც aVR, მარცხენა ხელდან - aVL და



სურ. 114 სტანდარტული ორპოლუსიანი განხრები კიდურებიდან — I, II და III

მარცხენა ფეხიდან - aVF. ეს აღნიშვნები მომდინარეობს ინგლისური სიტყვების პირველი ასოებიდან: „a“ - augmented (გაძლიერებული), „V“ - voltage (პოტენციალი), „R“ - right (მარჯვენა), „L“ - left (მარცხენა), „F“ - foot (ფეხი).

გულმკერდის ერთპოლუსიანი (პრეკორდიული) განხრების გადაღებისას აქტიურ ელექტროდს, რომელიც მიერთებულია ელექტროკარდიოგრაფის დადებით პოლუსთან, ადებენ გულმკერდის არეში (სურ. 115), ხოლო გაერთიანებული (ნულოვანი) ელექტროდი, რომელსაც კიდურებზე ათავსებენ, ინდიფერენტული ელექტროდის დანიშნულებას ასრულებს. ისინი მიერთებულია აპარატის უარყოფით პოლუსთან. აქტიური ელექტროდი თავსდება გულმკერდის ზედაპირზე 6 წერტილში შემდეგი კოორდინატებით: V1 - მეოთხე ნეუნთაშუა არე მკერდის ძვლის მარჯვენა კიდესთან, V2 - მეოთხე ნეუნთაშუა არე მკერდის ძვლის მარცხენა კიდესთან, V3 - იმ ხაზის შუაში, რომ-



სურ. 115 ელექტროდების მოთავსების მიდამოები გულმკერდზე


ლიც აერთიანებს V<sub>2</sub> და V<sub>4</sub> ელექტროდების პოზიციებს, V<sub>6</sub> - მარცხენა ლაინშუა ხაზზე V ნუნთათაში მიდამოში, V<sub>5</sub> - იგივე დონეზე მარცხენა ნინა აქსილარულ ხაზზე, V<sub>6</sub> - იგივე დონეზე მარცხენა შუა აქსილარულ ხაზზე. აღნიშნული განხრები მოგვანოდა ფ. ეილსონმა. გულმკერდის თითოეული განხრა ასახავს მიოკარდიუმის ელექტრულ აქტივობას უპირატესად ელექტროდთან ახლო განლაგებული გულის მარცხენა პარკუჭის ნაწილებიდან: V<sub>1</sub> - ძვივზე, V<sub>2</sub>-V<sub>3</sub> - ნინა კედელი, V<sub>4</sub> - მწვეურალის მიდამო, V<sub>5</sub>-V<sub>6</sub> - გვერდითი კედელი. სპეციალური მიზნებისათვის შეიძლება დამატებითი პრეკორდული განხრების V<sub>7</sub>-V<sub>8</sub> ჩანერაც (V<sub>7</sub> - უკანა აქსილარულ, V<sub>8</sub> - სკაპულარულ და V<sub>9</sub> - პარავერტებრულ ხაზებზე).

1938 წელს ე. ნების მიერ მოწოდებულია გულმკერდის ორ-პოლუსიანი განხრები. ისინი აფიქსირებენ პოტენციალთა სხვაობას გულმკერდის ზედაპირის ორ სხვადასხვა წერტილში. გამოიყენებენ ელექტროდებს, რომლებიც მოწოდებულია კიდურებიდან სტანდარტული განხრების მისაღებად. გულის საპრეკორდო არეში თავსდება სამი ელექტროდი: I - მეორე ნუნთათაში არეში მკერდის ძვალთან მარჯვნივ (ელექტროდი, რომელიც, ჩვეულებრივ, თავსდება მარჯვენა ხელზე, ნითლად მარკირებული), II - მარცხენა უკანა აქსილარულ ხაზზე გულის საძვკერის დონეზე (ელექტროდი მარცხენა ხელიდან, ყვითლად მარკირებული), III - გულის საძვკერის არეში (მარცხენა ფეხის ელექტროდი, მწვანეზე მარკირებული). სამივე ელექტროდი აერთიანებენ სტანდარტული განხრების მათელეთთან, პირველ ელექტროდს მარჯვენა ხელის, მეორეს - მარცხენა ხელის, მესამეს - მარცხენა ფეხის მათელეთში. ელექტროკარდიოგრაფის გადამრთველს თანმიმდევრობით აყენებენ I, II და III სტანდარტული განხრების პოზიციებში. I პოზიციამი იწერება პოტენციალთა სხვაობა I და II პრეკორდული არეებიდან. მას უკანა - D განხრა ეწოდება (dorsalis). II პოზიციამი მიიღება პოტენციალთა სხვაობა I და III არეებიდან. მას ნინა, ანტრალური A განხრა (anterior) ეწოდება. III პოზიციამი პოტენციალთა სხვაობა მიიღება II და III არეებიდან. მას ქვედა - I განხრა

(inferior) ეწოდება. D განხრა ასახავს მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის ელექტრულ აქტივობას და დაახლოებით შეესაბამება გულმკერდის ერთპოლუსიან V<sub>1</sub>-V<sub>6</sub> განხრებს. A განხრა ასახავს მარცხენა პარკუჭის ნინა-გვერდითი კედლის ბიოელექტრულ აქტივობას და შეესაბამება V<sub>4</sub> განხრებს. I განხრა უპირატესად ასახავს გულის ბაზალური ნაწილის და მწვეურალის არის პოტენციალებს.

### ნორმალური ელექტროკარდიოგრამა

ჯანმრთელი ადამიანის ეკგ ნარმოდგენილია დამახასიათებელი მრუდის სახით, რომელზეც არჩევენ სამ დადებით კბილს - P, R და T და ორ უარყოფით კბილს - Q და S. ზოგჯერ აღინიშნება დადებითი U კბილის არსებობაც. დიასტოლის დროს გულის კუნთში პოტენციალთა სხვაობა არ არსებობს და ელექტროკარდიოგრამაზე რეგისტრირდება სწორი ე.წ. იზოელექტრული ხაზი. ელექტროკარდიოგრამაზე არჩევენ აგრეთვე P-Q, S-T, T-P, R-R ინტერვალებს და QRS და QRST კომპლექსებს. აღნიშნული ელემენტები ასახავენ მიოკარდიუმის სხვადასხვა უბანში აგზნების დროს და თანმიმდევრობას (სურ. 116).



სურ. 116 ნორმული ელექტროკარდიოგრამა

გულის ციკლი იწყება ნინაგულულის აგზნებით, რაც ეკგ-ზე აისახება P კბილის გაჩენით. P კბილის აღმავალი ნაწილი განპირობებულია ძირითადად მარჯვენა ნინაგულის, დაღმავალი კი - მარცხენა ნინაგულის აგზნებით. P კბილი მცირე ზომისაა და მისი სიმაღლე არ აღემატება 1-2 მმ-ს და სტანდარტულ განხრებში T კბილის ნახევარია. მისი ხანგრძლივობა 0,08-1,1 წამს უდრის. P-Q ან P-R ინტერვალი შედგება P კბილისგან და იზოპოტენციური მონაკვეთისგან Q კბილის დასაწყისამდე. თუკი Q კბილი არ არის გამოისახული R კბილის დასაწყისამდე, ის მოიცავს ნინაგულუმში აგზნების დაწყების დროს, იმპულსების აგ-

რეკლების პერიოდს წინაგულეებში და მის ფიზიოლოგიურ შეკავებას ატროივენტრიკულურ კვანძში პარკუჭების აგზნების დაწყებამდე. P-Q ინტერვალის ხანგრძლივობა 0,12-0,18 წამია და არ აღემატება 0,20 წამს.

პარკუჭოვანი კომპლექსი QRS (პარკუჭების ელექტრული სისტემა) ასახავს პარკუჭების მოკარდების აგზნების და მისი ჩათაყვის დროს, ე.ი. შეფარდება პარკუჭების ელექტრულ სისტემას. ის იზომება Q კბილის დასაწყისიდან (თუკი Q კბილი არ არის გამოხატული, R კბილის დასაწყისიდან) T კბილის დაბოლოებამდე (Q-T, ან R-T ინტერვალი). ის შედგება ინიციალური ნაწილისაგან, რომელიც ნარკოდგენილია QRS კომპლექსით, S-T სეგმენტისაგან და T კბილისაგან. QRS კომპლექსი შეფარდება პარკუჭებში აგზნების დაწყების პერიოდს, S-T სეგმენტი იზოელექტრული ხაზის დონეზეა. ნორმის დროს S-T სეგმენტის ცვლა იზოელექტრული ხაზიდან ზოგჯერ შეიძლება 1 მმ-მდე იყოს. T კბილი პარკუჭოვანი კომპლექსის საბოლოო ნაწილია და ასახავს პარკუჭებში აგზნების ჩათაყვის პროცესს (რეპოლარაზაციას).

Q კბილი უარყოფითია და ასახავს პარკუჭთაშუა ძილის აგზნებას. ის მცირე ამპლიტუდისა და ნორმში დაახლოებით R კბილის 1/4-ს უდრის. მისი ხანგრძლივობა არ აღემატება 0,03 წამს. ზოგჯერ Q კბილი ეგზეზ შეიძლება არ იყოს გამოხატული. R კბილი დადებითია და ირრე პარკუჭის სრულ აგზნებაზე მიუთითებს. ის პარკუჭოვანი კომპლექსის ყველაზე დიდი კბილია. მისი სიმაღლე მერყეობს 5-დან 15 მმ-მდე. S კბილი უარყოფითია, მცირე ზომისაა და 6 მმ-ს არ აღემატება. ის ზოგჯერ ეგზეზ არ არის გამოხატული. პარკუჭოვანი კომპლექსის სანეის ნაწილის - QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,06-0,09 წამია. T კბილი დადებითია, ის R კბილის 1/2-1/4-ს და მისი სიმაღლე 2,5-5 მმ-მდე მერყეობს, ხანგრძლივობა კი 0,12-0,16 წამია. V1 და V2 განზრებში ნორმალური T კბილი უარყოფითი შეიძლება იყოს. ზოგჯერ T კბილიდან 0,02-0,04 წამის შემდეგ რეგის-ტრირდება დადებითი U კბილი, რომლის გენეზიც დღემდე არ არის დაზუსტებული.

T-P ინტერვალი იწყება T კბილის ბოლოდან და თავდება P კბილის დასაწყისში. ის ასახავს გულის ელექტრულ დასტებლას. ის იზოელექტრულ ხაზზეა, რადგანაც ამ დროს პოტენციალთა სხვაობა არ აღინიშნება. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია გულის ცემის სიხშირეზე. რაც უფრო ხშირია გულის ცემა, მით უფრო მოკლეა T-P ინტერვალი. R-R ინტერვალი გულის ერთ სრულ ციკლს შეესაბამება. მისი ხანგრძლივობაც გულის ცემის სიხშირეზეა დამოკიდებული. თუ ცნობილია R-R ინტერვალის ხანგრძლივობა წამებში, შეიძლება გამოთვალეთ გულის შეკუმშვის სიხშირე ერთ წუთში. გულის ერთი სრული ციკლის დროს შეესაბამება აგრეთვე P-P ინტერვალს. აღნიშნული ინტერვალის ხანგრძლივობა ნორმის დროს ერთნაირია.

ექვ, გადაღებული სხვადასხვა განზრბში, ინარჩუნებს მრუდის ყველა ძირითად ნაწილს, მაგრამ გააჩნია ზოგიერთი თავიუხებურება, რაც ძირითადად კბილების ამპლიტუდის ცვლილებებში მელაენდება. ყველაზე დიდი კბილები სტანდარტული განზრბებიდან რეგისტრირდება II განზრბში, ყველაზე მცირე III განზრბში. გულმკერდის განზრებში კბილების სიმაღლე, ჩვეულებრივ, მეტია, ვიდრე სტანდარტულ განზრებში. ნორმალური R კბილის ამპლიტუდა თანდათანობით იზრდება V1 განზრბიდან V4 განზრბამდე. შესაბამისად, ამავე განზრებში მცირდება S კბილის სიღრმე.

### ელექტროკარდიოგრაფის ანალიზი

ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების ანალიზი გარკვეული ეგემის მიხედვით ხდება. პირველ რიგში, ადგენენ რითმს, შემდეგ გულის ცემის სიხშირეს წუთში, ვოლტაჟს, გულის ელექტრული ღერძის მდებარეობას. შემდეგ იზომება ცელკული ინტერვალის ხანგრძლივობა და დეტალურად ხსიათავდება თითოეული კბილი. მიღებული მონაცემების და კლინიკური დაკვირვების საფუძველზე კეთდება ელექტროკარდიოგრაფიული დასკვნა.

გულის რითმის ანალიზი გულისხმობს გულის შეკუმშვის რეგულარობის და სიხშირის დადგენას, აგზნების კერის იდენტიფიცირებას, აგრეთვე გამტარობის ფუნქციის შეფასებას. გულის შეკუმშვის რეგულარობა ფასდება R-R ინტერვალის ხანგრძლივობის შეფასებით გულის თანმიმდევრულად დაფიქსირებულ ციკლებს შორის. R-R ინტერვალი, ჩვეულებრივ იზომება R კბილების მწვერვალებს შორის. გულის რითმი რეგულარულია, თუ R-R ინტერვალები თანაბარია და მათ შორის სხვაობა არ აღემატება R-R ინტერვალის საშუალო ხანგრძლივობას 10%-ზე მეტს, 0,15 წამს არ უნდა აღემატებოდეს). სხვა შემთხვევებში შეიძლება ართიმიაზე ლაპარაკი. გულის რითმის რეგულარობის დადგენის შემდეგ საზღვრავენ მის სიხშირეს 1 წუთში. გულის რეგულარული რითმის დროს გულის შეკუმშვის სიხშირე (გმს) წუთში განისაზღვრება ფორმულით: გმს+60/RR, სადაც 60 - წამების რაოდენობაა 1 წუთში, RR - ინტერვალის ხანგრძლივობა, გამოხატული წამებში. გმს-ს ადგენენ აგრეთვე სპეციალური ცხრილების მეშვეობითაც.


გულის რითმის ძირითადი ნაწყენის (აგზნების კერის) დასადგენად არსებით მნიშვნელობა აქვს P კბილის და QRS კომპლექსის ურთიერთდამოკიდებულებას შენჯავლას. რიგსაც იმასულის წყარო სინუსის კვანძია (ავტომატუზმის პირველი რივის ცენტრი) P კბილი, როგორც წესი, წინ უძღვის ყოველთვის QRS კომპლექსს. გულის გამტარობის ფუნქციის ანალიზისათვის საზღვრავენ P კბილის, P-Q ინტერვალის და QRS კომპლექსის ხანგრძლივობას, აგრეთვე მიზანგან და ინტერვალის V1 და V6 განზრებში. აღნიშნული კბილების და ინტერვალის ხანგრძლივობის მატება და მისი ინტენსივობა გამტარი სისტემის შესატყვის ნაწილში გამტარობის მოშლისა და მისი ხარისხის მაჩვენებელია.

რითმის და გამტარობის დარღვევებზე საუბარი არის ქვემოთ (იხ. ართიმოები).


ექვ-ის ვოლტაჟის დასადგენად იზომება R კბილის ამპლიტუდა სტანდარტულ განზრებში. ნორმში ის 5-15 მმ-ს უდრის. თუკი ყველაზე მაღალი R კბილის ამპლიტუდა არ აღემატება 5 მმ-ს, ან საბივე სტანდარტულ განზრბში ყველა R კბილის სიმაღლე 15 მმ-ზე ნაკლებია, ითვლება, რომ ეკვ ვოლტაჟი დაქვეითებულია.

გულის ელექტრული ღერძის მდებარეობა დგინდება სტანდარტულ განზრებში პარკუჭოვანი კომპლექსების ფორმების მიხედვით. გულის ელექტრული ღერძის მიმართულებასა და QRS კომპლექსის სიდიდეს შორის ურთიერთკავშირს სქემატურად ხსნიან ენთოპედიის სამკუთხედის მიხედვით. თუკი დაუშვებენ, რომ ეკვ წარმოადგენს მრუდს, რომელიც ასახავს ელექტრული ღერძის მოძრაობას ფორმალურ სიბრტყეში, ეს სიბრტყე, ენტოპედიის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ტოლგვერდი სამკუთხედის სახით, რომლის ფუძეც ზემოთ მწვერვალი კი ქვემოთ არის მიმართული. სამკუთხედის სამი






სურ. 117 გულის ელექტრული ღერძის ნორმალური მიმართულება და ამ დროს მიღებული ეკგ



სურ. 119 გულის ელექტრული ღერძის ევრტიკალური მიმართულება და ამ დროს მიღებული ეკგ



სურ. 118 გულის პორიზონტალურად მიმართული ელექტრული ღერძი და ამ დროს მიღებული ეკგ

გვერდი შეესატყვისება კიდურებიდან განხრებს, სამკუთხედის ფუძე - პირველ განხრას, მარჯვენა მხარე - მეორე, მარცხენა მხარე კი - მესამე განხრას.

გულის ნორმალური მდებარეობისას გულმკერდში (სურ. 117), გულის ელექტრომაიმორავებელი ძალის სიდიდე და მიმართულება აღინიშნება A-B ისრით. თუკი აღნიშნული ისრის ბოლოებიდან დაუმეებენ პერპენდიკულარებს სამკუთხედის გვერდებისაკენ, შეიძლება მიიღონ ნარმოდგენა პოტენციალთა სხვაობაზე, რომლებიც რეგისტრირდება თითოეულ განხრამ. გულის ანატომიური ღერძის ნორმალური მდებარეობისას პო-

ტენციალთა მაქსიმალური სხვაობა რეგისტრირდება II განხრამ, რადგანაც ეს განხრა არის გულის ელექტრული ღერძის პარალელურად მიმართული. ამიტომ პარკუტოვანი კომპლექსის ყველაზე დიდი ეოლტაჟი, განსაკუთრებით R კბილის, აღინიშნება ამ განხრამ. ყველაზე დაბალი ეოლტაჟი არის III განხრამ. R კბილის სიმაღლე II განხრამ უდრის I და III განხრების R კბილების ალგებრულ ჯამს.

გულის ელექტრული ღერძი იცვლება გულის მდებარეობის შეცვლისას გულმკერდში. გულის პორიზონტალური მდებარეობის დროს (დაიფარავის მაღლა დგომა) პოტენციალთა მაქსიმალური სხვაობა, როგორც ეს ჩანს ეინტპოვენის სამკუთხედის მიხედვით, ელინდება I განხრამ, რადგანაც ეს განხრა ხდება გულის ელექტრული ღერძის პარალელური (სურ. 118). ამდენად, ყველაზე მაღალი R კბილი ამ დროს რეგისტრირდება I განხრამ, მინიმალური - III განხრამ.

დაიფარავის დაბლა დგომისას ასთენური ტიპის პირებში გულის ელექტრული ღერძი იღებს ევრტიკალურ მდებარეობას, რომლის დროსაც პოტენციალთა მაქსიმალური სხვაობა ელინდება III განხრამ, რადგანაც ეს განხრა ხდება გულის ელექტრული ღერძის პარალელური. ამდენად, ყველაზე მაღალი R კბილი ამ დროს რეგისტრირდება III განხრამ (სურ. 119).

ეკგ-ის სტრუქტურა ამა თუ იმ განხრამი დიდადაა დამოკიდებული გულმკერდის ღრუში გულის მდებარეობაზე მისი სამი ანატომიური ღერძის მიმართ - 1) საეტიკალური, 2) ფორნტალური (განხრები) და 3) პორიზონტალური (გარდივარდმო, ვანივი). გულის მდებარეობის შეცვლა სხვადასხვა ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური ფაქტორების (სისუსეჟე, დაიფარავის მაღლა დგომა, გულმკერდის დეფორმაცია, პარკუტების კუნთის ჰიპერტროფია, ასაკი და სხვა) ზეგავლენით, არსებითად მოქმედებს ეკგ-ზე სხვადასხვა განხრამ. აქედან გამომდინარე, ეკგ-ის ფორმის მიხედვით ამა თუ იმ განხრამ, შეიძლება განისაზღვროს გულის მდებარეობა მისი სამი ღერძის მიმართ (სურ. 120, 121).


საეტიკალური ან ვაემჭლი (წინა-უკანა) ღერძი გაივლის წინიდან უკან გულის მასის ცენტრში. იგი ფორნტალური სობ-

რტყის პერკენდიულარულია. ამ ღერძის მიმართ გულის ცდომას ხდება ფრონტალურ სიბრტყეში - საათის ისრის მიმართულეებით (მარჯვნივ) და მის საწინააღმდეგოდ (მარცხნივ). გულის ელექტრული ღერძი შეიძლება გახდეს ვერტიკალური, ან პორიზონტალური. ამ დროს QRS კომპლექსის არსებითი ცვლილებები აღინიშნება სტანდარტულ და კიდურებიდან გაძლიერებულ ერთპოლუსიან განხრებში. როდესაც გულის ელექტრული ღერძი ვერტიკალურია, მაქსიმალური დადებითი R კბილი აღინიშნება aVF განხრებში. I სტანდარტულ განხრებში R კბილი S კბილს უტოლდება. aVL განხრებში არის უარყოფითი S კბილი, ხოლო III განხრებში დადებითი R კბილი. გულის ელექტრული ღერძის პორიზონტალური მდებარეობისას მაქსიმალური R კბილი ფიქსირდება I სტანდარტულ განხრებში და aVF განხრებში R კბილი უტოლდება S კბილს. III განხრებში რეგისტრირდება ღრმა S კბილი, aVL განხრებში კი მაღალი R კბილი,  $R I > R II > R III < S III$ .


გასწვრივი ღერძი გაივლის გულის მასის გასწვრივ და პირობითად აერთებს მწვერვალს და ფუძეს. ამ ღერძის ირგვლივ გულის შემობრუნება ხდება პორიზონტალურ სიბრტყეში საათის ისრის მიმართულეებით და მის საწინააღმდეგოდ. გასწვრივი ღერძის მიმართ გულის საათის ისრის მოძრაობის მიმართულეებით შემობრუნების დროს (ე.ი. მარცხნივ), გულის წინა ზედაპირის უმეტეს ნაწილს იკავებს მარჯვენა პარკუტი. გულის ელექტრული ღერძი გადაიხრება მარჯვნივ. აღნიშნული ღერძის ცვლილებებზე შეუვლობენ QRS კომპლექსის მიხედვით გულქერდის განხრებში. პირველ რიგში უნდა დადგინდეს გარდაშეცვლილი ზონის ლოკალიზაცია და QRS კომპლექსის ფორმა V<sub>6</sub> განხრებში. გარდაშეცვლილი ზონა ეწოდება გულქერდის ელექტრული იმ პოზიციას, რომლის დროსაც ელექტროდები განედინან მარჯვნივ და მარცხნივ პარკუტების პოტენციალების თანაბარ გაკლებას. აღნიშნულ მიდამოში პოტენციალების სხვაობა თითქმის ნულის ტოლია. ამიტომ გარდაშეცვლილი ზონის იზომოტენციურ ან ნულოვან ზონასაც უწოდებენ. ნორმალური გარდაშეცვლილი ზონა ვიზირდება პარკუტთაშუა ძვილის პარკუტის მემდებარე და შეუფარდება V<sub>6</sub> განხრებს. ამ განხრებში R და S კბილის სიდიდე ტოლია. V<sub>6</sub> განხრებში პარკუტთან კომპლექსის აქვს QRS ფორმა (Q და S კბილები მცირე ზომისაა). გულის გასწვრივი ღერძის საათის ისრის მიმართულეებით შემობრუნებისას (ე.ი. მარცხნივ) პარკუტთაშუა ძვიდე გულქერდის წინა კედლის შედარებით პარკუტული ხდება და გარდაშეცვლილი ზონა გადაინაცვლებს მარცხნივ V<sub>6</sub> განხრის მიდამოში. Q კბილი ქრება, ჩნდება გამოხატული S კბილი. I სტანდარტულ განხრებში ჩნდება S კბილი, ხოლო III განხრებში კი - Q კბილი.

გულის გასწვრივი ღერძზე საათის ისრის საწინააღმდეგოდ მიმართულეებით შემობრუნებისას (ე.ი. მარჯვნივ) პარკუტთაშუა ძვიდე ხდება გულქერდის წინა კედლის პერკენდიულარული, ამიტომ გარდაშეცვლილი ზონა გადადგვდება მარჯვნივ V<sub>6</sub> განხრისაკენ. Q კბილი ღრმადდება V<sub>6</sub> განხრებში და ის არის ამ დროს არა მარტო V<sub>6</sub>, V<sub>5</sub> განხრებში, არამედ V<sub>4</sub> განხრებშიც. V<sub>6</sub> განხრებში S კბილი აღარ აღინიშნება. არის Q კბილი I განხრებში და S კბილი III განხრებში.

გარდვიარდში, ან პორიზონტალური ღერძის ისარი გაივლის გულის მასაში მარცხნიდან მარჯვნივ. აღნიშნული ღერძის ირგვლივ გულის მოძრაობა აღინიშნება მწვერვალით წინ ან უკან საგიტალურ სიბრტყეში. გულის ეს მოძრაობა ყველაზე უკეთ ფიქსირდება სამ სტანდარტულ განხრებში. გულის მწვერვალით წინ შემობრუნებისას Q კბილის რეგისტრაცია ხდება სამივე სტანდარტულ განხრებში (ნორმების ის არის ან II, ან III და



სურ. 120 გულის მდებარეობა სამი სიბრტყის მიმართ. საგიტალური (S), პორიზონტალური (H), ფრონტალური (F)



სურ. 121 გულის ანატომიური ღერძები და მათ მიმართ გულის შესაძლო შემობრუნების მიმართულება: 1 — საგიტალური (წინააქან) ღერძი; გულის შემობრუნება საათის ისრის მოძრაობის მიმართულეებით (ა) ან საწინააღმდეგოდ მიმართულეებით (ბ); 2 — გულის შემობრუნება გასწვრივი ღერძის მიმართ საათის ისრის მოძრაობის მიმართულეებით (ა) ან საწინააღმდეგოდ მიმართულეებით (ბ); 3 — გულის შემობრუნება გარდაშეცვლილი (პორიზონტალური, განხრე), ღერძის მიმართ მწვერვლის ცდომით წინ (ა) ან (ბ) უკან

III განხრებში), S კბილი არ არის გამოხატული. გულის მწვერვალით უკან შემობრუნებისას სტანდარტულ განხრებში Q კბილი აღარ რეგისტრირდება, სამაგიეროდ სამივე განხრებში გამოხატულია S კბილი (ნორმები ის, ისევე როგორც Q კბილი, რეგისტრირდება მხოლოდ ერთში ან ორში სამი განხრებიდან).

ელექტროკარდიოგრაფის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა ელემენტის ხანგრძლივობის და სიდიდის დადგენა: P კბილის, P-Q ინტერვალის, QRS და QRST კომპლექსების. გაზომვებს, ჩვეულებრივ, ახდენენ II სტანდარტულ განხრებში, რომელშიც კბილების სიმაღლე ყველაზე უკეთ არის გამოხატული. ამის გარდა, ადგენენ P და T კბილების მიმართულეების, რომელიც შეიძლება იყოს ზოგჯერ დადებითი და ზოგჯერ უარყოფითი. უნდა დაფიქსირდეს მათი დაქობის, გახლეჩის, დამატებითი კბილის გაჩენის არსებობა. უნდა გულდასმით განაზოზღეს პარკუტებანი კომპლექსის ფორმა ყველა განხრებში, საჭიროა შეფასდეს S-T ინტერვალის იზოელექტრობა.

ჯანბრთული დამაზიანის ეკვ სურათი დამოკიდებულია ასაკზე და კონსტიტუციაზე, ადამიანის პოზიზე, რომელიც რეგისტრირდება ეკვ (წმლოვანი, მჯდომარე), გადაღების წინ ფიზიკურ დატვირთვაზე. ეკვ იცვლება ღრმა სუნთქვის ზეგავლენით, რადგანაც ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის ფაზაში იცვლება გულის მდებარეობა გულქერდში, სიმპათიკური და პარასიმპათიკური

ნერვული სისტემის ცვლილებები და სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგად.


დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროკარდიოგრაფიულ გამოკვლევას წინაგულების და პარკუჭების პიკერტროფის დასადგენად.

მარცხენა წინაგულის პიკერტროფია აღინიშნება გულის მიტრალური მანკების, განსაკუთრებით მიტრალური ხერხეის სტენოზის დროს. მარცხენა წინაგულის პიკერტროფიისათვის დამახასიათებელია: 1) P კბილის გაორება და ამპლიტუდის მატება I, II, aVL, V<sub>5</sub> და V<sub>6</sub> განხრებში (P - mitrale), 2) P კბილის მეორე უარყოფითი ფაზის ამპლიტუდის მატება V<sub>1</sub> განხრამი, იშვიათად V<sub>2</sub> განხრამი, ან უარყოფითი P კბილის ფორმირება V<sub>1</sub> განხრამი, 3) უარყოფითი ან ორფაზიანი (+-) P კბილი III სტანდარტულ განხრამი (არამუდმივი ნიშანი), 4) P კბილის ხანგრძლივობის (სიფართოს) მატება - 0,1 წამზე მეტი.

მარჯვენა წინაგულის პიკერტროფია, ჩვეულებრივ, ვითარდება იმ დაავადებების დროს, როდესაც მომატებულია წნევა ფლტვის არტერიაში, ყველაზე ხშირად ქრონიკული ფლტვისმიერი გულის დროს. მარჯვენა წინაგულის პიკერტროფის ეკ ნიშნებია: 1) მაღალი ამპლიტუდის, ნეეტიანი P კბილები II, III, aVF განხრებში (P - pulmonale), 2) V<sub>1</sub> და V<sub>2</sub> განხრებში P კბილი (ან მისი პირველი ფაზა) დადებითია ნეეტიანი მწვერვალებით (P - pulmonale), 3) დაბალი ამპლიტუდის P კბილები I, aVL, V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> განხრებში, aVL განხრამი ს შეიძლება იყოს უარყოფითი (არამუდმივი ნიშანი), 4) P კბილის ხანგრძლივობა 0,1 წამს არ აღემატება.

მარცხენა პარკუჭის პიკერტროფია ვითარდება არტერიული პიკერტენოზის, აორტული მანკების, მიტრალური სარქველის ნაკლოვანების დროს და ყველა იმ დაავადების შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება მარცხენა პარკუჭის ხანგრძლივი გადაძაბვა. მარცხენა პარკუჭის პიკერტროფიის ეკ ნიშნებია: 1) R კბილის ამპლიტუდის მატება გულმკერდის მარცხენა განხრებში (V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>) და S კბილის მატება გულმკერდის მარჯვენა განხრებში (V<sub>1</sub>, V<sub>2</sub>). ამასთან RV<sub>1</sub><RV<sub>5</sub>, ან RV<sub>1</sub><RV<sub>5</sub>; RV<sub>1</sub>>25 მმ-ზე, ან RV<sub>5</sub>+SV<sub>1</sub>≥35 მმ-ზე (40 წლის ზეით პირებში) და 45 მმ-ზე (ახალგაზრდებში); 2) აღინიშნება გულის შემობრუნების ნიშნები განხრები ღერძის ორგველ საათის ისრის საწინააღმდეგოდ; გარდამავალი ზონის გადაადგილება მარჯვნივ V<sub>2</sub> (იშვიათად V<sub>1</sub>) განხრამი, Q კბილის გაღრმავება V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> განხრებში, S კბილის გაჭრება ან მკვეთრი შემცირება გულმკერდის მარცხენა (V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>) განხრებში; 3) გულის ელექტრული ღერძის მარცხნივ გადახრა. მაღალი R კბილი I განხრამი, დაბალი R კბილი და ღრმა S კბილი III განხრამი. ამასთან R1≥15 მმ, R aVL≥1 მმ, ან R1+SI>25 მმ; 4) RS-T სეგმენტის ცდობა იზოხაზის ქვეით V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>, I, aVL განხრებში და უარყოფითი, ან ორფაზიანი (-+) T კბილების ფორმირება I, aVL და V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> განხრებში; 5) გულმკერდის მარცხენა განხრებში (V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>) QRS ინტერვალის შიდა გადახრის ხანგრძლივობის მატება - 0,05 წამზე მეტი (სურ. 122).

მარჯვენა პარკუჭის პიკერტროფია ვითარდება სამკარიაში სარქველის მანკების, მიტრალური სტენოზის, გულის თანდაყოლილი მანკების (ფლტვის არტერიის სტენოზი, წინაგულთაშუა და პარკუჭთაშუა ძივების დეფექტი და სხვა), ფლტვისმიერი გულის დროს. მარჯვენა პარკუჭის პიკერტროფიის ეკ-ის ნიშნებია: 1) გულის ღერძის მარჯვნივ გადახრა (α კუთხი - 100° და მეტი), რაც ვლინდება მაღალი R კბილით III განხრამი და დაბალი R და ღრმა S კბილით I განხრამი (მარჯვენაგანა, ან მარ-



სურ. 122 ეკ მარცხენა პარკუჭის პიკერტროფიის დროს. გულის ელექტრული ღერძის მარცხნივ გადახრა. მაღალი R I, V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> კბილით, ღრმა S III, V<sub>2</sub> განდამავალი ზონა გადახრის მარცხნივ


ჯვენა ტიპის ეკ); 2) R კბილის ამპლიტუდის მატება გულმკერდის მარჯვენა (V<sub>1</sub>, V<sub>2</sub>) განხრებში და S კბილის ამპლიტუდის მატება გულმკერდის მარცხენა (V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>) განხრებში; ამავე დროს RV<sub>1</sub>≥7 მმ, ან RV<sub>1</sub>+SV<sub>5</sub>≥10,5 მმ; 3) V<sub>1</sub> განხრამი ჩნდება rSR, ან QR ტიპის QRS კომპლექსი; 4) გულის პეტრიოლების ნიშნები განხრები ღერძის ორგველ საათის ისრის მიმართულებით (გარდამავალი ზონის მარცხნივ გადახრა, V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> განხრებისაკენ და იგივე განხრებში RS ტიპის QRS კომპლექსების გაჩენა); 5) RS-T სეგმენტის ცდობა ქვეით და უარყოფითი T კბილების გაჩენა III, aVF, V<sub>1</sub>, V<sub>2</sub> განხრებში; 6) შინაგანი გადახრის ინტერვალის მატება გულმკერდის მარჯვენა განხრამი (V<sub>1</sub>) 0,03 წამზე მეტი (სურ. 123).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროკარდიოგრაფიულ გამოკვლევებს ელექტროლიტური დარღვევების დიაგნოსტიკაში.

ჰიპოკალემიის დროს დამახასიათებელი იცვლება პარკუჭოვანი კომპლექსის ბლო ნაწილი. აღინიშნება RS-T სეგმენტის ცდობა იზოხაზის ქვეით, T კბილის ამპლიტუდის შემცირება და ორფაზიანობა (-+), ან უარყოფითი T კბილის ფორმირება. ზოგჯერ ამ დროს ვლინდება გადიდებული U კბილი. აღინიშნება აგრეთვე Q-T ინტერვალის - პარკუჭების ელექტრული სისტემის განხანგრძლივება.

ჰიპერკალემიისათვის დამახასიათებელია მაღალი, ვიწრო, ნეეტიანი, „კარვისებური“ დადებითი T კბილები და Q-T ინტერვალის დამოკლება. ხშირად აღინიშნება ატრიოვენტრიკულური გამჭარბობის, პარკუჭთაში და გამჭარბობის მუხელები და მიდრეკილება სინუსური ბრადიკარდიისადმი.

შეზად დამახასიათებელი ეკ ცვლილებები ვითარდება საგულე გლოკოზიდებით ინტოქსიკაციის დროს. აღინიშნება RS-T სეგმენტის „ჟალანისებური“ დაქვეითება იზოხაზის ქვეით, რომელიც გადადის ორფაზიან (-+) ან უარყოფითი ამიტირული



სურ. 123 ეკგ მარჯვენა პარკუთის პიკტოგრაფიის დროს. გულის ელექტრო-  
ლიტრული მარჯვენა გადახრა. ღრმა S1, V1, V2, V2, V2, V4 კბილები, მა-  
ღალი RIII, V5, V6 გარდაამავალი ზონა გადახდასაყვლეულია მარჯვენა

T კბილი. ამის გარდა, საკვლე გლიკოზიდებით ინტექსიკაცი-  
ის დროს აღინიშნება რითმის და გამბარობის სხვადასხვა სახის  
დარღვევები.

ელექტროკარდიოგრაფიას იყენებენ გულისსისხლძარღვთა  
სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესაფასებლად. ფუნ-  
ქციური კვლევა, როგ შემიხვევაში საშუალებას იძლევა გამოვ-  
ლინდეს ფარულად მიმდინარე კორონარული უკმარისობა.  
ფუნქციური გამოკვლევებიდან ფართოდ იყენებენ ფიზიკური  
დატვირთვის სინჯებს, ფარმაკოლოგიურ სინჯებს და სხვა.

მასტერის ორსაფეხურიანი სინჯის დროს პაციენტს ეკგ-ს  
უღებენ 12 განხრამი მოსვენებულ მდგომარეობაში. შემდეგ  
უტარებენ დოზირებულ დატვირთვას - პაციენტი ადის და ჩაშო-  
ბის 1 1/2-3 წუთი ორსაფეხურიან კიბეზე, რომლის საფეხურე-  
ბის სიმაღლეც 22,5 სმ-ია. დატვირთვიდან 3 და 6 წუთის შემდეგ  
განმეორებით იღებენ ეკგ-ს. ფარული კორონარული უკმარისო-  
ბის დროს ეკგ-ზე კლინიკა ცვლილებები - ქვეთიდან S(R)-T  
სეგმენტის, ბრტყელდება T კბილი. ფიზიკური დატვირთვის  
უფრო მარტივ მეთოდად ჩვეულებრივ კიბეზე ასედა და ჩას-  
ვლა, აგრეთვე ჩაბუქება 20-ჯერ და მტკჯერ. ამჟამად დოზირე-  
ბული ფიზიკური დატვირთვისათვის იყენებენ საციკალურ აპა-  
რატებს - ველოერგომეტრს, რომელიც პაციენტს დოზირებულ  
დატვირთვას აძლევს პედლების ბრუნვისას გარკვეული წინა-  
აღმდეგობის გადალახვით და ტრედილის, სპეციალური დოზი-  
რებული სარბენი ბილიით.

ორგანული და ფუნქციური კორონარული დარღვევის  
დიაგნოზისთვის მიმართავენ ფარმაკოლოგიურ სინ-  
ჯებს ნიტროგლიცერინით და ამილნიტრატით. ადარებენ ეკგ-ს,  
გადაღებულს ნიტროგლიცერინის მიღების და ამილნიტრატის  
შესუნთქვის წინ და 10-15 წუთის შემდეგ. მიოკარდიუმის იშემი-  
ის ნიშნების შესუსტება ან გაქრება აღნიშნული პრეპარატების

მიღების შემდეგ მოითხოვს კორონარული სისხლის მიმოქე-  
ვის დარღვევის ფუნქციურ ხასიათზე.

ამწერის სინჯე გამოიყენება გულის რითმის ზოგიერთი  
დარღვევის შესაფასებლად და მიმართულია ცდომილი წერვის  
ტონუსის შესაცვლელად. ავადმყოფს აჭერენ ხელს თვალის კა-  
ლებზე 6-10 წამი, რაც რეფლექსურად ცდომილი წერვის ტონუ-  
სის მატებას იწვევს. ამას შედეგად აქვს გულის რითმის შეწყვე-  
ბა და ატროვენტრიკულური გამბარობის გახანგრძლივება.  
პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტყვის შემთხვევაში ამწერის  
სინჯეა შეიძლება აღადგინოს სინუსური რითმი.

იყენებენ აგრეთვე ატროპინის სინჯს. ეკგ-ის გადაღების  
შემდეგ პაციენტს კანკვეშ უკეთებენ 0,1% ატროპინის 1 მლ-ს  
და შემდეგ განმეორებით 5, 15 და 30 წუთის შემდეგ იღებენ ეკგ-  
ს. ატროპინი იწვევს ცდომილი წერვის მოქმედების ბლოკირე-  
ბას, რაც ზოგჯერ გულის რითმის და გამბარობის დარღვევის  
სწორი შეფასების საშუალებას იძლევა.

### ფონოკარდიოგრაფია

ფონოკარდიოგრაფია (ფონო - ბერძნ. ბგერა) გულის ტონე-  
ბის და შუილების გრაფიკული რეგისტრაციის მეთოდია. ის გან-  
საკუთრებით ხშირად გამოიყენება გულის თანდაყოლილი და  
შემენილი მანკების დიაგნოსტიკაში. პირველად ფონოკარდი-  
ოგრამა ჩაიწერა 1894 წელს ენტოპოენმა, მაგრამ მეთოდმა  
პრაქტიკული გამოყენება პირვა მხოლოდ ჩვენი საუკუნის 50-  
იანი წლებიდან. ის გულის აუსკულტაციის მნიშვნელოვანი და-  
მატებაა და ისეთი ხშირობების რეგისტრაციის საშუალებას იძ-  
ლევა, რომლებიც არ მოისმინება ან ცუდად მოისმინება ყურით.

ფონოკარდიოგრამა დიდ დახმარებას შექცევს გულის და-  
ვალებების და, პირველ რიგში, გულის შექვნილი და თანდაყო-  
ლილი მანკების დიაგნოსტიკაში. ის აზუსტებს და ავსებს აუს-  
კულტაციურ მონაცემებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან  
ინფორმაციას იძლევა ფონოკარდიოგრაფიული გამოკვლე-  
ვა ტაქიკარდიის, არითმიების დროს, როდესაც აუსკულტაციით  
ძნელი გადასანჯვეტია, გულის ციკლის რომელ ფაზაში აღმო-  
ცენდება ესა თუ ის ბგერითი მოვლენა. ფონოკარდიოგრამა  
გვეხმარება გამოვალდინო ტონების ცვლილებები, მათი გამო-  
რება, დაავთქმირთ გულის III და IV ტონები, მიტრალური  
სარქველის გაღების ხშიანობა, ქენების რითმი, სისტოლური  
ტაკცეური და სხვა.

როგორც ცნობილია, ადამიანის ყურს აქვს უნარი აღიქვას  
ბგერები, რომელთა რხევაც წამში 16-დან 20000 ჰერცამდეა.  
ადამიანის სასმენი აპარატი მაქსიმალურად მგრძობიანეა  
1000-დან 4000-მდე რხევის ბგერებისათვის. ბგერით მოვლენა  
კი, რომლებიც გულის მუშაობის დროს აღმოცენდება, აქვს დია-  
პაზონი 10-დან 800 ჰერცამდე. ამდენად, ეს ბგერები სმენით  
ანალიზატორის მაქსიმალური მგრძობილობის ზონის გარეთ  
აიან. ცუდად აღიქმება ყურით ისეთი დაბალი ხშიანობები, რო-  
გორებიცაა III და IV ტონები, დაბალი სიხშირის შუილები და სხვა.

ფონოკარდიოგრამა იწვევს საციკალური ხელსაწყო-  
საშუალებით, რომელსაც ფონოკარდიოგრაფი ეწოდება. ის შედ-  
ება მიკროფონის, გამამლიერებლის, სიხშირის სისტემის ფილ-  
ტრებისა და მარეგისტრირებელი მოწყობილობისგან. მიკ-  
როფონი თავდება გულქვერზე აუსკულტაციის საეროდ მი-  
ღებულ წერტილებში. ბგერითი რხევა ამ დროს გარდაიქმნება  
ელექტრულ რხევადა, რომლებიც შემდეგ რეგისტრირდება.  
სიხშირის სისტემის ფილტრები გამოყოფენ და განასხვავებენ

სხვადასხვა სისხრის სხინობებს და ახდენენ მათ რეგისტრაციას სხვადასხვა სისხრის არხზე - აუსკულტაციური, დაბალი, საშუალო და მაღალი სისხრის არხები (აუსკულტაციური - 140 პერი, დაბალი სისხრის - 35, საშუალო სისხრის - 70-140 და მაღალი სისხრის - 250 და მეტი პერიის დარგლებში). ეს საშუალო სისხრის ილდეა შერჩევით ჩინირების დაბალი, საშუალო და მაღალი სისხრის სხინობები. ჩანარა ღებვა მელნი ქალაქებზე ან სინათლის სხივით ფოტოქალაქზე. ყველაზე სრულყოფილი მარეგისტრირებელი მონოხრომილია არის მელნიტანმენერი გალვანომეტრი „მინვოგრაფის“ ტონის აპარატებზე.

ფონოკარდიოგრამას ინერენ ავადმყოფის პორიზონტალურ მდებარეობაში ყოფნის დროს, სუთნუთიანი შექვევების შემდეგ. აუსკულტაციის და კლინიკური გამოკვლევის ნინსნარი მონაცემები საშუალებას ილდეა შეირჩეს ჩანერის ძირითადი და დამატებითი წარტოლები. ზოჯერ საჭიროა ჩანერა მოხდეს მამის, როდესაც ავადმყოფი ნეეს გვერდზე, ზის, დგას ფეხზე. ზოგ შემთხვევაში ფონოკარდიოგრამას ილდებენ ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. ფონოკარდიოგრამას, ჩვეულებრივ, ინერენ ამოსოციას ფაზაში, მაგრამ ზოჯერ საჭიროა მისი რეგისტრირება ღრმა ჩასუნთქვის და თავისუფალი სუნთქვის დროს. ჩანერის დროს მიკროფონი მჭიდროდ ფიქსირებული უნდა იყოს გულმკერდზე გამოქცელების ხელით ან სპეციალური თასმის საშუალებით.

ფონოკარდიოგრამას ყოველთვის ინერენ ეკგ-ის ერთ-ერთი განხრის სინტრონულად, რაც გვეხმარება მის გამოფერაში. შეიძლება მისი ჩანერა ექოკარდიოგრამის, კაროტიდული სფიგმოგრამის, აქტეს და კინეოკარდიოგრამის, ფლებოგრამის და სხვათა პარალელურად.

ნორმალური ფონოკარდიოგრამა შედგება გულის I, II, ხშირად კი III და IV ტონების რხევებისაგან. სისტოლური და დისტოლური პაუზას (აუსკულტაციურ არხზე) შეეფარდება იზოაუსკულტური ხაზი. პირველი ტონის მერყობა დგინდება ეკგ-ის S კბლის დონეზე, II ტონის - T კბლის დაბოლოების არეში.

**ნორმალური I ტონი** გულის მწვერვალის მიდამოში და მიტრალური სარქელის პროექციაზე შედგება ოსცილაციის სამი ძირითადი ჯგუფისაგან. საწყისი, დაბალი სიხრის, მცირე ამპლიტუდის რხევები ნარმიადგენს I ტონის უნთოვან კომპონენტს და დაკავშირებულია პარკუჭების უნთის შეკუმშვასთან. I ტონის ცენტრალური ნაწილი, ამ ძირითადი სეგმენტით (დადი სისხრის და ამპლიტუდის ოსცილაციები - 120 პერიცე ნუთში) განპირობებულია იმ რხევებით (2-3 ოსცილაცია), რომლებიც აღმოცენდება მიტრალური და ტროუსპილური სარქელების დახურვისას. I ტონის საბოლოო ნაწილი (მცირე ამპლიტუდის ოსცილაცია) ასახავს აორტის და ფილტვის არტერიის სარქელების გაღვას და აორტის და ფილტვის არტერიის კედლებს რხევას. I ტონის ამპლიტუდის მაქსიმუმი დგინდება მისი ცენტრალური ნაწილით. აუსკულტაციურ არხზე ნორმალური I ტონის ამპლიტუდა მწვერვალზე I / 2-2-ჯერ აღებტება I ტონის ამპლიტუდას. პირველი ტონის ცენტრალური ნაწილის დაცილობა სინტრონულად ჩანერილ ეკგ-ის Q კბლისაგან 0,04-0,06 წამია. ამ ინტერვალს პარკუჭების აგზნების დაწყებიდან მიტრალური სარქელის დახურვამდე ეწოდება Q-I ტონი (გარდაქმნის, ამ ტრანსფორმაციის ფაზა). პირველი ტონის საერთო ხანგრძლივობა 0,12-0,14 წამია.

**II ტონის** ანალიზი ხდება მისი გულის ფუძეზე რეგისტრაციის შედეგად (II ტონითაშუა მიდამო მკერდის ძელის მარცხნივ და მარჯვნივ). II ტონის ამპლიტუდა გულის ფუძეზე (მისი სისხრე

70-150 პერიცე) ორჯერ და მეტად აღებტება I ტონის ამპლიტუდას. არევე II ტონის ოსცილაციის ორ ჯგუფს. პირველი დაკავშირებულია აორტის სარქელის დახურვასთან და გამორჩევა დიდი ამპლიტუდით, რაც აიხსნება აორტაში უფრო მაღალი დისტოლური წნევით, ეივრე ფილტვის არტერიაში; მცირე დაკავშირებულია ფილტვის არტერიის სარქელის დახურვასთან. II ტონის ფილტვის არტერიის კომპონენტის ამპლიტუდა 1/2-2-ჯერ ნაკლებია აორტულზე. ნორმალურ აორტულ და პულმონურ კომპონენტებს შორის მერყეობა შეიძლება 0,04-0,06 წამს მიაწოდოს; ამ დროს აუსკულტაციით II ტონის გაორება მოსიძინება. II ტონის ამპლიტუდის შეფასებისას ორიენტაციას აკეთებენ აორტული კომპონენტის მაქსიმალურ ოსცილაციაზე აუსკულტაციურ არხზე. II ტონის საერთო ხანგრძლივობა 0,07 წამია.

**III ტონი** წარმოიქმნება პარკუჭების უნთის რხევის შედეგად მისი სწრაფი დისტოლური აგზნის დროს (აქსების ტონი). III ტონი ფონოკარდიოგრამაზე გამოისახება 1-2 დაბალი სისხრის ოსცილაციის სახით, დაბალი სისხრის არხზე, II ტონიდან 0,12-0,18 წამის შემდეგ. ზოგ შემთხვევაში ის ფიქსირდება აუსკულტაციურ არხზეცე დისტოლურმა დამატებითი ტონის სახით. III ტონის ხანგრძლივობა 0,03-0,06 წამია.

**IV ტონის** წარმოიქმნება დაკავშირებულია წინაგულის შეკუმშვასთან, რაზეც მტყუელებს მისი ოსცილაცია P კბლის დაბოლოების მიდამოში სინტრონულად ჩანერილ ეკგ-ზე. აღნიშნული კანონზომიერება აღინიშნება ატრიოვენტრიკულური ბლოკის დროსაც. IV ტონი ფონოკარდიოგრამაზე წარმოდგენილია 1-2 დაბალი ამპლიტუდის რხევით დაბალი სისხრის არხზე. აუსკულტაციურ არხზე ის იძივიადა ინერება, ისევე როგორც იძივიადა მოისინდება აუსკულტაციის დროს. ის უკეთ ინერება მწვერვალზე.

III და IV ტონები უფრო ხშირად ფიქსირდება ბავშვებში და თხელფლკტირებლებში. მათ გამოიერებას ხელს უწყობს ფიზიკური დატვირთვა.

ზოჯერ ფონოკარდიოგრაფიით ელინდება გულის V ტონი. მისი წარმოშობის მექანიზმი არ არის ცნობილი. ის რეგისტრირდება დაბალი სისხრის არხზე 1-2 დაბალამპლიტუდის ოსცილაციის სახით და არის II ტონის დასაწყისიდან 0,29-0,31 წამის შემდეგ. აუსკულტაციით მას ვერ ისმენენ.

ფონოკარდიოგრამის პათოლოგიური ცვლილებები ელინდება, პირველ რიგში, გულის ტონების ამპლიტუდის შემცირებით ან გადიდებით. I ტონის ამპლიტუდის შემცირება მიტრალური და ტროუსპილური სარქელის პროექციის მიდამოში არის ატრიოვენტრიკულური სარქელის ნარეკიანების დროს, მისი კარედების მოძრაობის შეზღუდვისას კალინოზის შედეგად ან პარკუჭების მოკარდობის კუმშვად ფუნქციის დაქვეითებისას (გულის უმკაროსობა). I ტონის ამპლიტუდის მატება არის ატრიოვენტრიკულური სარქელის კარედების ფიბროზის დროს, თუკი მათი მოძრაობა შენარუნებულია. I ტონის ამპლიტუდაზე მოქმედებს აგრეთვე ატრიოვენტრიკულური სარქელის მდებარეობა პარკუჭთაში და წნევის მატების ნინ. თუკი ის იწყება სწრაფად წინაგულის შეკუმშვის შემდეგ, მაშინ, როდესაც სარქელზე არ არის ჯერ მინუელი, I ტონის ამპლიტუდა მაღალია. ამასთან დაკავშირებით P-Q ინტერვალის დამოკლებისას I ტონის ამპლიტუდა დიდდება, დაგრძელებისას კი - მცირდება. Q-I ტონის ინტერვალს გადიდება (0,14 წამამდე და მეტი) დაკავშირებულია მარცხენა ატრიოვენტრიკულური სარქელის დახურვის დაგვიანებასთან მარცხენა წინაგულეებში წნე-

ვის მატების გამო. ეს მიტრალური სტენოზის ერთ-ერთი ნიშანია. I ტონის გაორება 0,03-0,04 წამამდე არის მიტრალური და ტრიკუსიდური სარქველების არაერთდროული დახურვისას პისის კონის ბლოკადისას პარკუჭების არასინქრონული შეკუმშვის გამო. ის აღინიშნება აგრეთვე მიტრალური სტენოზის დროსაც.

II ტონის ამპლიტუდის შემცირება აორტაზე ვითარდება აორტის სარქვლის ნაკლოვანების დროს, აგრეთვე მისი კალციოზის და სტენოზის შემთხვევაში, კარდების მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვის შედეგად. II ტონის ამპლიტუდის შემცირება აღინიშნება აგრეთვე აორტაში და ფილტვის არტერიაში ნევის დაქვეითებისას. II ტონის ამპლიტუდის მატება აორტის და ფილტვის არტერიის მიდამოში შეიძლება დაკავშირებული იყოს სისხლის დასატოლური ნევის მატებასთან ან სარქველების ვაკუირებასთან მათი სკლეროზის შედეგად. II ტონის გაორება აღინიშნება წინაგულეს შორის დეფექტის, ფილტვის არტერიის სტენოზის, პისის კონის მარჯვენა ტოტის ბლოკადის დროს, რაც იწვევს ფილტვის არტერიის სარქვლის დახურვის დაგვიანებას.

**დიდი ამპლიტუდის III ათათოლოგიური ტონი**, რომელიც რეგისტრირდება არა მხოლოდ დაბალი სიხშირის, არამედ აუსკულტაციურ არხზეც; დაკავშირებული პარკუჭებში სისხლის გადასროლის მაღლიერებასთან (მიტრალური ნაკლოვანება, პარკუჭთაშუა ძვიდის დეფექტი). დაბალი ამპლიტუდის და დაბალი სიხშირის ათათოლოგიური III ტონი აღინიშნება პარკუჭების ტონუსის მკვეთრი დაქვეითებისას მოკარდიუმის ინფარქტის ან მოკარდიტების დროს.

**ათათოლოგიური IV ტონი** ვადიდებელი ამპლიტუდით და სიხშირით ყველაზე ხშირად რეგისტრირდება მარჯვენა წინაგულის მნიშვნელოვანი გადატვირთვისას (გულის თანდაყოლილი მანკები).

განვხილვის სისტოლურ ტონს აორტაზე ან ფილტვის არტერიაზე აუქოსირებენ დამატებით ტონს სახით სისხლის დასანყისში I ტონიდან 0,04-0,08 წამის შემდეგ, აორტის, და ფილტვის არტერიის სტენოზის და პოსტსტენოზური გაღიანერებისას. მიტრალური სარქვლის პროლაფსის დროს აღინიშნება შუა ან გვიანი დამატებითი ოსცილაციები (სისტოლური ტაკეური).

**მიტრალური სარქვლის გაღების ხშირება** ფიქსირდება როგორც დამატებითი ტონი დასატოლის დასანყისში. დადგენტიკური მნიშვნელობა აქვს ინტერვალს II ტონი - ატრიოვენტრიკულური სარქვლის გაღების ხშირება (II - OS), რომელიც არის 0,04-0,12 წამის ფარგლებში და ასახავს ნევის მატების ხარისხს წინაგულეებში. რაც უფრო მაღალია ნივთ ატრიოვენტრიკულური ხერხელის სტენოზის დროს, მით უფრო ადრე იხსნება სარქველი და მით ნაკლებია II - OS-ის სიდიდე.

ფონოკარდიოგრაფაზე შეიძლება აგრეთვე შუილების შემდეგი მნიშვნელოვანი პარამეტრების დადგენა: ფაზურობა, ხანგრძლივობა, ამპლიტუდა, ფორმა, სიხშირე.

შუილების ფაზურობას ადგენენ სისხტოლის და დასატოლის ზემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით. გამოყოფენ პოლისისტოლურ შუილს, რომელიც მთელ სისხტოლას იკავებს, მაგრამ არ უერთდება I და II ტონებს და პანსისტოლურ შუილს, რომელიც უერთდება I და II ტონს. დასატოლური შუილისათვის მნიშვნელოვანია, იწყება ის ერთბაშად II ტონის შემდეგ (აორტის) და ფილტვის არტერიის სარქველების ნაკლოვანება), თუ ატრიოვენტრიკულური სარქვლის გაღების ტონს უსრუებს უშუალოდ (მიტრალური და ტრიკუსიდული სტენოზი).

არჩევენ მაღალ და დაბალი სიხშირის შუილებს. სისტოლური შუილების რხევა 50-600 ჰერცის ფარგლებშია, დისტოლურის - 120-800 ჰერცის. შუილების ამპლიტუდის გაზომვისას მიზანშეწონილია მათი შეფარდება გულის ტონების ამპლიტუდასთან.

ფორმის მიხედვით არჩევენ შუილების შემდეგ ძირითად სახეებს: დერემუნდო (კლუბადი), კრემუნდო (მზარდი), თითის ტარის (რომბის) ფორმის, ლენტის ფორმის (თანაბარზომიერი) შუილებს. ბოლო სამი ფორმა დამახასიათებელია ე.წ. განვწყნის შუილებისათვის, რომლებიც აღმოცენდება გულის რომელიმე კამერის შეუკუმშვისას (აორტული სტენოზი). დერემუნდო შუილები „სისხლის პასური დინების“ შუილებია (მიტრალური სტენოზი).

ფუნქციური სისტოლური შუილები, ჩვეულებრივ, იწერება დაბალი და საშუალო სიხშირის (50-200 ჰერცი) ოსცილაციებით; მათი ამპლიტუდა დაბალია, ხანგრძლივობა მკვირ და არ სცილდება სისტოლის შუა ნაწილს.

სისტოლური შუილი, რომელიც იწყება უშუალოდ I ტონის შემდეგ, დამახასიათებელია მიტრალური სარქვლის ნაკლოვანებისათვის. ის, ჩვეულებრივ, იწყება მაღალი ოსცილაციით და თანდათანობით ქრება II ტონის წინ. მკვეთრად გამოხატული მიტრალური სარქვლის ნაკლოვანების დროს ვლინდება დიდი ამპლიტუდის ხანგრძლივი სისტოლური შუილი, რომელიც იწყება I ტონიდან და გრძელდება II ტონამდე. აორტის ხერხელის ან ფილტვის არტერიის ხერხელის შევიწროების დროს გულის ფუფეზე რეგისტრირდება „რომბისმაგვარი“ სისტოლური შუილი. ის იწყება I ტონიდან მოკლე ინტერვალის შემდეგ, მატულობს სისტოლის შუისათვის და მკვირდება II ტონისაკენ.

დასატოლური შუილებიც სხვადასხვა ხასიათისაა. მიტრალური სტენოზის დროს გულის მხვერვაზე რეგისტრირდება სამი სახის დასატოლური შუილი: 1) პროსისტოლური, რომელიც კრემუნდო ტიპისაა და ერწყმის I ტონს, 2) დაბალი სიხშირის შუილი, რომელიც იწყება დასატოლის დასანყისში (პროსტოლოდისტოლური) და მთავრდება დასატოლის შუისათვის და 3) მეზოდასატოლური. ზოგჯერ არის უწყვეტი დასატოლური შუილი.

აორტის სარქვლის ნაკლოვანების დროს ჩვეულებრივ რეგისტრირდება ორი სახის დასატოლური შუილი: 1) უწყვეტი, მაღალი სიხშირის და დაბალი ამპლიტუდის შუილი და 2) შუილი, რომელიც იწყება II ტონიდან და მთავრდება დასატოლის შუიში.

### რენტგენოლოგიური გამოკვლევა

გულის და სისხლძარღვების რენტგენოლოგიური გამოკვლევა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებს შორის. გულის და მსხვილი სისხლძარღვების რენტგენოლოგიური კვლევის ძირითადი მეთოდებია რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია. ამის გარდა, იყენებენ სპეციალურ გამოკვლევებსაც - ფლოუროგრაფია, ტომოგრაფია, რენტგენოომოგრაფია, ანგიოკარდიოგრაფია და სხვა. რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია წარმოადგენს იძლევა გულის მდებარეობაზე, ფორმაზე, სიდიდეზე, პულსაციაზე, გულის ცალკეული სეგმენტების მდებარეობაზე, აორტის ჩრდილის ინტენსივობაზე, მიყვანილობასა და სიფარდობაზე.


გულის რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს ძირითადად მიმართვენ გამოკვლევას სამ სხვადასხვა პროექციაში. პირდაპირ პროექციაში გამოკვლევის დროს მაცივრები დგას პი-

რისაბით ეკრანისაკენ (ან კასეტისაკენ). პირველ ან მარჯვენა ირბ პრექეციაში გამოკლევის დროს ის მიტრალეზულია ეკრანისაკენ მარჯვენა გვერდით, 45° კუთხით. მეორე ანუ მარცხენა ირბ პოზიციაში გამოკლევის დროს, ავადმყოფი მოტრალეზულია ეკრანისაკენ მარცხენა გვერდით, 45° კუთხით.

არჩევნ გულის ნორმალური მდებარეობის სამ ვარიანტს გულმკერდის ღრუში მისი დახრის კუთხის მიხედვით: პორიზონტალურს, ირბხა და ვერტიკალურს, რაც ბევრად არის დამოკიდებული პაციენტის კონსტიტუციურ ტიპზე. ნორმოსთენიული გულმკერდის მქონე პირთა გული ირბად მდებარეობს, ასთენიურ პირებში და დიაფრაგმის დაბლა დგომისას - ვერტიკალურად («დაკიდული»; «ნეთისებრი» გული). პიკნოსთენიული გულმკერდის მქონე პიროვნებებში და დიაფრაგმის მაღლა დგომისას გული პორიზონტალურად არის განლაგებული («მწოლარე გული»). გულის მდებარეობა გულმკერდში შეიძლება შეიცვალოს პლევრიტების, შუასაყარის სიმსივნის, პლევროპერიკარდიული შეზორცებების დროს და სხვა.

ნორმის დროს პირდაპირ პრექეციაში, ფილტვების ნათელი ველებების ფონზე, მოჩანს გულისა და მსხვილი სისხლძარღვების ჩრდილის მარცხენა და მარჯვენა კონტურები. მარჯვენა კონტურზე არჩევნ ორ, მარცხენა კონტურზე კოთხ რკალს (სურ. 124). მარჯვნივ პირველი ზედა რკალი ნარმოქმნება ზედა ღრუ ვენით და ნაწილობრივ ასწვრივი აორტით, მეორე რკალი - მარჯვენა წინაგულით. მარცხნივ ზედა პირველ რკალს პქმის აორტა, მეორეს - ფილტვის არტერია, მესამეს მარცხენა წინაგულის ყური და მეოთხეს მარცხენა პარკუჭი. ფილტვის არტერიისა და მარცხენა წინაგულის პრექეციაზე არსებული ჩაღრმავება, მარცხენა წინაგულ-სისხლძარღვოვანი კუთხე, ქმნის ე.წ. გულის «ტალას».

გულის კონფიგურაციის შეფასებისას პირდაპირ პრექეციაში ყურადღებას აქცევენ გულის ტალასს. გულის ტალის ცვლილებების მიხედვით არჩევნ გულის მიტრალურ და აორტულ




სურ. 125 მიტრალური კონფიგურაციის გულის სქემა


კონფიგურაციებს. მიტრალური სარკელის მანკების დროს ღიდდება მარცხენა წინაგული და მატულობს წნევა ფილტვის არტერიაში. ამასთან დაკავშირებით, გულის მარცხენა კონტურის მეორე და მესამე რკალები, რომლებიც ნარმოქმნილია ფილტვის არტერიით და მარცხენა წინაგულის ყურით, გამოიძიერება და გულის ამ ნაწილისათვის დამახასიათებელი ჩაღრმავება - გულის ტალაი სწორდება. აღნიშნული კონფიგურაციის გულის მიტრალური კონფიგურაციის გული ეწოდება (ის ფორმით ვსგამდება ეპისკოპოსების ქუღს - მიტრას). მიტრალური კონფიგურაციის გული აღინიშნება მიტრალური სტენოზის, მიტრალური სარკელის ნაკლოვანების, რთული მიტრალური მანკის, კომბინირებული მიტრალურ-აორტული მანკების (მიტრალურის სიჭარბით), ფილტვებისა და ფილტვის არტერიის პათოლოგიის (წნევის მატება მცირე წრეში), ბოტალოს ლია სადინარის დროს (სურ. 125).

აორტული სარკელის მანკების დროს ღიდდება მარცხენა პარკუჭი, რის გამოც გულის ჩრდილის მარცხენა კონტურზე აღინიშნება პირველი და მეოთხე რკალის დაგრძელება და გამოიძიერება, მეორე და მესამე რკალის ჩაღრმავება - გულის ტალაი ამ დროს მკაფიოდ ჩანს. ასეთი ფორმის გულს, გამოხატული ტალით, აორტული კონფიგურაციის გული ეწოდება («ჩექ-მისებური» ფორმის გული). აორტული კონფიგურაციის გული არის აორტის სარკელის ნაკლოვანების, აორტის ხერხულის სტენოზის, რთული აორტული მანკის, კომბინირებული მიტრალურ-აორტული მანკის (აორტულის სიჭარბით), სისტემური პიპერტენიონის, ზოგჯერ აორტის ათეროსკლეროზის, მიოკარდიუმის ინფარქტის, მიოკარდიტის დროს (სურ. 126).

რენტგენოლოგური გამოკვლევით შეიძლება ნახონ გულის ჩრდილის მთლიანი გაღიდება, რაც აღინიშნება გულის კუთხის დიფუზური და ზიანებისა და პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვების დროს. გულის კუთხის დიფუზური და ზიანება ვითარდება ძირითადად დიფუზური მიოკარდიტის და შეეგუბებით კარდიომიოპათიის დროს. ამ დროს, გულის ჩრდილის კონტურების გასწორების მიუხედავად, მაინც შეიძლება ცალკეულ რკალის ვარჩევა; გულის კუმეზადი ფუქცია დაქვეითებულია, მაგრამ ულსაცია მოჩანს. ავადმყოფის სხეულის მდებ-



სურ. 124 გულის კონტურის სქემა. 1. ზედა ღრუ ვენა; 2. მარჯვენა წინაგული; 3. აორტის რკალი; 4. ფილტვის არტერია; 5. მარცხენა წინაგული; 6. მარცხენა პარკუჭი



სურ. 126 აორტული კონფერაციის გულის სქემა

რეობის შეცვლისას გულის ფორმა არ იცვლება. გულის კუნთის დიფუზური დაზიანებისას გულის ჩრდილი ზოგჯერ თითქმისდა „ბურთის“ ფორმას ღებულობს. როდესაც გულის ზომა ძალიან დიდია, ხარის გულზე ლაპარაკობენ.

პერიკარდიუმის ღრუში სითხე შეიძლება დაგროვდეს ექსუდაციური პერიკარდიტის, გულის შეგუბებითი უემპარისობის, გულის შრილობის (პემოპერიკარდიუმი) და სხვა დროს. თუკი პერიკარდიუმის ღრუში სითხე დიდი რაოდენობით დაგროვდა, გულის კონტურზე ცალკეული რკალების გამოყოფა შეუძლებელია, პულსაცია აბსოლუტურად არ შეინიშნება. ავადმყოფის სხეულის მდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, გულის ფორმა შეიძლება შეიცვალოს. პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვებისას გულის ჩრდილი ტრაპეციის ფორმას ღებულობს. ემპტიონის კუთხე ბლავდება.

ექსუდაციური პერიკარდიტის გადატანის შემდეგ, თუკი ავადმყოფს განუეითარდა შეზორცებები პერიკარდიუმის ვისცერულ და პარიეტულ ფურცლებს შორის ან პერიკარდიუმსა და მთაზღერ პლევრას შორის, აღინიშნება გულის ჩრდილის დეფორმაცია. თუკი ანთების შედეგად პერიკარდიუმის ღრუში კირის მარალები ჩალაგდა, რენტგენოლოგიურად ისინი დამახასიათებელი ზონარის ან კალციფიცირებული უბნების სახით ჩანს, რომლებიც ზოგჯერ გარს ერტყმის გულს - „ჯავშნაიან“ გული.

გულის რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს ყურადღებებს აქვეყენ აგრეთვე გულის სხვადასხვა ნაწილის შეკუმშვის ხასიათს და სიღრმეს. შეკუმშვის სიღრმე ასახავს მიოკარდიუმის კუმშვადობის უნარს.

რენტგენოლოგიური გამოკვლევით შეიძლება ვნახოთ სისხლის ძარღვების კოკალური გაფართოება. ის ყველაზე ხშირად აორტის ანევიზმის დროს აღინიშნება (სურ. 127), რომელიც ათეროსკლეროზის, ათამანგის და სხვა მიზეზით შეიძლება განვითარდეს. ათამანგის ნიადაგზე განვითარებული ანევიზმმა უფრო ხშირად ოლიკალიზდება ანსერიე აორტაში, ათეროსკლეროზის დროს კი - დასწერიე და მუცლის აორტაში. მუცლის აორტის ანევიზმის დიაგნოზი რენტგენოკონტრასტული აორტოგრაფიის საშუალებით დგინდება. რენტგენოლოგიურად შე-



სურ. 127 აორტის ანევიზმის რენტგენოგრაფია

იძლება აგრეთვე ფილტვის არტერიის გაფართოებზე ლაპარაკი, რაც ვითარდება მცირე წრეში სისხლის წნევის მატების შედეგად.

### ემოკარდიოგრაფია

ექოკარდიოგრაფია გულის არაინვაზიური გამოკვლევის მეთოდია, რომელიც უნიკალურ ინფორმაციას იძლევა გულის სარტკლოვანი აპარატის მდგომარეობასა და მოძრაობის ხასიათზე, გულის ღრუების სიდიდეზე, პარკუჭების კედლის სისქეზე, მიოკარდიუმის კუმშვად ფუნქციაზე და სხვა. გამოკვლევა ტარდება სპეციალური ხელსაწყოების ექოკარდიოგრაფების საშუალებით. ექოკარდიოგრაფი (ექოსკანერი) შედგება: 1) ულტრაბგერის ნარამომქმნელის, ანუ დიაგნოსტიკური ზონდისაგან (ტრანსდუსტორი); 2) ელექტრონული ბლოკისაგან, რომლის შემადგენლობაში შედის გენერატორი და ელექტრონული იმპულსების გამძლიერებელი და 3) ოსცილოგრაფის ეკრანისაგან (დისპლეი), რომელზეც ვიზუალიზდება ინფორმაცია მრუდის ან გამოსახულების სახით - ექოკარდიოგრაფა (ექოსკანოგრაფა) და რომლის რეგისტრაციაც შეიძლება პოლაროიდის ფირზე, ჩვეულებრივ ფოტოკამერაზე და სხვა.

გულის გამოკვლევის დროს გამოიყენება ძირითადად ერთგანზომილებიანი, ე.წ. M - ტიპის ექოკარდიოგრაფია და ორგანზომილებიანი, ე.წ. B - ტიპის ექოკარდიოგრაფია.

M - ტიპის რეგისტრაციის ან სკანირების (M - mode) დროს მიღებულ ინფორმაციას გაშლილი, ტალისებური ხაზის ფორმა აქვს. გამოსაკვლევი ობიექტის ცალკეული სტრუქტურის ექოსიგნალი, რომელიც ოსცილოგრაფის ეკრანზე გამოისახება, ასახავს დროის და სიღრმის კოორდინატებს.

B - ტიპის რეგისტრაციის ან სკანირების (B - mode) დროს რეგისტრირებული ექოსიგნალები გამოისახება ოსცილოგრაფის ეკრანზე ორგანზომილებიანი გამოსახულების სახით



დროს რეალურ მასშტაბში. მეთოდი საშუალებას იძლევა დაეი-  
ნახთ გული ჭრილობი აორტიდან მწვერვალამდე და მარცხენა  
პარკუჭის წინა კედლიდან უკანა კედლამდე. სკანირება შეიძლე-  
ბა შესრულებას სისტოლის და დიასტოლის სხვადასხვა ფაზაში.  
დამატორივად ვხედავთ გულს შუბრისძის დროს. ზოგჯერ იყენებ-  
ენ ე.წ. კონტრასტულ ექოკარდიოგრაფიას, რომელიც ინფორ-  
მაციულია წინაგულოვანი იმ პარკუჭოვანი ძვილის დეფექტის  
დროს, ან ტრანსკატინალ რევურტიციის დასადგენად. სა-  
კონტრასტო ნივთიერებებად იყენებენ NaCl ფიზიოლოგიურ  
ხსნარს, რენოგრაფიის და სხვა ნივთიერებებს.

კარდიოლოგიურ პრაქტიკაში ბოლო დროს ფართოდ გამოი-  
ყენებენ ექოკარდიოგრაფიულ აპარატურას, დამყარებულს  
დოპლერის ეფექტზე. ამ მეთოდს დოპლეროკარდიოგრაფია  
წოდებენ. აღნიშნული მეთოდი, განსაკუთრებით ფერადი დო-  
პლეროკარდიოგრაფია, საშუალებას იძლევა შევადგინო სისხლის  
მიმოქცევის თავისებურებები გულის ამა თუ იმ ნაწილში, რაც  
მნიშვნელოვნად აფართოებს დაიკავსტიკურ შესაძლებლობებს.

ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა არ მიითხოვს ავად-  
მყოფის სპეციალურ მოზადებას და სრულიად უზიფათია მის-  
თვის. შეიძლება მისი მრავალჯერადი გამოყენება. გამოკვლევის  
დროს ავადმყოფი ნეგს ზურგზე. სხეულის ზედა ნაწილ ნამირიუ-  
ელ არის დაახლოებით 45° კუთხით. ზოგჯერ იკვლევენ ავად-  
მყოფს მარცხენა ვერცხვ ნოლის დროსაც. ზონდს, რომელიც  
გზავნიან ულტრაბერით რხევებს და აღქეპნა არეკლი სივ-  
რულს, ათავსებენ II-V ნეწთაშუა მიდამოში (გვამოფიის კონსტი-  
ტუციური თავისებურებებიდან გამომდინარე), შეკრდის ძვილის  
მარცხნივ (ამ მიდამოში მარჯვენა პარკუჭ არ არის დაფარული  
ფილტვებით). იყენებენ დამატებით მდგომობებს (მწვერვალო,  
მკერდის ძვილის ზედა, ეპიგასტრული მიდამოები). ზონდის სხე-  
ულზე უკეთ კონტაქტისათვის იყენებენ სპეციალურ გულს.

ულტრაბერია პრაქტიკულად ვერ გადის პარკუჭად ვარემო-  
ში და ძელოვან ქსოვილში, ამდენად, ასაკოვან პირებში ფილ-  
ტვების ეფერენზის და ნეკენების ხრტილების გაძვალუბისას გა-  
მოიკვლევა გაძვლებულია.

ექოკარდიოგრაფიულად დიდი სიზუსტით დგინდება მიტ-  
რალური ხერხლის სტენოზის და დილათოზი, აორტის ხერხლის შე-  
ვიწროების, დილატაციური და პიანტრტიფიული კარდიომიო-  
პათიების, ექსუდაციური პერიკარდიტის, მიტრალური სარ-  
ქელის პროლაფსის არსებობა. აღნიშნული მეთოდით შეიძლება  
დადგინდეს სარქველებზე თრომბების, წინაგულების სიმსივნის-  
მიქსიბის არსებობა. სექტორული სკანირებით კარგად ჩანს  
მარცხენა პარკუჭის კედლის მოძრაობის სვემენტურობა გულ-  
ის იმემოური დაავადების დროს, პარკუჭების ანეკრიზმა და  
მიოკარდიუმის ინფარქტის ზოგიერთი სხვა ვარუთობა (პარ-  
კუჭთაშუა ძვილის გახევა, კამილარული კუნთების დისფუნ-  
ქცია, კორდების მოწყვეტა და სხვა). ექოკარდიოგრაფიით შეიძ-  
ლება აორტის ხერხლის სარქველოვანი შევიწროების დიფერენ-  
ციული დიაგნოსტიკა სარქველზედა და სარქველქვედა სტე-  
ნოზთან. შემოძრება აორტის გაგანირება და ზოგჯერ მისი გან-  
შრევევადი ანეკრიზმის არსებობა. ზოგიერთი ექოკარდიოგ-  
რაფიული ნიშნის საფუძველზე შეიძლება დაისვას პულმონური  
ხერხლის სტენოზი, გულის ტამპონადის დიაგნოზი.

ექოკარდიოგრაფიულად სძირად ვერ დგინდება პირდაპირ  
მიტრალური და აორტული რევურტიციის არსებობა და აღ-  
ნიშნულ პათოლოგიებზე მსჯელობენ არაპირდაპირი მონაცემე-  
ბით - კედლის მოძრაობის, ღრუების ზომის და სარქველების  
მოძრაობის მიხედვით. ექოკარდიოგრაფიული მონაცემების

საფუძველზე ზოგჯერ მსჯელობენ მისის კონის მარცხენა  
ტოტში გამტარობის დარღვევაზე და ვოლფ-პარკინსონ-ვაი-  
ტის (WPW) სინდრომის არსებობაზე.

დოპლეროკარდიოგრაფია, განსაკუთრებით ფერადი,  
გვამარბავს სისხლის დინების მიმართულების და ხარისხის  
შეფასებაში, საშუალებას იძლევა შევადგინო ტრანსსარქველო-  
ვი გრადიენტი და წინაა პულმონურ არტერიაში, სარქველოვანი  
რევურტიციის ხარისხი მიტრალური და ტრიკუსპიდური სარ-  
ქელების ნაკლოვანების დროს და ინტრავენტრიკულური შუნ-  
ტის არსებობა. ის განსაკუთრებით ინფორმაციულია გულის  
თანდაყოლილი მანკების დროს.

ექოკარდიოგრაფიულად დგინდება მარცხენა პარკუჭის  
უკანა კედლის და ძვილის სიხე, გულის კამრების ზომები და  
პემონდნამიკის რამდენიმე პარამეტრი - მარცხენა პარკუჭის  
წინა-უკანა ზომა სისტოლის და დიასტოლის დროს, მარცხენა  
პარკუჭის სისტოლური და დიასტოლური მოცულობები, დარ-  
ტვებით მოცულობა, განდენის ფრაქცია და სხვა.

### სვიმომგრაფია

სვიმომგრაფია სისხლძარღვთა კედლის პულსური რხევის  
რეგისტრაციის მეთოდია. გამოიყენება სპეციალური გადამცე-  
მები, რომლებიც თავსდება გამოსაკვლე არტერიაზე. სისხლის  
ძარღვის მუქნიერის რხევა გადაცემა ელექტროლი სივან-  
ლის სახით და რეგისტრირდება მრუდის - სვიმომგრაფიის სახით  
სპეციალური ხელსაწყოთი, რომელიც სვიმომგრაფი ეწოდება.  
სვიმომგრაფია საშუალებას იძლევა ობიექტურად შევადგინო  
პულსური ტალღის სიხშირე, რითმი და ხასიათი.

არჩვენ ცენტრალურ და პერიფერიულ სვიმომგრაფებს.  
მრუდს, რომელიც ჩანერილია სძირად და ლაენექემა არტერი-  
ებიდან, ცენტრალური შექია, ხოლო მრუდს, რომელიც ჩანერი-  
ლია პერიფერიული არტერიებიდან - სხივის, იდაყვის და ბარძა-  
ყის არტერიებიდან, პერიფერიული სვიმომგრაფა ეწოდება.


ჯანმრთელი ადამიანის სვიმომგრაფაზე აღინიშნება ციკა-  
ბო აღმავალი მუხლი - ანაკროტა (მეცხაბამება გულის სისტო-  
ლას), მრგვალი მწვერვალი და დამრეცი დაღმავალი მუხლი - კა-  
ტაკროტა (მეცხაბამება გულის დიასტოლას). პერიფერიულ  
სვიმომგრაფაზე კატაკროტაზე რეგისტრირდება გამობატული  
დიკროტული კბილი, რომლის გენეზე და ეკავიმბრებულობა აორ-  
ტის სარქელის დაზერვის შედეგად სისხლის უკუშრობობას-  
თან. ცენტრალური სვიმომგრაფა ხასიათდება უფრო ციკაბო  
ანაკროტით და მცირე დიკროტული ტალღით (სურ. 12B).

სვიმომგრაფის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს  
პულსური ტალღის ფორმას, ანაკროტის ანევის და კატაკრო-  
ტის დაწევის სისწრაფეს, პულსური ტალღის რხევის ამპლიტუ-  
დის სიდიდეს, დიკროტული ტალღის სიდიდეს და სხვა.

მეტად მნიშვნელოვანი სვიმომგრაფიით პულსის ისეთი  
დარღვევების შეფასება, როგორებიცაა სწრაფი და მაღალი,  
გვიანი და მცირე პულსი, დიკროტული პულსი, ანაკროტული  
პულსი, ალტერნაციული პულსი და სხვა.

### კაპილაროსკოპია

კაპილაროსკოპია - კაპილარების მდგომარეობის და კაპი-  
ლარული სისხლის მიმოქცევის შესწავლის მეთოდია. კაპილა-  
როსკოპიის აწარმოებენ კანზე, ლორწოვან გარსებზე, მკვრამ  
ჰევილაზე მეტად გავრცელებულია ფრინილების არს კაპილა-



სურ. 128 საბილი არტერიის სფიგმოგრამა ნორმის და პათოლოგიის დროს. ა. ნორმალური არტერიული პულსი ერთდროულად გადაღებულ ეკგ-თან ერთად. ჩანს დიკროტული D ტალღა აორტის სარქველის დახურვის შემდეგ; ბ. დიდი პულსური ტალღა აორტის ნაკლევანების დროს; გ. მცირე და გვიანი პულსი აორტის სტენოზის დროს; დ. ბისფერული პულსი ორი სისტოლური მწვერვალით, დაბახსიათებული მიპერტროფიული ობსტრუქციული კარდიომიოპათიისათვის

როსკოპია. გამოკვლევა ხდება კაბილაროსკოპით, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს შიკროსკოპი. კაბილაროსკოპიის ჩატარება შეიძლება ჩვეულებრივი მიკროსკოპითაც (მცირე გადიდებით, 70-90-ჯერ). ასრულებენ კაბილაროგრაფიასაც - კაბილაროსკოპიური სურათის ფოტოგრაფირებას სპეციალური მიკროფოტოგადამღებით.


კაბილაროსკოპიით ადგენენ კაბილარების ფორმასა და სიგრძეს, მათ რაოდენობას და განლაგებას, სისხლის დინების ხასიათსა და სიჩქარეს და სხვა. ნორმალური კაბილარების არტერიული მუხლი უფრო მოკლეა, ვიდრე ვენური; გარდამავალი მარჯუენის ნაწილი ჩვეულებრივ დამრგვალებულია. ვენური კაბილარები წაგრძელებული ღია ფერის მონითალო მარჯუენების მსგავსია. ნორმის დროს კაბილარები განლაგებულია არცთუ ისე სწორი რიგებით, მათი კედლები სადაა, სისხლსაცემობა კარგი, სისხლის მოძრაობა თანაბარი, უწყვეტი, არტერიულ მუხლში ის უფრო ჩქარია, ვიდრე ვენურში. კაბილაროსკოპის მხედველობის ველში ჩანს ოცამდე კაბილარი.

პათოლოგიის დროს ნახულობენ კაბილარების მარჯუენების რიცხვის მატებას, მათ არასწორ განლაგებას, არტერიული ნაწილის შევიწროებას, ვენური ნაწილის გაგანიერებას და სხვა. ჩნდება ატიპური კაბილარები. სისხლის დინება შეიძლება გახდეს წვეტილი. მიკროსკოპიული ველის ფერი შეიძლება შეიცვალოს მოყვითალო-მოვარდისფროდან (ნორმის დროს) შუქ ნითელ ფერამდე (პათოლოგიის დროს).

კაბილაროსკოპიული სურათი იცვლება არტერიული მიპერტენზიის, გულის უკმარისობის, კიდურების არტერიების ათეროსკლეროზის, ენდარტერიტის, ვენების ვარიკოზული გაგანიერების, რენოს სინდრომის, ტაკაიასის დაავადების, შაქრიანი დიაბეტის, ქრონიკული ნეფრიტის, ვეგეტოდისტონიის დროს. არტერიული მიპერტენზიის და ქრონიკული ნეფრიტის დროს აღინიშნება კაბილარების არტერიული მუხლის შევიწროება. გულის უკმარისობის შემთხვევაში კაბილარების რიცხვი მატულობს, მათი მარჯუენიანობა ფართოვდება, სისხლის დინება ნელდება და შეიძლება წვეტილი გახდეს.

**ფლუგოგრაფია**

ფლუგოგრაფია ვენური პულსის გრაფიკული რეგისტრაციაა. ვენის კედლის რხევა, დაკავშირებული ვენებში სისხლის მოძრაობასთან, რეგისტრირდება მრუდის - ფლუგოგრაფიის სახით. ფლუგოგრაფიის პრინციპი სფიგმოგრაფიის პრინციპის



სურ. 129 საუღლე ვენის ფლუგოგრაფია ნორმის და პათოლოგიის დროს. ა. ნორმალური საუღლე ვენის პულსი ერთდროულად გადაღებული ეკგ-თან და ფოტოკარდიოგრაფიასთან; ბ. ა ტალღის გაქრობა წინაგულელების ციმციმის დროს; გ. დიდი ა ტალღა ტრიკუსპიდული სტენოზის დროს; დ. დიდი C-V ტალღა ტრიკუსპიდული რეგურგიტაციის დროს; ე. ღრმა X და Y კიბლები კონსტრიქციული პერიკარდიტის დროს

ანალოგიურია. ფლემბორაფის მიხედვით ძირითადად შეიძლება მსჯელობა მარჯვენა წინაგულის და მარჯვენა ატრიოვენტრიკულური ხერხლის მდგომარეობაზე. ფლემბორამას, ჩვეულებრივ, ინერვო საულურ ვენებზე, რადგანაც პულსაცია აქ კარგად არის გამოხატული.

ნორმის დროს ფლემბორამაზე ვლინდება რამდენიმე ტალღა: დადებითი - ა, ც, ყ და უარყოფითი - x, ყ, რომლებიც გულის ციკლის მაჩილზე ჩნდება (სურ. 129). ჩვეულებრივ, ფლემბორამას იღებენ სფიგმოგრაფის პარალელურად. ფლემბორამის ანალიზის დროს ყურადღებას აქცევენ სხვადასხვა ტალღის ფორმასა და სიფარდის, მათ შესატყვისობას სფიგმოგრაფის მონაცემებთან. ნორმალურ ფლემბორამაზე ყველაზე გამოხატული არის ა ტალღა, რომელიც მარჯვენა წინაგულის შეკუმშვის დროს წარმოქმნება და, ამდენად, მრუდის ასეთ ფორმას წინაგულიანი ეწოდება. ნორმის დროს სფიგმოგრაფის მრუდის მაქსიმალურ ანევის ფლემბორამაზე შეესაბამება უარყოფითი გადხარა (x), ე.ი. ვენების მიწინააღმდეგარე აესებასთან დაკავშირებული მაქსიმალური აესებას. აქედან გამომდინარე, ნორმალურ ვენურ პულსს უარყოფითი ვენური პულსიც ეწოდება. მარჯვენა წინაგულიდან სისხლის გადასრულის დაძვლებისას, რაც ალიმინება მარჯვენა ატრიოვენტრიკულური ხერხელის შევიწროებისას, აგრეთვე მარჯვენა პარკუჭში წნევის მატებისას, მარჯვენა წინაგულის უკმარისობის დროს ა და x ტალღული ვეივები და შეიძლება გაქრეს, ფლემბორამაზე გამოხატულია მხოლოდ v და y ტალღული. ვენური პულსის აღნიშნულ ფორმას პარკუჭოვანი ეწოდება. ამ დროს სფიგმოგრაფიაზე მრუდის მაქსიმალურ ანევის შეესაბამება დადებითი v ტალღა. ამის გამო, პარკუჭოვანი ვენურ პულსს დადებითი ვენური პულსიც ეწოდება. ის აღინიშნება სამკარინი სარქველის უკმარისობის, სისხლის მიმოქცევის დიდ ნეკროზ ვენური შეგუბების, მოცემული არითმიის, სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს.

ფლემბორაფიის მონაცემებს დიდი მერყეობა ახასიათებს. გულის მარჯვენა ღრუების ზონდირების მეთოდების ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით ფლემბორაფია შედარებით ნაკლებად გამოიყენება.

ამჟამად ტერმინ ფლემბორაფიას ან ენფორაფიას უწოდებენ ვენების რენტგენოლოგიურ კვლევის მეთოდს, დამყარებული მათში რენტგენოკონტრასტული ნივთიერებების შეყვანაზე (იხ. ანგიოგრაფია).

### ვენური წნევის გაზომვა

ვენური წნევის ქვეშ იგულისხმება ის წნევა, რომელსაც მოძრაობის სისხლი ახდენს ვენების შიდა ზედაპირზე. ვენური წნევის გაზომვა - ფლემბოტონომეტრია წარმოებს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი (სისხლიანი) უფრო ზუსტია. წნევის ზომიდან სპეციფიური ხელსაწყოთა - ვალდამინის ფლემბოტონომეტრით, რომელიც წარმოადგენს მინის გრადუირებული მილის - მანომეტრის, დიამეტრით 1,5-3 მმ და სიგრძით 35-50 სმ. მას აქვს დანაყოფები 0-დან 350-მდე. მისი ქვედა ბოლო რეზინის დრენაფით შეერთებულია ნემსთან. სისტემა სტერილიზდება და იესება სტერილიზირებული ფიზიოლოგიური ხსნარით. ფიზიოლოგიური ხსნარის დონე მინის მილში დგება ხელსაწყოების სკალის ნულიდან დაწყოფაზე, რის შემდეგაც რეზინის მილზე ათავსებენ მომჭერს. გამოკვლევის დროს ავადმყოფი ნეეს ზურგზე. მანომეტრის ნულიდან ნერტილის ათავსებენ პაციენტის მარჯვენა წინაგულის დინებზე. იგივე დონეზე უნდა იყოს პაციენტის ხელიც.

კლინიკურ პრაქტიკაში მიღებულია ვენური წნევის გაზომვა იდაყვის ვენაში. პაციენტს წინასწარ ადებენ ლახტს მხარზე ილიის ვენის გამოსახატვად. ვენაში შუყავთ ვასტერეგულირებელი ნემსი, აცლიან ლახტს და იციდან 1-2 ნუთის. ამის შემდეგ ხსნიან მომჭერს. სისხლი, რომელიც შედის აპარატში, აწევა ფიზიოლოგიური ხსნარის სვეტს და მისი აწევის მიხედვით მსჯელობენ ვენური წნევის სიდიდეზე. ვენური წნევა იზომება წყლის სვეტის მიმოძრევებით. დენური სისხლის სხვადასხვა მონაკვეთის ის სხვადასხვა: ვენულბში - მაღალი, ღრუ ვენებში კი - დაბალი და ზოგჯერ უარყოფითიც შეიძლება იყოს. იდაყვის ვენაში მისი სიდიდე მერყეობს წყლის სვეტის 60-100 მმ ფარგლებში.

ვენური წნევის დონე ძირითადად განპირობებულია ვენური სისხლის მიწოდების მარჯვენა წინაგულზე, მარჯვენა პარკუჭის მუშაობით, ვენების ტონუსით და გულმკერდის შიდა წნევით. ვენური წნევა მატულობს ფიზიკური დატვირთვის, ალუციების, ღრმა ამოსუნთქვის, გულის უკმარისობის დროს. ის განსაკუთრებით მაღალია მარჯვენა გულის უკმარისობის შემთხვევაში, როდესაც მისმა დონემ შეიძლება მაღალინის წყლის სვეტის 200-400 მმ-ს. ის მომატებულია აგრეთვე ექსუდაციური პერიკარდიტის, პნევმოთორაქსის, პნევმოსკლეროზის, ბრონქული ასთმის, ფლტების ემბოემის, აგრეთვე ზღა რე ვენაზე სოსისონის ზენილის, ფლტების მუშაუბის, ფლტის ინფარქტის, ექსუდაციური პერიკარდიტის დროს.

ვენური წნევა ქვეითდება ღრმა ჩასუნთქვის შემთხვევაში. ის დაბალია სისხლის დაკარგვის, შოკის, კოლფსის, ინფექციური დაავადებების, ინტოქსიკაციის დროს.

სარეოგნატივი წარმოდგება ვენური წნევის მატებაზე იქმნია პულსის დადებითი სიმპტომის მიხედვით. გულის უკმარისობის დროს ავადმყოფს გადაიდგულ ღვიძლზე ხელით ზენილისა ღვიძლიდან გამოდევნილი სისხლი ინევეს კისრის ვენების თვალნათლივ გაფართოებას.

### სისხლის ნაკადის სიჩქარის გაზომვა

სისხლის ნაკადის სიჩქარე დგინდება იმ დროის მიხედვით, რომელიც სჭარდება სისხლს, რამე გაიაროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ვარკვეული მონაკვეთი. ის ბუერადაა დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა გულის წუთმოცულობა, სისხლის ძარღვების მდგომარეობა, არტერიული წნევა, ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდენობა, სისხლის ნეობოვნება. მონოდებულია სისხლის ნაკადის სიჩქარის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდი. ჩვეულებრივ, იყენებენ ნივთიერებებს, რომლებიც ინევევთ რამე ბიოლოგიურ რეაქციას (დამახსიათებელი შეგრძნება პირის ღრუში, კიდურებში, სუნთქვის ცვლილებები) ან რომელთა აღმოჩენაც შეიძლება სისხლში (საღვებები, რადიოაქტიური ნივთიერებები). აღნიშნული ნივთიერებები არ უნდა იყოს ტოქსიური ბუნების და ხანმოკლე მოქმედებით უნდა ხასიათდებოდეს.

სისხლის ნაკადის სიჩქარის გამოსაკვლევადაც საკმაოდ აგრეცელებულია მეთოდი მაგნიზიუმის სულფატის 25% (2 მლ) ან 50% (1 მლ) ხსნარის გამოყენებით. ხსნარი შუყავთ სწრაფად იდაყვის ვენაში და აფიქსირებენ შეყვანის დროს. მაგნიზიუმის შემცველი სისხლი ცირკეზ ნრეს და მოხდება რა დიდ ნრეში, ინევეს სიმპურეალის შეგრძნებას პირის ღრუში, მთელ სხეულზე და კიდურებში სისხლძარღვთა გაავანიერების შედეგად. ნორმალური სისხლის დინების სიჩქარე აღნიშნული მეთოდით

ლით 10-15 წამია. ზოგ შემთხვევაში იყენებენ კალციუმის ქლორიდს, ან ნიკოტინის ხსნარს, აგრეთვე დეჟლონს (სიმწარის შეგრძობა პირის ღრუში) და გლუკოზას (სიტკიზის შეგრძობა).

ეთერის სინჯი მონოდანგის სისხლის ნაკადის სიჩქარის დასადგენად უფრო მცირე მონაკვეთზე - იდაყვის ვენიდან ფილტვის აპულეობამდე. ვენაში შევათვ 0,3 მლ სტერილური ეთერს და ავიკრიბებენ ამოსუნთქულ ჰაერში ეთერის სუნის გარეჩას. ნორმის დროს ის უდრის 4-8 წამს. ლობელინის სინჯი საშუალებას იძლევა დადგინდეს სისხლის ნაკადის სიჩქარე იდაყვის ვენიდან ტვინის სისხლძარღვებამდე. ამ დროს ავადმყოფს სუთიტის ცენტრის აგზნების გამო უზრუნველ გარდაბავალი ქოშინი და ხველა. სისხლის ნაკადის სიჩქარეს იკვლევენ აგრეთვე სხვადასხვა საღებავის შეყვანით (კონგორობტი, ფლოუროსცენინის ხსნარი და სხვა).

უკანასკნელ დროს სისხლის ნაკადის სიჩქარის დასადგენად იყენებენ რადიოაქტიურ იზოტოპებს ( $^{24}\text{Na}$ ,  $^{51}\text{Cr}$ ,  $^{131}\text{I}$ ,  $^{85}\text{Kr}$ ). ისინი შევათვ იდაყვის ვენაში და მათი გადაადგილების სიჩქარის მიხედვით, რაც ფიქსირდება საეცოლოური მრეცხველებით, მსჯელობენ სისხლის ნაკადის სიჩქარეზე.

სისხლის ნაკადის სიჩქარის გამოკვლევის მეთოდები არ არის ზუსტი და დაკუმირებულია მრავალ ფაქტორთან. ის აჩქარებულია ფიზიკური დატვირთვით, მაღალი ტემპერატურის, ანემიის, თირეოტიკოსიკოზის, გულის ზოგირით თანდაყოლილი მანკის (წინაგულბა და პარკუჭების ნორმის ძვიდის დეფექტი) დროს. ის შენელებულია გულის ქრონიკული შევუბებით უკმარისობის შემთხვევაში.

### გულის წუთმოცულობის და სისტოლური მოცულობის დადგენა

გულის წუთმოცულობა სისხლის ის რაოდენობაა, რომელსაც ერთ-ერთი პარკუჭი გადაისვრის პარკუჭში ან ფილტვის არტერიაში ერთი წუთის მანძილზე. ნორმის დროს გულის წუთმოცულობა 3,5-5 მლ-ს უდრის და დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე, წონაზე, მუხარებობაზე, ფიზიკურ აქტიურობაზე. გულის წუთმოცულობა კარგად ასახავს ქსოვილების სისხლით ავსებას და ცირკულაციამ არსებული სისხლის მასის პირდაპირპროპორციულია.

სისტოლური ან დარტყმითი მოცულობა სისხლის ის რაოდენობაა, რომელსაც მატყუნენ პარკუჭი გადაისვრის პარკუჭში, ამ მარჯვენა - ფილტვის არტერიაში ერთი სისტოლის დროს. მის გამოსათვლელად გულის წუთმოცულობას ყოფენ გულის ცემის სიხშირეზე ერთ წუთში. ნორმის დროს ის 50-75 მლ-ია.

გულის წუთმოცულობას იკვლევენ სხვადასხვა მეთოდით: ისოტოლოგრაფია, რენტგენოკიმოგრაფია, პლეტისმოგრაფია, ბალისტოკარდიოგრაფია, აქესკარდიოგრაფია, ინტეგრალური რეოგრაფია და სხვა. იყენებენ აგრეთვე საღებავის განზავების და რადიოიზოტოპურ მეთოდებსაც. გულის წუთმოცულობის გამოკვლევის საკმაოდ ზუსტ მეთოდად ითვლება ფიკის მეთოდი, რომელიც დამყარებულია არტერიულ და ვენურ სისხლში განზავების კონცენტრაციის და მათი სხვაობის დადგენაზე. აღნიშნული მეთოდის სირთულეც ის არის, რომ განზავების კონცენტრაციის დასადგენად საჭიროა არტერიის პუნქცია და გულის მარჯვენა ღრუების ზონირება.

სადიუსონდ გულის წუთმოცულობის გამოკვლევის მეთოდებიდან ერთ-ერთი ყველაზე ზუსტად ითვლება თერმოიდელოციის მეთოდი. გულის მარჯვენა ღრუების და ფილტვის არტერიის კათეტერიზაციას ახდენენ სვან-განსის მრავალსაწათუ-

რანი ბალონიანი მცურავი კათეტერით. კათეტერის შეყვანას რენტგენის კონტროლი არ სჭირდება. კათეტერის ერთ-ერთი საწათურდან, რომელიც არის მარჯვენა წინაგულის დონეზე, შევათვ ინდიკატორი (გლუკოზის 5% ხსნარი, NaCl იზოტონური ხსნარი), რომელსაც აქვს უფრო დაბალი ტემპერატურა (ჩვეულებრივ თბახის), ვიდრე სისხლს. მერვე საწათურთან, რომელიც არის ფილტვის არტერიაში, არის თერმისტორი. შეყვანილი სითხის ტემპერატურული სხვაობის მიხედვით სპეციფიური ფორმულებით ითვლიან გულის წუთმოცულობას.

კლინიკურ პრაქტიკაში გულის წუთმოცულობის შესასწავლად ბოლო დროს ყველაზე ფართო გამოყენება ჰპოვა ექოკარდიოგრაფიულმა მეთოდმა. მეთოდი არაინვაზორია და შეიძლება მისი მრავალჯერადი გამოყენება სხვადასხვა პირობებში, მათ შორის დატვირთვის დროსაც. ექოკარდიოგრაფიულად იკვლევენ გულის დარტყმით მოცულობას, რომელიც გულის დასტოლური მოცულობა და სისტოლური მოცულობების სხვაობაა. გულის დარტყმითი მოცულობის მიხედვით და გულის ცემის სიხშირის გათვალისწინებით ანგარიშობენ გულის წუთმოცულობას.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდომარეობის შესასწავლად რეკომენდებულია გულის წუთმოცულობის შესწავლა ფიზიკურ დატვირთვამდე და მას შემდეგ. გულის წუთმოცულობის მატება აღინიშნება ანემიის, თირეოტიკოსიკოზის, ფილტვების ემფიზემის დროს. ის ქვეითდება გულის უკმარისობის (ზოგჯერ 1,5-2 ლიტრამდე), გულის დატვირთვარებული მანკების, მორკარდიუმის ინფარქტის, მორკარდიტების, კარდიომიოპათიების დროს. ფიზიკური დატვირთვის დროს გულის წუთმოცულობა მკვეთრად მატულობს. ნავარჯიშებულ სპორტსმენებში მან 40 ლიტრამდე შეიძლება მიაღწიოს. ამ დროს სისტოლური მოცულობა 150-200 მლ ხდება.

მის გამო, რომ გულის წუთმოცულობა ბევრად არის დაკავშირებული სხეულის წონასთან, პედიმინამიკური პარამეტრების შესასწავლად იყენებენ ე.წ. გულის ინდექსს და სისტოლურ ინდექსს. გულის ინდექსი ნორმაში 2,4-3,8 მლ/წმ/მ<sup>2</sup>, ხოლო სისტოლური ან დარტყმითი ინდექსი - 30-65 მლ/მ<sup>2</sup> ს უდრის (ცხრილი 29).

### ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდენობის განსაზღვრა

ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდენობა სისხლის ის რაოდენობაა, რომელიც არის მოძრაობაში გულ-სისხლძარღვთა სისტემაში. ნორმის დროს ის არის 3-5 ლიტრი (საშუალოდ 75 მლ 1 კვ სსქრლის მასაზე) და დამოკიდებულია სხეულის მასაზე. ცირკულაციამ არსებული სისხლის რაოდენობას ძირითადად იკვლევენ ვენაში შეყვანილი საღებავის ან რადიოიზოტოპული ნივთიერების კონცენტრაციის მიხედვით. ვენაში, ჩვეულებრივ, შევათვ ვენის ლუფჯას 1%-იანი ხსნარის 20 მლ, რომელიც ღებავს პლასმას. რამდენიმე წუთის შემდეგ კალიორმეტრულად ადგენენ საღებავის კონცენტრაციას პლასმაში. შეყვანილი საღებავის რაოდენობის და მისი პლასმაში კონცენტრაციის მიხედვით ანგარიშობენ პლასმის მოცულობას, შემდეგ, ემპირიკურტის მიხედვით, ცირკულაციამ არსებული სისხლის მოცულობას. რადიოიზოტოპული მეთოდი დამყარებულია პაციენტის სისხლში იზოტოპებით ( $^{22}\text{P}$ ,  $^{131}\text{I}$ ,  $^{51}\text{Cr}$ ) დონადებული ავადმყოფის ან რეზუსსარყოფითი O ჯგუფის ნორმის სისხლის შეყვანაზე. ცირკულაციამ არსებული სისხლის რაოდენობას ანგარიშობენ ნიშანდებული ერთობლივების განზავების ხარისხის მიხედვით.

კეპოფონიამიის ზომიერით  
აპრეპნეატივი ნორმაჰი

ცხრილი 29

სისტემური არტერიული წნევა	
სისტოლური	- ენეს-ეს. 100-140 მმ
დასტოლური	- ენეს-ეს. 60-90 მმ
საშუალო	- ენეს-ეს. 70-105 მმ
მარცხენა პარკუჭის წნევა	
სისტოლური	- ენეს-ეს. 100-140 მმ
დასტოლური საბოლოო	- ენეს-ეს. 3-12 მმ
მარცხენა წინაგულის წნევა, საშუალო	- ენეს-ეს. 2-6 მმ
ფლტვების კაპილარული წნევა	- ენეს-ეს. 2-12 მმ
ფლტვის არტერიის წნევა	
სისტოლური	- ენეს-ეს. 15-30 მმ
დასტოლური	- ენეს-ეს. 4-14 მმ
მარჯვენა პარკუჭის წნევა	
სისტოლური	- ენეს-ეს. 15-30 მმ
დასტოლური	- ენეს-ეს. 2-7 მმ
ცენტრალური ვენური წნევა	- ენეს-ეს. 0-8 მმ
პერიფერიული ვენური წნევა	- ენეს-ეს. 60-100 მმ
გულისცემის სიხშირე	- წუთში 60-80
გულის დარტყმითი მოცულობა	- 70-130 მლ
დარტყმითი ინდექსი	- 30-65 მლ/წმ
გულის წუთმოცულობა	- 3,5-5,0 ლ/წმ
გულის ინდექსი	- 2,4-3,8 ლ/წმ.წმ <sup>2</sup>
სისხლძარღვთა სისტემური რეზისტენტობა	- 700-1600 დინ.ფს/სმ <sup>2</sup>
ფლტვების სისხლძარღვთა რეზისტენტობა	- 30-130 დინ.ფს/სმ <sup>2</sup>
ჯანგაღის მოშორება	- 110-150 ლ/წმ.წმ <sup>2</sup>
მარცხენა პარკუჭის საბოლოო დასტოლური მოცულობა (ექოკარდიოგრაფიული)	- 129,5±5,15 მლ
მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური მოცულობა (ექოკარდიოგრაფიული)	- 55,3±4,02 მლ
განდევნის ფრაქცია (დარტყმითი მოცულობა/საბოლოო დასტოლური მოცულობა)	- 58,0±2,0%

ციკლულაციაში არსებული სისხლის რაოდენობა მცირდება სისხლის დაკარგვის, შოკის, ძლიერი გაუნყოფის დროს. ის მატულობს გულის უემარისობის, აგრეთვე ერთი რემის შემთხვევაში.

ჰემატოკრიტი

ჰემატოკრიტი ერთობლივად და პლასმის მოცულობებში შეფარდება. ნორმის დროს ერთობლივად პროცენტული მოცულობა არის 42%, პლასმის - 58%. ჰემატოკრიტის მაჩვენებელი მომატებულია პოლიციტემიის დროს. ის მომატებულია მარჯვენა გულის ქრონიკული უემარისობის შემთხვევაში. მისი მატება ცერებრული ინსულტის რისკ ფაქტორია ანის მიზნული. ჰემატოკრიტის მაჩვენებელი ქვედადება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან მიმდინარე ქრონიკული სისხლდენის შემთხვევაში.

ოქსიჰემოგობინი

ოქსიჰემოგობინი საშუალებას იძლევა დადგინდეს სისხლის ჟანგბადით გაჯერების დონე. გამოკვლევა სრულდება ხელსაწყოთა - ოქსიმეტრის საშუალებით, რომლის მიქმედების პრინციპი არამატებულია პემოგლობინის სპექტრის ცვლილების გამოვლენაზე სისხლის ჟანგბადით გაჯერებასთან დაკავშირებით. ინდიკატორი თავსდება უფროს ნივარის ზედა ნაწილზე. ფოტოელემენტი აღიქვამს სისხლის ფერის ცვლილებებს, რის მიხედვით

თავ მსჯელობენ ჰემოგლობინის რაოდენობაზე და სისხლის ჟანგბადით გაჯერებაზე. შესაძლებელია ოქსიმეტრით მრავალჯერადი მონაცემების გრაფიკული ჩანერგა - ოქსიმეტრაფია. ოქსიმეტრის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფუნქციური სინჯები - დიზირებელი ფიზიკური დატვირთვა, სუნთქვის შეჩერება და სხვა.

ამჟამად სისხლის ჟანგბადით გაჯერების დონეზე მსჯელობენ უფრო თანამედროვე მეთოდებით - ასტრუის აპარატის, სპეციალური ინდიკატორული ხელსაწყოების გამოყენებით და სხვა. ჯანმრთელებში ჟანგბადით არტერიული სისხლის გაჯერება 94-100%, ვენურის - 70-75%-ია.

გულის ღრუების და მაგისტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაცია

გულის ღრუების და მაგისტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ინფორმაციული კვლევის მეთოდია თანამედროვე კარდიოლოგიაში. ის საშუალებას იძლევა დადგინდეს 1. გულის ღრუების ზომა, მათი ურთიერთგანლაგება და მაგისტრალური სისხლძარღვების შეერთების ვარიანტები გულის ღრუებთან; 2. პირდაპირი მონაცემები დეფექტების არსებობის შესახებ გულის ღრუებსა და მაგისტრალური სისხლძარღვების შესახებ; 3. გვიზომის წნევა გულის ღრუებში და სისხლის მიმოქცევის მცირე წრის სისხლძარღვებში და დადგინდეს ძირითადი ფუნქციონალური პარამეტრები (გულის წუთმოცულობა, სისტემური და ფლტვების სისხლძარღვების პერიფერიული წინააღმდეგობა და სხვა); 4. განხორციელდეს გულშიდა ეკგ განხორციელების რეგისტრაცია და ფონოკარდიოგრაფიის ჩანერგა; 5. შესწავლილი იქნეს სისხლის აირიანი შემადგენლობა კათეტრის გატარების მთელ მანძილზე; 6. აღებულ იქნეს სისხლის სინჯი გულის ვენურის სინჯიდან მთავარი დიფერენციალური მონაცემების შესწავლა; 7. განხორციელდეს საკონტრასტო ნივთიერებების შერჩევითი შეყვანა გულის ღრუებში (ვენტრიკულოგრაფია) მაგისტრალურ და კორნარულ სისხლძარღვებში (კორნაროგრაფია) გამოხატულების შემდგომ რენტგენის ფორზე ან კინოფორზე რეგისტრაციით; 8. ჩატარდეს მთავარი დიფერენციალური დიოზის კათეტრის საშუალებით; 9. ჩატარდეს სხვადასხვა სამკურნალო მანიპულაცია, მათ შორის თრამბოლიზური პრეპარატების შეყვანა უშუალოდ ვირვიზონიან სისხლძარღვებში და სხვა.

გამოკვლავს ატარებენ სპეციალური ერთჯერადი ხმარების კათეტრებით, რომლებიც გაუნეხილია მიმე მტკბულების მართვით, რაც მათ რენტგენოკონტრასტულს ხდის. ბოლო დროს ფართოდ გამოყენდება სენ-განსის მცურავი ბალონიანი კათეტრები, რომლებიც თან მიჰყვება სისხლის ნაკადს და არ საჭიროებს რენტგენოლოგიურ კონტროლს. კათეტრის ბოლოში ბალონის არსებობა იცავს გულის და სისხლის ძარღვების შიდა ზედაპირს მკვეთრი მქანისიური ზემოქმედებისაგან. კათეტრის მკვეთრ ევინს გზით იმპლანტირება, ბარბაქის და სხვა). მას გატარებენ მარჯვენა წინაგულამდე, შემდეგ ტრიკუსიდიული სარქველის გაღილი მარჯვენა პარკუჭში და ფლტვის არტერიაში. შემდეგ კათეტრის მიაცურებენ ფლტვის არტერიის განშტოებებში, სანამ ის არ მოხვდება ფლტვის არტერიის ერთ-ერთ ბოლო ტოტში. გულის ყველა ღრუში და ფლტვის არტერიის სხვადასხვა მონაკვეთზე ზომავს წნევას და იღებენ სისხლის ნიმუშებს გამოკვლევასათვის. ფლტვის არტერიის ბოლო ტოტში იზომება ე.წ. ფოლტვების საბოლოო ან კაპილარული წნევა. ის იდენტური მარცხენა წინაგულის წნევისა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ნორმალურ

რი მიტრალური სარქველის პირობებში, შეფარდება მარცხენა პარკუჭის დასტოვებულ ნევას. სვან-განსის კათეტერი შეიძლება დარჩეს გულში არადენინზე საათიდან რამდენიმე დღემდე. მისი საშუალებით ღებულობენ მონაცემებს დინამიკას ფილტვის არტერიის ნევაზე, ფილტვების კაილარულ ნევაზე, მარჯვენა ნინავალის ნევაზე და გულის ნოთომიოცულაზე თერმოდოქსიმეტრიული მეთოდის გამოყენებით, ახორციელებენ მედიკამენტური მკურნალობის და სითხეების გადასმის კონტროლს. ეკგ-ის, ფეკ-ის და ნევების გასაზომად გულის ღრუებში და მაგისტრალურ სისხლძარღვებში იყენებენ „მინეოგრაფის“ ტაპის აპარატებს. მკურნაობის კათეტერები გადასცემენ ნევის ტალღას, მიღებულს თითოეულ კამერაში უკან ტრანსდუსერის საშუალებით, რომელიც გამოისახება დისკულიზე - ოსცილოგრაფიაზე და ინერება. ღრუსშიდა ნევების გაზომვის მონაცემები გამოიყენება, რომ იმსჯელონ მარჯვენა და მარცხენა პარკუჭების ფუნქციაზე, ნევის გარედინებზე სარქველს შორის და ვალვულური სტენოზის დასადგენად. გულის დაავადებების დროს გულის ღრუები და მაგისტრალური სისხლძარღვები ნევის სიდიდე იცვლება. მაგალითად, მიტრალური სტენოზის დროს მატულობს ნევა მარცხენა ნინავალში, მარცხენა პარკუჭში კი ნევა ქვეითდება. დასტოვებული ნევის ეს სხვაობა მატულობს სტენოზის ხარისხთან დაკავშირებით. ფილტვის არტერიის სტენოზის დროს ნევა მომატებულია მარჯვენა პარკუჭში, ამავე დროს სისტოლური ნევა ფილტვის არტერიაში ნორმალური რჩება და სხვა.

გულის მარცხენა ნაწილის და აორტის კათეტერიზაციას ატარებენ რომელიმე პერიფერიული არტერიიდან (პარდაყის, ლეინქემა, საძილე, შრისი). ზოგჯერ ახდენენ მარცხენა ნინავალის ტრანსსესტალურ პუნქციას შემდგომი მარცხენა პარკუჭის და აორტის კათეტერიზაციით, ზოგჯერ კი პირდაპირ კანის გავლით - მარცხენა პარკუჭის პუნქციას აორტის კათეტერიზაციით. სელექციური არტერიოგრაფიისათვის (კორონაროგრაფია და სხვა) უფრო სუბრად იყენებენ პარდაყის არტერიის პუნქციას. კათეტერის შეყვანას აკონტროლებენ რენტგენით ან ტელევიზორული მონიტორით.

სისხლის აირივანი შემადგენლობის დადგენას გულის სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელობა აქვს გულის თანდაყოლილი მანკების დიაგნოსტიკაში. ასე, მაგალითად: პარკუჭოვანი ძვიდის დეფექტის დროს, სისხლის გადასრლით მარცხნიდან მარჯვნივ ყანგბადის სისხლის გაჯერება უფრო მაღალია მარჯვენა პარკუჭში მარჯვენა ნინავალთან შედარებით. ბოტალის ღია საიდარის დროს არტერიული სისხლი ვადადის აორტადან ფილტვის არტერიაში, რის გამოც ამ უკანასკნელში ყანგბადის შეცვლებულია მაღალია და არ აღინიშნება სხვაობა მარჯვენა ნინავალსა და პარკუჭ შორის ყანგბადის გაჯერებაში.

### ქირითადი კლინიკური სინდრომები

#### გულის უკმარისობა

გულის ძირითადი ფუნქციაა ვენებიდან მიღებული სისხლის გადასროლა არტერიულ სისტემაში. ამ გზით ის ამარაგებს ორგანიზმს და ქსოვილებს ყანგბადითა და საკვები ნივთიერებებით. როდესაც გული კარგავს უნარს უზრუნველყოს სისხლის მიმოქცევის ის დონე, რომელიც ორგანიზმის მეტაბოლური საჭიროების ადეკვატურია, ვითარდება გულის უკმარისობა. გულის უკმარისობის სინდრომი შეიძლება განვითარდეს გულის ნებისმიერი დაავადების დროს. ის ძალიან ხშირია გულის მანკე-

გულის ღრუების და სისხლძარღვთა კათეტერიზაციის მონაცემების საფუძველზე ანგარიშობენ სისხლძარღვთა წინააღმდეგობის სიდიდეს სისხლის მიმოქცევის სისტემის სხვადასხვა უბანში. სისხლძარღვთა სისტემის წინააღმდეგობა ნორმაში არის 700-1600 დინ.სმ.სმ<sup>-3</sup>, ფილტვების სისხლძარღვთა წინააღმდეგობა 30-130 დინ.სმ.სმ<sup>-3</sup>.

#### ანგიოკარდიოგრაფია

ანგიოკარდიოგრაფია რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდია; დამყარებული საკონტრასტო ნივთიერებების გულის ღრუებში და მსხვილ სისხლძარღვებში შეყვანაზე. საკონტრასტო ნივთიერებები შეყავთ კათეტერის საშუალებით. ასრულებენ სერიულ რენტგენოგრაფიულ გამოკვლევას, რის მიხედვითაც მსჯელობენ გულის და სისხლძარღვების მდგომარეობაზე, სისხლის დინების ხასიათზე.

ანგიოკარდიოგრაფია განსაკუთრებით ინფორმაციულია გულის თანდაყოლილ მანკების დიაგნოსტიკაში. ის საშუალებას იძლევა დადგინდეს დეფექტების არსებობა გულის და მაგისტრალური სისხლძარღვების შეუბაში, დადგინდეს სისხლის გადასრლის მიმართულება და სიდიდე გულის ერთი ნაწილიდან მეორეში, შევიწროების არსებობა, ლოკალიზაცია და ხასიათი სისხლის ნაკადის მიმართულებით და სხვა. ანგიოკარდიოგრაფია ფართოდ გამოიყენება აორტის და მისი განტოტებების (სელექციური აორტოგრაფია) და გვირგვინოვანი სისხლძარღვების (სელექციური კორონაროგრაფია) მდგომარეობის შეყვანად.

#### გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის უახლოესი მეთოდები


თანამედროვე კარდიოლოგიაში მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკაში გამოიყენება ისეთი რადიოიზოტოპური მეთოდი, როგორცაა პერფუზიული სკინტიგრაფია. ნიშანდობლივია თალიუმ-201-ის მიოკარდიუმში ჩალაგების მიხედვით მსჯელობენ ნეკროზული უზნის და „იმედიორი“ ზონის ლოკალიზაციაზე და სიდიდეზე. კომპიუტერული ტომოგრაფია საშუალებას იძლევა დადგინდეს აორტის განზრეყებადი ანეურიზმის, კონსტრუქციული მიოკარდიტის დიაგნოზი. მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკაში დიდი პერსპექტივა აქვს მაგნიტურ რეზონანსულ ტომოგრაფიის გამოყენებას. გულის მარცხენა და მარცხენა პარკუჭის ენდომიოკარდიული ბიოფსია, რომელიც ტარდება გულის კათეტერიზაციის დროს, მნიშვნელოვანია გულებში და მიკროცირკული კარდიომიოპათიის, ათლოლოგიის, დადგანერგილი გულის ტრანსპლანტაციის მოცილების დიაგნოსტიკაში.

ბის, მიოკარდიტების, მიოკარდიუმის ინფარქტის, კარდიოსკლეროზის, არტერიული ჰიპერტენზიის დროს.

კლინიკურად გამოვლენილი გულის უკმარისობის ნებისმიერი ფორმა დაკავშირებულია გულის უტონის კუმშვადობის ფუნქციის მძლავრობაში. მისი ძირითადი კლინიკური გამოვლენებია საკმარისი სისხლზე, აღინიშნა, ადვილად დაღალა, ტაქიკარდია, ქოშინი, მოხრჩობის გრძობა, შეშუპება, ციანოზი, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ არეში, შარდის გამოყოფის შემცირება, ნიქტურია, ხეულა, დისპნეოსური მოვლენები და სხვა.

ანსხევებენ გულის მწვავე და ქრონიკულ უკმარისობას (სქემა 4). გულის უკმარისობა შეიძლება იყოს მარცხენაპარკუჭოვანი და მარჯვენაპარკუჭოვანი. ჩვენში მიღებული (ნ.ტარაგესკოს და ვ.ეასილერკოს) კლასიფიკაციის მიხედვით გულის ქრონიკულ უკმარისობის სამ სტადიას გამოვლენ: I სანეის სტადიას, II-ს, რომელიც იყოფა თავის შრიფი II ა და II ბ სტადიებად და III სტადიას. რაც უფრო გვიანი სტადიაა გულის უკმარისობის, მით უფრო მკეთილად გამოისატული დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები.

სქემა 4



უცხოურ სამედიცინო ლიტერატურაში ძირითადად გამოყენებულია გულის უკმარისობის ფუნქციური კლასიფიკაცია, შემუშავებული ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის მიერ. კლასიფიკაცია გამოყოფს გულის უკმარისობის ოთხ კლასს, რომლებიც ითვალისწინებს დაავადების ისეთ გამოვლინებებს, როგორებიცაა დაღლილობა, ქოშინი, ტაქიკარდია და ანგიური ტკივილი. აღნიშნული კლასიფიკაციის ღირსებაა ის, რომ ითვალისწინებს არა მარტო გულის, არამედ კორონარული უკმარისობის მონაწილეობას.

გულის შეგუბებით უკმარისობაზე ლაბარაკობენ მაშინ, როდესაც გულის ქრონიკული უკმარისობის დროს შეგუბებით მოვლენები ვითარდება სისხლის მიმოქცევის მცირე ან დიდ წრეში. პრაქტიკულად, გულის ყველა ქრონიკული, შორისნასული უკმარისობა მიმდინარეობს შეგუბებით სიმპტომებით და, ამრიგად, შეიძლება ლაბარაკი გულის შეგუბებით უკმარისობაზე.

გულის უკმარისობის სანეისი გულის უკმარისობის კლინიკური მექანიზმების მეოხებით გულის უკმარისობის კლინიკური ნიშნები ხშირად არ ელინდება - გული კომპენსაციის მდგომარეობაშია (გულის უკმარისობის კომპენსაციის პერიოდი). მაგრამ, როდესაც გულის უკმარისობის მიმდინარეობით ელინდება დაავადების სიმპტომები ან მანიფესტრებული უკმარისობის დროს დაავადების კლინიკური სურათი გუარესდება, კლინიკური სიმპტომოკომპლექსის დამძიმებით, ამგებენ, რომ განვითარდა გულის უკმარისობის დეკომპენსაციის პერიოდი, ან მდგომარეობა - გულის დეკომპენსაცია.

**გულის მწვავე უკმარისობა**

მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობა ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტის, არტერიული პაპერტენიის, აორტული მანტების, მიოკარდიტის, კარდიოკლეროზის დროს. მის განვითარებას ხელს უწყობს რითმის მძიმე დარღვევა, არტერიული წნევის მკვეთრი მომატება, ფიზიკური გადაძაბვა, გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევის გაუარესება, ორგანიზმში სითბის დიდი რაოდენობით შეყვანა, ინფექცია და სხვა. ის განმარტებულია მარცხენა პარკუჭის უწყობის უკმეზადობის შესუთრი მესუსტე-

ბით მარჯვენა პარკუჭის ფუნქციის შენარუნების პირობებში, რასაც თან სდევს ფლტვის სისხლძარღვებში სისხლის მწვავე შეგუბება. მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობის კლინიკური სურათი ელინდება გულის ასთმით და ფილტვების შეშუპებით.

გულის ანუ კარდიულ ასთმას საუწყელად უდევს ფილტვის ქსოვილის ინტერსტიციული შეშუპება. დამახასიათებელია მოხრჩობის შეტევა, რომელიც უფრო ხშირად ვითარდება ღამე-აუადამყოფი იცილებს პაერის უკმარისობის ძლოერი შეგრძნებით, ის იღებს იძულებით მუდომარე პოზხს სანოლში, ქვემოთ ჩამოვებული ფეხებით, მიოლტვის ღია ფანჯრისაკენ. კანი ფერმკრთალია, ხანგრძლივი შეტევის დროს - ციანიზური, სახეზე ცივი ოფლი, სუნთქვა გახშირებული და გაძნელებული, ნოთში აღემატება 30-ს, ზოგჯერ აღინიშნება ხედა მშრალი ან მკირეოდენი ლორწოვანი ნახველით, მავა ვახშირებულია, ზოგჯერ არითმული, არტერიული წნევა ხშირად მომატებულია, გულმკერდის პერკუსიული მხა კვედა წილებში დამოკლებულია, სუნთქვა შეიძლება იყოს ვეზიკულური, მესუსტებული ან შკერივი. ხშირად მოისმინება გაფანტული წვილიმტეპუკოვანი, ზოგჯერ მშრალი ხიხინი. გულის მწვერვალზე ტონები შესუსტებულია, ზოგჯერ გეაქვს ტენების რითმი, ფილტვის არტერიაზე გაძლიერებულია მეორე ტონი. ვენური წნევა ხშირად მომატებულია. საჭიროა გულის ასთმის დიფერენცირება ბრიწქულ ასთმასთან (ცხრილი 30).

ცხრილი 30

ქარდიული და გრონჰული ასთმის ზომიარითი განმასხავავალი ნიშანი

მარცხენი	კარდიული ასთმა	ბრიწქული ასთმა
ქოშინი	შეუწყელ ტყბის	ქარსარკული
სუნთქვა	ზრეულ გახშირებული	წორმული ან შენელებული
ინსპექცია	პერფერული ციანოზი, ორიოზოზე	ცენტრალური ციანოზი, იძულებითი პოზხა
ფილტვების პერკუსია	ზოგჯერ კვედა წილებში პერკუსიული ხმის დამოკლება	კლივიანებრი ხმისა
ფილტვების აუსკულტაცია	მრავლობითი სხვადასხვა კლებობის სეკლი ხიხინი	მშრალი მსტერნაი ხიხინი
ნახველი	ქვეთანი, ვარდისაური	მკირე რაოდენობივი ლორწოვან ნუბოვანი
გულის პერკუსია	გულის საზღარი გაუარესებულია მარცხენე	გულის საზღარი წორმალური ან გაუარესებულია მარჯვენე
გულის აუსკულტაცია	აუსკულტაციური მონაცემები ძირითად სათაოლფის შესატყვისია	II ტონის აქცენტრი ფილტვის არტერიაზე
რითმის დარღვევა	ხშირა	ხშირად არ აღინიშნება
ამ	მარცხენარა	ხშირად მარჯვენარა
არტერიული წნევა	ხშირად მომატებულია	წორმამა, შეიძლება იყოს მომატებული

შედარებით მსუბუქ შემთხვევებში აღინიშნება შეტევის მკირე ეკვივალენტები: პაროქსიზული მშრალი ხედა, ჩვეულებრივ, ღამე, რაც აძიულებს აუადამყოფი მიოლის მუდომარე პოზხა, ტაქიკარდია, გულმკერდის არემი მემოტვის შეგრძნება.

გულის ასთმის შეტევა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე ნოთიდან რამდენიმე საათამდე და გაიაროს უკეალოდ ან გადაიზარდოს ფილტვების შეშუპებით. ფილტვების შეშუპება გულის ასთმის შორისნასულ ფორმად

შეიძლება განვიხილოთ. ამ დროს ხდება შეგუბებითი სითხის გამოყოფა და დაგროვება ალვეოლებში, ბრონქებში, ტრacheაში. დამახასიათებელია მოხრჩობის შეგრძობება, ბუფბუფა სუნთქვა, რომელიც იმის მანიფესტაციაა, ხველა, დიდი რაოდენობით სეროზული ან მოყვარისფერი ქაფიანი ნახევლით, ალვეოლებში სისხლის გადასვლის გამო. ავადმყოფი აგზნებულია, ვერ ისვენებს, აქვს სიკვდილის შიშის შეგრძობება. აღინიშნება დასაწყისში სიფერქროვანი, შემდეგ ციანოზი, ცივი ოფლი, მჯავა ძლიერ აჩქარებულია, დასაწყისში შეიძლება იყოს დაჭიმული, შემდეგ - ძაფისებრი. აუსკულტაციით გულშეკრების ქვედა უკანა მიდამოებში დასაწყისში მოისმინება წერილობტუკოვანი სველი ხიხინი, რომელიც თანდათან მატულობს და ინვეს ხვეით. ჩნდება საშუალო და მსხვილბუტუკოვანი სველი ხიხინი. არტერიული წნევა დასაწყისში მომატებულია, შემდეგ მნიშვნელოვან ქვეითდება. ფილტვების შეშუპება მოითხოვს სასწრაფო სამედიცინო ჩარევას, რადგანაც ის ხშირად ლეტალურად მთავრდება.

მარცხენა წინაგულის მწვავე უკმარისობის სინდრომი ვითარდება მიტრალური სტენოზის დროს. ის ხასიათდება მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობისათვის დამახასიათებელი კლინიკური გამოვლინებებით.

მარჯვენა პარკუჭის მწვავე უკმარისობა, ჩვეულებრივ, ვითარდება ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის გამო. მისი მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე მარჯვენა პარკუჭის ინფარქტი და ძილის დიდი ზომის ინფარქტი ანევრიზმით და შემდგომი რუპტურით (ვახვით). ამ დროს დამახასიათებელია ძლიერი ქოშინი, გულშეკრდში შენოლის შეგრძნება და ტკივილი, ძლიერი სისუსტე, გამობატული ციანოზი, კისრის ვენების შეზერვა, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში, არტერიული წნევის დაქვეითება, გუნური წნევის მომატება.

**გულის ქრონიკული უკმარისობა**

გულის ქრონიკული უკმარისობა, ისევე როგორც მწვავე, შეიძლება განაირობებელი იყოს გულის რომელიმე ნაწილის უპირატესი დაზიანებით. მარცხენა პარკუჭის ქრონიკული უკმარისობა ვითარდება აორტული მანქების, მიტრალური ნაკლოვანების, არტერიული ჰიპერტენზიის, მოკარდიუმის ინფარქტის, კარდიოსკლეროზის და სხვა დროს. აღნიშნული სინდრომი გამოიწვევს სისხლის მიმოქცევის მცირე ნრეში სისხლის ხანგრძლივი შეგუბებით, რის გამოც მცირდება ფილტვების სუნთქვითი ზედაპირი, ნელდება სისხლის დინება მცირე წრის სისხლძარღვებში, არღვევა აირთა ცვლა. კლინიკურად დამახასიათებელია სისუსტე, ადვილად დაღლა, ქოშინი, დასაწყისში ფიზიკური დატვირთვისას, შემდეგ მოსვენებულ მდგომარეობაშიც. ქოშინი ძლიერდება მწოლარე მდგომარეობაში (ორთაოზი), ამიტომ ავადმყოფი ზის ან წევს მაღალი სასთუმლით. აღინიშნება ტაქიკარდია, ციანოზი, რომელიც უფრო გამოხატულია სხეულის დისტალურ ნაწილებში. ავადმყოფს აქვს ხველა შეგუბებითი ბრონქიტის გამო. შეშვირებულია დიფერეზი, დამახასიათებელია ნიქტურია. მარცხენა პარკუჭის ქრონიკული უკმარისობის დროს შეიძლება განვითარდეს პერიფერული შეშუპებები, რომლებიც ჩნდება უფრო ადრე, ვიდრე გამოვლინდება ვენური სტაზი. შეშუპებები მცირედ არის გამოხატული, რბილია, ადვილად ქრება, ვითარდება გულისაგან დაცილებულ მიდამოებში ჰიპოსტაზურად. გულის აუსკულტაციით ვლინდება მცირე ტონის აქცენტო ფილტვის არტერიაზე. ფილტვების ქვედა ნილეთში მოისმინება არასმოვანი წერილობტუკოვანი სველი ხიხინი.



სურ. 130 ავადმყოფი გულის ქრონიკული უკმარისობით. გამოხატულია შეშუპებები ქვემო კიდურებზე და ასციტი



გულის მარცხენა ნაწილის დაზიანების გამო, კერძოდ, მიტრალური მანკების, ზოგიერთი თანდაყოლილი მანკის შემთხვევაში, რომელთა დროსაც მცირე წრის სისხლის ძარღვებში ვითარდება პიკრეტანია, რასაც საბოლოოდ მიყვავით მარჯვენა გულის გადაძაბვისა და უკმარისობისაკენ და ბივენტრიკულური უკმარისობის განვითარებისაკენ.

გულის მარჯვენა პარკუჭის უკმარისობა ძირითადად ვლინდება შეგუბების სისხლის მიმოქცევის დიდი წრის ვეზურ სისტემაში. დამახასიათებელია სისუსტე, ტაქტიკარდია, ანორექსია, მეტეორიზმი, ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდკვება მიდამოში: გამოხატულია დიფუზური ციანოზი, აღინიშნება ოლიგურია, ნიქტურია. დამახასიათებელია პერიფერიული ვენების შეზერვა, განსაკუთრებით სიკრის მიდამოში, ვითარდება ქვედა კიდურების შეშუპებები, დიდება ლეიდი. მოგვიანებით სტადიებში გამოიხატება ასციტი (სურ. 130), პილდორთარასი, ანასარკა. დამახასიათებელია ენოცისტრული პულსაცია, გულის საზღვრების გადაადგილება მარჯვნივ. გამოხატულია მეორე ტონის აქცენტო ფლტვის არტეზიაზე. ფილტვების აუსკულტაციის სურათი შეესატყვისება ფლტვის პარენქიმული ქსოვილის დაზიანებას, მომატებულია ვენური წნევა, მარდში აღინიშნება ცილის არსებობა.

გულის ქრონიკული დაავადების დროს მარცხენა პარკუჭის ან მარჯვენა პარკუჭის იზოლირებული უკმარისობა შედარებით იშვიათად გვხვდება და აღიზიკურ პრაქტიკაში უფრო ხშირად აღინიშნება გულის ბივენტრიკულური უკმარისობა. გულის ბივენტრიკულური ანუ ტრატორული უკმარისობის დროს ხდება ვეზური შეგუბება სისხლის მიმოქცევის როგორც დიდა, ასევე მცირე წრეში, ორივე პარკუჭის კუმშვადი ფუნქციის დაქვეითების გამო. მისი განვითარება, ჩვეულებრივ, განპირობებულია ისეთი პათოლოგიური პროცესებით, რომლებიც დადებურად ზიანებენ გულის კუნთს - გულის იშემიური დაავადების ქრონიკული ფორმები, არტერიული პიკრეტანია, მიოკარდიტი, კარდიომიოპათია, პოსტმიოკარდიტული კარდიოსკლეროზი, გულის აბილიოდოზი და სხვა. ხშირად გულის ბივენტრიკულური უკმარისობა პირველად ვითარდება ერთ-ერთი პარკუჭის (უფრო ხშირად მარცხენა პარკუჭის) დაზიანებისას და შემდგომში, შემოდინამკურნავი ეფექტების შედეგად, პათოლოგიური პროცესი ვრცელდება მეორე პარკუჭზეც. გულის ტრატორული უკმარისობის კლინიკური სურათი ხასიათდება გულის მარცხენა და მარჯვენა პარკუჭების უკმარისობის სიმპტომოკომპლექსების ერთობლიობით.

### სისხლძარღვთა უკმარისობა

არჩევნ სისხლძარღვთა მწვავე და ქრონიკული უკმარისობას. სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის სახეებია გულის წასვლა, კოლაფსი და შოკი.

გულის წასვლა (სინკოპე) სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის მსუბუქი, გარდამავალი ფორმაა, ვითარდება წერეული გადაძაბვის, შიმის, გადაღლის, სიმძე ნაწახაბის, ტკივილის, გულის დაავადებების, მწვავე სისხლდენის, შიმშლის, ჩახუთულ პაერში ყოფნის, პორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურში უეცარი გადასვლის დროს და სხვა. ავადმყოფს უვითარდება ცნობიერების უეცარი დაკარგვა, დაკაშირებული თავის ტვინის მწვავე სისხლსაკლებობასთან, რაც განპირობებულია სისხლძარღვთა ტონუსის წერეული რეგულაციის დარღვევასთან და სისხლის შეცლის ღრუს სისხლძარღვებში დაგროვებასთან.

გულნასული ავადმყოფი ფერმრთალია, სხეული უციფდება, სუნთქვა წერეულ და გაიშვიათებული აქვს. მწვავე გაიშვიათებულის, მცირე და რბილია, გულის ტრტენი მოყრეებული. ცნობიერების დაკარგვა, ჩვეულებრივ, გრძელდება რამდენიმე წამი ან წუთი, პორიზონტალური მდგომარეობის მიღების შემდეგ, რაც თავის ტვინის სისხლით მომარაგებას აუმჯობესებს, ავადმყოფი მალე შიღის გონებაზე.

კოლაფსი სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის უფრო მძიმე, ხანგრძლივად მიმდინარე ფორმაა. ის ხასიათდება არტერიული წნევის მკვეთრი დაქვეითებით სისხლძარღვთა ტონუსის დარღვევის, გულის ნუთმოციულობის შემცირების ან ცირკულაციში არსებული სისხლის რაოდენობის მკვეთრი შემცირების შედეგად. ხდება სისხლის გადაწინება ორგანიზმში: მატულია დეკომპრესული სისხლის რაოდენობა, განსაკუთრებით მეულის ღრუს ორგანოებში, მცირდება სისხლის მიმოქცევა კანში, ტვინებში, თირკმლებში.


კოლაფსი შეიძლება განვითარდეს მწვავე სისხლდენის, მძიმე ინტოქსიკაციის, ინფექციური დაავადებების, მიოკარდიუმის ინფარქტის, ფილტვის არტერიის თრმბოზმბოლის, ძლიერი ტკივილის, ზოგიერთი მდიკამენტის დოზის გადაშეტებისას, პორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში სწრაფად გადასვლისას (ორთისტატიკური კოლაფსი) და სხვა.

ავადმყოფები უზიანად ძლიერ სისუსტეს, თავბრუს, სიცივის შეგრძნებას, მხეფელობის დაქვეითებას, ყურებში შოლის, ზოგჯერ შიმის შეგრძნებას, წყურვილს. ცნობიერება, ჩვეულებრივ, შენახულია, მაგრამ ავადმყოფები აბათორებენ არიან. იბიექტორად კანი ფერმრთალია, ზოგჯერ ციანოზური. აღინიშნება ცივი, ნებავარი ოფლი, სახის ნაკეები ნანეცებებულია, თვალები ჩაგრზილია (მიპოკრატეს სახე). ავადმყოფი სუნთქავს წერეულად, ხშირად. მუსი მათვისებურია, გულის ტრტენი - ყრუ, არტერიული წნევა პეკულიად არის დაქვეითებული (სისტოლური წნევა 80-60, დიატოლური - 40 მმ წყ.სვ. და უფრო ნაკლები). სხეულის ტემპერატურა ნორმაზე დაბალია. აღინიშნება კუნთების ტონუსის დაქვეითება, ოლიგურია. მდგომარეობა შეიძლება განვითარდეს ცნობიერების დარღვევა, არითმია, კოლაფსი.

კოლაფსი შეიძლება იყოს სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის უფრო მძიმე ფორმის შოკის შემადგენელი ნაწილი.

შოკი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობაა და ვითარდება მწვავედ ორგანიზმზე ექსტრემალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად - მძიმე მექანიკური ტრავმა, ელექტროტრავმა, დანწურვა, მუთავაზეული სისხლის გადასხმა. ის შეიძლება განვითარდეს მიკარდიუმის ინფარქტის (კარდიოგენული შოკი), ალტრების (ანაფილაქტიური შოკი), სეფსისის (სეფსიური შოკი) და სხვა დროს. შოკის განვითარების მექანიზმები კრი კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. ვარაუდობენ, რომ მას საფუძვლად უდევს წერეული და პუმორული რეგულაციის მოშლის შედეგად ქსოვილების და ორგანოების სისხლით მომარაგების მკვეთრი დაქვეითება და პიმიქსია, ნივთიერებათა ცვლის და პრაქტიკულად ყველა ფიზიოლოგიური სისტემის ფუნქციონირების პროგრესული დარღვევა. ხდება სისხლის მიმოქცევის ცენტრალიზაცია სასიცოცხლო ორგანოების (თავის ტვინი, გულ) სისხლის მიმოქცევის უზრუნველყოფისათვის (სურ. 131).

შოკის განვითარების დროს ჯერ ვითარდება წერეული სისხლის ხანმოკლე აგზნება (შოკის ერექტული ფაზა), შემდეგ კ მისი დათრგუნვა (შოკის ტრამაიდული ფაზა). შოკის ერექტული



სურ. 131 სისხლის განაწილება ნორმის (ა) და შოკის (ბ) დროს. შოკის დროს ვითარდება სისხლის განაწილება სასიცოცხლო ორგანოებში (თავის ტვინი, გული) და სხვა ქსოვილების გარდაშვალის იშვიათობა

ფაზა ხანმოკლეა და ყოველთვის არ ვლინდება. მისთვის, ნერვულ-ფსიქიკური აგზნების გარდა, დამახასიათებელია მოტორული აგზნება, არტერიული წნევის მატება, გულისცემის და სუნთქვის გახშირება. შოკის ტოპიკულ ფაზაში ვლინდება ცნობიერების დარღვევა, მოძრაობითი შეზღუდვა, რეაქცია გამომიჯანბრებულზე დაქვეითებულია ან არ აღინიშნება. ავადმყოფი ფერმკრთალია ან ციანოზური, სუნთქვას ხშირად და ზეწულვდ, მავა დაფიხერია, არტერიული წნევა მნიშვნელოვნად ქვეითდება (80-70 მმ ვს.სე. და ქვეით), აღინიშნება ოლიგურია, ანურია, პიოთერია, მეტაბოლური და სუნთქვითი აციდოზი.

სისხლძარღვთა ქრონიკული უკმარისობა ვითარდება ხშირად სხვადასხვა დაავადებების ფონზე, არ იწვევს სისხლის მიმოქცევის შიშვე და გამოხატულ დარღვევას და ხასიათდება არტერიული წნევის დაქვეითებით (ჰიპოტონია). სისხლძარღვთა ქრონიკული უკმარისობის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონსტრუქციური და ენდოკრინული ფაქტორები. დამახასიათებელია სისუსტე, ადეოლად დაღლა, მიდრეკილება გულის წასვლისადმი, ავადმყოფების სახის კანი ფერმკრთალია, კიდურებში ცივი აქეთ, ხშირად ციანოზური, აღინიშნება მიდრეკილება ტაქიკარდიისადმი. სისხლძარღვთა ქრონიკული უკმარისობა ხშირად ავდნიშნება ასთენური კონსტრუქციის პიროვნებებს, დამახასიათებელია ნეიროცირკულატორული დისტონიისათვის, აღისთვის. დაავადებისათვის, ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური პროცესებისათვის, გადაადღის, კევის დაქვეითებისათვის.


**არიტმია**

არიტმია გულის რითმის და გამტარობის დარღვევას ეწოდება. ის ვითარდება გულის მანკების, სტენოკარდიის, მოკარდიუმის ინფარქტის, მოკარდიუმის, კარდიომიოპათიის, არტერიული ჰიპერტენზიის და გულის სხვა პათოლოგიის დროს. ამის გარდა, არითმია შეიძლება აღმოცენდეს გულის მუშაობის ნერვული და პირბინული რეგულაციის დარღვევის, ტრავმის, მოკოქის შედეგად, შვავ-ტუტოვანი ნონანსრობის და ელექტროლიტური ბალანსის დარღვევის გამო, ორგანიზმზე ზოგიერთი მედიკამენტის (საგულე გლოკოზიდები, შარდმდენი საშუალებანი) ზემოქმედების შედეგად და სხვა.

არიტმიის განვითარებას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი ელექტროფიზიოლოგიური მექანიზმი: 1. ექტოპური ავტომატიზმი და 2. აგზნების ტალღის განვითარებითი შესვლა - რიენტრი (reentry), სინუსური იმპულსის განწოვრებით გავრცელება. ყველა არითმია გულის ძირითადი თვისებების - ავტომატიზმის, აგზნებადობის და გამტარობის დარღვევის შედეგია. მაგრამ ხშირად ვითარდება აღნიშნული თვისებების დარღვევის კომბინაცია.

**ავტომატიზმის ფუნქციის მოშლა**

როგორც ზვეთი უკვე იყო აღნიშნული, ნორმის პირობებში ყველაზე მაღალი ავტომატიზმის უნარი აქვს სინუსის კვანძს, ამიტომ ის არის გულის რითმის წამყვანი. სინუსის კვანძის ავტომატიზმის დარღვევისას, იმპულსების გამომუშავების ტემპი შეიძლება შეიცვალოს გახშირებისკენ - სინუსური ტაქიკარდია, გაიშვითებისკენ - სინუსური ბრადიკარდია, ან შეიძლება დარღვევს იმპულსების გამომუშავების თანმიმდევრობა და ისინი აღმოცენდებიან დროის არათანაბარი ინტერვალების შემდეგ - სინუსური არითმია (სურ. 132).



სურ. 132 სინუსის რითმის ცვლილებები: ა. სინუსური ტაქიკარდია; ბ. სინუსური ბრადიკარდია; გ. სინუსური არითმია

**სინუსური ტაქიკარდია**

სინუსური ტაქიკარდია განპირობებულია სინუსური კვანძის ავტომატიზმის მატებით. ნორმის პირობებში ის შეიძლება განვითარდეს ფიზიკური დატვირთვის და ემოციური დაძაბულობის შედეგად. პათოლოგიის პირობებში მისი აღმოცენების მიზეზი შეიძლება იყოს სინუსური კვანძის მიდამოს იშვიათობა, გულის კუნთში, ენდოკარდიუმში მიმდინარე ანთიციური ცვლილებები, ის ვითარდება ავადმყოფებში გულის უკმარისობით, სხვადასხვა ინფექციის, ტოქსიკური ზემოქმედების (თირუტოქსიკოზი, ტემპერატურის მატების, ანემიის, ნერვოზების, ზოგიერთი მედიკამენტის (ადრენალინი, კოფეინი, ატროპინი და სხვა) მოქმედების შედეგად. მის განვითარებას ხელს უწყობს სიმპათოკური ნერვული სისტემის ტონუსის მატება. სინუსური ტაქიკარდიის დროს, გულის ცემის სიხშირე 90-დან 120-მდეა, მაგრამ ზოგჯერ 150-160-ს შეიძლება მიაღწიოს.

ამ დროს ავადმყოფები გრძობენ გულის ფრიალს, ზოგჯერ მას შეიძლება თან ახლდეს შავერის უკმარისობა, სიმძიმის შეგრძნება გულის არეში, პულსაცია თავის და კისრის მიდამოში. ელექტროკარდიოგრაფიულად აღინიშნება R-R ინტერვალის დამოკლება დიასტოლის დროს (T-P ინტერვალის) შემცირ-

რების ხარჯზე, სწორი, სინუსური რითმი - P კბილის და QRST კომპლექსების რვეულარული თანამდევრობა. წინაგულვანი და პარაკუჭოვანი კომპლექსები არ არის შეცვლილი. გულის ცემის ძლიერი გახშირების შემთხვევაში P კბილი შეიძლება დაფხვხვეს T კბილს.

**სინუსური ბრადიკარდია**

სინუსური ბრადიკარდია განპირობებულია სინუსური კვანძის ავზნებადობის დაქვეითებით. ის შეიძლება შეგვხვდეს სავსებით ჯანმრთელ პირებში, ხშირად კარგად ნავარჯიშებ სპორტსმენებში. აღინიშნება მთოკარდიტის, მთოკარდიუმის ინფარქტის, კარდიოსკლეროზის, ქალასობადი წნევის მატების, მიქედემის, ზოგიერთი ინფექციის (გრძიმი, მუცლის ტიფი), სიყვითლის, ზოგიერთი მედიკამენტური ინტოქსიკაციის (სავლელ გლიკოზიდები, ბეტა-ბლოკერები) და სხვა დროს. ვითარდება პარასიმპათიკული ნერვული სისტემის ტონუსის მატებით.

სინუსური ბრადიკარდიის დროს გულის რითმი 59-დან 40-მდეა, უფრო იშვიათად ის არმოცხე ქვემოთა შეიძლება იყოს. არამკვეთრი ბრადიკარდია, ჩვეულებრივ სუბიექტურად არ შეგვიძნობა და არ ინვეეს პემოდინამიკის ცვლილებას. ძლიერმა ბრადიკარდიამ (40-ზე ნაკლები შეკუმშვა წუთში) შეიძლება გამოიწვიოს თავებრუ, ზოგჯერ გულის ნასვლა ტვინის იშემიის შედეგად.

ელექტროკარდიოგრაფიულად აღინიშნება R-R ინტერვალის გახანგრძლივება დიასტოლის დროს (T-P ინტერვალის გაზრდის ხარჯზე), სწორი სინუსური რითმი, წინაგულვანი და პარაკუჭოვანი კომპლექსები არ არის შეცვლილი. ზოგჯერ აღინიშნება P-Q ინტერვალის ზომიერი გახანგრძლივება (0,20-0,21 წამამდე).

**სინუსური არითმია**

სინუსური არითმია ხასიათდება სუნთქვის ფაზებთან დაკავშირებული გულის ცემის რითმის პერიოდული ცვლილებებით, რის გამოც მას სუნთქვით არითმიაც ეწოდება. ამ დროს წინშეწელობა აქვს ცდომილი ნერვის ტონუსის მერყეობას. ჩასუნთქვის დროს გულის ცემის სიხშირე მატლდება, ამოსუნთქვის დროს - კლებულობს. აღინიშნება უფრო ხშირად ბავშვებში და ჭაბუკებში, ინფექციური დაავადებებისაგან გამოჯანმრთელების პერიოდში, ენტრალური სერული სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს. ხშირად არის ახალგაზრდა ასაკის ავადმყოფებში ნეიროციკულატორული დისტონიით. ე.წ. არასუნთქვითი სინუსური არითმია შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე მთოკარდიტის, მთოკარდიუმის ინფარქტის, კარდიოსკლეროზის, გულის მანკების დროს.

კლინიკურად ის არ ელინდება რაიმე სუბიექტური დარღვევით. ეკგ-ზე R-R ინტერვალი ხანგრძლივდება, ხან მოკლდება, T-P ინტერვალის ცვლილების შედეგად. P-Q ინტერვალის ხანგრძლივობა მუდმივია. წინაგულვან და პარაკუჭოვანი კომპლექსების ფორმა არ იცვლება.

**სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი**

სინუსური კვანძის ავტომატიზმის ფუნქციის დათრგუნვა, დაკავშირებული სხვადასხვა პათოლოგიურ ფაქტორთან. ის შეიძლება აღმოცენდეს მთოკარდიუმის ინფარქტის, მთოკარდიტის, კარდიომიოპათიის, გლიკოზიდური ინტოქსიკაციის დროს და

სხვა ჩვეულებრივ, ავადმყოფებს აღინიშნებათ მყარი სინუსური ბრადიკარდია, რომელიც მნიშვნელოვნად არ იცვლება ფიზიკური დატვირთვის დროს და ატროპინის ინექციის შემდეგ. ბრადიკარდიის ფონზე ზოგჯერ სინუსური რითმი იცვლება არასინუსური ექტოპური რითმებით (წინაგულვლიან, ატროვენტრიკულური შერეობიდან და სხვა). ზოგჯერ აღინიშნება სინუსის კვანძიან წინაგულსკენ ელექტრული იმპულსების გატარების დარღვევა. ძალიან დამახასიათებელია ავადმყოფებისთვის გამოხატული ბრადიკარდიის და ტაქიკარდიის სინდრომების მონაცვლეობა (ე.წ. ბრადი-ტაქი სინდრომი). ამ დროს სინუსური ბრადიკარდიის ფონზე აღმოცენდება ტაქიკარდიის შეტევა, ვითარდება წინაგულების ციმციმი ან თრთოლვა და სხვა. სინუსური კვანძის სისუსტე შეიძლება იყოს გარდამავალი (მოკლე შეტევების სახით) ან მუდმივი (სტაბილური).


კლინიკურად სინუსის კვანძის სისუსტე ვლინდება გულის ნახეული, გულის ფრიალი, უსამიოვნო შეგრძნებით გულის არემი და სხვა.

ელექტროკარდიოგრაფიულად დამახასიათებელია მდგრადი სინუსური ბრადიკარდია, ექტოპური რითმის პერიოდული გამოვლინება, სინათურიკულარული ბლოკადა, ბრადიკარდია-ტაქიკარდიის სინდრომი.

**ავზნებადობის ფუნქციის მოშლა**

**ექსტრასისტოლური არითმია**


ექსტრასისტოლა ეწოდება გულის რიგგარეშე, ნაადრევ შეკუმშვას. ამ დროს განთავიებული რითმის დარღვევა ექსტრასისტოლური არითმიის სახელწოდებითაც ცნობილი. გულის ნაადრევი შეკუმშვა ნორმალური დიასტოლური პაუზის დამთავრებამდე შეიძლება გამოიწვიოს გამტარი სისტემის ნე-ბისმიერი მიდამოში აღმოცენებულმა დამატებითმა - ექტოპიურმა ან პეტეოტოპიურმა ავზნების კერამ. ექსტრასისტოლა ჩვეულებრივ ჩნდება გულის ნორმალური რითმის ფონზე. ექტოპიური ავზნების კერა უფრო ხშირად არის პარაკუჭებში, უფრო იშვიათად წინაგულებში და ატროვენტრიკულურ შენაერთში. ამდენად, გამოყოფენ პარაკუჭოვან და სუპრავენტრიკულურ (წინაგულვანი და ატროვენტრიკულური) ექსტრასისტოლებს (სურ. 133). უფრო იშვიათად ექსტრასისტოლური იმპულსები შეიძლება აღმოცენდეს თვით სინუსის კვანძში. პათო-



სურ. 133 ექსტრასისტოლური არითმია: ა. წინაგულვანი; ბ. კვანძოვანი; გ. პარაკუჭოვანი; დ. პოლტოპური


ლოგიური აგზნების კერა გულის კუნთში წარმოიქმნება ანთე-  
ბითი ან ნეკროზული პროცესების დროს (მიოკარდიტი, გულის  
მანკი, მიოკარდიუმის ინფარქტი, კარდიოგენური, პორმო-  
ნული დარღვევების (თირეოტოქსიკოზი, კლიმაქსი), სხვადას-  
ხვა ინტოქსიკაციის, მათ შორის მედიკამენტური (საგულე გლი-  
კოზიდები), ელექტროლიტური დარღვევების დროს და სხვ.

განასხვავებენ ერთულ და მზრ ექსტრასისტოლიას, იჩი-  
ს და მიხედვით, თუ რამდენი ექსტრასისტოლური შეკუმშვა გან-  
ვითარდება ერთი წუთის განმავლობაში. თუკი ექსტრასისტო-  
ლური არითმია გარკვეული თანმიმდევრობით წარმოიქმნება,  
მას ალორითმია ეწოდება. ის შეიძლება იყოს ბიგემინის (ექ-  
სტრასისტოლური დარტყმა არის ყოველი მეორე), ტრიგემინის  
(ყოველი მესამე), კვადრეგემინის (ყოველი მეოთხე) სახით და  
ა.შ. (სურ. 134).



სურ. 134 პარკუჭოვანი ბიგემინია

ექსტრასისტოლური არითმია შეიძლება იყოს მონოტოპური  
(ერთი კერიდან მომდინარე), პოლიტოპური (სხვადასხვა კერი-  
დან მომდინარე), ჯგუფური - ზალური (რამდენიმე ერთმანეთს  
მიყვლიან ექსტრასისტოლური კომპლექსი). ინტერპოლარ-  
ეგულა ექსტრასისტოლა, როდესაც ის არის ორ ნორმალურ  
კომპლექსს შორის კომპენსაციური პაუზის გარეშე. ექსტრა-  
სისტოლა ნადრეგია, როდესაც ის ძალიან ახლოსაა წინა სის-  
ტოლასთან. ექსტრასისტოლა შეიძლება იყოს შერეული ხასია-  
თის, მაგალითად, ჯგუფური, პოლიტოპური, მრავლობითი და  
სხვა (სურ. 135).



სურ. 135 ჯგუფური ექსტრასისტოლა. გულის ორი ნორმალური კომპლექსის შემდეგ რეგისტრირდება სამი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლა

ექსტრასისტოლა შეიძლება განვითარდეს საცხებით ვან-  
მრთელ პირებშიც და შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა  
ეგზეტრატორი რეაქციით, ემოციური გადაძაბვით, თამბაქოს  
წევით, ალკოჰოლური სასმეის, ძლიერი ყავის დაღვით და  
სხვა. ექსტრასისტოლური შეკუმშვის შემდეგ გულის მომდევნო  
ნომოტოპური შეკუმშვა ხდება უფრო ხანგრძლივი პერიოდის  
შემდეგ, ვიდრე ნორმის პირობებში. აღნიშნულ პერიოდს კომ-  
პენსაციური პაუზა ეწოდება. პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიის  
შემდეგად კომპენსაციური პაუზა უფრო ხანგრძლივია (სრული  
კომპენსაციური პაუზა), ვიდრე სუპრავენტრიკულური ექსტრა-  
სისტოლიის დროს (არასრული კომპენსაციური პაუზა).

შემთხვევათა უმრავლესობაში ექსტრასისტოლიას არ  
სდევს თან უსაბოვნო სუბიექტური შეგრძნება და ის შეიძლება

შემთხვევით იყოს აღმოჩენილი ექიმის მიერ, ან ეკგ-ის რეგის-  
ტრირებისას.

ექსტრასისტოლიის დროს ავადმყოფები გულის მიდამოში  
განძობენ გულის ცემის შეჩერებას, გულის ფართხალს, ბიძეს,  
ძლიერ დარტყმას, გულის „ჩაჯარნას“, დისკომფორტს გულ-  
მკერდში და სხვა. ზოგჯერ ავადმყოფები აღნიშნავენ პულსაცი-  
ას თავში, კისრის არემში, ითვისატროუმის მიდამოში, თავბრუს  
და გულის წახლასაც კი, რაც ხშირად ჯგუფური პარკუჭოვან  
ექსტრასისტოლიას ახასიათებს, რადგანაც ის ინვეეს სისტო-  
ლური მოცულობის შეკეთრ დაქვეითებას და თავის ტვინის პი-  
პისაციას. სუპრავენტრიკულური ექსტრასისტოლიის დროს სუ-  
ბიექტური შეგრძნებები გაცილებით ნაკლებია, პარკუჭოვან ექ-  
სტრასისტოლიასთან შედარებით. ხშირად ავადმყოფები საერ-  
თოდ ვერ გრძობენ მას.

აუსკულტაციით გულის მიდამოში აღინიშნება ადრეული  
შეკუმშვა, გაძლიერებული I რაცე პარკუჭების მცირე დასტო-  
ლური ავსების გამო.

ჯგუფური ექსტრასისტოლიის დროს ისმის ერთმანეთის მი-  
ყვლინით გაძლიერებული პირველი ტონი, რომელიც ემთხვევა  
ექსტრასისტოლათა რაოდენობას. ხშირი ექსტრასისტოლიის  
დროს ზოგჯერ შეიძლება შეგვექმნას მოციმციმე არითმიის  
შთაბეჭდილება. ადრეული ექსტრასისტოლიის დროს, რადგა-  
ნაც აორტის სარქველი არ იხსნება პარკუჭების მცირე ავსების  
გამო, II ტონი აუსკულტაციით არ მოისმინება.

ექსტრასისტოლური არითმიის დროს შეიძლება აღინიშნოს  
საუღლე ვენების სისტოლური პულსაცია (დადებითი ვენური  
პულსი). სწორედ ის ინვეეს კისერში პულსაციის სუბიექტურ  
შეგრძნებას.

პულსის გამოკვლევის დროს ექსტრასისტოლიის არსებობა  
დგინდება სუსტი პულსური ტალღის ადრეული გაჩენის და მომ-  
დევნი განახგრძლივებული პაუზით. ზოგჯერ აღინიშნება თით-  
ქოსდა პულსის გამოყარნა. თუკი ექსტრასისტოლია ადმო-  
ცენდა ძალიან ადრე, მარცხენა პარკუჭის სისხლით ავსება იმ-  
დენად მცირეა, რომ აორტის სარქველი არ იღება, სისხლი ვერ  
გადადის აორტაში და პულსური ტალღა სხივის არტერიაზე არ  
შეიგრძნობა (უფექტო, ფიტეორი, ცრუ სისტოლა). ფიტეორი  
ბიგემინის დროს პერიფერიული პულსი არ წარმოიქმნება და  
ვითარდება ცრუ (მოჩვენებითი) ბრადიკარდია - პულსის სისხმი-  
რე პარკუჭების სისტოლაზე ორჯერ ნაკლებია. ადრეული ექ-  
სტრასისტოლიის დროს პარკუჭები თითქმის ცარიელი იკუმშე-  
ბა, პერიფერიაზე პულსური ტალღა არ ვრცელდება და ვითარ-  
დება პულსის დეფიციტი.

ელექტროკარდიოგრაფიულად ყველა სახის ექსტრასისტო-  
ლიასთვის დამახასიათებელია QRS კომპლექსის ადრეული გა-  
ჩენა და ექსტრასისტოლურ და მომდევნო ნორმალურ შეკუმ-  
შვას შორის პაუზის განახგრძლივება.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით შეიძლება კლინი-  
კურადაც დაიცავს ექსტრასისტოლიის დიაგნოზი, მაგრამ  
რითმის აღნიშნული დარღვევის ზუსტი დიაგნოზი და ექტოპურ  
კერის ლოკალიზაცია დგინდება მხოლოდ ელექტროკარდი-  
ოგრაფიული გამოკვლევის საუბუძველზე.

წინაგულთან ექსტრასისტოლიის უმთავრესი ელექტრო-  
კარდიოგრაფიული ნიშნებია: 1) P პიკლის და მისი თანხმობის  
QRST კომპლექსის ადრეული რეგარემე გაჩენა; 2) ექსტრასის-  
ტოლური P პიკლის დეფორმაცია და პოლარობის ცვლილება  
(ის შეიძლება იყოს ნეგატიური, გახეღრილი, ორფაზიანი, დამრე-  
სიული ან უარყოფითი); 3) ატრიოვენტრიკულურ კვანძთან ახ-

ლო აღმოცენებული ექსტრასისტოლის შემთხვევაში P-Q ინტერვალი შეიძლება დამოკლდეს 0,12 წამამდე; 4) ექსტრასისტოლური პარკუჭიანი QRST კომპლექსი შეცვლილია და ფორთბიკავი სინუსური წარმოშობის ჩვეულებრივ ნორმალურ QRST კომპლექსი; 5) წინააღმდეგობის ექსტრასისტოლის შემდეგ არის არასრული კომპენსაციური პაუზა - ექსტრასისტოლის წინა და მომდევნო პაუზათა ჯამი ორი ნორმალური RR ინტერვალის ჯამზე ნაკლებია.

ატრიოვენტრიკულურ შუბართში აღმოცენებული ექტოპური იმპულსი (კვანძოვანი ექსტრასისტოლია) ვრცელდება ორი მიმართულებით: ზევიდან ქვევით პარკუჭებში და რეტროგრადულად, ქვევიდან ზევით წინაგულეებში. იმის გამო, რომ აგზნება პარკუჭებში ჩვეულებრივ გზით ვრცელდება, QRST კომპლექსი არ იცვლება და ჰეავიდანარჩუნ, სინუსური წარმოშობის პარკუჭიანი კომპლექსებს.

თუ ექსტრასისტოლია აღმოცენდა ატრიოვენტრიკულური კომპლექსის ზედა ნაწილიდან, წინაგულების აგზნება ხდება უფრო ადრე, ვიდრე პარკუჭების. აგზნების რეტროგრადული გავრცელება იწვევს უარყოფითი P კბლის გაქანას და P-Q ინტერვალის დამოკლებას. თუ ექსტრასისტოლია აღმოცენდება ატრიოვენტრიკულური კვანძის შუა ნაწილიდან, წინაგულეების და პარკუჭების ერთდროული აგზნება. P კბილი ემთხვევა QRST კომპლექსს და არ ვლინდება ეკვ-ზე. თუ ექსტრასისტოლია აღმოცენდა ატრიოვენტრიკულური კვანძის ქვედა ნაწილიდან, პარკუჭების აგზნება ვითარდება უფრო ადრე, ვიდრე წინაგულეების. ელექტროკარდიოგრამაზე უარყოფითი P კბილი ვარაუდობს QRST კომპლექსის შემდეგ.

ატრიოვენტრიკულური ექსტრასისტოლის დროს აღინიშნება არასრული კომპენსაციური პაუზა.

პარკუჭიანი ექსტრასისტოლის წყარო შემთხვევათა უმრავლესობაში პისის კონის განსტობები და პურკინების ბოჭკოებია. ეს იწვევს აგზნების ტალღის გავრცელების პროცესის მნიშვნელოვან დარღვევას მარცხენა და მარჯვენა პარკუჭებში. დასაწყისში ხდება იმ პარკუჭის აგზნება, რომელიც აღმოცენდა ექსტრასისტოლური იმპულსი და მხოლოდ ამის შემდეგ დავიანებით ხდება მორე პარკუჭის აგზნება. ამას შედეგად აქვს ექსტრასისტოლური პარკუჭიანი კომპლექსის საერთო ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი მატება (0,12 წამამდე და მეტი) და მისი დეფორმაცია. როგორც წესი, პარკუჭში წარმოქმნილი იმპულსი წინააღმდეგზე არ ვრცელდება. ელექტროკარდიოგრამაზე ექსტრასისტოლურ პარკუჭიან კომპლექსს P კბილი არ უძლივს წინ. პარკუჭიანი კომპლექსი ხასიათდება მაღალი ვოლტაჟით, გავართობებული და დეფორმებული. ექსტრასისტოლური კომპლექსის T კბილი, ჩვეულებრივ, მიმართულია ექსტრასისტოლური კომპლექსის ძირითადი კბლის საწინააღმდეგო მხარეს - დისკორდანტულია. აღინიშნება სრული კომპენსაციური პაუზა. ექსტრასისტოლის წინა და ექსტრასისტოლური კომპლექსის ინტერვალის ჯამი ორი ნორმალური სინუსური კომპლექსის ინტერვალის ჯამის ტოლია. ზოგჯერ გამომავალი სინუსური პარკუჭი ასწრებს რეფრაქტერიული მდგომარეობიდან რამოსვლას და იგი ალგზნება მომდევნო სინუსური იმპულსის, ამის გამოც ექსტრასისტოლური იმპულსი აღმოჩნდება ჩადგმული ორ სინუსურ იმპულსს შორის, კომპენსაციური პაუზის ვარგულ. მას ინტერპოლირებულ ან ჩადგმულ ექსტრასისტოლს უწოდებენ.

ეკვ-ზე პარკუჭიანი ექსტრასისტოლიები, იმისა მიხედ-

ვით, თუ რომელი პარკუჭიდან არიან აღმოცენებული, ხასიათდებათ გარკვეული თავისებურებებით. მარჯვენაპარკუჭიანი ექსტრასისტოლის დროს მაქსიმალური ამპლიტუდის კბილი (R) ა განზრახი მიმართულია ზევით, III განზრახი კი - ქვევით (S). მარცხენაპარკუჭიანი ექსტრასისტოლის დროს I განზრახი მაქსიმალური ამპლიტუდის კბილი (S) მიმართულია ქვევით, III განზრახი კი ზევით (R). მაგარამ მარჯვენა და მარცხენა პარკუჭიანი ექსტრასისტოლის დროს დიაგნოსტიკა მხოლოდ სტანდარტული განზრების მიხედვით არ შეიძლება, რადგან გულის ელექტრული პოზიციის შეცვლა არსებით გავლენას ახდენს კბილების მიმართულებაზე ამ განზრებში. ამიტომ ამ დროს სარგებლობენ გულმკერდის განზრებით. მარცხენაპარკუჭიანი ექსტრასისტოლისათვის დამახასიათებელია მაღალი R კბილი გულმკერდის მარჯვენა განზრებში (V1, V2) და ღრმად, ფართო S კბილი გულმკერდის მარცხენა განზრებში (V5, V6). პირიქით, მარჯვენაპარკუჭიანი ექსტრასისტოლის დროს ვულმკერდის მარჯვენა განზრებში რეგისტრირდება ღრმა S კბილი, მარცხენა განზრებში კი - მაღალი R კბილი.


პროვინზის თვალსაზრისით, პარკუჭიანი ექსტრასისტოლია უფრო სერიოზულია, ვიდრე სუბარვენტრიკულური. განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს ხშირი პარკუჭიანი ექსტრასისტოლიები, პოლიტოპური პარკუჭიანი ექსტრასისტოლიები, რეგულური (წყვილი) პარკუჭიანი ექსტრასისტოლიები და ადრულე პარკუჭიანი ექსტრასისტოლიები (R კბილი T კბილზე). ასეთი „საშიში“ ექსტრასისტოლიები შეიძლება წინ უძღოდეს რითმის უფრო მძიმე დარღვევას - პარკუჭიან პაროქსიზმულ ტაქიკარდიას და პარკუჭების ფობრილიციას და თორთოვას.

### პაროქსიზმული ტაქიკარდია

პაროქსიზმული ტაქიკარდია გულის რითმის შეტევილი გახშირებაა. ამ დროს გულის ცემის სიხშირე 140-დან 250-მდე შეიძლება გახდეს წუთში და, როგორც წესი, ხასიათდება სწორი, რეგულარული რითმით. შეტევა უცერად იწყება და ასევე უცერად მთავრდება. პაროქსიზმული ტაქიკარდია ვრცელდება რამდენიმე წამიდან რამდენიმე საათამდე, უფრო ხანგრძლივად იშვიათად აღინიშნება. პაროქსიზმული ტაქიკარდიის ეტოლოგიური ფაქტორები ექსტრასისტოლური არითმიის ეტიოლოგიური ფაქტორების ანალოგიურია. პათოგენეზში ნამყვან როლს ანიჭებენ გულის გამბარე სისტემის ავტომატიზმის მატებას და აგზნების განწეორებით შესვლას (რიტმული) მექანიზმებს.

პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევის დროს სუბიექტური შეგრძნებები მრავალფეროვანია. ავადმყოფები რაიმე წინაპირობებთან გარეშე უცერად შეიგრძნობენ გულის ცემის გაძლიერებას და გახშირებას, ძლიერ გულის ფრიალს. ზოგჯერ ავადმყოფს უეთარდება ქოშინი, სისუსტე, აღინიშნავს უსაბრძოლო შეგრძნებას, სიმძიმეს და ზენოლას, ტკივლის ელვის არეში, პულსაციას სისუსტე და თავში, ყელში მოჭრას, ყურებში შუილს, თავბრუს, ზოგჯერ გონების დაკარგვას. დამახასიათებელია ამ დროს საერთო სისუსტე, კიდურების გაცივება, ოფლიანობა. ზოგჯერ აღინიშნება გულის რევა და ლებინება. შეტევის უცერად დაწყების გამო ავადმყოფს ხშირად იპყრობს შიშის გრძნობა, უეთარდება ზოგადად აგზნება, კანკალი.

ობიექტურად აღინიშნება კანის სიფერმკრთაობა, ოფლიანობა, საძილე არტერიის ვაძლიერებული პულსაცია, საუღლე ენების დაბერვა და დადებითი ენური პულსი. ხანგრძლივი შე-



სურ. 136 პაროქსიზმული ტაქიკარდია. ა. სუპრავენტრიკულური; ბ. პარკუჭოვანი

ტევის შედეგად ვითარდება ციანოზი. პულსი გახშირებულია, მცირე, რბილი, ხშირად მისი დათვლა გაძნელებულია, ზოგჯერ შეუძლებელი. აუსკულტაციით მოისმინება გულის საქანულა-სებრი რითმი, გაძლიერებული I ტონი (ემბრიოკარდია), დასატოლური პაუზის შემცირება. სისხლის არტერიული წნევა ქვეითდება. შეიძლება განვითარდეს არითმული შოკი, მწვავე კორონარული უკმარისობა და გულის მწვავე უკმარისობა. შეტევის უკუქმედებას ავადმყოფი გრძნობს როგორც გულის გაჩერებას, გულის ცემის გაიშვითებას. შეტევის დამთავრების შემდეგ ხშირად აღინიშნება პოლურია (დაბალი ხედვითი ნოზის დიდი რაოდენობით შარდის გამოყოფით - *urina spastica*).

გაძლიერებული ავტომატიზმის ექტოპური ცენტრის ლოკალიზაციის მიხედვით, არჩევენ წინაგულოვან, ატრიოვენტრიკულურ და პარკუჭოვან პაროქსიზმულ ტაქიკარდიებს (სურ. 136).

წინაგულოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდიისათვის ეკგ-ზე დამახასიათებელია გულის ცემის გახშირება - 140-250 წუთში. ყოველი პარკუჭოვანი კომპლექსის წინ აღინიშნება დაბალი, დეფორმირებული, ორჯაზიანი ან უარყოფითი P კბილი. პარკუჭოვანი QRST კომპლექსი, ჩვეულებრივ, შეუცვლელია.

მკვთერი ტაქიკარდიის დროს ზოგჯერ P კბილი არ აღინიშნება, რადგანაც ის ემთხვევა წინა ციკლის T კბილს და ინევეს მის დეფორმაციას.

ატრიოვენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდიის დროს გულის ცემის რითმი 140-220-ია წუთში. წინაგულოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდიისაგან განსხვავებით, როგორც წესი, P კბილი ყოველთვის უარყოფითია. იგი წინ უძღვის, ემთხვევა ან მისდევს QRS კომპლექსს. QRS კომპლექსი, ჩვეულებრივ, შეუცვლელია.

იმახთან დაკავშირებით, რომ ხშირად ეკგ-ზე P კბილი არ რეგისტრირდება (რის გამოც წინაგულოვანი და ატრიოვენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდიები ერთიმეორისაგან ძნელი გასარჩევია), აღინიშნულ არითმიებს აერთიანებენ ერთი ტერმინით - სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდია.

პარკუჭოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდიის დროს გულის ცემის სიხშირე 140-220-ია წუთში. აღინიშნება QRS კომპლექსის დეფორმაცია და გავანირება, R და T კბილების დისკორდანტული განლაგება, ისევე როგორც პარკუჭოვანი ექტრასისტოლის დროს. დამახასიათებელია ე.წ. ატრიოვენტრიკულური დისოციაცია, ე.ი. სრული დისოციაცია წინაგულეების და

პარკუჭების მუშაობაში. ექტოპური იმპულსები, რომლებიც აღმოცენდება პარკუჭებში, არ ტარდება რეტროგრადულად წინაგულეებში და წინაგულეები იკუმშება ჩვეულებრივი ნორმალური სინუსური რითმით. ეკგ-ზე რეგისტრირდება დადებითი P კბილები, რომლებიც ზოგჯერ ემთხვევა QRST კომპლექსს სხვადასხვა ადგილას. ეკგ-ზე P კბილებსა და QRST კომპლექსებს შორის რაიმე კანონზომიერი კავშირი არ არის.

პარკუჭოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდია პაროქსიზმული ტაქიკარდიის ყველაზე მძიმე ფორმაა და შეიძლება გაროულდეს პარკუჭების ფიბრილაციით.

### წინაგულეების თრთოლვა

წინაგულეების თრთოლვა (*atrial flutter*) ხასიათდება წინაგულეების რითმული, გახშირებული შეკუმშვით (წუთში 200-400). აღინიშნება რეგმატიზმის, მიოკარდიტის, გულის მიტრალური მანკების, გულის იშემიური დაავადების და სხვა დროს. მისი წარმოშობის მექანიზმები ივსება, რაც პაროქსიზმული ტაქიკარდიების. წინაგულეების თრთოლვა მიმდინარეობს პაროქსიზმების სახით ან რეგისტრირდება თრთოლვის მუდმივი ფორმა.

წინაგულეების თრთოლვის პაროქსიზმული შეტევის დროს სუბიექტური შეგრძნებები ძალიან პაკავ წინაგულოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდიის დროს არსებულ სიმძიმეებს. ობიექტურად აღინიშნება ტაქიკარდია, პერიფერიული არტერიების პულსაცია უმრავლეს შემთხვევაში რითმულია. აღინიშნება საუფლე ვენების გახშირებული პულსაცია.




სურ. 137 წინაგულეების თრთოლვა. ეკგ-ზე ჩანს მსხვილი წინაგულოვანი ტალღები

ექტოპური კარდიოგრაფიულად რეგისტრირდება ხშირი წინაგულოვანი ე.წ. F ტალღები (სურ. 137). ისინი მაღალამპლტუდაანი, მორგვალდებული ან მახვილწვეტიანია და მათ ხერხის პირს ადარებენ. მამძილები F ტალღებს შორის ერთნაირია, რაც მეტყველებს რეგულარულ წინაგულოვან რითმზე. F ტალღები ყველაზე კარგად ჩანს II, III, aVF, V<sub>1</sub>, V<sub>2</sub> განხრებში. პარკუჭების შეკუმშვის რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წინაგულეებისა, რადგანაც ატრიოვენტრიკულური კვანძი ეკვრ ატარებს ყველა იმპულსს, რომლებიც წინაგულეებში წარმოიქმნება.

წინაგულეებისა და პარკუჭების შეკუმშვის თანაფარდობა (ანუ ატრიოვენტრიკულური გამტარობა) შეიძლება იყოს 1:1, 2:1, 3:1 და ა.შ. თუკი ატრიოვენტრიკულური კვანძის გამტარობა დაბალდება, პარკუჭების შეკუმშვის რითმი შემცირდება არათანაბრი იყოს. პარკუჭოვანი კომპლექსს აქვს წინაგულური ფორმა. თუკი F ტალღები ემთხვევა ST სეგმენტს და T კბილს, შეიძლება აღინიშნოს პარკუჭოვანი კომპლექსის დეფორმაცია.

**წინაგულების ფიბრილაცია - მოციმციმე არითმია**

წინაგულების ფიბრილაცია (atrial fibrillation, arrhythmia per-petua), მოციმციმე არითმია - წინაგულების ციმციმი, ხასიათდება წინაგულში მრავალბითი (350-700) ექტოპიური იმპულსების წარმოქმნით, რაც იწვევს მისი ცალკეული კუნთოვანი ბოჭკოს უჯრუდების არაკოორდინირებულ, ქაოსურ აგზნებას. ამ დროს წინაგულების მთლიანი აგზნება და შეკუმშვა არ ხდება, წინაგულებში წარმოქმნილი იმპულსების უმრავლესობა ვერ აღწევს ატრიოვენტრიკულური კვანძის გავლით პარკუჭებს, რის გამოც პარკუჭების შეკუმშვის რიცხვიც არარეგულარულია (აბსოლუტური არითმია). მოციმციმე არითმიის დროს პარკუჭების შეკუმშვის სიხშირე უფრო ხშირად 90-140-ის ფარგლებშია წუთში. იშვიათად პარკუჭების შეკუმშვის რიცხვი აღწევს 150-200-ს წუთში (სურ. 138).



სურ. 138 მოციმციმე არითმია. პარკუჭიანი კომპლექსები ეკგ-ზე რეგისტრირდება დროს არათანაბარი პერიოდების შემდეგ. P კბილი არ ჩანს. აღინიშნება დაბალი f ტალღები

მოციმციმე არითმია უფრო ხშირად აღინიშნება წინაგულის მოკარდღობის ორგანული ცვლილებების დროს, კერძოდ, იშვიათად დაავადების, გულის მანკების, განსაკუთრებით მიტრალური სტენოზის, მოკარდღობის, თირეოტიკოსიკოზის და სხვა დროს. დაავადების დასაწყისში შეიძლება აღმოცენდეს წინაგულების ფიბრილაციის პერიოდული შეტევები და მას პაროქსიზმული ხასიათი ჰქონდეს. მოციმციმე არითმიის პაროქსიზმები შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე, იშვიათად - უფრო ხანგრძლივ დროით. შეტევის შუალედებში აღინიშნება სწორი სინუსური რითმი. შემდგომში მოციმციმე არითმია მუდმივ ხასიათს იძენს. მუდმივი ტიპის არითმია შეიძლება მიმდინარეობდეს პარკუჭების შეკუმშვის ხშირი რითმით - ტაქისისტოლური ფორმის მოციმციმე არითმია (შეკუმშვათა რიცხვი აღემატება 90-100) ან პარკუჭების შეკუმშვის იშვიათი რითმით - ბრადისისტოლური ფორმის მოციმციმე არითმია (შეკუმშვათა რიცხვი 60-ზე ნაკლებია). თუ პარკუჭების შეკუმშვის რიცხვი 60-დან 90-მდეა, ლაპარაკია ნორმოსისტოლურ მოციმციმე არითმიაზე.

პაროქსიზმული ფორმის მოციმციმე არითმიის დროს სუბიექტური ჩივილები არ განსხვავდება იმ ჩივილებისგან, რომლებიც აქვთ ავადმყოფებს რითმის სხვა პაროქსიზმული დარღვევების დროს. ისინი აღნიშნავენ გულის ფრიალს, ჰაერის უკმარისობას, საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას, რაც დაკავშირებულია ამ დროს განვითარებულ მზარად გულის ნაკლოვანებით და ჰემოდინამიკური დარღვევებით. ეს მოვლენები უფრო ხშირად არის გამოხატული ტაქისისტოლიის დროს. ბრადისისტოლით მიმდინარე მოციმციმე არითმიის შემთხვევაში ავადმყოფები ხშირად ჩივილებს საერთოდ არ წარმოადგენენ. ობიექტურად აღინიშნება არარეგულა-

რული და არათანაბარი აესების პულსი, გულის ტონების არათანაბარი სიძლიერე და არითმულობა. ხანმოკლე დიასტოლის დროს f ტონი ძლიერია, ხანგრძლივი შემდეგ - ნორმული ან შესუსტებული. ვითარდება პულის დეფიციტი.

ხშირად გულის მოსმენით ვერ ხერხდება მისი აუსკლტიკური მოვლენების თანმიმდევრობაში რაიმე კანონზომიერების დადგენა. გულის ტონები სრულიად ქაოსური, უწესრიგო ხასიათისაა. ამიტომ მოციმციმე არითმიას ხშირად აგულის ბოდეგს (delirium cordis) უწოდებენ.

ელექტროკარდიოგრაფაზე წინაგულების ფიბრილაციის დროს არც ერთ განხრამთ არ აღინიშნება P კბილი. მის მაგივრად მთელი გულის ციკლის დროს რეგისტრირდება არაერთნაირი ფორმის, სიმაღლის და სიფართის ე.წ. f ტალღები. ისინი უკეთ რეგისტრირდება VI, V2, II, III და aVF განხრებში. დაძახასიათებელია არათანაბარი RR ინტერვალები, რაც მოუთხოვს პარკუჭების შეკუმშვის არარეგულარობაზე. პარკუჭიანი QRS კომპლექსი, ჩვეულებრივ, დეფორმაციას არ განიცდის.

**პარკუჭების ფიბრილაცია**


პარკუჭების ფიბრილაციაში იგულისხმება მათი თრთოლვა ანდა ციმციმი. პარკუჭების თრთოლვა - ეს მათი ხშირი რითმული აგზნებაა. ის, როგორც წესი, გადადის პარკუჭების ციმციმეში, როლის დროსაც აღინიშნება ძალიან ხშირი არარეგულარული აგზნება და ცალკეული კუნთოვანი ბოჭკოს შეკუმშვა.

პარკუჭების ფიბრილაცია სამიში, ელტალური არითმიაა. ის ავადმყოფების უეცარი სიკვდილის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია მოკარდღობის ინფარქტის, აგრეთვე გულის ქრონი-


კული იშემიური დაავადების, აორტული მანკის და სხვა დროს. პარკუჭების ფიბრილაციის დროს კლინიკურად აღინიშნება ცნობიერების უეცარი დაკარგვა, ზოგჯერ კრუნჩხვები, ფერმართალი, მემდეგ კი ციანოზური კანი, არტერიული სისხლის წნევა მკვეთრად დაქვეითებულია, პერიფერიული პულსაცია არ აღინიშნება, გულის ტონები და მოსმინება, სუნთქვა ჩერდება. აღინიშნება თვალის გულები გაფართოება და რეაქციის დაკარგვა სწრაფად. აღნიშნული მოვლენები დაკავშირებულია შემოდინამიკ მკვეთრ დარღვევასთან.

პარკუჭების თრთოლვის დროს ეკგ-ზე რეგისტრირდება მაღალი, გაფართოებული, თითქმის ერთნაირი ფორმის და ამპლიტუდის რითმული ტალღები, რომელთა სიხშირეც წუთში შეიძლება 300-ს აღწევდეს. პარკუჭიანი კომპლექსის ელემენტების გარეშეა შეუძლებელია.

პარკუჭების ციმციმის დროს ეკგ-ზე რეგისტრირდება სხვადასხვა ხანგრძლივობის, ამპლიტუდის და ფორმის (წყვეტიანი ან დამრგვალებული) ტალღები, რომელთა სიხშირეც წუთში 200-500-ს აღწევს (სურ. 139). ისინი არარეგულარული და ქაოტურია. პარკუჭიანი კომპლექსის ელემენტების გარეშეა შეუძლებელია. პარკუჭების ციმციმის ტალღების სიმაღ-



სურ. 139 პარკუჭების თრთოლვა და ციმციმი



სურ. 140 ატრიოვენტრიკულური ბლოკადა. ა. I ხარისხის; ბ. II ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა (მობიცი I ტიპი) ვენკენბახის პერიოდებით (აღნიშნულია ისინი); გ. II ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა (მობიცი III ტიპი). გამოვარდნილი ყოველი მეორე პარკუტოვანი კომპლექსი; დ. სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადა. წინაგულები იკუმშება თავის რითმით, პარკუტები თაყიარითობ

ლე რამდენიმე წუთით თანდათანობით ქეითდება, შემდეგ ეკგ-ზე ქრება მისი ყველა ელემენტი და იწერება სწორი ხაზი, რაც პარკუტების ასისტოლიაზე - გულის ცემის სრულ გაჩერებაზე მიუთითებს.

### გამტარობის ფუნქციის მოშლა. ბლოკადები

ბლოკადა ეწოდება გულის გამტარ სისტემაში ელექტრული იმპულსის გატარების შენელებას ან სრულ შეწყვეტას. ბლოკადა შეიძლება განვითარდეს გამტარ სისტემის ნებისმიერ მონაკვეთში, სინუსის კვანძიდან დაწყებული პურკინივ ბოჭკოებამდე. გამტარობის დარღვევის კერის მიხედვით არჩევენ სინო-ატრიულ, წინაგულშიდა, ატრიოვენტრიკულურ და პარკუტოვან ბლოკადებს. გამტარობის დარღვევა შეიძლება განვითარდეს მთლიანად მიმდინარე ანტიბიოტი, იმპიური, სკლეროზული პროცესების დროს. ის აღინიშნება ხშირად მთლიანად გულის ინფარქტის, გულის მახვილ, მიოკარდიტის, კარდიოსკლეროზის, სხვადასხვა, მათ შორის მედიკამენტური ინტოქსიკაციის (სავალე გლიკოზიდები) დროს და სხვა.

### სინოატრიული ბლოკადა

სინოატრიული ბლოკადის დროს აღინიშნება ელექტრული იმპულსების გატარების დარღვევა სინუსის კვანძიდან წინაგულკაბე. უფრო ხშირად აღინიშნება არასრული სინოატრიული ბლოკადა, როცა წინაგულკაბე არ ერეკვლება სინუსის კვანძში აღმოცენებული ელექტრული იმპულსების მხოლოდ ნაწილი. ამის გამო ეკგ-ზე აღინიშნება P კბილის და QRST კომპლექსის პერიოდული გამოვარდნა. ამ დროს პაუზა გულის ორ ციკლს შორის დაახლოებით ორჯერ მეტია ჩვეულებრივ სინუსური გეზის R-R ინტერვალზე. უფრო იშვიათად აღინიშნება ზედიზედ გულის ორი ან სამი ციკლის გამოვარდნა. ასეთ დროს ეკგ-ზე ფიქსირდება ხანგრძლივი პაუზა (გულის ასისტოლია). ამ დროს, განხვრდილებული პაუზის მომენტში, შეიძლება აღმოცენდეს ჩანაცვლებითი რითმი - ექტოპური შეკუმშვები წინაგულებიდან, ატრიოვენტრიკული შენაერთიდან ან პარკუტებიდან.

ერთეული, არასრული სინოატრიული ბლოკადის დროს აუადმყფის რამე სუბიექტური შერგნება შეიძლება არ აღემატოს. თუკი აღინიშნება განხვრდილებული პაუზა, აუადმყოფს შეიძლება განუვითარდეს თავბრუს და ზოგჯერ გონების დაკარგვა. სრული სინოატრიული ბლოკადის დროს, თუ ჩანაცვლებითი რითმი არ ჩამოყალიბდა, აუადმყოფი შეიძლება დაიღუპოს ასისტოლიის გამო.

### წინაგულთაშობა ბლოკადა

კლინიკურ პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება არასრული წინაგულთაშობა ბლოკადა. ის ხასიათდება იმპულსების გატარების შენელებით წინაგულებიდან, რაც იწვევს P კბილის ხანგრძლივობის გაფართოებას (0,11 წამი და მეტი) და მის დეფორმაციას (გახუნება, ორფაზიანობა და სხვა). სუბიექტური კლინიკური სურათი წინაგულთაშობა ბლოკადის არ ხასიათებს.

### ატრიოვენტრიკული ბლოკადა

ატრიოვენტრიკულური ბლოკადა წინაგულებიდან პარკუტებზე ელექტრული იმპულსების გატარების დარღვევაა. ბლოკადა შეიძლება განვითარდეს გამტარ სისტემის სხვადასხვა ნაწილში. როდესაც გამტარობა დარღვეულია წინაგულების, ატრიოვენტრიკულური კვანძის ან მისის კონის ძირითად ღეროს ღონეზე, საუბარია პროქსიმალურ ატრიოვენტრიკულურ ბლოკადაზე. როდესაც იმპულსების გატარება შეჩერებულია ერთდროულად მისის კონის სამივე ტოტის ღონეზე (ე.წ. ტრიფასციკულური ბლოკადა) - საუბარია დისტალურ ატრიოვენტრიკულურ ბლოკადაზე. ყველაზე ხშირად გამტარობა ირღვევა ატრიოვენტრიკულური კვანძის მიდამოში. ატრიოვენტრიკულური ბლოკადა სამი ხარისხისა - I, II და III (სურ. 140). ის შეიძლება იყოს არასრული და სრული.

### I ხარისხის ატრიოვენტრიკული ბლოკადა

I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა ხასიათდება წინაგულებიდან პარკუტებზე იმპულსების გატარების შენელებით. ეკგ-ზე ვლინდება P-Q ინტერვალის გახანგრძლივება 0,20 წამზე მეტად.

### II ხარისხის ატრიოვენტრიკული ბლოკადა

II ხარისხის ატრიოვენტრიკული ბლოკადა ხასიათდება იმით, რომ ზოგიერთი იმპულსი არ ტარდება წინაგულებიდან პარკუტებზე. ამის გამო პერიოდულად აღინიშნება პარკუტების ერთი ან რამდენიმე კომპლექსის გამოვარდნა. ეკგ-ზე ამ დროს რეგისტრირებულია მხოლოდ P კბილი, QRST კომპლექსი კი არ აღინიშნება. II ხარისხის ბლოკადის დროს წინაგულების შეკუმშვის რიცხვი ყოველთვის მეტია პარკუტების შეკუმშვის რიცხვზე.

გამოყოფენ II ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადის სამ ტიპს.

I ტიპის ბლოკადის დროს (მობიცი I ტიპი) აღინიშნება P-Q ინტერვალის თანდათანობითი გახანგრძლივება ერთი კომპლექსიდან მეორემდე, რასაც მოჰყვება ერთი ელექტრული იმპულსის სრული შეკავება. ეკგ-ზე აღინიშნება მხოლოდ P კბილი, პარკუტოვანი კომპლექსის გამოვარდნა და განხვრდილებული პაუზა. აღინიშნულს ვენკენბახის პერიოდული ხანგრძლივობის გამოვარდნა შეიძლება იყოს რეგულარული ან უნერსიკო. QRS კომპლექსი უზმირესად დეფორმირებულია

II ტიპის ბლოკადის დროს (მობიცი II ტიპი) არ აღინიშნება წინაგულებიდან პარკუტებზე იმპულსების გატარების თანდათანობითი შენელება, როგორც მობიცი I ტიპის ბლოკადის დროს. P-Q ინტერვალის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს ნორმალური ან განხვრდილებული, მაგრამ სტაბილური. პარკუტები პერიოდულად ვერ უშასუხებს წინაგულების შეკუმშვას. პარკუტოვანი კომპლექსის გამოვარდნა შეიძლება იყოს რეგულარული ან უნერსიკო. QRS კომპლექსი უზმირესად დეფორმირებულია



(დისტალური ატრიოვენტრიკულური ბლოკადა).  
 III ტიპის ბლოკადას, შორისასულ არასრულ ბლოკადას (მუდმივ ბლოკადას - constant) უწოდებენ. პარკუჭების შეკუმშვა აღინიშნება წინაგულების ყოველ მეორე, მესამე ან მეოთხე შეკუმშვაზე, ე.ი. გამოვარდნილია ყოველი მეორე ან ზედიზედ ორი (2:1), (3:1) ან სამი (4:1) პარკუჭიანი კომპლექსი (მოზიცის III ტიპი). ეს ინვეს გამოხატულ ბრადიკარდიას, რომლის დროსაც ავადმყოფს შეიძლება აღენიშნოს თავებურ, ცნობიერების დაკარგვა და სხვა.

### III ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა

(სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადა)

III ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადას დროს იმპულსები წინაგულიდან პარკუჭებზე სრულიად არ ტარდება. ამის გამო წინაგულები და პარკუჭები აღიგზნება და იკუმშება ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად. წინაგულები იკუმშება სინუსური რითმით (ჩვეულებრივ, 70-80 სისხირით წუთში), პარკუჭები - საკუთარი იდიოვენტრიკულური რითმით (60-30 შეკუმშვა წუთში).

ეკგ-ზე P კბილი რეგისტრირდება QRST კომპლექსის წინ, უკან ან ეთხვევა მას. P-R და R-R ინტერვალები თანაბარია, მაგრამ R-R ინტერვალი უფრო დიდია, ვიდრე P-P ინტერვალი.

II და განსაკუთრებით III ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადას დროს ხშირად ვითარდება გამოხატული კემოდიან-მიკური დარღვევები, განპირობებულია გულის წუთმოცულობის დაქვეითებით და ორგანოების, პირველ რიგში, თავის ტვინის ჰიპოქსიით. პარკუჭების ასისტოლიის ხანგრძლივი პერიოდის აღმოცენების შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა II ხარისხის ბლოკადა სრულ ატრიოვენტრიკულურ ბლოკადად გადადის, თუკი ის გრძელდება 10-20 წამი და მეტი, ავადმყოფი კარგავს ცნობიერებას, ვითარდება ეპილეფსიის მსგავსი კრუნჩხვები, სინდრომი განპირობებული თავის ტვინის ჰიპოქსიით. აღნიშნული შეტევები მორგანი-ადამ-სტოქსის სახელითაა ცნობილი.

### ფრედერიკის სინდრომი

ფრედერიკის სინდრომი სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადას კომბინირებაა წინაგულების ციმციმთან ან თოთოლასთან. ეკგ-ზე ამ დროს P კბილის ნაცვალდ რეგისტრირდება ციმციმის (f) ან თოთოლას (F) ტალღები და QRST კომპლექსი, რომელიც ხშირად გაფართოებული და დეფორმირებულია. პარკუჭების რითმი რეგულარულია. მისი სიხშირე დამოკიდებულია ექტოპიური რითმის წამყვანის ლოკალიზაციაზე და, ჩვეულებრივ, 30-დან 60 შეკუმშვამდეა წუთში.


### პარკუჭთაშემა გლოკადა

პარკუჭთაშემა ბლოკადას დროს სუპრავენტრიკულური იმპულსების გატარება შეწყვეტილია ან სრულიად ბლოკირებულია პისის კონის განსტოებების დონეზე. განასხვავებენ პისის კონის მარჯვენა ან მარჯვენა ტოტის ბლოკადას, აგრეთვე გამტარების დარღვევას პურკინიეს ბოჭკოების დონეზე.

პისის კონის მარჯვენა ტოტის სრული ბლოკადას დროს დამახასიათებელია ვულვკურდის მარჯვენა განხრებში V<sub>1</sub>, V<sub>2</sub> უფრო იშვიათად III და aVF განხრებში rSR ან rSR ტიპის QRS კომპლექსები. QRS კომპლექსის ხანგრძლივობა აღემატება 0,12 წამს. გულ-


მკერდის მარცხენა განხრებში (V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>), აგრეთვე I და aVL განხრებში არის გაფართოებული, ხშირად დაქილული S კბილი. V<sub>1</sub>, ზოგჯერ III სხანდარტულ განხრებში აღინიშნება RS-T სეგმენტის დეპრესია, უარყოფითი ან ორფაზიანი (-+) ასიმეტრიული T კბილი. პისის კონის მარჯვენა ტოტის არასრული ბლოკადას დროს QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,09-0,11 წამია (სურ. 141).

პისის კონის მარცხენა ტოტის სრული ბლოკადასათვის დამა-



სურ. 141 პისის კონის მარჯვენა ტოტის ბლოკადა

ხასიათებელია გაგანერგებული, დეფორმირებულ პარკუჭოვანი კომპლექსები R ტიპის ფართო ან გახლებილ მწვერვალთა, aVL, V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> განხრებში. V<sub>1</sub>, V<sub>2</sub>, III, aVF განხრებში პარკუჭოვანი კომპლექსები დეფორმირებულია და აქვს QS, ან rS მუხედლეულება. QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,12 წამს აღემატება. V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>, I, aVL განხრებში არის RS-T სეგმენტის დისკორდანტული ცდობა QRS კომპლექსის უდიდესი (R) კბილის მიმართ, უარყოფითი ან ორფაზიანი (-) ასიმეტრიული T კბილებით (სურ. 142).



სურ. 142 პისის კონის მარცხენა ტოტის ბლოკადა

### ვოლვ-პარკინსონ-უაიტის სინდრომი

ვოლვ-პარკინსონ-უაიტის სინდრომი პარკუჭების ადრეული აგზნების სინდრომა. ის განპირობებულია დამატებითი ანომალური გზით - ეკეტის კონით - მარჯვენა წინაგულიდან პარკუჭებამდე ელექტრული იმპულსის უფრო სწრაფი გატარებით ატრიოვენტრიკულურ კვანძთან შედარებით. ამის გამო, ეკეტის კონით გატარებული იმპულსი ინვეს მარჯვენა პარკუჭის ადრეულ აგზნებას, რომელიც წამების მსგავსად წინ უძღვის ატრიოვენტრიკულური კვანძთან მოსულ ელექტრულ იმპულსის ძირითად ტალღას. ის ინვეს ეკგ-ზე P-Q ინტერვალის დამოკლებას, ნაადრევი Δ ტალღის გაჩენას, QRS კომპლექსის გახანგრძლივებას, S-T მონაკევის QRS კომპლექსის მიმართ დისკორდანტულ ცდობას და T კბილის პოლარობის შეცვლას.

## გულ-სისხლძარღვთა სისტემის დიაგნოზი

### რევმატიზმი

რევმატიზმი (რევმატიული ცხელება) შემაერთებელი ქსოვილის სისტემური ანთებითი დაავადება პრიაციის უპირატესი ლოკალიზაციით გულ-სისხლძარღვთა სისტემაში. დაავადების განვითარებას უკავშირებენ A გჯუფის β-ჰემოლიზური სტრუქტოკოკით გამოწვეულ ინფექციის (ანგინა, ფარინგიტი და სხვა), რომელიც ორი-სამი კვირით ადრე წინ უძღვის რევმატიზმის კლინიკურ გამოვლინებებს. ავადდებია უპირატესად ახალგაზრდა ასაკის პირები, რომლებსაც, როგორც ჩანს, აქვთ გარკვეული გენეტიკური მდგრადობა რევმატიზმის მიმართ. დაავადების მორფოლოგიურ სუბსტრატს წარმოადგენს შემაერთებელი ქსოვილის ანთებითი უზნებში ე.წ. ამოფის ვრანსლომების წარმოქმნა, რომლებიც შემდგომში სკლეროზულ ცვლილებებს განიცდიან.

რევმატიზმის კლინიკური სურათი ძალიან პოლიმორფულია. დაავადების ძირითადი და ხშირად უთავადრთო კლინიკური გამოვლინება გულის დაზიანება - რევმოკარდიტი. უპირატესად ვითარდება მოკარდიტი (გულის კუნთოვანი გარსის ანთება) და ენდოკარდიტი (გულის შიგნითა გარსის ანთება). პერიკარდიტი (გულის გარეთა გარსის ანთება) ვითარდება შედარებით იშვიათად. გულის სამივე გარსის დაზიანების შემთხვევაში საუბარია პანკარდიტზე. დაავადება ხშირად იწყება მწვავედ, ტემპერატურის მომატებით, ძლიერი ოფლიანობით (შემცივნების გარეშე). ავადმყოფები უჩივიან ძლიერ სისუსტეს, ყრუ ხასიათს, ზოგჯერ ჩხვლეტივ ტკივილს და უსიამოვნო შეგრძნებას გულის მიდამოში, ქოშის ფიზიკური დატვირთვისას, გულის ფრიალს და ზოგჯერ გულის ცეპის გამოვარდნას. რევმატიზმის მწვავე პერიოდში ვითარდება ე.წ. „ფერინავი პოლიარტრიტი“. ავადმყოფებს აღინიშნებათ ტკივილი, უპირატესად მსხვილ სახსრებში, მათი სინთოვი, შესუბო, ფუნქციის დარღვევა. რევმატიული პოლიარტრიტი მიმდინარეობს ქეთილთვისებიანად. დაავადების მწვავე პერიოდის ჩათვლით ან რემისიის დროს სახსრებში ცვლილებები უკვალოდ ქრება.

ობიექტურად აღინიშნება კანის სიფერითოვალე. მაჯა ხშირად აჩქარებულია, სუსტი ავსების. სისხლის არტერიული წნევა დაქვეითებულია. აუსკულტაციით გულის ტონები, განსაკუთრებით I ტონი მოყვრებულია, ზოგჯერ მოსიშის ჭეჭების რითმი, ჩნდება ნაზი სისტოლური შუილი, რომელიც თავდაპირველად დაკავშირებულია მოკარდიტის დროს შედარებით ნაკლებად ნების განვითარებასთან და პასივარული უსუნების დაზიანებასთან. მოკარდიტის მძიმე ფორმების დროს შეიძლება სწრაფად განვითარდეს გულის უემარიზმის მოვლენები. მოკარდიტის გადატანის შემთხვევაში ვითარდება პოსტმოკარდიტული კარდიოსკლეროზი. ენდოკარდიტის განვითარებაზე მიუთითებს შუილის ხასიათის შეცვლა, მისი გაუმჯობესება, ზოგჯერ მისი „აუსკულური“ ელფერი. დიასტოლური შუილის გაჩენა რევმატიზმის დროს უკვე მიუთითებს სარქველოვან აპარატის დაზიანებაზე და გულის მანკის ჩამოყალიბებაზე, თუმცა დასანყისში დიასტოლური შუილი შეიძლება დაკავშირებული იყოს სარქველებზე თრომბული მასების დაგროვებასთან, რომელიც დიასტოლის დროს იწვევენ სისხლის ტურბულენტურ მოძრაობას. რევმატიზმის დროს ყველაზე ხშირად ზიანდება მიტრალური სარქველი, შემდეგ აორტული სარქველი და შედარებით იშვიათად ტრიკუსპიდული სარქველი. ფლტვის არტე-

რიის სარქველი დაზიანება უფრო იშვიათია. პერიკარდიტის დროს მოსიშინება პერიკარდიუმის ხახუნი.

რევმოკარდიტის დროს ელექტროკარდიოგრაფიულად აღინიშნება T კეისის გაბრტყელება და ხშირად ორგანიზირება, ზოგჯერ S-T სეგმენტის დაქვეითება იზოლტირულ ნაზის ქვეითი, P-Q ინტერვალის გაზანგრძლივება, რაც მიუთითებს ატრიო-ვენტრიკულურ გამტარობის დარღვევაზე. რენტგენოლოგიურად დამახასიათებელია გულის ზომების გადიდება. სისხლში ვიწინდება ზომიერი ლეიკოციტოზი, მარცხნივ გადახება, ედს-ის მატება (40-50 მმ l საათში). ჩნდება დადებითი C რეაქტიული ცილა, მატულობს ანტისტრუბულინონ-მ-ს, ანტიი-ალურინიდაზას და ანტისტრუბულინონას ტიტრები.

სხვა ორგანოების და სისტემების ცვლილებები ვითარდება ბევრად უფრო იშვიათად. კანზე აღინიშნება ზოგჯერ გუგუნებური ან ეპიდერმული ერითემა, პალპაციით ნახულებად მცირე ზომის კანქვეშა რევმატიული კეანძებს. ნერვული სისტემის დაზიანება შეიძლება გამოიხატოს ქორეთი (ბავშვებში), ძალიან იშვიათად ენცეფალიტი და მენინგიტი. შეიძლება დაზიანდეს აგრეთვე სისხლის ძარღვები (რევმატიული ვასკულიტი, კორონარტი), ფლტვები და პლევრა, თირკმლები.

რევმატიზმის დიაგნოსტიკაში იყენებენ ე.წ. ჯონსის მოდოტიკური კრიტერიუმებს (ცხრილი 31).

ცხრილი 31  
ჯონსის მოდიფიცირებული კრიტერიუმები

ძირითადი (დღი) გამოვლინებები	მცირე გამოვლინებები
ქარდიტი	ქველბა
პოლიარტრიტი	ართრალგია
ქორეა	ანამეზი რევმატიზმის არსებობა
ბედსისებური ქორეა	ედს-ის აჩქარება და დადებითი C რეაქტიული ცილა
კანქვეშა კეანძები	P-Q ინტერვალის გაზანგრძლივება დადებითი ურდნობები
	გადატანული სტრუქტოკოკული ინფექციის (ძირითადი ქუნორქმას), ყვლად A გჯუფის სტრუქტოკოკული დადებითი კულტურას, ანტისტრუბულინონ-მ-ს ან სხვა სტრუქტოკოკული ანტისხეულების ტიტრის მატებას

რევმატიზმის დიაგნოზის სასარგებლოდ ლაბარაკობს ორი დიდი ან ერთი დიდი და ორი მცირე კრიტერიუმის არსებობა.

### ინფექციური ენდოკარდიტი

გამოყოფენ ინფექციური ენდოკარდიტის ორ ფორმას - მწვაეს და ქვემწვაეს. მწვავე ინფექციური ენდოკარდიტი მწვავე სეფსისის კლინიკური სურათით ძირითადად გვხვდება ქიურეულ, სტამბალოვანი, სამწინო-ვინეკოლოგიურ და უროლოგიურ პრაქტიკაში. რადგანაც ინფექციის შემაჯალი წყარო ცნობილია, მწვავე ინფექციური ენდოკარდიტის დიაგნოსტიკა სიმძლავრე არ წარმოადგენს. ქვემწვავე ინფექციური ენდოკარდიტი (ქვემწვავე ბაქტერიული ან გაზანგრძლივებული სეფსისური ენდოკარდიტი) გულის სარქველოვანი აპარატის პოლიოზურ - ნელულუონი დაზიანება. ახასიათებს გავრცელებული ვასკულიტი, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანო-

ში თრომბოემბოლიური გართულებების განვითარებას. დაავადების გამომწვევედ გვევლინება სხვადასხვა გრძელვადიანი და გრძელვადიანი ბაქტერი (ყველაზე ხშირად სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, ნაწლავის ჩიირი), პათოგენური სოკოები და სხვა. უფრო ხშირად ვითარდება გულის შექცენილი ან თანდაყოლილი მანკების ფონზე. ამჟამად ენდოკარდიტების ტრადიციული დაყოფა მწვავე და ქვემწვავე ფორმებად ნაკლებად იხმარება.

დაავადება ვითარდება თანდათანობით. დამახასიათებელია უსწორი ტიპის ცხელება ძლიერი შემცივნებით, ძლიერი ოფიონაზობა, ტკივილი სახსრებში და უნძინებელი, უნძინოვანი სისუსტე, ხეულა, ქოშინი, დიარეა, ტკივილი მუცელში. როგორც წესი, ავადმყოფები სწრაფად ხდებიან.

**ინსულტი** აღინიშნება სიფერმკრთალე, ხშირად თავისებური ელფერი (*როზიანი ფაისი*) ფერი კანი). კანზე, ფრჩხილების ქვეშ და კონიუქტივაზე აღინიშნება პეტეჩიური სისხლჩაქცევები (*ლობზის სიმპტომი*). დადებითია რუმელ-ლევდეს სიმპტომი - ლახტის ან წნევის აპარატის მანკივანი იდუივის მიდამოში გადაქერისას დისტალურად წინამხარე ჩნდება მრავლობითი სისხლჩაქცევები. ჩქეპტის შედეგადაც ავადიად ჩნდება სისხლჩაქცევები. ზოგჯერ ვითარდება თითების და ფრჩხილების დეფორმაციები - კომბლისებური თითები და საათის მინის ფორმის ფრჩხილები. საკმაოდ ხშირია ისლერი კვანძები - თრომბოემბოლიური ბუნების მტკივნეული წარმონაქმნები ხელის და ფეხის თითებზე. პალმაციით აღინიშნება მტკივნეული გადიდება ოლენთა, ზოგჯერ ლეილის გადიდება. სარქვიოვანი აპარატის და ზიანების ნიშნები შედარებით მოგვიანებით. უფრო ხშირად ვითარდება აორტის არტერიის და ზიანების კლინიკური სურათი, თუცა შეიძლება დაზიანდეს მიტრალური სარქველი. თუკი დაავადება განვითარდა გულის თანდაყოლილი ან შექცენილი მანკის ფონზე, იცვლება არსებული მანკის აუსკულტაციური სურათი, რაც მეტად მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური სიმპტომია. ზოგჯერ ვითარდება გულის შეცვებითი უმკრისობა. დამახასიათებელია თრომბოემბოლიური გართულებები თირკმლებში, ფილტვებში, მუცლის ღრუს ორგანოებში, კიდურებში. ამ ნიადაგზე ზოგჯერ ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტი და პერიკარგიული ინსულტი.

სისხლში აღინიშნება ანემია, ლეიკოპენია ან ლეიკოციტების ნორმალური რაოდენობა (განსხვავებით მწვავე ინფექციური ენდოკარდიტისაგან, რისთვისაც ლეიკოციტოზია დამახასიათებელი), მაალბი ადენ (50 მმ ს საათში და მეტი). შარდში ნახულოვან მიკროემბოლიურას და მიკროპროტეინურას. ექოკარდიოგრაფიულად დგინდება სარქვიოვანი აპარატის დაზიანება და სარქვიოვანი შეიძლება აღმოჩნდეს ევგეტიციები.

დიაგნოსტიკაში მნიშვნელობა აქვს სისხლდან პათოგენური მიკროორგანიზმების განმეორებით გამოყოფას.

### გულის მანკი

გულის მანკი ეწოდება გულის სარქვიოვანი აპარატის ორგანულ დაზიანებას ან დეფექტს გულის და გულთან ახლომდებარე მავსკარდლური სისხლძარღვების შეშებში. არჩევენ გულის თანდაყოლილ და შექცენილ მანკებს.

გულის თანდაყოლილი მანკები დაკავშირებულია მუცლადყოფნის პერიოდში განვითარების დეფექტებთან ან ემბრიონული სისხლის მიმოქცევის თავისებურებების შენარჩუნებასთან დაბადების შემდეგ (ლია არტერიული სადინარი, წინაგულების

და პარკუჭების ძვიის შეუბრუნებელი ხვრელები). არჩევენ გულის თანდაყოლილ ფერმრთალ (ატიანოზურ) და ლურჯ (ტიანოზურ) მანკებს. ტიანოზური მანკი, ჩვეულებრივ, არის, რადესკ ვითარდება ვანგბალით გაუკერებელი სისხლის მარჯვნივ მარცხნივ გადასროლა (შებტი). გულის ფერმრთალ მანკს მიეკუთვნება ლია არტერიული სადინარი, წინაგულთაშუა ძვილის დეფექტი, პარკუჭთაშუა ძვილის დეფექტი, აორტის კოარქტიკა, ფილტვის არტერიის სტენოზი, დეფსტრონიკა და სხვა. ტიანოზური მანკებია ფალის ტეტრადია, ფალის პენტადია, ეიზენმენგერის კომპლექსი და სხვა.

გულის შექცენილი მანკების განვითარებებში ნამყვანი როლი მიეკუთვნება ენდოკარდიტს, რომელიც ყველაზე ხშირად რევმატიკული ბუნებისაა, მანკები ვითარდება აგრეთვე ინფექციური ენდოკარდიტის, ათეროსკლეროზის, ათამანგის ნიადაგზე. თუკი ანთებითი პროცესის შედეგად ვითარდება სარქვილების სკლეროზი, მათი დამოკლება და დეფორმაცია, სარქველები ევლარ ზურავს ხვრელს მთლიანად - საუბარია სარქვილების ნაკლოვანებაზე. თუკი ანთების შედეგად ხდება სარქვილის კარცების შეზორცება კიდებზე, რაც ავიწროებს ხვრელს, ვითარდება ხვრელის სტენოზი. ყველაზე ხშირად ზიანდება მიტრალური სარქველი, შემდეგ აორტული. საშეკრიაში სარქველი ზიანდება ნაკლები სიხშირით. ფილტვის არტერიის სარქვილის შექცენილი მანკები ძალიან იშვიათია. შეიძლება ერთი და იმავე სარქვილის მიდამოში ერთდროულად განვითარდეს ნაკლოვანებები და სტენოზი, მაგალითად, მიტრალური სარქვილის ნაკლოვანება და მიტრალური ხვრელის სტენოზი. ამ დროს საუბარია მიტრალური სარქვილის რთულ მანკზე. თუკი ერთდროულად აღინიშნება ორი სარქვილის მანკი, მაგალითად, მიტრალური ხვრელის შევიწროება და აორტის სარქვილის ნაკლოვანება, გვექვს გულის კომბინირებული მანკი. სარქვიოვანი მანკების მიმდინარეობაში არჩევენ კომპენსაციის და დეკომპენსაციის პერიოდებს. როდესაც ავადმყოფს არ აღენიშნება დაავადების კლინიკური გამოვლინებები და შემოდინამიკა არ არის დარღვეული, გულის მანკი კომპენსირებულია. როდესაც ავადმყოფს აქვს დაავადების კლინიკური ნიშნები და შემოდინამიკის მარეწენებლები დარღვეულია, ლამაზიკობენ გულის დეკომპენსირებულ მანკზე.

### გულის თანდაყოლილი მანკები ემოტალუს ლია სადინარი

ემოტალუს სადინარი - არტერიული სადინარი - აერთებს აორტის ფილტვის არტერიასთან და დიდ როლს ასრულებს ნაყოფის სისხლით მომარტებაში. დაბადების შემდეგ სადინარი ხორცდება. თუკი სადინარი არ შეზორცება, ვითარდება გულის მანკი. ლია არტერიული სადინარის დროს არტერიული სისხლი აორტდან მაალაი წნევის გამო გადადის ფილტვის არტერიაში. ეს იწვევს ფილტვების სისხლძარღვების, მარცხენა წინაგულის და მარცხენა პარკუჭის გადატვირთვას (სურ. 143).

ავადმყოფს აღინიშნება ქოშინი დავეტიოტის დროს, ტაკიკარდია, ზოგჯერ ზოგადი განვითარებლობა. ტიანოზი არ აღინიშნება ან გამოხატულია მსუბუქად. პალმაციით ზოგჯერ შეგჩნდება „კატის კრუწხნი“. აუსკულტაციით მოისმინება სისტოლურ-დიასტოლური განუნეშეველი შოლი (*მანკებული შოლი*), მისტიკონის ბორბლის შოლი, მატარებლის კრუწხნის შოლი ვიკრაბში), კოშინის აქცენტი ფილტვის არტერიაზე.

რენტგენოლოგიურად აღინიშნება ფლტეების სისხლძარღვოვანი სურათის გაძლიერება, მარცხენა წინაგულის და პარკუჭის გადიდება (სურ. 144).

### წინაგულთაშუა ძვილის დეფექტი

წინაგულთაშუა ძვილის დეფექტი ყველაზე ხშირი თანდაყოლილი მანკია მოზრდილებში. ხდება სისხლის გადასროლა მარცხენა წინაგულიდან მარჯვენაში. ეს იწვევს მცირე წრეში გულის ნუთმოცულობის მატებას და მარჯვენა პარკუჭის გადატვირთვას (სურ. 145).

ჩვილებიდან შეიძლება აღინიშნოს ქოშინი დატვირთვისას, ტაქიკარდია. ავადმყოფები ხშირად ასთენიური შენების არიან. ციანოზი გამოიხატება მხოლოდ გვიან სტადიებში, როდესაც ვითარდება მარჯვენა გულის უემარისობა. მოიხიზნება სისტოლური შუილი მკერდის ძვლის მარჯვნივ. ზოგჯერ დისასტოლური შუილი ტრიკუსპიდული ხერელის მიდამოში (ფუნქციური სტენოზი), II ტონის ფიქსირებული გაორება, რომელზეც გველუნას არ ახდენს სუნთქვა და მისი აქცენტა ფლტეის არტერი-აზე. რენტგენოლოგიურად დამახასიათებელია ფლტეის არტერიის რკალის გამოდრეკა, გულის მარჯვენა ნაწილების გადიდება. აღინიშნება მარჯვენა ტიპის ეკგ. ექოკარდიოგრაფიულად ელინდება მარჯვენა წინაგულის გაგანეირება, მარჯვენა პარკუჭის მოცულობითი გადატვირთვის ნიშნები. დეფექტი ჩანს პირდაპირ, ან კონტრასტის გამოყენებით.

### პარაკუჭთაშუა ძვილის დეფექტი


პარაკუჭთაშუა ძვილის დეფექტის (როგეს დაავადება) კლინიკური გამოვლინებები ბევრად არის დამოკიდებული დეფექტის და მარცხნიდან მარჯვნივ შუნტის სიდიდეზე. დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს სრულიად უსიმპტომოდ (სურ. 146).

ციანოზი ამ მანკისათვის ნაკლებად დამახასიათებელია. დიდი დეფექტის შემთხვევაში აღინიშნება ფიზიკური განვითარების ჩამორჩენა და მარჯვენა გულის უემარისობის ნიშნები.


პალპაციით ნახულობენ „კატის კრუტუნს“ 4-5 ნეკნათაშუა მიდამოში მარცხნივ. აუსკულტაციით მოიხიზნება პოლისისტოლური შუილი (სურ. 147) მარცხენა პარასტერნარულ მიდამოში. II ტონი ფლტეის არტერიაზე გაძლიერებულია, ხშირად გაორებული. ზოგჯერ მოიხიზნება გულის III ტონი და დისასტოლური (გრეებზე სტილის) შუილი მწვერვალზე, დაკავშირებული სისხლის ნაკადის გაძლიერებასთან მიტრალურ ხერეულში. ეკგ-ზე აღინიშნება ბიენტრიკულური პიკეტროგრაფიის ნიშნები. რენტგენოლოგიურად ჩანს გაძლიერებული სისხლძარღვოვანი სურათი ფლტეებში, გადიდებული ფლტეის არტერია, ორივე პარკუჭის დილატაცია. ექოკარდიოგრაფიულად ელინდება პიპერინამიკური მარცხენა პარაკუჭი. დეფექტი ჩანს პირდაპირ, ან კონტრასტის საშუალებით.

### შინაგანი ორგანოების გადაადგილება და დექსტროკარდია


შინაგანი ორგანოების გადაადგილების დროს (situs inversus viscerum) აღინიშნება შინაგანი ორგანოების - გულის, ღვიძლის, გასტროინტესტინალური ტრაქტის სარკისებური გადაადგილება. თუკი დაავადებას თან ახლავს ქრონიკული სინუსიტი და ბრონქოექტაზები - საუბარია კაროთაგენერის სინდრომზე. დიაგნოზი დგინდება ფიზიკური და რენტგენოლოგიუ-



სურ. 143 ბოტალის ლა სადინარის სქემა. 1. მარჯვენა წინაგული; 2. მარჯვენა პარკუჭი; 3. მარცხენა პარკუჭი; 4. მარცხენა წინაგული; 5. ფლტეის არტერია; 6. აორტა




სურ. 144 ბოტალის ლა სადინარი. გულის კონფიგურაცია და შუილების სქემა




სურ. 145 წინაგულთაშუა ძვილის დეფექტი. გულის კონფიგურაცია და აუსკულტაციური მონაცემები

რი გამოკვლევებით (გულის მწვერვლი მარჯვნივ, ღვიძლი მარცხნივ, ელენთა მარჯვნივ და სხვა). მხოლოდ გულის მარჯვენაშირე პოზიციას, როდესაც არ აღინიშნება შუცილის ღრუს ორგანოების გადაადგილება, დექსტროკარდია ეწოდება.



სურ. 146 პარკუთაშუა ძეიდის დეფექტი. 1. მარჯვენა ნინაგული; 2. მარჯვენა პარკუტი; 3. მარცხენა პარკუტი; 4. მარცხენა ნინაგული; 5. ფილტვის არტერია; 6. აორტა



სურ. 147 პარკუთაშუა ძეიდის დეფექტი. გულის კონფიგურაცია და სისტოლური შუილის სქემა

დამახასიათებელი თავის ტიკეილი, ცხვირიდან სისხლდენა, ქოშინი, ქვედა კიდურების გაციფება, გულშეკრდი და ზღვა კიდურები კარგადაა განვითარებული, ქვედა კიდურების განვითარება ჩამორჩება. პალპაციით ზოგჯერ აღინიშნება ვიბრაცია გულის ფუძეზე, მოსმინება სისტოლური შუილი, რომელიც ტარდება კოსრის და ბეჭთაშუა მიდამოში, II ტონის აქცენტო აორტაზე. ფემორული მუსლი დაქვეითებულია ან არ აღინიშნება, რენტგენოლოგიურად ჩანს ადამივლი აორტის გაგანვირება, ნეკნების უზურაცია, გამონეული კოლატერალური სისხლის დინებით ინტერკოსტალურ არტერიებში. ვართოლებიდან ვითარდება გულის უკმარისობა, ცერებრული ინსულტი, აორტის განმრევებადი ანევიზმა, მისი გასკლამობი.

**აორტის ბიპუსკიდური სარქველი**

აღნიშნული თანდაყოლილი მანკი საკმაოდ ხშირია. ამ დროს აორტის სარქველს სამის ნაცულად ორი აფრა აქვს. აღინიშნება სისტოლური შუილი აორტის მოსასმენ ნერტოლში. ხშირად ამ მანკის ფონზე ვითარდება აორტის ხერეულის შევიწროება. ექოკარდიოგრაფიული კვლევის შემოღებამდე დიაგნოზს კლინიკაში პაქტიკულად ვერ სვამდენ.

**ფილტვის არტერიის სტენოზი**

ფილტვის არტერიის სტენოზი ერთ-ერთი ხშირი თანდაყოლილი მანკია. მსუბუქ შემთხვევებში მონდინარეობს უსიმპტომოდ. თუკი სტენოზი არის ძლიერ გამოხატული, დამახასიათებელია ქოშინი, თავბრუ, გულის ნასელა, სტენოკარდილი შებტყევა. ციანოზი დასასყისში ვლინდება მხოლოდ დატვირთვისას, გვიან სტადიებში გამოხატულია მუღმივად. აღინიშნება მარჯვენა გულის უკმარისობის ნიშნები, „კომპლისტური თითები“. პალპაციით აღინიშნება ვიბრაცია („პატის კრუტუნო“) გულის ფუძეზე. II-III ნეკნთაშუა არემი მკერდის ძელის მარცხნივ იმის უხეში სისტოლური შუილი. ხშირად აღინიშნება II ტონის შესუსტება და გაორება. ეკგ-ზე ვლინდება მარჯვენა პარკუტის პიკერტოფიის ნიშნები. რენტგენოლოგიურად ჩანს გულის მარჯვენა ნაწილების გადიდება, ფილტვის არტერიის რკალის გამოდრეკა.

**აორტის კოარქტაცია**

აორტის კოარქტაცია აორტის შევიწროებაა მისი რკალის და დამავალი ნაწილის საზღვარზე. ამის გამო შევიწროების პროქსიმალურად - ზედა კიდურებში არტერიული წნევა მომატებულია; დისტალურად - ქვედა კიდურებში დაქვეითებული. სისხლის მოშექცევა ნაწილობრივ ხორციელდება კოლატერალების ხარჯზე.

**ფალოს ტეტრალოგია**


ფალოს ტეტრალოგია (ტეტრადა) ვევაღზე ხშირი ციანოზური თანდაყოლილი მანკია მოზრდელბში. ამ დროს აღინიშნება ოთხი დეფექტის არებობა: პარკუთაშუა ძეიდის დეფექტი, ფილტვის არტერიის ხერეულის სტენოზი, აორტის დექსტრაპოზიცია, მარჯვენა პარკუტის პიკერტოფია (სურ. 148).

ავადყოფს აქვს გამოხატული მკვეთრი ციანოზი, გამოწვეული ფილტვის არტერიის სტენოზით და აორტის დექსტრაპოზიციით, რაც იწვევს მარჯვნიდან მარცხნივ შუნტს, დაუფანგავი სისხლის მოხევედრას აორტაში და სისტემურ ცირკულაციაში. ავადყოფს აქვს ქოშინი, ძლიერი სისუსტე, თავბრუ, ტაქიკარდია. ავადყოფები ხშირად არიან ჩაცუცქელები (სურ. 149) ან ნივანს შეცილისკენ მოხრილი ფეხებით - ეს იწვევს პრედატვირთის და აქვეითებას, აძლიერებს სისტოლურ პოსტდატვირთვას და ფილტვის სისხლის მიმოქცევას.


ავადყოფებს ხშირად აქვთ პლეტორული შეხევედრება, ისინი ჩამორევიან ფიზიკურ განვითარებაში, აღინიშნება „კომპლისტური თითები“. II-III ნეკნთაშუა მიდამოში მკერდის ძელის მარცხნივ ნახელბონ სისტოლურ ვიბრაციას, აქვე მოსმინება უხეში სისტოლური შუილი. II ტონი ფილტვის სისტოლურ შეხევედრება არ იმყოფს (მარჯვენა და მარცხენა პარკუტების წნევის თანბრობა). რენტგენოლოგიურად ვლინდება მარჯვენა პარკუტის გადიდება, ექოკარდიოგრაფიულად - ფილტვის არტერიის სტენოზი, პარკუთაშუა ძეიდის დეფექტი, მარჯვენა პარკუტის პიკერტოფია, აორტის დისპოზიცია.

ფალოს ტრადადზე ლამაპაკობან, რიდავც არის ფილტვის არტერიის სტენოზი, ნინაგულთაშუა ძეიდის დეფექტი და მარჯვენა პარკუტის პიკერტოფია.


ფალოს პენტადის დროს აღინიშნება ნინაგულთაშუა ძეიდის დეფექტი, პარკუთაშუა ძეიდის დეფექტი, ფილტვის არ-



სურ. 148 ფალოს ტეტრალოგია. 1. მარჯვენა წინაგული; 2. მარჯვენა პარკუჭი; 3. მარცხენა პარკუჭი; 4. მარცხენა წინაგული; 5. ფილტვის არტერია; 6. აორტა



სურ. 150 ემბტების ანომალია. 1. მარჯვენა წინაგული; 2. მარჯვენა პარკუჭი; 3. მარცხენა პარკუჭი; 4. მარცხენა წინაგული; 5. ფილტვის არტერია; 6. აორტა



სურ. 149 ფალოს ტეტრალოგია. ავადმყოფი ჩაცუცქულ პუნაში

ტერიის სტენოზი, აორტის დექსტრაპოზიცია, მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფია.

ეიზენმენგერის კომპლექსზე ლაპარაკობენ, როდესაც არის პარკუჭთაშუა ძვიდის დეფექტი, აორტის დისპოზიცია და მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფია.

ეპსტეინის ანომალია იშვიათი მანკია და ხასიათდება სამკარონი სარქელის განვითარების ანომალიით (სურ. 150). ამ დროს ვითარდება მარჯვენა პარკუჭის დიდი ნაწილის ატრიალიზაცია და ტრიკუსპიდული სარქელის ნაკლოვანება.

აორტაში, არამედ ბრუნდება უკან, მარცხენა წინაგულში. მარცხენა წინაგული იძულებულია დაიტოვოს მეტი სისხლი, ვიდრე ნორმის პირობებში, რადგანაც სისხლის ჩვეულებრივ მოცულობას, რომელიც ჩამოდის წინაგულში ფილტვის ენებებიდან, ემატება მარცხენა პარკუჭიდან დაბრუნებული სისხლი. ის განიცდის დილატაციას. დიასტოლის დროს გადასებული მარცხენა წინაგულიდან მარცხენა პარკუჭში ჩადის უფრო მეტი სისხლი, ვიდრე ნორმის პირობებში, რაც იწვევს მის გადავსებას და გაავანერებას. მატულობს მისი დიასტოლური მოცულობა. მარცხენა პარკუჭმა უნდა იმუშაოს მეტი დატვირთვით, რის გამოც მისი კუნთი განიცდის პიპერტროფიას. მარცხენა პარკუჭი მძლავრი კუნთის წყალობით ხანგრძლივი დროით ახდენს მიტრალური სარქელის ნაკლოვანების კომპენსაციას. მაგრამ მისი კუმშვადი ფუნქციის დასუსტებისას ვითარდება დიასტოლური წნევის მატება ჯერ პარკუჭში და შემდეგ კი მარცხენა წინაგულში. ამას თან სდევს მცირე წრის პიპერტენზიის განვითარება, რის გამოც იდიდება დატვირთვა მარჯვენა პარკუჭზე, რომელიც იძულებულია მეტი ძალით გადავანოს სისხლი ფილტვის არტერიაში. ამდენად, ხანგრძლივად მიმდინარე მიტრალური ნაკლოვანების დროს შეიძლება განვითარდეს მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფიაც და დილატაცია (სურ. 151).


კლინიკური მოვლენები არ ვლინდება მრავალი წლის მანძილზე, სანამ არ განვითარდება დეკომპენსაცია. შედარებით ადრე შეიძლება აღმოცენდეს ჩივილები, დაკავშირებულია პერიფერიის არასაკმარის სისხლით მომარაგებასთან - შრომის უნარის დაქვეითება, ადვილად დაღლა. ავადმყოფს აქვს ჯანმრთელი შეგუბელება.

დეკომპენსაციის პერიოდში კლინიკური გამოვლენების სიმძიმე ბევრად არის დაბოკიდებული რეგურგტაციის ხარისხზე.

## გულის შექცეული მანკები


### მიტრალური სარქელის ნაკლოვანება

მიტრალური სარქელის ნაკლოვანება (Insufficiencia valvulae mitralis), ჩვეულებრივ, ვითარდება რევმატიზმის შედეგად. შედარებით იშვიათად ის შეიძლება ინფექციური ენდოკარდიტის ან ათეროსკლეროზის და სხვათა შედეგი იყოს. მარცხენა პარკუჭის სისტოლის დროს, მიტრალური სარქელის კარედების არასრული დახურვის გამო, სისხლი გადადის არა მხოლოდ




სურ. 151 მიტრალური სარქელის ნაკლოვანება. მარცხნივ ნორმალური გულის სქემა, დამტრბიხულია გულის პიპერტოფიორეული უბნები. ტვზილი ისირთ აღინიშნულია სისხლის რეკურენტაცია

ავადმყოფები ურვიან ქომისს, დასაწყისში ფიზიკურ დატვირთვისას, შემდეგ მოსვენებულ მდგომარეობაშიც, გულის ფრიალს, ციანოზის განვითარებას, კიდურების შეშუპებას, სიმძიმეს მარჯვენა ფერდქვემა მიდამოში. ავადმყოფი შეიძლება იყოს იძულებითი მჯდომარე პოზაში, გამოხატული აქვს ციანოზი სახეზე, კიდურებზე, აღინიშნება მწვერვალის გადანევა მარცხნივ და ზოგჯერ ქვევით, VI ნეკნათაშა მიდამოში. კალსაკითი მწვერვალის მიძეგა გავრცელებულია, გაძლიერებული, რაც მოუთითებს პირცხენა პარკუტის პიპერტოფიოზიაზე. პერკუტის ნახულობენ მისი საზღვრების გადანევას ხეითი და მარცხნივ. გული ღუბულობს მიტრალურ კონფიგურაციას - გულის ტლიაა გასწორებულია. მარჯვენა პარკუტის პიპერტოფოზია და დღლატაცია ინევეს გულის საზღვრების მარჯვნივ გადანევას (სურ. 152).




სურ. 152 მიტრალური სარქელის ნაკლოვანება. პერკუტისული მონაცემები



სურ. 153 მიტრალური სარქელის ნაკლოვანება. სისტოლური უილის გაკრეცილების სქემა

აუსკულტაციით მოისმინება I ტონის შესუსტება მწვერვალზე. ზოგჯერ ის სულ არ ისმის, II ტონი გაორებულია, აორტული კომპონენტის ადრეული დახურვის გამო. II ტონის აქცენტით ფილტვის არტერიის მოსასმენ ნერტიში ჩნდება მაჰინ, როცა მატულობს წნევა მცირე წრეში. თუკი გვიან სტადიაში განვითარდა სამკარაინი სარქელის შედარებით ნაკლოვანება, II ტონის აქცენტით დასტურდება ან ქრება. გულის III ტონი მოისმინება, როცა იწყება დეკომპენსაცია და მატულობს წნევა მცირე წრეში. მწვერვალზე ისმის სისტოლური შუილი, რომელიც მგერევი ხასიათისაა, ზოგჯერ უხემი. შუილი ინეება I ტონიდან და დეკ-

რეშენილ ხასიათისაა. ზოგჯერ ის პოლოსისტოლოურია. შეიძლება დაიკავოს მთელი სისტოლა II ტონამდე. შუილი ერცელებდა მარცხნივ წინა და ზოგჯერ კი უკანა აქსილარულ ხაზამდე (სურ. 153). ზოგჯერ მოისმინება მეზოდიასტოლური შუილი მწვერვალზე, რაც დაკავშირებულია სისხლის გაძლიერებულ დინებასთან მიტრალურ ხერვლში და არა ხერვლის ორგანულ შევიწროებასთან. აუსკულტაციური მონაცემები მტკიცდება ფონოკარდიოგრაფიულად (სურ. 154). გულის კავიტურიზაციით მსჯელობენ მიტრალური რეკურენტაციის ხარისხზე, კონტრასტის პარკუტიდან წინაგულში გადასვლის მიხედვით. პულსი და არტერიული წნევა ნორმალურია.



სურ. 154 მიტრალური სარქელის ნაკლოვანება. ფონოკარდიოგრაფია. აღინიშნება I ტონის შესუსტება და სისტოლური შუილი, რომელიც იკავებს მთელ პაუზას I და II ტონის შორის

რენტგენოლოგიურად აღინიშნება მარცხენა წინაგულის და მარჯვენა პარკუტის ზრდის გაზრდა, ფილტვის არტერიის რკალის გაფართოება მასში წნევის მატებისას, შეგუბებითი მოღუნებით ფილტვის ვენებში.

ეკგ-ზე ვლინდება მარცხენა წინაგულის და პარკუტის პიპერტოფიოზის ნიშნები, ეკგ მარცხენა ტიპისაა, P კბილი დიდდება, ის ფართო და ზოგჯერ ორფა ხიანია.


ექოკარდიოგრაფიულად აღინიშნება მარცხენა წინაგულის და პარკუტის ზომიერ მატება. მარცხენა პარკუტის მოცულობითი გააძლიეროება.

მიტრალური სარქელის ნაკლოვანების დიაგნოზი საკმაოდ რთულია, რადგანაც სისტოლური შუილი ხშირად სხვა მიზეზებზედაც შეიძლება იყოს გამოწვეული. ის აღინიშნება მიტრალური სარქელის შედარებით ნაკლოვანების დროს, რომელიც შეიძლება განვითარდეს მოკარდიტის, კარდიოსკლეროზის, არტერიული პიპერტენზიის, აორტული მანკების და სხვა დროს.

**მიტრალური ხვრელის სტენოზი**

მარცხენა ატრიოვენტიკულური - მიტრალური ხერვლის სტენოზი (stenosis ostii venosi sinistri) გულის შექცეილი მანკეზიდან ყველაზე ხშირია. უფრო ხშირად ავადებიან ქალები. დაავადების ეტიოლოგია ძირითადად დაკავშირებულია რემატოიზმთან. ხერვლის ფართობი, რომელიც წინაშის პირობებში 4-6 სმ<sup>2</sup>-ია, შეიძლება შემცირდეს 1-0,5 სმ<sup>2</sup>-მდე.

მიტრალური ხერვლის შევიწროების გამო სისხლი ნორმალური რაოდენობით არ ჩადის დიასტოლის დროს მარცხენა პარკუტში და მისი ნაწილი რჩება მარცხენა წინაგულში. მას ემატება ფილტვის ვენებიდან ჩასული სისხლი, რის გამოც მარცხე-



სურ. 155 მიტრალური ხერელის სტენოზი. ტვიხლი ისარი მოუთითებს სისხლის განწვევულ გადასვლაზე წინაგულთან პარკუჭში. დამტრიალთა გულის პიკერტოფორებელი უბნები

ნაწინაგული იძულებულია მეტი სისხლი დაიტვიჩოს. ამდენად, ამ მანკის დროს ძირითადი დატვირთვა მოდის მარცხენა წინაგულზე. მარცხენა წინაგულის კუნთის სისუსტის გამო, მისი პიკერტოფია ვერ უზრუნველყოფს შემოდინამიკას, რის გამოც ვითარდება მისი დილატაცია. მარცხენა წინაგულის დილატაცია შეიძლება იმდენად დიდი იყოს (ის ზომით ზოგჯერ ახალშობილი ბავშვის თავის ტოლია), რომ დაანეწეს მარცხენა შებრუნებით ნეკრეს და გამოინეწიოს ხმის ჩახლუნა და აფონია. იმის გამო, რომ მარცხენა წინაგულის დეკომპენსაცია ვითარდება ადრე, მატულობს წნევა მცირე ნრეში და ვითარდება მარჯვენა პარკუჭის გადატვირთვა მისი შემდგომი პიკერტოფით და დილატაციით. მცირე ნრეში განვითარებული შეკვებებითი მოვლემები იმ სიმპტომებზეა პასუხისმგებელი, რომლებიც ვითარდება ამ მანკის დროს (სურ. 155).

ძირითადი ჩივილია ქოშინი, ორთოპნოე, ღამის პაროქსიზმული ქოშინი, ხველა, ზოგჯერ სისხლიანი ნახველით, სისუსტე, ადვილად დაღლილობა, ტკივილი გულის მიდამოში, გულის ფრიალი. ფიზიკური დატვირთვის შემდეგ შეიძლება განვითარდეს გულის ასთმის შეტევა და ფლტების მუშუპება. მარჯვენა პარკუჭის უკმარისობის განვითარების შემდეგ ვითარდება დამახასიათებელი პერიფერიული მუშუპებები, ლიძლის გადიდება, ასციტი. მარცხენა წინაგულის ყურში ხშირად ჩნდება ორთოპნოე. ორთოპნული მასის მონყევება ინეწეს ემბოლიების სხვადასხვა ორგანოში.


ავადმოყოფის შეხედულება მეტად დამახასიათებელია. მას აქვს ე.წ. „მიტრალური საბე“, რომლის დროსაც გამოხატულია ციანოზი ცხვირ-ტუჩის მიდამოში და ლოყებზე. ვითარდება აკროციანოზი, ზოგჯერ აღინიშნება კანის და სკლერების სუბიქტურული მუშუპება (ლიძლის პათოლოგიურ პროცესში ჩათრევის შედეგად).

მწვერვალის ულსაცის ნორმალური ლოკალიზაცია არ იცვლება. აღინიშნება პულსაცია მკერდის ძელის მარცხნივ და

ეპიგასტრიულ არეში, დაკავშირებული პიკერტოფიული და დილატირებული მარჯვენა პარკუჭის შეკუმშვისთან.

პალპაციით აღინიშნება დიასტოლური ვიბრაცია („კატის კრუტუნე“) მწვერვალის მიდამოში. ლიძილი პალპაციით გადიდება და მგრძობიარეა.

პერკუსიით ნახულობენ გულის საზღვრების მატებას ზეით მარცხენა წინაგულის და ფლტების არტერიის გაგანიერების გამო და გულის ტალიის ვასადაცებას. მოგვიანებით სტადიებში აღინიშნება მარჯვენა საზღვრის გადიდება, დაკავშირებული მარჯვენა პარკუჭის და მარჯვენა წინაგულის დილატაციასთან. გულის მარცხენა საზღვარი ნორმის ფარგლებშია. მისი გადაადგილება მარცხნივ ხდება მამონ, თუკი პიკერტოფორებული და დილატირებული მარჯვენა პარკუჭი მიხნეწს მარცხენა პარკუჭს მარცხნივ და უკან (სურ. 156).




სურ. 156 მიტრალური ხერელის სტენოზი. პერკუსიული მონაცემები

ასუსტულტაციური მონაცემები ძალიან დამახასიათებელია. მწვერვალზე მოისმინება ტაკეუნა I ტონი. II ტონი ფლტის არტერიაზე აქცენტირებულია. ის ხშირად გაორებულია. მეორე ტონის შემდეგ ისმის მიტრალური სარქელის გაღების ხმინოზა. ტაკეუნა I ტონი, II ტონის აქცენტე და მიტრალური სარქელის გაღების ხმინოზა (OS) ნარმოქმნის დამახასიათებელი სამწვერა რითმის, რომელიც მწყევის რითმის სახელითაა ცნობილია - მიტრალური მელოდია. მიტრალური მელოდია ქრება, როცა არის აღნიშნული მანკისათვის ძალიან დამახასიათებელი მოციმციმე არითმია. სარქელოვანი აპარატის ფორმოზის და კალციონოზის შედეგად ტაკეუნა I ტონი არ აღინიშნება. მიტრალური სტენოზის სიმძიმის დასადგენად ყურადღებას აქცევენ II ტონისა და OS-ს შორის ინტერვალის ხანგრძლივობას. მძიმე მიტრალური სტენოზის დროს ეს ინტერვალი მცირდება, რადგანაც ამ დროს მარცხენა წინაგული წნევა მკვეთრადაა მომატებული.


მიტრალური ხერელის სტენოზისათვის ძალზე დამახასიათებელია დიასტოლური შუილის არსებობა (სურ. 157). ის მოის-





სურ. 157 მიტრალური ხერელის სტენოზი. დაისტოლური შულის ლოკალიზაცია

მინება სინუსური რითმის დროს როგორც დაისტოლის დასან-  
ვისში (პროტოდაისტოლა) და თან სდევს სწრაფად მიტრალური  
სარქელის გაღების ხმანობას, ასევე სისტოლის წინ - პრესის-  
ტოლური შუილი, რომელიც ძლიერდება დაისტოლის ბოლოს  
(პრესისტოლური ვაძლიერება) და დაკავშირებულია წინაგუ-  
ლის სისტოლასთან. შუილი ცუდად მოისმინება, როდესაც სტე-  
ნოზი მცირეა და გულის ნუთმოცულობა მცირდება ან როდესაც  
ის დიდა და მცირდება წნევის გრადიენტი წინაგულესა და  
პარკუჭებს შორის. დაისტოლური შუილი მოისმინება გულის  
მწვერვალის მიდამოში. ის ლოკალიზებულია და არ ვრცელდებ-  
ა. შუილი უკეთ მოისმის ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, რო-  
დესაც ავადმყოფი წევს მარცხენა გვერდზე და სუნთქვას შეაჩე-



სურ. 158 მიტრალური ხერელის სტენოზი. ფოროკარდიოგრამა აღინიშნება I ტონის ამპლიტუდის მატება. რეგისტრირდება პრესისტოლური შუილი და მიტრალური სარქელის გაღების ხმანობა (OS)

რებს ამოსუნთქვის ფაზაში. კრემენდოს ტიპის დაისტოლური  
შუილი ღრება მოციმციმე არითმიის დროს - წინაგულეების სის-  
ტოლა აღარ არის. მიტრალური სტენოზის დროს ზოგჯერ მოის-  
მინება დაისტოლური შუილი ფილტვის არტერიაზე, დაკავში-  
რებული ამ უკანასკნელის დილატაციასთან (გრეუპემ სტილიის  
შუილი).

მიტრალური სტენოზის დროს პულსი მცირეა, ის არითმიუ-  
ლია მოციმციმე არითმიის დროს. სისხლის სისტოლური წნევა  
ოდნავ ქვეითდება, დაისტოლური კი ოდნავ მატულობს.

ფოროკარდიოგრაფიულად მწვერვალზე ნახულობენ პირვე-  
ლი ტონის მაღალ ამპლიტუდას, II ტონის შემდეგ - მიტრალური  
სარქელის გაღების ხმანობას და დაისტოლურ შუილს. II ტონის  
ამპლიტუდა მაღალია ფილტვის არტერიაზე (სურ. 158).

ელექტროკარდიოგრაფიულად აღინიშნება მარცხენა წინა-  
გულის პიკეტოგრაფია. P კბილი გაფართოებულია სტანდარ-  
ტულ განზრებში, ის ხშირად ორფაზიანია V<sub>1</sub> და V<sub>2</sub> განზრებში  
(P-mitrale). პულმონური პიკეტენტის შემთხვევაში ნახულო-  
ბენ მაღალ ნეგტიან P კბილს (P-pulmonale), მარჯვენა პარკუ-  
ჭის პიკეტოგრაფია. ეკგ-ზე ხშირად ვლინდება წინაგულეების  
ციმციმი.

რენტგენოლოგურად დამახასიათებელია დიდი მარცხენა  
წინაგული, გადიდებული ფილტვის არტერია, შეგებება ფილ-  
ტვის ვენებში, გვიან სტადიებში - მარჯვენა პარკუჭის გადიდე-  
ბა (სურ. 159).




სურ. 159 გულის მიტრალური კონფორმაცია მიტრალური ხერელის სტენოზის დროს. რენტგენოგრამა

ეკოკარდიოგრაფია ყველაზე სრულყოფილი მეთოდია მიტ-  
რალური ხერელის სტენოზის დიაგნოსტიკაში. სარქველები  
გასქელებულია, ცუდად იღება და ნელა იხრება. წინა და უკანა  
კარედები ფიქსირებულია და ერთად (პარალელურად) მოძრა-  
ობს იმის მაგივრად, რომ მოძრაობდნენ საპროისპირო მიმართუ-  
ლებით. ჩანს სარქელის არის შემცირება. მარცხენა წინაგულის  
ზომა გადიდებულია, მარცხენა პარკუჭის ზომა ნორმალურია ან  
შემცირებულიც კი. დოპლერის ტექნიკის გამოყენებით შეიძლე-  
ბა გაიზომოს წნევის გრადიენტი და წნევა ფილტვის არტერია-  
ში. მარცხენა წინაგულის წნევა მომატებულია. გულის ნუთმო-  
ცულობა შემცირებულია.

მიტრალური სტენოზი ხშირად (შემთხვევაში ორ მესამედ-  
ში) შეუღლებულია მიტრალურ აკლოზინებასთან.

აორტის სარქველის ნაკლოვანება

აორტის სარქველის ნაკლოვანების (insufficiencia valvulae aortae) დროს სარქველი ვერ ზურავს აორტის ხერვლს და სისხლის ნაწილი დასტოვლის დროს ბრუნდება უკან აორტიდან მარცხენა პარაკუჭში. ამევე დროს მარცხენა პარაკუჭში ჩადის სისხლის ჩვეული რაოდენობა მარცხენა წინაგულადან. ის იძულებულია დაიტოს მტერი სისხლი, ვიდრე ნორმის პირობებში, რის შედეგადაც ვითარდება მისი ჰიპერტროფია და დილატაცია (სურ. 160).



სურ. 160 აორტის სარქველის ნაკლოვანება. ტხილი ისრით აღნიშნულია სისხლის რეგურგიტაცია. დამტრბილია გულის ჰიპერტროფიკული უბნები

მანკის ეტიოლოგიაში წამყვანია რემედიტიზმი. ის ვითარდება აგრეთვე ინფექციური ენდოკარდიტის, ათეროსკლეროზის, ათამანგია, აორტოარტერიოიტის, არტერიული ჰიპერტენზიის, თანდაყოლილი ბიკუსიდური სარქველის და სხვა დროს. არტერიული ჰიპერტენზიის დროს, ჩვეულებრივ, ვითარდება სარქველის შედარებით ნაკლოვანება. ათეროსკლეროზის და ათამანგიის დროს სარქველი შეიძლება არ დაზიანდეს და დაზიანებული იყოს მხოლოდ აორტა, რაც იწვევს მის გაგანირებას და შედარებით ნაკლოვანების განვითარებას, მაგრამ სარქველს დაზიანებაც არ არის გამორიცხული. უფრო ხშირად ავადდება ან მამაკაციები.

მანკი დინამის, ჩვეულებრივ, საშუალო ასაკამდე მიმდინარეობს კლინიკური სიმპტომების გარეშე. კლინიკური გამოვლინებები დაკავშირებულია რეგურგიტაციის განვითარებასთან და მის ხარისხთან. მარცხენა პარაკუჭის უკუთ მძლავრია და მანკი დეკომპენსაცია ვითარდება შედარებით გვიან.

დასაწყისში ავადყოფნა უჩივან ადვილად დაიღვას და ქოჩინა ფიზიკური დატვირთვის დროს, აღნიშნავენ გაძლიერებულ გულის ცემას, პულსაციის შეგრძნებას კიარის არეში, ზოგჯერ უჩივიან ტკივილს გულის მიდამოში, თავბრუს, დაკე-


პირებულს დასტოვლის დროს სისხლის წნევის დაქვეითებასთან, რაც, თავის მხრივ, იწვევს კორონარული და ცერებრული სისხლის მიმოქცევის დაქვეითებას. დეკომპენსაციის განვითარებასთან დაკავშირებით ავადყოფნის უვითარდება ქოჩინი. ზოგჯერ ვითარდება ღამის პარაოქსიზმული ქოჩინი და ფილტვების შეშუპების სურათი. შედარებით მოგვიანებით, მარცხენა პარაკუჭის დასუსტებასთან დაკავშირებით, ვითარდება მიტრალური სარქველის შედარებითი ნაკლოვანება, მარცხენა წინაგულის დილატაცია და სისხლის შეგუბება მცირე წრეში. აღინიშნება მარჯვენა პარაკუჭის უქმარისობა, რაც ვლინდება ლეივლის გადიდებაში, პერიფერიულ შეშუპებებში, ევზური წნევის მატებაში. მარცხენა პარაკუჭის მწვავე უქმარისობის სურათი უფრო ხშირად აღმოცენდება, რაც მანკის განვითარება დაკავშირებულია აორტის განშეუვალობასთან ან ინფექციურ ენდოკარდიტთან. ამ დროს მარცხენა პარაკუჭის დილატაციის განვითარება ვერ ასწრებს და ავადყოფნის შეიძლება განუვითარდეს მარცხენა პარაკუჭის მწვავე უქმარისობა ფილტვების შეშუპების სურათით. ამ დროს აღინიშნება მცირე ნუთომოცულობა, მცირე პულსური წნევა და მარცხენა პარაკუჭზე მცირე ზომისაა, ქრონიკულ შემთხვევებთან შედარებით.

ინსპექციური აღინიშნება ფერმკრთალი სახის კანი, ჩანს კაროტიდების მკვეერი პულსაცია „კაროტიდების ცეკვა“. სისხლძარღვთა პულსაცია აიხსნება სისხლის დიდი რაოდენობის გადასროლით აორტაში, რაც იწვევს სისხლძარღვთა სწრაფ გაგანირებას და შემდეგ კი დაზუტებას დასტოვლის დროს, ზოგჯერ, როდესაც ავადყოფი ზის, აქვს თავის რითმული რხევა (მთუსენ სიმპტომი). ინსპექციური და პალპაციით კარგად ვლინდება მწვერვალის გაძლიერებული ბიძგი, რომელიც არის VI, ზოგჯერ VII ნეკნთამუა მიდამოში, წინა აქსილარულ ხაზზე და უფრო უკანაც - შუა აქსილარული ხაზისაკენ. ის ჰიპერდინამიური და ჰიპერკინეტიკურია - სწრაფად იწვევს ზემოთ და სწრაფად ვარდება. ის ხშირად გაერცვლებული და გუმბათისებურია.


პალპაციით აღინიშნება პულსაცია საუფლე ფოსოში. შუბლის კანის ხელით დასრესისას ვლინდება სინოთის და სიფერმკრთალის მონაცვლეობა (პულსაცია), იგივე შვინიშნება ფერჩილებზე ზენოსისას - კვიციკეს ფერხმეში. დამახასიათებელია პულსი. ის ამ დროს არის სწრაფი, მაღალი და ხშირი - კორიკანის უკლები.

დამახასიათებელია წნევის დიდი მერყეობა სისტოლისა და დიასტოლის დროს. სისტოლის დროს აორტაში ნორმასთან შედარებით სისხლის დიდი რაოდენობით გადასვლა იწვევს სისტოლურ წნევის მატებას, დასტოვლის დროს კი, რადგანაც სისხლის ნაწილი ბრუნდება უკან პარაკუჭში, დასტოვლური წნევა ქვეითდება. ამის შედეგად იზრდება პულსური წნევის მარჯვენებელი.

პერკუსიით აღინიშნება გულის საზღვრის გაგანირება მარცხნივ (სურ. 161). აუსკულტაციით I ტონი შესუსტებულია, II ტონი აორტაზე შესუსტებულია ან სულ არ იმისი. აუსკულტაციით მოჩვენე ნეკნთამუა არეში, მკერდის ძვლის მარჯვნივ, აგრეთვე V ნერტილში - III-IV ინტერკოსტალურ არეში, მკერდის ძვლის მარცხნივ იმის დასტოვლური დეკრემენდოს ტიპის შუილი. შუილი იმის პროტოფიასტოლური და იწყება უშუალოდ II ტონის შემდეგ. შუილი ნაზი, მძერავი ხასიათისაა. ათამანგის ნიადაგზე განვითარებული მანკის დროს შუილი უფრო უხეშია. შუილი უხეში იმის ამოსუთქვის ფაზაში, ავადყოფნის წინ დახორილ პოზიციოში. ის ხშირად გადაღვევა მკერდის ძვლის გაყო-



სურ. 161 აორტის სარქელის ნაკლოვანება. პერკუსიული მონაცემები



სურ. 162 აორტის სარქელის ნაკლოვანება. დიასტოლური შუილის გაერყელების სქემა

ლებით მარცხნივ გულის მწვერვალისაკენ (სურ. 162). ამ დროს ჭირს მისი განსხვავება მიტრალური სტენოზის დროს წარმოქმნილ დიასტოლურ შუილისაგან. აორტული ნაკლოვანების შუილის სიხშირე მაღალია, მიტრალური სტენოზის შუილის სიხშირე კი - დაბალი. ზოგჯერ აორტული სარქელის ნაკლოვანების დროს მწვერვალზე ისმის პრესისტოლური შუილი, რომელიც კრეშენდო ხასიათისაა - ფლინტის ფუნქციური დიასტოლური შუილი. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მიტრალური სარქელის ფუნქციურ შევიწროებასთან სისხლის უკუდინების გაეღწით. ამ დროს ძნელი გასარკვევია, ხომ არა გვაქვს კომბინირებულ აორტულ-მიტრალურ მანქთან საქმე. ფუნქციური დიასტოლური შუილის დროს არასოდეს არ არის მიტრალური სარქელის გაღების ხმაინობა.



სურ. 163 აორტის სარქელის ნაკლოვანება. აორტის ხერხელის მოსასმენ მიდამოში გადაღებულ ფონოკარდიოგრამაზე აღინიშნება გულის ტრენების ამპლიტუდის დაქვეითება და დეკრეშენდო ხასიათის დიასტოლური შუილი

ზოგჯერ გულის ფუძეზე ისმის სისტოლური შუილი, დაკავშირებული დაზიანებულ სარქველში სისხლის ნაკადის ტურბულენტურ მოძრაობის გაჩენასთან. იშვიათად მწვერვალზე მოისმინება გულის III ტონი, დაკავშირებული მარცხენა პარკუჭის ადრეულ დეკომპენსაციასთან. ბარძაყის არტერიაზე ისმის ტრაუნეს ორმაგი ტონი და დიორთიზის ორმაგი შუილი. აუსკულტაციური მონაცემები კარგად დასტურდება ფონოკარდიოგრაფიული გამოკვლევით (სურ. 163).

რენტგენოლოგიურად ვლინდება მარცხენა პარკუჭის და აორტის დილატაცია. კარგად ჩანს გულის ტალია - ვითარდება ენ. აორტული ან რეკურსიბური ფორმის გული (სურ. 164). გვიან სტადიებში, დეკომპენსაციის განვითარებასთან დაკავშირებით, აღინიშნება მარცხენა წინაგულის და მარჯვენა პარკუჭის ჩრდილის გადიდება, ტალიის გასადავება - აორტული მანკის მიტრალისაგან.

ექვ-ზე აღინიშნება მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია (ღრმა S კბილი გულმკერდის მარჯვენა და მაღალი R კბილი - გულმკერდის მარცხენა განხრებში, უარყოფითი T კბილი I, aVL,



სურ. 164 აორტული კონფიგურაციის გული აორტის სარქელის ნაკლოვანების დროს. რენტგენოგრაფია

V<sub>3</sub>, V<sub>4</sub> განხრებში), ხშირად მიტრალური გადაძაბვით (ღრმა Q კბილი გულშეკრდის მარცხენა განხრებში). არითმია, კერძოდ, მოციმციმე არითმია, აღინიშნება შედარებით იშვიათად.


ეპოკარდიოგრაფიულად აღინიშნება მარცხენა პარკუჭის დილატაცია და მისი მოცულობითი გადატვირთვა, მომატებულია მარცხენა პარკუჭის დიასტოლური მოცულობა, აღინიშნება აორტის გაავანოერება, ზოგჯერ ჩანს მიტრალური სარქველის წინა კარდის თრთოლევა.

საძილე არტერიიდან ჩანერილ სფიგმოგრამაზე არის მალა-ლი ამპლიტუდა, ციცაბო ანაკროტა, ინციზურის გასადავება. ხშირად დიკროტული ტალღა არ აღინიშნება.

### აორტის ხერეღის სტენოზი

აორტის ხერეღის შევიწროების (stenosis ostii aortae) გამო მარცხენა პარკუჭი სისტოლის დროს სრულად ვერ იცლება, რად-განაც მთელი სისხლი ვერ ასწრებს გასვლას შევიწროებულ ხერეღში. ხერეღის შევიწროება შეიძლება შეტად მნიშვნელოვანი იყოს. ნორმის დროს მისი ფართი არის 3-4 სმ<sup>2</sup>. ხერეღის შევიწრო-ება 1-0,8 სმ-მდე იწვევს უკვე სისტოლის გახანგრძლივებას და წნევის მატებას მარცხენა პარკუჭში. პარკუჭში დარჩენილ სისხლს დიასტოლის დროს ემატება წინაგულებიდან ჩამოსული სისხლი. ეს იწვევს ძლიერ პიკურაოზიას, მნიშვნელოვანი დილა-ტაციის გაჩენ-ე. პარკუჭის დილატაცია ვითარდება მაშინ, როდეს-აც მარცხენა პარკუჭის კუმშითი ფუნქცია ქვეითდება, რასაც მოაყვება შეგუბების განვითარება ფილტვის ვენებში (სურ. 165).

ყველაზე ხშირად აღინიშნული მანკი ვითარდება აორტის ბი-კუსპიდური სარქველის კალციფიკაციის შედეგად ასაკოვან პო-რებში. მანკი საკმაოდ ხშირად რევმატიზმული ეტიოლოგიისაა, ზოგჯერ ათეროსკლეროზის შედეგად ვითარდება. უფრო ხში-რად აღინიშნება მამაკაცებში.



სურ. 166 აორტის ხერეღის სტენოზი. პერკუსიული მონაცემები

სუბაორტული და სუბავულური სტენოზის დროს სარ-ქელოვანი აპარატის დაზიანება არ აღინიშნება და შევიწროებუ-ლია მარცხენა პარკუჭის აორტაში გასასვლელი ტრაქტი კუნ-თის გამოხატული პიკურაოზიის გამო. უფრო იშვიათია ე.წ. სარქველზედა სტენოზი, როდესაც აორტის შევიწროება ვი-თარდება კორონარული არტერიების დასაწყისის ქვევით.


კომპენსაციის პერიოდში ავადმყოფები ჩვილებზე არ ხარმო-ადგენენ. შეუძლიათ მძიმე ფიზიკური შრომა, მისდევენ ფიზი-კულტურას და სპორტს. დაავადების პროგრესირებისას ფიზი-კური დატვირთვისას ვითარდება თავბრუ, გულის ნასვლა, მო-ჭერილი ტკივილი გულის მიდამოში. შედარებით გვიან აღინიშ-ნება ადგილად დაღალა, ქოშინი ჯერ ფიზიკური დატვირთვის, შემდეგ მოსვენების პერიოდშიც, კარდიული ასთმის შეტევები. უფრო მოვიანებით ვითარდება მარჯვენა გულის უკმარისობის ნიშნები. შეიძლება განვითარდეს ჰერცარი სიკვდილი.

გულის ნასვლა ვითარდება გულის წუთმოცულობის დაქვე-ითების გამო. დეკომპენსაციის პერიოდი შედარებით ხანმოკ-ლეა და გრძელდება 1-2 წელი.


ავადმყოფები ფერმკრთალი შეხედულების არიან. გულის უკმარისობის განვითარების შემდეგ მცირე, შემდეგ კი დიდ წრეში, ვითარდება აკროციანოზი. გულშეკრდის ინსპექციით ჩანს, უფრო მარცხნივ და ქვევით გადაწეული სამკერი, რომე-ლიც პალპაციით გაძლიერებულია. პალპაციით მკერდის ძვლის მარცხნივ აღინიშნება სისტოლური ვიბრაცია (სისტოლური „კა-ტის კრუტუნა“). ვიბრაცია აღინიშნება საუღლე ფოსოში, აგ-რეთვე ზოგჯერ ლაინზედა ფოსოში და საძილე არტერიების გაყოლებით.

პერკუსიით აღინიშნება აორტული კონფიგურაციის გული, მავრამ ნაკლებად გამოხატული აორტულ ნაკლოვანებასთან შედარებით (სურ. 166).

ასუკულტაციით II ტონი შესუსტებულია აორტის მოსამენ წერტილში, ზოგჯერ ის პარადოქსულად გაორებულია. აღინიშ-ნება აგრეთვე I ტონის შესუსტებაც მწვერვალზე. ისმის უბეში სისტოლური შუილი აორტის მოსამენ წერტილში და მკერდის



სურ. 165 აორტის ხერეღის სტენოზი. ტენზიო ისარი მოუთითებს სისხლის გაძნელებულ გადასვლაზე მარცხენა პარკუჭიდან აორტაში. დაბტრიბულია პიკურაოფორებული უბნები



სურ. 167 აორტის ხერელის სტენოზი. სისტოლური შუილის გაგრძელება



სურ. 168 აორტის ხერელის სტენოზი. ფონოკარდიოგრამა და სფიგმოგრამა. ფონოკარდიოგრამაზე აღინიშნება რომის ფორმის სისტოლური შუილი; სფიგმოგრამის მწვერული დაკბილულია

ძელის გაყოფებით მარცხნივ. ის ძლიერდება, თუკი ავადმყოფს დევანებთ მარჯვენა გვერდზე და მოუსმენთ გულს ამოსუნთქვის ფაზაში. შუილი ტარდება სასულე და ლაინზე და მიდაბოვებში. ზოგჯერ კარგად ისმის მწვერულზეც. შეიძლება მოეშინოთ უკან, ბეჭთაბუა მიდამოში (სურ. 167). ზოგჯერ ისმის პათოლოგიური IV ტონი.

ფონოკარდიოგრაფიულად აღინიშნება I ტონის ამპლიტუდის შემცირება გულის მწვერულზე. II ტონის - აორტაზე. თითისტარის ან რომის ფორმის შუილი, რომელიც გამოირჩევა მიტრალურ ნაკლოვანების შუილის არსებობას. ის ძლიერდება თანდათან და I ტონის დაწყებისას ქრება (სურ. 168).

პულსი გვიანი, მცირე და იშვიათია. სისხლის არტერიული წნევა დაქვეითებულია, დაისტოლური ნორმალურია და ოდნავ მატლოვს, პულსური წნევა შემცირებულია.

საძილე არტერიოდან ჩანერილ სფიგმოგრამაზე აღინიშნება აბაბლი ამპლიტუდის გახანგრძლივებულ მრუდი - მრუდის ნელი დაკბილული ანევა, პლატოს ფორმის მწვერული, მრავლობითი ვიბრაცია, დიკოტული ტალღის გაკრობა ან გასადავება.

კვ-ზე აღინიშნება გულის ღერძის გადახრა მარცხნივ, მარცხენა პარკუტის პიპერტროფია, კორინარული უკმარისობის ნიშნები - უარყოფითი ან ორფაზიანი P კბილი გულმკერდის განხრებში. ხშირია პისის კონის მარცხენა ტოტის ბლოკადა, პარკუტთაში გამტარობის დარღვევა.

რენტგენოლოგიურად ჩანს აორტული კონფიგურაციის გულო, მსვენრვალის მომრგვალებით, აორტის პოსტსტენოზური გაგანიერება, ხშირად კალციფიკებული აორტული სარკველი. დეკომპენსაციის პერიოდში ელინდება კარდიომეგალია და ფილტვებში შეგუბების ნიშნები. ექოკარდიოგრაფიულად აღინიშნება მარცხენა პარკუტის პიპერტროფია, გასქელებული აორტული სარკველი, დაქვეითებული ექსკურსითი. გულის კათეტერიზაციით შეიძლება გაიზომოს მარცხენა პარკუტი - აორტის გრადიენტი. წნევის დიდი გრადიენტი მძივე სტენოზის არსებობაზე მოუთითებს.

### ტრიკუსპიდური სარკველის ნაკლოვანება

ტრიკუსპიდური სარკველის ნაკლოვანების (insuffientia valvulae tricuspidalis) დროს აღინიშნება სისხლის რევერტიცაცია მარჯვენა პარკუტიდან მარჯვენა წინაგულში. ის უფრო ხშირად შედარებით ნაკლოვანების მანკია და ვითარდება მიტრალური მანკების დროს მცირე წრის პიპერტენზიის გამო მარჯვენა პარკუტის მკვეთრი გაფართოების შედეგად. ტრიკუსპიდური სარკველის ორგანული ნაკლოვანება რემატოზის, ბევრად უფრო იშვიათად ინფექციური ენდოკარდიტის შედეგად ვითარდება.

მანკის კლინიკური სურათი მნიშვნელოვნად არის განაპირობებული ძირითადი დაავადებისგან (მიტრალური ხერელის სტენოზი, მიტრალური ნაკლოვანება და სხვა). ის ელინდება ძირითადი მარჯვენა გულის უკმარისობით. ავადმყოფები უჩვიან სისუსტეს, ტკივლს მარჯვენა ფერდქვეა მიდამოში, გულის ფრიალს, ქოშინს.

ინსპექციით აღინიშნება სახის და კიდურების ციანოზი, პერფერიული მუშუბება, კისრის ვენების შესვლება და პულსაცია (დადებითი ვენური პულსი), პულსაცია ეპიგასტრიუმის მიდამოში. პალპაციით მწვერულზე მძივი სუსტად არის გამოხატული. აღინიშნება გადიდებული, პალპაციით მტკივნეული ღლილი.

ქერუსითი ნახულობენ გულის მუყურების მარჯვენა სახლეღის გადიდებას. დიდდება აგრეთვე გულის მარცხენა სახლეღური მარცხენა პარკუტის გადიდებული მარჯვენა პარკუტით მარცხნივ მიწევის გამო.

აუსკულტაციით მოიხიზნება I ტონის შესუსტება მკერდის ძელის ქვედა ნაწილში, იქვე და აგრეთვე IV-V წენათაზე მიდამოში მკერდის ძელის მარჯვნივ ისმის დეკრემქენდი ტონის სისტოლური შუილი. II ტონი ფილტვის არტერიაზე შესუსტებულია. ის ძლიერდება ჩახუნთქვის დროს, თუკი ავადმყოფი სუნთქვის შეაჩერებს - რივერი-კორვალის სიმტკობი. არტერიული წნევა დაქვეითებულია, ვეწური წნევა მატლოვს.

რენტგენოლოგიურად ელინდება გულის მარჯვენა ნაწილების ზომიში გადიდება. პულსი მცირე და რბილია. ხშირად ვითარდება ტქაქიკარდია და მოციქიმე არითმია. კვ-ზე აღინიშნება გულის ელექტროული ღერძის გადახრა მარჯვნივ და მარჯვენა წინაგულის და პარკუტის პიპერტროფია.

ფუნქციონალურ ტრიკუსპიდურმა რევერტიცაციამ შეიძლება გაათიოს ძირითადი დაავადების ნარმატებითი მურუნალობის შედეგად, თუკი წნევა ფილტვის არტერიაში ნორმალზიდება.

**ტრიკუსპიდური ხვრელის სტენოზი**

ეს მანიკ შედარებით იშვიათია. ამ დროს სისხლი ვაჭირვე-  
ბით ვადადის დიასტოლის პერიოდში მარჯვენა წინაგულდან  
მარჯვენა პარკუჭში. ეტიოლოგია თითქმის ყოველთვის რყემა-  
ტიზმულია.

ტრიკუსპიდური სტენოზი პრაქტიკულად არასოდეს  
გვხვდება როგორც იზოლირებული მანიკ და ხშირად ვითარდე-  
ბა მიტრალურ და ზოგჯერ კი აორტულ მანკებთან კომბინაცია-  
ში. დაავადების კლინიკური სურათი განპირობებულია თან-  
მხლები მიტრალური და აორტული მანკების კლინიკური გამოე-  
ლიზებით და მარჯვენა გულის უკმარისობის სურათით. მარ-  
ჯვენა წინაგული მნიშვნელოვნად არის გადიდებული. I ტონი  
ტრიკუსპიდური სარქველის მოსასმენ მიდამოში აქცენტირებუ-  
ლია. ისმის მეზოდიასტოლური შუილი მკერდის ძვლის ქვედა  
მარჯვენა კიდის მიდამოში. შეიძლება მოვისმინოთ სამკარიანი  
სარქველის ვალვის ხმაინობა. ვენური წნევა მომატებულია.  
სფიგმოგრამაზე გამოხატულია ალფა-ტალდა და გახანგრძლი-  
ვებული γ ტალდა. დიაგნოზი უსტდება ექოკარდიოგრაფიუ-  
ლად.

**ფილტვის არტერიის სარქველი  
ნაკლოვანება**

ეს მანიკ პრაქტიკულად თითქმის ყოველთვის შედარებით  
ნაკლოვანების შედეგია. მისი განვითარება დაკავშირებულია  
ფილტვის არტერიის გაგანუიერებასთან. ის ხშირად ვითარდება  
მიტრალური სტენოზის დროს, როცა მნიშვნელოვნად მატუ-  
ლობს წნევა ფილტვის არტერიაში, რაც იწვევს მის გაგანუიერე-  
ბას და სარქველის შედარებით ნაკლოვანებას.

ინსპექციით, პალპაციით და პერკუსიით რაიმე მნიშვნელო-  
ვანი ინფორმაციის მიღება არ ხერხდება. აუსკულტაციით ისმის  
ნაზი დიასტოლური შუილი II სეკნთამუა არეში პარასტერნუ-  
ლად მარცხნივ (გრემემ სტილის შუილი). ის არის მაღალი სისხი-  
რის, პროტოდიასტოლური და დეკრემენტდო ხასიათის.

ფილტვის არტერიის სტენოზი ვითარდება ძირითადად რო-  
გორც გულის თანდაყოლილი მანიკი და მისი ნიშნები აღწერილია  
სათანადო თავში.

**გულის რთული და კომბინირებული  
მანკები**

გულის რთული და კომბინირებული მანკები უფრო ხშირად  
გვხვდება, ვიდრე იზოლირებული. ხშირია მიტრალური სარ-  
ქელის ნაკლოვანების და მიტრალური ხვრელის სტენოზის, აგ-  
რეთვე მიტრალური სტენოზის და აორტის სარქელის კომბინი-  
რებული მანკები.

რთული მიტრალური მანიკი. ამ დროს ნახულოვანდ ორივე  
მანკის ნიშნებს. ერთ-ერთის სიჭარბე ხშირად უფრო აღწე  
ვლინდება. კლინიკური ნიშნებია - ქოშინი და ციანოზი, გულის  
გაგანვიერება მარცხნივ, ზეით და მარჯვნივ. I ტონის სიძლეე-  
რე დამოკიდებულია მანკის სიჭარბეზე. თუ ნაკლოვანების სი-  
ჭარბეა, I ტონი შესუსტებულია, თუ სტენოზის სიჭარბეა - ის  
ტაკუნაა. ისმის ორივე შუილი - სისტოლური და დიასტოლო-  
რი. თუ სტენოზი ჭარბობს, მაჯა სუსტეს აეცებისაა, სისტოლური  
წნევა შეიძლება დაქვეითდეს, დიასტოლურმა ოდნავ მოიმატოს,  
ჩნდება „კატის კრუტუნი“. დიაგნოზის დაზუსტებაში გვეხმარე-  
ბა ინსტრუმენტული გამოკვლევები - ექოკარდიოგრაფია, რენ-  
ტგენოგრაფია, გულის ღრუების კათეტერიზაცია.

მიტრალურ-ტრიკუსპიდური მანიკი. მიტრალური მანკის მო-  
ნაცემების პარალელურად აღინიშნება სისტოლური შუილი  
ტრიკუსპიდური სარქელის მოსასმენ მიდამოში, დადებითი ეე-  
ნური პულსი, ლევიძის პულსაცია, პერიფერიული შეშუპებები.

**მიოკარდიტი**

მიოკარდიტი გულის კუნთის ანთებაა. მისი ეტიოლოგია  
ყველაზე ხშირად დაკავშირებულია რაიმე ინფექციასთან (გრი-  
პი, კოქსაქის ვირუსით გამოწვეული ინფექცია, დიფთერია და  
სხვა). როგორც წესი, მიოკარდიტი აღინიშნება რეემატოიზმის  
დროს. ის ვითარდება აგრეთვე ტოქსიკური (მათ შორის მედიკა-  
მენტური) და ალერგიული ზემოქმედების შედეგადაც.

ავადმყოფი უჩუი უსიამოვნო შეგრძნებას და ტკივილს გუ-  
ლის არეში. ტკივილი ხანგრძლივია, არ არის დაკავშირებული  
ფიზიკურ დატვირთვასთან, მჩხვლევტი, ყრუ ხასიათისაა. ამის გარ-  
და, აღინიშნება გულის ფრიალი, ქოშინი, სისუსტე, სუბფეროლე-  
რი ტემპერატურა. პერკუსიით გულის საზღვრები გადიდებულია.



სურ. 169 მიოკარდიტი რენტგენოგრაფიაზე. მარცხნივ, ჩანს გადიდებული გული. მარჯვნივ, გულის ზომები შეესაბამება ჩატარებული მკურნალობის შემდეგ

აუსკულტაციით ტონები, განსაკუთრებით I, მოყრუებულია. ზოგჯერ მწვერვალზე მოისმინება სისტოლური შუილი. ხშირად აღინიშნება შენების რითმი, არითმული მაკა. სისხლის არტერიული წნევა ქვედიდება. ეკგ-ზე აღინიშნება ტაკეოკარდია, ტან-დასხვა სახის, ყველაზე ხშირად ექსტრასისტოლური არითმია და გატარების დარღვევა (ატრიოვენტრიკულური, პარკუჭთა-მდ), S-T სეგმენტის დაქვეითება იზოზხის ქვევით, T კბილის უარყოფითობა.

რენტგენოლოგიურად აღინიშნება გულის საზღვრების გადიდება (სურ. 169).

ქროკარდიოგრაფიულად ელინდება გულის კამერების გადიდება და მიოკარდიუმის ჰიპოკინეზია. სისხლში ლეიკოციტოზი, მარცხნივ გადახრით, ედს-ის მატება.

მიოკარდიი შეიძლება მიმდინარეობდეს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. ის შეიძლება გართულდეს გულის შეგუბებითი უკმარისობით.

### სენსიტიური ჰიპერტენზია

ესენციური ჰიპერტენზია წამყვანი ნიშანი სისხლის არტერიული წნევის პირველადი მომატებაა, რასაც საფუძვლად უდევს სისხლის წნევის ნერვულ-ენდოკრინული რეგულაციული მექანიზმების რთული დარღვევა. ის არტერიული ჰიპერტენზიების ყველა შემთხვევის 90-95 პროცენტზე შეადგენს. დაავადებას პირველად ჰიპერტენზიას ან ჰიპერტენზიულ დაავადებასაც (რუსულენოვან ლიტერატურაში) უწოდებენ, რითაც ესენციურ ჰიპერტენზიას განასხვავებენ ე.წ. მეორად ან სიმპტომურ ჰიპერტენზიებისაგან, რომელთა დროსაც წნევის მომატებას საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ორგანოს პირველად დაზიანება და წნევის მომატება კი დაავადების ერთ-ერთი გამოვლინებაა. სიმპტომური ჰიპერტენზიები აღინიშნება თირკმლების, ენდოკრინული ჯირკვლების დაავადებების, აორტისა და მსხვილი არტერიების შევიწროების დროს და სხვა.

ესენციური ჰიპერტენზია ძირითადი ობიექტური გამოვლინება არტერიული წნევის მომატებაა. მატულობს როგორც სისტოლური, ასევე დიასტოლური არტერიული წნევა (ცხრილი 26). დიასტოლური წნევის მნიშვნელოვანი მატება მიუთითებს დაავადების მძიმე მიმდინარეობაზე. დაავადების დასაწყისში არტერიული წნევა მატულობს პერიოდულად, შემდეგში ის უწყვილდება მომატებას. ძირითადი სამიწვე რიგანობაა გული, თავის ტვინი, თირკმლები. მათი სისხლის ძარღვების დაზიანებასთანა დაკავშირებული დაავადების ძირითადი სუბიექტური და ობიექტური გამოვლინებებია.

დაავადების დასაწყისში ავადმყოფს აღენიშნება საერთო სისუსტე, სწრაფი დაღლა, თავის ტკივილი, თავბრუ, ადვილად გაღოზინება, უძილობა. ზოგჯერ ავადმყოფს არ აქვს წივილები და შობოლდ წნევის შემთხვევითი გასივჯის დროს აღინიშნება მისი მარევენებების მატება. მოვანებით სტადიებში, როდესაც წნევა სტაბილურად მატულობს და მაღალ ციფრებზეა, ავადმყოფს უვითარდება ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას, გულის ფრიალი, ტკივილი გულის მიდამოში, გამობატული თავის ტკივილი, განსაკუთრებით კევის მიდამოში, ზოგჯერ სისხლის დაღვი ცხრილობა.

შესახედავად ავადმყოფები, ჩვეულებრივ, ნორმალურად გამოიყურებიან. ზოგჯერ აღინიშნება სახის კანის სინითლე, განსაკუთრებით აღელვებისას (ე.წ. ფოლგარტის წითელი პი-პიტინება).

გულის მიდამოს პალპაციით დგინდება მწვერვალის გაძლიერებული ბიტი, რომელიც მიუთითებს მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიაზე. ის ხშირად გადაწეულია მარცხით, წინა აქსილარულ ხაზამდე და ზოგჯერ ქვეკეისიაც. პერკუსიით აღინიშნება გულის მარცხენა საზღვრის გადიდება, დაკავშირებული მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიასთან და დილტაციასთან. გვიან სტადიებში გულის უკმარისობის პროგნოსტიკისთან დაკავშირებით დიდდება მარჯვენა საზღვარიც. ზოგჯერ გული ძალიან დიდი ზომის შეიძლება გახდეს - ბარის ეტლი.

გულის აუსკულტაციით მოისმინება დასაწყისში II ტონის აქცენტო აორტაზე, შემდგომში მნიშვნეულ წნდება სისტოლური შუილი და კავშირებული მიტრალური სარქველის შედარებით ნაკლებანების განვითარებასთან. მძიმედ მიმდინარე დაავადების დროს შეიძლება განჩნდეს დასტოლური შუილი აორტის მოსასამენ ნერტლით, დაკავშირებული აორტის გაგანიერებასთან და მისი სარქველის შედარებითი ნაკლებანების განვითარებასთან. მაკვა დაჭიმულია, ზოგჯერ არითმიული.

რენტგენოლოგიურად ელინდება გულის საზღვრების გადიდება მარცხნივ. ის დებულობს აორტულ კონფიგურაციას. გვიან სტადიებში დიდდება გულის მარჯვენა საზღვარიც. აორტა დაგომილებული და გაგანიერებულია.

ეკგ-ზე ელინდება ცვლილებები, დამახასიათებელი მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიასთან, კორნარული ნაკლოვანების ნიშნები, რითმის სხვადასხვა სახის დარღვევა. დაავადების შორსნასულ სტადიებში შეიძლება განვითარდეს გულის შეგუბებითი უკმარისობის სურათი, გულის კუნთის კუმშვადი ფუნქციის დაქვეითების გამო. ზოგჯერ ვითარდება გულის მწვავე უკმარისობა გულის ასთმის და ფილტვების შეშუპების სახით. თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანების შედეგად შეიძლება განვითარდეს ცერებრული სისხლის მოძიქვის დარღვევა. თირკმლის სისხლძარღვების დაზიანების შედეგად ვითარდება ნეფროსკლეროზი, ალუმენური, პემატური, პიოსტენური, პოლური და ზოგჯერ თირკმლის უკმარისობის მოვლენები, პირველად შექმნილი თირკმელი. თავლის ფსკერზე აღინიშნება არტერიების შევიწროება და ვენების გაგანიერება (სალუსის სიმპტომი). დაავადების მძიმე ფორმის დროს აღინიშნება შედეგელობის მძიმე დარღვევა, სიმპტომურად კი.

ესენციური ჰიპერტენზიასთვის ზოგჯერ დამახასიათებელი არტერიული წნევის უეცარი ხანმოკლე მომატება - ჰიპერტენზიული კრიზი. ამ დროს ავადმყოფს აღინიშნება ძლიერი თავის ტკივილი, თავბრუ, ოფლიანობა, გულის ფრიალი, ტკივილი გულის მიდამოში, ზოგჯერ გულის რევა, ლტენობა. ჰიპერტენზიული კრიზის დროს შეიძლება განვითარდეს დაავადების ისეთი გართობებები, როგორებიცაა მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობა, მიოკარდიუმის ინფარქტი, თავის ტვინის სისხლის მოძიქვის ნიშნები.

### გულის იშემიური დაავადება

გულის იშემიური ან გულის კორონარული დაავადება აერთიანებს არაადეკვატურ მომარაგება სისხლით, გვირგვინოვანი სისხლის მოძიქვის უკმარისობის გამო. დაავადების საფუძვლად უდევს გვირგვინოვანი არტერიების ორგანული (ძირითადად ათეროსკლეროზული) დაზიანება ან ბევრად იშვიათად მათი ფუნქციური (სპაზმი, დატვითვის დროს სისხლის დინების არასაუმჯობესო მატება) ცვლილებები.

ნორმალურ პირობებში, როდესაც სხვადასხვა მიზეზით (ფიზიკური დატვირთვა, ემოციური დაძაბულობა და სხვა) იზრდება მიოკარდიუმის მოთხოვნა ვანგაბლზე და საკვებ ნივთიერებებზე, კორონარული სისხლის მიმოქცევა ძლიერდება, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის განხრდილ მოთხოვნებს. გვირგვინოვანი სისხლძარღვების შევიწროების შემთხვევაში აღნიშნული თანაფარდობა ირღვევა და შეიძლება განითარდეს მიოკარდიუმის იშემიის მოვლენები, რაც ამა თუ იმ კლინიკური სურათით გამოიხატება - სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი და სხვა.

გულის იშემიური დაავადების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებში მიეკუთვნება: პიკონარდიოზი, არტერიული ჰიპერტენზია, თამბაქოს წევა, ჰიპოლიპონია, სიმსუქნე, მაღალკალორიული კვება, მაქრიახი დიაბეტი, ხშირი სტრესული სიტუაცია, გენეტიკური მიდრეკილება. გულის იშემიური დაავადება ძალიან გავრცელებულია და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

### სტენოკარდია

სტენოკარდია ან გულის ანგინა (angina pectoris) ხასიათდება შეტევითი ტიპითი მკერდის ძელის უკან, რომელიც განპირობებულია გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევის მწვავე, მაგრამ გარდამავალი დარღვევით. ყველაზე ხშირად დაავადების საფუძვლად იღვწვს გვირგვინოვანი სისხლძარღვების ათეროსკლეროზული შევიწროება. ზოგჯერ სტენოკარდიის მიზეზი შეიძლება გვირგვინოვანი არტერიების სპაზმი (კორონაროსპაზმი) იყოს, მათი ანატომიური და ზიანების გარეშე.

სტენოკარდიის დროს ავადმყოფი უჩივს მოჭერის, ზენოლის, სიმძიმის ან სიმწურვალის შეგრძნებას მკერდის ძელის უკან, უფრო იშვიათად - მის მარცხენ. ტიპური შეტევითი, ძლიერი ხასიათისაა, იშვიათად ის ყრუ ხასიათის მქონეა. ტიპური გადატევა მარცხენა მხარეში, ძირითადად უღრნარული ზედაპირის გაყოფილთ IV-V-ით მდებარე, მარცხენა ბეჭის მიდამოში, ზოგჯერ კისრის მარცხენა ნახევარში, ქვედა ყბაში, ეპიგასტრი, მარცხენა ყურში, უფრო იშვიათად მარჯვენა მხარეში და ხელში, ეპიგასტრომში.

კლასიკურ დაგნოსტიკურ ნიშნად მიიჩნევენ მკერდული შეიშლის მიღების ტიპობის მიდამოში, როდესაც ავადმყოფი უთხოვს ბნარ ტიპილის ლოკალიზაციას (ლეენის სიმპტომი). შეიძლება ავადმყოფე ტიპილის ნაცვლად გრძობდნენ ხელის დაბეჭვებას. სტენოკარდიული ტიპილი ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ მას თან ახლავს სკვდილის შიშის გრძობა. ტიპილი, ჩვეულებრივ, აღმოცენდება ფიზიკური დატვირთვის (სწრაფი სიარული, კიბეზე ასვლა), ემოციური სტრესის ან სიცოცხის, საკვების გადაძებე-მოცი მიღების შემდეგ. ტიპილი დასაწყისში ხანმოკლეა (1-2 წუთი) და სწრაფად გაივლის მოსვენების ან ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგ. უფრო იშვიათად ტიპილი შეიძლება გახანგრძლივდეს 15-20 წუთამდე. თუკი სტენოკარდიული შეტევა ძალიან გახანგრძლივდეს, საუბარია ანგინურ სტატუსზე - status anginosus. ამ დროს არის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების საშიშროება. სტენოკარდიული შეტევების შეიშლება განვითარდეს საერთო სისუსტე, თავბრუ, ზოგჯერ ქოხინი.

ავადმყოფებს აღუნიშნება სახის სიფერქორაღე, ოფლიანობა. შეტევების დროს ისინი ხშირად იღებენ უმოძრაო იძულებითი პოზას. პალპაციით, პერკუსიით და აუსკულტაციით დამახასიათებელი ცვლილებები არ აღინიშნება. შეტევების დროს ზოგჯერ შეიძლება მოვისმინოთ სისტოლური შუალი, დაკავშირებული პაპილარული კუნთების დისფუნქციასთან და IV ხაზობის ტონი. ჩვე-

ულებრივ შეტევების დროს მაჯის სისხირე არ იცვლება. ზოგჯერ აღინიშნება ტაქიკარდია, ბრადიკარდია ან ექსტრასისტოლური არითმია. სისხლის არტერიულმა წნევამ შეიძლება მოციდამტის.

პერეფერიული სისხლის მხირე პათოლოგიური ცვლილებები არ ვლინდება: ზოგჯერ აღინიშნება პიპერქოლესტერინემია და პიპერქოლიპიდემია.

ელექტროკარდიოგრაფიულად შეტევების დროს აღინიშნება S-T სეგმენტის დატევიება, T კბილის ცვლილებები (გაბრტყელება, იწვერსია, ორვა ზიანობა). შეტევების დამთარების შემდეგ ეკგ სურათი ნორმალიზდება. რიგ შემთხვევაში სტენოკარდიული შეტევის დროს ეკგ ცვლილებები არ ვლინდება. ზოგჯერ ავადმყოფებს აღინიშნება მაღალი, წვეტიანი, ე.წ. კორონარული T კბილი. ფარულად მიმდინარე კორონარული უქმარისობის დასადგენად იღებენ ელექტროკარდიოგრაფიას დობირეული ფიზიკური დატვირთვის შემდეგ (ველოერგომეტრია, ტრდ-მეტეტეტი). სტენოკარდიის ეკგ დაიგნოსტიკისათვის ზოგჯერ მიმართავენ სინგებს მედიკამენტებით (იზოპრენალინი, დიპიტბილინი, ერგოტრინით და სხვა), რომლებიც მოქმედებენ კორონარულ სისხლის მიმოქცევაზე. სტენოკარდიის ხანგრძლივი მიმდინარეობისას ვითარდება გულის რითმის დარღვევა, გულის უქმარისობის სიმპტომები.

დიდი დაგნოსტიკური ღირებულება ენიჭება კორონაროგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს გვირგვინოვანი არტერიების ათეროსკლეროზული შევიწროების ხარისხი, გავრცელება და კოლატერალური სისხლის მიმოქცევის მდგომარეობა.

მიმდინარეობის მიხედვით გამოყოფენ სტენოკარდიის ორ ძირითად კლინიკურ ფორმას - სტაბილურს და არასტაბილურს. სტენოკარდიის სტაბილური ფორმის დროს კლინიკური სურათი შედარებით მუდმივობს ხასიათდება, დაავადება წელა პროგრესირებს და მისი პროგნოზი შედარებით კარგია.

არასტაბილური სტენოკარდიის დროს აღინიშნება დაავადების შედარებით სწრაფი პროგრესირება. ავადმყოფს სტენოკარდიული შეტევები აქვს მოსვენებით პერიოდში და ხშირად შეიძლება შეტევიბა მიოკარდიუმის ინფარქტით ან უცარი სიკვდილი. ამიტომ არასტაბილურ სტენოკარდიის ხშირად წინაინფარქტულ სტენოკარდიას ან გულის იშემიურ დაავადების დროამაველ ფორმას უწოდებენ.

არასტაბილური სტენოკარდიის თავისებური ფორმაა ე.წ. პრინცეპალის ან ვირანტული სტენოკარდია. ანგინოზური შეტევის დაავადების ამ ფორმის დროს აღმოცენდება, როგორც წესი, ღამე, მოსვენების პერიოდში. სტენოკარდიის ჩვეულებრივ შეტევებისგან განსხვავებით, ამ დროს ეკგ-ზე აღინიშნება S-T სეგმენტის მნიშვნელოვანი აწევა ზეით ტიპილის დროს. კორონაროგრაფიული გამოკვლევების ნაჩვენებია, რომ შეტევა განმარობებულია სკლეროზირებული ან უცვლელი გვირგვინოვანი არტერიების სპაზმით.

### მიოკარდიუმის ინფარქტი

მიოკარდიუმის ინფარქტი მწვავე დაავადებაა, რომლის დროსაც ვითარდება გულის კუნთის ნეკროზი, განპირობებული გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევის აბსოლუტური ან შედარებით უქმარისობით. მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებას შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში საფუძვლად უდევს გვირგვინოვანი არტერიების ათეროსკლეროზული შევიწროება. ის შეიძლება განვითარდეს კორონარულ არტერიებში ხანგრძლი-



ვად მიმდინარე საბაზის შედეგადაც. ინფარქტი ლოკალიზდება უფრო ხშირად მარცხენა პარკუჭში. შეიძლება დაზიანდეს მარცხენა პარკუჭის წინა, გვერდითი, უკანა კედელი ან ძვიდე. მარჯვენა პარკუჭის ინფარქტი ძალიან იშვიათად ვითარდება. მიოკარდიუმის ინფარქტის დროს ნეკროზი შეიძლება განვითარდეს სუბენდოკარდიულად, სუბპერკარდიულად, ინტრამურალურად, ან გავრცელდეს გულის კუნთის მთელ სისქეში - ტრანსმურალური ინფარქტი. ავთვისებიანების მიხედვით არჩევენ მსხვილკეროვან და ნერვულკეროვან მიოკარდიუმის ინფარქტს.

ცხრილი 32

სტანოკარდიის და მიოკარდიუმის ინფარქტის ზომიერადი განმარტება

	სტენოკარდია	მიოკარდიუმის ინფარქტი
ტიკილი დაკემბრებული	ძირითადდ ფოტოკარდიოგრაფიით	ხშირად აღმოცენდება მოკლებული მდგომარეობაში
ტიკილის ინტენსივობა	სხვადასხვა ინტენსივობა	ძალიან ძლიერი
ტიკილის ხანგრძლივობა	რამდენიმე წუთი, იშვიათად 30 წუთამდე	რამდენიმე საათი და დღე
ნიტროგლიცერინი	ხსნის, ამცირებს ტიკილს	არ მოქმედებს ტიკილზე
ავადყოფის სახე	ჩვეულებრივი, ფეწქრთალი, ზოგჯერ მუხრებელი	ფეწქრთალი, ციხინოზური, ხშირად მუხრებელი
ტემპერატურა სისხლი	ნორმალური	ხშირად მომატებული
ელექტროკარდიოგრამა	ცვლილებები არ არის	ლეოკოციტოზი, ედსის მატება, ფერმენტების აქტივობის მატება
	ხშირად ცვლილებები არ არის, შეტყვის დროს ზოგჯერ აღინიშნება გარდამავალ მწვავე იშვიათ ნიშნები	მიოკარდიუმის ინფარქტისათვის დამახასიათებელი ცვლილებების დინამიკა

მიოკარდიუმის ინფარქტის კლასიკური ანგნოზური ფორმისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი (რამდენიმე საათი და დღე), ძლიერი მოჭირბოვით ან ხუნლით შეტყვილი მკერდის ძეღის უკან ან მის მარცხნივ, რომელსაც თან ახლავს სიკედილის შიშის შეგრძნება. ტიკილს ახასიათებს ისეთივე ირადიაცია, როგორც სტენოკარდიას. ავადყოფების უფიარდებათ ძლიერი სისუსტე, ადინამია, კანის სიფერქრთალე, ცივი ნებოვანი ოფლი. ტიკილის კუპირება არ ხერხდება ნიტროგლიცერინის მიღებით და ავადყოფები საჭიროებენ ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებას (ცხრილი 32).

აღინიშნება გულის საზღვრების მცირე გადიდება, უფრო მარცხნივ, მოყრუებული ტონები, ტაქიკარდია, უფრო იშვიათად - ბრადიკარდია, ზოგჯერ ჭეჭების რითმი. მაჯა მციერი, ხშირი, რბილია. დამახასიათებელია რითმის სხვადასხვა ხასის დარღვევა (სინუსური ტაქიკარდია, ექსტრასისტოლური არითმია, პაროქსიზმული ტაქიკარდია). არტერიული წნევა დაქვეითებულია, ზოგჯერ მკვეთრად (კოლაფსი). შეიძლება განვითარდეს კარდიოგენული მოკის სურათი. ტრანსსურალური ინფარქტის შემთხვევაში მეკრდის ძეღის მარცხნივ III-IV ნენთაშაჟა მიდამოში შეიძლება მოვისინიშოთ პერიკარდიუმის ხახუნი. მარცხენა პარკუჭის უემარისობის შემთხვევაში ჩნდება

ფილტვების ქვედა ნილებში სველი ხიხინი, მარჯვენა პარკუჭის უემარისობის შემთხვევაში - ლეიძლის გადიდება. ზოგჯერ ვითარდება მარცხენა პარკუჭის მწვავე უემარისობა (კარდიული ასთმა და ფილტვების შეშუპება).


მიოკარდიუმის ინფარქტის მე-2-3 დღეს შეიძლება მოიმატოს ტემპერატურამ სუბფებრილურ ცივრებამდე. ტემპერატურა თანდათანობით ქვეითდება და ნორმალდება 3-7 დღის განმავლობაში.

სისხლში პირველ დღეებში აღინიშნება ნეიტროფილური ლეიკოციტოზი (12-15000 მმ<sup>3</sup>) მარცხნივ გადახრით. რამდენიმე დღეში ლეიკოციტების მომატებული რიცხვი კლებულობს, სამაგიეროდ მატულობს ედსი. ასეთ დამოკიდებულებას ლეიკოციტოზი და ედს-ს შორის, სადაც ლეიკოციტოზი ქვეითდება, ედს-ს კი მატულობს, „მარტალის“ სიმპტომი ეწოდება. დაავადების პირველ დღიდანვე სისხლში მატულობს მოვლობინის კონცენტრაცია. მატულობს რივი ფერმენტის (კრეატინფოსფოკინაზას, განსაკუთრებით, მისი MB-ფრაქციის, ლაქტატიკდეჰიდროგენაზას - (ლდჰ), განსაკუთრებით ლდჰ I ფრაქციის, ტრანსამინ-

ცხრილი 33

სისხლის შრატის ენჰიმეპის აქტივობა მიოკარდიუმის ინფარქტის დროს

ენზიმი	ნორმალური მარცხენა	მიოკარდიუმის ინფარქტი	აქტივობა სხვა დაავადების დროს
კრეატინფოსფოკინაზა	50 U/L	მატულობს 2-4 საათი დაავადების დანერგდან მაქსიმუმ არცხე 18-26 საათი. მატულობს 30-ჯერ ნორმალის შედარებით ნორმალდება 3-6 დღეში. სპეციფიკურა მისი MB ფრაქცია ადრეული ფაზის ენზიმი	შეიძლება მომატებული იყოს ფრანკოზონოზოზის, მიასოფრის, პოლიორთოზის დროს
ასპარტატ ამინოტრანსფერაზა	19-29 U/L	მატულობს 24-28 საათი, 25-ჯერ ნორმალის შედარებით ქვეითდება 3-6 დღეში. ადრეული ფაზის ენზიმი	მატულობს, ცხვირის, კუნთების დაავადების დროს
ალანი ამინოტრანსფერაზა	10-34 U/L	მატულობს რამდენიმე საათი. მაქსიმუმ არცხე 48 საათი - 100 საერთო ერუელმდე, ნორმალდება 4 დღეში. ადრეული ფაზის ენზიმი	მომატებულია ლეიძლის, კუნთების დაავადების დროს
ლექტატდეჰიდროგენაზა	60-170 U/L	მატულობს 24-36 საათი, მაქსიმუმ არცხე 2-4 დღეში, 7-20-ჯერ ნორმალის შედარებით სპეციფიკურა მისი I ფრაქციის მატება გვიანი ფაზის ენზიმი	მატულობს ლეიძლის, კუნთების დაავადების დროს



სურ. 179 მოიკარდუმის ინფარქტი. ფერმენტების აქტივობის დინამიკა. — კრეატინინოფოსფოკინაზა; --- ასპარტატამინოტრანსფერაზა; ..... ალანინამინოტრანსფერაზა; - - - ლაქტატდეჰიდროგენაზა

ნაზების - ასპარტატ და ალანინ ამინოტრანსფერაზების აქტივობა (ცხრილი 33, სურ. 170). დადებითი ხდება C-რეაქტიული ცელა. აღინიშნება დარღვევა სისხლის შემდეგდებული სისტემების მხრივ.

მოიკარდუმის ინფარქტის დიაგნოსტიკაში, მისი ლოკალიზაციის დადგენაში და დაავადების მიმდინარეობაზე დინამიკური დაკვირვებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროკარდიოგრაფიულ კვლევის შეთოდს. დაავადების პირველ საათებში აღინიშნება S-T სეგმენტის და T კბილის ცვლილებები. R კბილის დაღმავალი მუხლი არ აღნებს იზოელექტრულ ხაზს და გადადის რა უშუალოდ S-T სეგმენტში, წარმოქმნის გუმბათისებურ რკალს, რომელიც მიმართულია ზეითი და უშუალოდ უფრო დიდება T კბილს. წარმოიქმნება ე.წ. მონოფაზური მრუდი. ეს ცვლილებები აღინიშნება დაახლოებით 2-5 დღე. შემდეგ S-T სეგმენტი თანდათანობით ქვეითდება იზოელექტრულ ხაზამდე, T კბილი კი ხდება უარყოფითი, ღრმა. ჩნდება ღრმა Q კბილი, R კბილი ქვეითდება ან საესებით ქრება. ამ შემთხვევაში ხდება QS კბილის ფორმირება. QS კბილის გაჩენა დამახასიათებელია ტრანსმურალური ინფარქტისათვის. ინფარქტის ლოკალიზაციის მიხედვით პარკუჭოვანი კომპლექსის ცვლილებები აღინიშნება სათანადო განხრებში. მოიკარდუმის წინა კედლის ინფარქტის დროს აღინიშნული ცვლილებები ვითარდება II, III,


aVL და გულმკერდის V<sub>3</sub>, V<sub>4</sub> განხრებში, უკანა კედლის ინფარქტის დროს III და aVF განხრებში, გვერდითი კედლის ინფარქტის - V<sub>5</sub>, V<sub>6</sub> განხრებში, ძვიდის ინფარქტის - V<sub>1</sub>, V<sub>2</sub> განხრებში. ძვიდის ინფარქტის დროს ხშირია რითმის და გამტარობის დარღვევა (სურ. 171, 172).

ინფარქტის დანაწიურების ფაზაში შეიძლება ეკვ სურათი მთლიანად გამოსწორდეს ან ხანგრძლივად რჩება ღრმა Q კბილი და უარყოფითი T კბილი.


მოიკარდუმის ინფარქტი ზოგჯერ შეიძლება მიმდინარეობდეს ატიპურად. ინფარქტის ასთმური ფორმის დროს ტკივილის სინდრომი გამოხატულია სუსტად. ავადმყოფს აღნიშნება კარდული ასთმის შეტევა, რომელიც შემდეგ გადადის ფლტების შემუშებაში. აბდომინური ფორმა ხასიათდება ტკივილის ლოკალიზაციით ეპიგასტრიუმის მიდამოში, რომელსაც თან ახლავს გულის რევა, ღებინება, მუცლის შეტევა. ცერებრული ფორმის დროს აღინიშნება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის სხვადასხვა ხასიათის დარღვევა - თავბრუს, გულის წასვლა, ავზება, თავის ტკივილი, ცერებრული ინსულტის სურათი. უშტკივნეულო ფორმის დროს დაავადება შეიძლება გამოხატოს გულის უკმარისობის, გულის რითმის და გამტარობის დარღვევის სიმპტომებით. ხშირად ის ვლინდება შემთხვევითი კლექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევების დროს.

მოიკარდუმის წერილკროვანი ინფარქტის დროს დაავადების კლინიკური გამოვლინება შედარებით ნაკლები ხარისხით არის გამოხატული. ეკვ-ზე აღინიშნება ST სეგმენტის დაქვეითება, უარყოფითი T კბილი.

ინფარქტის მიმდინარეობა და გამოსავალი ბევრად არის დამოკიდებული დამინიშნული კერის ლოკალიზაციაზე, სიდიდეზე და გართულებებზე. ნეკროზული უზნის დანაწიურება გრძელდება 4-6 კვირა და მთავრდება კეროვანი - პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზის ჩამოყალიბებით. გართულებებიდან აღსანიშნავია კარდიოგენული მოკი, გულის მხვანება და ქრონიკული უკმარისობა, რითმის და გამტარობის დარღვევა, პერიკარდიტი, პარკუჭთაშუა ძვიდის პერფორაცია, პაპილარული კუნთების მოწყვეტა, გულის ანევრიზმის განვითარება, პოსტინფარქტული (დრესლერის) სინდრომი, გულის კედლის გახუთება (რუმბურტი), თრომბოზულიკარდების განვითარება, თრომბოემბოლიური სინდრომი, ფილტვის ინფარქტი, კუჭის და ნაწლავების პარეზი, ფსიქიკური გართულებანი და სხვა.



სურ. 171 მოიკარდუმის წინა კედლის ინფარქტი. I რიგი - ეკვ მოიკარდუმის ინფარქტის განვითარებამდე. II-IV რიგები - ეკვ-ლი სურათის დინამიკა მოიკარდუმის ინფარქტის სხვადასხვა ეტაპებში. ა. მწვევა სტადია; ბ. ქვემწვევა სტადია; გ. დანაწიურების პროცესი; დ. ნაწიურებადი ცვლილებები მოიკარდუმში



სურ. 172 მოიკარდუმის უკანა კედლის ინფარქტი. I რიგი - ეკვ მოიკარდუმის ინფარქტის განვითარებამდე. II-IV რიგები - ეკვ-ლი სურათის დინამიკა მოიკარდუმის ინფარქტის სხვადასხვა ეტაპებში. ა. მწვევა სტადია; ბ. ქვემწვევა სტადია; გ. დანაწიურების პროცესი; დ. ნაწიურებადი ცვლილებები მოიკარდუმში

კარდიოგენული შოკის განვითარების თავიებურებებიდან და მისი კლინიკიდან გამომდინარე, არჩევნად მის რამდენიმე სახეს: რეფლექტორულ ან ტკივილით გამოწვეულ შოკს (დაკავშირებულია მიოკარდიუმის ინფარქტის დროს განვითარებულ ძლიერ ტკივილთან, რაც იწვევს სისხლძარღვთა ტონუსის ცვლილებებს), არითმიულ შოკს (დაკავშირებულია რითმის მწვავე მოშლასთან) და ტემპორიტ კარდიოგენულ ან არეაქტიულ შოკს (დაკავშირებულია გულის უმშველად ფუნქციის დაქვეითებასთან, მიოკარდიუმის დიდი უბნის ნეკროზის გამო).

მიოკარდიუმის ინფარქტის დროს პროგნოზი ხერხიო წელია. ლეტალობა 12-25%-ს შეადგენს. სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზია კარდიოგენული შოკი, რითმის მწვავე მოშლა (პარკუჭეუბის ფიბრილაცია) და გულის მწვავე უემარისობა.

### პარდიოსკლეროზი


კარდიოსკლეროზი გულის კუნთში შემართებული ქსოვილის განვითარებას გულისხმობს. კარდიოსკლეროზი შეიძლება განვითარდეს გადატანული მიოკარდიტის (პოსტმოკარდიტული კარდიოსკლეროზი), მიოკარდიუმის ინფარქტის (პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი) შედეგად. ზოგიერთი გამყოფენ აგრეთვე ე.წ. ათეროსკლეროზულ კარდიოსკლეროზს, რომელიც ხანგრძლივად მიმდინარე კორონარული ათეროსკლეროზის შედეგია.

კარდიოსკლეროზის კლინიკური სურათი ხასიათდება გულის უემარისობის და არითმიული სინდრომის სხვადასხვა გამოვლინებით. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, როგორც ცალკე ნოზოლოგიური ერთეული, ის არ განიხილება.

### კარდიომიოპათია


კარდიომიოპათიის სახელწოდებით გავრთიანებულია მიოკარდიუმის არანათებითი დაავადებების უჯგუფი, რომელთა ეტიოლოგიაც უცნობია. ისინი ხასიათდება კარდიომეგალიით, გულის მძიმე, მკურნალობისადმი რეფრატორული უემარისობის განვითარებით, რითმის და გამტარობის რთული დარღვევებით. გამოყოფენ კარდიომიოპათიის რამდენიმე სახეს - შეგუებით, მიკერტროფიულ და რესტრიქციულ კარდიომიოპათიებს. მათ იდოპათიურ ან პირველად კარდიომიოპათიებს უწოდებენ განიხილავენ აგრეთვე მეორად კარდიომიოპათიებს, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ალკოჰოლური ინტოქსიკაციის, შემართებული ქსოვილის სისტემური დაავადებების, თირკეთლქსოვილის, მიქსედემის, ავტოაბინოზების და სხვათა შედეგად.

შეგუებითი ან დილატაციური კარდიომიოპათია (სურ. 173) ხასიათდება გულის კუნთის გენერალიზებული დაზიანებით, გულის ღრუების, უპირატესად მარცხენა პარკუჭის გამოსატული დილატაციით და მიოკარდიუმის უმშველად ფუნქციის მკვეთრი დაქვეითებით. გულის კუნთის მიკერტროფია ნაკლებად არის გამოხატული. კლინიკური სიმპტომატიკა ვითარდება თანდათანობით. კლინიკურ სურათში ნამყენია გულის პროგრესირებადი უემარისობის სურათი, რომელიც რეზისტენტულია საგულე გლიკოზიდების მიმართ, რითმის და გამტარობის ხშირი დარღვევა, დაავადების გვიან სტადიებზე სხვადასხვა ლოკალიზაციის თრომბოემბოლიების განვითარება. დასაწყისში პირველად მარცხენაპარკუჭიანი უემარისობის სურათი, უფრო გვიან თვალნათლივია მარცხენა გულის უემარისობის ნიშნები.



სურ. 173 შეგუებითი კარდიომიოპათია. მარცხენა გულის ჭრლი. მარცხენა პარკუჭის დილატაცია. 1. მარცხენა ნინაგული; 2. მარცხენა პარკუჭი; 3. არტა

რენტგენოლოგიურად აღინიშნება გულის ზომების მნიშვნელოვანი მატება, ფლტკებში - შეგუებითი მოვლენები. ეკგ-ზე ვლინდება ხშირად სინუსური ტაქიკარდია, S-T სეგმენტის და T კბილის არასპეციფიკური ცვლილებები, არითმია, გამტარობის დარღვევა. ზოგჯერ გამოხატულია Q კბილი, მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანის გარეშე, დაკავშირებული გულის კუნთის ფიბროზულ ცვლილებებთან. ექოკარდიოგრაფია გამოკვლევის მნიშვნელოვანი მეთოდია სხვა ეტიოლოგიის გულის უემარისობის გამოსარცხად - გამოხატულია პარკუჭების დი-



სურ. 174 მიკერტროფიული კარდიომიოპათია. მარცხენა გულის ჭრლი. მარცხენა პარკუჭის და პარკუჭთაშუა ძგიდის გამოსატული მიკერტროფია. 1. მარცხენა ნინაგული; 2. მარცხენა პარკუჭი; 3. არტა; 4. ძგიდე

ლატაცია კუმშავად ფუნქციის მკვეთრი დაქვეითებით. ვენტრიკულოგრაფია გვიჩვენებს პარკუჭების გადიდებას, კედლების მოძრაობის დაქვეითებას, ზოგჯერ აროზმებს პარკუჭებში. გულის კათეტერიზაციით მატულობს პარკუჭების საშუალო სისხლოური და დიასტოლური წნევები. დაქვეითებულია განდევნის ფრაქციაც.

დაგნოზის დაზუსტების მიზნით მიმართავენ გულის უკნით ბიოფლასს.

**ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიისათვის** (სურ. 174) დამახასიათებელია მიოკარდიუმის, უპირატესად მარცხენა პარკუჭის და განსაკუთრებით პარკუჭთაშუა ძვიდის ჰიპერტროფია, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მარცხენა პარკუჭის ღრუს ზომის შემცირება. ზოგ შემთხვევაში აღინიშნება მარცხენა პარკუჭის გამავალი ტრაქტის ობსტრუქციის ნიშნები, რის გამოც ჰიპერტროფიულ კარდიომიოპათიას ყოფენ როგორც ობსტრუქციულს და არაობსტრუქციულს. ზოგ შემთხვევაში აღინიშნება პარკუჭების ანაკალური ნაწილის ან პარკუჭთა თომოსის ძვიდის (სურ. 175) იზოლირებული ჰიპერტროფია (ე.წ. ჰიპერტროფიული სუბაორტული სტენოზი). ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიისათვის დამახასიათებელია გულის დიასტოლური ფუნქციის დარღვევა. დიასტოლის პერიოდში სისხლის საკმარის რაოდენობა არ ჩადის პარკუჭებში (განსაკუთრებით მარცხენაში), მათი დაქვეითებული ჭივადობის გამო, რაც იწვევს საბოლოო დიასტოლური წნევის სწრაფ მატებას. ვითარდება მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფია და დილატაცია და შემდგომ კი - წნევის მატება მცირე წრეში.

კლინიკურად დამახასიათებელია ტკივილი გულის მიდამოში, ქოშინი, გულის ფრიალი, თავბურ, თავის ტკივილი, მიდრეკი-

ლება გულის ნასესობა კენ. აღინიშნება მოციმციმე არითმიის და პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევები. პულსი სწრაფი და მაღალია. გამობატულია მწვერულის ბიძგი. გულის აუსკულტაციით მოისმინება სისტოლური შუილი მწვერვალის მიდამოში და მე-5 ნერვულში, II ტონის სიღრმეზე შენარჩუნებულია. სისტოლური შუილი დაკავშირებულია გამავალი ტრაქტის შევიწროებასთან და მიტრალური რეგურგიტაციის განვითარებასთან.

ექსკარდიოგრაფიით გამოკვლევა საშუალებას იძლევა დაბეჭდვით დანისვას დაავადების დიაგნოზი. ექოკარდიოგრაფიულად აღინიშნება პარკუჭთაშუა ძვიდის ასიმეტრიული ჰიპერტროფია, უფრო გამობატული მის ზედა მესამედში, მისი პიოკინეზი, მიტრალური სარქუნლის წინა კარდის სისტოლური მოძრაობა წინ, მისი შეხება პარკუჭთაშუა ძვიდესთან დიასტოლის დროს. ვლინდება აგრეთვე მარცხენა წინაგულის დილატაცია და მარცხენა პარკუჭის უკან კედლის ჰიპერტროფია.

ეკგ ცვლილებები არასპეციფიკურია - აღინიშნება მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია. პარკუჭთაშუა ძვიდის იზოლირებული ჰიპერტროფია იწვევს დიდი ამპლიტუდის არავარია Q კბილის გაჩენას მარცხენა დიდემკრდის განხრებში (Vs, V6), მოვლიანებით სტადიაში აღინიშნება მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები - ფართო P კბილი (0,10 წამზე მეტი), მისი ამპლიტუდის მატება, ორფაზიანი P კბილი V6 განხრებში.

სტიგმოგრაფამ ზე აღინიშნება დიდი ალფა ტალღა, ორმაგი კაროტიდული პულსი.

გულის კათეტერიზაციით ვლინდება მიტრალური რეგურგიტაცია, მარცხენა პარკუჭის ღრუს ობლიტრაცია. გულის სისტოლური ფუნქცია შენარჩუნებულია, დიასტოლური - დარღვეული.


რენტგენოლოგიურად ვლინდება გულის მარცხენა სახელების გადიდება, აორტის აღმავალი ნაწილის გაგანირება.

რესტრიქციული კარდიომიოპათიის დროს ადვილი აქვს პარკუჭების ღრუს ობლიტრაციას ენდომიოკარდიული ფიბროზის შედეგად. აღინიშნება პარკუჭების დიასტოლური ფუნქციის დარღვევა, პარკუჭების აესვის დაქვეითება. გულის სისტოლური ფუნქცია ნორმალა ან მსუბუქადაა დაქვეითებული.

ავადმყოფი უჩივის ქოშინს, სისუსტეს, დატვირთვისდმი დაქვეითებულ ტოლერანტობას. აღინიშნება გულის მარჯვენა-წინაბიო შეეფუძებით უკმარისობა - პერიფერიული მსუბუქებში, ჰეპატომგავალი, ასციტი. მომატებულია წნევა საულლე ვენაში. ხშირად მოისმინება პათოლოგიური III და IV ტონები. ეკგ-თვის დამახასიათებელია დაბალი ვოლტაჟი, გამტარობის დაქვეითება, S-T მონაკვეთის ცვლილებები. რენტგენოლოგიურად გამობატულია ზომიერი კარდიომგავალი, შეგუბებითი მოვლენები ფილტვებში. მარცხენა პარკუჭის ზომა ნორმალურია ან მცირედ შემცირებული. დამახასიათებელია პარკუჭების კედლის და ძვიდის სისქის მატება. ხშირად აღინიშნება კუსტაულის ნიშნი (ცენტრალური ვენური წნევის მატება ჩასუნთქვისას).

### გულის ნეკროზი

გულის ნეკროზი ნეიროციკულატორული დისტონიის კერძო გამოვლინებაა. ის ფუნქციური ბუნების დაავადება და გამომწვეულია უპირატესად დსქოვანური და ნერვოზული ფაქტორებით. ვლინდება მრავალრიცხოვანი ჩვილებით, რომლებიც დაკავშირებულია გულსისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი და ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციონირებასთან. დაავადება ხშირად დაკავშირებულია ნერვულ-ემოციურ



სურ. 175 ჰიპერტროფიული სუბაორტული სტენოზი. მარცხენა გულის ქრლი. 1. პარკუჭთაშუა ძვიდის ჰიპერტროფორებული უბანი, რომელიც იწვევს მარცხენა პარკუჭის გამავალი ტრაქტის ობსტრუქციას; 2. ძვიდე; 3. მარცხენა პარკუჭი; 4. მიტრალური სარქველი; 5. მარცხენა წინაგული; 6. აორტა; 7. სისხლის რეგურგიტაცია წინაგულში; 8. სისხლის ნაკადის მიმართულება

სტრესთან, გადაღლასთან, პორმოზულ დარღვევებთან, ქრონიკულ ინფექციებთან. გარკვეულ როლს ასრულებს შიამომაველობითი-კონსტიტუციური ფაქტორი. უფრო ხშირად ვითარდება ასთმეიური კონსტიტუციის პირებში, უპირატესად ქალებში. დაავადება მიმდინარეობს ხანგრძლივად, მაგრამ პროგნოზი კარგია.

დაავადების კლინიკური სურათი შეიძლება ძალიან პოლიმორფული იყოს. ჩივილები მრავალფეროვანია. ავადმყოფები უჩივან ძირითადად ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილს გულის მიდამოში. ტკივილი უპირატესად ლოკალიზებულია გულის მწვერვალის მიდამოში. ის შეიძლება სხვადასხვა ხანგრძლივობის იყოს და ზოგჯერ ვრძელდება საათების და დღეების განმავლობაში. ტკივილი ხშირად არის დაკავშირებული გადაღლასთან, ალკოჰოლთან, ამინდის ცვალებადობასთან, აკლიმატის მიღებასთან. ქალებში აღინიშნება ზოგჯერ მენსტრუაციის წინა პერიოდში. ტკივილი შეიძლება ღამე აღმოცენდეს უსაიმოვნო სიმძრევითან დაკავშირებით, აგრეთვე მაშინ, როდესაც ავადმყოფს აქვს ვეგეტატიური კრიზი, გულის ფრიალი და არტერიული წნევის მატებით. ნიტროვალციკლინი ტკივილს არ ამცირებს, სამაგიეროდ ტკივილი გაიფის ნერვული სისტემის დამანყარებელი საშუალებების მიღებისას. ავადმყოფები ხშირად უჩივან პაების უკმარისობას, აღენიშნებათ ოფლიანობა, უჭირთ ღრმა ჩასუნთქვა, ხშირად ამთქმარებენ. ზოგჯერ აღენიშნებათ თავბრუ, გულის ფრიალი, შიშის გრძნობა. ხშირია ასთმეიური სიმპტომები - ფიზიკური სისუსტე, დაღლილს შეგრძნება, ცუდად იტანენ ამინდის ცვალებადობას. ზოგჯერ კლენდება სუბეპირალური ტანგრატიურა, რომელიც არ აღემატება 37,2-37,5°C-ს. ბოყინი, უმადობა.

ობიექტურად ხშირად აღინიშნება ფეხუბელები, აპათიური გამომეტყველება, თითების ტრემორი, ხელისგულების ოლიანობა, სახეზე და გულმკერდზე „დაფთოილი“ ჰიპერემია, გამოსატყლია დერმოგრავიზმი, კიდურები ცივია, ფერმკრთალი, ზოგჯერ ციანოზური.

აუსკულაციით ზოგჯერ ისმის ნაზი სისტოლური შუილი, მწვერვლის ან ფლტვის არტერიის მოქსანზე მიდამოში. შუილის მიზეზი სისხლის მიმოქცევის პიკონენტული მდგომარეობა და სისხლის ნაკადის აჩქარებაა. უმჯობესია ლაბილურია, ადვილად ვითარდება ტაქიკარდია ემოციის დროს. არტერიული წნევა ცუდ ლაბილურია. სხვა ორგანოების და სუნთქვების მხრივ პათოლოგიური გადაზრები არ აღინიშნება. ეკგ-ზე ზოგჯერ კლინდება T კიბლის დაქვეითება, იშვიათად ექსტრასისტოლია.

### ფილტვისისიარი გული

ფილტვისისიერი გულის ქვეშე გულისხმობენ გულის მარჯვენა ნაწილის, უპირატესად მარჯვენა პარკუჭის მიპერტროიას და დილატაციას, რაც ვითარდება სასუნთქი სისტემის დაავადებებით გამოწვეული მცირე ნის მიპერტენიის შედეგად. არჩევენ მწვევე, ქვეშეწვევე და ქრონიკულ ფილტვისისიერი გულის.

მწვევე ფილტვისისიერი გული ვითარდება ფილტვის ორობოტეობოლის, მწვევე პნემონოპიაქსის, ზოგჯერ გახანგრძლივების დროს ბრონქული ასთმის შედეგად. ქრონიკული ფილტვისისიერი გული აღინიშნება დიფუზური პნემონოკლეროზის, ქრონიკული ბრონქიტის, ფილტვების ემფიზემის, ბრონქული ასთმის, ტუბერკულოზის და სასუნთქი სისტემის ზოგიერთი სხვა დაავადების დროს.

მწვევე ფილტვისისიერი გულის კლინიკური სურათი ხასიათდება ძირითადი დაავადების სიმპტომოკომპლექსით და მარჯვენა პარკუჭის მწვევე უკმარისობის სურათით.

ქრონიკული ფილტვისისიერი გულის დროს ავადმყოფს აღენიშნება იმ ძირითადი დაავადების სიმპტომები, რომელზეც გამოიწვია ფილტვისისიერი გულის განვითარება, ფილტვების (სუნთქვითი) უკმარისობის და მარჯვენა პარკუჭის ქრონიკული უკმარისობის სურათი.


### პერიკარდიტი

პერიკარდიტი გულის გარეთა გარსის - პერიკარდუმის ანთებაა. ის შეიძლება იყოს ინფექციური და არაინფექციური ბუნების. ინფექციური პერიკარდიტის გამოწვევია სხვადასხვა ენერსი, ბაქტერია და სხვა. არაინფექციური პერიკარდიტი ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტის, ურემიის, ტრავმის შედეგად. პერიკარდიტი შეიძლება მიმდინარეობდეს მწვევედ და ქრონიკულად. თავის მხრივ, მწვევე პერიკარდიტი შეიძლება იყოს მშრალი და ექსუდაციური.

მშრალი პერიკარდიტი (pericarditis sicca, fibrinosa) პერიკარდიუმის ფურცლების ფიბრული ანთებაა. ამ დროს ავადმყოფის ერთადერთ ჩივილს შეიძლება წარმოადგენდეს მჩხვლეტი ტკივილი გულის არეში. ის ლოკალიზებულია მკერდის ძეხლის უკან ან მის მარცხნივ და შეიძლება გადაიქცეს მხარბი, ბეჭებში, კისერში ან ეპიგასტრუმში. ტკივილი უფრო გამოხატულია, როდესაც ავადმყოფი ნეკს და შეიძლება გაიაროს, თუ-კი აწიოვებოდეს. ინსულქციით, პერუსით და პალპაციით ცვლილებები არ აღინიშნება. აუსკულტაციით მოისმინება პერიკარდიუმის ხახუნი. მშრალი პერიკარდიტი გაიფის 2-3 კვირამ ან შეიძლება გართულდეს ექსუდაციური ან მუხორცეხითი პერიკარდიტით.

ექსუდაციური პერიკარდიტის (pericarditis exsudativa) დროს პერიკარდიუმის ღრუში გროვდება სეროზული, სეროზულ-ფობრინული, პემორავიული, ჩირქოვანი და სხვა სახის ექსუდატი. ავადმყოფის საერთო მდგომარეობა შედარებით მძიმეა. აღინიშნება საერთო სისუსტე, შემცივნება, ტემპერატურის მატება, ოფლიანობა. ავადმყოფს აწუხებს უსაიმოვნო შეგრძნება და ტკივილი გულმკერდში, ქოშინი, უჭირს ზურგზე წოლა. სახე ფერმკრთალია, ციანოზური კლერეა. კისრის ვენები შეებერილია, რადგანაც გამწვანებულია სისხლის დინება ზემო ღრუ ეწინიდან გულისაკენ. სითხის დიდი რაოდენობით დაგროვება პერიკარდუმში იწვევს ზემო ღრუ ეწინაზე ხეწლას. შეიძლება განვითარდეს სახის, კისრის, ხელების, გულმკერდის ნახის ზედაპირის შეშუპება (ტორქის საყელო). ავადმყოფი იღებს დამასისაიბეღელ მოვალს. იხინი სხედან საწოლში წინ გადახარული. გულმკერდის დაზოადიერებით აღინიშნება ნექნათობა მიდამოების ხასდავება. მწვერვალის ბიძგი არა.ჩანს. თუკი ხერხდება მისი პალპაცია, ის არის გულის მოყრუების მარცხენა საწლურის შიგინი. გულის საზღვრები გადიდებულია ყველა მიმართულებით. ის იღებს ნაკვეთილ სამკუთხედის ან ტრამეციის ფორმას (სურ. 176). ემტენის კუთხე ზღავი ხდება. გულის ტინები მოყრუებულია. მაუკა, ჩვეულტბრივ, გახშირებულია, მცირე, ზოგჯერ პარადოქსული. არტერიული წნევა ნორმალურია ან დაქვეითებული, ვეზური წნევა მომატებულია.

რენტგენოლოგიურად აღინიშნება გულის ჩრდილის გადიდება ყველა მიმართულებით, გულის ტალაი ან არის გამოსატყული, უკმარისია მკვეთრად არის შესუსტებული.



სურ. 176 პერკუსული მონაცემები ექსუდაციური პერიკარდიტის დროს

ეკგ-ზე ვლინდება დაბალი ვოლტაჟი. აღინიშნება ცვლილებები S-T სეგმენტისა და T კბილის მხრივ. S-T სეგმენტი დასანაყისმი იზონაზის ზეითაა, შემდგომ ქვეითდება, T კბილი დეპრესიულია, ხშირად უარყოფითი. ექოკარდიოგრაფიულად დგინდება პერიკარდიუმის ღრუში სითხის დაგროვება. ექსუდატის სწრაფი დიდი რაოდენობით დაგროვებისას შეიძლება განვითარდეს ე.წ. გულის ტამპონადი, რომელიც იწვევს გულის არასაკმარის დაისტოლურ ავსებას. ამ დროს ვითარდება კოლაფსი და ავადმყოფი საჭიროებს გადაუღებელი ლონისძიებების ჩატარებას.

შეზორცებითი ან კონსტრიქციული პერიკარდიტი (pericarditis constrictiva) მიმდინარეობს ქრონიკულად. უფრო ხშირად ის ჩირქოვანი ექსუდაციური პერიკარდიტის შედეგად ვი-

თარდება. პერიკარდიუმის ვისცერული და პარიეტული ფურცლების მასიური შეზორცების განვითარების დროს, აგრეთვე თუ შეზორცებითი განვითარდა მეზობლად არსებულ პლევრასთან და შუასაყარის ორგანოებთან, ვითარდება გულის ქრონიკული უკმარისობის სურათი. ამ დროს ძირითადად დარღვეულია გულის დაისტოლური ფუნქცია. კალციუმის მარილების ჩალაგების შედეგად შეიძლება განვითარდეს ე.წ. „კაჟემიანი გული“. ავადმყოფები უჩივიან ქოჩნის ფიზიკური დატვირთვისას, გულის ფრიალს. გამოხატულია მსუბუქი ციანოზი, ხშირად აღინიშნება მწვერვალის უარყოფითი ბოძგი. კისრის ვენები შეებრიალია, რაც განსაკუთრებით მაჯიოდ ჩანს ჩასუნთქვის ფაზაში, განსხვავებით ნორმისაგან, როდესაც ჩასუნთქვისას ვენების სისხლსავსებობა მცირდება. პალპაციით საძვერს ვერ ნახულობენ, გულის საზღვრები ნორმის ფარგლებშია, გულის ტონები მოყრუებული. მაჯა გახშირებულია, ხშირად ის არის პარადოქსული (ჩასუნთქვის დროს შეიძლება გაქრეს). არტერიული წნევა დაქვეითებულია, ვენური წნევა კი მნიშვნელოვნადაა მომატებული (200-400 მმ წყლის სვეტი და მეტი). შეზორცებითი პერიკარდიტის დროს გადიდებულია ლეიძლი, ზოგჯერ ელენთა, გამოხატულია ასციტი. ლეიძლის გადიდება გამოწვეულია ქვემო ღრუ ვენაზე ზეწოლით, რაც იწვევს მასში სისხლის ხანგრძლივ შეგუბებას და შემარტებელი ქსოვილის გამრავლებას. ვითარდება ე.წ. „პიკის ფსევდოციროზი“. ამ დროს ავადმყოფები უჩივიან ტკივილს მარჯვენა ფერდქვეში მიდამოში, მუცლის შებერვას. პერიფერიული შემუშებები ვითარდება უფრო იშვიათად და გვიან, ვიდრე ასციტი.

რენტგენოლოგიური გამოკვლევებით ვლინდება პერიკარდიუმის კალციფიკაციის (გაკირვის) სურათი. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ფილტვებში შეგუბებითი მოვლენები არ აღინიშნება. გულის ზომები ნორმის ფარგლებშია. ეკგ ცვლილებები არასპეციფიკურია. აღინიშნება QRS კომპლექსის ვოლტაჟის დაქვეითება, უარყოფითი T კბილი და პარკუჭთაშუა გამტარობის დარღვევა. გულის კათეტერიზაციით ვლინდება დაისტოლური წნევის მკვეთრი მატება გულის ყველა ღრუში.

# თავი IV

## საქმლის მომწელებელი სისტემა

### საყლაპავი გამოკვლევის მეთოდავი

ცხრილი 34

#### გამოკითხვა

დისფაგიის მიზეზები

#### ჩივილები

საყლაპავის დაავადებების დროს ავადმყოფი ძირითადად უჭირს ყლაპვის გაძნელებას, გაძლიერებულ წერწყვის დენას, ტკივილს საყლაპავის გაყოლებით, გულძმარვას, საყვების პირში დაბრუნებას (რეგურგიტაციას) და სხვა.

საყლაპავი საყვების პირის ღრუდან უკუში გატარების პასუხისმგებელია და ეს სორციელდება მისი პერისტალტიკური მოძრაობით. ამავე დროს, მისი ქვედა სფინქტერის შეკუმშვის წყალობით უკუის მივთავსი უკან არ ბრუნდება. საყლაპავის დაავადების სიმპტომები აღმოცენდება მაშინ, როდესაც დარღვეულია მისი ეს ფუნქციები. ტრანსპორტიული ფუნქციის დარღვევას თან სდევს ყლაპვის გაძნელება, დარღვეული პერისტალტიკური შეკუმშვის შედეგად შეიძლება განვითარდეს ტკივილი. გასტროგოფაგური რეფლუქსი იწვევს გულძმარვას და საყვების რეგურგიტაციას, ამასთან შეიძლება განვითარდეს ლორწოვანის ანთება მისი დანყულულებით და სხვა.

ყლაპვის გაძნელება — დისფაგია — საყლაპავის დაავადებების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სიმპტომია. ავადმყოფს აქვს საყვების გაჩერების, "ყელზე დადგომის" შეგრძნება და ხშირად ხელით მიუთითებს იმ მიდამოს. დისფაგიის მიზეზი შეიძლება იყოს საყლაპავის ფუნქციური ან ორგანული შევიწროება. ფუნქციური შევიწროება განპირობებულია მისი მუსკულატურის სპაზმით ნევროზის დროს ან აღინიშნება ინერვაციის რეფლექსური დარღვევის შედეგად. საყლაპავის ორგანული შევიწროება აღმოცენდება ანთების შედეგად განვითარებული ნაწინბურების, საყლაპავის კიბოს გამო, საყლაპავში უცხო სხეულის მოხვედრისას და ბოლოს, საყლაპავზე გარედან რაიმე ზეწოლის შედეგად — მუსასაყრის სიმსივნეები, აორტის ანევრიზმა, გადიდებული მარცხენა წინაგული, ჩიყვი და სხვა. ზოგჯერ დისფაგიის მიზეზი შეიძლება იყოს პირის ღრუს და ხახის დაავადებები, ქრონიკული ტონზილიტი და სხვა (ორფარინგული დისფაგია). დისფაგია შეიძლება განვითარდეს აგრეთვე უკუის კარდილ ნაწილში მიმდინარე სტენოზური პროცესების და სპაზმის შედეგადაც. დისფაგია შეიძლება აღმოცენდეს ისეთი ზოგადი დაავადებების დროს, როგორებიცაა ავთვისებიანი მიასთენია, პოლიმიოზიტი და სკლეროდერმია, როდესაც კუნთოვანი პათოლოგიის შედეგად ადილი აქვს საყლაპავის ზედა ან ქვედა სფინქტერების ფუნქციის დარღვევას (ცხრილი 34).

- I ოროფარინგული ( მალალი ) დისფაგია პირის ღრუს, ენის, ხახის დაავადებები ქრონიკული ტონზილიტი
- II ნეიროკუნთოვანი დარღვევები საყლაპავის დიფუზური სპაზმი ახალა ზია ავთვისებიანი მიასთენია სკლეროდერმია პოლიმიოზიტი ცერებოვასკულური დარღვევები ცოფი ტანტანუსი
- III ორგანული დარღვევები უცხო სხეული ნაწინბურები კიბო ცენტრის დიფერტიკული მაციის რგოლი მემბრანა რეფლუქს ეზოფაგოტი
- IV გარეგანი ზეწოლა საყლაპავზე ჩიყვი მედიასტინური ჯირკვლები გადიდებული მარცხენა წინაგული აორტის ანევრიზმა

ფუნქციური დისფაგიისათვის დამახასიათებელია როგორც თხიერი, ასევე მკერძი საყვების ყლაპვის გაძნელება. ზოგჯერ აღინიშნება თხიერი, განსაკუთრებით ცივი საყვების, წყლის გადაყლაპვის გაძნელება, მაშინ როდესაც მკერძი საყვები შეიძლება ვადიდეს თავისუფლად (პარადოქსული დისფაგია). ფუნქციური დისფაგია ვითარდება პერიოდულად, ხშირად უცნაოდ, მტკივნეულ. საყლაპავის ორგანული შევიწროების დროს დისფაგია ვითარდება თანდათანობით. დასაწყისში გაძნელებულია მკერძი საყვების გატარება, შემდეგ რბილი და ბოლო — თხიერი საყვების. დისფაგია მუდმივ ხასიათს ატარებს საყლაპავში უცხო სხეულის მოხვედრისას (ქვალ, თევზის ფხა), ასევე მიაა ბავა ან ტუტე ნივთიერებებით დამწვრობის შემთხვევაში. კოროზული ეზოფაგოტი — დისფაგია ვითარდება ერთაშადა. დისფაგია შეიძლება აღმოცენდეს აგრეთვე ე.წ. ცენტრალური დიფერტიკულის დროს, რომელიც აღინიშნება საყლაპავის ზედა

მიდამოში. ცენტრის დიფერენციული ზოგჯერ საქმოდ დიდი ზომისა და მასში დაგროვილი საკვები შეიძლება დიდხანს დარჩეს. ტრანსციული დიფერენციულები შემთხვევით, რომლებიც ვითარდება მკორადად ანთებითი პროცესების (მაგ. ტუბერკულოზი) ან საყლაპავის მოტორული ფუნქციის დარღვევის შედეგად და ლოკალიზებულია საყლაპავის შუა ან დისტალურ მიდამოში დისფაგია ხალხებად დამახასიათებელია.

დისფაგია ზოგჯერ ვითარდება საყლაპავის ე.წ. "ქვედა რგოლის" (შაკის რგოლი) დონეზე, რომელიც ლოკალიზებულია საყლაპავ — კუჭის საზღვრის მიდამოში და იწვევს საყლაპავის შევიწროებას, აგრეთვე თანდაყოლილი, ე.წ. მემბრანის (Web) შემთხვევები, რომელიც ლოკალიზებულია კისრის მე-5-6 მალების დონეზე და წარმოადგენს თხელ შემართოსილიოვან აქს. მას ხშირად თან ახლავს სიდეროპენიული ანემია.

დისფაგია უნდა განვასხვაოთ ისტორიული "პირთხვისგან" (Globus hystericus). ამ დროს ავადმყოფი შეიგრძნობს ყელში მონოლას, ზოგჯერ თითქოს ლიდი ანევის გულზე, რომელიც არ არის დაკავშირებული ყლაპვის აქტთან და ვითარდება საყლაპავის ტრანსპორტული ფუნქციის დარღვევის გარეშე. ის ხშირად აღინიშნება ალექსების და მწხარების შემთხვევაში და ძირითადად ემოციური ეტიოლოგიისაა.

გამოვარდნილი ნერწყვის დენა — მიკერსალივაცია (სალარეა) — დამახასიათებელია სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული საყლაპავის შევიწროებისათვის (სტენოზი), აგრეთვე, საყლაპავის ანთებისათვის (ეზოფაგითი). ნერწყვი აადვილებს ლექმის ჩასწარმოებას საყლაპავში. გამდიდრებული ნერწყვის დენა აღინიშნება აგრეთვე პირის ღრუს ორგანოების დაავადებების და სანერწყვე ვერცხვების პათოლოგიის შემთხვევაში, მრავალი ჭიჭიტი ინფაზიისა (ასკარდოზი). ის შეიძლება გამოხატული იყოს ზოგჯერ პანკრეატიტის დროს. შედარებით იშვიათად აღინიშნება გასტრიტის, ნეკროლივანი ეტიოლოგიის პილორისსაზმის შემთხვევაში.

ტკივილის მეტრდება ყლაპვის დროს — ოდინოფაგია — დამახასიათებელია საყლაპავის მწვევი ანთებისათვის. ოდინოფაგია, ჩვეულებრივ, თან ახლავს დისფაგიას. ძლიერი ტკივილი აღინიშნება კორნოული ეზოფაგიტის დროს. ტკივილისათვის დამახასიათებელია გადაცემა ბექთაშუა მიდამოში. საქმოდ ინტენსიური ტკივილი — ეზოფაგური ჭეალი — შეიძლება აღმოცენდეს საყლაპავის მოტორული ფუნქციის დარღვევის დროს (საყლაპავის დიფოზური სპაზმი, ახალაზა). ის ძალიან ჰგავს სტენოკარდიას ინტენსიუობით, გადაცემით, დატვრთისადმი მიდრეკილებით და ნიტროგლიცერინზე პასუხითაც კი. მას სპონტანური ხასიათი აქვს, ვითარდება ხშირად ოპმე გრძელდება წუთების და საათების, გადაცემა ზურგში, ზეით საყლაპავის გაყოლებით, კისერში, ქვედა ყბაში კიდურებში. საყლაპავის დიფორმული ხერხეოლის თაქრის დროს (hiatus hernia), აგრეთვე კუჭ-საყლაპავის რეფლუქსის შემთხვევაში, აღინიშნება ტკივილი, რომელიც შეიძლება გადაეცეს გულქერდის მარცხენა ნახევარში და სტენოკარდიის იმიტაცია გამოიწვიოს. საყლაპავის დიფორმული ხერხელის თაქრის დროს, ტკივილი ძლიერდება წლით მდებარეობაში და ქრება მჯდომარე პოზიში და სიარულის დროს. ტკივილი დამახასიათებელია საყლაპავის პექტორული ნეკროლისათვის, დიფერენციულისათვის და ა.შ.

მიღებული საკვების ამონხვევა — რეგურგიტაცია — საყლაპავიდან პირის ღრუმში, ე.წ. "საყლაპავისმიერი ლებინება" აღინიშნება საყლაპავის სპაზმის, ახალაზის, მნიშვნელოვანი შევიწრო-

ების, დიფერენციულის დროს. ის ვითარდება გულისრევის გარეშე და მისი მიზეზია საყლაპავის კუნთების ანტიპერისტალტიკური რეგურგმეა, რის შედეგადაც შევიწროების ზეით, საყლაპავის გაკანონებულ ნაწილში დაგროვილი საკვები ამოფრქვევა გარეშე. ლებინებაზე ზოგჯერ ავადმყოფი აქვს საკვების შეკრების ძილის უკან შერქრების შეგრძნება. საყლაპავისმიერი ლებინება კუჭის მიერისგან განსხვავდება იმით, რომ ნაღებინები მასა შეივაცება ახლად მიღებულ გადაწყვეტებულ საკვებს, არ შეივაცება მარლამეავს და პესისინს და აქვს ტუტე რეაქცია. საყლაპავის სიმსივნით გამოწვეული სტენოზის შემთხვევაში, დიდი დიფერენციულის და ზოგჯერ ახალაზის დროს, თუ კი საკვები დიდხანს ჩერდება საყლაპავში, ნაღებინები მასს შეიძლება ჰკონდეს ლობითი სწიწი. გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსის დროს საყლაპავში, და რიგ შემთხვევაში პირის ღრუმში, შეიძლება აღინიშნოს კუჭის ნევისი და ზოგჯერ მიღებული საკვების რეგურგიტაცია.

საყლაპავის უცხო სხეულით დაზიანებისას, საყლაპავის ნეკროლის, სიმსივნის დროს, ნაღებინები მასში შეიძლება აღინიშნოს სისხლის მიწარევეები. სისხლიანი ლებინება შეიძლება განვითარდეს სისხლძარღვების დაზიანების შედეგად საყლაპავ — კარდის შერქრების მიდამოში ნებისმიერი წარმოშობის ლებინების დროს ძლიერი დაძაბვის შედეგად (მელორი — ვეისის სინდრომი). ამ დროს ვითარდება გორსოვანი გარის სისხლძარღვების ნახტექები. მასური სისხლდენა საყლაპავის გარიკოზულად გაგანინებული ენებებიდან ვითარდება ლიქლის ციროზის დროს კარის ვენის სისტემაში სისხლის შეკუმების შედეგად განვითარებული პორტული ჰიპერტენზიის გამო.

ნევროპათეში ზოგჯერ აღინიშნება ახლად მიღებული საკვების საყლაპავიდან და კუჭიდან პირის ღრუმში უკან დაბრუნება, მისი ხელმძრეოდ დალეჭვა და გადაყლაპვა — rumination, mericizmi. ის ვითარდება მუცლის კედლის მუსკულატურის ძლიერი შეკუმების შედეგად.

საყლაპავის ქრონიკული ანთების შედეგად განვითარებული გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსის შემთხვევაში, კუჭის მწვევი შივთავის საყლაპავში რეგურგიტაციის შედეგად, ავადმყოფს აღინიშნება გულმძარბა. ზოგჯერ რეგურგიტაციას თან ახლავს ბოყინი.

**ანამნეზი**

დავანგზტიკისათვის მნიშვნელოვანია ანამნეზში მწვევი ან ტუტე ნივთიერების საყლაპავის დამწვრობა, რის შედეგადაც ვითარდება შეხორცებითი პროცესი. საყლაპავში შეხორცებითი პროცესი შეიძლება აღმოცენდეს გადაყლაპული ძელით ან თევზის ფხით მიღებული ტრავმის შედეგად განვითარებული ანთების გამო, აგრეთვე საყლაპავის პექტორული ნეკროლის შედეგად. საყლაპავის კიბოსათვის დამახასიათებელია დაავადების თანდათანობითი, პროგრესირებადი ხასიათი. ვასათვლიანობისათვის ავადმყოფის ასაკი. სიმსივნე უფრო ხშირად ვითარდება 50 წლის შემდეგ. საყლაპავის ფუნქციური დაავადებისათვის დამახასიათებელია გამწვავებები და რემისიები. დისფაგია უფრო ხშირად ვითარდება ფსიქოემოციურ ფაქტორებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია გადატანული დაავადებების დადენა. ათამანგის შედეგად განვითარებულმა აორტის ანეკრიზმამ შეიძლება გამოიწვიოს ზნწოლა საყლაპავზე. საყლაპავზე ზნწოლა შეიძლება განვითარდეს ავეთრე ვეულის ზოგჯერი მანკის დროს მარცხენა წინაგულის დილატაციის შედეგად.



### ფიზიკური კვლევის მეთოდები

ფიზიკური კვლევის მეთოდებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ საყლაპავის დაავადებების დიაგნოსტიკაში.

ინსპექციით შეიძლება ინახოს კისრის და ლაინზედა მიღამოში ლიმფური კვანძების გადიდება, დაკავშირებული საყლაპავის კიბოს მეტასტაზირებასთან, კისრის შეშუპება დიდი დივერტიკულის დროს. ხანგრძლივად არსებული ორგანული დაზიანების შემდეგ, განსაკუთრებით კიბოს დროს, ავადმყოფს შეიძლება განუვითარდეს ძლიერი სივამხდრე კახექსიამდე.

აუსკულტაციით შეიძლება დადგინდეს გახანგრძლივებული ყლაპავის დრო. სტეტოსკოპს ათავსებენ ეპიგასტრიუმის მიღამოში მახვილისებრი მორჩის მარცხნივ. ავადმყოფი ყლაპავს თბილ წყალს. წყალი საკუთარი სიმძიმის გამო ჩადის საყლაპავში და მისი მცირე ნაწილი შეიძლება გადავიდეს კუჭში (პირველი ხმანობა). მიღებული სითხის უდიდესი ნაწილი ჩერდება საყლაპავში, ვიდრე პერისტალტიკური ტალღა არ მიიღწევს აშუღლას და საყლაპავი არ დაიცლება. წყალთან ერთად კუჭში გადადის ჰაერიც. წარმოიქმნება მცირე ხმანობა. ნორმის დროს მცირე ხმანობა მოისმინება ყლაპვიდან 6-9 წამის შემდეგ. აღნიშნული ხმანობის დაგვიანება (> 12 წამი) ან გაქრობა, მიუთითებს საყლაპავის სტენოზის ან სპაზმის არსებობაზე.

### ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები

საყლაპავის დაავადებების დიაგნოსტიკაში ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია რენტგენოლოგიური გამოკვლევა და ეზოფაგოსკოპია.

საყლაპავის რენტგენოლოგიურ გამოკვლევას აწარმოებენ ბაროუმის სულფატის ნაჯერი — საკონტრასტო ფაფა. ფაფა აესებს საყლაპავს და მისი კონტურების მიხედვით შეიძლება დადგინდეს საყლაპავში უცხო სხეულის, საყლაპავის გაგანეურების, დივერტიკულების (სურ. 177), წყლულების, მეზორიკებების, სიმსივნის, სპაზმის, რეფლუქსის, დიფრაგმული თაქრის არსებობა.

საყლაპავის ენდოსკოპიური გამოკვლევა — ეზოფაგოსკოპია — წარმოებს ფიბროეზოფაგოსკოპიის საშუალებით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა თვალნათლივ დავინახოთ არსებული პათოლოგიური პროცესი — უცხო სხეული, წყლული, ეროზია, ნაწიბური, კიბო და სხვა. ეზოფაგოსკოპით წარმოებს უცხო სხეულის ამოღება, საჭირების შემთხვევაში სავეეო წარმონაქმნის ბიოფსია, მასალის შემდგომი პათოლოგიური შესწავლით და სხვა.

როდესაც ამა თუ იმ მიზეზით (საყლაპავის დამწვრობა, ზორხის დაავადებები, აორტის ანევრიზმა, გულის მიძიე უკმარისობა და სხვა) არ ხერხდება ეზოფაგოსკოპიის ჩატარება, სიმსივნური პროცესის დიაგნოსტიკისათვის საყლაპავში შეყავთ ნერული ზონდი ბალონი და მიმართავენ საყლაპავის ამორეცხვას ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარით, ამონარეცხვი წყლების შემდგომი (ციტოლოგიური გამოკვლევით [ქვსფოლიატური ციტოლოგია]). ამ მეთოდიტ ზოგჯერ დგინდება სიმსივნური ურეადლების არსებობა.



სურ. 177 საყლაპავის ტრავიკული დივერტიკული რენტგენოგრაფია

გასტროეზოფაგური რეფლუქსის დასადგენად აწარმოებენ აციდ-რეფლუქსის ტესტს, რომელიც შეტად მგრძობიარეა. ამ მიზნით კუჭში ზონდის მეშვეობით შეყავთ 300 მლ 0.1 N მარილმჟავას ხსნარი და ახდენენ საყლაპავში pH-ის მონიტორირებას საყლაპავის დისტალურ ნაწილში მოთავსებული ინდიკატორით. ახდენენ აგრეთვე pH-ის 24 საათიან მონიტორირებას რეფლუქსის ეპიზოდების იდენტიფიკაციის მიზნით. იზომება იმ ეპიზოდების რიცხვი და იმ პერიოდების ხანგრძლივობა, როდესაც დისტალურ საყლაპავში pH არის 4-ზე ნაკლები. რეფლუქსის დასადგენად მიმართავენ აგრეთვე რადიოზოფაგურ გამოკვლევას — სინტიგრაფიას ტექნიციუმ 99-ით (Tc), რომელიც შეყავთ კუჭში. ამის შემდეგ წარმოებს კომპრესია მუცელზე და საყლაპავის რადიოგრაფიული გამოკვლევა. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა მისი არაინვაზურობაა.

ტკივლითან დაკავშირებული რეფლუქსის არსებობას ადგენენ აციდ-პერფუზიული ბერნშტეინის ტესტით. აწარმოებენ საყლაპავის პერფუზიას ალტერნატიულად 0.1 N მარილმჟავას, ან ნორმალური ფიზიოლოგიური ხსნარით. ფიზიოლოგიური ხსნარის ნაცვლად შეიძლება რაიმე ტუტე ხსნარის ხმარება. რეფლუქსის არსებობის შემთხვევაში მარილმჟავას ხსნარის შეყვანაზე ტკივლი საყლაპავში ჩნდება ან ძლიერდება, ხოლო ფიზიოლოგიური ხსნარის ან ტუტე ნივთიერების შეყვანაზე — მცირდება ან ქრება. რეფლუქსის დასადგენად გამოიყენებენ აგრეთვე მინიატურულ pH ელექტროდს, რომელიც თავსდება

საყლაპავის ქვედა სფინქტერიდან 2 სმ-ით მაღლა. ეს პოზიცია დგინდება პარალელური ეზოფაგომანომეტრით. pH-ის დონე უნდა იყოს 6.0. შემდეგ ავადმყოფმა უნდა შეასრულოს ვალსალ-ვის ცდა და ენერგიულად ჩაისუნთქოს ცხვირით 3-4-ჯერ. თუ რეფლუქსი არ გამოვლინდა, უკვე მანომეტრის კატეტირით შეყავთ 0.1 N HCL-ის 300 მლ და სინჯი იმეორებენ. სინჯი დაღვე-ბითია, თუ კი pH ქვეითდება 2.0-მდე და უფრო ქვემოთ. აღნიშ-ნული მეთოდით რეფლუქსი ვლინდება 95%-ში.

საყლაპავის მოტორული ფუნქციის შესასწავლად სადღეი-სოდ მონოდეგულია მანომეტრიული მეთოდი. საყლაპავში ცხვირიდან შეყავთ წყლით სავსე კათეტერს, რომელიც დაკავ-შირებულია მანომეტრთან. საყლაპავში არსებული წნევის ცვლილებების რეგისტრაცია ხდება სითხის სვეტის ცვლილებე-ბის მიხედვით, რომელიც გადაეცემა და ფიქსირდება მანომეტრ-ის საწყობაზე. საყლაპავის მოტორული ფუნქციის დასადგენ-ნად ანარმოებენ აგრეთვე ბალონურ-კიბოვრავიულ მეთოდს.

საყლაპავის კიბოს დროს ლიმფურ კვანძებში შეტანსატების და ბრუნქების ინვაზიის დასადგენად მიმართავენ კომპიუტერ-ულ ტომოგრაფიას.

## საყლაპავის დაავადებები

### ეზოფაგიტი

ეზოფაგიტი საყლაპავის ანთებაა. საყლაპავის მწვავე ანთე-ბა შეიძლება განვითარდეს ქიმიური გამაღიზიანებელი ნივთიე-რებების მიღების შემდეგ (კოროზიული ეზოფაგიტი), საყლაპა-ვის ბუფერების შემდეგ, მისი ლორწოვანის მოლიანობის დარ-ღვევისას უცხო სხეულით, ძლიერი განმეორებითი, ხანგრძლივი ლეზინების შედეგად, ინფექციური დაავადებების დროს.

ქრონიული ეზოფაგიტი შეიძლება განვითარდეს საყლაპა-ვის ახალაზიის, დივერტიკულების, სტრიქტურების, სიმსივნე-ების დროს, აგრეთვე პირის ღრუს და ხახის ანთების, ტრაქეობ-რუქიტის, შუასაყრის პათოლოგიის დროს, ორგანიზმის იმუ-ნოდეფიციტური მდგომარეობების შემთხვევაში (კირუსული, სოკოვანი ეზოფაგიტი), გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსის დროს. რეფლუქს-ეზოფაგიტის მიზეზია უკუის მავიე შიგათის-სის განმეორებითი რეფლუქსი საყლაპავში ქვედა ეზოფაგური სფინქტერის ფუნქციის დარღვევის შედეგად. უკუის წნევის ზე-გავლენით ვითარდება საყლაპავის ანთება, რასაც შედეგად რეზობების და წყლულის გაჩენა შეიძლება მოჰყვეს, ნაწიბურე-ბის შემდგომი განვითარებით.

ეზოფაგიტის ნაწევანი ჩვილია გულძმარვა, რომელიც ძლიერდება პორიზონტალურ მდგომარეობაში. ავადმყოფი აღ-ნიშნავს აგრეთვე ბოყინს, დისფაგიას და ოლინოფაგიას, ჩვეუ-ლებრივ მკვერ საკვებზე, რაც მიუთითებს ნაწიბურის განვი-თარებაზე. წყლულის მიდამოდან განმეორებითი სისხლდენის შემთხვევაში ვითარდება ანემია. საყლაპავის ბრტყილი ანთე-რულუმის ჩანაცვლება ცილინდრული ეპითელიუმით (ბარეტის ეზოფაგიტი, ბარეტის მეტაპლაზია) პრეკანცერულ მდგომარე-ობად განიხილება.

რენტგენოლოგიური გამოკვლევით ტრენდელენბურგის პო-ზიციამი შეიძლება გამოჩნდეს ბაროუმის მნიშვნელოვანი რეფ-ლუქსი უკუიდან საყლაპავში. ამ დროს იყენებენ აბდომინოქო მონო-პრობას. მაგრამ, რენტგენოლოგიური კვლევა არ ითვლება გას-

ტრო-ეზოფაგური რეფლუქსის მგრძობიარე ინდიკატორად. ენ-დოსკოპირად შეიძლება დადგინდეს წყლულის ან სტენოზის არსებობა. მიმართავენ აგრეთვე აციდ-პერფუზიულ (გერმსტეი-ნის) ტესტს, სინტეგრაფიას, საყლაპავის მანომეტრიას.

ავადმყოფები იმუფლაციტური მდგომარეობით (მიე-სი, ხანგრძლივი სტერიოიდული თერაპია, ქიმიოთერაპია, დასხი-ვება), დიაბეტით შეპყრობილები, საყლაპავის ახალაზიის და-ძლიერი შეზორცეების დროს საყლაპავში შეიძლება განვითარ-დეს ანთება, დაკავშირებულია კანდიდურ ინფექციასთან, მარ-ტივი პერპესის ვირუსთან, ციტომეგალოვირუსთან.

კოროზიული ეზოფაგიტი ვითარდება ტუტე, მავიე, მძიმე მე-ტაბოლის მართლების ან სხვა ქიმიურად გამაღიზიანებელი ნიე-თიერებების შემთხვევით ან თვითმკვლელობის მიზნით მიღების შედეგად. ვითარდება ლორწოვანის ანთება, დამოკიდებულ ნიე-თიერებს კონცენტრაციაზე, ზოგჯერ კი ლორწოვანის, ლორ-ნექვმა და უხვიბილი ქსოვილის ნეკროზული ცვლილებები. ნეკ-როზის მიდამომი ჩნდება წყლულები, რომელთა შეზორცეების შე-დეგად საყლაპავში შეიძლება განვითარდეს შეზორცეები და მი-სი შევიწროება. ავადმყოფს აღენიშნება ტუჩების, პირის ღრუს და ხახის ლორწოვანის დაზიანება. ხშირად ვითარდება გაძლიე-რებული ნერწყვის დენა. აღინიშნება ძლიერი ტკივილი საყლაპა-ვის გაყლულებით, დისფაგია, გამოხატული ტაქიკარდია, ავად-მყოფს აქვს სუსტი ავისების მავა, სუნთქავს ზერეულად. ხშირად ვითარდება შოკი, მეორადი ინფექცია. რაც შემთხვევაში შეიძლე-ბა განვითარდეს საყლაპავის პერფორაცია ლეტალური გამოსე-ვალით. დაღნოზი დამყარებულია ძირითად ანამნეზზე.

### ახალაზია

ახალაზია საყლაპავის მოტორული ფუნქციის დარღვევაა. ამ დროს აღინიშნება დისტრფიული ცვლილებები ვაჯუსის ბოჭკოებში და საყლაპავის რეფლუქსი წნეულის განგებლირ უჯრე-დებში, რის შედეგადაც დარღვეულია საყლაპავის პერისტალ-ტიკური მოძრაობა და ქვედა სფინქტერის რეგულაციის უნარი. საყლაპავის ქვედა სფინქტერის მისაშენის შედეგად ვითარდება საყლაპავის მნიშვნელოვანი გაგანინერება . მავიეზოფაგიტი .

ავადმყოფი უჩრვის დისფაგიას თხიერ და მკვერ საკვებზე, ზოგჯერ მიპერსალიავაციას. გაგანინერებული საყლაპავიდან აღინიშნება საკვების რეფლუქსაცია, განსაკუთრებით ღამე. საყლაპავის არაპერისტალტიკური შეკუმშვის შედეგად ზოგ-ჯერ ვითარდება საკმაოდ ძლიერი ტკივილი რეტროსტერნულ მიდამოში და მასელოცებრ მორთან. ტკივილი შეიძლება გადა-ეცეს ზურგში, კისერში, ზედა კიდურებში. ღამის ხველა შეიძლე-ბა მიუთითებდეს საყლაპავის შიგათისის ასპირაციაზე სასუნთ-გზეზში, რის შედეგადაც ვითარდება განმეორებითი ბრონქიტე-ბი და ასპირაციული პნევმონიები. ზოგჯერ აღინიშნება ნაწიბი დაკლება. შემთხვევათა 5-10%-ში ვითარდება საყლაპავის კიბო.

რენტგენოლოგიურად ვლინდება ღუნე, გაგანინერებული, სითხით სავსე საყლაპავი (სურ. 178), მისი პერისტალტიკა არ აღინიშნება. ზოგჯერ ვლინდება საყლაპავის სინქრონული შე-კუმშვა. საყლაპავის ქვედა ნაწილი თანდათანობით ვიწროვდე-ბა (ნისკარტის ფორმის დეფორმაცია). ეზოფაგოსკოპია მიმარ-თულია საყლაპავის სისხივის გამოსარიცხვად, რომელზეც შე-იძლება მოგვეცეს მსგავსი რენტგენოლოგიური სურათი. მანო-მეტრით ნახულობენ წნევის მომატებას, პერისტალტიკის არარსებობას.



სურ. 178 საყლაპავის ახალაზია. რენტგენოგრაფია

### საყლაპავის დიფუზური სპაზმი

საყლაპავის დიფუზური სპაზმი საყლაპავის მოტორული ფუნქციის გენერალიზებული ნევროლოგიური დარღვევაა, რომლის დროსაც ნორმალური პერისტალტიკის ნაცვლად აღინიშნება არაპროპულსორი, არაპერისტალტიკური შეკუმშვა და ზოგჯერ ქვედა სფინქტერის ფუნქციის დარღვევა.

დამახასიათებელია დისფაგია, როგორც თხიერი, ასევე მკვრივი საკვებზე. ტკივილი უფრო ხშირად აღმოცენდება ცივი ან ცხელი ტემპერატურის საკვების მიღებაზე, ზოგჯერ ვითარდება სპონტანურად. ზოგჯერ ტკივილი აღმოცენდება ღამე და აღვიძებს ავადმყოფს. ხშირად ტკივილი არ არის დაკავშირებული

ლი დისფაგიასთან და თავისი ხასიათით ჰგავს სტენოკარდიულს. ხშირად ტკივილი კავშირშია ფიზიკურ დატვირთვისთან, გადაცემა ზურგში, კისერში, ყბაში, ზედა კიდურებში. მას ხსნის ნიტროგლიცერინი და ნიფედიპინი. ზოგჯერ გამოხატულია პიპერსალივაცია და ახლადმიღებული საკვების რეფლუქსი. მრავალი წლის შემდეგ შეიძლება განვითარდეს ახალაზია.

რენტგენოლოგიურად ვლინდება საცობის საძირკვლიანი (corkscrew shaped, ინგლ.) ფორმის საყლაპავი, არაპერისტალტიკური შეკუმშვები. მანომეტრით აღინიშნება მაღალი ამპლიტუდის, განმეორებითი შეკუმშვები. ნევეა შეიძლება აღემატებოდეს ენე. სვ. 200 მმ-ს. საყლაპავის დიფუზური სპაზმის ზოგიერთი ვარიანტის დროს რენტგენოლოგიურად ნახულობენ "თხილის სატების" ფორმის (natcraker, ინგლ.) საყლაპავს.

### საყლაპავის კიბო

საყლაპავის კიბოს განვითარებას ხელს უწყობს ცხელი სასმელების სისტემატური მიღება, კალსტიკური სოდიტი (თუთქით) დამწერობა, შეზორცებების არსებობა, ახალაზია, ბარეტის მეტაბოლიზმი, თამბაქოს ნევეა და ალკოჰოლის სისტემატური ხმარება. კიბო უფრო ხშირად პრეტელუჯრედოვანია, შედარებით იშვიათად ვითარდება ადენოკარცინომა.

დამახასიათებელია პროგრესირებადი დისფაგიის განვითარება, დასაწყისში მკვერ საკვებზე, შემდეგ კი სითხეზეც. როდესაც საყლაპავის სანათური ვიწროვდება 1.2 სმ-მდე დისფაგია მუდმივი ხდება. ავადმყოფებს უვითარდებათ ანორექსია, ნონაზმი მნიშვნელოვანი დაკლება, ზოგჯერ კახექსია. აღინიშნება ტკივილი მკერდის ძეხის უკან, რომელიც ზოგჯერ არ არის დაკავშირებული ჭამასთან. ვითარდება ახლად მიღებული საკვების რეგურგიტაცია, ზოგჯერ მყრალი სუნით მიირიან. ხშირია ხეველა და მიღებული საკვების ასპირაცია სასუნთქ გზებში, რის შედეგადაც ვითარდება ბრონქიტების და პნევმონიების სურათი. შებრუნებით ნერვზე სიმსივნის ზენილის შედეგად შეიძლება განვითარდეს ხმის ჩახუჭვა, აფონია, სლოკინი. საყლაპავის პერფორაციის შედეგად ვითარდება ბრონქული ან ეზოფაგოტრაქეული ფისტულები, ფილტვების ჩირქოვანი და ზოგჯერ შუასაყრის ჩირქოვანი ინფექციები. მეტასტაზები ვითარდება ლიმფურ კვანძებში, ლეიძში, ფილტვებში.

რენტგენოლოგიური კვლევით აღინიშნება შევიწროება არასწორი კონტურებით და აკსების დეფექტი, იშვიათად - ნელსლის სურათი. დიაგნოზის დასაზუსტებლად მიმართავენ ეზოფაგოსკოპიას ბიოპსიის და ციტოლოგიურ გამოკვლევას. მეტასტაზების არსებობა ვლინდება კომპიუტერული ტომოგრაფიით.

## მუცლის ღრუს ორგანოები

### გამოკვლევის მეთოდები

#### გამოკითხვა

ანამნეზის შეგროვებას მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება საჭმლის მომწელებელი სისტემის მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკაში. ზოგიერთ ავადმყოფს სუბიექტური სიმპტომები უჩნდება საკმაოდ ადრე, დაავადების ობიექტური კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე. ამავე დროს, ისინი შე-

იძლება ნამყვანი იყოს დაავადების კლინიკაში. სხვა შემთხვევებში, პათოლოგიური პროცესის სიმძიმისდა მიუხედავად (ლეიძის ციროზი, ლეიძის კიბო), დაავადების გამოხატული სუბიექტური სიმპტომები შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე არ აღინიშნებოდეს.

#### ჩივილები

საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებისათვის დამახასიათებელი ჩივილებია გემოს და მადის შეცვლა, გულმძარ-

ვა, ბოიონი, სლოკინი, გულსრევა, ღებინება, ტკივილი მუცელში, მუცლის შეტერვა, არების დაგროვება, ყურყური მუცელში, დარბა, შეკრულობა, სისხლდენები კუჭ-ნაწლავის ტრაქტებიდან. ამის გარდა ავადმყოფი შეიძლება უჩინოდ გაძლიერებულ ნურვილს, ზოგჯერ ტკივილს პირის ღრუში, სიმბურვალის, დისკომფორტის, სიმძიმის, წეროლის, საცხების შეგრძნებებს შეიძლება აღინიშნული სიმპტომები შეიძლება გამოხატული იყოს კუჭის, ნაწლავების, ღვიძლის და სხვადასხვა გუგების, პანკრეასის, მუცლის ფარის პათოლოგიის დროს და სხვა.

ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა გულმძრვა, ბოიონი, გულსრევა და ღებინება აერთიანებენ დისპეპსიურ მოვლენებში (დისპეპსია — საჭმლის მონელების დარღვევა), თუმცა ზოგიერთი ავტორის მიხედვით, დისპეპსიის მცნება მოიცავს ყველა სიმპტომს, რომელიც აღმოცენდება საჭმლის მომხმარებელი ორგანოების ფუნქციის დარღვევის შედეგად, ტკივილის გარდა. გამოყოფენ აგრეთვე დისპეპსიის დაკავშირებულს კუჭის და ნაწლავების პათოლოგიასთან.

ტკივილი პირის ღრუში უშინრესად განპირობებულია კბილების პათოლოგიით ან ადგილობრივი ანთებითი ცვლილებებით და ისინი მაკრობიოლოგიის და ქირურგიის სფეროს მიეკუთვნებათ, გარამ სტომატოლოგი — პირის ღრუს ლარინგის ანთება და გლოსიტ — ენის ანთება ზოგადად ზოგად დაავადების — ინფექციური სნეულებები (ზუნავი, წითელი, ქუთრუმა, კანდიდაზი და სხვა), სისხლის დაავადებები (ანემიები, ლეიკემიები, იგარანულიციტოზი), ავიტამინოზები (B<sub>6</sub>, B<sub>12</sub> ვიტამინების დეფიციტი), კუჭის და ნაწლავების ქრონიკული დაავადებები (ქრონიკული გასტრიტი, ენტერიტი) — ერთ-ერთი გამოვლინება იყოს.

გემო შეგრძნება, რომელიც დაკავშირებულია ენის რეცეპტორებზე გარკვეული ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებასთან. აღინიშნება ოთხი ძირითადი გემოვნებით შეგრძნება: მგავე, მარილი, ტკბილი და მწარე.

გემოს შეგრძნება შეიძლება შეიცვალოს და გაუკუღმართოს ზოგიერთი დაავადების დროს. ის აღმოცენდება ძლიერ ინფექციური ენის, მისი ანთების, ჭრილობის, ნაწიურების, მისი ინერვაციის დარღვევის შედეგად, აგრეთვე პირის ღრუს პათოლოგიურ პროცესებთან (კარსინომა კბილები, პარადენტოზი), ქრონიკული ტონილიტი და სხვა დაკავშირებით.

არასასიამოლო მწარე გემო პირში არის გასტრიტების დროს. პიპირაციული გასტრიტის შემთხვევაში ავადმყოფს აქვს მგავე გემოს შეგრძნება. ქრონიკული გასტრიტის დროს კუჭის შეგრძნება ხშირად დაქვეითებულია. ის შეიძლება გაუკუღმართებული იყოს ქრონიკული ანაციდური გასტრიტის, აღიმეტური დისტროფიის, პეპტორის (B<sub>12</sub> ავიტამინოზი) დროს. მწარე გემო პირში, განსაკუთრებით დილას უზუზებ, აქვთ ავადმყოფებს ღვიძლის და სხვადასხვა გუგების დაავადების შემთხვევაში. ზოგჯერ ამ დროს ავადმყოფებს აღინიშნებათ ლითონის გემოს შეგრძნება.

მა და საჭმლის მიღების სუბიექტური მოთხოვნილება. მისი დარღვევა აღინიშნება სხვადასხვა ზოგადი დაავადების (ინფექციური სნეულებები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, ნერვულ-ფსიქიკური დაავადებები) და საჭმლის მომხმარებელი ტრაქტის ორგანოების პათოლოგიის დროს.

საჭმლის მომხმარებელი სისტემის დაავადებების დროს შეიძლება განვითარდეს მადის გაძლიერება, დაქვეითება ან სრული გაქრობა (ანორექსია), ზოგჯერ კი მადის გაუკუღმართება. ქრო-

ნიკული პიპირაციული გასტრიტის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლის დროს მადი ხშირად გაძლიერებულია. ქრონიკული ანაციდური გასტრიტის და განსაკუთრებით კუჭის კიბოს დროს კი ის პირიქით — დაქვეითებულია. კუჭის კიბოს შემთხვევაში ავადმყოფებს აღინიშნებათ სრული უმადობა. ანორექსია და ხორციულის შექმნა ხშირად ამ დაავადების ადრეული სიმპტომია. მა და შეიძლება დაქვეითებული იყოს ღვიძლის პარენქიმული დაავადების დროსაც. მადის დარღვევისას, უმადობისას უნდა გათვალისწინდეს საკვების მიღებისას თაის შეკავება ტკივილის აღმოცენების შიშის გამო (ციტოფობია). აღინიშნული მდგომარეობა ხშირად აქვთ ავადმყოფებს პეპტორი წყლულით, მიუხედავად ამ დროს მადის რეალურად გაძლიერებისა.

უმადობა ხშირად (ზოგად დაავადებაზე მიგვიერთებს. ის აღინიშნება ფსიქიკური (anorexia mentalis), ინფექციური სნეულებების, სისხლის პათოლოგიის, ურემიის შემთხვევაში და სხვა. უმადობა ვითარდება ზოგიერთი მედიკამენტით, მაგალითად საგულე გლიკოზიდებით ინტექსუციისას.

უიღრურება გამოიყვება "მგლის" მად — ბუღიმა, პოლუფეია — ნაულებად დამახასიათებელია კუჭ-ნაწლავის პათოლოგიისათვის და აღინიშნება ფსიქიკური დაავადებების და ზოგიერთი ენდოქრინული დაავადების დროს (მაქიანი დიაბეტი, თირეოტიკოზი). ის აღინიშნება პეპტორი წყლის შემთხვევაში, თუმცა ძალზე იშვიათად.

მადის გაუკუღმართება (დიმეტოზია) გამოიხატება ისეთი ნივთიერებების საკვებად მიღების მიგრებით, როგორებიცაა თიხა, გაჯი, ნახშირი, ცარი, კბილის ფხვნილი, ნავთი, ნებო და სხვა. მადის გაუკუღმართება არის ორსულობის დროს, აგრეთვე იმ პირობებში, რომელთაც აქვთ აქროლიკალია. მადის გაუკუღმართება განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი რეინადფიციტური ანემიის დროს, როგორიცაა ქლოროზი (Pica chlorotica).

სწრაფი დანაყრების, კუჭის საცხების შეგრძნება ვითარდება ანაციდური გასტრიტის, კუჭის კიბოს შემთხვევაში, კუჭის რეზექციის შემდეგ, რის შედეგადაც კუჭის მოცულობა მცირდება.

წურვილის შეგრძნება და პირის სიმბურვალე აღინიშნებათ ავადმყოფებს, რომელთაც აქვთ ხშირი ღებინება, მაგალითად პილორუსის სტენოზირების შედეგად, ქრონიკული გასტრიტის დროს, ძლიერი ფეხარათის გამო ორგანიზმის გაუნტოქსიკაციის. ზოგჯერ გაძლიერებული წურვილი აქვთ ავადმყოფებს პანკრეატიტში. მაგრამ წურვილის შეგრძნებას ბევრად უფრო დიდი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ისეთი დაავადების დროს, რომელთაც არაერთი აქვთ საერთო საჭმლის მომხმარებელი აპარატის პათოლოგიასთან. წურვილი გამოხატულია ფსიქიკური დაავადებების შემთხვევაში, ცხელების მიმდინარე დაავადებების, გულის ქრონიკული უქმარობის, მიპერსართირიოზის, მაქიანი და განსაკუთრებით უმაქრო დიაბეტის დროს. წურვილი აღინიშნება აგრეთვე საკვების მარალის ჭარბად მზარებისას. პირის სიმბურვალის განვითარება დაკავშირებულია ზოგიერთი მედიკამენტის მიღებასთან — ატროპინი, კლიფლინი და სხვა.

ბოიონი (eructatio) კუჭში დაგროვილი პაერის უფცარი და ზოგჯერ ხმაძალი გამოსვლა პირიდან. ბოიონი ვითარდება კუჭში არების დაგროვების გამო, რაც მისი მოტორული ფუნქციის დარღვევის შედეგად იწვევს პილორუსის შეკუმშვას, კარდის გაღებას და ანტიპერისტალტიკურ მოძრაობას. არები

კუჭში შეიძლება სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც დაუვროვდეს გაზიანი სასმელის მიღების შემდეგ. ბოყინი შეიძლება შედგეს იყოს ანტიბიოტიკული პაერის ჩალაპირის (აეროზაგაი), მას ხელს უწყობს ძალიან ჩქარი ჭამა. ხშირია ის ნერვოზაგამბი. ჩვეულებრივ, ამ დროს ბოყინი არის უსუნო და ხმაურაინი. ხშირად ბოყინი კუჭში არიგების ნარმოქმნის, კუჭის შიგთავსის დაცლის შეუერხების და დულის შედეგია.

ბოყინი მკავე გემოთი არის პიპრისეკრციის დროს (პეპტიური ნყული). მწარე გემის ბოყინი აქვს ავადმყოფს კუჭში თორმეტგოჯა ნანლაიდან ნალყლის გადასროლისას. ზოგჯერ ბოყინს აქვს ლავე კვერცხის სუნი (გოჯორდნაყლაბდის დავროვება), რაც მოუთითებს ცილოვანი ნივთიერებების შორს ნასულ რეგევაზე და აღინიშნება ქრონიკული ვასტრიტის, აგრეთვე კუჭის დაცლის შეუერხებისა. ბოყინს აქვს მძავე კარკის გემო რძის, ერბოს და სხვა ორგანული მკავათა ვარკის გამო (კუჭის ატონია, პილორუსის სტენოზი). ბოყინი ლობობით სუნით შეიძლება ვარნდეს ქრონიკული ანაციდური ვასტრიტის, კუჭის კიბოს დროს. ცუდი სუნის ბოყინი აღინიშნება როდესაც არის ფისტულა კუჭსა და ვანიე კოლინჯეს შორის. ბოყინის დროს პაერს შეიძლება ამოვეყს მციერ რაოფენობით კუჭის შიგთავსი (regurgitatio).

გონებრივად ჩამორჩენილ პირებში, ფსიქიკურად დაავადებულებში, მძიმე ნევროპათიებში ზოგჯერ აღინიშნება პირის ღრუდან საჭმლის მციერ მასის ამოღება, ლევაზე და კვლევა გადაყვანა -- ცობნა (rumination).

სისხლის შედედების შემდეგ ხდება სისხლის კოლტის გამოყოფა თხიერი შრატისგან. რეტრაქციის აღნიშვნები, როგორც დარჩენილი შრატის პროცენტს. სისხლის კოლტის რეტრაქციის დრო ნორმის პირობებში მერყეობს 48-64%-ის ფარგლებში. მას სშირად გამოხატავენ რეტრაქციის ინდექსის სახით (0,48-0,64). სისხლის კოლტის რეტრაქცია დაკავშირებულია თრომბოციტების რაოდენობასა და მათ ფუნქციურ მდგომარეობასთან. ამიტომ მისი დარღვევა, ჩვეულებრივ, თრომბოციტოპენიის არსებობაზე მიუთითებს.

**რენტგენოლოგიური გამოკვლევა**

რენტგენოლოგიური გამოკვლევა საშუალებას იძლევა დაავადების შესაფასარის ლიმფური კვანძების გადიდება, რაც აღინიშნება სისხლის სისტემური დაავადებების დროს (ლიმფოლიეკემია, ლიმფოგრანულმატოზი, ლიმფოსარკომა). აღნიშნული გამოკვლევით დგინდება ცვლილებები ძვლებში მიელომური დაავადების, ლიმფოსარკომის დროს.

**რადიოიზოტოპური გამოკვლევები**

ელემენტის სკანირება წარმოებს ავადმყოფის ნიშანდებელი ერთობლივებით. ერთობლივების მონიშვნას აწხორციელებენ რადიოაქტიური ქრომიტი (51 Cr) ან იქროს ანობოლური ხსნარით (198 Au). აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა დავადგინოთ ელემენტის ზომები და აღმოვაჩინოთ მასში პათოლოგიური დაზიანების კერები. ელენამატი ერთობლივების კერების აღმოცენება (მაგ. პოლიციტემიის დროს) დგინდება სისხლში რადიოაქტიური რკინით (59 Fe) ნიშანდებელი პლაზმის ან ერთობლივების შეყვანით.

# სისხლის და სისხლგამადი ორგანოების დაავადებები

## ანემიები

ანემია (ანემია — ბერძნ. სისხლანაკლებობა) პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება ერთროცობების და პემოგლობინის რაოდენობის შემცირებით. ანემიების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია. ტრადიციულად მიიჩნეულია ანემიების დაყოფა პოსტემორაგიულ, პემოლიზურ და ძელის ტვინის სისხლმადი ფუნქციის დარღვევით მიმდინარე ანემიებად. ამის გარდა მონივრულია ანემიების კლასიფიკაცია ერთროცობების ზომის მიხედვით (მიკროციტული, მაკროციტული, ნორმოციტული), ფერადობის მაჩვენებლის, ან ერთროცობების პემოგლობინით გაჯერების მიხედვით (ჰიპოქრომული, ჰიპერქრომული, ნორმოქრომული) და სხვა.

## პოსტემორაგიული ანემიები

მწვავე პოსტემორაგიული ანემია ვითარდება სისხლის დიდ რაოდენობის სწრაფ დაკარგვისას. ის შეიძლება განვითარდეს ტრავმის, საყლაპვიდან და კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან მასობრივ სისხლდენის, ძლიერი მებრტოვების შედეგად. დაავადების კლინიკური სურათის განვითარებაში ნამყვანი როლი ენიჭება სისხლის საერთო მოცულობის შემცირებას და ჰიპოქსიის განვითარებას. პლაზმის დაკარგვა იწვევს კოლაგის და ჰიპოტონიას. პერიფერიული სისხლძარღვების სასაზმის შედეგად ვითარდება მიკროცირკულაციის მოშლა და შოკი.

დაავადების კლინიკურ სურათში ნამყვანია სიფერქრთაღე, თავბრუსხება, ტაქიკარდია, ძაფისებრი პულსი, ტემპერატურის და არტერიული წნევის დაქვეითება, ცივი ოფლი, ღებინება, ციანოზი, მხედველობის დაქვეითება. კლინიკური სურათის სიმძიმეს განაპირობებს დაკარგული სისხლის რაოდენობა და სიჩქარე, სისხლდენის მიზეზი. სისხლის მოცულობის 1/2-ის სწრაფ დაკარგვა ხშირად ხდება სიყვდილის მიზეზ, მაშინ როდესაც მოცულობის 3/4-ის ნეღა დაკარგვის შემდეგ ავადმყოფი სათანადო მკურნალობის შედეგად შეიძლება გამოჯანმრთელდეს. მწვავე პოსტემორაგიული ანემიის მიმდინარეობაში გამოყოფენ სამ ფაზას: 1/ პერიული დღე — შემცირებულია ცირკულირებელი სისხლის საერთო მასა (ოლიგემია), რის საპასუხოდაც ვითარდება სისხლძარღვების სასაზმი (მცირდება სისხლძარღვთა მოცულობა) და სისხლ გაძირვის დემო ორგანოებშია. ამ ფაზაში პემოგლობინისა და ერთროცობების მაჩვენებელი შეიძლება ნორმალური იყოს; 2/ მეორე დღე — ქსოვილოვანი სითხის სისხლძარღვთა სისტემაში გადასვლის გამო პემოგლობინისა და ერთროცობების რაოდენობა სისხლის მოცულობის ერთეულში კლებოვს (ვითარდება ჰიდრემია), ანემია, ჩვეულებრივ, ნორმოქრომული ხასიათისაა; 3/ მე-3-7 დღეს ხდება ერთროცობის აქტივაცია, პერიფერიული სისხლში ჩნდება რეტეკულიციტები. რკინის რაოდენობის შემცირების გამო ანემია ჰიპოქრომულ ხასიათს ღებულობს.

ქრონიკული პოსტემორაგიული ანემიის მიზეზი ხშირად არის სისხლდენა პეტეკური წყლულის, წყლულოვანი კოლტების, ბუასილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პოლიპოზის, აფთვიანობანი სიმსენების შედეგად, მენო-მებრტოვებები. დაავადება შეიძლება ხანგრძლივად მიმდინარეობდეს შემუქნევილდ უშემქნელო სისხლდენის გამო. ქრონიკული პოსტემორაგიული ანემიის მიზეზი


შეიძლება გახდეს აგრეთვე სისხლდენა ცხვირიდან, ფოტტებიდან, თირკმლებიდან, ჭიბებით ინვაზია (ანკილოსტიტობი).

დაავადების კლინიკურ სურათში ყურადღებას აკრძებს სისუსტე, თავბრუსხევა, მიდრეკილება გულის წასვლისადმი, შრომის უნარის დაქვეითება, კომინი, განსაკუთრებით ფიზიკური დატვირთვისას, ადვილად დაღალა, შეილი ყურების. ავადმყოფები ფერმრთობები არიან. გულის აუსკულტაციით მწვერვალზე მოისმინება სისტოლური შუილი, საუღლე ვენაზე — "ზრიალის შუილი". სისხლის ანალიზით აღინშნება ჰიპოქრომული ანემია, ფერადობის მაჩვენებელი 0.7-ზე აბალია, ხშირად აღინშნება მიკროციტოზი, პოიკილოციტოზი, ანიზოციტოზი. სისხლში დაქვეითებულია რკინის რაოდენობა.

## რკინადეფიციტური ანემიები


რკინადეფიციტური ანემიები აერთიანებს სხვადასხვა ეტიოლოგიის მქონე ანემიურ სინდრომებს, რომელთა ძირითადი პათოგენეზურ ფაქტორს წარმოადგენს ორგანიზმში განვითარებული რკინის დეფიციტი. ამ დროს დარღვეულია ბალანსი მიღებულ და დაკარგულ რკინას შორის. რკინადეფიციტური ანემიის მიზეზები შეიძლება იყოს სისხლის ქრონიკული დაკარგვა (მენსტრუაცია, მებრტოვება, გასტროინტესტინური სისხლდენა, დონორობა), რკინის დაქვეითებულ მენვა (ქრონიკული ატროფიული გასტრიტი, კუჭის ინტესტიციის შემცირებლ მდგომარეობა), დეტურნი დარღვევები, გაზრდილი მოთხოვნილება (ორსულობა, ლაქტაცია, ზრდისა და მომწიფების პერიოდი) და სხვა (სურ. 199). არც თუ ეს დიდი დროის წინ, საქართველოში რკინადეფიციტური ანემიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი იყო ანკილოსტიტობები ინვაზია. ამჟამად ეს პეღმინობი ჩვენში პრაქტიკულად ლიკვიდრებულია.

რკინადეფიციტური ანემიის კლინიკური ნიშნებიდან აღსანიშნავია საერთო სისუსტე, დაღლილობა, შრომის უნარის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხევა, გულის ფრიალი, ქვემო კიდურების მუშუბება, მუხისურების დაქვეითება, თმების ცვენა, ფრჩხილების მტკრევა, მადის და გემოვნების გაუკუღმართება (pica chlorotica). ავადმყოფები ჭანქ ცარცის, თიხის, კბილის ფეხენის, მათ მოსწონს ზებნინის, ნავთის, საპნის სოფი. ობიექტური გამოკვლევით აღინშნება კანის და ხილული ლორწოვანი გარსების სიფერქრთაღე. ახალგაზრდა ქალებში სიფერქრთაღე ზოგჯერ მიმინავს ელფერსია (იფემალური ქლოროზი). კანზე, განსაკუთრებით ქუსლების არეში, ჩნდება ნახტები. თმები მშრალი და მტკრევიდა, თმის ცვენა გაძლიერებულია. ფრჩხილები თხელია, გაბრტყილებული. კოხვის ფორმის ფრჩხილები (კილონიჩია) უფრო ხშირად უვითარდება ასაკიანი ავადმყოფებს, უპირატესად ქალებს, რომელთაც აღინშნებათ აქელია (მოვანეზობი ქლოროზი). დამახასიათებელია სიდეროპენური დისფაგია (პლაზმერ-იოლსონის სინდრომი) — მშრალი და უხეული საკვების ყლაპვის გაძნელება. ხშირია ვინციტი, ანგულარული სტრომატიტი (ნახტები ტურმების კუხისებები), ენის დვრილების კარტოგია, ზოგიერთ შემთხვევაში ტიპური ლიკვირებული ენის (პეტეკური გლობიტი) პულისტარება. პულისტარება, მცირე და რბილი. გულის მწვერვალზე აუსკულტაციით მოისმის სისტოლური შუილი. სისხლის არტერიული წნევა ხშირად დაქვეითებულია. დაქვეითებულია ხშირად კუჭის საკრციული ფუნქცია.



სურ. 199 რკინადეფიციტური ანემიის მიზეზები

პერიფერიულ სისხლში აღინიშნება როგორც ერთიოციტების რიცხვის, ასევე პემოგლობინის მაჩვენებლის დაქვეითება. ანემია პოოქრომულია. ერთიოციტებში ნორმალზე ნაკლებია პემოგლობინის რაოდენობა და ფერადობის მაჩვენებელი 0,8-ზე დაბალია. რიგ შემთხვევაში ის 0,4-0,3-იც კი შეიძლება იყოს. დამახასიათებელია მიკროციტოზი, ანიზოციტოზი, პოოცილოციტოზი (სურ. 200). ედს-ი შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს




სურ. 200 სისხლის სურათი რკინადეფიციტური ანემიის დროს, პოოქრომია, ანიზო-პოოცილოციტოზი, მიზოციტოზი

მომატებული. სისხლის შრატში დაქვეითებულია რკინის დონე. ფერიტინის რაოდენობა დაქვეითებულია და 12 მკ/ლ-ზე ნაკლებია.

რკინადეფიციტური ანემიის პროგნოზი ბევრად არის დამოკიდებული დაავადების ეტიოლოგიაზე. დაავადების მიზეზის მოცილების და რკინის მარაგის შევსების შემდეგ ანემია სწორდება და ავადმყოფი ჯანმრთელდება.

### ადისონ-ბირმერის ანემია

ადისონ-ბირმერის ანემია ან დაავადება (ქერნიციოზული ან აეთისებიანი ანემია, ვიტამინ B<sub>12</sub> დეფიციტური ანემია), ისევე როგორც ფოლიუმის მკვას დეფიციტით გამოწვეული ანემია, მიეკუთვნება მეგალობლასტური ანემიების ჯგუფს. ადისონ-ბირმერის ანემიისათვის დამახასიათებელია ერთიოციტების და, შედარებით ნაკლებად, პემოგლობინის რაოდენობის შემცირება, აგრეთვე ძელის ტვინში ერთობლასტური სისხლის წარმოქმნის მეგალობლასტურად გარდაქმნა. ამის გარდა, ალონიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ატროფია და ნერვული სისტემის ცვლილებები ფუნქციონალური მიელოზის სახით. კასლის მიერ დადგენილი იყო, რომ დაავადების განვითარება დაკავშირებულია ე.წ. გარეგანი ან შინაგანი ფაქტორების დეფიციტთან. ამჟამად ცნობილია რომ გარეგანი ფაქტორი არის ვიტამინი B<sub>12</sub>, ხოლო შინაგანი ფაქტორი — გასტრომუკოპროტეინი, რომელიც პროდუცირდება კუჭის პარიეტული უჯრედების მიერ და რომელიც აუცილებელია ვიტამინ B<sub>12</sub>-ის შეთვისებისათვის. ვიტამინ B<sub>12</sub>-ის დეფიციტი ორგანიზმში შეიძლება განვითარდეს დიეტური დარღვევებით (საკვებში B<sub>12</sub> უტამინის დეფიციტი) ან მისი მუწონის დარღვევის სხვადასხვა მიზეზით: შინაგანი ფაქტორის სეკრეციის არარსებობით (ქრონიკული ატ-



სურ. 201 ადისონ-ბირმერის ანემიის განვითარების მიზეზები

როფიული გასტრიტი, კუჭის კიბო, გასტრექტომია), შინაგანი ფაქტორის საინააღმდეგო აუტანტისსეულების ნარმოქმნით, ნერიო ნანლავის და ზიანებით (კრონის დაავადება, ნანლავების რეზექცია), ნანლავებში B<sub>12</sub> ვიტამინის გაძლიერებული კონკურენტული შთანთქმით (დიფილობოტრიზი) და სხვა (სურ. 201).

დაავადება ვითარდება თანდათან. ავადყოფები უჩვიან საერთო ძლიერ სისუსტეს, ადვილად დაღლას, თავის ტკივილს, შუილს უკრებში, გულს ფრიალს, უმადობას, ენის ნვას (ხშირად პირველი ჩვილი, რის გამოც ავადყოფი მიმართავს ექიმს), პარესთეზებს (კანზე ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნებას), ტემპერატურის მომატებას. ობიექტურად, კანი და ლორწოვანი გარსები ფერმკრთალია, ხშირად იქტერული ელფერი, სახე ოდნავ შეშუპებულია (" ცვილის თოჯინა" შესახედავობა), შეშუპებულია ხშირად ქვედა კიდურებზე. დაავადების კლასიკური სიმპტომა პუნტურის გლოსიტი — მკვეთრად ნითელი ენა, ენის დერილების ატროფია. ენა ხდება სადა და პრილა — "ლაკირებული ენა". ატროფიული ცვილებების ვითარდება კუჭსა და ნანლავებშიც. ავადყოფთა უმრავლესობას მკვეთრად დაქვეითებული აქვს კუჭის ნვენის მფაიანობა. ხშირად აღინიშნება ჰისტამინური ჰისტეტული აქლორამიდრია. ზოგჯერ უმნიშვნელოდ არის გადიდებული ლეიკოცი და ელენა.

ნერული სისტემის მხრივ ვითარდება ფუნქულარული მიელოზის სურათი. ზიანდება ზურგის ტვირის უკანა გვერდითი სეგმენტები, რაც კლინიკურად ელენდება პარესთეზებში და ღრმა კუნთოვანი მგრძნობელობის დაქვეითებაში. ეს მოვლენები მეტად არის გამოხატული ქვედა კიდურებში. ავადყოფებს აქვთ ელენებში სიცოცის, მსუბუქი ტკივილის შეგრძნება. შეიძლება განვითარდეს კუნთების ატროფია.


სისხლის მხრივ გამოხატულია პოკერქრომული ანემიის სურათი. ფერადობის მარევენებელი ხშირად არის 1,3-1,5. პერიფერული სისხლში აღინიშნება მეგალოციტები, მაკრობლასტები, მეგალობლასტები. დამახასიათებელია ანიზოციტოზი და პოიკილოციტოზი. ერთროციტებში ნახულოენ ბირთვის ნარჩენებს -- ჟოლის სხეულაკებს, კეობის რგოლებს (სურ. 202), რიგ შემთხვევაში აღინიშნება ლეიკოპენია და თრომბოციტოპენია, ნეიტროფილების პოკრესემენტაცია. ძელის ტვინში მომატებულია მეგალობლასტების რაოდენობა.

აღისრ-ბირმერის ანემიის დიაგნოზის დასმა დიდ სიძნელეს არ ნარმოადგენს. დამახასიათებელი ტრიადის არსებობა — პუნტურის ენა, ფუნქულარული მიელოზი და პოკერქრომული მეგალობლასტური ანემია მიუთითებს ვიტამინ B<sub>12</sub> დეფიციტურ ანემიაზე.

ფოლომის მფაის დეფიციტით გამოწვეული ანემიაც პოკერქრომულია. პერიფერულ სისხლში აღინიშნება მაკროციტოზი, ანიზოციტოზი, ძელის ტვინში მომატებულია მეგალობლასტების რაოდენობა. მაგრამ ვიტამინ B<sub>12</sub> დეფიციტური ანემიისაგან განსხვავებით ამ დროს ნახულებად არის გამოხატული გლოსიტის სურათი და არ ვითარდება ფუნქულური მიელოზის ნიშნები.

**ჰემოლიზური ანემიები**

ჰემოლიზური ანემიები ხასიათდება ერთროციტების გაძლიერებული დაშლით. განასხვავებენ მემკვიდრეობით (ერთროციტების დეფექტის შედეგად განვითარებულ) და შექნილ



სურ. 202 სისხლის სურათი პერნიციოზული ანემიის დროს

(ერთროციტებზე გარემუ ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეულ) ჰემოლიზურ ანემიებს. მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემიები ვითარდება ერთროციტების მემგრანის დარღვევის, ფერმენტების აქტივობის დეფიციტის, ჰემოგლობინის სტრუქტურისა ან სინთეზის ცვილებებითან დაკავშირებით. ამ ჯგუფის ანემიებს მიეკუთვნება მიკროსფეროციტოზი, ელიფსოციტოზი, თალსემია, ნამგლისებურჯერადული ანემია და სხვა. შექნილი ჰემოლიზური ანემიები ვითარდება ანტიერთროციტული ანტიხსელების ზემოქმედებით, ერთროციტების გარის მქანსური დაზიანებით, მედკამენტების ზემოქმედებით, ვიტამინების დეფიციტით, პარაზიტების ზემოქმედებით ერთროციტების დაშლის შედეგად და სხვა.

*მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემიები*

*მიკროსფეროციტოზი*

მიკროსფეროციტოზი — მიკოკსი-შოფარის დაავადება, დაკავშირებულია ერთროციტების მემგრანის ცილის თანდაყოლილ დეფექტთან, რის შედეგადაც ირევევა მემგრანის განვლადობა. ერთროციტები იღებენ სფეროს ფორმას, ისინი მცირე ზომის არიან, დაქვეითებული აქვთ ოსმოსური რეზისტენტობა და ადვილად ხდება მათი ჰემოლიზი. მიკროსფეროციტოზი მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემიების ცვილაზე ხშირი ფორმაა.

ავადყოფები უჩვიან საერთო სისუსტეს, უსამოვნო შეგრძნებას მარცხნა ფრედვევა არეში, მარდის პერიოდულად გამუქებას. ხშირად ვითარდება სკლერების, ლორწოვანი გარსების და კანის სიციფილე, სანაღლე გზებში ჩნდება პოგმენტური კენჭები, ავადყოფებს აღინიშნებათ სპლენომეგალია. ხშირია ისეთი ანომალიები, როგორებიცაა კომქსებური თავის ქალა, გოთური სასა, სიღმე და სხვა. ავადყოფების უმრავლესობას უნვითარდება ნორმოქრომული ანემია. ხშირი ჰემოლიზური კრიზების გამო ანემია შეიძლება იყოს მძიმე. რეტკულოციტების რაოდენობა მომატებულია. სისხლში მალღლია არაპირდაპირი

ბილრუბინის დონე. სანაღველე გზების კენჭებით ობტურაციის შემთხვევაში ვითარდება ბილრუბინურია. დაავადება წლების განმავლობაში შეიძლება მიმდინარეობდეს აქტუური შემოღობის გარეშე, ზოგჯერ აღინიშნება ხშირი კემოლიზური კრიზები.

**კლინოსიცოტოზი (ჰეპალოციტოზი)** ერთთროციტების მემკვიდრეობითი დაავადებაა, დაკავშირებული მათი მემბრანის სტრუქტურულ დარღვევასთან. დაავადების კლინიკური სურათი ისეთივეა, როგორც მიკროსფეროციტოზის დროს, მაგრამ ის ხშირად კლინიკურად არ ელენდება. ერთთროციტების რეზისტენტობა დაქვეითებულია. ანემია შეიძლება იყოს სხვადასხვა სიმძიმის.

**თალასემია**

თალასემია დაავადებათა ჯგუფია, რომელთა დროსაც ირღვევა გლობინის ჯაჭვების (ალფა, ბეტა, ზოგჯერ გამა და თეტა) სინთეზი. ის ჰემოგლობინის სინთეზის დარღვევით განიზრებულ მემკვიდრეობითი ანემიებს (ჰემოგლობინოპათიებს) მიეკუთვნება. თალასემია გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, აფრიკაში. აღინიშნება საქართველოშიც.

დიდი თალასემია (ჰომოზოგოტური ბეტა თალასემია, კულის დაავადება) გადაეცემა მემკვიდრეობით ორივე მშობლისგან. დაავადება ელენდება ბავშვთა ასაკში. ავადმყოფების კანი და ხილული ლორწოვანი გარსები ფერმკრთალია, აქტურული კლფერით. ელენთა მნიშვნელოვნად არის გადიდებული. ძელის ტვინის მკვეთრი ჰიპერპლასია იწვევს ჩონჩხის ძვლების ცვლილებებს. ავადმყოფებს უვითარდებათ კვადრატული თავის ქალა, ნაშონეული ყვრიბალები, თვალის ჭრილის შევიწროება (მომგოლიოდური სახე). სისხლის ანალიზით ელენდება ჰემოგლობინის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება (30-50 გ/ლ-მდე), ერთთროციტები მკვეთრად ჰიპოქრომულია, ისინი ელბულაობენ სამიზნენ ფორმას (სურ. 203), ფერადობის მაჩვენებელი შეიძლება დაქვეითდეს 0,5-მდე. ერთთროციტების რეზისტენტობა მომატებულია. აღინიშნება რეტკულოციტოზი. სისხლის შრატში მატულობს რკინის შემცველობა. რკინის დიდი რაოდენობა შეიძლება გახდეს ლედოსის აიგმენტური ციროზის (ჰემოქრომატოზი) მიზეზი.

გამოყოფენ აგრეთვე პეტერო ზეგოტურ (ალფა, მკირე) თალასემიას, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა ერთი მშობ-

ლისგან. დაავადებისათვის დამახასიათებელია ჰიპოქრომული ანემია, სამიზნე მაკვარი ერთთროციტები და რეტკულოციტების რიცხვის მომატება.


**ნამგლისებურუჯრედული ანემია**

ნამგლისებურუჯრედული ანემია HBS ჰემოგლობინოპათია-ის წარმოადგენს. დაავადებისთვის დამახასიათებელია ჰემოგლობინის სტრუქტურის ცვლილება, რაც საფუძვლად უდევს დაავადების ძირითად ნიშანს — ერთთროციტების ნამგლისებურობას (სურ. 204). დაავადება ყველაზე მეტად გავრცელებულია აფრიკაში და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

ავადმყოფები მალალი ტანის არიან, გამზდრები, ხერხემლის გაძრუდებით, თავის ქალა კოშკისებურია. აღინიშნება ქებატო-სპლენომეგალია. ანემია ნორმოქრომულია, ჩვეულებრივ არ არის ღრმა (60-80 გ/ლ). ჰემოლიზური კრიზების შედეგად ეითარდება ბილრუბინემია. ავადმყოფების ნაწილში ნაღვლის ბუშტი შეიძლება გაჩნდეს აიგმენტური კენჭები. ნამგლისებური ფორმის ერთთროციტები ჩვეულებრივ სისხლის ნაცხში იშვითად ელენება. ერთთროციტების ნამგლისებური ფორმა კარგად ჩანს ენ. "სკელ" ნაცხში რაიმე აღმდგენელს (მაგ. ნატ-



სურ. 204 სისხლის სურათი ნამგლისებურ უჯრედული ანემიის დროს



სურ. 203 თალასემია, სამიზნენ ფორმის ერთთროციტები

როუმის მეტაბისულფატის 2% ხსნარი) დამატებისას, აგრეთვე ნაცხში თითოეულ ლატის მთავსების შემდეგ. ერთთროციტების ნამგლისებურობა იწვევს სისხლის ნუბოვების მატებას, რაც სისხლძარღვების თრომბოზების მიზეზი შეიძლება გახდეს. დაავადების პროგნოზი მძიმეა და ავადმყოფთა დიდი ნაწილი იღუპება ადრეულ ასაკში.

**შეძინილი ჰემოლიზური ანემიები**

შემეწილი ჰემოლიზური ანემიები შეიძლება განვითარდეს ანტიხეულების ან იმუნური ლიმფოციტების მოწაწილობით. იზოიმუნური ან ალოიმუნური ჰემოლიზური ანემიების დროს ანტისხეულები ან ანტიენგები ავადმყოფის ორგანიზმში ხედებიან გარედან. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აბაღობოთა ჰემოლიზური ანემიები, აგრეთვე პოსტტრანსფუზიული ჰემოლიზური

ანემიები განირობებული ABO და რეზუს-ანტიგენური შეუთავსებლობით. აუტოიმუნური პემოლიზური ანემიების დროს ანტისხეულები წარმოიქმნება საკუთარი შეუცვლელი ერთროციტული ანტიგენების მიმართ. აუტოიმუნური პემოლიზური ანემიები შეიძლება განვითარდეს არასრულ სითბური ავლუტინინებით, სრულ სიცოცხით ავლუტინინებით (ვითარდება სიცოცხის ზემოქმედების შედეგად) და სხვა. აუტოიმუნური პემოლიზური ანემია შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა მედიკამენტის (ქინინიდი, მეთოლ-დომა, სულფანილამიდი, პენიცილინი, ცეპრონინი და სხვა) მიღების შედეგად. ნაშლების კომპლექსი ანტისხეულებთან ფიქსირდება ერთროციტების ზედაპირზე, აღნიშნულ კომპლექსს უწოდებენ კომპლემენტი, რაც იწვევს ერთროციტების დაშლას. შექმნილი პემოლიზური ანემია ვითარდება მალარიის დროს. ამ დროს ერთროციტების დაშლას იწვევენ მალარიის გამომწვევი პლაზმოდიუმები, რომლებიც თავისი განვითარების ციკლს აწარმოებენ ერთროციტებში. შექმნილ პემოლიზურ ანემიებს მიეკუთვნება აგრეთვე პაროქსიზმული სიცოცხით პემოლოზიზურია (ვითარდება სიცოცხე ყოფნის შემდეგ), პაროქსიზმული ღამის პემოლოზიზურია (მარკოაფავა-მიკლოს დაავადება) და სხვა.

შექმნილი პემოლოზური ანემიების დროს ანემია, ჩვეულებრივ, ნორმოკრომულია. ანემია ხშირად ზომიერია, მაგრამ დაავადების ზოგიერთი ფორმის დროს მიმდინარე პემოლოზური კრიზების შემთხვევაში პემოლოზიზის მაქსიმალური შეიძლება დაეცეს ძალიან დაბლა, 20-30 გ/ლ-მდეც კი.

შექმნილი პემოლოზური ანემიები შეიძლება განვითარდეს მეორადად ისეთი დაავადების დროს, როგორებიცაა პემოლუს-ტრუზები, რევმატოლო დაავადებები (სისტემური ნითილი მგლურა, რევმატოლოლო პოლიარტიტი), აქტიური ეპატიტი და სხვა.

### ჰემორაგიული დიათეზები

ჰემორაგიული დიათეზები დაავადების ჯგუფია, რომლებიც ხასიათდება მიდრეკილებით სისხლდენებისადმი და სისხლის ჩაქცევებისადმი. ჰემორაგიული დიათეზი შეიძლება განირობებული იყოს თრომბოციტოპენიით და თრომბოციტოპათიით, სისხლანოვანის განვლადობის დარღვევით (ჰემორაგიული ვასკულიტი) და დარღვევებით სისხლის შემდეგებელ სისტემაში.

### თრომბოციტოპენიები

თრომბოციტოპენიური პურპურა ჰემორაგიული დიათეზია, განირობებული სისხლში თრომბოციტების რიცხვის შემცირებით. ის პირველად აღწერილია ვერლჰოფის მიერ და ამიტომ ამ დაავადებას მისი სახელი ეწოდა. ამჟამად გამოყოფილია თრომბოციტოპენიის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ეტიოლოგიით, პათოგენეზით და კლინიკური მიმდინარეობით.

აუტოიმუნური თრომბოციტოპენიები ვითარდება ავტოიმუნური ანტიხეულების მოქმედების შედეგად. ის უფრო ხშირია ქალებში, მოზრდილ ასაკში. დაავადება ვითარდება უცეკად, მიმდინარეობს ხანგრძლივად, ხშირად იძლევა რეციდებს. განასხვავებენ იდუაბათურ ფორმას და სიმპტომურ ფორმას, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს სხვა დაავადებების ფონზე (ქრონიკული ლიმფოლეიკემია, ქრონიკული ეპატიტი, რევმატოლოლოლო ათროტიტი და სხვა). კლინიკურად ჰემორაგიული სინდრომი ხასიათდება სისხლდენებით ლორწოვანი გარსებიდან და კანზეცაა სის-

ხლჩაქცევებით. სისხლჩაქცევები აღინიშნება კონუნქტივებში, ტუჩებზე, კიდურებზე, სხეულზე. სისხლჩაქცევები ვითარდება სპონტანურად ან მცირე ტრავმის შედეგად. ხშირად ისინი აღინიშნება ინექციის ადგილებში. სისხლჩაქცევები შეიძლება იყოს უცეტე-კურის ხასიათის, ან პურპურის ხასიათის, ზოგჯერ ვითარდება ექიმოზები. შედარებით იშვიათია სისხლჩაქცევები თავის ტვინში, სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტშიან, პენატურია. სისხლდენა ვითარდება ბილის ექსტრაქტის შედეგადაც, მაგრამ შეიქრების შედეგად აღარ განირობებულია თრომბოციტოპენიური პურპურისხათვის ლეიძლის და ელენთის ვადიდება დამახასიათებელი არ არის. დადებითია ლაბტის და ჩქმეტის სიმპტომები. სისხლში შემცირებულია თრომბოციტების რაოდენობა (50 ათასამდე 1 მკლ-ში). თრომბოციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა 7-10 დღის ნაცვლად მცირდება რამდენიმე საათამდე. პარალელურად რამდენიმეჯერ არის გაძლიერებული თრომბოციტოპოეზი. ძელის ტვინში მომატებულია ლეუკოციტების რაოდენობა. სისხლდენის დრო (განსაზღვრული დიუტის მეთოდით) გახანგრძლივებულია, სისხლის კოლენს რეტრაქცია -- შემცირებული. სისხლის შედგენის პლაზმური ფაქტორები წრმის ფარგლებშია, სისხლის შედეგების დრო, ჩვეულებრივ, არ იცვლება.

### ჰემორაგიული ვასკულიტი


ჰემორაგიული ვასკულიტის ყველაზე ხშირი ფორმა ჰემორაგიული იმუნური მიკროთრომბოციტოლოგია (შენლეინ-პენონის დაავადება). დადგენილია დაავადების კავშირი სტრეპტოკოკულ და ვირუსულ ინფექციებთან. დაავადების პროვოცირებას იწვევს გაციცვლა, საჭმლისმირი და შეიკამენტური ალერგია, ენდოგენური ცილებით სენსიბილიზაცია. სისხლდენების დაზიანება ვითარდება იმუნოკომპლექსური მექანიზმებით. სისხლძარღვთა კედელში განვითარებული ანთებითი, დესტრუქციული და თრომბოზული ცვლილებები იწვევს მათი განვლადობის მომატებას.

გამოყოფენ დაავადების შემდეგ კლინიკურ ფორმებს: კანის და სახსრების, ადომინური, თრომბლების და შერეული. კანის სინდრომი ყველაზე ხშირია. აღინიშნება პაპულურ-ჰემორაგიული გამონაყარი, ზოგჯერ ურტიკარული ელემენტებით, რომელიც ჩნდება სიმბტოლუად ქვედა კიდურებზე, დაწმულზე, იშვიათად სხეულზე. სახსრებში ფორმის დროს სახსრებში სისხლის ჩაქცევების გამო ვითარდება მათი შესივება, მოძრაობაში შეზღუდვა, მტკიცეულობა. უფრო ხშირად ზიანდება მუხლის სახსრები. ადომინული ფორმის დროს ვითარდება სალოტი, შეეცივლი ტკიული მუცელში, რომელიც ზოგჯერ ქათობით გრძელდება და გამოწვეულია ნაწლავის კედელში და დადქმონი ჰემორაგიებით. ნაწლავებიდან განვითარებული სისხლდენის შედეგად შეიძლება განვითარდეს სისხლიანი ლტენება, მელენა. ზოგჯერ ვითარდება ცხელება, პოსტჰემორაგიული ანემია, კოლაფსი. თირკმლების სინდრომი, რომელიც საკმაოდ ხშირია, მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული გლომერულონეფრიტის სურათით -- მიკრი- და მაკროემბატურით, პროტინურით, ცილინდრურით. არტერიული ჰაიპერტენზია იშვიათია. ზოგჯერ ვითარდება ნეფროზული სინდრომი. დაავადების მიმდინარეობა შეიძლება იყოს ქრონიკული-მორეციდული, ქვემწვავე, მწვავე და ელვისებური. ყველაზე მძიმე კლინიკური სურათი აღინიშნება ადომინური ფორმის დროს. ელვისებური მიმდინარეობით, რომელიც მაღალი სიკვდილობით ხასიათდება.

### პემოფილია

პემოფილია პემორაგიული დათოზია, რომელსაც საფუძვლად უდევს სისხლის შემდგენელი სისტემის თანდაყოლილი დეფექტები. გამოყოფენ პემოფილიის რამდენიმე ფორმას: პემოფილია A-ს, პემოფილია B-ს (საფუძვლად უდევს სისხლის შედედების IX ფაქტორის დეფიციტი) და პემოფილია C-ს (საფუძვლად უდევს სისხლის შედედების XI ფაქტორის დეფიციტი). დაავადებების ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ფონ ვილბრანდის დაავადება, რომლის დროსაც აღინიშნება ე.წ. ვილბრანდის ფაქტორის დეფიციტი. ხსენებულ კოაგულოპათიებს შორის ყველაზე ხშირია პემოფილია A, რომელიც გამოწვეულია სისხლის შედედების VIII ფაქტორის მემკვიდრეობითი დეფიციტით ან მოლეკულური ანომალიით. VIII ფაქტორის გენი, რომელიც ლოკალიზებულია X ქრომოსომაზე რეცესიულია, რის გამოც ავადდებიან როგორც წესი მამაკაცები. დეფექტური გენი გადაეცემა პემოფილიით დაავადებულ მამაკაცის კლინიკურად ჯანმრთელი ქალიშვილიდან (მათ შორის X ქრომოსომა ნორმალური აქვს) ვაჟ მვილიძეულზე. დაავადებულის ვაჟიშვილები დეფექტურ გენს არ ღებულობენ. დეფექტური გენი ქალის გზით შთამომავლობით გადაეცემა სავარაუდოდ 50%-ში (სურ. 205). ქალები ავადდებიან ძალიან იშვიათად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მამა არის პემოფილიით დაავადებული, დედა კი პათოლოგიური გენის მტარებელი.

პემოფილიის მთავარი სიმპტომია სისხლდენები სხვადასხვა ორგანოზე და ქსოვილისგან, რომლებიც აღმოცენდება სრულიად უმნიშვნელო დაზიანების დროსაც. პემორაგიული გამოვლინებათა სიმძიმე კორელაციაშია VIII ფაქტორის დეფიციტის ხარისხთან, რომლის დონეც პლასმაში ცალკეულ პემოფილურ ოჯახებში მკაცრად არის გენეტიკურად დეტერმინირებული. დაავადება მიმდინარეობს ხშირი გართულებებით და რემისიებით. პემოფილიის კლინიკური ნიშნები ვიზიდგად საკმაოდ აბრუნულ მასეში. განზე და ლორწოვან გარსებზე ჩნდება საკმაოდ დიდი სისხლჩაქცევები სულ მცირე ტრავმების დროს. ავადმყოფები ხშირად უჩივრები სისხლდენას ცხვირიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტადან. ზოგჯერ აღინიშნება პემპტურია. ძლიერი სისხლისდენა შეიძლება განვითარდეს ტონოზოქტომიას და კბილების ექსტროპიკის შედეგად. ძალიან დამახასიათებელია სისხლჩაქცევები სახსრებში (პემპარტოზები). უფრო ხშირად ზიანდება მუხლის და იდაყვის სახსრები. ისინი დიდდება ზომიან და მტკიცეულია. სახსრებში სისხლჩაქცევებს ხშირად თან სდევს ტემპერატურის მომატება. სისხლჩაქცევების შედეგად შეიძლება განვითარდეს სახსრების ანკილოზი, კონტრაქტურა და კუნთების ატროფია. ვანსაკუთრებით მძიმე და ხშირია მასიური სისხლჩაქცევები მუცლის ღრუში, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს ანემია. პემოფილიის დროს განხარგრძობილებულია სისხლის შედედების დრო, ზოგჯერ რამდენიმე საათამდეც კი. ამავე დროს, სისხლდენის ხანგრძლივობა, სისხლის კოაგულაციის რეტრაქცია და თრომბოციტების რაოდენობა ნორმის ფარგლებშია.



სურ. 205 პემოფილიის მემკვიდრეობით გადაცემის სქემა. რგოლები გამოხატავენ ქალებს, კვადრატები მამაკაცებს. რგოლები წერტილებით — ქალებს კონდატორებს, შავი კვადრატები — პემოფილიით დაავადებულებს.

არადიფერენცირებული მოუზნებელი უჯრედების პროლიფერაცია (ანაპლაზია), 3/ პათოლოგიურად გამრავლებული უჯრედების მიერ სისხლშია ორგანოების ნორმალური უჯრედების ჩანაცვლება (მეტაპლაზია) და სხვადასხვა ორგანოში სისხლის ნარმოქმნის კერების შექმნა. გამოყოფენ პემოფილიასტოზების ორ ჯგუფს: ლეიკემიები (ლეიკოზები — რუსულენოვან ლიტერატურაში) და აუთოსისებრი ლიმფომები (ძლიფოსარკომა) და ლიმფოზოგენოზომატიზმი). ლეიკემიები ძელის ტვინის აუთოსისებრი სიმსივნეებია, ხოლო ლიმფომები — ძელის ტვინის გარეშე ნარმოქმნილი ლიმფური სისტემის სიმსივნეები. განასხვავებენ მხიარ და ქრონიკულ ლეიკემიებს. მართალია, მხიარ ლეიკემია ხშირად უფრო მწვავედ მიმდინარეობს ვიდრე ქრონიკული, მაგრამ ეს განსხვავება დაავადების კლინიკური მიმდინარეობის სიმწვავეზე და ხანგრძლივობაზე კი არა, არამედ გამრავლებული უჯრედების მორფოლოგიურ თავისებურებებზე არის დამყარებული. მწვავე ლეიკემიებისათვის დამახასიათებელია არადიფერენცირებული ე.წ. ბლასტური უჯრედების გაშრავლება, მაშინ როდესაც ქრონიკული ლეიკემიის დროს უჯრედების ნაწილი ასრტობს დიფერენცირებას (მოზინფებას) და ისინი ნარმოვდგენილია პერიფერიულ სისხლში. მწვავე ლეიკემიის დროს, განსხვავებით ქრონიკული ფორმებისგან, სისხლში ხშირად აღინიშნება ე.წ. „ლეიკემიური ნაწარმი“ (leukemikus) არსებობა — პერიფერიულ სისხლში ნახულობენ ბლასტურ უჯრედებს და მოზინფებულ ლეიკოციტებს, ვარდამავალი ფორმების გარეშე.

ლეიკემიების ეტიოლოგია საბოლოოდ დადგენილი არ არის. ვარაუდობენ ვირუსების როლს და გენეტიკური დარღვევების მნიშვნელობას ამ დროს.

### პემოპლასტოზები

პემოპლასტოზები -- სისხლშია სისტემის აუთოსისებრი სიმსივნური დაავადებებია. ისინი სასათხებთან შემდეგი ზოგადი თავისებურებებით: 1/ გარკვეული უჯრედების კლონების მკვეთრი გამრავლება (პროლიფერაცია), რაც ყველა შემთხვევაში ნარმოვდგენს დაავადების საფუძვლად, 2/ უპირატესად

### მწვავე ლეიკემიები

მწვავე ლეიკემიების ჯგუფში შემავალ სიმსივნებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — სიმსივნის სუბსტრატს ბლასტური უჯრედები შეადგენს. სისხლნარმოქმნის თანამდროვე თეთროის მიხედვით, მწვავე ლეიკემიების სიმსივნური სუბსტრატს შედგება მე-2 და მე-3 უკისი ნინამობიდი უჯრედებისგან, ან იმ ბლასტე-

ბისგან, რომლებიც იწყებენ სისხლისწარმოების ცალკეულ რიგებს, ანუ მე-4 კლასის უჯრედებისგან. ამდენად, მწვავე ლეიკემია დასახლებულა წარმოდგენილია იმ ნორმალური წინამორბედი უჯრედების დასახლებებიდან, რომელთა მსგავსი აღნიშნული ბლასტური უჯრედები. მაკაუტა, მიელობლასტები, ერთობლასტები, ლიმფობლასტები და სხვა. მწვავე ლეიკემებს, რომელთა სუბსტრატები მე-2 და მე-3 რიგის უჯრედებისგან შედგება, მწვავე ლეიკემების ანადიდურეგულური ფორმები ეწოდება.

მწვავე მიელობლასტური ლეიკემია ყველაზე ხშირად გვხვდება მოზრდილთა ასაკში. დაავადება შეიძლება დაიწყოს მწვავედ ან ტენუვავედ. დასაწყისში აღინიშნება სისუსტე, ავლიად დაღლა, კანისა და ლორწოვანის სიფერქროთაღე. რაც შემთხვევაში დაავადება იწყება ნეკროზული ანგიითი, სტომატითი, მაღალი ტემპერატურით, ძლიერი ოფლიანობით. ხშირად აღინიშნება სისხლდენები (ცხვირდენ, ღრძიდებდენ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და სისხლჩაქცევები კანსა და ლორწოვან ვარსებში, ტკივილი ძვლებში. ვითარდება ანემიის სურათი. დაავადების მოვლენებით სტადიაში შეიძლება გამოიხატოს ლიმფური კვანძების გადიდება, პეპატო-სპლენომეგალია. სისხლში აღინიშნება ზომიერი ანემია. ლეიკოციტების რიცხვმა შეიძლება მიადლოს 100-200 ათასს | მკლ სისხლში, თუმცა აღინიშნება დაავადების სუბლეიკემური ვარიანტებიც. ლეიკოციტებს შორის ვგვხვდება ბლასტური უჯრედები (მიელობლასტები, პრომიელოციტები, მიელოციტები). შეიძლება გამარბატული იყოს თრომბოციტოპენია. ძელის ტვინში, როგორც ნესი, აღინიშნება მიელობლასტური რაკეცია. ბლასტებში ჩანს დამახასიათებელი ციტოპლაზმური ჩანარები (ენ. აუერის ჩხირები) და სხეულაკები. ციტოქიმიურად ამ უჯრედებისათვის დამახასიათებელია დადებითი რეაქცია პეროქსიდაზზე. დაავადება მიმდინარეობს პროგრესულად და მისი პროგნოზი არაკეთილსაიმედოა. შედარებით იშვიათად დაავადების მიმდინარეობაში აღინიშნება რემისია, რომლის დროსაც ავადყოფის მდგომარეობა დროებით უშუბესდება. მწვავე ლეიკემია ხშირად რთულდება ისეთი დაავადებებით, როგორებიცაა მწვავე პნემონია და სეფსისი. ავადყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე დღიდან ერთსაუკუნო წლამდეა. თუმცა, თანამედროვე სამკურნალო პრეპარატების გამოყენება საშუალებას იძლევა გასანგრძლოდეს ადამიანის ცხოვრება 5 წლამდე და მეტცი.

**ქრონიკული ლეიკემიები**

გამოყოფენ ქრონიკული ლეიკემიების შემდეგ ფორმებს: ქრონიკული მიელოლეიკემია, ქრონიკული ლიმფოლეიკემია, ერთორემია, მიელოზური დაავადება და სხვა.


**ქრონიკული მიელოლეიკემია**

ქრონიკული მიელოლეიკემია (ქრონიკული მიელოზი) მიელოზობის წინამორბედი ლეიკოვანი უჯრედებიდან განვითარებული სიმსივნეა, რომლის დროსაც უჯრედების ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ მწიფე ფორმებამდე დიფერენციაციის უნარი. სიმსივნის სუბსტრატს მომწიფებელი გრანულოციტები (ძირითადად ნეიტროფილები) და მათი ახალგაზრდა ფორმები შეადგენენ. გამრავლების განსუზღვევრი უნარი განპირობებს ქრონიკული მიელოლეიკემიის დროს ლეიკემიური პოპულაციის უპირატეს ზრდას, ძელის ტვინში ნორმალური პეოპოზის დათრევენას და ლეიკემიური უჯრედების გამარბულებას

ძელის ტვინის გარდა სხვა ორგანოებშიც, განსაკუთრებით ელენთაში. ქრონიკული მიელოლეიკემია ძირითადად მოზრდილ ასაკში (30-70 წელი) გვხვდება, უპირატესად მამაკაცებში.

დაავადების დასაწყისი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მისი დიაგნოზი შეიძლება პერიფერიული სისხლის შემთხვევით ჩატარებული ანალიზით დადგინდეს. კლინიკურად გამოვლენილი ქრონიკული მიელოლეიკემიის მიმდინარეობაში არჩევენ ორ სტადიას — გამაღოს (ქრონიკულს) და ტერმინალურს (ბლასტურს). დაავადების საწყისი კლინიკური ნიშნები განმარბებულა ელენთის გადიდებით ან ინტოქსიკაციის მოვლენებით, რაც ორგანიზმში დიდი რაოდენობით ლეიკემიური უჯრედების დაგროვებასთან არის დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში ავადყოფის აღენიშნება მუცელში სიმძიმის შეგრძნება ან ტკივილი მარცხენა ფერდვეტმა მიდამოში. მეორე შემთხვევაში დაავადების კლინიკური ნიშნები შეიძლება იყოს საერთო სისუსტე, ოფლიანობა, წნაში დაქვლა. ბლასტურ სტადიაში აღინიშნება ტემპერატურის მომატება, ტკივილი ძვლებში, ელენთის მწიფეზლოვანი გადიდება, პერისპლენიტი, ზოგ შემთხვევაში ლიმფის და ლიმფური კვანძების გადიდება, ძლიერი ოფლიანობა, სიგამხდრე კახექსიამდე, პემორაგეული დაითეზის მოვლენები.

ქრონიკული მიელოლეიკემიის დროს, პერიფერიულ სისხლში აღინიშნება ნეიტროფილური რიგის უჯრედების რიცხვის მკვეთრი მატება — 100-400 ათასამდე | მკლ-ში. მათი რიცხვი რაც შემთხვევაში აღენს | მილიონს | მკლ-ში და მეტს. მომატებულია მიელოციტების (10-15%), პრომიელოციტების და მიელობლასტების რაოდენობა (სურ. 206). ხშირად აღინიშნება აგრეთვე ბაზოფილების და ეოზინოფილების რაოდენობის მომა-



სურ. 206 სისხლის სურათი ქრონიკული მიელოლეიკემიის დროს

ტება (ენ. ეოზინოფილურ-ბაზოფილური ასოციაცია). ანემია დასაწყისში ვითარდება შედარებით იშვიათად. ზოგჯერ აღინიშნება თრომბოციტების რაოდენობის მომატება. ძელის ტვინის პუნქტატში ვლინდება მწიფე და უმწიფარი გრანულოციტების რიცხვის მატება. დიაგნოსტიკური მიზნით აწარმოებენ აგრეთვე თედის ძელის ტრეპანატის პისტოლოგიურ შესწავლას



და პერიფერიული სისხლის ლეიკოციტების ციტოქიმური გამოკვლევას. ამ დროს ნეიტროფილებში მკვეთრად არის დაკეითობული ან საერთოდ არ ვლინდება ტუტე ფოსფატაზას აქტივობა. ტერმინალიურ სტადიაში შემავალი ფიციური მონაცემები და ძირითადად ბლასტური უჯრედების რიცხვის სწრაფი მატება პერიფერიულ სისხლსა და ძვლის ტვინში, ანემიის განვითარებით და გულმძიმეობით, პროგრესირებადი თრომბოციტოპენიით. ბლასტური უჯრედების რაოდენობა 50-90%-მდე შეიძლება მერყეობდეს. ქრონიკული მიელოპროლეიკემიის სპეციფიური სადიაგნოზო ციტოგენეტიკური მარკერი Ph ან ფლადელფიური ქრომოსომა. Ph ქრომოსომა ინტენზივაცირებულია, როგორც 22-ე ქრომოსომა გრძელი მხრის ნაწილისადმი დელეციით. 22-ე ქრომოსომის აღნიშნული ცვლილებას ნახულობენ ქრონიკული მიელოპროლეიკემიის 92%-ში. Ph ნეგატიური ფორმები მიმდინარეობს საკმაოდ მძიმედ და ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობა ამ დროს ხანმოკლეა. ქრონიკული მიელოპროლეიკემით დაავადებულია სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 4 წელია. ბლასტური ფაზა ხანმოკლეა და საშუალოდ 3-6 თვე, ზოგჯერ ერთ წლამდე გრძელდება.

### პრონოზი

ერთობლივ (ვაკეზის დაავადება, ჭეშმარიტი პოლიციტემია) ერთობლივად სისხლის სიმსივნური დაავადებაა. დაავადების კლინიკური გამოვლენებისა თავის ტკივილი, თავბრუსხვევა; ტკივილი გულის მიდამოში, კანის ჭაჭილი. მიმეტურად აღინიშნება მონიალი ციანოზური ფაზის კანი სახეზე, კისერზე, კიდურებზე. განსაკუთრებით დამახასიათებელია აქროციანოზი. პალპაციით აღინიშნება ლეიძლის და ელენთის გადიდება. ავადმყოფებს აქვთ არტერიული ჰიპერტენზია.

სისხლში აღინიშნება ნივთიერების სისხლის მაღალი მარცხენა ლევი: შემოვლობიან აღწევს 140 ერთულს, ერთობლივების რაოდენობა კი 7-8 მილიონს 1 მკლ-ში. აღინიშნება თრომბოციტოზი, ზოგჯერ ლეიკოციტოზი, დაბალი ედს-ი (0-2 მმ/სთ). ძვლის ტვინის პუნქტატები დამახასიათებელია ერთობლივობის რიცხვის მომატება. ძვლის ტვინის ბიოპტატი მორფოლოგიურად ხასიათდება პანმელოზით — სისხლის ნარმოქმნის სპივეტ მტოს მიპერალაზით. ერთობლივების დროს ციკლოპლაზიაში მყოფი ერთობლივების რაოდენობა გადიდება, აღინიშნება სისხლის ნეოპლეზი და ქემოტაქსის მარცხენა მონაცემი.

ერთობლივების ძალიან დამახასიათებელია სისხლძარღვოვანი გართულებები. თრომბოზების და სისხლდენების ძირითადი მიზეზია პლეთორა. გარდა ამისა, ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თრომბოციტოზის და სისხლის შედენების დარღვევას. უფრო ხშირად ვითარდება ეცემების თრომბოზი. ზოგჯერ აღინიშნება ნეივის ქვედა მესამედის ან ტერფის თავისებური შემუშავდა შემოფარგლული ჰიპერემიით (ერთობლივალაგია), რომელსაც თან სდევს მკვეთრი ტკივილი. არტერიული სისხლის მიმოქცევის მოშლა ვინიშნება კიდურების იშემიით, ზოგჯერ განვრცობილია კი. ხშირად აღინიშნება სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, მუცელუბობის დაქვიეობა, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა და სხვა. ზოგჯერ ვითარდება სპონტანური სისხლდენები კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, პერიორიდალური სისხლდენები. ხშირია შარდმეყავა დიათეზი (ურიკემია, ურიკოზურია) და პოდაგრა.

დაავადების სადიაგნოზო ნიშნებია ერთობლივების და პე-

მოვლობის მაღალი მარცხენა მონაცემი, ქემოტა-სალეონმეგალია, ძვლის ტვინში სისხლის ნარმოქმნის სპივეტ მტოს მიპერალაზია, ერთობლივობის რიცხვის სწრაფი მატება, სისხლის ნეოპლეზი, ქემოტაქსის მარცხენა მონაცემი.


ერთობლივი შედარებით კვილოთისებრიანად მიმდინარეობს და ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობა დაავადების დანაწიდან საშუალოდ 15-20 წელს შეადგენს. სიკვდილის ძირითადი მიზეზია გულის და თავის ტვინის სისხლძარღვთა თრომბოზული გართულებები — მიოკარდიუმის ინფარქტი, ცერებრული ინსულტი.

### ქრონიკული ლიმფოლეიკემია

ქრონიკული ლიმფოლეიკემია (ლეიკოზი) ლიმფოიდური ქსოვილის სიმსენვა, რომლის მორფოლოგიურ სუბსტრატს უხშირესად B ლიმფოციტები შეადგენენ. T ლიმფოციტური ლიმფოლეიკემია ძალიან იშვიათია. ქრონიკული ლიმფოლეიკემიის დროს ლიმფოციტების მონიშნება ბლოკირებულია, რის გამოც მათი ფუნქცია არასრულყოფილია და იწვევს უპრობული იმუნოტეტის დაქვიეობას. დაავადებისათვის დამახასიათებელია ლიმფოიდური ქსოვილის სისტემური მიპერალაზია, ელენთის, ძვლის ტვინის და სხვა ორგანოების ლიმფოიდური მეტაპლაზია. დაავადება აღინიშნება საშუალო და ხანდაზმულ ასაკში (35-70 წლები), უმარტესად მამაკაცებში.

დაავადების პირველი სიმპტომებია სისუსტე, ადვილად დაღლა, შრომის უნარის დაქვიეობა. ავადმყოფთა უზიარა გადიდებაზე ოფლანობას, სუბფარინგული ტემპერატურას. აღინიშნება სხვადასხვა მიდამოს — კისრის (საკეპლე ხშირად), ილიის, საწარდლის და სხვა — კანქვეშა ლიმფური კვანძების გადიდება. პალპაციით გადიდებადი ლიმფური კვანძები შეუღლებიერ უმტკივნეულია, ელასტიკური, ციმბისებური კონსისტენციის, არ არიან შეერთებული ერთ-მეორესთან და კანთან. ისინი სხვადასხვა სიდიდის შეიძლება იყოს, ზოგჯერ ქათმის კევრცხის ზომისაც კი. გადიდებული კანქვეშა ლიმფური კვანძები არ წყლდება და არ ჩირქდება, განსხვავებით ტუბერკულოზის დროს გადიდებული ლიმფური კვანძებისა. სხვადასხვა ჯგუფის ლიმფური კვანძების გადიდება იწვევს დამახასიათებელ კლინიკურ გამოვლენებს. ბიფურკაციული ლიმფური კვანძების გადიდება იწვევს ზეწოლას ბრონქებზე და ფლტებებზე, რასაც შედეგადადა აქვს ქოშინი და მორბარული შტეტივები, კუჭ-ნაწლავის ლიმფური კვანძების გადიდება თან სდევს დის-პეისური მოვლენები, მეკროზობა, დარავა და სხვა. ძვლის ტვინის ლიმფოიდურმა მეტაპლაზიამ, თრომბოციტოპენიის შედეგად, შეიძლება გამოიწვიოს პეპროსიული გამოვლენები და ანემია. დიდდება ელენთა და ელილი, რომლებიც პალპაციით მკვირივი კონსისტენციის არიან. ელენთის ინფარქტის შემთხვევაში დამახასიათებელია მტკივნეულია პალპაციის დროს.

სისხლში აღინიშნება ლეიკოციტების რიცხვის მნიშვნელოვანი მომატება. მათი რიცხვი 50-200 ათასი და მეტიც შეიძლება იყოს (ლეიკემიური ფორმა). ლეიკოციტების 80-95% ლიმფოციტობი (სურ. 207), მათ რიცხვში გვხვდება მიელომფოციტები და ლიმფობლასტები. სისხლის ნაცემი ხშირად აღინიშნება დამოწმული ლიმფოციტების დამახასიათებელი ნარჩენები — ვაგმერეტები. უფრო იშვიათად ვითარდება დაავადების სუბლეკემიური და ალეიკემიური ფორმები. ლიმფოლეიკემიის ტერმინული პერიოდი ვითარდება ანემია და თრომბოციტოპენია. ძვლის



სურ. 207 სისხლის სურათი ქრონიკული ლიმფოლიციემიის დროს. ტოტალური ლიმფოციტური მეტაპლაზია

ტინის პუნქცია ავლენს მის ლიმფოციტურ მეტაპლაზიას.

დაავადება პროგრესირებს თანდათანობით. ძალზე იშვიათად აღინიშნება გამწვანებები — ე.წ. ტლასტური კრიზები. ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 4-5 წელია, თუმცა ავადმყოფების ნაწილი ცხოვრობს 10-12 წელი და მეტიც. სიკვდილის მიზეზი მეორადი ინფექცია — უფრო ხშირად პნევმონია (ქუმორული იმუნიტეტის დაქვეითების გამო), ქუმორაგიული გართულებები და კახექსია.

### მიელომური დაავადება

მიელომური დაავადება (შრავლობითი მიელომა, პლაზმოციტომა, რუსტიციკო-კალერის დაავადება) პარაპროტინულ ქემობლასტოზებს მიეკუთვნება. სიმსივნის სუბსტრატს პლაზმური უჯრედები შეადგენს, რომლებიც პათოლოგიურ იმუნოგლობულინებს გამოიმუშავენ. იმისდა მიხედვით, თუ უჯრედების რომელი კლონის პათოლოგია ვითარდება არჩევენ დაავადების შემდეგ იმუნოქიმიურ ვარიანტებს: G-მიელომა, A-მიელომა, M-მიელომა და სხვა. ამ დროს დათრგუნულია ნორმალური იმუნოგლობულინების სინთეზი, რაც ქუმორული იმუნიტეტის დარღვევას და ხშირ ინფექციურ გართულებებს განაპირობებს. მიელომური დაავადებით უფრო ხშირად ხანდაზმული პირები ავადდებიან, უპირატესად ქალები.

ავადმყოფები ძირითადად უჩივიან საერთო სისუსტეს, გულის ფრიალს, ძვლების ტკივილს, განსაკუთრებით წელის არეში, მოძრაობის შეზღუდვას. ზოგჯერ აღინიშნება კანქვეშა სისხლჩაქვებვები და ცხვირიდან სისხლდენას. განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვლოვანი სისტემის დაზიანება. ძირითადად ზიანდება ბრტყელი ძვლები (თავის ქალა, მკერდის ძვალი, მენჯის ძვლები), ხერხემალი და ლულვანი ძვლების გსიფიზები. ხშირია ზერხემლის ძვლების, ნეკნების, მენჯის ძვლების მოტეხილობები. ძვლების მოტეხილობების შედეგად ხშირია კომპრესიული პარალეჯის განვითარება. რენტგენოლოგიური გამოკვლევით ძვლებში ელინდება დესტრუქციული ცვლილებები,

მომრგვალო ფორმის რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე დეფექტების სახით. ეს ადგილები შეესაბამებიან სიმსივნურ კვანძებს, რომლებიც ინვევენ ძვლის კომპაქტური ნეოტიურების ჩანაცვლებას. ძალიან დამახასიათებელია თავის ქალას რენტგენოლოგიური სურათი, რომელსაც დეფექტების გამო ისეთი ფორმა აქვს მიღებული, თითქოს ძვალი სატეხით იყოს ამოტეხილი — „ჩრჩილის ნაჭები თავის ქალა“ (სურ. 208). ძვლოვანი ქსოვილის დაშლას შეიძლება მოჰყვეს დეკალცინაცია და ძვლების კალციუმის მობილიზაციის ხარჯზე განვითარდეს პიპერკალციემია და პიპერკალციურია. დაავადების ხშირ და სერიოზულ გართულებას წარმოადგენს მიელომური ნეფროპათია, რომელიც თირკმლის უკმარისობით ვლინდება და ავადმყოფის სიკვდილის ერთ-ერთ ყველაზე ხშირი მიზეზია.

მიელომური დაავადების დროს პერიფერიულ სისხლში ჩნდება პლაზმური უჯრედები, აგრეთვე გრანულოციტებისა და ერითროციტების უმნიშვარი ფორმები. ძალიან დამახასიათებელია ანემია და მაღალი უდსი (ხშირად 70-80 გმ-მდე 1 საათში). ძვლის ტვინში მომატებულია პლაზმური უჯრედების რაოდენობა. სისხლში მაღალია საერთო ცილის რაოდენობა. ხშირად ის მერყეობს 9-14 მგ%-ის ფარგლებში. სისხლის შრატის ელექტროფორეგრამაზე ვლინდება ე.წ. M-გრაფიენტი, რაც პარაპროტეინით არის განპირობებული. G-მიელომის დროს პარაპ-



სურ. 207 თავის ქალა მიელომური დაავადების დროს. ქალას ძვლებში ჩანს პარალეობითი დეფექტი — „ჩრჩილი მექმლი“ თავის ქალა

როტინი უფრო ხშირად გამა-გლობულინურ ფრაქციაში არის, მაშინ როდესაც A-მიელომის დროს ის ბეტა ფრაქციაში ვლინდება. გამა-გლობულინების საერთო რაოდენობა მომატებულია პარაპროტეინების ხარჯზე. მეორდება ნორმალური იმუნოგლობულინების რაოდენობა. მათ ადგილს იკავებს მონოკლონური ბუნების პათოლოგიური იმუნოგლობულინები, რომლებიც შეესატყვისება იმუნოგლობულინების იმ კლასს (G, A, M, D, E), რომელსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიმუშავენს პათოლოგიური პლაზმური უჯრედი. შემთხვევათა ნაწილში, მიელომური დაავადების დროს შარდში ვლინდება ბენ-ჯონსის

ცილა, რომელიც პათოლოგიური ცილის მსუბუქი ჯაჭვებით არის წარმოდგენილი.


მიელომური დაავადების დიაგნოზი ემყარება კლინიკური, პემატოლოგიური, იმუნოლოგიური და რენტგენოლოგიური კვლევის მონაცემებს. დიაგნოზის საბოლოო დასადგენად, მეტად მნიშვნელოვანია სიმსივნური პროცესის პლაზმურუჯრედოვანი ბუნების მორფოლოგიური დადასტურება და პლაზმური უჯრედების მიერ სინთეზირებული პათოლოგიური იმუნოგლობულინის ბუნების დადგენა იმუნოქიმიურად.

### ლიმფოგრანულომატოზი

ლიმფოგრანულომატოზი (ხოჯკინის დაავადება) ავთვისებიანი ლიმფომებიდან ყველაზე გავრცელებულია. ავადდებიან ყველა ასაკში, მაგრამ ყველაზე ხშირად 16-30 და 50 წლის ზემოთ, მამაკაცები ქალებთან შედარებით მეტი სიხშირით. სიმსივნის სუბსტრატო — გრანულომა შედგება მტერნბერგის (ბერეზოვსკის) გიგანტური უჯრედებისგან, რომლებიც ლიმფურ კვანძებში ქმნიან დასაწყისში მცირე ზომის კვანძებს, ავსებენ მთელ კვანძს და აძევენ ნორმალურ ქსოვილს.

ლიმფოგრანულომატოზის კლინიკური სურათი მეტად მრავალფეროვანია. დაავადების დებიუტში დამახასიათებელია კანის ძლიერი ქავილი. ლიმფოგრანულომატოზის კარდინალური ნიშანია ლიმფური კვანძების გადიდება, უფრო ხშირად კისრის მიდამოში და ლავინ ზედა ფოსოებში. ლიმფური კვანძები პალპაციით რბილია, ელასტიკური და უმტკივნეულო. კლინიკური ნიშნებიდან დამახასიათებელია ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამით და მაღალი ტალღისებური ცხელება შემცივნებით. სხვა კლინიკური სიმპტომები განპირობებულია ამა თუ იმ ორგანოს დაზიანებით. შუასაყარის დაზიანებისას ხშირად ჩნდება ზემო ღრუ ვენის კომპრესიისა და მოხრჩობის სიმპტომები. შუასაყარის ლიმფური კვანძები შეიძლება ჩაიზარდოს პერიკარდში, მიოკარდში, საყლაპავსა და ტრაქეაში. ფილტვების დაზიანებისას ვითარდება ხელა, პლევრის დაზიანებისას — ტკივილი გვერდში და პლევრაში სითხის დაგროვება, ელენის დაზიანებისას — სპენომეგალია და სხვა.

სისხლში სპეციფიკური ცვლილებები არ ვითარდება. ალინინება ედს-ის აჩქარება, ზომიერი ლეიკოციტოზი, თრომბო-



სურ. 209 ლიმფოგრანულომატოზი. მტერნბერგის გიგანტური უჯრედები

ციტოზი, ნეიტროფილოზი, ეოზინოფილია. ლიმფოგრანულომატოზის დროს ზიანდება ლიმფოციტების T სისტემა, რაც განაპირობებს შენელებული ტიპის კანის რეაქციების გამოვარდნას, რაც ელინდება კანის უაჩყოფითი რეაქციით ტუბერკულოზზე. ამ დროს უჯრედული იმუნიტეტის დაზიანება ხელს უწყობს მიდრეკილებას ვირუსული დაავადებისადმი (წითელა, ჩუტყვავილა, პეპატიტი, სარტყელისებრი ლიქენი) და ტუბერკულოზისადმი.

ლიმფოგრანულომატოზის დიაგნოზი დამყარებულია დაავადების კლინიკურ გამოვლენებზე და ლიმფური კვანძების პუნქტატში ან ბიოფტატში სპეციფიკური გრანულომების აღმოჩენაზე, რომლებიც შეიცავენ მტერნბერგის გიგანტურ (დიამეტრი 30-80 მკრ), ხშირად მრავალბირთვიან უჯრედებს (სურ. 209).

დაავადება მიმდინარეობს განუკუვებებით და რემისიებით. ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ 3-4 წელია, თუმცა ზოგჯერ შეიძლება 8 წელსაც აღემატებოდეს.

# თავი VII

## შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების სისტემა

შინაგანი სეკრეციის ან ენდოკრინულ ჯირკვლებს მიეკუთვნება ჰიპოფიზი, ფარისებრი ჯირკვალი, პარათირეოიდული (ფარისებრბუნი) ჯირკვლები, პანკრეასი (კუჭუკანა ჯირკვალი), თირკმელზედა ჯირკვლები, სასქესო ჯირკვლები. ისინი გამოიმუშავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (ჰორმონებს), რომლებიც სისხლის გზით ვრცელდებიან მთელ ორგანიზმში და მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანოს ფუნქციის რეგულაციაში. ამდენად, ენდოკრინული სისტემა, ნერვულ და იმუნურ სისტემებთან ერთად მარგვლირებელ სისტემებს შეიძლება მივაკუთვნოდ. ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის მნიშვნელოვნად განაპირობებენ ცენტრალური ნერვული სისტემა და ჰიპოთალამუსი (ცხრილი 43). ჰიპოთალამუსის ჰორმონები არეგულირებენ ჰიპოფიზის წინა ნილოს (ადენოჰიპოფიზის) ექვემდებარებას ჰორმონის სინთეზს და სეკრეციას. ჰიპოთალამუსს შეუძლია გააძლიეროს ჰიპოფიზის აქტივობა რილიზინგ-ფაქტორების (ლიბერინების) გამოიმუშავებით და დათრგუნოს მაინჰიბირებელი (სტატინების) გამოიმუშავებით. ჰიპოფიზის ჰორმონები, თავის მხრივ, არეგულირებენ პერიფერიული ენდოკრინული ჯირკვლების (ფარისებრი ჯირკვალი, თირკმელზედა ჯირკვლები, გონადები და სხვა) აქტიურობას, აგრეთვე, ორგანიზმის ზრდას და ლაქტაციას (ცხრილი 44). ჰორმონების გამოიმუშავება ხდება ე.წ. უკუკავშირის (feedback) პრინციპის საფუძველზე. პერიფერიულ ენდოკრინულ ჯირკვლებში გამოიმუშავებული ჰორმონები, თავის მხრივ, თრგუნავენ ჰიპოფიზისა და ჰიპოთალამუსის სისტემის აქტიურობას.

ჰორმონები თავიანთ ეფექტს ახორციელებენ სამიზნე უჯრედებში არსებულ რეცეპტორებთან, რის შედეგადაც იცვლება სათანადო სამიზნე ორგანოს ფუნქცია. ენდოკრინული დარღვევები შედეგია ჰორმონების გამოიმუშავების დარღვევის, მათი ეფექტების სიჭარბით ან უქმარისობით.

ცხრილი 43

ჰიპოთალამუსის პირმონების მოქმედაა ჰიპოფიზის პირმონებზე

ჰიპოთალამუსის პირმონები	ჰიპოფიზის პირმონები	შედეგი
თირეოლიბერინი	თირეოტროპული ჰორმონი	სტიმულაცია
გონადოლიბერინი	პროლაქტინი მალუტრინიზირებელი ჰორმონი	სტიმულაცია
ლოფამინი	ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი პროლაქტინი პროლაქტინი	დათრგუნვა
კორტიკოლიბერინი	აღრეოკორტიკოტროპული ჰორმონი	სტიმულაცია
სომატოლიბერინი	ზრდის (სომატოტროპული) ჰორმონი	სტიმულაცია
სომატოსტატინი	ზრდის ჰორმონი თირეოტროპული ჰორმონი	დათრგუნვა

### გამოკვლევის მეთოდები

### გამოკითხვა

### ჩივილები

ენდოკრინული ჯირკვლების დაავადებების დროს ავადმყოფის ჩივილები მეტად მრავალფეროვანია, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ჯირკვლის პათოლოგიასთან და მის გავლენასთან ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე. ამავე დროს, ცალკეული ჯირკვლის პათოლოგიისათვის დამახასიათებელია სპეცი-

ფიკური ხასიათის გამოვლინებები. ავადმყოფებმა შეიძლება წარმოადგინონ ჩივილები გამძლიერებულ ნყურვილზე და შარდავაზე, პირის სიმშრალეზე, წონაში დაკლებაზე, რაც შპკიანი დაიბეტისათვის არის დამახასიათებელი. გაძლიერებული ნყურვილი აქვთ აგრეთვე ავადმყოფებს უშაქრო დაიბეტის შემთხვევაშიც. ავადმყოფებს თირეოქსიკოზის დროს აქვთ გაძლიერებული თვლიანობა, გულის ფრიალი, ნერვული აგზნებადობა, ჰიპოთირეოზის დროს -- აპათია, შრომის უნარის დაქვეითება, ძილიანობა, მესხიერების დაქვეითება და სხვა.

გამოკითხვით, ჩივილების გარდა, დგინდება ავადმყოფის გონებრივი განვითარება, მისი ფსიქიკური სტატუსი. რიგი ენდოკრინული დაავადებისათვის დამახასიათებელია გონებრივი

პერიფერიული ანოქიონული  
ჯიროკვლების სისტემა

ცხრილი 44

ენდოკრინული ჯიროკვლები  
ფარისებრი ჯიროკვალი

პარათირეოიდული ჯიროკვლები  
პანკრეასი

თირკმელზედა ჯიროკვალი  
(ქერქოვანი შრე)

თირკმელზედა ჯიროკვალი  
(ტერნოვანი შრე)

საკვრცხვები

სათესლეები

- ჰორმონები**
- თიროქმინი — T4
  - ტიროიდორონი — T3
  - პარატორმონი
  - ინსულინი
  - სომატოსტატინი
  - გლუკაგონი
  - ალდოსტერონი
  - კორტიზოლი  
(პროკორტიზონი)
  - ანდროკოსტერონი
  - ადროკენები
  - ქსტროკენები
  - პროკსტერონი
  - ადრენალინი
  - ნორადრენალინი
  - ქსტრადოლი
  - პროკსტერონი
  - ტესტოსტერონი
  - ქსტროკენები

ჩამორჩენა, კრეტინიზმი. ანამეზიდან მნიშვნელობა აქვს გადატანილ ინფექციურ დაავადებებს. ასე მაგალითად, პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი ხშირად გამოვლინდება ჯიროსული ინფექციის გადატანის შედეგად, ადისონის დაავადება შეიძლება საფუძვლად დაედოს თირკმელზედა ჯიროკვლების ტუბერკულოზური დაზიანება. შაქრიანი დიაბეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შთამომავლობით ფაქტორს. თირეოტოქსიკური ჩაყვის აღმოცენება ხშირად წინ შეიძლება უძლოდეს ფსიქიკური ტრავმა, შიში, ძლიერი მღელვარება. ენდოკრინული დაავადებები შეიძლება გამოვლინდეს სექსობრივი მომზინების პერიოდში, კლიმაქსის დროს, მშობიარობის შემდეგ და სხვა.

**ფიზიკური კვლევის მეთოდები**

**ინსპექცია**

ინსპექცია ენდოკრინული დაავადებების გამოკვლევის მეთოდს მნიშვნელოვანი მეთოდია. ენდოკრინული ჯიროკვლებიდან უშუალოდ დათვალიერება ექვემდებარება მხოლოდ ფარისებრი ჯიროკვალი და სათესლეები. ინსპექციით ადვილად შეიძლება აღნიშნული ორგანოების ცვლილებების (გადიდების ან შემცირების) დადგენა. მართალია, სხვა ენდოკრინული ჯიროკვლები ინსპექციით არა ჩანს, მაგრამ მთელი რიგი ენდოკრინული დაავადების დროს (აკრომეგალია, ბაზილიუსის დაავადება, მიქსედემა, კუშინგის დაავადება, ადისონის დაავადება და სხვა) ვითარდება ისეთი ცვლილებები, რომ დიაგნოზი შეიძლება დაისვას აუდემყოფის ერთი შეხედვის საფუძველზე.

ენდოკრინული დაავადებების დროს ინსპექციით ყურადღება უნდა გამახვილდეს პაციენტის სიმაღლეზე, სახის გამომეტ-

ყველაზე, კანის, თმის საფარის, კანქვეშა ქსოვილის მდგომარეობაზე, ძელოვანი და კუნთოვანი სისტემების ცვლილებებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყელის დათვალიერება ფარისებრი ჯიროკვლის ცვლილებების დასადგენად. სახის დამახასიათებელი ცვლილებები ენდოკრინული დაავადებების დროს დეტალურად არის აღწერილი სახელმძღვანელოს ზოგად ნაწილში. გიგანტური სიმაღლე (195 სმ-ზე მეტი) დამახასიათებელია ჰიპოფიზის წინა ნაწილის ჰიპოფუნქციისათვის. ზრდის შეწყვეტი შეფერება — ყუჯობა (135 სმ-ზე ნაკლები სიმაღლე) შეიძლება დაკავშირებული იყოს ჰიპოფიზის და ფარისებრი ჯიროკვლის ჰიპოფუნქციასთან. კანის სიფერკრთავე, მოყვითალო ელფერი, დამახასიათებელია მიქსედემისთვის, კანის სინიოლე — კუშინგის სინდრომისათვის, ბრინჯაოს ელფერის კანი — ადისონის დაავადებისათვის. მიქსედემის დროს კანი მშრალია, ჰიპერთირეოზის დროს — ნესტიანი. კუშინგის სინდრომისათვის მუცლის ქვედა ნაწილში და ბარძაყებზე აღინიშნება მონითალო ფერის ნაწიწურები, ხშირად გაძლიერებულია თმისადა. პირსტუტიზმი (ჭარბი თმისადა) ქალებში შეიძლება განვითარდეს ანდროგენების ჰიპერსეკრეციის გამო. მიქსედემისათვის დამახასიათებელია თმის გაცევა. მამაკაცებში ქალური ტიპის თმისადა ვითარდება ენთოზიოზის დროს, რომელიც პირველადი ჰიპოგონადიზმის შედეგი შეიძლება იყოს. ამ დროს აღინიშნება ნეკრო-ულეამის უქონლობა, დამახასიათებელი ნაოჭები სახეზე. ჰიპერთირეოზის, ადისონის დაავადების შემთხვევაში ეთარდება ძლიერი სივამზრე, ჰიპოპიტუიტარისმის შემთხვევაში — კახეკსია. სხეულზე ციმბის ჭარბი დაგროვება დამახასიათებელია კუშინგის სინდრომისათვის და სხვა. ენთოზიოზის დროს პაციენტებს აქვთ არაპროპორციულად გრძელი კიდურები, ძელების შემსვლელება დამახასიათებელია აკრომეგალიისათვის. იგივე პათოლოგია სასითადება კუნთოვანი ქსოვილის განვითარებით. ჰიპოპარათირეოზის დროს ხშირია ძელების მოტეხილობა. ჰიპოპარათირეოზის განვითარებისას ავადმყოფებს აღინიშნება ტონური კრუნჩხვები, ხელის მტყვანი იღებს დამახასიათებელ "შანის ხელს" შეხედვითებას. კიდურების ტრემორი ძალიან ხშირად ვითარდება ჰიპერთირეოზის დროს.

**პალპაცია**

პალპაციის შეიძლება დადინდეს ფარისებრი ჯიროკვლის სიდიდე, სიმკვრივე, კვანძოვანობა, მტკივნეულობა, პულსაციის არსებობა. პალპაციის ტექნიკა შემდეგში მდგომარეობს. ექიმის ორივე ხელის მოწულული ოთხი თითი თავსდება მკერდ-ლავიკის რილისებრი კუნთის გარეთა კიდზე, დიდი თითები კი ამ კუნთის შიდა ზედაპირზე. პალპაციისას ავადმყოფმა უნდა გადალასოს ნერწყვი; ამ დროს ხორხთან ერთად ფარისებრი ჯიროკვალი გადაადგილდება ექიმის თითებს შორის, რაც აადვილებს პალპაციურ შეგრძნებას. თითები ზოგჯერ საჭიროა მოთავსდეს მკერდის ძელის ტარის შიგნით, რაც საშუალებას იძლევა გაისინჯოს ფარისებრი ჯიროკვლის კონსისტენცია მისი რეტროსტერნული მდებარეობისას და დადგინდეს მასში კვანძების არსებობა. ფარისებრი ჯიროკვლის ზომის დასადგენად საჭიროა კისრის გარშემოწერილობის გაზომვა კისრის VII შიდა და ჯიროკვლის ყველაზე წინ ნაწილზე ნაწილის დონეზე.

დიდი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს კანის პალპაციას

ბაზელის დაავადების და მიქსედემის დროს. პირველ შემთხვევაში კანი რბილია, თბილი, ნაშინი, სადა, მეორე შემთხვევაში კი — მკვრივი, ცივი, მშრალი და ხორკლიანი.

პალაყით დგინდება სათესლეების სიდიდე, სიმკვრივე და მტკიცუნელობა. ქალებში სპეციალური გინეკოლოგიური პალაყით შეიძლება აგრეთვე საკერცხეების გასინჯვაც.

### პერკუსია და აუსკულტაცია

პერკუსია ზოგჯერ საშუალებას ვეძიებს დაავადებით რეტროსტერნულად განლაგებული ვადიდებული ფარისებრი ჯირკვლი. აუსკულტაციით თირკეთოქსიკოზის დროს დგინდება სისხლარღვევანი შუილები, დაკავშირებული ფარისებრი ჯირკვლის გაძლიერებულ სისხლის მიმოქცევასთან და სისხლის აჩქარებულ დინებასთან.

### ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები

შინაგანი სეკრაციის ჯირკვლების დაავადებების დროს პირმზების განსაზღვრისათვის გამოიყენება რადიოზოტოპური და იზოტოპურმენტული მეთოდები. აღნიშნული მეთოდები საშუალებას იძლევა დადგინდეს სისხლში პიპოფიზის (ზრდის პორმონი, თირკეთოტროპული პორმონი, პროლაქტინი, ადრენოკორტიკოტროპული პორმონი და სხვა), ფარისებრი ჯირკვლის (თირკეთისინი, ტრიოდოთრონინი), პარათირეოიდული ჯირკვლების (პარათირეონინი), პანკრეასის (ინსულინი, სომატოტრინი, გლუკაგონი), თირკმელზედა ჯირკვლის (ალდოსტერონი, კორტიზონი და სხვა), სასქესო გარკვევების პორმონების კონცენტრაცია. რაც შემთხვევაში პორმონების და მათი მეტაბოლიტების განსაზღვრა ნარმობს შარდში. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესაფასებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს სისხლში ცილასთან შეკავშირებული იოდის (ცმბ) კონცენტრაციის დადგენა. ხორმის დროს ცმბ-ის კონცენტრაცია მერყობს 315-630 ნმოლ/ლ (4-8 მგ%). თირკეთოქსიკოზის დროს მისი კონცენტრაცია აღემატება 630 ნმოლ/ლ (> 8,5 მგ%), პიპოფიზის დროს — ნაკლები 315 ნმოლ/ლ (< 3,5 მგ%). ძირითადი ცვლის გამოკვლევას ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დასადგენად პრაქტიკულად აღარ იყენებენ, რადგანაც ეს მე-ოთხედასა სეკრად არაზუსტია და დადებითა მთელი რიგი სხვა დაავადებების (ვიტეინოვროზი, ესენციური ჰიპერტენზია და ა.შ.) დროსაც. მითითებული კვლების მეთოდებიდან შაქრის დიაბეტის დიაგნოსტიკაში მეტად მნიშვნელოვანია შაქრის განსაზღვრა სისხლში და შარდში. პარათირეოიდული ჯირკვლების პათოლოგიის შესაფასებლად მნიშვნელოვანია კალციუმის და ფოსფორის დონის დადგენა სისხლში.

ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესაფასებლად გამოიყენება ჯირკვლის შიერ რადიოზოტოპური იოდის შთანთქმის სინრაზე და ინტენსივობა, აგრეთვე სკანირება, რომელიც ავლენს ფარისებრი ჯირკვლის ზომებს, პიპო-და პიპერფუნქციის უბნებს. ულტრაბგერითი გამოკვლევებით და კომპიუტერული ტომოგრაფიით შეიძლება დადგინდეს ფარისებრი ჯირკვლის ზომა, სტრუქტურა, მასში სიმსივნის არსებობა. კომპიუტერული ტომოგრაფიით შესაძლებელია თირკმელზედა ჯირკვლის პიპერტროფი და მასში სიმსივნური პროცესის არსებობის დადგენა. ამ მიზნით, ბოლო დროს, ნაკლები ინფორმაციულ-

ბის და ავადმყოფისათვის საკმაოდ მიძიდვად ატანის გამო, ნაკლებად გამოიყენება რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდები — პნევმოპიკტოგრაფია და პნევმოზონი. პიპოფიზის დაავადებების დიაგნოსტიკისათვის მეტად ინფორმაციულია თურქული კეხის და მიზნებური რენტგენოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია. უკანასკნელი მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პიპოფიზის სიმსივნეები ზომით 0,2 სმ-მდე

### შინაგანი სეკარაციის ჯირკვლების დაავადებები

#### აკრომეგალია

აკრომეგალია ვითარდება ადენოპიპოფიზის ფიზიონოლოგიური უჯრედებისგან წარმოქმნილი ადენომის გამო, რომელიც ანარმობს ზრდის პორმონის (სომატოტროპული პორმონი — სტპ) ჭარბ პროდუქციას. ის ხასიათდება ძვლების, რბილი ქსოვილებისა და შინაგანი ორგანოების არაპროპორციული ზრდით. ბავშვებსა და მოზარდებში ზრდის პორმონის პიპერპროდუქცია ინვევს ძვლების გაძლიერებულ ზრდას გვიგატიზმის განვითარებით.

აკრომეგალია ვითარდება თანდათანობით. ავადმყოფი უჩივის სისუსტეს, თავის ტკივილს, ტკივილს ყეოზალებსა და მუხლის ნილის მიდამოებში, სენის და ყნისვის დაქუციებას, კომის, პარესთეზიებს. აღნიშნება ხმაური ყურებში, სინათლის შიში და დაბოლოება. ძალიან დამახასიათებელია გარეგნობის შეცვლა: თავის არემომორლობა იზრდება, მუხლის ძვლის ორბიტული ნაწილი წინ იწევს, ყვირმალის ძვლები ფართოვდება. რბილი ქსოვილების პიპერტროფია ინვევს ცხვირის, ყურის და ენის ზომების გაზრდას. მტკივანი და ტერფი ფართოვდება, თითები სქელდება. დიდდება ქვედა ყბა, რობოლიც წინ არის ნაბონეული (პროგნათიზმი). დიდდება შუალედი კბილებს შორის (დასატემა). ხორმის და ხმოვანი იოგების პიპერტროფიის გამო ხმა დაღვდება, ვულგურების ყავხი იზრდება. წინა-უკანა მიმართულებით, ნეკნათაშუა სიგრცეები ფართოვდება. აღნიშნება ტკივილი ხასხრებში, მათი დეფორმაცია ზრტოვანი ქსოვილის განვითარების გამო. იზრდება შინაგანი ორგანოების, მათ რიცხვში ძვლის, ზომები (ვისცერომეგალია). მატულობს არტერიული წნევა. აღნიშნება პიპერგლიკემია.

დაავადების პირინასულ სტადიაში ვითარდება თავის ქალას შიდა წნევის მომატება, მხედველობის სიმახვილის შემცირება და მხედველობის ველის შევიწროება (ბიტემორარული პეშიანოფია). ზოგჯერ ვითარდება სრული სიბრმავე. დასანყნობი, უსუნოვანი მასის მატებასთან დაკავშირებით, ავადმყოფებს ძალა ემატებათ, მაგრამ შემდეგ ვითარდება კუნთების პიპოტროფი და მოიპოთა ძალის დაქუციებით.

აკრომეგალის დიაგნოსტიკა სინქნელს არ წარმოადგენს დამახასიათებელი გარეგნობისა და ჩამოყალიბებული კლინიკური სურათის შემთხვევაში. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს სისხლში სტპ-ის კონცენტრაციის გაზრდას (ნორმა 0,5-5,0 ნგ/მლ). რენტგენოლოგიური, კომპიუტერული ტომოგრაფიით და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით ნახულობენ თურქული კეხის ზომაში მომატებას, მის ახლომდებარე ძვლების დესტრუქციას, თავის ქალას ძვლების გასქელებას. დიაგნოსტიკური მნიშ-

ენლობა აქვს მხედველობის ველოს შეეინროებას, გლეკონისად-  
მი ტოლერანტობის დარღვევის, პიკერკალციუმის (3,6 მმოლ/ლ-  
ზე მეტი) და პიკერფოსფატებისა (1,6 მმოლ/ლ-ზე მეტი).

დროული დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მკურნალობის  
შემთხვევაში პროგნოზი კეთილსამიშობლო, თუმცა ავადმყოფთა  
ნაწილი კვდება 50 წლამდე გულის უშეპრობითი.

### უშაქრო დიაბეტი

უშაქრო დიაბეტს საფუძვლად უდევს პიოფიზის უკანა ნი-  
ლის (ნეიროჰიპოფიზი) პორპოზის — ანტიდირეუზული პორპო-  
ზის — ვაზოპრესინის უკმარისობა. გამოიყენებენ ე.წ. პირველად  
უშაქრო დიაბეტს, რომელიც ხშირად გადაეცემა შთამომავლო-  
ბით ან აღმოცენდება სპონტანურად და ე.წ. მეორად უშაქრო  
დიაბეტს, რომელიც ვითარდება თავის ქალას ტრავმის, ტვინის  
შერყევის, ქირურგიული ჩარევის, თავის ტვინის სიმსივნეების,  
ინფექციის შედეგად და სხვა. ვაზოპრესინის უკმარისობას  
ირღვევა თირკმლის მილაკებიდან ოსმოსურად თავისუფალი  
ნელის მენჯო, რის გამოც ლიფორდება სითხის გამოყოფა ორგა-  
ნიზმიდან. ამ დროს მატულობს პლაზმის ოსმოსური ნეცა, რაც  
ინვეცს პიოთალამუში, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირე-  
ბული ნეიროჰიპოფიზთან, ნეურეილის ცენტრის ვალიზიანებას.  
აღნიშნული ე.წ. ცენტრალური უშაქრო დიაბეტის გარდა, გამო-  
ყოფენ აგრეთვე, ნეფროგენურ, ვაზოპრესინ რეზისტენტულ  
უშაქრო დიაბეტს, რომლის დროსაც ქვეითდება თირკმლების  
დიაბეტიკური მილაკების მგრძობილებლობა პორპოზის მიმართ,  
რომელიც გამოიყოფა ჩვეულებრივი რაოდენობით.

დაავადების ნამყვეანი კლინიკური სიმპტომებია პოლიური-  
ა და პოლიდეჰიდა. ავადმყოფები დღეღამეში გამოყოფენ 5-6  
ლიტრ შარდს. დაავადების პროგრესირებისას დღურები ზოგ-  
ჯერ 20-40 ლიტრს აღწევს. ამის გარდა ავადმყოფებს აღენიშნე-  
ვთ საერთო სისუსტე, ნონაში დაკლება, კანის და ლორწოვანი  
გარსების სიმშრალე, კუჭის ფაუნარიობა და დანევა, შარდის  
ბუშტის ზომის გადიდება. ხშირად ვითარდება ტაქიკარდია, პი-  
პორტონია, დეკომპრესიის სინდრომი, პიკერნატრემია. მდგო-  
მარობის ამძიმებს სითხის შეზღუდვა. მოზარდები ჩამორჩები-  
ან ზრდაში და გვიან უყვალბდებთ მეორადი სასქესო ნიშნები.  
ბავშვებში ხშირად აღინიშნება ღამით შარდის შეუკავებლობა  
(enuresis nocturna).

უშაქრო დიაბეტის დიაგნოზის კრიტერიუმებია დღურები 5-  
დან 20 ლიტრამდე დღეში, შარდის დაბალი ხეცდრითი ნონა  
(1000-1003), სისხლის მაღალი გეზოვნევა, ერთორციტოზი, მა-  
ღალი პემატოკრიტი. პლაზმაში ანტიდირეუზული პორპოზის  
კონცენტრაცია დაბალია (ნორმა 0,1-6 ნგ/ლ). ნეფროგენული  
უშაქრო დიაბეტის დროს ვაზოპრესინის კონცენტრაცია სის-  
ხლში არ არის დაქვეითებული.

დაავადება მიმდინარეობს ქრონიკულად და მისი პროგნოზი  
ბევრად არის დამოკიდებული ეტიოლოგიურ ფაქტორზე.

### ენდემიური ჩიყვი

ენდემიური ჩიყვი ვითარდება ორგანიზმში ოილის დეფიცი-  
ტის გამო. დადგენილია, რომ დღე-ღამეში ადამიანი მოიხმარს  
100-200 მკგ-მდე ოილს, რომელიც ორგანიზმში ხვდება წელისა  
და საკვების საშუალებით. ენდემიური ჩიყვი განვითარდება იმ  
შემთხვევაში, თუ ოილის შეღწევა ორგანიზმში დაქვეითებულია

50 მკგ-მდე. დაავადება გავრცელებულია განსაზღვრულ გეოგ-  
რაფიულ რეგიონებში, იქ, სადაც აღინიშნება გარემოში ოილის  
უკმარისობა. მსოფლიო მასშტაბით რეგისტრირებულია ენდე-  
მიური ჩიყვი დაავადებული 200 მილიონზე მეტი ადამიანი. ის  
საკმაოდ ავადმყოფული საქარსელოდ.

ოილის დეფიციტი იწვევს T3 (ტრიიოდოთრონი) და T4 (თი-  
როქსინი) სეკრეციის შემცირებას და პიოფიზის მიერ თირე-  
ოტროული პორპოზის სეკრეციის გაძლიერებას (უუკვაპოზის  
პრინციპით). თირეოქსინისა და ტრიიოდოთრონი პროდუქცია იწვევს ფა-  
რისებრი ჯირკვალის გადიდებას, რაც ხელს უწყობს თირეოი-  
დული პორპოზების სეკრეციას და ეუთირეოიდული  
(ნორმალური ფუნქციის მქონე) მდგომარეობის შენარჩუნებას.  
ეუთირეოიდული ჩიყვის დროს ფარისებრი ჯირკვლის დაზღვევა  
დარღვეული არ არის. გადიდების ფორმის, კვანძების არსებო-  
ბის მიხედვით განასხვავებენ დიფუზურ, კუანძოვან და დიფუ-  
ზურ-კუანძოვან ჩიყვებს.

ენდემიური ჩიყვის კლინიკური გამოვლინებები დამოკიდე-  
ბულია ფარისებრი ჯირკვლის გადიდების ხარისხზე, მის ლოკა-  
ლიზაციასა და ფუნქციურ აქტიურობაზე. მცირე ზომის ეუთი-  
რეოიდული ჩიყვის შემთხვევაში ავადმყოფებს ჩივილები არა  
აქვთ. ფარისებრი ჯირკვლის გადიდება იწვევს გვერდით მდებარე  
ორგანოებზე — ტრაქეაზე, საყლაკე შემზღვრებითი ნერვი —  
ზენისთან, რასაც შეიძლება მოჰყვეს სუნთქვის დარღვევა, დის-  
ფაგია, ხმის ჩახლეჩვა. სისხლის ძარღვებზე ზეწოლამ შეიძლება  
გამოიწვიოს სისხლის მიმოქცევის დარღვევის ნიშნები. ენდემი-  
ური ჩიყვის დროს შეიძლება განვითარდეს პიოთირეოიდული  
მდგომარეობა. ამ დროს ავადმყოფებს ახასიათებთ სისუსტე,  
აპათია, ნონაში მომტება, კანის სიმშრალე, ბრუნდარდია, შეკ-  
რულია. ბავშვებში პიოთირეოზის ნიშნები აღინიშნება უფრო  
ხშირად. ასეთ დამებები ვითარდება ი უფრო ნელა, დასაკუთ-  
რებით გონებრივად, უკუთა ნსაელომენ სკოლაში. შეიძლება  
განვითარდეს კრეტინიზმი.

დავანოსტიკისათვის მნიშვნელობა აქვს ანამნეზს (ენდემი-  
ური კერის არსებობა), ფარისებრი ჯირკვლის პალპაციას. თი-  
რეოტროული პორპოზის დონე პორპოზის არ ოდნავ არის მომა-  
ტებული, T3 დონე ნორმაშია, თირეოქსინის დონე ნორმაშია ან  
ოდნავ არის დაქვეითებული. რადიოიზოტოპული სკანირებით  
და ულტრაგრატიული გამოკვლეებით შეიძლება დადგინდეს ფარი-  
სებრი ჯირკვლის ზომები, მისი ატაქური (მკერდსუკანა) განლა-  
გება, კვანძების არსებობა.

### დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი

დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი (ბაზუღოვის დაავადება) გუ-  
რეიკის დაავადება) ხასიათდება ფარისებრი ჯირკვლის დიფუზურ-  
რად გადიდებით და თირეოიდული პორპოზისა და ტრიიოდო-  
თროქსინით. დიფუზურ ტოქსიკურ ჩიყვს ხშირად აიგივებენ თი-  
რეოტოქსიკოზთან (პიოთირეოზთან), რაც არ არის სწორი.  
თირეოტოქსიკოზი სინდრომი, პორპოზის განვითარებაც დაკავ-  
შირებულია ორგანიზმში თირეოიდული პორპოზების მოჭარბე-  
ბასთან და შეიძლება შეგვედეს ბაზუღოვის დაავადების გარდა  
ფარისებრი ჯირკვლის სხვა პათოლოგიების დროსაც — ქვეე-  
ნავე თირეოიდტი, თირეოტოქსიკური ადენომა, ფარისებრი  
ჯირკვლის კიბო და სხვა. სადღისოდ მიჩნეულია, რომ დიფუ-  
ზური ტოქსიკური ჩიყვი აუტოიმუნური დაავადებაა. ჩიყვის  
განვითარება და თირეოიდული პორპოზითა დაქვეითებულია.

შედეგია თორიოდმატბორებელი პორმონის (თბქ) სანინა-აღმდეგო ანტიბიოტიკების პროდუქციის, რომელიც ბოჭვენ თორიქსინის რეკომენდირებას ფარისებრი ჯირაკვლის უჯრედების მებრანაზე და ასტიმულირებენ ჯირაკვლის მიკროფუნქციას. დაავადების აღმოცენებას ხშირად წინ უძღვის ფსიქიკური ტრავმა, მწვეფი ინფექცია. მის გენეზში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება შთამბრალვითი ფაქტორს.

დაავადების ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომებია ჩიყვი, ტრემორი, ვგზოფთალმია, ტაქიკარდია, ტემპერატურის მომატება. ავადმყოფები უჩივიან ზოგად სისუსტეს, ადვილად გაღიზიანებას და დაღალას, მტრიალობას, მოუსვენრობას და შიშის გრძნობას, გულის ფრიალს, ტკივილს გულის არემი, ოფლიანობას.

ფარისებრი ჯირაკვლი დიფუზურადაა გადიდებული. განასხევენ ჯირაკვლის გადიდების რამდენიმე ხარისხს: I-II ხარისხის — ჯირაკვლის გადიდება ვლინდება ყლაპვის დროს და პალპაციით, III ხარისხის — ჯირაკვლი გადიდებულია კისრის კონფორმაციის მკაფიო ცვლილებების გარეშე, IV-V ხარისხის — დიდი ჩიყვი, რომელიც ცვლის კისრის კონფორმაციას. ჯირაკვლის გადიდების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება დაავადების სიმძიმეს. ფარისებრი ჯირაკვლის მიდამოში აუსკულტაციით ისმის სისტოლური შუილი, დააკვირებული ჯირაკვლის ვასკულარიზაციის მომატებასთან.

დაავადების ძალიან დამახასიათებელი სიმპტომია ხელის თითების, ენის, მთელი სხეულის ტრემორი (სტატულეგრაფიუ ბრძის სიმპტომი).

ეგზოფთალმიის გარდა, თვალის სიმპტომებიდან გამოხატულია მტელეგეიის სიმპტომი (ქუთუთოების იშვიათი ხაზბში), მუბურის სიმპტომი (კონვერტაციის დარღვევა, თვალთან რაიმე საგნის ახლო ფოქსაციასი ერთი ან ორივე თვალი გვერდზე განიხილება), გროფის სიმპტომი (ქუთუთოების ჩამორჩენა თვალის ქვემოთ პროტარობისას, რის გამოც ჩნდება თორი სიყურები), თვალების პრიალი და სხვა. აღნიშნული სიმპტომები უნდა განესახვათ ოფთალმობათიისაგან (შეშუებითი ეგზოფთალმი), რომელიც ხასიათდება ქუთუთოების შეშუებით, ცრემლდენით, "თვალებში თილის" შეგრძნებით, სკლერების სისხლძარღვთა ინციციებით.

ძალიან დამახასიათებელია ცვლილებები გულის მხრივ. პულსი აჩქარებულია 120-140 წუთში. ტაქიკარდია აღინიშნება ღამე, ძილის დროსაც. ხშირად ვითარდება მოცმობიე არითმია. სისხლის სისტოლური წნევა მაშტაბებულია, დასტოლური კი დაქვეითებულია. გულის ტრენები გამოკრებულია, მწვერვალზე მოსწინება სისტოლური შუილი. შეიძლება განვითარდეს გულის უკმარისობა.

დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს ხდება ნივთიერებათა ცვლის პროცესების დაჩქარება, მატულობს სხეულის ტემპერატურა (წვეულებრივ, აღნიშნება სუბფეროლიტები). ავადმყოფებს აქვთ მდმიეი სიმპურვალის შეგრძნება, მათი კანი სველი და ცხელია. გარეშე ტემპერატურის მომატების ცუდად იტანენ (ავადმყოფებს ხშირად ცოც ამინდშიც კი სძინავთ თხელი ზუნრის ქვეშ). კარგი მაღის მოუხედავად, ავადმყოფები ხდებიან, იკლებენ წონაში. მათ აქვთ მიდრეკილება დიარეიასადმი. სისხლში დამახასიათებელია ჰეპოსტერინის დაბალი დონე.

დაავადების მიმდინარეობა შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო სიმძიმის და მძიმე. ბაზელდის დაავადების მძიმე, სიცოც-

ხლისათვის საშიში გართულებაა თირეოტოქსიკური კრიზი, რომელიც ხასიათდება თირეოტოქსიკოზის ყველა კლინიკური სიმპტომის გაძვირებით.

დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დიაგნოზი ეფუძენება კლინიკურ გამოვლინებებს — ჩიყვი, ეგზოფთალმია, ტრემორი, ტაქიკარდია, სივანხდრე, სუბფეროლიტები. დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭიროა ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება და ფარისებრი ჯირაკვლის ფუნქციის შესწავლა. სისხლის შრატში T3 და T4 შემცველობა მნიშვნელოვანადაა მომატებული. მაღალია ცილასთან მეკავშირებული ორდის დონე (> 8.5 მგ % -ზე). დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს სისხლის შრატში თმ-ის სანინააღმდეგო ანტიბიოტიკების მაღალი ტიტრის არსებობას (აღნიშნება შემთხვევათა 80%-ში). რადიონუკლიდური გამოკვლევით აღინიშნება <sup>131</sup>I შთანთქმის მაღალი ციფრები, რაც, როგორც წესი, 24 საათის შემდეგ 40-80 % -ს აღემატება (წონაზე 30%-მდე). ძირითადი ცვლის გამოკვლევას, როგორც დიაგნოსტიკური თვალსაზრისით არაინფორმატიულს, ამჟამად აღარ მნიშობიავენ.

დაავადების პროგნოზი კეთილსამედია. ანტითირეოიდული თერაპიის ზეგავლენით რემისია აღენიშნება ავადმყოფთა 70 პროცენტზე მეტს.

### ჰიპოთირეოზი

ჰიპოთირეოზი დაავადებაა, რომელიც ვითარდება ფარისებრი ჯირაკვლის მიკროფუნქციის შედეგად. დაავადებას საფუძველად უდევს თირეოიდული პორმონების გამოშვების სრული ან ნაწილობრივი დათრეფუნა. კლინიკურად გამოხატულ ჰიპოთირეოზს მიესქედება ენოდება. ჰიპოთირეოზი შეიძლება განვითარდეს ფარისებრი ჯირაკვლის განვითარების ანომალიების, ენდემური ჩიყვის, ქვემწვევე თირეოიდიტის, თირეოიდექტომიის, რადიოაქტიური ოდიით თერაპიის, ფარისებრი ჯირაკვლის კიბოს დროს და სხვა.

ჰიპოთირეოზის განვითარებას საფუძველად უდევს ორგანიზმში თირეოიდული პორმონების სპეციფიკური მოქმედების ხანგრძლივი და გამოხატული დეფიციტი. ვითარდება ნივთიერებათა ცვლის ყველა სახის დარღვევა, ქვეითდება ძირითადი ცვლა, უანგვიით პროცესები, თემორეგულაცია, სივანდასხვა სისტემების მხრივ აღინიშნება მძიმე დარღვევები, ქსოვილებში გროვდება შუკოპოლისაქარიდები და ვითარდება მათი ლორწოვანი შეშუებმა (მიქსედემა).

ავადმყოფები უჩივიან სისუსტეს, სიცოცის შეგრძნებას, მესიერების დაქვეითებას, ძილანობას, უმადობას. ავადმყოფებს ახასიათებთ წელი, დაგვიანებული მოქმედებები, მწველებელი მეტყველება, აპათიურობა, დემერსიული მოვლენები, დაბალი ჩახლეჩილი ხმა, უმადობადა მოუხედავად ჭარბი წონა. ავადმყოფის სახე ამიმიკურია, შემუბებული, განსაკუთრებით გამოხატულია პერიორბიტული შემუბება. შემუბებულია აგრეთვე ქვედა კიდურებიც, კანი მშრალია, ფერმკრთალი, გასქელებული, პალპაციით ცივი, ზოგჯერ მოყვითალო ელფერი. კიდურები ცივია. იდაყვის და მუხლის სახსრების მიდამოში ზოგჯერ აღინიშნება კანის ექრატოზი (პრეოთილაური მიქსედემა). ქუთუთოების შემუბების გამო თვალის ჭრილი შევიწროებულია (ენოფთალმია). დამახასიათებელია ტუნების და ენის გადიდება. ჰიპოთირეოზის დროს ვითარდება ბრადიკარდია, აღინიშნება გულის საზღვრების გადიდება და მისი ტრენების მოყურება, არ-



ტერიული ნევის დაქვეითება. ეკ-ზე ელინდება ვოლტაის დაქვეითება, გამტარობის დარღვევა. პერიკარდუმის ღრუში შეიძლება დაგროვდეს სითხე. უფრო იშვიათად აღინიშნება პიდროთორაქსი და გამონაჟონი პერიტონეუმის ღრუში. დამახასიათებელია თმის გათხელება, მტკრევალობა, თავიდან, წარბებიდან (უფრო ლატერალურად) თმის ცვენა. ფრჩხილები თხელია, განივი ან ვახსნარევი ხაზებით. სისხლში აღინიშნება ზომიერი ანემია, უდს-ის შენელება. მუდმივი ნიშანია ჰიპერქოლესტერინემია, ზოგჯერ 20,7-26 მმოლ/ლ-მდე (800-1000 მგ%). ძირითადი ცელა დაქვეითებულია და შეადგენს 25-35 %ს.

დაავადების მიძე ვართულებაჲ პიპოთირეოიდული კომა, რომელიც ხშირად ლეტალურად მთავრდება. ამ დროს ავადმყოფის მდგომარეობა სწრაფად უარესდება, ვითარდება ძლიერი პიპოთერმია (ტემპერატურა შეძლება დაქვეითდეს 24°C-მდე), არეფლექსია, კრუნჩხვები, შიპოკანია, გამახსტული ბრადიკარდია და პიპიტენზია. დაბადებისთანავე განვითარებული პიპოთეროზის შემთხვევაში, ბავშვებს აღნიშნებათ ზრდასა და განვითარების შეფერხება, შედგომით კი კრეტინიზმის ნიშნები.


პიპოთეროზის დიაგნოსტიკა დამყარებულია დამახასიათებელ კლინიკურ მონაცემებსა და ლაბორატორული კვლევის შედეგებზე. ყველაზე უტყუარი დიაგნოსტიკური მარკერებელია სისხლში თირეოიდ-მასტიმულირებელი პორმონის (თშპ) მაღალი დონე, T4 და T3 კონცენტრაციის დაქვეითება.

### პარათირეოიდული ჯირკვლების დაავადებები

პარათირეოიდული (ფარისებრახლო) ჯირკვლები გამოიშეშევენ პარათირეოიდულ პორმონს — პარათორმონს (თშპ), რომლის ძირითადი ფუნქციაა ობიზორებელი კალციუმის დონის კონტროლი ექსტრაცელულურ სისხლში. პაპ აქტიურად მონაწილეობს კალციუმის და ფოსფორის ცელაში და გააღუნას ახდუნს ძლევიანი ქსოვილის მდგომარეობაზე. პაპ-ის სეკრეციის დაქვეითების დროს ვითარდება პაპოკალციემია, პორმონის გაძლევიბული სეკრეციის პირობებში — პიპერკალციემია. პაპ-ის გარდა კალციუმის და ფოსფორის ცელის რეგულაციაში მონაწილეობს აგრეთვე D ვიტამინი, კალციტონინი და ზოგიერთი სხვა ნივთიერება.

პიპერპარათირეოზის იწვევს ფარისებრახლო ჯირკვლის ადენომა ან პიპერპალზია, იშვიათად კარცინომა. კლინიკურად ავადმყოფების გამოხატული აქვთ ზოგადი სისუსტე, დისპეპსიური მოვლენები, სივამხდრე, ტკივილი ძლებში, მუცელში, უწნების სისუსტე. ძალიან დამახასიათებელია ცვილილებები ძლევიანი სისტემის მხრივ. ტკივილის გარდა ხშირად აღინიშნება ძლებების მოტიხილობები, შესვლება და დეფორმაციები. ვითარდება ძლევიანი ქსოვილის დიფუზური დემინერალზაცია. დამახასიათებელია კუნთების ატროფია. თირკვლებში ხშირად ვითარდება ნეფროსკალიცინოზი, ნეფროლითები და ზოგჯერ ნეფროსკალიცინოზი თირკვლების უპარისობით. კალციუმის მარონების ვულის კუნთში ჩაჯვებაშ შესაძლოა გამოიწვიოს არითმია, მოკარდუმის იწვარქტი, სისხტარღვეები — არტერიული პიპერტენზია. ხშირად უკუში და თორმეტლჯოჯან ნაწლეში ვითარდება ნელული. სისხლში კალციუმის ძალიან მაღალი დონის (პიპერპარათირეოიდული კომა) შესაძლებელია განვითარდეს კომა (პიპერპარათირეოიდული კომა).

პიპერპარათირეოზის დიაგნოსტიკა დამყარებულია კლინი-



სურ. 210 პიპოპარათირეოზი. შეანის ხელი

კურ გამოვლენებზე, ლაბორატორულ და ინსტრუმენტული კვლევის შედეგებზე. ჯირკვლების ადენომის ლოკალიზაცია და ზომები განისაზღვრება რენტგენობრივი გამოკვლევებით. რენტგენოლოგიურად ელინდება გენერალიზირებული ოსტეოპოროზი, ძლევიანი ქსოვილის დემინერალზაცია. სისხლის შრატში მომატებულია კალციუმის დონე (> 10,5 მგ%). ფოსფორის შემცველობა ხშირად დაბალია (< 2,5 მგ%). რადიოიზოტოპული მეთოდით სისხლის შრატში აღინიშნება პაპ-ის კონცენტრაციის მომატება.

პიპოპარათირეოზი ყველაზე ხშირად ვითარდება თირიოდექტიმიის შედეგად, რასაც ხშირად თან ახლავს ფარისებრახლო ჯირკვლების მოცილებაც. ის აღინიშნება აგრეთვე პარათირეოიდული ადენომის ოპერაციული მოცილების შემდეგ. აღნიშნულის შედეგად ძლევიან რონჩის ძლების რემინერალზაცია (ეწ. "შშიერი ძლებების" სინდრომი). დაავადების კლინიკური სურათი განპირობებულია პიპოკალციემიით. სისხლის შრატში კალციუმის დონის დაქვეითება იწვევს ნერეული და კუნთოვანი ავგუნადლობის მომატებას, რაც გამოიხატება რონჩისა და გლევი უწნეთების კრუნჩხვით შეკუმშვებში. კლინიკურად ის გამოიხატება ტეტანოს შეტევების სახით. შეტევა იწყება უეცრად, ან წინაშე მობრძელ ნიშნებით (ზოგადი სისუსტე, კუნთების ტკივილი, პარესთეზიები სახის არეში, კიდრებში). აღინიშნება ცალკეულ კუნთთა ფიბრილარული კანკალი, რაც გადადის ტონურ ან კლონურ კრუნჩხვებში. დამახასიათებელია "შეანის ხელი" (სურ. 210) და "ცხენის ტრფი". სახის მუსკულატურის კრუნჩხვებს თან სდევს ტრზები, ქუთუთოების კრუნჩხვები, დამახასიათებელია "სარღონიერი ღობლი" ან "თუჯის პირთ". ტეტანოსი შეიძლება ლატენტური ხასიათი ჰქონდეს. ის გამოიხატება შიშის შეგრძნებით, ცნობიერების დაქვეითებით, ლეტარგიით, მხვეველობის დაქვეითებით. ამ დროს დადებითა ხეოსტეკის ნიშანი (სახის კუნთების შეკუმშვა სახის ნერეზე ნეფროლოგიური ჩაქურის დაქურისას), ტრუსოს სიმტკობი (მტვევის საშაში "შეანის ხელის" მსგავსად მხარზე რეზინის მანქების გადაჭრის შემდეგ). პიპოკალციემიის შედეგად ეკ-ზე ხშირად აღინიშნება Q-T ინტერვალის განანგრძობელება, ზოგჯერ ვითარდება ვულის ბლოკადები. დამახასიათებელია ბაზალური განვლენების კალციფიკაცია.

პიპოპარათირეოზის დიაგნოსტიკა დამყარებულია ანამნეზზე და დამახასიათებელ კლინიკურ სურათზე. სისხლის შრატში ამ დროს დაძალია კალციუმის დონე, მომატებულია ფოსფორის კონცენტრაცია (პიპერფოსფატემია). რადიოიზოტოპოლოგიური კვლევით ელინდება სისხლში პარათორმონის შემცველობის მკვეთრი დაქვეითება. რენტგენოლოგიური გა-

მოკვლევი ცვლილებები ძელებში, ჩვეულებრივ, არ ვლინდება, მაგრამ შეიძლება გამოჩნდეს ბაზალური განვლები კალციფიკაცია. დაავადების პროგნოზი კეთილსაიმედოა.

ცხრილი 45

I და II ტიპის შაქრიანი დიაბეტის შედარება

### შაქრიანი დიაბეტი

შაქრიანი დიაბეტი ვითარდება პანკრეასის პორმონის — ინსულინის — აბსოლუტური ან შედარებით ნაკლებობის შედეგად. დაავადება ხასიათდება პიპერგლიკემიისა და გლუკოზურირის სინდრომით. ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევის პარალელურად ვითარდება ციზმოვანი და ცილოვანი ცვლის მძიმე დარღვევები და უფრედთა მეტაბოლიზმის დრმა დეზორგანიზაცია. შაქრიანი დიაბეტის ხანგრძლივი მიმდინარეობის შედეგად ვითარდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, თირკმლების, ნერვული სისტემის, მხედველობისა და სხვა სისტემებისა და ორგანოების მძიმე დაზიანება.

გამოყოფენ შაქრიანი დიაბეტის ორ ფორმას: ინსულინდამოკლებილი (I ტიპის) შაქრიანი დიაბეტი და ინსულინდამოუკლებელი (მომრდილთა, II ტიპის) შაქრიანი დიაბეტი. I ტიპის შაქრიან დიაბეტს საფუძვლად უდევს ინსულინის აბსოლუტური უმარისობა პანკრეასის ბეტა-უჯრედების დიდი რიცხვის დაზიანებისა და ნეკროზის გამო. ამ დროს ინსულინი გამოიმუშავდება უმნიშვნელო რაოდენობით ან სულ არ გამოიმუშავდება. ამ ფორმის დიაბეტის აღმოცენებაში დიდ მნიშვნელობას მიაჩქებენ ვირუსული ინფექციის, შთამომავლობით მიდრეკილებას, აუტომუნურ დარღვევებს. II ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს პანკრეასის ბეტა-უჯრედების მიერ ინსულინის გამოიმუშავება დარღვეული არ არის, მაგრამ აღინიშნება მისი მინარტი რეზისტენტობის განვითარება და პერიფერიული ქსოვილების მგრძნობელობის დაქვეითება. ირღვევა ინსულინის შეკავშირების უნარი მემბრანულ რეცეპტორებთან. II ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს დიდა შთამომავლობით მიდრეკილება. ამ დროს ვარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე ინსულინის სანიანალდეგო ანტისხეულების (ისინი ზოტავენ ინსულინს) და ინსულინის რეცეპტორების სანიანალდეგო ანტისხეულების აქტივობას (ზოტავენ სამიზნე ორგანოების ინსულინურ რეცეპტორებს). II ტიპის შაქრიანი დიაბეტი უფრო ხშირად ვლინდება 40 წლის ასაკის შემდეგ, უმარტესად წარბი ნონის პირობში (ცხრილი 45).

შაქრიანი დიაბეტის ძირითად კლინიკური სიმპტომებია შარდის გამოყოფის მომატება (პოლიურია), პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილი (პოლიდიფსია), გაძლიერებული მად (პოლიფაგია), ნონამ დაკლება, სისუსტე. აღნიშნული სიმპტომები განპირობებულია პიპერგლიკემიით და გლუკოზურირით. ამის გარდა, ხშირად აღინიშნება კანის და სასქესო ორგანოების ქავილი, მიდრეკილება ფურუნკულოზისადმი, კანის, ლორწოვანებისა და სასქესო ორგანოების -- კანდიდოზისადმი. ავადმყოფებს აღინიშნება პარესთეზიები, თავბრუსხვევა ზრდელობის დაბინდვა და სხვა. გლუკოზის დრე სისხლში ხშირის დროს 3,0-6,0 მმოლ/ლ (60-110 მგ%) ფარდობდება. როდესაც სისხლის გლუკოზის დრე აღემატება 9-10 მმოლ/ლ (160-180 მგ%), გადაილახება თირკმლის ზღვრული გლუკოზის რეაბსორბციის მიმართ, გლუკოზის შემცველი შარდის ოსმოლარობა მატულობს, რაც ინვეს ოსმოსურ დიურეზს. I გლუკოზის გამოყოფას თან სდევს 20-40 გ სითხის გამოყოფა, ვითარდება პოლიურია. პოლიურია, თავის მხრივ, ინვეს ორგანიზმის გაუნწყობლობას (დეჰიდრატაციას), რასაც თან ახლავს

	I ტიპის	II ტიპის
ასაკი დაავადების დასაწყისისათვის	ჩვეულებრივ 30 წელზე ნაკლები	ჩვეულებრივ 40 წელზე მეტი
ეტროზისადმი მიდრეკილება	დამახასიათებელია	არ არის დამახასიათებელი
სხეულის აგებულება	ჩვეულებრივ გამძლავრები	უმეტესობა მსუქნები
ენდოკრინული ინსულინის სტრუქტურული ინსულინორეზისტენტობა	ასოციაცია HLA სისტემასთან	არ აღინიშნება
იდენტურ ტუპებში	DR3, DR4, DQw32	100% კონკორდანტობა
პანკრეასის საწინააღმდეგო ანტისხეულები	ხშირად ვლინდება	არ ვლინდება
მკურნალობა	ინსულინი და დიეტა	მსუქნებში — წონის დაკლება, ორალური პრესარაბიტი ან ინსულინი. გამძლავრებში — უკუაორიული დიეტა, ინსულინი ან ორალური აგენტები

გაძლიერებული წყურვილი და პოლიფაგია. ავადმყოფი ზოგჯერ სვამს რამდენიმე ლიტრ წყალს. მიუხედავად კარგი მადისა, უმკურნალები და ცუდად ნამკურნალები ავადმყოფები დიაბეტის დროს სწრაფად ხედიან და იკლებენ წონაში.

I ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს ადრე ვლინდება კეტოაციდოზის ნიშნები. ასეთი ავადმყოფები ზოგჯერ სტაციონარში პირველად ხედებიან პრემიისა და კომის მდგომარეობაში. მათ ხშირად არ იციან, რომ აქვთ დიაბეტი. ამ დროს სისხლში მკვეთრად არის დაქვეითებული ინსულინის დრე, აღინიშნება პიპერგლიკემია. ავადმყოფებს აქვთ პირიდან აცეტონის სუნი. II ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს დაავადების სიმპტომები (პირის სიმშრალე, წყურვილი, პოლიურია) ვითარდება თანდათანობით და ხშირად ზომიერად არის გამოხატული. არ აღინიშნება მიდრეკილება კეტოაციდოზისადმი. ზოგჯერ იაგვრბი ისმება შემთხვევით, სისხლში შაქრის რუტინული გამოკვლევის შედეგად. ამ დროს სისხლში ინსულინის დრე ნორმალური ან მომატებულია.

არჩვენ შაქრიანი დიაბეტის მწვავე და შორეულ ქრონიკულ გართულებებს. მწვავე გართულებების აღმოცენებას ხელს უწყობს ინფექცია, ტრავმა, ქირურგიული ჩარევა, კარდიოვასკულური დარღვევები და სხვა სტრესული სიტუაციები. მწვავე გართულებებშია I ტიპის დიაბეტისათვის დამახასიათებელია დიაბეტური კეტოაციდოზი, განპირობებული ინსულინის უმარისობით. ამ დროს ირღვევა გლუკოზის უტილიზაცია ქსოვილებში. დიუბოტ ნარმოქმნება დიდი რაოდენობით კეტონური სხეულაკები (აცეტომარმეა, ბეტა-ჰიდროქსირბის მგავა, აცეტონი) და ვითარდება მეტაბოლური აციდოზი. კეტონური სხეულაკების დავრულების ძირითადი მიზეზია ლიმოლიზი, რომელიც ენერჯის სარეზერვო წყაროა გლუკო-

ზის უჯრედებში შეღწევის დარღვევისას. ექტაციდოზის დროს კლინიკურად აღინიშნება გულსისრევა, ღებინება, ანორექსია, ტაქიპნოე, პოლიურია, ზოგჯერ ტკივილი მუცელში, ფოსფორის და ცნობიერების დარღვევა დიზორიენტაციიდან კომამდე. ყურადღებას იპყრობს კუნთების სუნთქვა და ორგანიზმის გააქტიურების ნიშნები — კანის სიმწარლე, პიპოლეშია, დაბალი არტერიული წნევა. ავადმყოფს აქვს პირიდან აცეტონის სუნი. სისხლში გამოხატულია ჰიპერლეიკემია (გლუკოზის დონე 200-1000 მგ%-მდე), აციდოზი (pH 7,2).

ჰიპეროსმოლარული (არაექტაციდოზური) კომა უფრო ხშირად II ტიპის დიაბეტის გართულებაა ხანშიშესულ ავადმყოფებში. ჰიპეროსმოლარულ კომას საფუძვლად უდევს გამოხატული დეჰიდრატაცია, გაზაბორბებული მნიშვნელოვანი ჰიპერლეიკემიით, სისხლის შრატის მაღალი ოსმოლარობით და კაპილარული დიურეზით. ექტოზი და აციდოზი ამ დროს არ ვითარდება, რადგან ინსულინის რაოდენობა ორგანიზმში საკმარისია, რომ დიურეზის ლაოლოზი. კომა ვითარდება თანდათანობით. დამახასიათებელია ლორწოვანი გარსების და კანის სიმწარლე, სახის ნაკეთების ნაწეცხანება, თვალის კაკლები ტონუსის, კანის ტურგორის დაქვეითება. ავადმყოფს აქვს ტაქიპნოე, არტერიული ჰიპოტენზია, ზოგჯერ მაღალი სიცხე, ნევროლოგიური სიმპტომები — პალუცინაცია, დელირიუმი, ეპილეფორიკული შეტევები. გლუკოზის დონე სისხლში მაღალია — 35-50 მმოლ/ლ (600-2000 მგ%).

ლაქტაციდოზი (ლაქტაციდოზური კომა, რძემჟავა აციდოზი) ვითარდება შედარებით იშვიათად. ის უჯრედული სუნთქვის დარღვევის შედეგია. როგორც ცნობილია, რძის მჟავა ნარმოქმნება კუნთებში და სხვა ქსოვილებში პარაბოლურ გლუკოლის დროს. ავადმყოფებში დიაბეტით ის შეიძლება განვითარდეს მიჯანუბრებით მკურნალობისას, რის გამოც ამ ჯგუფის ზოგიერთი პრეპარატი (ვენფორმინი) ამოღებულია ხშირებიდან. ლაქტაციდოზისათვის დამახასიათებელია გამოხატული მეტაბოლური აციდოზის განვითარება, მნიშვნელოვანი ჰიპერლეიკემია, ექტოზი. მაქრანი დიაბეტის გარდა, ის შეიძლება განვითარდეს მოკის, სეპტიციემიის, ღრმა პიპოქსემიის, ლეიკემიის დროს.

მაქრანი დიაბეტის შორეული გართულებებიდან აღსანიშნავის მიკროვასკულური დარღვევები (დიაბეტური მიკროანგიოპათია) რომელიც სპეციფიკურია დიაბეტისათვის, მოიცავს ნერვლი კალიბრის სისხლძარღვებს და კლინიკურად მანიფესტირდება თვალბეჭის (დიაბეტური რეტინოპათია) და თირკმლების (დიაბეტური ნეფროპათია — დიაბეტური გლომერულოსკლეროზი, კომლესტილი-ვილსონის სინდრომი) დაზიანებით. დიაბეტური მიკროვასკულური დარღვევები დაკავშირებულია ლიპიდური ცვლის მძიმე დარღვევებთან და ათეროსკლეროზის ადრეულ განვითარებასთან. დაზიანებები

მოიცავს მსხვილი კალიბრის სისხლძარღვებს, ისინი არასპეციფიკურია (სხვა დაავადებების დროს განვითარებული მსგავსია) და კლინიკურად მანიფესტირდება კორონარული (სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი), ცერებრული (თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა) და პერიფერიული სისხლძარღვების (ქვემო კიდურების სისხლძარღვების ათეროსკლეროზული შევიწროება, ქვემო კიდურების წყლულების განვითარება, ტრფის თითების განგრეპა) პათოლოგიით. მაქრანი დიაბეტის შორეული გართულებებიდან აღსანიშნავია ნეიროპათია, რომლის დროსაც ზიანდება მოტორული, სენსორული, კრიანალური და ავტონომური ნერვები. ამ დროს ხშირია კიდურების დაზუება, პარესთეზიები, ტკივილი და სხვა. დიაბეტის გვიანი გართულებებიდან ხშირია ინფექციური დაზიანება და ლიმფური ნეკროზიზი (კანზე, უფრო ხშირად წვივის წინა ზედაპირზე, ჩნდება უმტკიუნეული, მოძრავალი ფორმის, მკერვი კონსისტენციის კუნძულები).

ჰიპოლეკემიური კომა მაქრანი დიაბეტის მკურნალობის დროს აღმოცენდება საშიშროება. ის უფრო ხშირად ინსულინოთერაპიის დროს ვითარდება, რის გამოც მას ხშირად ინსულინურ კომასაც უწოდებენ, თუმცა შეიძლება განვითარდეს დიაბეტის სამკურნალო პერარული პრეპარატების მიღების შემდეგაც. ჰიპოლეკემიური კომის დროს ხდება ან ინსულინის დოზის გადამტება, ან ავადმყოფი არ ღებულობს საკვებს საკმაო რაოდენობას. ამ დროს გლუკოზის დონე სისხლში 2,2 მმოლ/ლზე (40 მგ%) დაბალია. ჰიპოლეკემიის დროს ავადმყოფებს ადენინმებთან სისუსტე, შიმშილის შეგრძნება, ოფლიანობა, კანკალი, შიშის შეგრძნება, ტაქიკარდია. შემდგომში ვითარდება კომა და კრუნჩხვები (ცხრილი 46). ინსულინოთერაპიის გართულებას მიეკუთვნება აგრეთვე ინექციის ადგილებში ლიპიდოსტროფიის განჩა. ის ვითარდება კანის ერისა და იმავ მიდამოში ნაკლებად გასუფთავებული ინსულინის ხშირი ინექციის შედეგად.

მაქრანი დიაბეტის დავნოსტიკა დად სიძნელეს არ წარმოადგენს. დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია დაავადების ისეთი კლასიკური სიმპტომები, როგორებიცაა პოლიურია, პოლიდიფსია, ექტონოზია, სისხლში გლუკოზის მაღალი დონე ან საექიმო მომატება, ნონამი სწრაფი დაკლება. მაქრანი დიაბეტზე ვჭვი შეიძლება მივიჭნათ, თუ გლუკოზის დონე უზიზოე მომატებულია ერთზე მეტ შემთხვევაში 140 მგ%-მდე (7,8 მმოლ/ლ). თუ კ გლუკოზის დონე სისხლში არ არის მომატებული, მაგრამ ავადმყოფს აქვს მაქრანი დიაბეტის კლინიკური ნიშნები, უნდა ჩატარდეს გლუკოზის ტოლერანტობის ტესტი. ამ მზნით პაციენტმა საკვები არ უნდა მიიღოს გამოკვლეამდე მხოლოდ 10 საათის განმავლობაში (სითხის მიღება არ იზღუდება). გამოსაკვლე პირს ასმევენ 75 გ გლუკოზას. სისხლს იღებენ გლუკოზის მიღებამდე და მის შემდეგ

ცხრილი 46

მაქრანი დიაბეტის დროს პანკრეოპათიის კომპონენტების დავნოსტიკის დინამოსტიკა

	მარტი		სისხლის პლაზმა		მიკროანტიბიოტიკები
	გლუკოზს	აციტონი	გლუკოზს	აციტონი	
დიაბეტური ექტაციდოზი	++++	+++	მაღალი	+++	დაბალი
ჰიპეროსმოლარული კომა	++++	0	მაღალი	0	ნორმული ან ოდნავ დაბალი
ლაქტაციდური კომა	0 ან +	0 ან +	სხვადასხვა დონე	0 ან +	დაბალი
ჰიპოლეკემიური კომა	0	0 ან +	დაბალი	0	ნორმული

ყოველ ნახევარ საათში 2 საათის განმავლობაში. თუ 2 საათის შემდეგ გულკოხის კონცენტრაცია 11 მმოლ/ლ-ზე (200 მგ%) მეტია, დგინდება დაბების დიაგნოზი. თუ გულკოხის მიწვიდან ნახევარ საათის შემდეგ მისი კონცენტრაცია 11 მმოლ/ლ-ზე მეტია და 2 საათის შემდეგ გულკოხის დონე 7-11 მმოლ/ლ (140-200 მგ%) შეადგენს, ითვლება, რომ მაკივრებს გულკოხის მიმართ დაქვეითებულ აქვს გულკოხს. აღსანიშნავია, რომ მაკივრებს უზრუნველყოფს გულკოხის მიმართ ტერორისტების დაქვეითების შემთხვევაში შპირიანი დაბეტი არ უვითარდება. სამუსაროდ, მაკივრანი დაბეტი მორჩენილი დააადება. მაგრამ სათანადო დიეტის და სამკურნალო რეჟიმის შემთხვევაში შეიძლება აცილებული იქნეს გართლებების განვითარება.

### ადისონის დაავადება

ადისონის დაავადება თირკმელზედა ჯირკვლის (თხუჯ) ქირინიკული უქარისობაა. ეს ვითარდება თხუჯ ქერქოვანი შრის სქოვლის დესტრუქციის შედეგად, რასაც თან სდევს გლუკოკორტიკოიდების და მინერალკორტიკოიდების პროდუქციის შემცირება. შემთხვევათა 80%-ში ის ვითარდება თხუჯ-ის აუტოიმუნური დაზიანების შედეგად. სხვა ეტიოლოგიური მომენტებიან აღსანიშნავია ჯირკვლის ტუბერკულოზი, მეტასტაზური კიბო, ათაშენი. დაავადება ვითარდება თანდათანობით. ავადმყოფები აღნიშნავენ ძლიერ საერთო სისუსტეს, ავდილად დაღალას, ანორექსიას, გულისრევას, ლებინებას, დარეას, ტკივილს მუცელში, ნონაში დაკლებას.

დაავადების ნაშევაში ობიექტური სიმპტომა კანის და ლორწოვანი გარსების მოყავისფრო-ბრინჯაოსფერი ინტენსიური პიგმენტაცია მელანინის დავრეების გამო. პიპერპიგმენტაცია აღინიშნება იმ მიდამოებში, რომლებიც განიცდიან შუქის შემოქმედებას — სახე, ხელის მტევნები, კისერი. პიგმენტაცია კარავად არის გამოხატული აგრეთვე იდავების, ილიკების, საზარდულის, ნანიბურების მიდამოებში. ყვიისფერი პიგმენტური ლაქები ჩნდება ღრძობებზე, ტუბების და ლოყების მიგნითა ზედაბელებზე. დამახასიათებელია არტერიული პიპოტენზია. აღინიშნება გულის ზომაში შემცირება. ხშირია პარესთეზიები, კრუნჩხვები, შეიძლება განვითარდეს მესხილების დაქვეითება, ავდილად ავგზნებადობა ან დეპრესია. რიგ შემთხვევაში ვითარდება პიპოტენკემია. მეციკრება თმინაბა ილიკების და ბოქვების მიდამოში, განსაკუთრებით ქალებში. ლაბორატორიული მონაცემებიდან დამახასიათებელია ანემია, ლიმფოციტოზი, ზომიერი უოზონოფილია. სისხლში ქვეითდება ნატრიუმის დონე, კალიუმის და კალციუმის დონე უ მატულობს.

ადისონის დაავადების დიაგნოსტიკისათვის დამახასიათებელი ჩივლებისა და ობიექტური გამოვლინებების პარალელურად დიდი მნიშვნელობა აქვს თხუჯ-ის ქერქის გამოკვლევას. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს სისხლის პლაზმაში კორტიზონის დაბალ დონეს (<5 მგ%), რომლის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს დილას უზმზე, ერთდროულად აღინიშნება აქტა-ის დონის მომატება (>200 პგ/მლ). ადისონის დაავადების აუტოიმუნური ფორმის დროს სისხლში შრატში ვლინდება თხუჯ-ის საწინააღმდეგო ანტისტულები. მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მეთოდებია რენტგენოლოგიური გამოკვლევა და კომპიუტერული ტომოგრაფია. აუტოიმუნური ადისონის დაავადების დროს თხუჯ-ის ზომა შემცირებულია, სისხივების დროს — მომატებულია. ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელია ჯირკვლის კალციფიკაცია.

### კუშინგის სინდრომი

კუშინგის სინდრომი (პიპერკორტიზოლიზმი, იცენკო-კუშინგის სინდრომი რუსულენოვან ლიტერატურაში) ხასიათდება თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გლუკოკორტიკოიდების ჭარბი პროდუქციით. სინდრომის განვითარება დაკავშირებულია თხუჯ-ის სისხივითან (ავდნობა, კიბო), რომელიც ჭარბად გამოშვებავს კორტიზონს. როდესაც პიპერკორტიზოლიზმის კლინიკური გამოვლინებები დაკავშირებულია პიპოფიზის მიერ ადნოკორტიკოტროპული ჰორმონის პიპერსეკრეციასთან, ლაპარაკობენ კუშინგის დაავადებაზე. კუშინგის სინდრომი შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ავადების მკურნალობის მიზნით გლუკოკორტიკოიდების დიდი დოზებით ხანგრძლივად გამოყენების შემთხვევაში. კუშინგის სინდრომის დამახასიათებელი კლინიკური გამოვლინებები დაკავშირებულია გლუკოკორტიკოიდების და ნაწილობრივ, მინერალკორტიკოიდების და ანდროგენების პიპერსეკრეციასთან.

კუშინგის სინდრომის დროს ავადმყოფი უჩრის სისუსტეს, ავდილად დაღალას, თავის ტკივილს, ტკივილს ზურგში, ქალებში აღინიშნება ამენორეა, კაცებში — ლობიდოს დაქვეითება და იმპოტენცია. ხშირია ფსიქოემოციური დარღვევები — ავდილად ავგზნებადობა, ემოციური ლაბილობა, ზოგჯერ დეპრესია.

ობიექტურად ავადმყოფებს აღინიშნებათ დამახასიათებელი სიმსუქნე — *“მეზარისებრი სახე”*, ცხინის დავრეება ძირითადად ტანზე. ცხინი გრეოდება უპირატესად კისრის უკანა ქვედა მიდამოში (ადარებენ ბიზონის “კუხს”), ლავინზედა მიდამოებში, მუცელზე. კიდურები გამძვარია არა მხოლოდ ცხინის გადანაწილების გამო, არამედ უნების ატროფიის შედეგად. ძალიან დამახასიათებელია მუცლის ქვედა მიდამოებისა და ბარდაყებზე მონიალო ნანიბურების (სტრეიების) გაქეა. ამ დროს, ანდროგენების გადიერებული სეკრეცია იწვევს პირსუტუზმს, აქნეს. აღინიშნება ოსტეოპოროზის განვითარება, რაც ვლინდება ტკივილით სახსრებსა და ძვლებში. ზოგჯერ ვითარდება ძვლების სპონტანური მოტეხილობები. შეიძლება განვიითარდეს ბარდაყის ძვლის ასეპტიკური ნეკროზი. ხშირად აღინიშნება არტერიული პიპერტენზია. ავადმყოფების ნაწილს აღინიშნება პიპერგლუკემია და შპირიანი დაბეტი. ავადმყოფებს მომატებული აქვთ მგრძნობილეს ინფეციციების მიმართ. სისხლში ვლინდება ჰიპერკალიემია, ჰიპერკალემია, ზოგჯერ უ ერთორციტოზი, პიპოკალიემია, პიპოქლორემია და მეტაბოლური ალკალიოზი.

კუშინგის სინდრომის დიაგნოზი დამყარებულია დამახასიათებელ კლინიკურ გამოვლინებებსა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგებზე. პიპერკორტიზოლიზმის დასადგენად ავადმყოფს საღამოს აძლევენ 1 მგ დექსამეტაზონის და მეორე დილას სისხლში იკვლევენ კორტიზონის დონეს. კორტიზონის კონცენტრაცია <5 მგ/მლ გამოიცხავს კუშინგის სინდრომს. მნიშვნელოვანია სისხლში აქტა-ის დონის დადგენა. თუ აქტა ნორმის დონეზე (20 პგ/მლ) დამალია, ეს მოუთითებს თხუჯ-ის სისხივზე. აქტა-ის მაღალი კონცენტრაცია და დროს უნდა ვიფიქროთ პიპოფიზის სისხივზე. პიპოფიზის და თხუჯ-ის სისხივების არსებობა ვლინდება კომპიუტერული ტომოგრაფიით და მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიით. რენტგენოლოგიური კვლევით აღინიშნება გენერალიზებული ოსტეოპოროზი, განსაკუთრებით ხერხემლისა და მუცლის ძვლები.

## რევმატიული დაავადებები

რევმატოლოგია შინაგანი მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განაკვეთია. რევმატიული დაავადებები აერთიანებს ასზე მეტ სხვადასხვა ეტიოლოგიის და პათოგენეზის სწულუბას, რომელთა საერთო ნიშანია შემაერთებული ქსოვილის სისტემური ან ადგილობრივი, უპირატესად სახსრების, ანთებითი ან დისტროფიული (დეგენერაციული) დაზიანება. მათ მიეკუთვნება შემაერთებული ქსოვილის ისეთი დიფუზური დაავადებები, როგორებიცაა სისტემური წითელი მგლურა, რევმატიოიდული ართრიტი, სისტემური სკლეროდერმია, დერმატომიოზიტი, სახსრების ისეთი დაავადებები, როგორებიცაა ოსტეოართროზი, პოდაგრა და სხვა. მიუხედავად სხვადასხვა გენეზისა, თითქმის ყველა რევმატიულ დაავადებას, თავისი განვითარების ადრეულ სტადიაზე, შეიძლება აქონდეს მსგავსი კლინიკური სურათი — ტკივილი სახსრებში, მათი დეფორმაცია, მოძრაობის შეზღუდვა და სხვა. ეს ექიმისაგან მოითხოვს დაავადებების კლინიკური სიმპტომების და ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდების კარგ ცოდნას და მიღებულ მონაცემების სწორ ინტერპრეტაციას.

### გამოკვლევის მეთოდები

#### გამოკითხვა

#### ჩივილები

რევმატიული დაავადებების დროს ავადმყოფების ყველაზე ხშირი ჩივილია ტკივილი სახსრებში — ართრალგია. გამოკითხვით მნიშვნელოვანია დადგინდეს არა მხოლოდ ტკივილის არსებობა, არამედ მისი ხასიათიც, ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ლოკალიზაცია, დღის მანძილზე მისი გარჩენის დრო. ასე მაგალითად, რევმატიოიდული ართრიტის დროს ტკივილი მუდმივია, სხვადასხვა ინტენსივობის, მრღრღელი ხასიათისაა, ძლიერდება ღამის მთელი ნახევარში და მცირდება მოძრაობის დანებების შემდეგ. ტკივილი უფრო ხშირად ლოკალიზებულია მტკენის და ტრფიის თითების წვირლ სახსრებში. უფრო იშვიათად ტკივილი ლოკალიზდება მსხვილ სახსრებში. ოსტეოართროზის დროს ტკივილი ყრუ ხასიათისაა, უფრო გამოხატულია დღის მთელი ნახევარში, ძლიერდება ფიზიკური დატვირთვის შედეგად და მცირდება მოსვენებულ მდგომარეობაში. უფრო ხშირად ზიანდება მსხვილი სახსრები — დაიყვის, მუხლის, მენჯ-ბარძაყის და სხვა. ტკივილს ახასიათებს პერიოდული გამწვავება და გაუმჯობესების ხანგრძლივი პერიოდები. რევმატიზმის დროს პა-



სურ.211 რინოს სინდრომი

თოლოგიურ პროცესში ჩართულია მსხვილი სახსრები. დაზიანებას ახასიათებს სიმეტრიულობა და "შფრინავი" ხასიათი. ხდება ანთებითი ცვლილებების გადაწველება ერთი სახსრიდან მეორეზე. სახსრების ანთება რევმატიზმის დროს განიცდის სრულ უკუგანვითარებას. ბეტტერევის დაავადების დროს ტკივილი ლოკალიზებულია ხერხემალში და გავა-თემის შესახსრებაში. ტკივილი პოდაგრის დროს იწყება უეცრად, შეტყეითი ხასიათისაა, საკმაოდ ინტენსიური და უფრო ხშირად აღმოცენდება ღამის მთელი ნახევარში. ტკივილი სახსრების მიდამოში შეიძლება დაკავშირებული იყოს აგრეთვე პერიოსტიტთან (ძვლისაზრდელას ანთება), პერიართრიტთან (სახსრისაზლი რბილი ქსოვილის ანთება), ტენდოვაგინიტთან (მეცხების ბუდეების ანთება) და სხვა.

ავადმყოფები შეიძლება უჩიოდნენ დილაობით სახსრებში მოძრაობაში შეზღუდვას. მტკენების მიდამოში შეზღუდვების შესამცირებლად ავადმყოფებმა რამდენიმეჯერ უნდა შეეკუმონ და გამალონ მტკენის თითები. აღნიშნული სიმპტომი ძალიან დამახასიათებელია რევმატიოიდული პოლიართრიტისათვის, თუმცა შეიძლება გამოხატული იყოს სხვა რევმატიული დაავადებების დროსაც (ბეტტერევის დაავადება, მადეფორმირებული ოსტეოართროზი, სისტემური სკლეროდერმია და სხვა).

რევმატიული დაავადებების დროს ავადმყოფები ხშირად უჩიიან სახსრებში მოძრაობის შეზღუდვას და შესივებას სახსრების მიდამოში. ეს ჩივილები დასტურდება და დეტალურად შესინალება სახსრების ობიექტური გამოკვლევით.

ჩივილი კუნთოვან ტკივილზე მიაღწია ასევე დამახასიათებელია რევმატიული დაავადებებისათვის. განსაკუთრე-

ბით გამოხატულია ტკივილი კუნთებში დერმატომიოზიტის დროს. კუნთებში ტკივილის გარდა ავადმყოფები შეიძლება უჩიოდნენ ჩუთხოვანი ძალის დაქვეითებას.

სხვა ჩივილებიდან შეიძლება აღინიშნოს ხელის და ფეხის თითების მკვეთრი სიფერკერაობა - რეინოს ან "შეკადრი თითი" - სიმპტომი (სურ. 21), რომელიც ვითარდება სისხლძარღვთა სპაზმის გამო. ის აღინიშნება რეინოს სინდრომის დროს, აგრეთვე არასხვატულს სკლეროდემიის და დერმატომიოზიტის შემთხვევაშიც. ზოგჯერ ავადმყოფები შეიძლება უჩიოდნენ სახსრებში მოძრაობის დროს ტკაცუნს. უფრო ხშირად ის აღინიშნება ოსტეოართროზის დროს. არცთუ იშვიათად რევმატიური დაავადებების დროს აღინიშნება სხვადასხვა სახის გემანაყარი კანზე - ერთემა, ურტიკარია, პეტეკიები და სხვა.

ზოგადი ხასიათი ჩივილებიდან აღსანიშნავია სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება, ტემპერატურის მომატება, შემცივნება, ოფლიანობა. ცხელების მრუდის ხასიათს ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა. ასე მაგალითად, ტალისინებური ცხელების მრუდი დამახასიათებელია ბრუცელური ათრიტიზისათვის, პეტეკიური - სახსრების ჩირქოვანი ანთებისათვის და ა.შ.

### ანამნეზი

დეტალურად შეგროვილი დაავადების და ცხოვრების ანამნეზი მეტად მნიშვნელოვანია რევმატიული დაავადებების დიაგნოსტიკაში. ამ დროს მხედველობაშია მისაცემი დაავადებების დიდი პოლიმორფიზმი და ანამნეზური მიმაცემების ხშირი მსგავსება. მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ როგორ დაიწყო - მწვედვ თუ თანდათანობით - და როგორ მიმდინარეობს დაავადება, მისი კავშირი ინფექციასთან და სხვა მაროვიოცირებელ ფაქტორებთან. ასე მაგალითად, რევმატიზმის დროს პოლიართრიტი ვლინდება სტრეპტოკოკული ინფექციის (ანგი-ნა, ფარინგიტი) გადატანისა 1-2 კვირის შემდეგ, რევმატოიდულ პოლიართრიტს საკმაოდ ხშირად წინ უძღვს გრიპი, გორუნი (მუხლის სახსრის ანთება) ხშირად ვითარდება გონორეული ინფექციის შედეგად და ა.შ. რეაქტიული ათრიტი აღმოცენდება ქრონიკული ჩირქოვანი კერების არსებობისას. ზოგიერთ რევმატიულ დაავადებას წინ უძღვის ტრავმა (ოვქნილური რევმატოიდული პოლიართრიტი, ოსტეოართროზი). მნიშვნელობა აქვს ისეთ მაროვიოცირებელ ფაქტორებს, როგორებიცაა ფსიქოტრავმა, შრომაობა, გადამტყვევება, ინსოლაცია. ალკოჰოლი და ჭარბი ცხიმოანი საკვების მიღება განიხილება როგორც პოდაგრის შეტევის მაროვიოცირებელი ფაქტორი. დიდი მნიშვნელობა აქვს იჯახურ ანამნეზს. შთამომავლობითი მდგრადობა განსაკუთრებით ხშირად აღინიშნება მეტრევის დაავადების დროს. ყურადღება უნდა მიექცეს ადრე ჩატარებულ მკურნალობას და მის ეფექტურობას, ალერგიას ამა თუ იმ მედიკამენტის მიმართ და ა.შ.

### ფიზიკური კვლევის მეთოდები

#### ინსპექცია

რევმატოლოგიური ავადმყოფის ინსპექცია იწყება მაშინვე, როდესაც ის მიდის ექიმთან მიღებაზე. ინსპექციის დროს ყურადღება ექცევა ავადმყოფის ხიარულს, პოზას, სახეს, გამონა-

ყარს კანზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - სახსრების ცვლილებებს. სახსრებში ტკივილის, მათი ანთების და დეფორმაციების დროს სიარული განმედიდებულია, შეზღუდულია, ნე-ლია, ავადმყოფი ზოგადად დაზიანებულ სახსარში, კოჭლობას ავადმყოფის მოძრაობა შეიძლება დამახასიათებლად შეცვალოს დაზიანებულ სახსარში მოძრაობის შეზღუდვის გამო. მეტრევის დაავადების დროს, ავადმყოფი, ხერხეულს მალეში განვითარებული ცვლილებების გამო წელში მოკლებულია და იღებს დამახასიათებელ "მთხვენილის პოზას". სისტემური ნითელი მგლურას თავისებური საეიზიტო ბარათია ერთემა სახეზე - ცვირის და ლოყების მიდამოში - მგლურას "სეკელა". სკლეროდემიის დროს, ავადმყოფი აქვს თიმიკო, ნილაბისკერი სახე, დერმატომიოზიტი ხასიათდება პერიორბიტული შემუპეით და სხვა. ბეტელისებრი ერთემა ხელის და კიდურების კანზე დამახასიათებელია რევმატიზმისთვის. მრავალფეროვანი ექსუდაციური ერთემა შეიძლება განდეს რევმატიზმის, სისტემური ნითელი მგლურას, დერმატომიოზიტის შემთხვევაში. კვანძოვანი ერთემა შემართებული ქსოვილებს დიფუზური დაავადების ერთ-ერთი გამოვლინება შეიძლება იყოს. პურპურა - წერილი პემორავიული გამონაყარი სხეულზე და კიდურებზე - შეიძლება განვითარდეს სისტემური ნითელი მგლურას, რევმატოიდული ათრიტიტის დროს და სხვა. პოდაგრის დროს, პერიარტიკულარულ ქსოვილებში - ყურის ნიყარებზე, იდაყვების, ტრფების მიდამოებში, ხელის მტევნის თითებზე - აღინიშნება შარდმეფავ მარილების დაკროვება (ტრფუსები).

სახსრების და საყრდენ-მამორაკეველი აპარატის ინსპექცია იწყება დაზიანებული სახსრის დეტალური დათვალურებით. მწვეუ ანთების დროს სახსრის მიდამო მიკერმულია, ხდება მისი კონტურების გადასწორება. სახსრის დაზიანებისათვის მეტად დამახასიათებელია მისი შესკვება. ის ვითარდება ანთებითი სითხის დაგროვების გამო სახსრის სინოვიალურ გარსსა და სახსარბლო რბილ ქსოვილებში. შესკვება და ქრონიკული ართრიტიტის დროს სინოვიური გარსის მიკერტროფია და ფიბროზულ-სკლეროზული ცვლილებები პერიარტიკულურ ქსოვილში, იწვევს სახსრის ფორმის შეცვლას - დეფიურაციას. სახსრის დეფორმაცია დეფიურაციისაგან განსხვავებით ხასიათდება მისი ფორმის მყარი შეცვლით, რაც დაკავშირებულია ძვლოვანი ნანახარდების გაქენასთან, ძვლების სახსარბლო ზედაპირების დესტრუქციასთან, ანკილოზების და ქვეამოვარდნილობების განვითარებასთან. სახსრების დეფორმაციების კლასიკური მაგალითებია ტყვეების რენარული დეფიაციები ("ლომეშაპას ფარული" ფორმის) რევმატოიდული პოლიართრიტიტის, პეხერდენის და ბუშარის კვანძები ოსტეოართროზის დროს და სხვა. სახსრების დეფორმაციების შედეგად შეიძლება განვითარდეს მუხლის სახსრების ვარუსული (ც.წ. *0-ფორმის ფეხები*) ან ვალვუსური (*X ფორმის ფეხები*) დგომი.

ინსპექციის დროს ყურადღება უნდა მიექცეს სახსრებში მოძრაობის უნარს, ამპლიტუდას, აქტიურ და პასიურ მოძრაობებს, მოძრაობის შეზღუდავას, მტკივნეულობას მოძრაობის დროს. ანთების დროს გადიდებული სახსარი აუცილებლად უნდა შედარდეს სინტროულ სახსართან მეორე მხარეს. სასურველია სახსრების გარშემონწირობის განსაზღვრა სანტიმეტრებში. ანთებითი ცვლილებების შედეგად შეიძლება განვითარდეს სახსრების კონტრაქტურა (სახსრების მოძრაობის მკვეთრი

შეზღუდა, რბილ ქსოვილებში განვითარებული პათოლოგიური ცვლილებების გამო) და ანკილოზი (სახსრების უმოძრაობა სახსრულ ზედაპირების შეხორცების გამო). აღსანიშნავია, რომ რევმატიზმის დროს ადგილი აქვს სახსრების ანთების სრულ უკუგანვითარებას. ამდენად, თუ ავადმყოფს ადრე გადატანილი სახსრების ანთების შედეგად დარჩა დეფორმაციები სახსრების მხრივ, რევმატიზმის დიანოზი სავსებით გამოირცხვლება.

რევმატიული დაავადებების დროს ერთი სახსრის დაზიანება ცნობილია როგორც *მონოართრიტი*, ორი-სამის — როგორც *ოლგოართრიტი*, სახსრების მრავლობითი დაზიანება — როგორც *პოლიართრიტი*. მიმდინარეობის მიხედვით სახსრების დაზიანება შეიძლება იყოს მწვავე (3 თვემდე), *ქვემწვავე* (6 თვემდე), *გახანგრძლივებული* (9 თვემდე) ან *ქრონიკული* (9 თვეზე მეტი).

### პალაკაცია

პალაკაციით დგინდება კანის ტემპერატურა სახსრის მიდამოში. ამ მიზნით საჭიროა მექენის ზურგი მიადოთ სახსრის მიდამოს არა უმეტესი ერთი ნაწისა. უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე პალაკაცია შეიძლება შევსრუდოს შეცდომაში, რადგანაც მოხდება ექიმის და ავადმყოფის კანის ტემპერატურების გათანაბრება. უნდა შედარდეს დაზიანებული და ჯანსაღი სიმეტრიული სახსრის კანის ტემპერატურა. ტემპერატურის მომატება მოუთითებს სახსარში მწვავე ანთებითი პროცესის მიმდინარეობაზე. რეინოს სინდრომის დროს კიდურების კანი, განსაკუთრებით თითების ბოლო ფალანგები, პალაკაციით ცივი. პალაკაციით დგინდება კანის სიმშრალის და ინფურაციის არსებობა, რაც მეტად დამახასიათებელია სისტემური სკლეროზირებისათვის. აღნიშნული დაავადების დროს დამახასიათებელია აგრეთვე კანის ატროფიული ცვლილებების განვითარება. კუნთების გამკვრივება ვითარდება დერმატომიოზიტის შემთხვევაში.

პალაკაციით შეიძლება სახსრების პასიური მოძრაობის შესწავლა. მოძრაობის შეზღუდვა შეიძლება დაკავშირებული იყოს ტკივილთან ართრიტების და ართროზების დროს, ანკილოზებთან. ამა თუ იმ სახსარში მოძრაობის უფრო ზუსტი დადგენისათვის იყენებენ სპეციალურ ხელსაწყოებს — *გონიომეტრებს*. სახსრის პალაკაციით შესაძლებელია გამოვლინდეს ფლუქტუაციის არსებობა, რომელიც ჩნდება მწვავე ანთებითი პროცესების დროს სახსარში დიდი გამოწაფონით, მათ შორის ჩირქოვანი ბუების.

სახსრებში მტკივნეულობის დასადგენად მიმართავენ მათ ე.წ. *ლრბა* პალაკაციას ორი თითით. პალაკაციით შეიძლება დადგინდეს მტკივნეულობა აგრეთვე *ბურსიტის* (ანთებითი ხასიათის პათოლოგიური ცვლილებები სინოვიურ ჩანთაში) შემთხვევაშიც. სახსარში (უფრო ხშირად მუხლის სახსარში) სითხის არსებობის დასადგენად აწარმოებენ ბიძანალურ პალაკაციის ხელის გულებით.

კუნთების პალაკაციით წარმოებს მათი ტონუსის შესწავლა. კუნთების ძალის დასადგენად ექიმი თხოვს ავადმყოფს ერთის მხრივ აქტიურად გაუწიოს ნინაალმდეგობა კიდურის მოლუნვაში ან გამლაბი ("სტატიკური ძალა"), მეორე მხრივ კი ავადმყოფმა უნდა გადალახოს ექიმის ნინაალმდეგობა კიდურის მოძრაობისას. სხვადასხვა კუნთოვანი ჯგუფის ძალის უფრო ზუსტად დასადგენად იყენებენ *დინამომეტრებს*.


## ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები

### ლაბორატორიული გამოკვლევები

რევმატიული დაავადებების დიაგნოსტიკაში ფართოდ გამოიყენება ზოგადი კლინიკურ-ლაბორატორიული, ბიოქიმიური და იმუნოლოგიური კვლევის მეთოდები. რევმატოლოგიაში გამოყენებული სისხლის, შარდის, სინოვიური, პლევრული და ზურგის ტვინის სითხეების გამოკვლევის მეთოდებს გარკვეული დიაგნოსტიკური და დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვთ და ფართოდ გამოიყენება პათოლოგიური პროცესის აქტივობის დასადგენად.

სისხლის საერთო ანალიზიდან ყურადღებას იმკრობს ლეიკოციტოზი, რომელიც ხშირად აღინიშნება კვანძოვანი პერირტერიტის დროს. სისტემური წითელი მგლურასათვის დამახასიათებელია ლეიკოპენია, რომელსაც ხშირად თან ახლავს თრმობოციტოპენია და ანემია. ანემია შეიძლება განვითარდეს აგრეთვე რევმატოიდული ართრიტის შემთხვევაშიც. რევმატიული დაავადებების დროს ანთებითი პროცესის კარგი მაჩვენებელია ურთიროციტების დალექვის სიჩქარე. მართალია, ეს მაჩვენებელი არასპეციფიკურია (დადებითია სხვა ანთებითი დაავადებების, ანემიის, ორსულობის დროს და ა.შ.), მაგრამ მისი დინამიკაში შესწავლა აადვილებს დაავადების მიმდინარეობაზე კონტროლს და მკურნალობის პროცესს.

სისტემური წითელი მგლურას დიაგნოსტიკაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს სისხლში *ხაზურიც ტრიალის* — წითელი მგლურას (*Lupus Erythematosus - LE*) უჯრედების, *პუმატოქსილონური სხეულების* და *როზეტების* ნახვას (სურ. 212). *LE* უჯრედებს სისხლში ნახულობენ შემთხვევათა უმეტესობაში. ეს არის ნეიტროფილები, რომელთა ციტოპლაზმაში მრავალი იწვითური ჩანართებია (ბირთვების სუბსტანცია, რომლებიც შე-



სურ. 212 ხაზურიც ტრიალი. პუმატოქსილონური სხეული, ბ-მგლურას უჯრედი, ბ-როზეტი

ერთებული ანტიჩუკურ ანტისხეულებთან). დიავნოსტიკური მნიშვნელობა აქვს, როდესაც LE უჯრედები არის 1000 ლეიკოციტზე უა მეტი, ვინაიდან ერთული უჯრედი შეიძლება აღმონდეს სხვა დაავადებების დროსაც.

ინფრამოლეგური მეთოდებით შეიძლება დადგინდეს სტრეპტოკოკური ანტიგენების სანიხალდელო ანტისხეულების არსობა, რასაც დიავნოსტიკური მნიშვნელობა აქვს რემატიზმისათვის. სხვა სტრეპტოკოკული დაავადებებისაგან განსხვავებით, რემატიზმის დროს ხშირად აღინიშნება ამ ანტისხეულების მაღალი ტიტრი (ანტისტრეპტოლიზინი-0 > 1:250, ანტისტრეპტოკინაზა და ანტიპოლიორონიზაზა - > 1:300). რეპტიკული ართრიტების ბუნების დასადგენად, ასევე მნიშვნელოვანია სისხლში სათანადო ანტისხეულების (იერსინიოზი, ქლამიდია და სხვა) აღმოჩენა.

